ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი

ბავშვზე ზრუნვის მომსახურებათა ეფექტიანობის კვლევა

კვლევა განხორციელდა პროექტის „უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში ორგანიზაცია Brot für die Welt-ის ფინანსური მხარდაჭერით

პროექტის დირექტორი: **მარინა თოფურია**

კვლევის ანგარიშის ავტორი: **ნელი აკობია**

კვლევის ჯგუფი: **სალომე ჭიჭინაძე**

რედაქტორი: **ნათია მენაბდე**

2023

კვლევის მიზანი და ამოცანები

ბავშვზე ზრუნვის მომსახურებათა ეფექტიანობის კვლევა ჩაატარა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა“ პროექტის „სამოქალაქო ჩართულობა – უკეთესი მომავლისთვის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ორგანიზაცია Brot für die Welt-ის მიერ.

კვლევის მიზანი იყო ბავშვზე ზრუნვის მომსახურებათა ეფექტიანობის შესწავლა საქართველოში. აღნიშნული კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა შემდეგი მომსახურებები:

- მიტოვების რისკის წინაშე მყოფი 6-18 წლის ასაკის ბავშვების დღის ცენტრი;
- არასპეციალიზებული მინდობით აღზრდა;
- მცირე საოჯახო ტიპის სახლი.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა სამაგიდე კვლევასა და თვისებრივ კვლევას (ჩაღრმავებული ინტერვიუები და ფოკუსჯგუფის განხილვა).

სამაგიდე კვლევის ფარგლებში მიმოვიხილეთ ზემოაღნიშნული სამი მომსახურების მარეგულირებელი სახელმწიფო დოკუმენტები და სტანდარტები, ასევე, კვლევები, რომლებიც აღნიშნულ მომსახურებებთან არის დაკავშირებული, მათ შორის, არასამთავრობო სექტორში და საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული კვლევები. გარდა ამისა, მიმოვიხილეთ საერთაშორისო ლიტერატურა, რომელიც დაკავშირებულია კვლევისთვის საინტერესო სამ მომსახურებასთან, ხელს უწყობს რა საქართველოში ამ მომსახურებების ხარისხის შეფასებას. ასევე მივმართეთ სსიპ სახელმწიფო ზრუნვის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში – ზრუნვის სააგენტო) აღნიშნული სამი მომსახურების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ფოკუსჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები. კვლევამ მოიცვა როგორც თბილისი, ისე რეგიონები. ფოკუსჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების ჩამონათვალი მოცემულია ქვემოთ.

<u>ჩაღრმავებული ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ პირებთან:</u>

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი;
- სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლები;
- ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი;
- ზრუნვის სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის დეპარტამენტის წარმომადგენლები;
- ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენლები;

- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
- გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი;
- ორგანიზაცია „კომპასის“ ხელმძღვანელი.

<u>ფოკუსჯგუფები ჩატარდა შემდეგი პირების მონაწილეობით:</u>

- ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკები (თბილისის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან) – სულ 3 ფოკუსჯგუფი;
- მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები (ადმინისტრაცია და თანამშრომლები) – სულ 3 ფოკუსჯგუფი;
- დღის ცენტრის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები (ადმინისტრაცია და თანამშრომლები) – სულ 2 ფოკუსჯგუფი;
- მინდობით აღმზრდელები – სულ 2 ფოკუსჯგუფი;
- მომსახურებით მოსარგებლე ბავშვები (12 წლის ზემოთ) და ახალგაზრდები (არასპეციალიზებული მინდობით აღზრდა და მცირე საოჯახო ტიპის სახლი) – სულ 3 ფოკუსჯგუფი: 1 – არასპეციალიზებული მინდობით აღზრდა და 2 – მცირე საოჯახო ტიპის სახლი;
- სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდები (18 წლის ზემოთ) – 1 ფოკუსჯგუფი;
- 6-18 წლის ასაკის ბავშვთა დღის ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე ბავშვების მშობლები/მზრუნველები – 2 ფოკუსჯგუფი.

კვლევის შეზღუდვები

კვლევა განხორციელდა სამაგიდე კვლევისა და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, შესაბამისად, მისი მიგნებები ვერ იქნება განზოგადებადი.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში მოგვეწოდა ზრუნვის სააგენტოდან გამოთხოვნილი ინფორმაციის უმეტესი ნაწილი, თუმცა არ მიგვიღია გარკვეული მონაცემები, მაგალითად, მონაცემები ძალადობის შესახებ შეტყობინებებზე მიტოვების რისკის წინაშე მყოფი 6-18 წლის ასაკის ბავშვების დღის ცენტრიდან და არასპეციალიზებული მინდობით აღზრდის მომსახურებიდან; ასევე, არ ვფლობთ ინფორმაციას დღის ცენტრის მომსახურების მიმღები ბავშვების რაოდენობაზე, რომლებიც განთავსდნენ ზრუნვის სისტემაში. შესაბამისად, ამ მონაცემების დამუშავება ვერ მოხერხდა.

მიუხედავად მცდელობისა, კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა გარკვეული ჯგუფების მოცვა, მაგალითად, დღის ცენტრის მომსახურების მიმღები ბავშვების და მინდობით აღზრდის მომსახურებასა და მცირე საოჯახო ტიპის სახლში მყოფი ბავშვების ბიოლოგიური მშობლების/ოჯახის წევრების გამოკითხვა.

ჩაღრმავებული ინტერვიუების სრული უმრავლესობა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში, რასაც არ უმოქმედია ინფორმაციის მოპოვების ხარისხზე. ასეთივე ფორმით ჩატარდა ასევე

ფოკუსჯგუფების უმეტესობაც. ეს განპირობებული იყო დროის ფაქტორითა და ლოჯისტიკური სირთულეებით, ვინაიდან ფოკუსჯგუფის მონაწილეები სხვადასხვა ლოკაციაზე იყვნენ და მათი ერთ სივრცეში შეკრება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. მართალია, სპეციალისტებსა და მშობლებთან ჩატარებული ფოკუსჯგუფების ხარისხზე არ უმოქმედია მათ online-რეჟიმში მოწყობას, ბავშვებთან ფოკუსჯგუფების დისტანციურად ჩატარება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანმა შეძლო ჩართვა და საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, ბავშვების შემთხვევაში იყო გარკვეული რისკები, რომელთა შემცირებაზე ვიმუშავეთ შემდეგი გზებით:

- დავრწმუნდით, რომ ბავშვები ნამდვილად განმარტოებულნი იყვნენ და შეეძლოთ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა სხვა დამსწრე პირების გარეშე. იმ რისკის გათვალისწინებით, რომ სხვა დამსწრე პირი მაინც შეიძლებოდა, ყოფილიყო იმავე სივრცეში, ბავშვებს განვუმარტეთ, რომ მხოლოდ იმ კითხვებზე ეპასუხათ და იმ საკითხებს შეხებოდნენ, რომელთა შესახებ მსჯელობისას თავს კომფორტულად იგრძნობდნენ;
- დავრწმუნდით, რომ თითოეულ მონაწილეს ჰქონდა წვდომა ინდივიდუალურ მოწყობილობაზე – ტელეფონი/პლანშეტი/კომპიუტერი. ბავშვების შემთხვევაში, კვლევაში ჩართულნი იყვნენ, ძირითადად, 14 წლის ზემოთ ასაკის მოზარდები და ყველა მათგანს ჰქონდა ტექნიკური მოწყობილობების გამოყენების უნარი.

კვლევის ძირითადი მიგნებები

სამაგიდე კვლევა:

- ზრუნვის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, დღეისათვის ქვეყანაში ფუნქციონირებს მიტოვების რისკის წინაშე მყოფი 6-18 წლის ასაკის ბავშვების 15 დღის ცენტრი (406 ბავშვი), 37 მცირე საოჯახო ტიპის სახლი (235 ბავშვი, აქედან 40 – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში – შშმ ბავშვი). დარეგისტრირებული და დასაქმებულია 507 არასპეციალიზებული მინდობით აღმზრდელი (1104 ბავშვი).
- მომსახურებები არათანაბრად არის განაწილებული რეგიონებს შორის და, ზოგადად, მწირადაა წარმოდგენილი.
- 2021 წელს მინდობით აღზრდის მომსახურებიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში 54 ბავშვი გადავიდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან მინდობით აღზრდის მომსახურებაში კი – 9 ბავშვი; 2022 წელს მინდობით აღზრდის მომსახურებიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში 62 ბავშვი გადავიდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან მინდობით აღზრდის მომსახურებაში კი – 6. იკვეთება ტენდენცია, რომ ბავშვების გაცილებით მეტი რაოდენობა იცვლის ზრუნვის ფორმას ზრუნვის ნაკლებად უპირატეს ფორმაში (კერძოდ, მცირე საოჯახო ტიპის სახლში) გადასვლის გზით.
- მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან უფრო ნაკლებად ხორციელდება რეინტეგრაცია, ვიდრე მინდობით აღზრდის მომსახურებიდან.

- საგრძნობლად მოიმატა მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან ძალადობის შესახებ შეტყობინებების რაოდენობამ.

თვისებრივი კვლევა:

<u>**მიტოვების რისკის წინაშე მყოფი 6-18 წლის ასაკის ბავშვების დღის ცენტრი**</u>

- დღის ცენტრი ოჯახის გაძლიერების უფრო ფართო პროგრამის ნაწილად აღიქმება, თუმცა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საკითხი, თუ რამდენად ასრულებს ის ოჯახის გაძლიერების საპასუხისმგებლო მისიას.
- მიტოვების მყისიერი რისკი არ იკვეთება იმ ბავშვების უმეტესობასთან მიმართებით, რომლებიც დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობენ.
- დღის ცენტრში ბავშვებისთვის, ძირითადად, შეთავაზებულია ფორმალური და არაფორმალური განათლების და კვების მომსახურებები.
- რესპონდენტების ნაწილის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ ამ მომსახურებამ ფორმა შეიცვალოს და ის განკუთვნილი იყოს ყველა იმ ბავშვისთვის, რომლებიც დგანან მშობლის მხრიდან უმეთვალყურეოდ დატოვების პრობლემის წინაშე (ეს იქნება სკოლის შემდგომი მომსახურების სახითაც).
- ამჟამად არსებული სტანდარტები დღის ცენტრებისთვის რთული შესასრულებელია და ხშირად აცდენილია რეალობას. ამ მომსახურების განვითარების სამომავლო ხედვის ამსახველი დოკუმენტი სამინისტროს არ აქვს.
- არსებული ვაუჩერული დაფინანსების ოდენობა სრულიად არასაკმარისია დღის ცენტრის მომსახურების მინიმალური სტანდარტით მისაწოდებლად. დღის ცენტრების უმეტესობას ჰყავს სხვა დამფინანსებლები, რომელთა გარეშეც ისინი მომსახურების მიწოდებას ვერ შეძლებდნენ. აღნიშნული გარემოება უარყოფით გავლენას ახდენს მიწოდებული მომსახურების ხარისხსა და მრავალფეროვნებაზე, დღის ცენტრის მატერიალურ ბაზაზე, კადრების რაოდენობაზე, შემადგენლობაზე, გადინების მაჩვენებელსა და პროფესიონალიზმის ხარისხზე.
- განსაკუთრებით რთულია დღის ცენტრში მრავალფეროვანი და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებების მიწოდება მოზარდი ასაკის ბავშვებისთვის არსებული დაფინანსების პირობებში, რაც დღის ცენტრიდან მათი ნებაყოფლობით წასვლის/ამორიცხვის მიზეზი ხდება.
- განსაკუთრებით დიდ პრობლემად სახელდება დღის ცენტრების მიერ ადგილების არსებული ლიმიტის არასრულად შევსება – როცა დღის ცენტრები ფლობენ ინფორმაციას, რომ მშობლებს დაწერილი აქვთ განცხადება, ბავშვები დგანან მომლოდინეთა რიგში, დღის ცენტრს აქვს ვაკანტური ადგილები, თუმცა ბავშვები, გაურკვეველი მიზეზით არ ირიცხებიან დღის ცენტრში.
- გაურკვეველია, როდის იღებენ დღის ცენტრები ვაუჩერულ დაფინანსებას (თვის რომელ რიცხვში, თუმცა არსებული ვადა მკაცრად დადგენილია სახელმწიფო პროგრამაში). ეს ვადა არ არის სტაბილური, რაც, შესაბამისად, ხელს უშლის

მომსახურების ადმინისტრაციებს თანამშრომელთა ხელფასების გაცემასა და სხვა ხარჯების დროულად დაფარვაში. გარდა ამისა, უქმე/დასვენების დღეებსა და არდადეგების პერიოდში დღის ცენტრები ოფიციალურად ისვენებენ და ვერც ამ პერიოდში იღებენ ვაუჩერულ დაფინანსებას.

- იკვეთება პროცედურული სირთულეები ბავშვების მიერ დღის ცენტრში გატარებული საათების დათვლასთან დაკავშირებით. ბავშვებმა, შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზით სრულად ვერ გაატარონ დღის ცენტრში სავალდებულო მინიმალური 3 საათი. ამ შემთხვევაში, დღის ცენტრს არ უნაზღაურდება გაწეული მომსახურება. საპატიოდ არ ითვლება გაცდენები, მაშინაც კი, როცა, მაგალითად, ბავშვი ავადაა.
- დღის ცენტრებმა ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო, შესაძლოა, ვერ დაიქირაონ რომელიმე საგნის მასწავლებელი, რომელიც შეესაბამება დღის ცენტრის ბავშვების საჭიროებას თუ ინტერესებს.
- დღის ცენტრების მცირე ნაწილში (სადაც არსებობს დონორული დაფინანსება) ბავშვებთან, იშვიათ შემთხვევაში, მშობლებთან, მუშაობენ სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, მეტყველების თერაპევტი და სხვა სპეციალისტები.
- დღის ცენტრების მცირე ნაწილი ორგანიზებას უწევს გასვლით ღონისძიებებსა და ექსკურსიებს.
- დღის ცენტრებში დიდი დაბრკოლებები არსებობს სპორტული ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებასთან დაკავშირებით. დღის ცენტრების მნიშვნელოვან ნაწილს ამ ღონისძიებების უზრუნველსაყოფად არ აქვს საჭირო ინფრასტრუქტურა და სხვა რესურსები (ადამიანური, მატერიალური, მაგალითად, სივრცე, ეზო, სპორტული ინვენტარი და ა.შ.) ფინანსური შესაძლებლობების სიმწირის გამო.
- დღის ცენტრებში გაერთიანებული ბავშვების ნაწილს აქვს დასწავლის სირთულეები და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის სტატუსი სკოლაში. ამ ბავშვებისა და ოჯახებისთვის სათანადო ხარისხის მომსახურების გაწევა დღის ცენტრებს განსაკუთრებით უჭირთ. იკვეთება სიძნელეები სკოლასთან თანამშრომლობის თვალსაზრისითაც.
- მშობლების შედარებით მცირე ნაწილი იცნობს დღის ცენტრის აქტივობებს, მომსახურების მარეგულირებელ სტანდარტებს. ზოგი ცენტრის ადმინისტრაცია პერიოდულად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს/კრებებს მშობლებთან.
- დღის ცენტრში ჩასარიცხი ოჯახების ნაწილს ესაჭიროება ოჯახის გაძლიერების უფრო ფართომასშტაბიანი მომსახურებები, რომელთა დიდი ნაკლებობაა ქვეყანაში. ასევე, როგორც სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, ამ ოჯახების დიდ ნაწილს სჭირდება მშობლობის უნარებზე მუშაობა, თუმცა ამ კუთხით სახელმწიფო მომსახურებებში მიზნობრივი პროგრამები ან ჩარევის ფორმები, ფაქტობრივად, არ არსებობს.
- დღის ცენტრებში ბავშვები აფიქსირებენ სხვა სივრცეში (მაგალითად, ოჯახში) მომხდარ ძალადობის ფაქტებს. ყოფილა დღის ცენტრის მხრიდან რეფერირების შედეგად ოჯახებიდან ბავშვების გამოყვანის შემთხვევებიც.

- ბულინგის შემთხვევებს დღის ცენტრები ადგილზე არეგულირებენ, თუმცა აშკარაა სათანადო სპეციალისტების (მაგალითად, ფსიქოლოგის) ნაკლებობა.
- დღის ცენტრების მცირე ნაწილი სთავაზობს ბავშვებს ღონისძიებებს, რომლებიც სოციალური უნარების განვითარებაზე, სოციალიზაციასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის შემზადებაზე არის ორიენტირებული.
- დღის ცენტრების მცირე ნაწილში თანამშრომლებისთვის ჩატარებულა ტრენინგი ან საინფორმაციო შეხვედრები სტანდარტებთან, ძალადობასთან/ბულინგთან, ბავშვის უფლებებთან, პროფესიული გადაწვის პრევენციასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

<u>არასპეციალიზებული მინდობით აღზრდა</u>

- მინდობით აღზრდა 24-საათიანი ზრუნვის საუკეთესო ფორმას წარმოადგენს, რადგან ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ინდივიდუალურ ზრუნვას ბავშვისთვის.
- მინდობით აღზრდის მომსახურებაში ბავშვის განთავსება მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული, როგორიცაა მინდობით აღმზრდელების რაოდენობის სიმცირე, განსაკუთრებით რეგიონებში, მათი კომპეტენციების ნაკლებობა, საჭირო თერაპიული და სარეაბილიტაციო მომსახურებების დეფიციტი, თავსებადობის სირთულეები და ა.შ.
- მძიმე ტრავმული, ძალადობრივი გამოცდილებისა და ქცევითი თუ ემოციური სირთულეების მქონე ბავშვების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, მათი ნაწილი ჯერ მინდობით აღზრდის მომსახურებაში განთავსდეს, გარკვეული პერიოდის შემდეგ, განსაკუთრებით გარდატეხის ასაკის დადგომისას, ისინი ხშირად გადაჰყავთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში, რადგან მინდობით აღზრდის მომსახურებას მსგავს სირთულეებთან გამკლავება უჭირს.
- მინდობით აღზრდის სტანდარტები გადასახედია. სამინისტროს არ აქვს ასევე მომსახურების განვითარების სამომავლო ხედვის ამსახველი დოკუმენტი.
- კვლევაში მონაწილე მინდობით აღმზრდელების დიდი ნაწილი მინდობით აღზრდის სტანდარტებს არ იცნობს.
- კვლევაში მონაწილე აღსაზრდელების ნაწილი აქტიურად არის ჩართული თავსებადობის განსაზღვრის პროცესში (მინდობით აღმზრდელთან შეხვედრები და ა.შ.), ნაწილი კი – ნაკლებად და მხოლოდ ინფორმაციას იღებს მიმდინარე პროცესებზე სოციალური მუშაკისა და მშობლისგან.
- სერიოზული სირთულეები არსებობს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და/ან არაქართულენოვანი ბავშვებისთვის სათანადო მინდობით აღმზრდელი ოჯახების მოძიების კუთხით. შედეგად, ბავშვები მათთვის უცხოენოვან და უცნობ კულტურულ გარემოში ხვდებიან, რაც აძნელებს მინდობით აღზრდის მომსახურებაში ბავშვის ადაპტაციისა და შემდგომი მუშაობის პროცესს.
- ქვეყანაში მინდობით აღმზრდელების მცირე რაოდენობის გამო მოქმედი მინდობით აღმზრდელები მაქსიმალურად არიან დატვირთულნი, რაც გავლენას ახდენს

თითოეული ბავშვის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომაზე, ასევე, ბავშვის მინდობით აღმზრდელთან გადაყვანამდე ამ ოჯახის წევრებთან მისი თავსებადობის საკითხის სრულად და საფუძვლიანად შესწავლაზე. იკვეთება შემთხვევები, როცა ბავშვების ჯამური რაოდენობა აღემატება 4-ს (გამოიკვეთა, რომ ერთხელ ასეთ ოჯახში მოხდა ფიზიკური და ემოციური ძალადობა მინდობით აღსაზრდელებზე).

- მინდობით აღმზრდელები გადიან ტრენინგს მათთან ბავშვის განთავსებამდე, თუმცა აღარ იღებენ სისტემურ მხარდაჭერას მათთან ბავშვის განთავსების პროცესში.
- დახვეწას საჭიროებს ინდივიდუალური განვითარების გეგმები. ზოგჯერ სოციალური მუშაკის მიერ შემუშავებულ გეგმაზე, გაწერილ მიზნებსა და ღონისძიებებზე არ არის ინფორმირებული მინდობით აღმზრდელი ან ბავშვი (მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად). ზოგადად, კოორდინაციის სირთულეები, სოციალური მუშაკების შეცვლა, სოციალური მუშაკების მასობრივი გადინება უარყოფითად აისახება მინდობით აღზრდის მომსახურებაში მყოფი ბავშვების მიმართ ინდივიდუალური მიდგომის დაგეგმვასა და განხორციელებაზე, ასევე, მათი მდგომარეობის მონიტორინგზე.
- მინდობით აღზრდის ფინანსური ანაზღაურება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ბავშვს სრულფასოვანი მომსახურება მიეწოდოს ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების (განსაკუთრებით რეპეტიტორების დასაქირავებლად დამატებითი მეცადინეობისთვის), განვითარების, ჯანდაცვის (განსაკუთრებით მედიკამენტების შეძენისა და სტომატოლოგიური მომსახურებისთვის) და ფსიქიკური ჯანმრთელობის თუ ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.
- სამედიცინო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მინდობით აღმზრდელმა უნდა დაფაროს (მაგალითად, მედიკამენტები, პროფილაქტიკა, სტომატოლოგიური მომსახურება და ა.შ.). ასევე სირთულეებთანაა დაკავშირებული დაბალანსებული კვების სრულად უზრუნველყოფა ფინანსური რესურსის სიმწირის გამო. შესაძლოა, კონკრეტულ შემთხვევებში, გაძნელდეს ჰიგიენური და სხვა საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაც.
- განათლების თვალსაზრისით, მეტ-ნაკლებად სრულდება მინდობით აღზრდის სტანდარტი (ფორმალური და არაფორმალური განათლება), მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. საგულისხმო სირთულეს წარმოადგენს დამატებით წრეებში ბავშვის გაერთიანების (არაფორმალური განათლების მიწოდების), ასევე, რეპეტიტორებთან მეცადინეობის დაფინანსების საკითხი. თუ ბავშვის სურვილი და საჭიროებაა, ჩაერთოს დამატებითი წრეების მეცადინეობაში, მათ საფასურს მინდობით აღმზრდელი იხდის. სირთულეს წარმოადგენს ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების ხელმისაწვდომობაც კონკრეტულ ლოკაციებში. ფორმალურ თუ არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად მინდობით აღმზრდელები იყენებენ არა მარტო სახელმწიფოდან ბავშვის მოვლა-პატრონობისთვის მიღებულ თანხას, არამედ თავიანთი ოჯახის წევრების ფინანსურ რესურსებსაც.

- მინდობით აღმზრდელებს განსაკუთრებით უჭირთ ბავშვების ემოციური განვითარების მხარდაჭერა, მათი ქცევის არაძალადობრივად მართვა და, ზოგადად, ძალადობისგან მათი დაცვა, თუნდაც აღზრდის პროცესში. განსაკუთრებული სირთულეები იჩენს თავს მაშინ, როცა ბავშვი გარდატეხის ასაკს აღწევს.
- გამოიკვეთა რამდენიმე შემთხვევა, როცა მინდობით აღზრდის მომსახურებაში მყოფ ბავშვებზე ხორციელდებოდა ფიზიკური და ემოციური ძალადობა, ასევე, უგულებელყოფილი იყო კვებისა და სხვა ბაზისური საჭიროებები.
- სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში მწირად არის წარმოდგენილი სარეაბილიტაციო და თერაპიული მომსახურებები. ზოგადად, ასეთი მომსახურებები ნაკლებად ხელმისაწვდომია, რადგან ისინი ფასიანია და ამ თანხის დაფარვა მინდობით აღმზრდელს უწევს.
- იკვეთება სირთულეები სოციალური მუშაკის მიერ ბავშვების მდგომარეობის სათანადო პერიოდულობით მონიტორინგის ჩატარების თვალსაზრისით. გამოვლინდა შემთხვევები, როცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბავშვს არ ჰყავდა დანიშნული სოციალური მუშაკი.
- მინდობით აღსაზრდელები, უმეტესწილად, ჩართულნი არიან მინდობით აღმზრდელი ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. მინდობით აღსაზრდელებს, უმეტესწილად, აძლევენ ჯიბის ფულს.
- დიდია მინდობით აღმზრდელების პროფესიული გადაწვის შანსი. კვლევაში მონაწილე მინდობით აღმზრდელები გრძნობენ სოციალური მუშაკის თანადგომას, თუმცა სხვა სახის მხარდაჭერას ისინი ვერ იღებენ (მაგალითად, კონსულტირება, ფსიქოემოციური, სარეაბილიტაციო გაძლიერება/მხარდაჭერა და ა.შ.).
- მონიტორინგის სიხშირესა და ხარისხზე, ასევე, მინდობით აღმზრდელების მხარდაჭერაზე სოციალური მუშაკების მხრიდან უარყოფითად მოქმედებს სოციალური მუშაკების რაოდენობის სიმცირე, მათი ინტენსიური გადინება სისტემიდან და ამ სპეციალისტების დატვირთვის მაღალი ხარისხი. სოციალური მუშაკები გამოყოფენ იმ სირთულესაც, რომ რეგიონების/რაიონების მიხედვით არ არიან დაყოფილნი, რაც მნიშვნელოვანწილად ახანგრძლივებს მათი ტრანსპორტირების პროცესს მინდობით აღმზრდელ ოჯახებში მონიტორინგის განხორციელებისას.

<u>მცირე საოჯახო ტიპის სახლი</u>

- მცირე საოჯახო ტიპის სახლი 24-საათიანი ზრუნვის რეზიდენტული მომსახურებაა. არსებული სტანდარტები და მომსახურების მარეგულირებელი დოკუმენტები ხშირად შეესაბამება რეალობას. ამ მომსახურების განვითარების სამომავლო ხედვის ამსახველი დოკუმენტი სამინისტროს არ აქვს.
- 2023 წლის სახელმწიფო პროგრამაში, კერძოდ, მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამაში, მოაზრებულია სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში რთული ქცევის მართვის მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი, რომელიც

დაფუძნებულია ახალგაზრდების ძლიერი მხარეებისა და უნარების აღმოჩენასა და გაძლიერებაზე. ეს აჩენს მეტ შესაძლებლობას, მხარდაჭერა გაეწიოს ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვებს. თუმცა ასეთი სახის მომსახურება ქვეყანაში არ ფუნქციონირებს, რადგან არ არსებობს მსგავსი გამოცდილების, კომპეტენციისა და სურვილის მქონე ორგანიზაცია, რომ ბავშვებს აღნიშნული მომსახურება მიეწოდოთ.

- სხვა მომსახურებათა არარსებობის, არასათანადო რაოდენობისა თუ ხელმიუწვდომლობის (ასეთებია, მაგალითად, სარეაბილიტაციო მომსახურებები, მინდობით აღზრდა), ასევე, სხვა მომსახურებებში კომპლექსური მხარდაჭერის არარსებობის გამო მცირე საოჯახო ტიპის სახლებში თავს იყრიან ბავშვები, რომლებიც გაცილებით უკეთესი და ინდივიდუალური მიდგომით იქნებოდნენ უზრუნველყოფილნი მცირე საოჯახო ტიპის სახლისგან განსხვავებულ მომსახურებაში, როგორიცაა, მაგალითად, მინდობით აღზრდა, სარეაბილიტაციო მომსახურება და ა.შ.
- მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბავშვის ჩარიცხვამდე პრობლემას წარმოადგენს სახლის მცხოვრებლებთან მისი თავსებადობის შეფასება და რისკის დონის განსაზღვრა ყველა ბავშვისთვის, ასევე, რისკის შემცირებაზე მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა, რადგან ხშირად ბავშვების ჩარიცხვა სპონტანურად ხორციელდება. ჩარიცხვისას ბავშვს ხშირად არ მოჰყვება შეფასება და სხვა დოკუმენტაცია.
- მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ზოგადად, ძნელია აღსაზრდელებისთვის ინდივიდუალური ზრუნვის მიწოდება, რადგან ასეთი სახლი შედარებით მცირე ზომის, მაგრამ მაინც რეზიდენტული დაწესებულებაა. აღნიშნულს ემატება ფინანსური და ადამიანური რესურსებისა და მომსახურებების არქონა ან არასაკმარისი ოდენობა, ასევე, ყველა ჩართულ უწყებასთან კოორდინაციის სირთულეები.
- კვება მორგებულია ბავშვების საჭიროებებზე, რადგან მენიუს შერჩევისას ითვალისწინებენ კონკრეტული ბავშვის რელიგიურ თუ სხვა თავისებურებებს.
- ბავშვების სამედიცინო საჭიროებები, მეტწილად, დაკმაყოფილებულია. გარკვეული სამედიცინო ხარჯები არ იფარება აღსაზრდელთა დაზღვევით (მაგალითად, სტომატოლოგიური მომსახურება, მედიკამენტების შეძენა) და მათი გადახდა უწევს მცირე საოჯახო ტიპის სახლს.
- ბავშვები იღებენ ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას, ძირითადად, თავიანთი ინტერესების შესაბამისად. პრობლემას ქმნის შორ მანძილზე მდებარე ლოკაციები, რომლებშიც ნაკლებადაა, ან საერთოდ არ არსებობს განათლების შესაძლებლობები. ეს განსაკუთრებით ეხება არაფორმალურ განათლებას. ასევე აღსანიშნავია ფინანსური რესურსების სიმწირე, რაც ხელს უშლის მცირე საოჯახო ტიპის სახლებს რეპეტიტორების დაქირავებაში, ასევე არაფორმალური განათლების სხვა შესაძლებლობების უზრუნველყოფაში.
- განათლების მიღების მოტივაცია ბავშვებში დაბალია, რასაც სპეციალისტები ხსნიან განათლების სისტემაში არსებული პრობლემებით, ქცევითი და ემოციური

სირთულეებით და ძილის რეჟიმის დარღვევით იმ ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც ღამით გადიან მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან და გვიან ბრუნდებიან.

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის შემთხვევაში, მუშაობის ეფექტიანობა დამოკიდებულია პერსონალის კომპეტენციებზე, რის დეფიციტიც არსებობს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში.
- ზოგ ბავშვს აქვს მარტო გადაადგილების უფლება, ზოგს – არა. ქალაქგარეთ გასვლის უფლებაც ზოგს აქვს, ზოგს – არა (ეს დაკავშირებულია უსაფრთხოების დარღვევის რისკების არსებობასთან, გამომდინარე ბავშვების წარსული გამოცდილებიდან, ასაკიდან და უნარებიდან).
- ბავშვებს აძლევენ ჯიბის ფულს, თუმცა მცირე საოჯახო ტიპის სახლების უმეტესობა არ უტარებს ბავშვებს ტრენინგებს, რომელიც დაეხმარება მათ, სათანადოდ გადაანაწილონ საკუთარი ჯიბის ფული და ისწავლონ ფინანსური რესურსების მართვა.
- მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან გასვლის შემდეგ ბავშვების ნაწილს არც წასასვლელი აქვს, არც მხარდამჭერი ჰყავს. 18 წლის ზემოთ ასაკის პირები ახალგაზრდულ პროგრამას ყოველთვის ვერ იყენებენ. მუნიციპალური პროგრამის შემთხვევაში, ახალგაზრდა კონკრეტული მუნიციპალიტეტის მცხოვრები უნდა იყოს. ასევე, პროგრამას ზოგ შემთხვევაში არ ჰყავს საკმარისი პერსონალი და არ აქვს დაფინანსება. მოცემული კატეგორიის ახალგაზრდები ხშირად ვერ სარგებლობენ ვერც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ქვეპროგრამებით („სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდების მხარდაჭერის ქვეპროგრამა“; „სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდების საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა“). ამის სავარაუდო მიზეზი ისაა, რომ ზრუნვის სისტემაში მყოფ ბავშვების მიერ განათლების მიღებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მათი მომზადების კუთხით დიდი სირთულეები იკვეთება და ეს ახალგაზრდები ხშირად ვერ/არ ხდებიან მითითებული პროგრამების სამიზნე ჯგუფის წევრები (საგანმანათლებლო დაწესებულებების (პროფესიული/უმაღლესი) სტუდენტები/აბიტურიენტები ან დასაქმების ხელშეწყობის და პროფესიული გადამზადების პროგრამით დაინტერესებული ახალგაზრდები).
- მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელების უმეტესობა ამბობს, რომ ფიზიკური გარემო მათი სურვილის გათვალისწინებით არის მოწყობილი და მათ აქვთ პირადი სივრცე, რომელიც, შესაძლოა, ადრე არასდროს ჰქონიათ, ამაზე ისინი მხოლოდ ოცნებობდნენ. რამდენიმე აღსაზრდელი ამბობს, რომ უფრო დიდ სახლს და ინდივიდუალურ ოთახს ისურვებდა. ბავშვების ნაწილი ლაპარაკობს იმაზედაც, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლების ნაწილს (განსაკუთრებით იმ პროვაიდერების შემთხვევაში, რომელთაც ერთ ტერიტორიაზე რამდენიმე სახლი აქვთ) გარედან მაინც ეტყობა, რომ ბავშვთა სახლია, და უკეთესი იქნებოდა, ის საცხოვრებელ კორპუსში ან სამეზობლოში იყოს.

- სირთულეს წარმოადგენს ბავშვების ინდივიდუალური ფსიქოთერაპიითა (უფრო მეტად უზრუნველყოფილია ჯგუფური ფსიქოთერაპია) და, ზოგადად, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სათემო მომსახურებებით უზრუნველყოფა.
- ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვების მიმართ მცირე საოჯახო ტიპის სახლების პერსონალის მხრიდან ვლინდება სტერეოტიპული დამოკიდებულება, წინასწარი განწყობა, სათანადო კომპეტენციების არარსებობა, ასევე, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გადაყვანის უფრო ხშირი შემთხვევები, ვინაიდან არ არსებობს ალტერნატიული სერვისი.
- მცირე საოჯახო ტიპის სახლები, ბავშვებში ანტისოციალური ქცევისა და კრიმინალთან დაკავშირებული სირთულეების არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს მიმართავენ დახმარებისთვის, მაგრამ ვერ იღებენ საჭირო მხარდაჭერას, რადგან არ არსებობს სხვა ტიპის მომსახურებები (განსაკუთრებით დახურული ან ნახევრად დახურული), რომლებიც ამ ბავშვების საჭიროებებზე იქნებოდა მორგებული.
- სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ბავშვები მცირე ასაკის, სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვებს რთავენ სხვადასხვა ანტისოციალურ და კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში, როგორიცაა, მაგალითად, ქურდობა, სხვა დანაშაულებრივი ქმედებები.
- მცირე საოჯახო ტიპის სახლების მცირე ნაწილს ქცევითი სირთულეების მქონე და/ან შშმ ბავშვებისთვის აჰყავს აღმზრდელის ასისტენტი ინდივიდუალური ზრუნვის უზრუნველსაყოფად.
- მართალია, მცირე საოჯახო ტიპის სახლი მაქსიმალურად ცდილობს, პატივი სცეს ბავშვების რელიგიურ და ეთნიკურ წარმომავლობას (მაგალითად, შეცვალოს კვების მენიუ და ა.შ.), სერიოზულ სირთულედ რჩება ენობრივი ბარიერი. იმ შემთხვევაში, როცა ბავშვები სწავლობენ ქართულს, ისინი ხშირად ივიწყებენ მშობლიურ ენას, რაც აუცილებლად შეუქმნის მათ დაბრკოლებას ბიოლოგიურ გარემოსთან ურთიერთობის და მის ნაწილად საკუთარი თავის აღქმის პროცესში. თუ ბავშვი არაა საქართველოს მოქალაქე, მაშინ მასზე გაწეული ყველა სამედიცინო ხარჯის დაფარვა მცირე საოჯახო ტიპის სახლს უწევს.
- ბავშვებს შორის ძალადობისა და ბულინგის შემთხვევები ხშირია სარეაბილიტაციო და თერაპიული მომსახურებების ნაკლებობის ან არარსებობის გამო. ამ მხრივ, განსაკუთრებით იკვეთება სირთულეები იმ შემთხვევაში, როცა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მდებარეობს რამდენიმე მცირე საოჯახო ტიპის სახლი.
- მცირე საოჯახო ტიპის სახლების მცირე ნაწილში ეპიზოდურად ტარდება მუშაობა სქესობრივი/სექსუალური ჯანმრთელობის დაცვის, ასევე, სექსუალური ძალადობის, არასასურველი ორსულობისა და სქესობრივი დაავადებების გადადების პრევენციის მიმართულებით. კიდევ უფრო დიდი პრობლემა ჩანს იმ გარემოების გათვალისწინებით, თუ რამდენად კომფორტულია აღმზრდელებისა და სოციალური მუშაკებისთვის მუშაობის პროცესში ამ თემებზე საუბარი.

- ყველა აღმზრდელს არ აქვს გავლილი ტრენინგი ძალადობის ნიშნების ამოცნობაზე, პრევენციასა და რეაგირებაზე და ამ კუთხით მათ ესაჭიროებათ გაძლიერება.
- ბავშვები, უმეტესწილად, ჩართული არიან მენიუს შედგენაში, დასვენების ადგილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, არაფორმალური განათლების წრეების შერჩევაში, ბიუჯეტის შედგენაში (აქვთ კომიტეტები) და ა.შ.
- კონკრეტულ ლოკაციებზე დადებითად აფასებენ მცირე საოჯახო ტიპის სახლების თანამშრომლობას ზრუნვის სააგენტოსთან, ზოგ ლოკაციაზე – უარყოფითად.
- უმწვავესი პრობლემაა პოლიციასთან თანამშრომლობა. ეს ორგანო არ რეაგირებს შეტყობინებებზე, არ თანამშრომლობს დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის, ძალადობის, პროსტიტუციაში ჩართვის და სხვა მსგავს შემთხვევებში, რასაც სავალალო შედეგი მოაქვს ბავშვებისთვის.
- დიდია აღმზრდელების გადაწვის რისკი. კომპეტენცია არის უმნიშვნელოვანესი პრობლემა აღმზრდელებისთვის, რომელთაც ორგანიზაციები ვერ სთავაზობენ შესაბამის ანაზღაურებას, რაც ან თავიდანვე იწვევს შედარებით დაბალი კომპეტენციის კადრის მოზიდვას ან კომპეტენტური კადრის სწრაფად გადინებას.
- მცირე საოჯახო ტიპის სახლების დაფინანსება არაადეკვატურია ბავშვების საჭიროებებთან მიმართებით. თუ ორგანიზაციას ჰყავს სხვა დამფინანსებელი, მაშინ ის უზრუნველყოფს საჭირო მომსახურებების (არაფორმალური განათლებით უზრუნველყოფა, ჯანდაცვა, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, ფსიქოლოგის კონსულტაცია და ა.შ.) მიწოდებას ბავშვისთვის, თუმცა ეს წარმოუდგენელია იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც სახელმწიფოდან მხოლოდ ვაუჩერულ დაფინანსებას იღებენ.

<u>რეინტეგრაცია</u>

- სახელმწიფო ზრუნვის მომსახურებაში ბავშვის განთავსების მთავარი მიზეზია მასზე ძალადობა ან უგულებელყოფა ბიოლოგიურ ოჯახში, რაც ხშირად განპირობებულია მშობლობის უნარების ნაკლებობით, ასევე, ოჯახში არსებული დისფუნქციებით.
- რეინტეგრაციის განხორციელების ან დაგეგმვის შემთხვევაში, სახელმწიფოს, როგორც წესი, შეუძლია ოჯახისთვის მხოლოდ მატერიალური დახმარების გაწევა, თუმცა რესურსი ამ კუთხითაც შეზღუდულია. მუშაობა ოჯახებთან მშობლობის უნარების გაუმჯობესებისა და ძალადობრივი ქცევის შეცვლის მიმართულებით, ფაქტობრივად, არ ხორციელდება. შეიძლება საჭირო იყოს ფსიქოლოგის მომსახურება, მაგრამ ის ყველგან თანაბრად ხელმისაწვდომი არაა. ყველაზე ხელმისაწვდომი სერვისი არის სოციალური მუშაკის მომსახურება, თუმცა ის არ არის აღჭურვილი მხარდამჭერი პროგრამებით (მაგალითად, მშობლობის პროგრამები, ძალადობრივი ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამები და ა.შ.).
- თუ რეინტეგრაცია ხორციელდება, ამის შესახებ ინიციატივა, როგორც წესი, ეკუთვნის თავად ოჯახს და არა ზრუნვის სააგენტოს.

- ბიოლოგიურ ოჯახთან ბავშვის ურთიერთობის ხელშეწყობის ნაწილში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მინდობით აღმზრდელი, თუმცა მას ხშირად არ აქვს საჭირო მხარდაჭერა ზრუნვის სააგენტოდან.
- შემთხვევებიდან უნდა გამოვყოთ კონფლიქტური სიტუაციები მინდობით აღმზრდელსა და ბიოლოგიურ ოჯახს შორის. ხშირად ბავშვებს უჩნდებათ კითხვები საკუთარი ბიოლოგიური ოჯახების შესახებ (მაგალითად, აინტერესებთ ბიოლოგიური ოჯახის მიერ ზრუნვის სისტემაში მათი დატოვების, მათი ოჯახის დისფუნქციის მიზეზები და ა.შ.), რომლებზედაც ტაქტიანად პასუხის გაცემა მინდობით აღმზრდელებს უჭირთ. ამ მიმართულებით მინდობით აღმზრდელებს ესაჭიროებათ დამატებითი სენსიტიზაცია და პროფესიული გაძლიერება.
- მცირე საოჯახო ტიპის სახლები ხელს უწყობენ ბავშვების ურთიერთობას მათ ბიოლოგიურ ოჯახებთან და ზოგჯერ თავადაც მუშაობენ ოჯახებთან მათი რეინტეგრაციის მიმართულებით.

სამაგიდე კვლევის შედეგები

სტატისტიკური მონაცემები

ზრუნვის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, დღეისათვის ქვეყანაში ფუნქციონირებს მიტოვების რისკის წინაშე მყოფი 6-18 წლის ასაკის ბავშვების 15 დღის ცენტრი (406 ბავშვი), 37 მცირე საოჯახო ტიპის სახლი (235 ბავშვი, აქედან 40 – შშმ ბავშვი); დარეგისტრირებული და დასაქმებულია ასევე 507 არასპეციალიზებული მინდობით აღმზრდელი (1104 ბავშვი). რაც შეეხება მომსახურებების გეოგრაფიულ გადანაწილებას, სურათი შემდეგნაირია:

<u>**მცირე საოჯახო ტიპის სახლები:**</u>

- აჭარა – 1 სახლი, 10 აღსაზრდელი
- რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი – 1 სახლი, 7 აღსაზრდელი
- გურია – 2 სახლი, 14 აღსაზრდელი
- იმერეთი – 8 სახლი, 43 აღსაზრდელი
- კახეთი – 3 სახლი, 22 აღსაზრდელი
- მცხეთა-მთიანეთი – 2 სახლი, 15 აღსაზრდელი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2 სახლი, 8 აღსაზრდელი
- ქვემო ქართლი – 3 სახლი, 19 აღსაზრდელი
- შიდა ქართლი – 3 სახლი, 15 აღსაზრდელი
- თბილისი – 12 სახლი, 82 აღსაზრდელი

<u>**მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დღის ცენტრები:**</u>

- თბილისი – 149 ბავშვი
- ქვემო ქართლი – 31 ბავშვი
- შიდა ქართლი – 54 ბავშვი

- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 16 ბავშვი
- გურია – 43 ბავშვი
- იმერეთი – 113 ბავშვი

<u>არასპეციალიზებული მინდობით აღზრდა:</u>

- აჭარა – 39 მინდობით აღმზრდელი
- რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი – 3 მინდობით აღმზრდელი
- გურია – 48 მინდობით აღმზრდელი
- იმერეთი – 51 მინდობით აღმზრდელი
- კახეთი – 100 მინდობით აღმზრდელი
- მცხეთა-მთიანეთი – 15 მინდობით აღმზრდელი
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 35 მინდობით აღმზრდელი
- ქვემო ქართლი – 31 მინდობით აღმზრდელი
- შიდა ქართლი – 48 მინდობით აღმზრდელი
- თბილისი – 120 მინდობით აღმზრდელი
- სამცხე-ჯავახეთი –17 მინდობით აღმზრდელი

ზემოთ წარმოდგენილი გადანაწილება მიუთითებს, რომ მინდობით აღზრდის მომსახურებაში გაცილებით მეტი ბავშვია, ვიდრე მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, რაც ერთმნიშვნელოვნად დადებითი ფაქტია. ასევე, როგორც ჩანს, მომსახურებები არათანაბრად არის განაწილებული რეგიონებს შორის (მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში მხოლოდ 3 არასპეციალიზებული მინდობით აღმზრდელია; მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დღის ცენტრები მხოლოდ 6 რეგიონში ფუნქციონირებს); შესაბამისად, მომსახურებები კონკრეტულ ლოკაციებში მწირად არის წარმოდგენილი (მაგალითად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების მხოლოდ 15 დღის ცენტრია).

ზრუნვის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული მომლოდინე მინდობით აღმზრდელების რაოდენობა ძალიან მცირეა და შეადგენს 6-ს:

- კახეთი – 2
- სამცხე-ჯავახეთი – 1
- იმერეთი – 2
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 1

რაც შეეხება ბავშვების ასაკობრივ განაწილებას მომსახურებებში, სურათი შემდეგია:

<u>აღსაზრდელების ასაკობრივი დაყოფა მცირე საოჯახო ტიპის სახლებში:</u>

- 6-10 წელი – 7 აღსაზრდელი
- 10-14 წელი – 56 აღსაზრდელი
- 14-18/19 წელი – 172 აღსაზრდელი

<u>აღსაზრდელების ასაკობრივი დაყოფა არასპეციალიზებულ მინდობით აღზრდის მომსახურებაში:</u>

- 0-6 წელი – 223 აღსაზრდელი
- 6-10 წელი – 281 აღსაზრდელი
- 10-14 წელი – 218 აღსაზრდელი
- 14-18 წელი – 346 აღსაზრდელი
- 18-21 წელი – 36 აღსაზრდელი

მაშინ, როცა არასპეციალიზებულ მინდობით აღზრდის მომსახურებაში შედარებით თანაბრადაა განაწილებული ბავშვების რაოდენობა, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გაცილებით მეტია 14-18/19 წლის აღსაზრდელების რიცხვი. ეს დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან რეზიდენტული დაწესებულება, როგორც ზრუნვის უკიდურესი ფორმა, განსაკუთრებით ტრავმული/სტრესული შეიძლება იყოს უფრო მცირე ასაკის ბავშვებისთვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ ასაკობრივ ჭრილში (14-18/19 წელი) მცირე საოჯახო ტიპის სახლსა და მინდობით აღზრდის მომსახურებაში განთავსებული აღსაზრდელების რაოდენობა, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით, ყველაზე მეტად უახლოვდება ერთმანეთს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ უფრო მეტია ალბათობა, ამ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები მოხვდნენ მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ზრუნვის უკიდურეს ფორმაში, და არა მინდობით აღზრდის მომსახურებაში.

რაც შეეხება ჩარიცხული ბავშვების რაოდენობას, სურათი შემდეგია:

<u>ჩარიცხვა 2021 წელს:</u>

- მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსდა 113 ბავშვი;
- მინდობით აღზრდის მომსახურებაში განთავსდა 184 ბავშვი.

<u>ჩარიცხვა 2022 წელს:</u>

- მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსდა 103 ბავშვი;
- მინდობით აღზრდის მომსახურებაში განთავსდა 236 ბავშვი;

აქაც აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: დადებითი ტენდენციაა ის, რომ უფრო მეტი ბავშვი თავსდება მინდობით აღზრდის მომსახურებაში, ვიდრე მცირე საოჯახო ტიპის სახლში, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში სულ 235 ბავშვია, მინდობით აღზრდის მომსახურებაში კი – 1104, განსხვავება ჩარიცხვის რაოდენობათა შორის, უკეთეს შემთხვევაში, მეტი უნდა იყოს და კიდევ უფრო მეტი ბავშვი უნდა ირიცხებოდეს მინდობით აღზრდის მომსახურებაში, ვიდრე მცირე საოჯახო ტიპის სახლში.

ასევე გასათვალისწინებელია ბავშვების რაოდენობა, რომლებიც გადადიან მომსახურების ერთი ტიპიდან მეორეში (იცვლიან მომსახურების ფორმას). როგორც ზრუნვის სააგენტოს მიერ მოწოდებული სტატისტიკა გვიჩვენებს, **<u>2021 წელს მინდობით აღზრდის მომსახურებიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში 54 ბავშვი გადავიდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან</u>**

<u>მინდობით აღზრდის მომსახურებაში კი – 9 ბავშვი; 2022 წელს მინდობით აღზრდის მომსახურებიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში 62 ბავშვი გადავიდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან მინდობით აღზრდის მომსახურებაში კი – 6.</u> ეს მეტად საყურადღებო მონაცემია, რადგან ვხედავთ ტენდენციას, რომ ბავშვების გაცილებით მეტი რაოდენობა იცვლის ზრუნვის ფორმას ზრუნვის ნაკლებად უპირატეს ფორმაში (კერძოდ, მცირე საოჯახო ტიპის სახლში) გადასვლის გზით. ასევე, იმატებს იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც გადადიან მინდობით აღზრდის მომსახურებიდან, როგორც ზრუნვის უპირატესი ფორმიდან, მცირე საოჯახო ტიპის სახლში, როგორც ზრუნვის ნაკლებად უპირატეს ფორმაში, როცა ზრუნვის სისტემაში საპირისპირო მიმართულებით უფრო ნაკლები ბავშვი მოძრაობს.

სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, **<u>2021 წელს 98 ბავშვის რეინტეგრაცია განხორციელდა,</u>** მათ შორის:

- მინდობით აღზრდის მომსახურებიდან – 65;
- მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან – 27.

<u>2022 წელს 119 ბავშვის რეინტეგრაცია განხორციელდა,</u> მათ შორის:

- მინდობითი აღზრდის მომსახურებიდან – 51;
- მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან – 28.

აღსანიშნავია, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან ნაკლებად ხორციელდება რეინტეგრაცია, რაც შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ნაკლები ბავშვია. თუმცა ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლში უფრო გამოკვეთილი რისკების წინაშე მყოფი ბავშვები ხვდებიან, ამიტომაც რთულდება ამ ინსტიტუციებიდან ბავშვების რეინტეგრაცია. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო საყურადღებოა ბავშვების მინდობით აღზრდის მომსახურებიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადასვლა ზემოთ მოცემული ოდენობით.

ზრუნვის სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემებით, ბავშვზე ძალადობის შესახებ შემოსული შეტყობინებების რაოდენობა ასეთია:

<u>2021 წელი:</u>

- მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან – 8.

<u>2022 წელი:</u>

- მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან – 36.

აღსანიშნავია, რომ ძალადობის შესახებ შეტყობინებებზე სტატისტიკური ინფორმაცია განსაკუთრებით მწირია და არ გვაქვს შეტყობინებების რაოდენობა მინდობით აღზრდის მომსახურებიდან ან მიტოვების რისკის წინაშე მყოფ ბავშვთა დღის ცენტრებიდან. იმ ინფორმაციის საფუძველზედაც, რომელიც გვაქვს, ჩანს, რომ მნიშვნელოვნად მოიმატა მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან ძალადობის შესახებ შეტყობინებების რაოდენობამ, რაც საყურადღებო ფაქტია. აღსანიშნავია, რომ, შესაძლოა, აღნიშნული სტატისტიკური მონაცემის

მატებაში იყოს პოზიტიური ფაქტორიც, მაგალითად, ის, რომ ძალადობისა და მის შესახებ შეტყობინების თაობაზე ბავშვებისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლების თანამშრომელთა ცნობიერების დონე ამაღლდა. თუმცა, როგორც თვისებრივი კვლევა გვიჩვენებს, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომატებულია ძალადობის შემთხვევები, განსაკუთრებით აღსაზრდელებს შორის. წინამდებარე სტატისტიკის უკეთ გაანალიზებაში დაგვეხმარებოდა დამატებითი ინფორმაცია, მაგალითად, იმაზე, თუ ვისი მხრიდან იყო განხორციელებული ძალადობა, ასევე ის, თუ ვინ შეატყობინა ძალადობის ფაქტის შესახებ, რა სახის ძალადობაზე განხორციელდა შეტყობინება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ თვისებრივი კვლევიდან იკვეთება მინდობით აღზრდის მომსახურებაში მომხდარი ძალადობის რამდენიმე შემთხვევა (მათ შორის, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა მინდობით აღმზრდელის მხრიდან); ასევე, ვლინდება, რომ მინდობით აღმზრდელებს მხოლოდ საწყის ეტაპზე უტარდებათ ტრენინგი, ბავშვის განთავსების პროცესში კი არ იღებენ პროფესიული განვითარებისა და ემოციური მხარდაჭერის მომსახურებებს, რაც ზრდის როგორც ძალადობის რისკს, ასევე, სირთულეებსაც ძალადობის ამოცნობის კუთხით. რაც შეეხება დღის ცენტრებს, თვისებრივი კვლევიდან იკვეთება, რომ ამ ცენტრების თანამშრომლებს იშვიათად უტარდებათ ტრენინგები და შეზღუდული აქვთ პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, მაგალითად, არ მიეწოდებათ ინფორმაცია სტანდარტებისა და ბავშვზე ძალადობის რეფერირების პროცედურების შესახებ.

საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და კვლევების მიმოხილვა

გაეროს ალტერნატიული ზრუნვის სახელმძღვანელო პრინციპების (2009 წ.) მიხედვით, უმნიშვნელოვანესია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ოჯახში ბავშვის ცხოვრებას ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში და ამისთვის უზრუნველყოს ყველა შესაძლო მხარდაჭერა ოჯახისთვის (მაგალითად, აღზრდის ძალადობრივი მეთოდების პრევენცია, ფსიქოემოციური მხარდაჭერა, სააბილიტაციო და სარეაბილიტაციო მომსახურებები, დასაქმება, საცხოვრისით უზრუნველყოფა და ა.შ.). სახელმწიფო ზრუნვა მხოლოდ მაშინ ხდება საჭირო, როცა ოჯახის გაძლიერება ვერ იღებს სასურველ შედეგს და ბავშვის უფლებები ოჯახში მაინც ირღვევა. ამავე დროს, ამ დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფომ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა ხელი შეუწყოს ბიოლოგიურ გარემოში ბავშვის მაქსიმალურად სწრაფ რეინტეგრაციას ან ზრუნვის სტაბილური ფორმის უზრუნველყოფას, თუ ოჯახში რეინტეგრაცია შეუძლებელია. დოკუმენტი მიუთითებს მინდობით აღზრდისა და მსგავსი ოჯახური ზრუნვის უპირატესობაზე რეზიდენტულ ზრუნვასთან (მაგალითად, მცირე საოჯახო ტიპის სახლი) შედარებით. დოკუმენტი ხაზს უსვამს იმასაც, რომ მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, ბავშვი არ მოსწყდეს მშობლიური გარემოს (მაგალითად, ქალაქს, სოფელს, სკოლას და ა.შ.) და არ შეეცვალოს ზრუნვის მომსახურების ტიპი. უმნიშვნელოვანესია ზრუნვის სისტემაში მოხვედრილი ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო მომსახურებების, ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობის, ქცევისა და ემოციური სირთულეების მართვის მომსახურებების უზრუნველყოფა, რადგან ზრუნვის სისტემაში განთავსებული ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროებს მსგავს მომსახურებებს ძალადობრივი და ტრავმული გამოცდილების გამო.

ასევე უნდა მიექცეს ყურადღება, რომ ალტერნატიული ზრუნვის სისტემაში ბავშვებს ხელი მიუწვდებოდეთ ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაზე; მომსახურებებზე, რომლებიც მიზნად ისახავს პროფესიული ორიენტაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების განვითარებას.

საერთაშორისო გამოცდილებით, ოჯახის გაძლიერებასა და ოჯახისგან ბავშვის დაცილების პრევენციაზე ორიენტირებული მომსახურებები მრავალმხრივია და ბევრ მიმართულებას მოიცავს, როგორიცაა:

- პოზიტიური მშობლობის ხელშეწყობა;
- დღის ცენტრი, სკოლის შემდგომი მომსახურებები;
- შინ ზრუნვა/შინ მხარდაჭერა;
- მომსახურებები მშობლის მცირე ხნით დასასვენებლად/სულის მოსათქმელად;
- თერაპიული და სარეაბილიტაციო მომსახურებები ბავშვებისა და მზრუნველებისთვის;
- ბავშვების ფსიქოემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა;
- ბავშვებისთვის განათლების (ფორმალური და არაფორმალური) მიღების ხელშეწყობა;
- ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა;
- საცხოვრისის შეკეთება/აშენება/ადაპტირება/საცხოვრისით უზრუნველყოფა;
- მხარდაჭერა კრიზისის დროს;
- კომუნალური გადასახადების დაფარვა/სუბსიდირება;
- ქირის დაფარვა;
- დასაქმებისუნარიანობის გაზრდა;
- მხარდაჭერა შრომის ბაზარზე დასაქმებაში;
- მხარდაჭერა თვითდასაქმებაში;
- მხარდაჭერა ფინანსური რესურსების განკარგვის უნარების განვითარებაში.

როცა ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებაში განთავსება აუცილებელი ხდება, საერთაშორისო გამოცდილებით, რეზიდენტულ ზრუნვასთან შედარებით უპირატესობა ენიჭება მინდობით აღზრდას. იმ შემთხვევებშიც, როდესაც ბავშვს აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის, ემოციური, ანტისოციალური/დელინქვენტური ქცევის სირთულეები, საერთაშორისო კვლევები გვიჩვენებს, რომ სპეციალიზებულ მინდობით აღზრდას გაცილებით უკეთესი შედეგები აქვს ბავშვის ფსიქოემოციური და სოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით, ვიდრე რეზიდენტულ ზრუნვას. სპეციალიზებული მინდობით აღზრდის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფორმა ამ სამიზნე ჯგუფისთვის არის თერაპიული მინდობით აღზრდა. მინდობით აღზრდის ეს ფორმა გამოიყენება ფსიქიკური ჯანმრთელობის მძიმე სირთულეების მქონე ბავშვებთანაც. ამ შემთხვევაში, ბავშვი განთავსდება მინდობით აღმზრდელთან, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური ტრენინგი და იღებს მუდმივ მხარდაჭერას. შემთხვევა ბარდება კლინიკურ სოციალურ მუშაკს, რომელიც შემთხვევის მმართველია. ის ოჯახში, სულ მცირე, კვირაში ერთხელ მიდის და მხარს უჭერს ზრუნვის პროცესს. დამატებით უზრუნველყოფილია სხვა საჭირო მომსახურებები და

მხარდაჭერა ბავშვისა და მინდობით აღმზრდელისთვის. შემთხვევაზე, კლინიკურ სოციალურ მუშაკთან ერთად, მუდმივად მუშაობს ფსიქოთერაპევტი.

როცა რეზიდენტული ზრუნვა გარდაუვალია, საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის, ემოციური სირთულეების, ანტისოციალური და დელინქვენტური ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვებს ხშირად ესაჭიროებათ სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსება. ეს სახლები, შესაძლოა, იყოს გარკვეულ დონეზე დახურული ან ნახევრად დახურული. მთავარი მიზანია, ბავშვი შედარებით მოკლე პერიოდის შემდეგ გადავიდეს ზრუნვის უფრო სტაბილურ ფორმაში. შესაბამისად, ეს გარკვეულწილად ტრანზიტული მომსახურებებია. როგორც წესი, მსგავსი მომსახურება მიეწოდება 15-18 წლის ახალგაზრდებს, რომლებიც, ამავე დროს, დადიან საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სხვადასხვა მცირე საოჯახო ტიპის სახლი შეიძლება მუშაობის სხვადასხვა მოდელს იყენებდეს, მაგალითად, ოჯახის სასწავლო მოდელს (teaching family model), რომელიც სტრუქტურულ ქცევით ჩარევასა და მაღალ დონეზე მომზადებულ პერსონალს ეფუძნება. სხვა შემთხვევებში იყენებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ფსიქოთერაპიას. სახლში შეიძლება იყვნენ ძირითადი მზრუნველებიც და პერსონალიც, რომელიც იცვლება. პერსონალის ყველა წევრს აქვს გავლილი მომზადება ბავშვის ემოციური და ქცევითი სირთულეების მართვაში. კვლევები აჩვენებს, რომ, რაც უფრო ცოტა ბავშვია მომსახურებაში, მით უფრო ეფექტურია ის (მეტი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ამიტომ ბავშვები ნაკლებად აიძულებენ ერთმანეთს, ჩაერთონ ანტისოციალურ ქმედებებში). უნდა ითქვას, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის კარგად განვითარებული სტაციონარული და სათემო სერვისები უმნიშვნელოვანესია და ზემოაღნიშნული სპეციალიზებული მცირე საოჯახო ტიპის სახლები მათ ვერ ანაცვლებს.

ადგილობრივი მარეგულირებელი დოკუმენტებისა და კვლევების მიმოხილვა

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, კვლევის ინსტრუმენტებისა და ანალიზის ჩარჩოს შედგენისას დავეყრდენით „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის პროგრამას“, ისევე, როგორც „ტექნიკურ რეგლამენტს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ (არეგულირებს მიტოვების რისკის წინაშე მყოფი 6-18 წლის ბავშვების დღის ცენტრის, სააღმზრდელო დაწესებულებების და მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტებს).

ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით, ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების მხარდასაჭერად აქცენტი უნდა კეთდებოდეს ოჯახის გაძლიერებისა და ოჯახისგან ბავშვის დაცილების პრევენციის მომსახურებებზე, ისევე, როგორც ბავშვზე ძალადობის პრევენციაზე. ოჯახის გაძლიერების მომსახურებებში მოიაზრება ოჯახის მხარდაჭერა პოზიტიური მშობლობის უნარების განვითარების, მატერიალური და არამატერიალური მხარდაჭერის, მშობლის დასაქმების, დამხმარე მომსახურებების, განსაკუთრებით დღის ცენტრის, სარეაბილიტაციო მომსახურებების და ა.შ. მეშვეობით. კოდექსის მიხედვით, ოჯახისგან ბავშვის განცალკევება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება ბავშვის სიცოცხლეს,

ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას. კოდექსის მიხედვით, დაუშვებელია ასევე ოჯახისგან ბავშვის განცალკევება მხოლოდ სიღარიბის საფუძველზე.

ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით, თუ ბავშვის ოჯახისგან განცალკევება აუცილებელი ხდება, სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ბავშვის განთავსება ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებაში. კოდექსის თანახმად, ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებაში ბავშვის განთავსება უკიდურესი ზომაა და მისი უმთავრესი მიზანია, ბავშვი, რაც შეიძლება, მოკლე ვადაში დაბრუნდეს ოჯახში, ან, თუ ეს შეუძლებელია, უზრუნველყოფილ იქნეს ზრუნვის სხვა სტაბილური ფორმით (მაგალითად, შვილად აყვანა). როცა ალტერნატიულ ზრუნვის მომსახურებაში ბავშვის განთავსება აუცილებელია, მინდობით აღზრდა მიიჩნევა უპირატეს ფორმად მცირე საოჯახო ტიპის სახლთან შედარებით.

სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალური ანგარიში ეძღვნება ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგის შედეგებს, კერძოდ, ალტერნატიული ზრუნვის, მინდობით აღზრდისა და მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურებების, ასევე, რეინტეგრაციის პროგრამის ეფექტიანობას. ამ ანგარიშის მიხედვით, ირკვევა, რომ სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვების უფლებების დაცვის მხრივ არსებობს ყურადსაღები გამოწვევები. იგულისხმება ბავშვზე ძალადობის პრევენციისა და მართვის, განათლების, რეაბილიტაციის, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების, ჩართული სპეციალისტებისა და პირების კვალიფიკაციის (განსაკუთრებით, ქცევითი და ემოციური სირთულეების მართვის მიმართულებით) და, ზოგადად, ადამიანური და ფინანსური რესურსების მხრივ არსებული სირთულეები ალტერნატიულ ზრუნვის მომსახურებებში. ანგარიშში მითითებულია, რომ ნაკლებად ექცევა ყურადღება ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებას, რაც ხელს შეუწყობდა ოჯახებისგან ბავშვების დაცილების პრევენციასაც და, დაცილების აუცილებლობის შემთხვევაში, მათ რეინტეგრაციას ბიოლოგიურ ოჯახებში.

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ 2019 წელს განხორციელებული კვლევის თანახმად, რომელიც ეხებოდა რეინტეგრაციაში ჩართული ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებებს, გამოიკვეთა, რომ ზრუნვის სისტემაში მოხვედრის უმთავრესი მიზეზები იყო ძალადობა და სიღარიბე, ისევე, როგორც ბავშვის ჯანმრთელობის თუ ქცევითი/ემოციური სირთულეები, მშობლის ჯანმრთელობის პრობლემები და ა.შ. კვლევა ავლენს, რომ რეინტეგრაციის ხელშემწყობი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის ოჯახის მოტივაცია და ინიციატივა, მოხდეს ბავშვის რეინტეგრაცია, ასევე, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი ცვლილება ოჯახის ცხოვრებაში, მაგალითად, მომალადის მიერ ოჯახის დატოვება, საცხოვრებლის მოპოვება და ა.შ. იკვეთება რეინტეგრაციის განხორციელებამდე თუ განხორციელების შემდეგ ოჯახის გაძლიერებისკენ მიმართული სახელმწიფო მომსახურებების სიმწირე. რეინტეგრირებული ბავშვების უფლებები შეიძლება არ იყოს სათანადოდ დაცული პირველადი საჭიროებების (კვება, სამოსი, ჯანდაცვა – ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ქცევითი/ემოციური სირთულეების მართვისა და ა.შ. ჩათვლით), ასევე, განათლების (განსაკუთრებით, არაფორმალური განათლების) მიღების, განვითარებისა და სოციალიზაციის საჭიროებების დაკმაყოფილების მწირი

შესაძლებლობების გამო. ოჯახების უმრავლესობას არ აქვს საკუთარი საცხოვრისი და ფინანსურად უჭირს.

ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების საჭიროებების კვლევა, რომელიც „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა“ ჩაატარა (2019 წ.), ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბიოლოგიური ოჯახების 23%-ს არ აქვს ურთიერთობა სოციალურ მუშაკთან. იკვეთება ყურადსაღები სირთულეები, რაც მდგომარეობს შემდეგში: სოციალური მუშაკი ოჯახთან ინტენსიურად უნდა მუშაობდეს მისი გაძლიერების მიზნით; საჭირო მხარდამჭერი მომსახურებები ან არ არსებობს, ან წარმოდგენილია არასაკმარისი რაოდენობით (მაგალითად, მშობლობის უნარების გასაუმჯობესებელი მომსახურებები, ბიუჯეტის დაგეგმვის, საცხოვრისით უზრუნველყოფის, დასაქმების ხელშეწყობის, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის და სხვა მომსახურებები).

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ 2017 წელს განხორციელებული კვლევის მიხედვით, რომელიც ეხებოდა მინდობით აღზრდის მომსახურებიდან გასული ახალგაზრდების საჭიროებებს, იკვეთება, რომ ყოფილი აღსაზრდელების მნიშვნელოვან ნაწილს რამდენჯერმე შეუცვლია ზრუნვის ფორმა სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ყოფნის პერიოდში. ფაქტობრივად, ყოველი მეორე რესპონდენტი უმუშევარი იყო. 63%-ს ჰქონდა ფინანსური სირთულეები, 30%-ს კი შეექმნა სხვა სოციალური პრობლემები, როგორიცაა საცხოვრებლის არქონა, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის არქონა და ფსიქიკური ჯანმრთელობის შერყევა.

თვისებრივი კვლევის შედეგები

<u>მიტოვების რისკის წინაშე მყოფი 6-18 წლის ასაკის ბავშვების დღის ცენტრი</u>

დღის ცენტრის მომსახურების მიზანი და ძირითადი დანიშნულება

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მიხედვით, „დღის ცენტრის მომსახურების ქვეპროგრამა“ (რომელშიც სხვადასხვა ტიპის დღის ცენტრის მომსახურება მოიაზრება) „წარმოადგენს „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრულ ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერ ღონისძიებას, რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, მშობლობის უნარ-ჩვევების გაძლიერება, სოციალური ინკლუზია, რთული ქცევის მართვა, ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა“.

წინამდებარე კვლევის მიზანი იყო, შეგვესწავლა 6-18 წლის ასაკის მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დღის ცენტრის მომსახურების ეფექტიანობა. შესაბამისად, აქცენტს გავაკეთებთ ამ მომსახურებაზე.

დღის ცენტრის მომსახურების მიწოდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დღეს ხორციელდება სახელმწიფოდან მიღებული ვაუჩერის საფუძველზე. როგორც თვისებრივი

კვლევიდან იკვეთება, რესპონდენტების უმრავლესობა დღის ცენტრს ოჯახის გაძლიერების უფრო ფართო პროგრამის ნაწილად აღიქვამს, თუმცა, მეორე მხრივ, რესპონდენტების ნაწილისთვის, განსაკუთრებით ექსპერტებისთვის, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, თუ რამდენად ასრულებს დღის ცენტრი ოჯახის გაძლიერების უფრო ფართომასშტაბიან მისიას. სპეციალისტები თანხმდებიან, რომ მიტოვების რისკი, განსაკუთრებით მყისიერი რისკი, არ იკვეთება იმ ბავშვების უმეტესობასთან, რომლებიც აღნიშნული მომსახურებით სარგებლობენ. რესპონდენტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მთავარი რისკი, რომლის პრევენციასაც აღნიშნული მომსახურება ახდენს, არის დღის განმავლობაში ბავშვის უმეთვალყურეოდ ყოფნა, განსაკუთრებით არასასკოლო საათებში. თუ აღნიშნული რისკის შემცირებაზე დღის ცენტრის მომსახურება არ იმუშავებს, სამომავლოდ შეიძლება საფრთხე გამწვავდეს, რასაც მოჰყვება ოჯახისგან ბავშვის დაცილება.

დღის ცენტრის მომსახურების ძირითადი მიზანია ბავშვის განვითარების, განსაკუთრებით განათლების მიღების, ხელშეწყობა და მისთვის უსაფრთხო სივრცის შეთავაზება. დღის ცენტრი მეტ-ნაკლები წარმატებით ახორციელებს ფორმალური და არაფორმალური განათლების, ასევე, პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის ღონისძიებებს. მომსახურება უზრუნველყოფს კვებასაც.

> *„მხოლოდ ის კომპონენტი, რომ დღის ცენტრი ბავშვებს სთავაზობს ორჯერად კვებას, ... დიდ ფუნქციას შეასრულებს ამ ბავშვებისთვის, გარდა იმისა, რომ მას გააჩნია არაფორმალური/ფორმალური განათლების მხარდაჭერა და [ხდება] იმის პრევენცია, რომ ბავშვი ქუჩაში არ იყოს. ამიტომ მე დღის ცენტრებს მივიჩნევ ერთ-ერთ საჭირო კომპონენტად“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი*

დღის ცენტრი წარმოადგენს მხარდამჭერ მომსახურებას სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან რეინტეგრირებული ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვისაც.

> *„დღის ცენტრია რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახებისთვისაც მხარდაჭერის მომსახურება. მიტოვების რისკის დღის ცენტრში ეს ბავშვები უპირობოდ ირიცხებიან. პრიორიტეტია ეს კონტინგენტი, თუ იქ, იმ ლოკაციაზე არის დღის ცენტრი“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი*

რესპონდენტების ნაწილის აზრით, მნიშვნელოვანია, ამ მომსახურებამ ფორმა შეიცვალოს. ისინი მიიჩნევენ, რომ დღის ცენტრი არა მხოლოდ მიტოვების რისკის წინაშე მყოფ ბავშვებს, არამედ ყველა იმ ბავშვს უნდა ემსახურებოდეს, რომლებსაც სხვადასხვა სახის საფრთხე ემუქრებათ, მაგალითად, მშობლის მხრიდან უმეთვალყურეოდ დატოვება (როცა მშობელი მუშაობს, ან სხვა მიზეზით არ არის შინ და ბავშვი მარტოა). ამ მხრივ, დღის ცენტრი მშობლების/მზრუნველების დასაქმებისა და ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია:

> *„სახელს გადავარქმევდი და დავარქმევდი, უბრალოდ, დღის ცენტრს. შეიძლება სულ არ იყოს [ბავშვი] მიტოვების რისკის ქვეშ, მაგრამ მაინც დასჭირდეს დახმარება.*

მითქვამს სოციალური მუშაკებისთვის, რომ არის ოჯახში გამოწვევა მინიმუმ ის, რომ დედა დასაქმებულია და არ არის ოჯახში. დღის ცენტრი ძალიან ეხმარება ოჯახს". – ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენელი

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ დღის ცენტრმა სკოლის შემდგომი მომსახურების სახეც უნდა მიიღოს – ამისთვის, შესაძლოა, ეს მომსახურება არა მარტო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, არამედ სკოლებშიც განხორციელდეს. აქ რესპონდენტების აზრი იყოფა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად უნდა მიებას დღის ცენტრის მომსახურების კრიტერიუმები მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ქულებს. სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ დღის ცენტრის მომსახურება ოჯახის გაძლიერების მნიშვნელოვან კომპონენტად ითვლება, დღესდღეობით მას ამ მიზნის შესრულება ძალიან უჭირს, ვინაიდან დღეისათვის ამ მომსახურების ყველაზე ძლიერი მხარეა აკადემიური და არაფორმალური განათლების მხარდაჭერა და კვება. სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, მნიშვნელოვანია, ასეთი მომსახურება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც გახანგრძლივებული სერვისი. თუმცა ეს არ გამორიცხავს დღის ცენტრის არსებობას კონკრეტული სამიზნე ჯგუფებისთვის (განსაკუთრებით – მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვებისთვის) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში, რა შემთხვევაშიც მომსახურებამ ოჯახის გაძლიერების კუთხით უნდა შეძლოს ბავშვისა და ოჯახისთვის კომპლექსური მხარდაჭერის გაწევა.

„არ არის დღეს ეს მომსახურება ოჯახის გაძლიერების მომსახურება და, რადგან არ არის, სჯობს, იყოს გახანგრძლივებულში. ბავშვისთვისაც ძალიან კომფორტულია, დარჩეს იმავე ადგილას, სადაც სწავლობს, გარკვეული პერიოდი, საკვებიც ჰქონდეს და იქვე მოამზადოს გაკვეთილები. ამ ეტაპზე სხვა დანიშნულება არ აქვს, ხატვის წრე და მუსიკის წრე იქაც შეიძლება იყოს. განათლებაზეა უფრო ფოკუსირებული და უმჯობესია, განათლების სამინისტროს სსიპ იყოს. უფრო ბავშვზე იქნება ორიენტირებული, არა ვაუჩერით, არამედ სოციალურით და ყველა იმ ბავშვზე იქნება მორგებული, ვისაც ამის საჭიროება აქვს. ვიღაცისთვის შეიძლება იყოს უფასო და ვიღაცისთვის – ფასიანი. მომუშავე მშობლებისთვისაც რამხელა პრობლემაა, 12-ზე რომ ამთავრებს ბავშვი სკოლას. ეს უნდა იყოს სისტემური ხასიათის და არა [ის, რომ რომელიმე] სკოლას უნდა გახანგრძლივებული, [რომელიმეს] – არა... როგორც ოჯახის გაძლიერების ნაწილი, სხვა კონცეფციით შეიძლება ჩვენთანაც იყოს". – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი

„მიმაჩნია, რომ მთლად ძველი მოდელი არა, მაგრამ სადღაც გახანგრძლივებული რაც იყო თავის დროზე, აი, იმ მასშტაბით უნდა დაბრუნდეს სკოლაში და ამას სკოლა შეასრულებს თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, ... მნიშვნელობა არ აქვს. მაგრამ ეს იქნება ერთ-ერთი ძლიერი მხარდამჭერი პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურებებს, ნუტრიციოლოგიდან დაწყებული, ბავშვის განვითარებით დამთავრებული. შესაბამისად, მას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ არ უნდა იყოს მიბმული მხოლოდ სიღარიბის კრიტერიუმთან და რეინტეგრირებულ ბავშვებთან... ეს მომსახურებები სკოლასთან ძალიან ახლოს უნდა იყოს, თუ სკოლაში არა, ანუ ბავშვს სკოლის შემდეგ არ უნდა უწევდეს სახლში წასვლა და მერე დღის ცენტრში წასვლა, სადაც ან წავა, ან არ წავა". – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის მოსაზრებით, ამჟამად არსებული სტანდარტები დღის ცენტრებისთვის ძალიან რთული შესასრულებელია. ამიტომ მნიშვნელოვანია სტანდარტების გადახედვა, რომ ისინი უფრო რეალისტური გახდეს. სამინისტროს წარმომადგენლის ინფორმაციით, იგეგმება, ზოგადად, მომსახურებების სტანდარტების ცვლილებაზე მუშაობა, რაც დღის ცენტრის სტანდარტებსაც შეეხება. აქვე აღსანიშნავია, რომ სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, ამ მომსახურების სამომავლო განვითარების ხედვა (მაგალითად, სტრატეგია) ჩამოყალიბებული დოკუმენტის სახით დღეს სამინისტროს არ აქვს.

„სტანდარტების გადახედვა იგეგმება... სამიზნე ჯგუფზე უნდა იყოს მორგებული სტანდარტი". – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი

„[დღის ცენტრის] სტანდარტებს აქვს ძალიან დიადი მიზნები, თუმცა პრაქტიკაში ეს ცენტრები ამ მიზნებს ვერ ასრულებენ. ამიტომ მგონია, რომ სტანდარტი... [უფრო რეალური გახდეს]... არსებულ პრაქტიკასთან მიმართებაში, კვებიდან დაწყებული, განვითარებით დამთავრებული, და რომ ბავშვი ქუჩაში არ იყოს. ამიტომ არ არის საჭირო გლობალური მიზნების ჩამოყალიბება. ის, რომ დასაქმებული მშობლის შვილი დღის მეორე ნახევარს ატარებს ფორმალურ გარემოში პროფესიონალთა ზედამხედველობით, ეს სრულიად ნათელი მიზანია. ასევე... მიზნები, რაც დაკავშირებულია ფორმალურ/არაფორმალურ განათლებასთან, კვებასთან, ბავშვისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნასთან, ასეთი კონკრეტული მიზნები უნდა გაიწეროს". – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

იმისთვის, რომ დღის ცენტრის მომსახურებამ შეასრულოს ოჯახის გაძლიერების მიზანი, ექსპერტები და სპეციალისტები თვლიან, რომ საჭიროა კოორდინირებული მუშაობა ჩართულ უწყებებს შორის (დღის ცენტრის მომსახურება, ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკი, მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკი და ა.შ.). ასევე, მნიშვნელოვანია, თავად დღის ცენტრის მომსახურებაც გაძლიერდეს ფინანსურად, ინფრასტრუქტურულად, ადამიანური რესურსებისა და მრავალფეროვანი მომსახურებების თვალსაზრისით. საჭიროა, ოჯახებს

დამატებით შესთავაზონ (მუნიციპალიტეტის დონეზე) ოჯახის გაძლიერების კომპლექსური/ჰოლისტური მომსახურებები, რომლებიც მათ მრავალფეროვან საჭიროებებზე იქნება მორგებული.

> *„კარგი იქნება, როგორც „სოს ბავშვთა სოფელს“ აქვს ოჯახის გაძლიერების პროგრამა, ამის საშუალება რომ ჰქონდეთ სხვა ორგანიზაციებსაც, ამ ქვეპროგრამის დეცენტრალიზება თუ მოხდება ოდესმე და გადაეცემა ადგილობრივ ხელისუფლებას. მთავარი აქ არის თემში ოჯახის გაძლიერება. ოჯახი თუ იქნება ძლიერი, სხვა რისკები ნაკლები იქნება და, პირიქით, მშობლის უნარებზე მუშაობა იქნება, განათლება იქნება მშობლების... ძალიან მნიშვნელოვანია ამ დღის ცენტრების არსებობა. როდემდე იქნება ცენტრალიზებული, მაგას ვერ გეტყვით, თვითონ მუნიციპალიტეტებმა უნდა აიღონ თავის თავზე“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი*

> *„პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს ოჯახებთან მუშაობა. შეიძლება დღის ცენტრის მომსახურება შესთავაზონ, დღის ცენტრში დაკმაყოფილებული იყოს ბავშვის საჭიროებები და გარკვეული ინტერვენციები ხორციელებოდეს ოჯახთან, მაგრამ სახელმწიფოს ზრუნვის სააგენტო უნდა მუშაობდეს აქტიურად ოჯახებთან და მუნიციპალიტეტები უნდა მუშაობდნენ პრევენციაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბავშვის უფლებათა კოდექსი იქნა მიღებული და შევიდა მისი ძირითადი მუხლები ძალაში, მუნიციპალიტეტები აქტიურად უნდა მუშაობდნენ. კოორდინირებული მუშაობის გამოწვევებს ვაწყდებით, სამწუხაროდ, და ასევე ვაწყდებით, რომ არასაკმარისია აღნიშნული სერვისი, უფრო მეტი კოორდინაცია და ამ სერვისის გაძლიერება არის საჭირო... – იქ არის ადმინისტრაციული რესურსი, ინფრასტრუქტურული, ადამიანური, დამატებითი სერვისების შეთავაზების კუთხით და ა.შ. შესაბამისად, მართალია, უმნიშვნელოვანესია ეს სერვისი, თუმცა შემდგომ გაძლიერებას საჭიროებს“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი*

> *„დღის ცენტრმა მშობელთან ურთიერთობაში თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს, ოღონდ თავის ვიწრო ჭრილში. მან არ უნდა ჩაანაცვლოს მუნიციპალიტეტის სოციალური მუშაკის, ცენტრალური [მზრუნველობის ორგანოს] სოციალური მუშაკის ფუნქციები. თუმცა აქამდე რომ მივიდეთ, ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რომელი უწყების სოციალური მუშაკი რას აკეთებს და დამხმარე სერვისები, თავის მხრივ, რას აკეთებენ ოჯახის გაძლიერების კუთხით. მთლიანად ოჯახის გაძლიერების კომპონენტს დღის ცენტრს ვერ აჰკიდებ, მაგრამ გარკვეული როლი, თავისი ფუნქციები უნდა შეასრულოს“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი*

დღის ცენტრის სამიზნე ჯგუფი

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის პროგრამის“ მიხედვით, 6-18 წლის ასაკის მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დღის ცენტრის სამიზნე ჯგუფებია შემდეგი კატეგორიის ბავშვები:

„ა) 6-დან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვი, რომელიც:

ა.ა) არ განეკუთვნება შშმ ბავშვის კატეგორიას, რომლის ოჯახიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და დღის ცენტრის მომსახურებაში ბავშვის ჩართვის შესახებ განცხადების წარდგენის დღისთვის ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს;

ა.ბ) არ განეკუთვნება შშმ ბავშვთა კატეგორიას და რომელთა ოჯახებიც იღებენ რეინტეგრაციის შემწეობას ან იმყოფებიან ნათესაურ მინდობით აღზრდაში“.

კვლევის მონაწილეების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, დღის ცენტრის მომსახურების მომხმარებლებს შორის ყველაზე მეტად გვხვდებიან:

- ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან;
- ბავშვები ეკონომიკურად შეჭირვებული ოჯახებიდან, რომელთაც წრეებზე სიარულის სირთულე ექმნებათ სახსრების უქონლობის გამო;
- მიგრაციაში მყოფი მშობლების შვილები;
- უგულებელყოფის რისკის წინაშე მყოფი ბავშვები;
- დასაქმებული მშობლების შვილები.

„ახლა გამოვლინდა, რომ ეს კატეგორია ოჯახების [სოციალურად დაუცველების] საქმდებიან სახელმწიფო პროგრამის მიხედვით და ეს ბავშვები რჩებიან ყურადღების მიღმა 6 საათამდე და არავის არ სცალია მათთვის. ამიტომაც არის, რომ ისინი სახლში გრძნობენ თავს ჩვენთან. ჩვენთან მოდიან და ჩვენგან მიდიან ცეკვაზე ერთი საათით და შემდეგ ისევ ბრუნდებიან. ანუ ამ დროს სახლში არავინ არ ჰყავთ და ეს ოჯახის დამხმარე ალტერნატიული მომსახურებაა. ელემენტარულად, კვებისთვის მოდიან, რომ დამატებითი საკვები ჰქონდეთ. და რასაც ვერ მიირთმევენ, შემდეგ იმას ვანაწილებთ და დიდი სიხარულით მიაქვთ სახლში“. – დღის ცენტრების მენეჯერთა ფოკუსჯგუფი

„ჩემი დაკვირვებით, რაც ყველაზე მეტად ჩანს, ეს არის კვების სირთულე, სოციალურად შეჭირვებული კატეგორიის ოჯახები“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„ჩვენთანაც ბევრჯერ უთქვამს ბავშვს, აქ რომ ვჭამ, მეტჯერ არ ვჭამო. ასევე, არიან ბავშვები, რომელთა ოჯახებში მშობლებმა წერა-კითხვა არ იციან. შესაბამისად, საშინაო დავალების შესრულებაში ვერ ეხმარებიან... მერე, სავარაუდოდ, სოციალური მუშაკებისგან იგებენ [დღის ცენტრის შესახებ] და მოჰყავთ“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„ჩემი ბენეფიციარების თითოეულ ოჯახს ვიცნობ და შიგნით ვარ ნამყოფი. ძირითადად, გამოვყოფ სამს, სადაც სიღარიბე, კვება დგას მთავარ პრობლემად; ასევე, არის უგულებელყოფა“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„შეჭირვებული და მრავალშვილიანი ოჯახებიდან არიან, ძირითადი პრობლემაა კვება. რამდენიმე ძალიან ცუდ პირობებში ცხოვრობს, ფაქტობრივად, სახლში აწვიმთ წვიმის დროს“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი.

დღის ცენტრის მომსახურებაში ჩართვა

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მიხედვით, დღის ცენტრის „ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მოსარგებლეთა შერჩევაზე შესაბამის გადაწყვეტილებას სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე იღებს ზრუნვის სააგენტო“.

სოციალური მუშაკი ახორციელებს მოკლე შეფასებას (ე.წ. სკრინინგშეფასებას), რომლითაც ადგენს, რამდენად ესაჭიროება ბავშვს დღის ცენტრის მომსახურება. აღნიშნული შეფასების საფუძველზე დგება დასკვნა, რომლის მიხედვითაც მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონული საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის დღის ცენტრში ჩარიცხვის შესახებ. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო ოჯახთან მუშაობას წყვეტს, შესაბამისად, არც ინდივიდუალური განვითარების გეგმას ადგენს. შესაძლოა, ოჯახი გადაამისამართონ მუნიციპალურ სამსახურში (რადგან მას აქვს პრევენციულ შემთხვევებზე და შედარებით დაბალი რისკის მქონე ოჯახებთან მუშაობის ვალდებულება), უფასო სასადილოში, შუამდგომლობა გაუწიონ მუნიციპალურ სამსახურთან ბინის ქირის დაფარვის თაობაზე და ა.შ. თუ სკრინინგშეფასების შედეგად იკვეთება ბავშვზე ძალადობის ან უგულებელყოფის რისკი, მხოლოდ ამ შემთხვევაში გრძელდება ოჯახთან მუშაობა ზრუნვის სააგენტოს მხრიდან.

„სკრინინგის მერე ინდივიდუალურ გეგმას ახლა აღარ ვწერთ, მანამდე ვწერდით და თვეში ერთხელ ვიზიტიც კი გვევალებოდა. ახლა, ბოლო ორი წელია, ახალი ფორმების [დამტკიცების] მერე, სკრინინგის საფუძველზე ვწერთ დასკვნას, ინდივიდუალური გეგმა არ არის, მაგრამ, თუკი ჩვენ თვითონ შევაფასეთ და მას სჭირდება ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარება და გადამისამართება, ვამისამართებთ და... აგრძელებენ ისინი ოჯახის გაძლიერების მიზნით მუშაობას“. – სოციალური მუშაკების ფოკუსჯგუფი

„თუკი ძალადობის რაიმე ნიშნებია, ვახორციელებთ შეფასებას და ვადგენთ ინდივიდუალურ გეგმას, შეიძლება, სამი თვით ან ექვსი თვით გაიწეროს და ვიზიტებიც დაგვევალოს“. – სოციალური მუშაკების ფოკუსჯგუფი

„ვიზიტზე რომ მივდივართ და ვაფასებთ, კრიზისულში ვრთავთ უმეტესწილად. სხვა არ ვიცი, მაგრამ მე ყოველთვის ვრთავ კრიზისულში. განსაკუთრებით, თუ ჰყავთ ოჯახში ჩვილი, ხელოვნური კვების პროგრამაში ვრთავთ, ანუ ყოველთვის ამ სერვისს ვაწვდით“. – სოციალური მუშაკების ფოკუსჯგუფი

როცა დღის ცენტრის მომსახურების მიღებიდან ერთი წელი შესრულდება, სოციალური მუშაკი მიდის ოჯახში, კვლავ ადგენს დღის ცენტრის მომსახურების საჭიროებას

სკრინინგშეფასების მეშვეობით და აღნიშნული დასკვნის საფუძველზე ოჯახს უგრძელდება ან უწყდება დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობა.

დაფინანსების და პროცედურული სირთულეები

დღის ცენტრის მომსახურების მიმწოდებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ არსებული ვაუჩერული დაფინანსების ოდენობა სრულიად არასაკმარისია დღის ცენტრის მომსახურების მინიმალური სტანდარტით მისაწოდებლად. ისინი აღნიშნავენ, რომ უმეტესობას ჰყავს სხვა დამფინანსებლები (მაგალითად, მუნიციპალიტეტი, კერძო ბიზნესი, ადგილობრივი ან საერთაშორისო დონორები), რომელთა გარეშეც ისინი დღის ცენტრის მომსახურების მიწოდებას ვერ შეძლებდნენ. ამ კუთხით სირთულეები განსაკუთრებით გამძაფრდა ინფლაციისა და ეკონომიკური ფონის გაუარესების შედეგად. აღნიშნული გარემოება უარყოფით გავლენას ახდენს მიწოდებული მომსახურების ხარისხსა და მრავალფეროვნებაზე, ასევე, კადრების რაოდენობაზე, შემადგენლობასა და პროფესიონალიზმის ხარისხზე. განსაკუთრებით დიდ პრობლემად სახელდება დღის ცენტრების მხრიდან ადგილების არსებული ლიმიტის არასრულად შევსება, როცა ისინი ფლობენ ინფორმაციას, რომ მშობლებს დაწერილი აქვთ განცხადება, ბავშვები დგანან მომლოდინეთა რიგში, დღის ცენტრს აქვს ვაკანტური ადგილები, თუმცა ბავშვები გაურკვეველი მიზეზით არ ირიცხებიან ამ ინსტიტუციაში. ამ გაურკვევლობას განსაკუთრებით ამძაფრებს ის, რომ კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში არ არის რეგისტრირებული სერვისის მიმწოდებელი სხვა ორგანიზაცია.

> *„რომ არა მუნიციპალიტეტის დახმარება, ცენტრი, დიდი ხანია, აღარ იარსებებდა“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„მე ძალიან მერიდება ეთიკურად, მაგრამ დგას დაფინანსების ამბავი. ჩვენ დავიწყეთ მუშაობა ამაზე, იმიტომ რომ დადგა ამის საჭიროება, რომ გვყავდეს ჩვენი სოციალური მუშაკი. ძალიან გვჭირდება ზედმეტი თანხების მოძიება და ასევე ძალიან გვჭირდება, რომ გვყავდეს ქცევის თერაპევტი. და აუცილებელია, გადავამზადოთ კადრები“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი*

> *„ექთანი არ გვყავს. მნიშვნელოვანია, გვყავდეს, იმიტომ, რომ ტკივილებით ხშირად მოგვმართავენ ბავშვები. ამიტომ ამ დროს მათ სჭირდებათ კომპეტენტური ადამიანი, ვინც დაეხმარება მათ“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი*

> *„რასაც ვაკეთებთ, და ალბათ ამას ყველა დღის ცენტრი ახერხებს, ეს არის კვებითი კომპონენტი, ჰიგიენა, ჯანმრთელობის დაცვა და ა.შ. ... სერვისების მრავალფეროვნება და, აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური მიდგომა, ისე სრულყოფილად და ხარისხიანად, როგორც უნდა იყოს, არ არის, ვერ, უფრო სწორად. რეგისტრაციით ჩვენ უნდა გვყავდეს 30 ბავშვი, თუმცა, ბოლო ერთი წელია, არ გვყავს 30 ბავშვი. ამჟამადაც 28 ბავშვი გვყავს. უამრავი ბავშვია რიგში, 1000 მიზეზს იმიზეზებენ. მშობლები ჩვენთან მოდიან და ჩვენ რა შეგვიძლია? არის შემთხვევები, რომ გვეცოდება, ბავშვი ქუჩაში არ*

დარჩეს, ვიღებთ, ვატარებთ რამდენიმე თვე. ზოგი დედმამიშვილია და არ რიცხავენ. ვერ გეტყვით, რა ხდება. მშობლები, რომლებსაც დაწერილი აქვთ განცხადება, არ იღებენ ვაუჩერს. ისინი დადიან სააგენტოში, ადგილობრივში, და ვერაფერს ვერ არკვევენ. ძალიან ბევრი ბავშვია, ვინც არის მომლოდინეთა სიაში, და, როგორც გვეუბნება ადგილობრივი განყოფილება, ეს არ არის მათზე დამოკიდებული. ცენტრალურმა უნდა მისცეს პასუხი". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

არსებული დაფინანსებით განსაკუთრებით რთულია დღის ცენტრში მრავალფეროვანი და ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებების უზრუნველყოფა, როცა საქმე ეხება შედარებით უფროსი ასაკის ბავშვებს. ეს დღის ცენტრიდან ბავშვების ნებაყოფლობით წასვლის მიზეზიც ხდება. დღის ცენტრების ნაწილში ფუნქციონირებს წრეები, შესაძლოა, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებიც მუშაობდნენ, თუმცა შეუძლებელია აღნიშნული მომსახურებების სტაბილურად მიწოდება ადეკვატური დაფინანსების გარეშე.

„ბავშვების დასწრებას რაც ეხება, ეს სირთულე არის ჩვენთანაც. კიდევ ადრე მეტი სერვისების შეთავაზების საშუალება გვქონდა, რაც შესაძლებელს ხდიდა, მოგვერგო ისინი ბავშვის ინტერესებს, ახლა კი სპეციალისტი, რომელიც მუშაობს, მაქსიმალურად ცდილობს, ყოველდღიურად გაახალისოს ეს პროცესი, რომ ბავშვებისთვის საინტერესო გახდეს, მაგრამ რაღაც ეტაპზე ეს რესურსიც ამოწურვადია და საჭიროა დამატებითი აქტივობა, დამატებითი სპეციალისტი, რისი საშუალებაც აღარ არის. მაგალითად, სტანდარტში გაწერილია ინდივიდუალური მიდგომა და ყველა მიმწოდებელი ცდილობს, ეს გააკეთოს, მაგრამ, ფინანსებიდან გამომდინარე, ძალიან რთულია. და ვხედავთ, რომ ბავშვებს რეალურად სჭირდებათ ეს მომსახურება, ჩართულნიც არიან, თუმცა არ დადიან, ან დადიან და რაღაც პერიოდის მერე მშობლებს აიძულებენ, რომ დაწერონ განცხადება და ამოირიცხონ. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სირთულე. ეს განსაკუთრებულად პრობლემური ხდება მოზარდ ასაკში. სანამ პატარები არიან, უფრო მარტივია აქტივობის მორგება და, როცა იწყებენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, შემდეგ უარს ამბობენ". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

ზემოხსენებული პრობლემები არ აძლევს საშუალებას დღის ცენტრებს, გარკვეულ პერიოდზე გათვლით წინასწარ დაგეგმონ ბიუჯეტი; შესაბამისად, სტაბილურად დაიქირაონ და შეინარჩუნონ პროფესიონალი კადრები. ასევე, გაურკვეველია, როდის იღებენ დღის ცენტრები ვაუჩერულ დაფინანსებას (თვის რომელ რიცხვში). ეს ვადა/თარიღი არ არის სტაბილური და შესაბამისად, ხელს უშლის მათ ხელფასების გაცემასა და სხვა ხარჯების დროულად გაღებაში. გარდა ამისა, დასვენების დღეებში და არდადეგებზე დღის ცენტრები ოფიციალურად ისვენებენ და ვერც ამ პერიოდის ვაუჩერულ დაფინანსებას იღებენ.

„ძალიან მიჭირს, ამ ჩამოთვლილი პრობლემებიდან გამომდინარე. წინასწარ ბიუჯეტის განსაზღვრა და დაგეგმვა არ შემიძლია. ახლა ბოლო პრობლემა რაც ახსენეს, ჩარიცხვებზე. ხალხს, თვეებია, დაწერილი აქვთ განცხადება და არ აძლევენ ვაუჩერებს.

ზოგს ძალიან დიდი ხანი უწევს რიგში დგომა და ზოგს უცებ მისცემენ ხოლმე. შესაბამისად, მე რაც ლიმიტი გამაჩნია, შეიძლება მყავდეს [ბავშვი], მაგრამ შემდეგ შუა წელში აღარ მყავდეს. და აღმოჩნდება, რომ პრობლემა მაქვს ბიუჯეტში. რადგან ბიუჯეტში არის ასეთი პრობლემა, არ შემიძლია, შტატებში დავიმატო ისეთი პროფესიონალი, რომელიც ნამდვილად დაეხმარებოდა ბავშვსა და ოჯახს. ანუ შტატების სიმცირე გვაქვს. მანამდე აღვნიშნე, რომ კეთილი ადამიანები გვეხმარებიან-მეთქი. კი, გადასარევია, მაგრამ მუდმივად ასე ხომ ვერ იქნება? ანუ გაგიმართლა რაღაც მომენტში. განსაკუთრებით, როდესაც ცენტრში გყავს მოზარდი ასაკის ბავშვები, როგორ შეიძლება ცენტრში არ მუშაობდეს სოციალური მუშაკი? ფსიქოლოგი? და ვდგავართ ახლა ყველანი, ანუ პედაგოგები, და ჩვენ ვითავსებთ ამ ყველაფერს". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ამ ყველაფრის გარდა, ვერ გავიგეთ, როდის ვიღებთ ხელფასს (ანუ ვაუჩერით განსაზღვრულ თანხას). ხომ ისედაც დაგვიანებით ვიღებთ, ეგ ხომ საერთოდ... ყოველთვის გაურკვეველი სიტუაცია გვაქვს, როდის უნდა ავიღოთ ხელფასი". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი.

„თან ჩვენ 10-მდე უნდა წარვადგინოთ დასწრება. ეს დასწრება თუ ერთი დღე გადაცილდა, ჯარიმებია. ახლა 20-ში უნდა ჩარიცხულიყო და გადაიწია, ანუ არასდროს არ იცი, როდის ჩაგერიცხება თანხა. ანუ არასდროს არ გვაქვს ჩვენ სტაბილური ბიუჯეტი. ან საიდან გვექნება? შესაბამისად, წინასწარ ვერაფერს ვერ დაგეგმავ, წინასწარ ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. თვეში ხან 30 დღეა, ხან 31, მერე არდადეგებია, აგერ საშობაო არდადეგები იყო, სულ არ მინდოდა ეს არდადეგები, მაგრამ ოფიციალურად რომ დაუწესეს დასვენება [ბავშვს], აღარ მოვიდა. ეს ყველაფერი ერთმანეთს ემატება და ჩვენ არასდროს არ გვაქვს სტაბილური ბიუჯეტი, რომ რაღაც დაგეგმო". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

გარდა ფინანსების არარსებობისა, რომლებიც საშუალებას მისცემდა დღის ცენტრებს, დაექირავებინათ პროფესიონალი კადრები, განსაკუთრებით, ფსიქოლოგები, რეგიონებში ასევე დგას პროფესიონალი კადრების ნაკლებობის პრობლემაც. თუმცა, ფინანსების არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა, დღის ცენტრებმა კადრის სხვა რეგიონებიდან მოწვევა შეძლონ.

„სამწუხარო რეალობაა, რომ არ გვყავს ფსიქოლოგები. კადრიც არ არის მუნიციპალიტეტში, რაც ძალიან გვიშლის ხელს. რომ იყოს დაფინანსება, შევძლებდით მოწვევას. მაგრამ მარტო ვართ ამ ყველაფერში". – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

დაფინანსების და კადრების დაქირავებისა და შენარჩუნების სირთულეებიდან გამომდინარე, დღის ცენტრების ნაწილი აქტიურად იყენებს მოხალისეების დახმარებას მომსახურებების მიწოდების პროცესში, თუმცა აღნიშნული კომპონენტი არ არის სტაბილური და გრძელვადიან პერსპექტივაში მისი მეშვეობით მომსახურებების მრავალფეროვნების შენარჩუნება რთულია.

„პრობლემაა დაფინანსების დაბალი მაჩვენებელი. საჭიროებამ გვაჩვენა, რომ ბევრი კადრი გვჭირდება, მოხალისეების ხარჯზე ვავითარებთ და ვმუშაობთ. სკოლის საგნების გარდა, მომსახურების მომხმარებლები ითხოვენ ხელოვნებას, მუსიკას, თერაპიას“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

სერიოზული სირთულე, რომელსაც, არასაკმარისი ფინანსებიდან გამომდინარე, დღის ცენტრები გამოყოფენ, არის მასწავლებლებისა და, ზოგადად, თანამშრომლების გადინების მაღალი მაჩვენებელი. ასევე, ისინი აღნიშნავენ, რომ პრობლემას ქმნის არა მარტო ვაუჩერის თანხის სიმცირე, არამედ მრავალი პროცედურული სირთულეც. მაგალითად, მკაცრად ითვლება მიწოდებული მომსახურების საათების ოდენობა. ბავშვებმა, შესაძლოა, მოთხოვნილი მინიმალური 3 საათი სრულად ვერ გაატარონ დღის ცენტრში სხვადასხვა მიზეზით (უფროსკლასელების შემთხვევაში, სკოლაში გაკვეთილების გვიან დამთავრების, რომელიმე წრეზე სიარულის, სკოლის აქტივობებში მონაწილეობის გამო). ამ შემთხვევაში, დღის ცენტრს იმ დღის მომსახურება არ უნაზღაურდება. საყურადღებო პრობლემაა ისიც, რომ ბავშვებს, შესაძლოა, ადრე მოუწიოთ დღის ცენტრიდან წასვლა, რათა შეძლონ შინ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მისვლა (რეგიონის შემთხვევაში), ვინაიდან დღის ცენტრები, როგორც წესი, ტრანსპორტირებას არ უზრუნველყოფენ:

„ხშირად პედაგოგთა გადინებაც გამოწვეულია ამ დაბალი ანაზღაურების გამო. მით უმეტეს, დღეს, როდესაც პედაგოგის ხელფასი გაცილებით მეტია. ასევე, მათ ურჩევნიათ, რეპეტიტორებად იმუშაონ. ძნელია, მოიძიო კადრი და ჩვენ ამ პრობლემასთან გამკლავება გვიწევს. ჩვენთანაც არის ის მომენტი, რომ ბავშვი მოდის, შემდეგ უწევს გასვლა და ის დღე არ გვეთვლება, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტი გვიდგას გვერდში; თუმცა ისიც სასწაულებს ვერ იზამს. შესაბამისად, ამ დაბალი ანაზღაურების გამო დღის ცენტრიდან ხდება პედაგოგების გადინება“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„გამოწვევები ძალიან ბევრია. ჩემი აზრით, მოსაწესრიგებელია სამუშაო რეჟიმის დრო. ჯერ 4-საათიანი იყო და მერე გადავედით სამზე. მაგრამ ისე გამოდის, რომ ჩვენ ჩვენს სერვისს მაღალი კლასის ბავშვებს ვერ შევთავაზებთ, იმიტომ, რომ 9:30-ზე თუ 10:00-ზე იწყება სკოლა და გამოდიან გვიან. შემდეგ, სამ საათს თუ ერთი წუთიც მიაკლდა, იმ დღის მომსახურება უქმდება. ამიტომ ამ საკითხს უნდა განხილვა. თუ ბავშვს დაუწესებ აქედან აქამდე, არ გამოდის, იმდენი გაცდენა მაქვს ამ კუთხით, რომ ჩემი ბიუჯეტი ამას ვერ აიტანს“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ბავშვი სკოლიდან გამოდის სამი საათისთვის, შემდეგ რაღაც დრო სჭირდება გზაში აქ მოსასვლელად, შემდეგ წასვლა უნდა წრეზე, რაღაცაზე, ის დრო არ გვეთვლება ჩვენ... მერე ხანდახან სკოლის ღონისძიებებია, იქიდან არ უშვებენ, ან ზეიმებია. შესაბამისად, მე რა უნდა ვქნა. შესაბამისად, თუ დააგვიანა, ან ადრე წავიდა, ის დღე მე არ მეთვლება“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩვენ ირგვლივ იმდენი სკოლა დაინგრა, ამ სკოლების სხვა სკოლებთან შეერთებამ კიდევ უფრო დაძაბა სიტუაცია იმ მხრივ, რომ სამი საათი კიდევ უფრო არ უსრულდებათ ბავშვებს, რადგან ზოგს სკოლა 12-ზე ეწყება, ზოგს – პირველზე, ან ბავშვებს ავტობუსები აკითხავენ სკოლაში წასაყვანად, ანუ კიდევ უფრო დაშორდნენ დღის ცენტრის არეს. ამიტომ კიდევ უფრო რთულდება სამსაათიანი გრაფიკის დაცვა“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი.

იმ დღის ცენტრებისთვის, რომლებიც სკოლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს, აღნიშნული პრობლემა ნაკლებად დგას. ბავშვებს უადვილდებათ დღის ცენტრში მისვლა, რადგან ის სკოლის ტერიტორიაზე აქვთ. ასევე, თუ მათ აქვთ სხვა აქტივობები (სპორტული, ხელოვნების წრეები და ა.შ.) სკოლის გაკვეთილების შემდეგ, ისინიც, ძირითადად, სკოლის ტერიტორიაზეა. გარდა ამისა, სკოლის ბაზაზე განთავსებული დღის ცენტრებისთვის მოხალისეობის კომპონენტიც უკეთ მუშაობს, რადგან სკოლის უფროსკლასელები ერთვებიან მოხალისეობრივ საქმიანობაში დღის ცენტრის ბავშვებთან:

„რაც შეეხება მეორე ცვლის ბავშვებს, ჩემთან ეს პრობლემა არ დგას, რადგან მე ვიმყოფები სკოლის შენობაში. ეს არის მომგებიანი სიტუაცია. სკოლის შენობის ერთი ფლიგელი გვაქვს. ამ შენობაში ორი უშველებელი სკოლაა განთავსებული და ჩვენ გარშემო კიდევ სკოლებია. ასე რომ, ჩემი ბენეფიციარები, ძირითადად, აქვე, ახლოს მყავს. ამასთანავე, თუ წრეზეა გასასვლელი, ის გადის ოთახიდან ამავე შენობაში, შედის წრეზე და ბრუნდება რაღაც პერიოდის შემდეგ უკან. ამიტომ ეს პრობლემა ამ კუთხით მოგვარებული მაქვს. კიდევ, ვინაიდან მწირია დაფინანსება და ბევრ სპეციალისტს ვერ ავიყვან, მე მყავს მოხალისეები. ამაში ისევ ძალიან მეხმარება სკოლა. აქ არიან უფროსკლასელები, მათთვის ცნობილია, აქ რაც ხდება და გარკვეულ დღეებში გვაქვს სპორტის გაკვეთილები, ცეკვის დღეები. კულინარია ისწავლება ერთ-ერთ სკოლაში და, იქ რასაც სწავლობენ, შემდეგ ჩვენს ბავშვებს ასწავლიან. ანუ მოხალისეობა მეხმარება ფინანსების არქონის პირობებში“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

ბავშვების მიერ დღის ცენტრში გატარებული საათებისა და დასწრების საკითხებს, ასევე, მიწოდებულ მომსახურებებს შეისწავლის ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველო და, დარღვევების/გადაცდომების არსებობის შემთხვევაში, დღის ცენტრის მიმწოდებელი ორგანიზაციის მიმართ, შესაძლოა, გამოიყენოს სანქციები.

„ჩვენ, როგორც დღის ცენტრების მაკონტროლებელი ორგანო, სისტემურად ვამოწმებთ მომსახურების მიმწოდებელს ადგილზე, რამდენად კეთილსინდისიერად აწვდის სერვისს კონკრეტულ ბენეფიციარებს. მათ აქვთ შესაბამისი პორტალი, სადაც ყოველდღიურ რეჟიმშია აღრიცხვიანობა იმ ბენეფიციარებისა, რომლებიც კონკრეტულ დღეს მივიდნენ, და, ასევე, საათობრივი აღრიცხვა, რამდენი ხანი იმყოფებოდა ბავშვი თუ მოზარდი დაწესებულებაში. თუ ბავშვი დილიდან იმყოფება დღის ცენტრში, უნდა მოხდეს ამ ბავშვის რეგისტრაცია და შემდგომ [იყოს] სამკომპონენტიანი სადილი. იქ უნდა იყოს მენიუ და... თვალსაჩინო ადგილას – დღის განრიგი და ჰიგიენაზე ზრუნვა,

აქტივობების დაგეგმვა. დავუშვათ, რომ მივალ და ვკითხავ, მე უნდა მქონდეს ინფორმაცია, იმ დღეს ეს ბავშვები რას აკეთებენ. ფინანსური ნაწილის დადარებაც (შემოწმება) ხდება, დგება შემოწმების აქტი. მოგვაქვს ეს ინფორმაცია, ხდება ადგილზე დამუშავება. ხარვეზების შემთხვევაში, ხდება მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის მიმართ სანქციის გამოყენება და ა.შ.“ – ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი

დღის ცენტრების მომსახურების მიმწოდებლები მიუთითებენ ისეთ სიტუაციებზე, რომლებიც, მათი აზრით, საპატიოდ უნდა ითვლებოდეს და, ამ შემთხვევაში, გაცდენის დროს დღის ცენტრს მომსახურება მაინც უნდა უნაზღაურდებოდეს (მაგალითად, ბავშვის ავადმყოფობა, სასკოლო აქტივობაში მონაწილეობა და ა.შ.).

„ბავშვი რომ ოპერაციას გაიკეთებს, ან როდესაც რაიმე სერიოზული მიზეზი არსებობს, იქნებ ჩაიდოს, რომ, თუ წარადგენს ცნობას... ანუ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ამას ვერ დაარქმევ გაცდენას, ეს არის გადაუდებელი შემთხვევა. ჰოდა, იქნებ ასეთი შემთხვევები სადღაც ჩაიდოს. ანუ დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, გარკვეული შემთხვევები უნდა ჩაითვალოს საპატიოდ“ – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

დაფინანსებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეა მატერიალური ბაზის განახლება. დღის ცენტრებს არსებული მწირი ბიუჯეტით უჭირთ თვალსაჩინოებებისა და საჭირო ინვენტარის შესყიდვა.

„კიდევ რომ მოგვეთხოვება მატერიალურ ბაზასთან/თვალსაჩინოებებთან მიმართებით, პერიოდულად ვახერხებთ და ვაახლებთ, თვალსაჩინოებებს ვყიდულობთ, თუმცა, რომ იყვნენ მონიტორინგზე, უფრო მეტს ითხოვდნენ. და ეს ჩვენთვის რთულია არსებული დაფინანსების პირობებში. თუმცა ძალიან ბევრ რამეს ჩვენ თვითონ ვაკეთებთ, [მაგალითად,] თოჯინების თეატრს, ახლა რომ ჩამოვთვალო... მაგრამ მაინც ითხოვენ“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

აღსანიშნავია, რომ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მიხედვით, დღის ცენტრის ვაუჩერული დაფინანსება, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა, თუმცა, სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლის თქმით, ეს თანხა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დღის ცენტრმა მასზე დაკისრებული მინიმალური სტანდარტების შესრულება შეძლოს. მათი აზრით, გამოსავალი დამატებითი დაფინანსების მოპოვებაა, მათ შორის, მუნიციპალიტეტიდან და დონორებისგან, რაც, ხშირ შემთხვევაში, დღის ცენტრებისთვის რთულ ამოცანას წარმოადგენს:

„ახალი დადგენილებით, დღის ცენტრებს გაეზარდათ თანხა, დადგენილებაში გაიწერება და ჩვენ ვხელმძღვანელობთ ამ ტარიფებით“. – ზრუნვის სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის დეპარტამენტი

„ეს ვაუჩერი მართლა მწირია და ზოგიერთი ორგანიზაცია მარტო ამ ვაუჩერზეა დამოკიდებული, თუმცა რახან აიპია, იურიდიული პირი, და დაფუძნებულია, როგორც აიპი, მას უნდა შესწევდეს უნარი დონორების მოძიების და ფინანსური გაძლიერების. თანადაფინანსებაზეა და ის თორმეტი ლარი მართლა მიზერულია. ჩვენ როცა მივდივართ, გვესმის, რომ აქცენტები კეთდება ბიუჯეტზე, ფინანსებზე და სტანდარტს რომ ვერ აკმაყოფილებს ამის გამო. პირველი არის ის, რომ კომუნალურებია დასაფარი, გაძვირდა, მესმის, ცხოვრებაც გაძვირდა. ჩვენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ორ-ორი ლარით ყოველ წელს ვუმატებთ, მაგრამ ეს ხელშეწყობა ისეთია, გესმით, ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა მნიშვნელოვანია“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

დღის ცენტრის ფარგლებში გაწეული ძირითადი მომსახურებები: სპეციალისტების მოსაზრებები

სახელმწიფო პროგრამის მიხედვით, დღის ცენტრის მომსახურებებში შედის შემდეგი ღონისძიებები:

„ა) ყოველდღიური (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 6-საათიანი მომსახურება. ბენეფიციარებისათვის ცენტრში გატარებული მინიმალური დრო არ უნდა იყოს 3 საათზე ნაკლები. 6 საათამდე მომსახურებისას უნდა მოხდეს ბენეფიციართა უზრუნველყოფა ორჯერადი ჯანსაღი კვებით, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა იყოს სამკომპონენტიანი სადილი, ხოლო 3 საათამდე მომსახურებისას – ერთჯერადი სამკომპონენტიანი სადილით;

ბ) ასაკის გათვალისწინებით, ბენეფიციართა საჭიროებების (შემეცნებითი, ემოციური და ფიზიკური) გამოვლენა და მათი დაკმაყოფილება;

გ) ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;

დ) ბენეფიციარების კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფა;

ე) საჭიროების შემთხვევაში – პირველადი გადაუდებელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზება;

ვ) ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში, ბავშვთა მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ბავშვის მიერ ნებაყოფლობით და უანგაროდ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებას“.

დღის ცენტრები, ძირითადად, უზრუნველყოფენ მომსახურებებს აკადემიური (უცხო (ინგლისური) ენა, ფიზიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და სხვა საგნები) და არაფორმალური განათლების (ცეკვა, სიმღერა, ხატვა, დოლზე დაკვრა, თეატრი, მინანქარზე მუშაობა, ხეზე კვეთა, კულინარია და სხვ.) მიმართულებით. დღის ცენტრები ასევე აღნიშნავენ, რომ ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო, შესაძლოა, ვერ დაიქირაონ რომელიმე საგნის

მასწავლებელი, რომელიც ესაჭიროებათ ბავშვებს, ან ამგვარ სურვილს გამოხატავენ. რამდენიმე დღის ცენტრში მუშაობენ სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, მეტყველების თერაპევტი და სხვა სპეციალისტები. შესაბამისად, ამ სპეციალისტების მომსახურებაც მიეწოდებათ ბავშვებს, იშვიათად, მშობლებს, თუმცა აღნიშნული დღის ცენტრების რაოდენობა ძალიან მცირეა. დღის ცენტრების მცირე ნაწილი ახერხებს, ორგანიზება გაუწიოს გასვლით ღონისძიებებსა და ექსკურსიებს მომსახურების მიმღები ბავშვებისთვის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურებათა ნაწილი, განსაკუთრებით რეგიონებში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბენეფიციართა საჭიროებების ადვოკატირების კუთხითაც.

„ჩვენ ემპირიული გამოცდილება გვაქვს და ჩვენმა მონიტორინგის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ რაიონებში ეს დღის ცენტრი არის სასიცოცხლო მნიშვნელობის. რაიონებში დღის ცენტრები ამ ბავშვებისთვის ახორციელებენ ადვოკატირებას, ადვოკატირებას უწევენ თითოეულ ბავშვს. ამის მაგალითი ძალიან ბევრი გვაქვს და [ეს] ძალიან კარგად მუშაობს“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

„მათემატიკის სამი პედაგოგი გვყავს, ინგლისურის პედაგოგი, ფიზიკის, ქართულის, რუსულის. ეს – აკადემიურ ნაწილში. არაფორმალური – ცეკვა, სიმღერა, ხატვა, დოლზე დაკვრა, თეატრი, მინანქრის სტუდია გვაქვს, ხეზე კვეთა, ჭედურობა. ცოტა ჩვენც ფინანსებში კრიზისი გვაქვს და ფსიქოლოგი არ გვყავს. სამი ფსიქოლოგი გვყავდა და, ერთი წელია, ფსიქოლოგის გარეშე ვართ. ძალიან გვიჭირს ეს საკითხი“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„ორი ფსიქოლოგი გვყავს, ასაკობრივად განაწილებულია ჯგუფები. ასევე, გვყავს დაწყებითების მასწავლებელი, მათემატიკის და ინგლისურის. არაფორმალურს რაც შეეხება, ვარ მარტო, სამივე ჯგუფი არის ჩემთან. არაფორმალურში ყველაფერი ერთად არის გაერთიანებული“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„კარგი ის არის, რომ ჩვენი რამდენიმე ბავშვი დადის კულინარიულ კურსზე, ჩვენთან ტარდება აქტივობები, ეზოც გვაქვს, სტადიონიც გვაქვს. რა თქმა უნდა, მოდის ის სეზონი, რომ სულ გარეთ უნდათ ყოფნა. უკვე აღვნიშნე და კიდევ ვიტყვი, რომ ბავშვებს ესაჭიროებათ ფსიქოლოგი. ეს ბავშვები დათრგუნულები და დაკომპლექსებულები არიან და ვფიქრობ, რომ აუცილებელია, მით უმეტეს, გარდატეხის ასაკში; 100%-ით ესაჭიროებათ ფსიქოლოგი“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„მყავს პედაგოგი, რომელიც არის ხელოვნების მუშაკი. მასთან ერთად შევქმენით საბავშვო თეატრი. გასვლითი ღონისძიებებიც გვქონდა. დავდგით სპექტაკლები, რომლებიც ვაჩვენეთ რაიონის კულტურის ცენტრში და სკოლებში. ეს უდიდესი მიღწევაა და ნიშაა ერთგვარი ჩვენი. წლიდან წლამდე ვცდილობთ, სიახლეები შევთავაზოთ ბავშვებს, რათა დავაინტერესოთ ისინი. მოვიყვანეთ კიდევ ევროპული ცეკვების მასწავლებელი, ერთი პერიოდი მუსიკის პედაგოგიც გვყავდა, თუმცა იმდენად მცირეა ბიუჯეტი, რა იქნება, არ ვიცი“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„უკვე რამდენიმე წელია, შეძლებისდაგვარად, ვცდილობთ, რომ ვატაროთ ბავშვები ექსკურსიებზეც. ასევე, ჩვენი ხელგარჯილობის პედაგოგი კვირაში ერთხელ ატარებს ხოლმე კულინარიის გაკვეთილს, როგორც გოგონებისთვის, ისე ბიჭებისთვის. მადლობლები არიან მშობლებიც და ყველანი. მეტჯერ ეს გაკვეთილი ვერ ტარდება და ყველა გულდასმით არის ჩართული. ხშირად არა, ეპიზოდურად ჩვენი ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი მშობლებისთვის ატარებენ ტრენინგებს. ასევე, ეს ჩვენი პატარა გუნდი ცდილობს, სიახლეები შესთავაზოს ბავშვებს ტრენინგის სახით და მშობლებსაც. წელს კიდევ რამდენიმე თვე გვყავდა ხატვის პედაგოგი, რომელიც დაეხმარა ბავშვებს ნახატების შესრულებაში და იყო 11 ნახატი, რომლებიც შემდეგ ლუვრში გამოიფინა გამოფენის სახით. ბავშვები იყვნენ ძალიან აღფრთოვანებული". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მშობლებს... თუ შვილთან ექმნებათ გარკვეული პრობლემები, ისინი გვირეკავენ და ჩვენ ვეხმარებით ამ პრობლემის დარეგულირებაში. ფსიქოლოგი, პედაგოგი, სოციალური მუშაკი ერთობლივად ვმუშაობთ. ვთავაზობთ როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებას და კვებას... წინა წლებში... ჩვენ ძალიან ბევრ სერვისს წრეების სახით ვთავაზობდით ბავშვებს, დღეისათვის, სამწუხაროდ, მხოლოდ ხელგარჯილობის პედაგოგი გვყავს, ფსიქოლოგი და მე – პედაგოგი. აი, ეს სამი ადამიანი ვართ მთელი დღის განმავლობაში. ალბათ ვიცით, რა არის ამ ყველაფრის მიზეზი". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„როდესაც ვერთვებით ზრუნვის სფეროში, ვცდილობთ, რომ შევქმნათ ისეთი გარემო, რომელიც დააკმაყოფილებს ბენეფიციარის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მე მაინც გამოვყოფ განათლებას და ალბათ ვერ ვაწოდებთ ბოლომდე ხარისხიანად, იქიდან გამომდინარე, რომ არ გვყავს მათემატიკის პედაგოგი, და რიგი პედაგოგები, რაც ძალიან კარგი იქნებოდა. ასაკის შესაბამისად უნდა გვქონდეს შესაძლებლობა, რომ განმავითარებელი აქტივობები დავგეგმოთ, რაც მოითხოვს მატერიალური რესურსის ქონას". – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

დღის ცენტრების წარმომადგენელთა თქმით, მათ ადრე შეეძლოთ, საზაფხულო არდადეგებზე ბავშვების ჯგუფურად გაყვანა დასასვენებლად, თუმცა ამჟამად ფინანსების ნაკლებობის გამო, რამდენიმე გამონაკლისის გარდა (ცენტრები მუნიციპალური დაფინანსებით), ამას ვეღარ ახორციელებენ:

„ჩვენი ბიუჯეტი არ არის ისე დაგეგმილი, რომ ჩვენ საზაფხულო არადადეგები ერთად გავატაროთ. ადრე გვქონდა პროექტები, რომლებიც გულისხმობდა საბანაკე დასვენებებს აგვისტოში, მაგრამ ახლა ეს პროექტი არ ხორციელდება. ამიტომ იმ ბავშვებს, რომლებსაც ზაფხულში არსად წასასვლელი არ აქვთ და ზაფხულის გატარება უწევთ თბილისში, ჩვენ ასეთ მომსახურებას ვერ ვაწვდით. შესაბამისად, ოჯახებს უჩვენოდ ძალიან უჭირთ". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩვენ ის წარმატება გვაქვს, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტი გვეხმარება და ბავშვები გაგვყავს დასასვენებლად ზღვაზე“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

დღის ცენტრების წარმომადგენელთა ინფორმაციით, ისინი აქტიურად თანამშრომლობენ თვითმმართველობასთან, ადგილობრივ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებთან, რათა დაიქირაონ დამატებითი კადრები, ან მოიზიდონ მოხალისეები და, შესაბამისად, გაამრავალფეროვნონ მათ მიერ მიწოდებული მომსახურებები, მათ შორის, ხელი შეუწყონ ბავშვებსა და ახალგაზრდებს პროფესიული უნარების განვითარებაში:

„რამდენიმე კოლეჯთან გავაფორმე თანამშრომლობის მემორანდუმი, რის საფუძველზეც მათი სტუდენტები ჩემთან მოდიან, პრაქტიკას გადიან და ამასობაში ჩემი ბავშვები ცეკვებს სწავლობენ. ასევე, ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის დახმარებით დაქირავებული მეტყველების თერაპევტი... მუშაობს ჩვენთან. მისი მუშაობით ისეთ შედეგებზე გავიდნენ ბავშვები, რომელთაც ჰქონდათ პრობლემები, ასევე, არაქართულენოვანი ბავშვებიც კი ლექსებს კითხულობენ საოცრად. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, შემაჯამებელზე მოგვეწვია მათი მასწავლებლები, რათა... საკუთარი თვალით ენახათ, რა მიღწევები ჰქონდათ მათ ბავშვებს, როგორ მეტყველებენ, რამაც კარგი შედეგი მოგვცა. თავად ბავშვებიც აღნიშნავდნენ მერე, რომ სკოლაში მოწყობილ ღონისძიებაზეც უფრო გახსნილად გრძნობდნენ თავს. ვინაიდან ბავშვების ასაკი სხვადასხვაა და პროფესიის არჩევაზეც ვფიქრობთ, აქაც სანაცნობო წრე მუშაობს კარგად. ორ გოგონას სტილისტის პროფესია ავათვისებინე „კეუნე ჯორჯიაში“. იქ ასწავლეს, პრაქტიკაც გაატარეს, სერტიფიკატიც გადასცეს, შემდეგ შევუძინეთ საჭირო ინვენტარი და დღეს მუშაობენ. ეს ყველაფერი – უფასოდ. ახლა გვინდა თოჯინების თეატრი მოვაწყოთ, რაშიც მოხალისეები გვეხმარებიან... ამ ბოლოს ერთ-ერთმა კომპანიამ დაგვიფარა გაზის ხარჯი“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენლის თქმით, ის და მისი კოლეგები პერიოდულად ახორციელებენ დღის ცენტრების საქმიანობის მონიტორინგს. ის აღნიშნავს, რომ ზოგ დღის ცენტრში ნამდვილად არის სირთულეები სტანდარტების დაკმაყოფილებისა და ძირითადი მომსახურებების მიწოდების კუთხით.

„ჩვენ შევამოწმეთ 10 დღის ცენტრი, აქედან 2 იყო ჯანმრთელი ბავშვების. ჩვენი რეკომენდაციით ერთი დაიხურა, მეორე შემთხვევაში, გვქონდა რეკომენდაციები. რეალურად არ იყო ის, რაც უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, ამ ორიდან გამომდინარე, შემიძლია, ვთქვა, რომ პრობლემები ნამდვილად იყო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანარჩენებშიც იგივე ხდება“. – ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი

სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლის ინფორმაციით, დღის ცენტრების ნაწილი ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს ფინანსების ნაკლებობის გამო. როგორც ის მიუთითებს, პრობლემაა ასევე სპორტული ღონისძიებების განხორციელება დღის ცენტრებში.

„ჩვენ როცა მივდივართ, გვესმის, რომ აქცენტები კეთდება ბიუჯეტზე, ფინანსებზე და, სტანდარტს რომ ვერ აკმაყოფილებს ამის გამო“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

„ძალიან მნიშვნელოვანია სპორტული აქტივობები. პანდემიას უნდა დავაბრალოთ, რომ ამ ბოლო დროს [მათ] ნაკლებად სთავაზობენ. საერთოდ, სპორტმა გადაინაცვლა უკანა პლანზე, არადა, ის არის ძალიან მნიშვნელოვანი ფიზიკური განვითარებისთვის“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

დღის ცენტრის ფარგლებში გაწეული ძირითადი მომსახურებები: მშობლების მოსაზრებები

კვლევაში მონაწილე მშობლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ დღის ცენტრი დაცული, უსაფრთხო სივრცეა ბავშვებისთვის. აქ მათთვის ოჯახური გარემოა შექმნილი და მათ დღის ცენტრში მისვლა უხარიათ.

„მეორე დამყავს, უმცროსი, და პირველად რომ მოვიყვანე, პირველივე დღეს უკითხავს, დედა მალე მოვაო, და უკითხავთ, რაო, მოგენატრა დედაო? არა, წასვლა არ მინდაო. მეც ძალიან მომწონს აქაური სიტუაცია. ოჯახური გარემოა და ბავშვმა თავი იგრძნო, როგორც ოჯახში. მე არ მიყვარს, როცა ბავშვები ქუჩას არიან დაჩვეულები, ჩემი უფროსი შვილიც იმიტომ მოვიყვანე, რომ მე დავიწყე მუშაობა და არ მინდოდა, ქუჩაში ყოფილიყო და მინდოდა, აქ ყოფილიყო. აქ ამზადებინებდნენ გაკვეთილებს, მშიერსაც არავინ ტოვებდა. საღამოს გადმოდიოდა ჩემთან (აქვე ვმუშაობდი), ვხდებოდი გზაზე და ერთად ვბრუნდებოდით სახლში. და პატარაც რომ მოვიყვანე, იმდენად მოეწონა, დაუმეგობრდა სულ ყველას. როცა აქ არის, არის ბავშვი დაცული, ვიცი, არაფერს არ დაიშავებს. თანამშრომლებიც არიან ძალიან კარგი, მეც ისე მეგობრულად ვარ მათთან. შემიძლია, მაგალითად, ცისანა მასწავლებელს [რომ] ვუთხრა, რა პრობლემაც მაქვს, მომისმენს და დამარიგებს“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

მშობლები აღნიშნავენ, რომ დღის ცენტრის მომსახურების მნიშვნელოვანი მიზანია ბავშვის თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის გრძნობის ამაღლება, რაც დღის ცენტრებში მრავალფეროვანი ღონისძიებებისა და შესაძლებლობების მიწოდებით ხორციელდება:

„დღის ცენტრის მიზანია ბავშვების განვითარება, თავის წარმოჩენა, თავის თავში დარწმუნებულები რომ იყვნენ, თავდაჯერებულები ალბათ. ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ. აქვთ იმდენი აქტივობები, გასვლები მნიშვნელოვან ადგილებში, რაც ბავშვის განვითარებისთვის არის საჭირო – კულტურული ცენტრები, ისტორიული დანიშნულების ადგილები, და ბევრ ისეთ ინფორმაციას იღებენ, რასაც, ზოგადად, სკოლაშიც იღებენ, მაგრამ ალბათ ცოტა მეტსაც აქედან იღებენ“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

მშობლების თქმით, მნიშვნელოვანი პრობლემაა მომლოდინეთა სიები, რომლებიც გრძელია. შესაბამისად, ლოდინის დრო ხანგრძლივია და შეიძლება რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდეც გაგრძელდეს. ასევე, შესაძლოა, დღის ცენტრები განსხვავდებოდეს თავისუფალი

ადგილების რაოდენობით, იმის მიხედვით, თუ სად მდებარეობს დღის ცენტრი და მშობლებისთვის რამდენად მისაღები მდგომარეობაა იქ (მაგალითად, ზოგიერთი ცენტრი, შესაძლოა, ისეთ უბანში იყოს, რომელიც, ძირითადად, დასახლებულია უფრო მოწყვლადი ოჯახებით და, შესაბამისად, იყვნენ ბავშვები ამ კატეგორიის ოჯახებიდან). თუმცა ერთ ლოკაციაზე მომსახურებებს შორის არჩევნის საშუალება, როგორც წესი, ნაკლებადაა. თავდაპირველი ჩარიცხვის შემდეგ ბავშვებს მომსახურება უწყვეტად მიეწოდებათ, რაშიც სოციალური მუშაკი მხარს უჭერს ოჯახებს, რადგან ახსენებს მათ ვაუჩერის ვადის ამოწურვამდე დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულებას, ასევე, აწვდის მათ ინფორმაციას მომსახურების უწყვეტად სარგებლობის პროცედურებზე.

> *„დიდხანს ველოდეთ, ბევრი ბავშვია ჩასარიცხი და ადგილი არ აქვთ“. – მშობლების ფოკუსჯგუფი*

> *„ჩემი ერთ წელიწადში ჩაირიცხა. აღარც მახსოვდა, რომ დამირეკეს. მეორე მალევე ჩაირიცხა, იმიტომ [მისი] რომ დედმამიშვილი იყო“. – მშობლების ფოკუსჯგუფი*

> *„როცა ერთი წელი იწურებოდა, მე დამირეკა სოციალურმა მუშაკმა და მითხრა, საბუთები გაქვს მოსატანიო“. – მშობლების ფოკუსჯგუფი*

მშობლები აღნიშნავენ, რომ დღის ცენტრი ბავშვებს ეხმარება მათი ინტერესების გამოკვეთაში, როგორიცაა, მაგალითად, კულინარია, ჭრა-კერვა; რთავს მათ არაფორმალური განათლების ღონისძიებებში:

> *„ძალიან მომწონს, კულინარიასაც რომ სწავლობენ. ბიჭია თუ გოგო, ყველანი ჩართულები არიან. რომ მოდიან სახლში, ამაზე დაუსრულებლად შეუძლიათ, ილაპარაკონ. აი, მაგალითად, სახლში სულ არ შემიმჩნევია ჩემი შვილისთვის, რომ კერვა უყვარს. და მითხრეს აქ, რომ ნიჭი აქვს და საუკეთესო კაბებს [კერავს] და თოჯინებს აკეთებს. არასდროს მიფიქრია, რომ ან ჭრა-კერვაზე მიმეყვანა, ქარგვა გამოსდის, ხატვის ნიჭი ჰქონია და [კიდევ] ძალიან ბევრი რამ აღმოვაჩინეთ ჩემს შვილთან მიმართებაში“. – მშობლების ფოკუსჯგუფი*

ზოგ დღის ცენტრში ისწავლება უცხო ენები (მაგალითად, ინგლისური), ზოგში – არა, რადგან არსებული დაფინანსების პირობებში მომსახურებებს ვერ აჰყავთ დამატებითი პედაგოგები. მშობლების სურვილია, დღის ცენტრში უცხო ენის სწავლებას უფრო მეტი ყურაღება მიექცეს.

> *„დღის ცენტრში არიან ხოლმე მოხალისეები და ინგლისურში ამეცადინებენ ხოლმე, ხანდახან, ყოველთვის – არა“. – მშობლების ფოკუსჯგუფი*

> *„ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, რომ უცხო ენები ისწავლებოდეს დღის ცენტრში. აქედან, მაგალითად, ჩემი შვილი ჭიდაობაზე მიდის და სხვა საგნებში ვერ ვამზადებ. ჰოდა, ვთხოვე და აქედან ყოველთვის მომზადებული მოდის (იგულისხმება საშინაო დავალებები). ანუ მაშინ აქედან უნდა გამეყვანა და კერძოდ მასწავლებელთან უნდა მეტარებინა, რადგან მასიურად მოუმზადებელი სკოლაში ვერ ივლიდა. ამიტომ ეს*

ყველაფერი გაითვალისწინეს დღის ცენტრში... ძალიან დიდი სურვილი მაქვს, დღის ცენტრს ასევე ჰყავდეს უცხო ენების მასწავლებელი". – მშობლების ფოკუსჯგუფი

მშობლები საუბრობენ ზოგიერთი დღის ცენტრში ეზოს არარსებობის პრობლემაზე, რის გამოც ბავშვები, ძირითადად, შიდა სივრცეში არიან და ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ ღონისძიებებში, რომლებიც ფიზიკურ აქტიურობას მოითხოვს.

„უჭირთ მთელი დღე ოთახში ყოფნა (დღის ცენტრს ეზო არ აქვს), კარგი იქნება ხშირი გასვლები გარეთ". – მშობლების ფოკუსჯგუფი

„ნამდვილად კარგი იქნება, ეზო რომ ჰქონდეთ, კარგი იქნება, ლაშქრობებში მშობლებიც გავყვეთ". – მშობლების ფოკუსჯგუფი

დასწავლის სირთულეები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები

დღის ცენტრებში ბავშვების ნაწილს აქვს დასწავლის სირთულეები და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის სტატუსი. აღნიშნული სირთულე, განსაკუთრებით აკადემიური ჩამორჩენა, განსაკუთრებით გამწვავდა პანდემიის პირობებში, რადგან ბავშვების უმეტესობას ხელი არ მიუწვდებოდა online-გაკვეთილებზე და/ან ეს გაკვეთილები ნაკლებად ეფექტიანი იყო მათთვის, განსაკუთრებით – დაბალ კლასებში. დღის ცენტრებში არსებული დაფინანსების, კადრებისა და მომსახურებების მრავალფეროვნების კუთხით არსებული სირთულეებიდან გამომდინარე, აღნიშნულ ინსტიტუციებს ძალიან უჭირთ ამ ბავშვებისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდება, ასევე, მშობლებისა და ოჯახების სათანადოდ გაძლიერება, რათა მათ საკუთარი შვილებისთვის საუკეთესო მხარდაჭერის უზრუნველყოფა შეძლონ. ამის ყურადსაღები მიზეზი ისიცაა, რომ სკოლა არ ამყარებს სათანადო კომუნიკაციას და/ან არ ასრულებს საკუთარ მოვალეობას ბავშვის სპეციალური საჭიროებების შეფასებისა და სათანადო მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით. გარდა ამისა, ხშირად სკოლა არ უზიარებს ცენტრს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მიზნებს. ეს ინფორმაცია ძალიან დაეხმარებოდა დღის ცენტრს, სათანადო აკადემიური მხარდაჭერა მიეწოდებინა დასწავლის სირთულეების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. დამატებით სირთულეს წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ მშობლების ცნობიერების დაბალი დონე, ისევე, როგორც ამ სტატუსის ირგვლივ არსებული სტიგმა მშობლებში, სკოლებსა და მთლიანად საზოგადოებაში.

„სკოლასა და დღის ცენტრს შორის უნდა არსებობდეს კომუნიკაცია, შეთანხმება, რომ ამ ბავშვებზე შედეგი დავდოთ. ერთად რომ ვიმუშაოთ, უკეთეს შედეგზე გავალთ". – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„პრობლემა იმაშია, რომ განვითარების გეგმა სკოლაში სათანადოდ არ იწერება. ალბათ თვითონ პედაგოგებს არ უნდათ, რომ ჰყავდეთ მეტი ბავშვი ჩართული [ინკლუზიურ განათლებაში], ან არ ვიცი, რა ხდება. ალბათ, მეტი უნდა ვიმუშაოთ. ჩვენი მხრიდან სკოლისკენ უფრო ხშირად იდგმება ნაბიჯი. გარდა იმისა, რომ მშობლებს არ უნდათ,

რომ მათი შვილი ჩაერთოს ინკლუზიურ განათლებაში, ისინი, ამავდროულად, არ იცნობენ ამ სისტემას. არ იციან, როგორ შეაფასონ ეს საჭიროება. „კარიტასს“ ჰქონდა მშობლების გაძლიერების პროგრამა და SOS-საც და ძალიან მომწონს“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„ჩვენთვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ბავშვი როდესაც ირიცხება [დღის ცენტრში] და ბავშვს სჭირდება, იყოს შეფასებული, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, არ არის შეფასებული სკოლის მიერ. მე, მაგალითად, ბევრ სირთულეს წავაწყდი ბოლო პერიოდში. მაგალითად, დავალებებიც რომ მოაქვს, ვერ დაჯდები და ვერ აუხსნი, იმიტომ რომ ბავშვი არის სხვა საგანმანათლებლო დონეზე და გვიწევს შემდეგ ამაზე ბრძოლა სკოლასთან, მშობელთან, რომ მოხდეს ბავშვის შესაძლებლობების შეფასება“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ზოგადად, დასწავლის პრობლემები ბევრს აქვს, და როდესაც მშობელთა კრებას ვიწვევთ, ვეუბნებით, რომ შეუძლიათ, სკოლას მოსთხოვონ შეფასება და გეგმა. და როდესაც ისინი ამ პასუხით მიდიან, სკოლისგან ისეთ წინააღმდეგობას აწყდებიან... ზოგიერთი შემდეგ რომ მობრუნდა, გამლანძღა და მითხრა, თქვენ ჩემი ბავშვი გონებრივი ჩამორჩენის ხომ არ გგონიათო, რადგან ეს გეგმა მხოლოდ მათ სჭირდებათო“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„სკოლასთან ურთიერთობა არის გამოწვევა, მაგალითად, მეხუთეკლასელი ბავშვი რომ ჩაირიცხება ჩვენთან, დედა გვეტყვის, რომ ინგლისური აუცილებლად უნდა მოამზადებინო. ბავშვი ამ დროს მეხუთე კლასშია და ქართულად წერა-კითხვაც კი არ იცის. ინგლისურზე ლაპარაკი არ არის. ვცდილობთ, რომ ჯერ ქართული წერა-კითხვა ვასწავლოთ. ბავშვებს აქვთ აკადემიური ჩამორჩენა. პანდემიის დროს ეს ზღვარი უფრო გადიდდა. საშინელი მდგომარეობა აქვს ზოგ ბავშვს. გვყავს ბავშვები, რომლებიც საერთოდ არ ჩართულან სამი წელი, არანაირი მოწყობილობა არ ჰქონდათ. ეს ბავშვები სკოლაში გადაჰყავთ კლასიდან კლასში, დედა გვთხოვს, დავალება დააწერინეთო... რა გამოდის, რომ მე უნდა დავუწერო. მე ვცდილობ, რომ დავაწიო პროგრამას, მერე ერთვება სოციალური მუშაკი. მეხუთე კლასშია, შეაფასეთ, წერა-კითხვა არ იცის. ეს პრობლემა არის. ბავშვები მეცხრე კლასამდე ისე გადადიან, რომ წერა-კითხვა არ იციან და ამ დროს შენ ინგლისურში უნდა ამეცადინო. მერე მშობლებს პრეტენზია აქვთ და უნდა აუხსნა, რომ თქვენს შვილს აკადემიური ჩამორჩენა აქვს. ეს პროცესები ჩვენთან არის, დღის ცენტრში. ბავშვი რომ ჩაირიცხება [დღის ცენტრში], სკოლიდან უნდა იყოს შეფასებული. თუ ბავშვს რაღაცა პრობლემა აქვს, სპეციალური პედაგოგი ჰყავს სკოლაში, ასეთ ბავშვებთან გვიადვილდება ჩვენ მუშაობა. როდესაც ბავშვმა არაფერი არ იცის, ეს ინგლისურის დავალება დააწერინე, რთულია, თანაც, სანამ ამას მშობელს გააგებინებ. ეს პრობლემა არის ჩვენთან“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„როდესაც ბავშვი ჩართულია დღის ცენტრში, ოჯახიც ერთვება და ამ პროექტით გათვალისწინებულ ყველა ტრენინგზე ოჯახი არის ჩართული. ახლა დავიწყეთ ახალი პროექტი, შეიქმნა ახალი მოდული „მშობლობა ძალადობის გარეშე“, სადაც ცალკე სესიები ტარდება მშობლებისთვის, დაახლოებით 20 სესიაა და სამი თვე გრძელდება. არის სესიები მშობლებთან, ცალკე ბავშვებთან და ერთობლივი სესიები, სადაც ბევრი რაღაცა ჩანს. შედეგი მაღალი ხარისხისაა. თბილისის სკოლაში ვმუშაობდი სპეციალურ პედაგოგად და ბევრი ჭიდილი მიწევდა მასწავლებლებთან... რაც შეეხება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვს, ჩვენ ვინც გვყავს იდენტიფიცირებული, მე როდესაც მოვედი ორგანიზაციაში, რამდენიმე ბავშვთან როდესაც კომუნიკაცია მქონდა, მაშინვე შევამჩნიე, რომ ამ ბავშვებს სჭირდებოდათ დიაგნოსტირება და შეფასება. ჯერ მშობელთან უნდა ვითანამშრომლოთ. ჩვენ გაგვიმართლა და მარტივად მოვახერხეთ კომუნიკაცია და თანამშრომლობა. ძალიან დიდი ბრძოლა დაგვჭირდა სკოლასთან, რომ შეავსონ დოკუმენტი, რის საფუძველზეც მოვა მულტიგუნდი და შეაფასებს ბავშვს“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

აღსანიშნავია, რომ დასწავლის სირთულეების და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების ნაწილი ექვემდებარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსსაც, თუმცა აღნიშნული სტატუსის არქონის გამო ვერ იღებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დღის ცენტრის მომსახურებას. ამ მხრივ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტატუსის მინიჭების სისტემაც, მაგრამ დაბრკოლებას ქმნის ასევე მშობლების მხრიდან წინააღმდეგობა ინფორმაციის ნაკლებობისა და სტიგმის გამო, რომელიც არსებობს როგორც თავად მშობლებში, ისე საზოგადოებაში. მშობლებთან მუშაობის რესურსი კი ამ მხრივ ყველა დღის ცენტრს არ აქვს. ასევე შეიძლება ბავშვებს ჰქონდეთ მნიშვნელოვანი ქცევითი და ემოციური სირთულეები, რომლებიც, შესაძლოა, არ ექვემდებარებოდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სტატუსს, მაგრამ სჭირდებოდეთ სხვა ტიპის მომსახურებები (მაგალითად, ქცევითი თერაპია, სპეციალური მასწავლებელი, ინდივიდუალური ასისტენტი და ა.შ.), რომლებსაც დღის ცენტრები არსებული მოცემულობით მათ ვერ სთავაზობენ. 12-18 წლის ქცევითი და ემოციური სირთულეების მქონე ბავშვთა დღის ცენტრი ახალგახსნილია და ჯერჯერობით მხოლოდ ეს ერთი ორგანიზაცია, „კომპასი“, ახორციელებს ამგვარ მომსახურებას თბილისსა და ქუთაისში; შესაბამისად, სხვა ლოკაციებზე ბავშვები დღის ცენტრის მომსახურების მიღმა რჩებიან.

„ძირითად გამოწვევებთან მიმართებაში, ძალიან კარგი იქნება, თუ განვითარდება ეს ანტისოციალური და ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვთა მომსახურებები, სხვადასხვა რეგიონშიც გაიხსნება [ისინი]. ბევრი ბავშვი საჭიროებს ამ მომსახურებით სარგებლობას. ცალკეული შემთხვევების განხილვიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ აუცილებელია ასეთი მომსახურებების მიწოდება“. – ზრუნვის სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის დეპარტამენტის წარმომადგენელი

„ჩვენ არ გვყავს ქცევის თერაპევტები, გვყავს მხოლოდ ფსიქოლოგი, რომელიც კვირაში ერთხელ უტარებს ჯგუფს შეხვედრას, თუმცა, თუ არის საჭიროება ინდივიდუალური შეხვედრების, რა თქმა უნდა, ესეც ტარდება“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„რთული ქცევის ბავშვი გვყოლია, თუმცა ჩვენ არ გვყავს ქცევის თერაპევტები. რაც [კონკრეტულად] რთული ქცევის ბავშვებს სჭირდებათ, ეს სერვისი ჩვენ არ გვაქვს... ასეთი ბავშვებიც ჩარიცხულან. გვყავს სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები, რომლებსაც ჩვენი ორგანიზაციის და სოციალური მუშაკების მხარდაჭერით მიენიჭათ სტატუსი. სკოლაში ჰყავთ სპეციალური პედაგოგი. ჩვენთან რეალურად არიან ტიპური განვითარების ბავშვები. ერთ ბავშვს აქვს დიაგნოსტირებული გონებრივი შეფერხება, რამოდენიმე არის სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვი. წლებია, [ისინი] ჩვენთან ირიცხებიან და სჭირდებათ მიზნობრივი მომსახურებები. მიზნობრივად როდესაც ხდება დღის ცენტრში ბავშვის ჩარიცხვა, ამით ბავშვი უფრო მეტს იღებს, ვიდრე მოდის ბავშვი და არ იცის, სად მოდის“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

ფსიქოლოგისა და სარეაბილიტაციო მომსახურება: მშობლების მოსაზრებები

დღის ცენტრების ნაწილში ბავშვებს, უფრო იშვიათად, მშობლებსაც (ჯგუფურად და ინდივიდუალურად), მიეწოდებათ ფსიქოლოგის მომსახურება, რაც განსაკუთრებულ კმაყოფილებას იწვევს მშობლებში. მშობლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ, ბავშვებთან მუშაობის პარალელურად, ფსიქოლოგი მათაც უწევს კონსულტაციას პოზიტიური მშობლობის უნარების განსავითარებლად.

„მე ფსიქოლოგის მომსახურება ძალიან მომწონს. ბევრჯერ ისეთი პრობლემა ყოფილა, რომ „ბილიკს“ (არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს მოწყვლად ჯგუფებთან) საერთოდ არ ეხება, სახლში მქონია ბავშვთან რაღაც ფსიქოლოგიური პრობლემა და მითქვამს ნონასთვის (დღის ცენტრის ფსიქოლოგი) და დამხმარებია“. – მშობლების ფოკუსჯგუფი.

„...რაც არ ეხება, ისეთი პრობლემაც ნონას გულთან მიაქვს. როცა პრობლემა ბავშვს და არა მარტო ბავშვს ეხება, ეხმარება მას. ბევრჯერ ყოფილა, რჩევის სახითაც უთქვამს, მოდი, ასე არ მოექცე და ისე მოიქეცი, გამითვალისწინებია და შედეგიც მიმიღია“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

„ტესტებსაც უტარებს ბავშვებს, რამდენად განვითარებულები არიან, რამდენად ჩამოყალიბებული ფსიქიკა აქვს ბავშვს, როგორ აზროვნებს. გონებრივი განვითარების ხარისხს აფასებს. ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს, ისეთი ტესტი გააკეთა შენმა შვილმა, საერთოდ არ გაუჭირდაო. არანაკლებ დამხმარებია, ოჯახში რომ რამე პრობლემა მქონია და ჩამითვლია, რომ ფსიქოლოგი ამაში დამეხმარებოდა, და დამხმარებია. ბავშვსაც დალაპარაკებია ცალკე. იქიდან გამომდინარე, რომ მთელი დღე აქ არის ბავშვი, იცის, რომელი ბავშვი როგორია და რანაირი ფსიქიკა აქვს და რისი

გამკეთებელია. ამიტომ ძალიან გვეხმარება ნონას მიდგომები“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

„აი, სახლში თუ რამე არ მომწონს, ადრე ჰქონდა ჩემს შვილს ჯიუტობა, მოვედი, დაველაპარაკე ნონა მასწავლებელს, გაიყვანა ცალკე ბავშვი, ელაპარაკა, მე ცალკე მელაპარაკა, ერთი აზრი რომ შევაჯერეთ, ფაქტიურად ბავშვი შეიცვალა. ანუ ძალიან დამეხმარა ჩემი შვილის ქცევის გამოსწორებაში“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

„ჩემი უფროსი შვილი ხომ აღარ დადის, როცა მოიკითხავს და ვეტყვი რაღაცეებს, კიდევ მაძლევს რჩევებს. ახლა გარდატეხის ასაკში, და... მომენტებში უცებ აფეთქდება. აი, წინა კვირას მითხრა [ფსიქოლოგმა], აი, არ გაეჯიბრო, მოდი, ასე გააკეთე, ასე, მაგალითად, კალათბურთის ფარი დამაკიდებინა და მეც დავიწყე კალათბურთის თამაში... [ჩემს შვილს] ისე უხაროდა, არ ეჯერა, რომ მე კალათბურთს ვითამაშებდი მასთან ერთად. „აუ, დედა, რა კარგად ჩააგდე!“ მეც ვუპასუხებდი: „ხომ უნდა მეტყობოდეს, რომ საბას დედა ვარ!“ ხანდახან ასე ავყვები, მარა ხანდახან, როცა ვიცი, რომ ეს არის არასწორი... ვერ ვთანხმდებით. ჰოდა, მეტყვის ხოლმე ნონა, რომ თავი შევიკავო და მადგება მისი რჩევები“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

„ჰოდა, როცა ვთქვი, რომ ჩვენ, მშობლებსაც, გვჭირდება ტრენინგები, ზუსტად ეგ ვიგულისხმე, რომ მშობლებსაც გვჭირდება ასეთი ტრენინგები, იმისთვის, რომ გავითავისოთ: ჩვენს დროს სიმკაცრე იყო, მაგრამ, როცა უყურებ, როგორ შეიცვალა დღევანდელი თაობა, და ამ ყველაფერზე მორგებული ადამიანი უნდა გახდე, დრო შეიცვალა, აზროვნება შეიცვალა, ჯობია, რომ ეს ბავშვები ჩვენ კი არ მოგვერგონ, ჩვენ მოვერგოთ ამ ახალ თაობას. ეს იმიტომაც უნდა გავაკეთოთ, რომ იმდენი მავნე ჩვევები აქვთ ამ ახალ თაობას, ამ ჩვენი ძალდატანებით, შეზღუდვებით და გაჯიუტებით უფრო ხელიდან არ გაგვისხლტნენ ეს ბავშვები. ამიტომ კარგი იქნება ეს ფსიქოლოგიური რაღაცეები ათასში ერთხელ ჩვენთვისაც ჩატარდეს, რაც მიდგომებს გვასწავლის“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

ფსიქოლოგისა და სარეაბილიტაციო მომსახურება: სპეციალისტების მოსაზრებები

დღის ცენტრების წარმომადგენლების ინფორმაციით, ამ ცენტრებში ჩარიცხულ ბავშვებს აქვთ სხვადასხვა ფსიქოემოციური სირთულე, რომლებიც საჭიროებს როგორც ბავშვთან, ისე მშობელთან და ოჯახთან მუშაობას. ამისთვის მათ ესაჭიროებათ პროფესიონალი კადრი, რაც ფინანსებზეა დამოკიდებული. როცა მსგავსი კადრი არ არსებობს, ამ ფუნქციის შესრულება უწევს დღის ცენტრის კადრს, რაც შეიძლება არ იყოს ხარისხის გარანტი.

„ჩვენ გვყავდა ბავშვი, რომელიც იყო ტრავმირებული, გამოხატავდა აგრესიას, ყველაფერზე უცებ ბრაზდებოდა და ფეთქდებოდა. თუ ვინმეს შეეხებოდა, მსუბუქადაც რომ შეხებოდა, წავიდოდა და კედელს ურტყამდა თავს. შემდეგ სკოლასაც მივმართეთ და ჩავრთეთ სკოლის ფსიქოლოგი მისი მდგომარეობის შეფასებაში. ახლა

მდგომარეობა ბევრად სტაბილურია, მაგრამ პერიოდულად სჭირდება მუშაობა“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ბოლო მომენტი იყო ასეთი შემთხვევა, ოჯახში იყო რაღაც პრობლემა, ქართულენოვანი ოჯახია და ამას ერთვება ის, რომ უცხოელია მამა, რომელთან ერთადაც არ ცხოვრობენ. ქალბატონს ჰყავს ახალი ქმარი და ვერ ეგუებოდნენ ბავშვები და ეს ოჯახი ერთმანეთს. შევეცადეთ, ჩავრთულიყავით. და სულ ახალი ამბავია, მოვახერხეთ ის, რომ დედა და შვილები ერთმანეთს შევარიგეთ, დავამშვიდეთ. ჩვენი ძალებით ეს გავაკეთეთ და როგორ გავაკეთეთ, იცით? მშობელს კარგად ავუხსენით, რომ მე ვალდებული ვიყავი, აუცილებლად განმეცხადებინა იმ დროს, როცა ვიცოდი ოჯახის პრობლემა. მას ცოტა შეეშინდა. სავარაუდოდ, არ ეგონა, რომ ჩვენ ამას ვიზამდით და მერე უკვე წამოვიდა მოლაპარაკებაზე. ამ ეტაპზე ყველაფერი მშვიდობიანად ჩამთავრდა“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„ასოციალური ქცევის პრობლემის გადაჭრა არის ძალიან მნიშვნელოვანი და მანდ ცოტა ჩავარდნებია ფსიქოლოგის მუშაობასთან დაკავშირებით. რთული და დევიაციური ქცევის მქონე ბავშვები არიან თავმოყრილნი. ასეთ ბავშვებს, რომლებსაც ახასიათებთ რთული ქცევა და უმართავი არიან, ძალიან სჭირდებათ ფსიქოლოგის ჩართულობა, მხოლოდ პედაგოგის რესურსს აღემატება, მართოს და შეეძლოს ბავშვის რთული ქცევის მოტივების განსაზღვრა, სწორი ინტერვენციის დაგეგმვა. როგორ უნდა მოიქცეს, რომ გავლენა არ მოახდინოს ბავშვმა სხვა ბავშვებზე, რომლებიც მეტ-ნაკლებად ისეთი ოჯახებიდან არიან, რომლებშიც მისაღები ღირებულებებია... ძალიან ბევრი ასპექტებია, რაც საჭიროებს სიფრთხილეს თვითონ ორგანიზაციის მხრიდან“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი.

დღის ცენტრის თანამშრომლების თქმით, შესაძლოა, იყოს შემთხვევები, როდესაც დღის ცენტრი ვერ ახერხებს ბავშვის ემოციურ და ქცევით სირთულეებთან გამკლავებას და ბავშვი დღის ცენტრიდან გაირიცხება.

„ყოფილა რთული შემთხვევები, თუმცა ჩვენი მუშაობის შედეგად ბავშვი ინტეგრირდა საზოგადოებაში. დღეს ეს ბავშვები უცხოეთში უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. რაც შეეხება ჩემს ინდივიდუალურ შემთხვევას, სადაც ბავშვი სკოლაში და ჩვენთან იდეალურად იქცეოდა და ქუჩაში ჰქონდა პრობლემა, აქ სირთულეები მოდიოდა ოჯახიდან, ქუჩური მენტალიტეტის პრობლემა იყო და, ჩვენი და ფსიქიატრის ჩართულობით, დიაგნოზები დაისვა. როდესაც აქ იყო იდეალურად და ბრუნდებოდა გარემოში, ჩვენი მუშაობა წყალში იყრებოდა. ამ ბავშვთან ჩვენი რესურსი ამოვწურეთ და გადავაბარეთ სოციალურ სააგენტოს“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

ბავშვების მოტივაცია: მშობლების მოსაზრებები

მშობლების თქმით, მათ შვილებს უყვართ დღის ცენტრის გარემო და მაღალი მოტივაცია აქვთ, იარონ და ჩაერთონ იქ მოწყობილ ღონისძიებებში. როგორც ისინი ამბობენ, მათი შვილების ასეთ მოტივირებულობას განაპირობებს ის, რომ ბავშვებს აქვთ პოზიტიური და მეგობრული გარემო, ასევე ეძლევათ საშუალება, მონაწილეობა მიიღონ თავიანთი ინტერესების შესაბამის აქტივობებში. მშობლების აზრით, თავად მათი სურვილიც, შვილები ჩართონ დღის ცენტრის აქტივობებში, აისახება ბავშვების მოტივაციაზე.

> *„ჩემმა ბავშვებმა ყველა დღეს იციან, რა უნდა გააკეთონ. ისიც კი იციან, რა დღეს რა უნდა ჭამონ. კერძებიც აქვთ ამორჩეული და იმ დღეს განსაკუთრებით უხარიათ მოსვლა. ისიც იციან, ხატვა როდის აქვთ ან ძერწვა, მძივებით ქარგვა. აი, კიდევ აღვნიშნავ, რომ ჩემს გოგოს ისეთი ნიჭი გამოუვლინდა აქ, რომელიც მე სახლში არ მქონდა შემჩნეული. და, აი, მაგალითად, ბიჭს, რომელიც ბევრგან დადის, უთქვამს, მოდი, გავაცდინოთო, გოგოს უპასუხია, რას ამბობ, დღეს კულინარიაა. და ბევრჯერ ასე ჯიკაობით წამოუყვანია“. – მშობლების ფოკუსჯგუფი*

> *„კი, რა ვიცი, მოსწონს ჩემს შვილს. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ არ წამოვიდეს. აი, ვთქვათ, ინგლისურზე დამყავს და, თუ ძალიან გადაიღალა, შეიძლება თქვას, რომ დღეს არ წავალ. ზოგადად, მოსწონს აქ“. – მშობლების ფოკუსჯგუფი*

> *„ის მომენტი ჩვენც არ უნდა გაგვიჩნდეს, რომ გვეზარება და არ წაგიყვანთ, რადგან ჩვენი ასეთი დამოკიდებულება ბავშვებს მოტივაციას დაუკარგავს... შეიძლება იმათაც დაეზაროთ. ამიტომ ჩვენზეც ბევრია დამოკიდებული და არა მარტო მასწავლებლებზე“. – მშობლების ფოკუსჯგუფი*

> *„ბავშვებს აქ ისეთი გარემო აქვთ შექმნილი, უხარიათ წერაც, კითხვაც და ხატვაც. სკოლაში კი ხალისი აქვთ დაკარგული“. – მშობლების ფოკუსჯგუფი*

> *„სკოლაში წასვლა ისე ეჯავრება ჩემს შვილს, ისეთი მასწავლებელი ჰყავს, სკოლა საერთოდ შეაძულეს ბავშვს, იმიტომ რომ მასწავლებელმა იცის ამოჩემება. ჰყავს იქ 4-5 ბავშვი, გაკვეთილიც იმათ უნდა ჰკითხოს, დავალებაც იმათ უნდა შეუსწოროს. დანარჩენებს პროტესტი უჩნდებათ. რატომ უნდა ვიცოდე გაკვეთილი, რატომ ვამზადებ დავალებებს, თუ მაინც არ უნდა მკითხოს? აქ, დღის ცენტრში, ყველა ერთნაირია... თანასწორი დამოკიდებულება და მიდგომა აქვთ... როცა კლასში 20 ბავშვი გიზის და შენ ყოველდღე იმ 4 ბავშვს ეკითხები, და მე მივდივარ-მოვდივარ და ვერც ვერასდროს მამჩნევ, ამ ბავშვს სხვა ფიქრები უჩნდება“. – მშობლების ფოკუსჯგუფი*

ოჯახებსა და მშობლებთან მუშაობა: მშობლების მოსაზრებები

მშობლების ნაწილი იცნობს დღის ცენტრის აქტივობებს. ადმინისტრაცია ზოგ ცენტრში ატარებს შეხვედრებს მშობლებთან. ამ შეხვედრებზე მშობლებს მიეწოდებათ ინფორმაცია დღის ცენტრში დაგეგმილი ცვლილებების შესახებაც:

> *„ცვლილებებსაც გვატყობინებენ ხოლმე. კრებები... გვიტარდება და გვეუბნებიან, რა შინაარსის ინფორმაციას იღებენ ბავშვები. თვითონაც სახლში ამბობენ, ეს ვისწავლეთ,*

ეს შეიცვალა, ეს გაკეთდა, ეს დავხატეთო. და, სხვათა შორის, მე ცვლილებას ვატყობ ბავშვებს. ეს ტრენინგები რომ უტარდებათ, ძალიან ბევრის მომცველი ინფორმაცია არის მათთვის". – მშობლების ფოკუსჯგუფი

მშობლების თქმით, მომსახურება ცდილობს მათ ჩართვას დღის ცენტრის ცხოვრებაში.

„დღის ცენტრის თანამშრომლების ღია დამოკიდებულება მიუთითებს, რომ ეს ურთიერთობა თანამშრომლობითი და მეგობრულია. არ იგრძნობა, რომ ისინი არიან ჩვენი შვილების პედაგოგები და ჩვენ – ბავშვების მშობლები". – მშობლების ფოკუსჯგუფი

„არ არის ის დამოკიდებულება, რომ შენ ახლა ბავშვი მოიყვანე, დატოვე და ახლა ჩვენ ვიცით, რას ვიზამთ და როგორ. ესე არ ხდება, ისინიც არიან ჩვენთან, ისე, როგორც ჩვენ ვართ მათთან, და ვუზიარებთ ერთმანეთს ყველაფერს. და არასდროს არ ყოფილა ის დამოკიდებულება, რომ ამას ჩემს საქმეში რა უნდა, ან ამდაგვარი". – მშობლების ფოკუსჯგუფი

„სრულიად განსხვავებული ვითარებაა სკოლასა და ჩვენს შორის. წელანაც ხომ თქვეს, ბავშვმა რომ ორი კვირა გააცდინოს სკოლა, საერთოდ არ კითხულობს მასწავლებელი. არ აინტერესებთ. არადა, აქ რომ არ მოვიყვანო რამდენიმე დღე, არ არსებობს, ცისანა მასწავლებელმა არ დარეკოს და არ მოიკითხოს. ძალიან განსხვავდება სკოლა და დღის ცენტრი". – მშობლების ფოკუსჯგუფი

აღსანიშნავია, რომ, უმეტეს შემთხვევაში, მშობლები არ იცნობენ დღის ცენტრების მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს. მშობლები ამბობენ, რომ, როგორც წესი, ნაკლებად იღებენ მონაწილეობას მშობლებისა და ბავშვების ერთობლივ გასვლით შეხვედრებსა თუ სხვა აქტივობებებში, მაგალითად, ტრენინგებსა და მშობლების გაძლიერების ღონისძიებებში, მაგალითად, პოზიტიური მშობლობის ხელშეწყობის მიზნით ჩატარებულ აქტივობებში.

„ზუსტად არ ვიცი, რა საქმიანობებს ატარებს დღის ცენტრი, მაგრამ, რასაც ატარებენ, მე იმით კმაყოფილი ვარ და მომწონს ის, რასაც ასწავლიან, სადაც გაჰყავთ". – მშობლების ფოკუსჯგუფი

„...ისეთი აქტივობები, სადაც ბავშვებს და მშობლებს მიეღოთ ერთად მონაწილეობა, ასეთი არ მახსენდება". – მშობლების ფოკუსჯგუფი

„მე, მაგალითად, წინა კრებაზე ვთქვი, რომ ალბათ უკეთესი იქნება, მშობლები მეტად ვიყოთ ჩართულები. ხშირად ჩვენც გვიტარდებოდეს ამდაგვარი ტრენინგები. ეს თაობა ბევრად სხვანაირია, ის მეთოდები, რომლებსაც ჩვენთან იყენებდნენ, ამათთან აღარ ჭრის. ამიტომ მათთან მიმართებით ჩვენც ბევრი გვეშლება და კარგი იქნება, ფსიქოლოგმაც იმუშაოს ჩვენთან, ბევრი რამ გვასწავლოს ახალ მიდგომებზე. და ბევრი რაღაცის სწავლა გვინდა, რაც ამ ბავშვების ფსიქიკისთვის უკეთესი იქნება". – მშობლების ფოკუსჯგუფი

მშობლები არ იცნობენ დღის ცენტრის მომსახურების საქმიანობების მარეგულირებელ სტანდარტებს. ასევე, ისინი არ არიან ჩართულები ბავშვის ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შემუშავების პროცესში, თუმცა მათ ამ გეგმებს აცნობენ:

> *„ზოგადად, ინფორმაციას გვაწვდიან, მაგრამ თავად პროცესში ამ გეგმის შემუშავების ან გადასინჯვის პროცესში არ ვართ ჩართულები". – მშობლების ფოკუსჯგუფი*

ოჯახებსა და მშობლებთან მუშაობა: სპეციალისტების მოსაზრებები

სოციალური მუშაკების ინფორმაციით, დღის ცენტრში ჩასართავი ოჯახების ნაწილს ისინი ოჯახის გაძლიერების უფრო ფართო სპექტრის პროგრამებშიც გადაამისამართებენ ხოლმე, მაგალითად, ორგანიზაციებში „SOS ბავშვთა სოფელი" და World Vision International არსებულ ოჯახის გაძლიერების პროგრამებში. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღის ცენტრში ჩასარიცხი ოჯახების ნაწილს ესაჭიროება ოჯახის გაძლიერების უფრო ფართომასშტაბიანი მომსახურებები, რომელთა დიდი ნაკლებობაა ქვეყანაში. ასევე, ამ ოჯახების უმეტესობაში სოციალური მუშაკები გამოყოფენ მშობლობის უნარებზე მუშაობის საჭიროებასაც, რა კუთხითაც სახელმწიფო სოციალურ მუშაკებს ჩარევის მეთოდები და პროგრამები, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ, გარდა სოციალური მუშაკის მიერ შემთხვევის მართვის მოდელისა. ასეთი პროგრამების ნაკლებობა არის სხვა სამსახურებშიც (მუნიციპალური სამსახური, არასამთავრობო სექტორი და ა.შ.).

> *„დღის ცენტრში გადამისამართებულ ოჯახებში იკვეთება მშობლობის უნარების კუთხით პრობლემები. მე მაქვს ახლა ასეთი შემთხვევა. დედას აქვს შეზღუდული შესაძლებლობა და არ აქვს საბაზისო საყოფაცხოვრებო და ბავშვის მოვლის უნარები განვითარებული. მივმართე მერიას, მითხრეს, რომ იქ ასწავლიან ამას ყველაფერს. ჰოდა, მივმართე მერიას და იქ მეუბნებიან, ის, რაც, წლებია, არ იცის მშობელმა, როგორ შეიძლება მე შევასწავლოო. „ვორლდ ვიჟენის" ბაღშიც არის ოჯახი ჩართული და მათ მითხრეს, რომ ამ კატეგორიის მშობელს როგორ ვასწავლო ეს უნარებიო. არადა, ასე ხომ ვერ წავართმევ ყველა ასეთ მშობელს ბავშვს? ადრე, როდესაც ჩვენ ვმუშაობდით პრევენციის მიმართულებით, მშობლებს ვასწავლიდით, ხოლო, თუ შევატყობდით, რომ არ შეუძლია მას, მოუაროს ბავშვს და რისკია დედისა და შვილის ერთად ყოფნის, მაშინ უკვე გამოგვყავდა. ახლა არ ვიცი, ვინ ასწავლის, რომელი პროგრამა და რა ხდება". – სოციალური მუშაკების ფოკუსჯგუფი*

დღის ცენტრების წარმომადგენლების ინფორმაციით, მშობლების ჩართულობა დღის ცენტრების ცხოვრებაში პრობლემას წარმოადგენს და ამ კუთხით მუშაობა გასაძლიერებელია, რისთვისაც ესაჭიროებათ მრავალი ტიპის მომსახურებები და სპეციალისტები.

> *„ამ მდგომარეობებს შეიძლება დავამატოთ მშობლების ნაკლები ჩართულობა. ეს რომ შევნიშნე, ჩვენთვის ძალიან დიდი ტკივილი გახდა. ორი წლის წინ გავაკეთეთ პროექტი და გავედით მშობლებზე. წავედით ურეკში დასასვენებლად და წავიყვანეთ ეს ბავშვები მშობლებთან ერთად. იქ იყო გამაძლიერებელი ტრენინგები. ეს ძალიან დაგვეხმარა.*

მშობლების ნაკლები ჩართულობა არის ძალიან დიდი პრობლემა“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„მშობლებთან მეტი მუშაობა უკეთესი იქნებოდა. ვერ აცნობიერებენ, რომ შვილებს დახმარება სჭირდებათ და სპეციალური საჭიროება აქვთ. როდესაც ხუთი წელი სკოლაში დადიოდა ბავშვი, სკოლა არაფერს ამბობს და უცებ „კარიტასში“ ჩაირიცხა, გიბარებენ და [გეუბნებიან, რომ] დახმარება სჭირდება ბავშვს, ძალიან [დიდი] მიუღებლობა აქვთ. მშობლებს ვერ ვაგებინებთ, რომ მისი შვილისთვის მნიშვნელოვანია და უკეთესია სპეციალური პედაგოგი“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

ზოგიერთ დღის ცენტრში აქვთ სპეციფიკური პროგრამები, რომლებიც მიმართულია მშობლების გაძლიერებაზე. ეს, შესაძლოა, გულისხმობდეს ინდივიდუალურად და ჯგუფურად მშობლებთან სხვადასხვა სპეციალისტის (მაგალითად, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის და ა.შ.) მუშაობასაც, ასევე, პოზიტიური მშობლობის მოდულებისა და პროგრამების გამოყენებას მშობლების გასაძლიერებლად. დღის ცენტრების ნაწილი იშვიათად ახერხებს გასვლით ღონისძიებებსა და დასასვენებელ ადგილებზე ბავშვებთან ერთად მშობლების წაყვანას, რაც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული. როგორც წესი, ამ მომსახურებებს დღის ცენტრები დაფინანსების სხვა წყაროების მეშვეობით ახორციელებენ (მუნიციპალიტეტი ან სხვა ორგანიზაცია).

„ყველას გვესმის, რომ ბავშვის კეთილდღეობა გადის მშობლის კარგ კონტაქტებზე. ამიტომ ჩვენ წამოვიწყეთ მშობელთა მხარდაჭერის პროგრამა 2019 წელს, უბრალოდ, მერე, კოვიდის დროს, შეფერხება გვქონდა წელიწად-ნახევარი. გავაკეთეთ 5-თვიანი სასწავლო კურსები მშობლებისთვის, რაც გულისხმობს, რომ გავაკეთეთ კულინარიის, მანიკიურის გაკეთების შემსწავლელი კურსები. გარდა კურსებისა, მათთან მუშაობდა ფსიქოლოგიც და ამით ვცდილობდით მშობლების გაძლიერებას. მათმა ჩართვამ და ჩვენთან ხშირმა ვიზიტებმა გამოიწვია ის, რომ მათ გაუუმჯობესდათ ბავშვებთან ურთიერთობა, თვითონაც გაუჩნდათ სახალისო წერტილი, სადაც შეუძლიათ, შეხვდნენ სხვა მშობლებს და გამოცდილება გაუზიარონ. კვირაში ორი დღე მაინც მშობლები ხვდებიან ერთმანეთს, თან ხედავენ, რით არიან დაკავებული ბავშვები. შორიდან ამის მოყოლა სხვა არის და თავისი თვალით რომ დაინახავდნენ, როგორ პირობებში არიან მათი შვილები, როგორი დაკავებულები არიან და რა უჭირთ და რა ულხინთ, სხვა დამოკიდებულება ექმნებათ... ძალიან გაამართლა ამ პროექტმა. ამიტომ კარგი იქნება, თავად სახელმწიფოს მხრიდანაც იყოს გათვალისწინებული მშობელთა ჩართულობის კომპონენტი და იყოს ისეთი ნიშა მშობლებისთვის, სადაც ეს მშობლები ბედნიერად იგრძნობენ თავს. ჩვენ ამ პროექტის განხორციელებაში გვეხმარება სხვა ორგანიზაცია, შესაბამისად, უნდა იყოს ეს კომპონენტი გათვალისწინებული პროგრამულად. როდესაც მშობელი ბედნიერია, ბავშვიც ბედნიერია. ანუ მშობლებთან

მუშაობამ დაგვანახა, რომ გაძლიერდნენ როგორც მშობლები, ასევე ეს აისახა ბავშვების ფსიქოემოციურ მდგომარეობაზეც“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩემი აზრით, მიღწევა არის ის, რომ ვართ ოჯახის დამხმარე მომსახურება, და ძალიან ვერთვებით მათ თანაცხოვრებაში. მშობლებს, რომელთაც უჭირთ გარდატეხის ასაკში მყოფი შვილების ქცევების მართვა, ძალიან ვეხმარებით. ვიწვევთ მათ პოზიტიური მშობლობის ტრენინგებზე, რაც მათ ეხმარებათ პრობლემების გადაჭრაში. სოციალურ ინტეგრაციაში ვეხმარებით და არსებული პრობლემების დაძლევაშიც მხარდაჭერას ვუწევთ. მშობლებისა და ბავშვების ურთიერთობების პოზიტიურ, დადებით დინამიკაში გადასვლისთვის დასასვენებლადაც კი წავიყვანეთ მშობლები და ბავშვები ერთად“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„როდესაც ჩვენთან ირიცხება ბავშვი, ჩვენი კოორდინატორი აცნობს ამ ინფორმაციას ოჯახს. ძირითადად, კოორდინატორს აქვს შეხება. როდესაც პრობლემას შევამჩნევ, ბავშვის შესახებ გადავცემ კოორდინატორს ინფორმაციას და მერე იბარებენ მშობელს. რაც გაიხსნა ჩვენთან მშობლების მხარდაჭერის პროექტი, თითო კურსზე 8-9 მშობელი დადის“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„პროექტთან არის ჩვენი დღის ცენტრი მიბმული. როდესაც ჩვენთან შემოდის ოჯახი, გვაქვს ფსიქოლოგის პირველადი შეფასება და კიდევ ერთხელ ვაწვდი [ინფორმაციას], რა სერვისები გვაქვს. აგრეთვე, ვეუბნებით, რომ გვაქვს დღის ცენტრის მომსახურება 6-18 წლის ბავშვებისთვის და, თუ სურვილი აქვს მშობელს, შეუძლია, მივიდეს სააგენტოში, დაწეროს განცხადება და [ბავშვები] რიგითობის მიხედვით ჩაირიცხებიან. რაც შეეხება [შემთხვევას], როდესაც დამოუკიდებლად მოდის ადამიანი და ჩარიცხულია, უკვე მოაქვს ვაუჩერი. ვინც დახვდება იმ მომენტში ოფისში, აცნობს სიტუაციას. ყველა ოთახში შეგვყავს მშობელი, ვათვალიერებინებთ და ვაჩვენებთ, სად იქნება მისი შვილი, რა საკვებს მიიღებს, რას ისწავლის და ვინ ეყოლება მასწავლებელი. დეტალურ ინფორმაციას ვაწვდით მშობელს. ეს ინფორმაცია შეიძლება მიაწოდოს ნებისმიერმა თანამშრომელმა. როდესაც ბავშვი მოდის მასთან ერთად, ხელახლა ვათვალიერებინებთ სივრცეს“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„რაც შეეხება მშობლებთან კომუნიკაციას, ეს არის უპირობოდ ჩვენი მიზანი. როდესაც მოდის მშობელი, რა თქმა უნდა, გარემოს ვაცნობთ, მუდმივად გვაქვს შეხვედრები მშობლებთან. ასევე გვაქვს ინდივიდუალური შეხვედრები. რა თქმა უნდა, ინდივიდუალურ საჭიროებებზე სხვა მშობლებთან ერთად არ ვსაუბრობთ. მოხდება თუ არა კონფლიქტი ბავშვებს შორის, ამას შიგნით ვაგვარებთ, მაგრამ მშობელმა იცის, რა საჭიროება აქვს მის შვილს და როგორ ვითარდება. ეს არის მთავარი აქცენტი, რასაც ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ. თუმცა, ერთ-ერთი სირთულე არის მშობელთა ჩართულობა. ზუსტად ეს არის: გვინდა, რომ გავუჩინოთ ინტერესი და მეტად ჩავრთოთ“. – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

„რაც შეეხება მშობელთან ურთიერთობას, აქაც მარტო ვართ. დიდი პრობლემა და ბარიერია მშობელთან ურთიერთობა. მათ სხვა ინტერესები აქვთ, საერთოდ [არა აქვს] უმრავლესობას მზაობა, რომ განავითაროს საკუთარი შვილი. როდესაც გამოიკვეთა ბულინგი, როდესაც ბავშვი არის ბულინგის მსხვერპლი და თავადაც არის ბულერი (ეს ხშირად იკვეთება დღის ცენტრში), მარტო ერთი რგოლი ამას ვერ შეცვლის. ხშირად გვაქვს მშობელთან შეხვედრა. იმას კი არ ვეუბნებით, რომ ბავშვმა ეს დააშავა. საჭიროებას ვაჩვენებთ, რომ ოჯახიდან მოდის სათავე ყველაფრის. აქაც ვმუშაობთ ამ მიმართულებით". – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

თუ მშობელთან მუშაობა ვერ ხორციელდება, ეს, უკიდურეს შემთხვევაში, გაცდენების საფუძველზე დღის ცენტრიდან ბავშვის ამორიცხვითაც შეიძლება დასრულდეს.

„რა თქმა უნდა, ჩვენ ვიწყებთ მუშაობას. სოციალურ მუშაკს ვრთავ ამ პროცესში, მაქვს ვიზიტი სოციალურ სამსახურში და ვეუბნები, რომ გვიდგას პრობლემა. მერე შემოვიფაგლებით „არებით" და ორი თვის შეუსრულებლობის საფუძველზე ირიცხებიან. თუმცა ეს ჩვენთვის ძალიან მტკივნეულია". – დღის ცენტრების თანამშრომელთა ფოკუსჯგუფი

უკუკავშირის გამოხატვა: მშობლების მოსაზრებები

მშობლების თქმით, ისინი უშუალოდ დღის ცენტრის თანამშრომლებთან გამოხატავენ უკუკავშირს, ძირითადად, ზეპირად და არაფორმალურად.

„ამ ბოლოს დღის ცენტრმა ჩაგვიტარა კრებასავით, გაგვაცნო რაღაც-რაღაც საიტების არსებობა, გვითხრა, რა ინფორმაცია შეგვეძლო, მიგველო. ასევე, ფურცლები დაგვირიგა და გვითხრა, დაგვეწერა, რა მოგვწონდა და რა არ მოგვწონდა. იქაც სახელი, გვარი არ მიგვითითებია. მაგრამ ეს ფორმალური მხარეც რომ არ იყოს, ჩვენ მაინც ვეუბნებით და მეც თამამად ვუთხარი, რომ მინდა, ბავშვი მომზადებული მოვიდეს-მეთქი... მათ ამიხსნეს, რომ ეს არ არის მათი ვალდებულება, მაგრამ ამას გააკეთებენ... თუ გაგვიჩნდება ასეთი სახის მოსაზრება, ალბათ თამამად ვეტყვით, იმიტომ რომ ჩვენი ოჯახივითაა აქ სიტუაცია". – მშობლების ფოკუსჯგუფი

„კი ვიცით, რომ არის ყუთი (იგულისხმება „უკუკავშირის ყუთი"), თუმცა არ გამოგვიყენებია არასდროს". – მშობლების ფოკუსჯგუფი

„არ დაგვჭირვებია ყუთი და, მგონია, სულ ცარიელია. თუ რამე მოსაზრება გვიჩნდება, ამას ღიად და თავისუფლად გამოვხატავთ". – მშობლების ფოკუსჯგუფი

მშობლები დადებით უკუკავშირს და კმაყოფილებას გამოხატავენ დღის ცენტრის მიმართ:

„ჩვენ ნამდვილად გაგვიმართლა, საკვებს და სწავლასაც რომ თავი დავანებოთ, თავისი საქმის პროფესიონალები არიან და ადამიანები არიან, საკუთარი ღირსებით, თამამად რომ ანდობ ბავშვებს". – მშობლების ფოკუსჯგუფი

უკუკავშირის გამოხატვა: სპეციალისტების მოსაზრებები

სპეციალისტების ინფორმაციით, ბავშვებიც და მშობლებიც ღიად აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს, ძირითადად, უშულოდ დღის ცენტრის თანამშრომლებთან ურთიერთობისას და ნაკლებად – „უკუკავშირის ყუთის“ ან სხვა რაიმე ფორმალური მეთოდის გამოყენებით. მნიშვნელოვან უკუკავშირს დღის ცენტრები ასევე აღრიცხავენ სპეციალურ ჟურნალში. ამ უკუკავშირს დღის ცენტრები შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ. გარდა ამისა, ზოგიერთი დღის ცენტრი პროაქტიურად იყენებს სპეციალური უკუკავშირის ფორმებს მშობლებისთვის გარკვეული პერიოდულობით, რათა მიიღოს მათგან გამოხმაურება, გააანალიზოს ის და შესაბამისი ცვლილებები მოახდინოს დღის ცენტრის ფუნქციონირებაში.

„როდესაც დაარსდა ეს დღის ცენტრი, ეს ყველაფერი გაკეთდა. დღეს ბავშვი იმდენად პირდაპირია, სულ არ სჭირდება ის ყუთი. რაც არ მოსწონს, პირდაპირ გეუბნება. არ სჭირდებათ ბავშვებს. მოგახლის პირდაპირ, რა არ მოსწონს, რა მოსწონს. როდესაც რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი უთქვამთ, აღგვირიცხავს. თუმცა ყოველდღიურ დეტალებს არ აღვრიცხავთ“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ბავშვები, რაც უნდათ, იმას ზეპირად აფიქსირებენ და ესეც არ არის ისეთი ფორმის, რომ ჟურნალში შევიდეს. ხშირად ცარიელი გვაქვს წერილების ყუთი, რომელიც ყოველი თვის ბოლოს მოწმდება. მაგრამ ჩვენ არ ველოდებით, მშობლები როდის მოინდომებენ ჩვენთან რაიმე ფორმით უკუკავშირის გამოხატვას... კითხვარი გვაქვს, წელიწადში ერთხელ ბავშვების ხელით ვუგზავნით მშობლებს, და შემოსასვლელში გვაქვს უკუკავშირის შეტყობინებების ყუთი, სადაც ცენტრში შემოსვლამდე შეუძლიათ, ჩააგდონ წერილი. და ამას შემდეგ ვაჯამებთ. თუ ვინმეს რამე პრობლემა აქვს, შეუძლიათ, ანონიმურიც იყოს, ანუ ნებისმიერი ფორმით შეუძლიათ მოგვცენ უკუკავშირი. ეს გვეხმარება, წარმოდგენა ვიქონიოთ, რას ფიქრობენ ჩვენზე მშობლები“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩვენც გვაქვს „უკუკავშირის ყუთი“, ორივე დღის ცენტრში, რომელიც განთავსებულია გამოსაჩენ ადგილას და ბავშვებსაც მიეწოდებათ ინფორმაცია, რომ შეუძლიათ, საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ. მშობლებმაც იციან ამ ყუთის შესახებ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მშობლები სისტემატურად სარგებლობდნენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისთვის... უფრო აქტიურობენ ბავშვები. აი, მშობლების პოზიცია უფრო ხშირად ფიქსირდება მაშინ, როდესაც 6 თვეში ერთხელ ხდება უკუკავშირის კითხვარის გამოყენება, სადაც ყველა მშობლისგან ვიღებთ ინფორმაციას დღის ცენტრის მომსახურების შესახებ“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩვენც გვაქვს „უკუკავშირის ყუთი“. თუ ვინმეს აქვს გულისწყრომა ან გულისტკივილი ბავშვზე თუ პედაგოგზე, კარგად იმუშავა, მერე ჩვენ... დავალაგეთ ეს სიტუაციები. ვიმუშავეთ როგორც ბავშვებთან, ისე პედაგოგებთან, რატომ იყო ეს, არ ჰქონდათ თავსებადობა, რა ხდებოდა, რა იყო ამის გამომწვევი მიზეზები. მშობლებიც დავიბარეთ ამ საკითხთან დაკავშირებით და ძალიან კარგად იმუშავა, მოკლედ, ამ ყუთმა. როცა მივდივარ, ვხსნი ხოლმე და მხვდება პრეტენზია თუ მოსაზრება, რაც არის, რაც აქვთ

ბავშვებს. მოსწონთ ის, რომ მათი ინდივიდუალობა დაცულია. ის რაღაც პრობლემა რომ გვარდება, ეს ძალიან მოსწონთ. რაც შეეხება მშობლებს, უკუკავშირს ძნელად გამოხატავენ. გვაქვს ხოლმე კრებები, რომლებზედაც განვიხილავთ მათ მოსაზრებებს, რადგან ძნელია მათგან წერილობითი უკუკავშირის მიღება. იმ კრებაზე არ აქვთ მორიდება, რომ რომელიმე მასწავლებელს მოერიდონ. რაც არ მოსწონთ, ან მოსწონთ, იმას აფიქსირებენ. ეს კრებები ტარდება სტანდარტულად თვეში ერთხელ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მშობლები წასულები არიან საზღვარგარეთ, თუმცა ერთვებიან ონლაინ, თუ ამის შესაძლებლობა აქვთ". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„დერეფანში გვაქვს საჩივრების ყუთი. ნებისმიერ ბავშვს შეუძლია, დაწეროს უკუკავშირი, რა მოსწონს და რა არ მოსწონს, რას შეცვლიდა. ბევრჯერ ეს ყველაფერი წაგვიკითხავს, შესაბამისად, ბევრი რაღაცა შეიცვალა ბავშვების სასარგებლოდ. კვებასთან დაკავშირებულიც ყოფილა სეზონურად, ან აქტივობებთან და ჯგუფებში გადანაწილებასთან". – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

„უკუკავშირზე მინდა ვთქვა, რომ ეს ყუთი ჩვენთანაც დევს, თუმცა ბავშვები ისედაც გეუბნებიან, რა სურთ და სჭირდებათ. მაგრამ მე მაქვს შინაგანაწესი, ხომ არსებობს დაწესებულებაში... ამ შინაგანაწესს ვაცნობ ყველა მშობელს და მაქვს მერე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, სადაც წერია, რა მომსახურებას ვაწვდი და რა ვალდებულება მაქვს მე, როგორც სერვისს, ასევე, რა ვალდებულება აქვს იმ მშობელს. მას შეუძლია, ნებისმიერ დროს დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება. თან ხომ გვინდა, რომ სერვისი იყოს მრავალფეროვანი და სიახლეებით გაჯერებული. 6 თვეში ერთხელ ხომ ვაკეთებთ გადაფასებას. პარალელურად მაქვს კითხვარი, რომელსაც ვაახლებთ ხოლმე, ბავშვებისთვის – ცალკე, მშობლებისთვის – ცალკე. ამას ანონიმურად გამოვიკითხავთ და იქიდან ვიგებთ, შემდეგი 6 თვისთვის რა შეიძლება გავითვალისწინოთ. სხვათა შორის, 2 თვეში ერთხელ ვაკეთებთ კვებაზე გამოკითხვას. არის, რომ სწყინდებათ ერთი და იგივე მენიუ, და ვეკითხებით, რა შევცვალოთ". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

ზოგჯერ ოჯახის მხრიდან უკუკავშირი ნეგატიურია და სიტუაციაც – უფრო დაძაბული. ამ დროს ოჯახთან ურთიერთობაში ერთვება დღის ცენტრის მენეჯერი.

„ყველა მშობელი ერთნაირი აზროვნების არ არის. გვაქვს სატელეფონო კავშირიც. გვქონდა დაძაბული სიტუაციები, როდესაც მე თავად მივსულვარ მშობელთან". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი.

მომსახურების ინდივიდუალური გეგმები

რაც შეეხება სამუშაო ფორმებს (შეფასების, მომსახურების ინდივიდუალური გეგმის, პროგრესის მონიტორინგის და სხვა ფორმები), დღის ცენტრებში სხვადასხვაგვარი სიტუაციაა. ნაწილს ეს ფორმები აქვს და პერიოდულად იყენებს, ნაწილს კი არა აქვს.

„ჩვენ გვაქვს ეს-ო-ეს-ის მიერ აპრობირებული ჩვენი ინსტრუმენტები“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„არა, გეგმების შევსების გარდა, არ მახსენდება“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„შეფასების ფორმა გვაქვს ჩვენი შემუშავებული, „ევრი ჩაილდი“ დაგვეხმარა ამის მომზადებაში“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„გარდა იმისა, რომ წელიწადში ორჯერ ვაკეთებთ გეგმებს, წელიწადში ერთხელ კლასის ხელმძღვანელები, რომლებიც უშუალოდ ჩართულები არიან ამ ბავშვებთან ყოველდღიურ მუშაობაში, აკეთებენ ფსიქოსოციალური განვითარების მონიტორინგს და მასწავლებლის მიერ ქცევის შეფასებას ასაკობრივად; როგორ იცვლება ბავშვის ქცევა, რომ შემდეგ მიზეზებზე დავიწყოთ ფიქრი; თუ რამე მნიშვნელოვნად შეიცვალა, რა არის ამის მიზეზი. ეს ყველაფერი დიაგრამებში გვაქვს გაკეთებული და იგივე ფორმაში კეთდება და კარგად ჩანს ცვლილებები. ქცევებზე დაკვირვებისთვის ინფორმაციის მოცემა შეუძლია პედაგოგს, რომელიც ჩართულია ბავშვთან მუშაობაში და შემდეგ ერთვება ფსიქოლოგი“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ზუსტად მაგას ვჩიოდით, რომ დღის ცენტრის ბიუჯეტი არ გაძლევს საშუალებას, აიყვანო ის სპეციალისტი, რომელიც ამას გაგიკეთებს. მაგას ვერ გააკეთებს ყველა. ჩვენ, უბრალოდ, გეგმა გვიწერია, გვერდით – აქტივობები, რაც გვქონდა დაგეგმილი, ეს რამდენად შეასრულა, გამოუვიდა, არ გამოუვიდა, ნაწილობრივ გამოუვიდა და რა უნდა გავაუმჯობესოთ“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„პროგრესის შეფასებისთვის გვჭირდება სპეციალისტი და ეგ სპეციალისტი ჩვენ არ გვყავს და ამას ვინ გააკეთებს“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

აღსანიშნავია, რომ, დღის ცენტრების წარმომადგენლების თქმით, ბავშვები და მშობლები გეგმების შემუშავების პროცესში ჩართულნი არ არიან. მათ უკვე ჩამოყალიბებულ გეგმებს აცნობენ. მშობლების შემთხვევაში, ეს შეიძლება მოხდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, კრებაზე.

„ზუსტად მაგიტომ გვაქვს კრება, რომ იცოდნენ – 6 თვეში ერთხელ სავალდებულოა გამოცხადება, რომ ეს გეგმები განვიხილოთ ერთობლივად. ბავშვები არ ესწრებიან შეკრებებს, მშობლები ესწრებიან. მაგრამ ბავშვებმა იციან, რომ იმ გეგმაში დასახული მიზნები უნდა იქნეს მიღწეული. არის შემთხვევები, როდესაც მშობლები იქით გვაძლევენ რეკომენდაციებს; სწორედ ამიტომაც გვყავს ჩართული ისინი გეგმის გადასინჯვის პროცესში“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ბავშვებმა იციან, რა დაიგეგმა მათთან მიმართებით და მშობლებსაც ვაწვდით ინფორმაციას. ხშირად მშობლების და ბავშვების ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა ხოლმე, განსაკუთრებით, თუ ბავშვი ახალი ბენეფიციარია. თუ მუშაობის პროცესში გამოვლინდა, რომ, რაც დაიგეგმა, ვერ ხორციელდება სხვადასხვა მიზეზის გამო,

კონტაქტზე გავდივართ მშობელთან და ვატყობინებთ ამის შესახებ იქამდე, სანამ გეგმის ვადა ამოიწურება. მაგალითად, თუ დაიგეგმა ცეკვის გაკვეთილი და ბავშვს ფორმა არ მოაქვს და თავს არიდებს გაკვეთილზე შესვლას, მშობელი ინფორმირებულია ამის შესახებ. ახალი გეგმის შექმნისას ვითვალისწინებთ ბავშვის მოსაზრებებს". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ვერ გეტყვით, რომ, როცა გეგმა იქმნება, ამ პროცესში მშობელი ერთვება, სამწუხაროდ. ზუსტად ერთი კვირის წინ გვქონდა ამაზე საუბარიც, რომ ეს ნაწილი გამოსასწორებელია, იმიტომ რომ, გეგმას როცა ვწერთ, შემდეგ ზედაპირულად ვაცნობთ მშობელს, თუმცა ვიცით, რომ, წესით, მშობელი უნდა იყოს ჩართული პროცესში". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„რაც შეეხება გეგმას, სულ მაინტერესებს ამ გეგმის ამბავი. ჩემს კოლეგებს, ბევრს ვკითხე, როგორი უნდა იყოს გეგმა, სულ ვკითხულობ, სრული პასუხი ვერასდროს ვერ მივიღე. შემდეგ ავდექი და სხვადასხვა კოლეგებმა რომ მომაწოდეს, იქიდან გავაკეთე ნაკრები და ძალიან მომწონს". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

დღის ცენტრების ძალიან მცირე ნაწილი იყენებს შემთხვევის მართვის სრულ პროცესს – მომსახურებაში ჩართვიდან მოყოლებული, შეფასების, გეგმის შემუშავების, გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და შემთხვევის დახურვის ჩათვლით.

„რაც შეეხება გეგმის შედგენას, როდესაც ჩემთან მოდის უკვე ჩარიცხული ბავშვი, რაღაც პერიოდი გვაქვს ამ ბავშვის შეფასებისთვის... ფსიქოლოგები ვაფასებთ ბავშვის ქცევას, მისი აკადემიური უნარების, კოგნიტური და ფუნქციური უნარების, ანუ ყველაფრის, რადგან, როდესაც მოდის შეფასებული ბავშვი სააგენტოდან, ეს არ არის საკმარისი, და ხელახლა ვაფასებთ ბავშვებს. მშობელთან, რა თქმა უნდა, გვაქვს ინდივიდუალური შეხვედრა, ოჯახისგან ინფორმაციის ამოღება თავისთავად ხდება. ამის შემდგომ გვაქვს მულტიდისციპლინარული შეხვედრა, ესწრებიან შეხვედრას თანამშრომლები, ვინც ჩართულია ბავშვის საკითხებში. ეს ადამიანები ვგროვდებით, ვიკრიბებით, ასევე, პედაგოგები, რადგან მათაც უწევთ საგნობრივი გეგმის დაწერა. ვაჯამებთ ამ ინფორმაციას და ერთად იწერება გეგმა, სადაც მონიტორინგი მუდმივად მიმდინარეობს. ერთი კომპონენტი, რაც არის, ეს არის ჯგუფური შეხვედრები ბავშვებთან მათი ემოციური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეს ყოველთვის ხდება. მიზნები, რაც არის კონკრეტულად ბავშვებისთვის, ეს მიზნები 6 თვის თავზე, ახალი გეგმის შედგენის შედეგად თუ შესრულდა, ვხსნით; თუ ნაწილობრივ შესრულდა, ვტოვებთ და, თუ დაემატა რამე, ვამატებთ. მშობელი, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს ეცნობა. თავიდანვე ვეუბნებით მშობელს, რომ უნდა შედგეს სამოქმედო გეგმა, მასაც ვაცნობთ ამ გეგმას და ბავშვმაც იცის ამ გეგმის შესახებ. თავიდან, როდესაც მშობელი მოდის და ჩვენ ვაცნობთ ყველაფერს, ვეუბნებით, რომ უკვე ჩაერთნენ პროექტში, შესაბამისად, სამოქმედო გეგმა უნდა შეიქმნას, რის მიხედვითაც

ვიმუშავებთ თქვენთან და ბავშვთან". – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

უსაფრთხოება: მშობლების მოსაზრებები

მშობლები აღნიშნავენ, რომ დღის ცენტრებში მათი შვილებისთვის შექმნილია ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო. ასევე, ისინი დარწმუნებულნი არიან თავიანთი შვილების უსაფრთხოებაში, თუ დღის ცენტრს ისინი გასვლით ღონისძიებაზე ან ექსკურსიაზე მიჰყავს.

„ყველანაირად უსაფრთხო გარემოა". – მშობლების ფოკუსჯგუფი

„როგორც სახლში არიან ჩვენი შვილები დაცულები, აქაც არის ისეთი სიტუაცია, როგორც სახლში და ოჯახში. ზამთარში აქვთ სითბო, სიცივეში არ არიან. ვიცით, რომ არაფერს არ იტკენენ, არაფერს არ დაიზიანებენ. ახლა, ყველა ბავშვია... რაღაცაზე წაკინკლავდებიან, არც ამის საშუალებას არ აძლევენ, იღებენ ის ბავშვები შენიშვნას". – მშობლების ფოკუსჯგუფი

„ჩემი შვილი არასდროს დამოუკიდებლად არ გამიშვია და მთელი დღეები თავისუფლად გავატანე ზღვაზე, რადგან ვიცოდი, იმდენად ყურადღებით იქნებოდნენ, არც დაიკარგებოდა და არც არაფერი მოუვიდოდა". – მშობლების ფოკუსჯგუფი

მშობლები, ასევე, ამბობენ, რომ დღის ცენტრებში ბავშვებს ასწავლიან საკუთარი უფლებების შესახებ, რაც მათი დაცულობის ხარისხს ზრდის:

„ბევრჯერ მოსულა ჩემი შვილი და უთქვამს, რომ ტრენინგებზე ჩემი უფლებები მასწავლესო. ან, როგორ უნდა მოვიქცეთ გარკვეულ ვითარებაში, ამას ასწავლიან ნამდვილად ტრენინგებზე". – მშობლების ფოკუსჯგუფი

ძალადობის პრევენცია და რეაგირება: სპეციალისტების მოსაზრებები

სახალხო დამცველის აპარატისა და სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ძალადობის პრევენციისა და ადეკვატური რეაგირებისთვის აუცილებელია დღის ცენტრებში კადრების პროფესიული გაძლიერება. ასევე მნიშვნელოვანია ბავშვებსა და მშობლებთან დღის ცენტრების მხრიდან მუშაობა, რათა მათ გაიგონ, რა არის ძალადობა, და როგორ დაიცვან მისგან თავი. ამ კუთხით მდგომარეობა სახარბიელო არ არის.

„ამ ყველა შემთხვევაში, უსაფრთხოება და ძალადობისგან დაცვა არის უპირატესი, შემდგომ – ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება. ამ მიმართულებით სერვისის გაძლიერების საჭიროებას ქცევითი სირთულეების და ძალადობის პრევენციის კუთხით ვხედავთ. უსაფრთხოების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, გაძლიერდეს მუშაობა დღის ცენტრებში. დღის ცენტრი რომ მუშაობდეს, როგორც ოჯახის გაძლიერების ორგანო, დამატებითი რესურსი არის საჭირო". – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი.

„...ძალიან მნიშვნელოვანია, თითოეული ბავშვი იყოს მეთვალყურეობის ქვეშ, დღის ცენტრში არ იყოს ძალადობა... ძალიან დიდი ყურადღებით იყვნენ ნებისმიერ

ძალადობაზე ეჭვის შემთხვევაში. ძალადობის ამოცნობაც ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა. თუკი ბავშვი მოდის და რაღაცა ნიშნები აქვს, ასე თუ ისე, დატრენინგებული სტაფი უნდა ჰყავდეთ, რა თქმა უნდა, და უნდა იცოდნენ ამ ნიშნების ამოცნობა, რა ახასიათებთ ძალადობაგანცდილ ბავშვებს... ძალიან მნიშვნელოვანია, ორგანიზაციების განვითარებას შევუწყოთ ხელი და ჰყავდეთ სპეციალისტები ან დატრენინგებული პედაგოგები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვების დაცვას. თუკი ეჭვი გაჩნდა ნებისმიერი სახის ძალადობაზე, ნდობა იყოს მოპოვებული დღის ცენტრში, რომ ბავშვმა თავისუფლად შეძლოს ამაზე საუბარი, რომ დახმარება გავუწიოთ, როგორ უნდა მოხდეს რეფერირება შესაბამის უწყებებთან და ა.შ. თვითონ ბავშვებმა უნდა იცოდნენ და ბავშვები უნდა იყვნენ ინფორმირებულები ამ მიმართულებით, თუ რა არის ძალადობა და როგორ დაიცვან თავი. ეს სფეროც ცოტას მოიკოჭლებს". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი.

სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელთა ინფორმაციით, დღის ცენტრებში ბავშვები აფიქსირებენ ძალადობის შემთხვევებს, რომელთა შესახებ საუბარი სხვა სივრცეებში არ შეუძლიათ. დღის ცენტრების ნაწილი ასეთ შემთხვევებზე ბოლომდე ახორციელებს ადვოკატირებას:

„ერთ დღის ცენტრში იყო ასე, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო, ვერსად ვერ თქვა ამ ბავშვმა და თქვა დღის ცენტრის დირექტორთან... თუ ფიზიკურად ეტყობა და [პასუხისმგებელ პირს] უნარი აქვს, ამოიცნოს ძალადობა, რეაგირებას ახდენს და, ხომ გითხარით, ბოლომდე მიჰყვა და პასუხისგებაში მიაცემინა მოძალადე. სრულად გაუწია მას ადვოკატირება ცენტრის სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან ერთად". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი.

დღის ცენტრების წარმომადგენელთა ინფორმაციით, მათ იშვიათად, თუმცა აქვთ ოჯახში ძალადობის შემთხვევები, როდესაც, მათი ჩართულობით და ინფორმირებითაც, სახელმწიფომ, შესაძლოა, ბავშვი ოჯახიდან გამოიყვანოს. თუმცა უფრო ხშირად დღის ცენტრებში მუშაობენ მშობლებში აღზრდის სათანადო უნარების დეფიციტით გამოწვეული შედეგების აღმოსაფხვრელად.

„დღის ცენტრში ძალადობის შემთხვევა მქონია, თუმცა იდენტიფიცირებული არ ყოფილა ოჯახის მხრიდან ბავშვზე ძალადობა. ასეთი არ მქონია... არასწორი აღზრდის ძალიან ბევრი მაგალითი გვაქვს, რაზეც ვატარებთ ტრენინგებს". – დღის ცენტრის თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

„ჩვენთან ძალადობის გამო [ოჯახიდან ბავშვის] გამოყვანა არ მახსენდება. უბრალოდ, უგულებელყოფის გამო გადაიყვანეს ბავშვი მინდობით აღზრდაში. ეხლაც არის სამი ძმა, რომლებიც ცხოვრობენ ავტოფარეხში, წყალი არ აქვთ, არაფერი არ აქვთ, არიან ცუდ პირობებში. მიდის საქმე, რომ ამ ბავშვებს უშველონ." – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

„ჩვენ გვყავდა ბავშვი, რომლის დედაც იყო მამისგან ძალადობის მსხვერპლი. ბავშვზე არ ძალადობდა მამა. ბავშვს ძალიან უყვარდა საკუთარი დედა და ამ ძალადობრივ გამოცდილებას გამოხატავდა ისე, რომ ყმუოდა გაკვეთილებზე. ძალიან მძიმე მდგომარეობა გვქონდა ამ კუთხით. რა თქმა უნდა, სპეციალისტები დავიხმარეთ. მერე ისე მოხდა, რომ სოციალურ სამსახურსაც მივმართეთ და ეს ბავშვი გამოყვანილ იქნა ამ ოჯახიდან. დედა გაძლიერდა, მშობლები გაშორდნენ ერთმანეთს. სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა და ციხეში იყო ის ადამიანი (მამა), იმიტომ რომ დედას კეტავდა სარდაფში და სცემდა. დღეს ისეთი შემდგარი ბიჭია, კარგი ბავშვია და მიხარია, რომ ვუყურებ. მიხარია, რომ ის ეტაპები ერთად ასე გადავიარეთ“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

დღის ცენტრების ინფორმაციით, ბულინგის შემთხვევაში, შესაძლოა, დღის ცენტრმა საკუთარი ძალებით დაარეგულიროს შემთხვევა, თუმცა, როგორც წესი, ადგილზე ამ დროს ესაჭიროებათ ფსიქოლოგი, არაფორმალური განათლების დამატებითი სპეციალისტი და სხვა დამხმარე სპეციალისტები.

„რაც შეეხება ძალადობას, ფაქტებს არ გამოვრიცხავ. ბავშვები, რომლებსაც აქვთ მძიმე ემოციური ფონი და გარკვეული სოციუმიდან მოდიან, თვითონაც ძალადობრივი განცდებით მოდიან და აქვთ ვინმეს დაჩაგვრის სურვილი. ამ შემთხვევაში, ძალიან ცუდია, რომ არ გვყავს ფსიქოლოგი. ყველანაირად ვცდილობთ, რომ დადებითი გავლენა მოვახდინოთ. თუ შევამჩნიეთ, რომ ვერ ვეხმარებით, უკვე მივმართავთ ფსიქოლოგს და სოციალურ მუშაკს და ატყობინებენ, რომ საჭიროა დახმარება. არა კონსულტაცია, არამედ დახმარება. დოკუმენტაციის მხრივ, ჩვენ გვაქვს ძალადობის შემთხვევების ჟურნალი და ფაქტებს აღვრიცხავთ. გარდა ამისა, ვესაუბრებით მშობელს, როგორ უნდა შეძლოს ამ ბავშვის დახმარება“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

„ყოველი ახალი ბავშვის მოსვლის დროს იყო კონფლიქტები ერთმანეთში, ვიღაცა წამყვანი ყოველთვის არის, თუმცა მერე, კარგად რომ გაეცნობიან ერთმანეთს, წყნარდებოდნენ“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

„გამოწვევა, ვფიქრობ, არის. რაც არ უნდა ბევრს ვსაუბრობდეთ და ბევრი აქტივობები გვქონდეს, მაინც არის ბულინგი. არა დღის ცენტრში, არამედ დღის ცენტრის გარეთ, იქნება სკოლა, ოჯახი თუ ა.შ. ... [ამ საკითხზე] ძალიან აქტიურად ვსაუბრობთ. არის პერიოდები, როდესაც ვფიქრობთ, რომ ეს პრობლემა აღმოიფხვრა, მაგრამ რაღაც პერიოდის მერე ისევ თავს იჩენს ხოლმე და ძალიან აქტიურად ვმუშაობთ ამ საკითხზე“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

„ჩვენთან 150-მდე ბავშვია. ეს ბავშვები იმდენად გახსნილები არიან, ოდნავ რაღაცა რომ ხდება, თუნდაც მცირეოდენი კონფლიქტი, აი, მართლა, რამდენიმე სპეციალისტი ერთდროულად ვერთვებით, რომ ბულინგამდე არ მივიდეთ“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„აი, სწორედ ბულინგი იყო ერთ-ერთი გამოწვევა, რომელიც ცოტა ხნის წინ გვქონდა. დღის ცენტრის ბენეფიციარი გოგონების, დების, მიმართ იყო ბულინგი ბიჭების მხრიდან. ამან გასტანა ორ თვემდე პერიოდი. ცხადია, ამ პროცესში ვცდილობდით მაქსიმალურად მართვას. თავისთავად, ტრენინგებს ვუტარებდით, ცალკე ფსიქოლოგი ესაუბრებოდა, ყველა ცალ-ცალკე, და ასე შევძელით, გვემართა ეს სიტუაცია. ანუ ცალკე ბულინგის მსხვერპლ ბავშვებთან ვმუშაობდით, რომ რაღაცნაირად გაგვეძლიერებინა ისინი, და ცალკე – მეორე ჯგუფთან. ამ ბავშვებს, ვინც იყო ბულინგის მსხვერპლი, უნდოდათ დღის ცენტრიდან გასვლა და მერე მოვიფიქრეთ ასეთი გზა, რომ მორიგეობა დაგვეწესებინა იმ ბავშვებისთვის, ვინც ახორციელებდა ბულინგს – ე.წ. ბულერებისთვის, და მათთვის, ვინც იყო ადრესატი. მაგრამ ეს შემდეგ არ დაგვჭირდა, რადგან რაღაცნაირად მოვახერხეთ სიტუაციის მართვა, თუმცა მარტივი არ ყოფილა. ანუ საწყის ეტაპზე გამოვლინდა ბულინგი, თუმცა ამ საწყის ეტაპზე ვერ მოხერხდა პრობლემის სიმწვავის შეფასება, ან შეიძლება ეტაპობრივად გამწვავდა, შეიძლება ასეც ყოფილიყო“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„როდესაც მსგავსი ტიპის პრობლემებს წავაწყდებით, ჩვენ თვითონ მოგვიწევია მეგობარი პოლიციის თანამშრომელი, ან ვიღაც ამ მიმართულებით, რომელიც უტარებს ბავშვებს ტრენინგს, რას ნიშნავს ესა თუ ის ქმედება, ძალადობა. ინფორმაციას ვაწვდით ყველანაირად“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

ძალადობის პრევენცია და რეაგირება: მშობლების მოსაზრებები

მშობლების ინფორმაციით, დღის ცენტრში ძალადობის ფაქტის/ფაქტების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ, თუმცა ბავშვებს შორის ყოფილა შეკამათება, მცირემასშტაბიანი კონფლიქტებიც ხდება ხოლმე, რომლებსაც დღის ცენტრი არეგულირებს:

„თუ ყოფილა [კონფლიქტი], თანამშრომლებს მოუგვარებიათ“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

„უმნიშვნელო კონფლიქტი შეიძლება ყოფილა, ყველა ბავშვი კამათობს და კინკლაობს. სერიოზული არაფერი“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

„მთავარია, ძალადობის ფორმა არ მიიღოს ამ კონფლიქტმა და დაზიანებები არ მიიღონ“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

„ჩემი შვილი რომ მომყავს დღის ცენტრში, ისე შემოეხვევიან ხოლმე ბავშვები. ოჯახური გარემოა. აგერ დღეს მეც რომ მოვედი, როგორც ჩემს შვილს, ისე მივეცი შენიშვნა, მერე რა. რაღაცაზე ცოტა ხმამაღლა თქვეს ბავშვებმა და მერე რა. არიან, როგორც ოჯახის წევრები“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

„ჩვენც ეს დამოკიდებულება გვაქვს, რომ მოვალთ, შინაურებივით ვიყოთ და თუნდაც მასწავლებელს თამამად ვუთხრათ, რაც ჩვენი გასაჭირი იქნება თუ ჩვენი მოსაზრება. მაგრამ ახლა ესენიც ისეთები რომ იყვნენ, რომ [გვითხრან], რა თქვენი საქმეა, თქვენ ვინ გეკითხებათ, მოიყვანეთ, დატოვეთ და წადითო, ბუნებრივია, ასეთი უხეში

დამოკიდებულება რომ იყოს, ვერც ჩვენ ვერ გავთამამდებით, ჩვენი მოსაზრება თამამად რომ ვთქვათ. ბავშვებიც იმიტომ არიან ასე ერთად, რომ, თანამშრომლები როგორც არიან ერთმანეთთან, ბავშვებიც იმას ითავისებენ, ანუ არის ოჯახი და დამმებივით უნდა იყვნენ". – მშობლების ფოკუსჯგუფი

სოციალური უნარების განვითარება, სოციალიზაცია და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება

დღის ცენტრები, საკუთარი რესურსიდან გამომდინარე, ცდილობენ, შესთავაზონ ბავშვებს ღონისძიებები, რომლებიც სოციალური უნარების განვითარებაზე, სოციალიზაციასა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის შემზადებაზე არის ორიენტირებული. აქცენტი კეთდება ჰიგიენის წესების დაცვაზე, საზოგადოებაში ქცევის წესებზე, ემოციების მართვაზე, ასევე, გასვლით აქტივობებზე, როგორც სოციალიზაციის ხელშემწყობ ღონისძიებებზე. გარდა ამისა, ზოგიერთ დღის ცენტრში იწვევენ სპიკერებს ბავშვებთან სხვადასხვა თემაზე სასაუბროდ.

„უნდა ვისაუბროთ იმ აქტივობებზე, რომლებიც დაეხმარება, სოციუმში რომ სწორად ადაპტირდნენ. მე დავიწყე ისეთი აქტივობების ჩატარება, რომლებიც ეხებოდა ჰიგიენას. ამ კუთხით დღემდე პრობლემა გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვსაუბრობთ ამ თემაზე. ასევე, ვიყენებ ვიდეოჩვენებებს ამ აქტივობების დროს. სიტყვიერი შეიძლება ვერ გაიგონ და ვიზუალური ახსნაც უნდა იყოს. ასევე ვიყენებთ სხვადასხვა ბეჭდურ საშუალებას... გვაქვს წიგნი ჰიგიენასთან დაკავშირებით, სადაც სხვადასხვა აქტივობებია და ვიყენებთ. ამ ყველაფრის მერე მიმდინარეობს განხილვა, აბსოლუტურად ყველას აქვს იმის საშუალება, რომ თავისი აზრი გამოთქვას. ჰიგიენის მერე არის, როგორ უნდა ვიკვებოთ, რომ არ შეწუხდნენ ჩვენ ირგვლივ მყოფი ადამიანები და არ დავსვაროთ გარემო. ამასთან დაკავშირებით გვქონდა პრობლემა და მოგვიწია ჩატარება. ასევე [ვასწავლით] სკამზე ჯდომის წესებს. აქვთ პროტესტი, ამბობენ, რომ არასწორად ჯდომა მოსწონთ და უნდათ. ვსაუბრობთ ბულინგზე. ამ ბოლო დროს დაგვჭირდა, რომ გვესაუბრა ნაადრევ ქორწინებაზე. აბსოლუტურად ყველა თემას ვეხებით, რაც შეიძლება დასჭირდეთ". – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

„კვირაში ერთხელ თითოეულ ჯგუფს ვხვდებით, ანუ, ჯამში, სამი შეხვედრა გამოგვდის. გვაქვს გაწერილი ჩვენი პროგრამა. აკადემიური უნარების გარდა, სხვა ყველა უნარზე მიმდინარეობს მუშაობა. თემები გაწერილია და თითოეულ ჯგუფთან ვახორციელებთ აქტივობებს. ვითავლისწინებთ ბავშვების აზრს. არის ხოლმე, რომ არ არიან მზად იმ კონკრეტული აქტივობებისთვის და უნდათ ხოლმე მხოლოდ რელაქსაციის აქტივობები. ვითვალისწინებთ ამას და ბავშვების გადაწყვეტილებებს ვემხრობით. ზოგადად, გაწერილი გაიდლაინით ვხელმძღვანელობთ. ხშირად არიან ჩვენი ბავშვები მიწვეული სხვადასხვა ღონისძიებებზე, თეატრში, გამოფენაზე. ჩვენ ძალიან ახლოს ვართ დადიანების სასახლესთან და შარშან ზაფხულს ხშირად დადიოდნენ ბავშვები. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს სივრცე, სადაც ბავშვები ფიზიკური

აქტივობებით დაკავდებიან. სხვა დანარჩენი, ეს იქნება ფსიქოემოციური თუ ფსიქოსოციალური აქტივობები, ყველაფერი სრულდება. აკადემიურ უნარებზე [სკოლის] მასწავლებლები ზრუნავენ". – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

„ამაზე ლაპარაკი ჩვენი ყოველდღიური რეჟიმია. ამ ბოლო დროს ცენტრში მომრავლდნენ პატარა ასაკის ბავშვები. მე გარდატეხის ასაკის ბავშვები მყავს და, როდესაც დგას პრობლემა და [ბავშვები ამბობენ], მე ასე მინდა, ისე მინდა – ჩვენ შევიმუშავეთ კლასის წესები, გამოკრული გვაქვს და რაღაცნაირად ვემორჩილებით ამას. ეს წესები ერთად შევიმუშავეთ და ვეღარ ამბობენ, მე არ დამიწერიაო. პროფესიული თვალსაზრისით, ძალიან დიდი სფეროა განვითარების. ასევე, „კარიტასმა" გააკეთა ტექნოლოგიების ცენტრი და შეუძლიათ, უსასყიდლოდ ისწავლონ პროგრამირება. ბევრი ბავშვი გადის ამ კურსებს. ასევე, სამ თვეში ერთხელ ჩვენთან ვინმეს მოვიწვევთ, ცნობილ რაგბისტს, ადვოკატს და ა.შ., რომლებიც აცნობენ, რა გზის გავლა დასჭირდათ წარმატებამდე. ყველა დამრიგებელს გვაქვს „კლასის საათი", ასეთ თემებზე იქ ვსაუბრობთ ხოლმე. კოორდინატორს თუ ატყობინებენ ახალ ტრენინგზე, ის ასაკის მიხედვით აგზავნის ბავშვებს რამდენიმეს". – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

„იმისთვის, რომ დავეხმაროთ ბენეფიციარს ყოფითი თუ სოციალური უნარების განვითარებაში, გვყავს არაფორმალური განვითარების მასწავლებელი, და ძალაინ კარგად მუშაობს. გვაქვს გაწერილი გეგმა, რომელსაც ბავშვებთან ათანხმებს. ძალიან კარგად მუშაობს ეს. გვყავდა ძალიან კარგი ექთანი, რომელმაც ჯანმრთელობის გამო დატოვა სამსახური. ხშირად გვქონდა ტრენინგები. ამ რეჟიმს დავუბრუნდებით აუცილებლად". – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

„გამოწვევები ბევრია. ჩვენ გვაქვს გაწერილი მიზნებში. ძალიან მნიშვნელოვანია დამოუკიდებლად ცხოვრების უნარების გამომუშავება, დროის მენეჯმენტი, სწავლება ბავშვისთვის, როგორ განკარგო სწორად დრო; თუნდაც რაღაც ღონისძიებები, რაც არის დაგეგმილი, დროის ინტერვალებში ამ ღონისძიებებში რომ ჩაერთოს. არის ჯგუფური აქტივობები, არის ინდივიდუალური აქტივობები, რა თქმა უნდა, ბავშვების საერთო ინტერესებიდან გამომდინარე". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელთა აზრით, დღის ცენტრი პროფესიული უნარების განვითარებაზედაც უნდა მუშაობდეს, თუმცა ამ კუთხით მშობლებთან კარგი კომუნიკაცია არის საჭირო.

„გარდა ამისა, მნიშვნელოვანია პროფესიული უნარების გამოვლენის ხელშეწყობა. ამ მხრივაც, დღეს რა ბაზარი გვაქვს შრომითი, როგორ უნდა მოხდეს ამ მიმართულებების არჩევა, ამაშიც უნდა ეხმარებოდეს დღის ცენტრი ბავშვს, რა თქმა უნდა, მშობლის

ჩართულობით, მშობელთან ერთად. მშობლის ჩართულობა ცოტათი პრობლემაა და მშობელთან კომუნიკაცია“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

კადრების პროფესიული განვითარება

დღის ცენტრების მცირე ნაწილის თანამშრომლებს ჩატარებიათ ტრენინგი ან საინფორმაციო შეხვედრები მომსახურების მარეგულირებელ სტანდარტებთან დაკავშირებით.

„მე არ მახსენდება“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი
„მეც მიჭირს პასუხის გაცემა“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი
„ჩვენ გვაქვს საინფორმაციო დაფა, სადაც ყველა დოკუმენტი არის. ტრენინგის სახით არ ჩამტარებია“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი
„რამდენიმე წლის წინ ჩვენ შევხვდით, ყველა თანამშრომელი, ორდღიანი შეხვედრა იყო და გაგვაცნეს ყველაფერი, 2 წლის წინ იყო დაახლოებით“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი
„მე პირადად რამდენჯერმე ვყოფილვარ ამ ტრენინგებზე, პედაგოგებსაც ჩატარებიათ ადრე, ოღონდ ახლა არ მახსოვს“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტების, პროფესიონალების საკმარისი რაოდენობით არსებობა დღის ცენტრებში დიდ გამოწვევას წარმოადგენს, პირველ რიგში, დაფინანსების სიმწირის გამო. სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, კადრების პრობლემები დღის ცენტრებში, სხვა მიზეზებთან ერთად, იმითაც არის განპირობებული, რომ ქვეყანაში, კერძოდ, სოციალური მომსახურებების სფეროში, სპეციალისტების სიმწირეა. დიდ პრობლემას ქმნის კადრების გადინებაც.

„თუ პროფესიონალი არ გყავს და არ იცის, როგორ აკეთოს ეს საქმე, როგორ წარმოგიდგენიათ? განათლების სამინისტროში უნდა იყოს ისეთი მიმართულებები, იყოს პროფესიონალი კადრი, გადამზადების დონეზე არ უნდა ვიყოთ. სისტემური აკადემიური განათლება უნდა იყოს. მე რომ სამდღიანი ტრენინგი გავიარო ქცევის მართვის, ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ ვერ ვმართავ ქცევას“. – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი.

„ამ ბიუჯეტით ვინღა დამრჩება ჩემს დღის ცენტრში, თან სკოლებში ისეთი ანაზღაურება აქვთ პედაგოგებს, აქ ვინ მოვა ამ ხელფასზე? შესაბამისად, დამაგრების [კადრების შენარჩუნების] პოზიციაზეც კი ვარ ხანდახან“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

რაც შეეხება კადრების პროფესიულ განვითარებას, ამა თუ იმ დღის ცენტრს სხვადასხვა მიდგომა აქვს. ნაწილი სთავაზობს ახალ კადრებს ტრენინგებსა თუ ორიენტაციის მეტ შესაძლებლობას მუშაობის დაწყებისას; ზოგიერთ დღის ცენტრში თანამშრომლები გადიან სხვადასხვა თემატურ ტრენინგსაც, მაგალითად, ბულინგის/ძალადობის, ბავშვის უფლებების,

პროფესიული გადაწვის პრევენციისა და სხვა თემებზე. დღის ცენტრების ნაწილში აჰყავთ მოხალისეები, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ სამომავლო კადრადაც შეიძლება მოიაზრონ, რადგან ისინი უკვე იცნობენ დღის ცენტრის სპეციფიკას. თუმცა ფინანსების სიმწირე დღის ცენტრების შესაძლებლობებზე ამ კუთხითაც უარყოფითად მოქმედებს. ასევე აღსანიშნავია, რომ კადრების განვითარება და მათთვის ტრენინგების ჩატარება, როგორც წესი, ორგანიზაციის მიერ დამატებით მოპოვებული თანხებით ხორციელდება, იშვიათად – ვაუჩერული დაფინანსებით:

> *„ჩვენ, დიდი ხანია, ახალი პერსონალი არ დაგვიმატებია, თუმცა გვაქვს ასეთი მიდგომა, რომ გვაქვს გამოსაცდელი ვადა, იმიტომ რომ ხანდახან კი არის საკუთარი საქმის მცოდნე, მაგრამ ჩვენი სამუშაო გარემო არ არის მარტივი. სკოლებისგან განსხვავებით, ჩვენ უფრო რთული სამსახური გაქვს, რადგან გვიწევს იმ დავალებების შესრულება, რასაც გვაძლევს სკოლა. ძირითადად, ეს არის [სირთულე]. მშობლების მოთხოვნაც ეს არის ხოლმე. თვითონ რომ ვერ ეხმარებიან, გარემო რომ არ აქვთ შესაბამისი, ან კომპეტენცია და ა.შ., ამიტომ უნდათ, რომ ჩვენი პედაგოგების ხარჯზე მოხდეს მეორე დღის სასკოლო დავალებების მომზადება“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„ბილიკს“ აქვს ორი დღის ცენტრი. ზოგადად, გეტყვით, რომ პედაგოგები, ვინც არიან „ბილიკში“, რაც „ბილიკი“ არსებობს, არიან აქ. ასევე, ხელგარჯილობის პედაგოგი ძალიან ბევრი წელია აქ დასაქმებული. გარდა ამისა, რაც შეეხება კადრებს, „ბილიკს“ აქვს ასეთი პრაქტიკა, თითქოს წინასწარ თვითონვე ამზადებს იმ კადრებს, რომლებმაც სამომავლოდ შეიძლება ჩაანაცვლონ ფსიქოლოგი ან სოციალური მუშაკი, იმიტომ რომ „ბილიკს“ აქვს მოხალისეობის პროგრამა, და ის მოხალისეები, რომლებსაც აქვთ აქ პრაქტიკა გავლილი, უფრო მეტად კონკურენტუნარიანები ხდებიან სხვა დასაქმების მსურველებთან შედარებით. მათ უკვე იციან ის საქმე, რომელსაც შემდეგ გააკეთებენ, და იცნობენ იმ სირთულეებს, რომლებსაც შეხვდებიან“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი*

> *„მუშაობა რომ დავიწყე, არაფორმალური განათლების სახელმძღვანელო მომცეს, რომ გავცნობოდი. ასევე, გვიტარდება ტრენინგები, ჩართულები ვართ. ეს სურვილისამებრ არის“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი*

სხვა საკითხებთან ერთად, პროფესიული გადაწვის პრევენცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს კადრების და მათი პროფესიონალიზმის მაღალი ხარისხის შენარჩუნებაში. დღის ცენტრების ნაწილი ახერხებს გასვლითი შეხვედრებისა და სხვა აქტივობების მოწყობას ამ კუთხით, თუმცა, როგორც წესი, ეს არ ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსებით.

> *„ეს-ო-ეს-ის მხრიდან ტრენინგებით განებივრებულები ვართ, ასევე, სხვა ორგანიზაციებში გვიწვევენ ხოლმე, და ამ ტრენინგებსაც ვესწრებით. გადაწვაზეც გვაქვს ტრენინგები წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ. ძირითადად, არის გასვლითი, შესაბამისად, ეს ფუფუნება გვაქვს“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი*

„წელიწადში ორჯერ არის ხოლმე ტრენინგები, ჩვენთან ტრენინგის სახე არ აქვს, რადგან, რომ ჩატარდეს ტრენინგი, მთელი ცენტრი უნდა დაიხუროს, ვერავინ ვერავის ვერ შეცვლის. ბოლო ტრენინგი რაც მახსენდება, ეხებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების აღმოჩენას. ჩვენ არ გვყავს ფსიქოლოგი და ვითავსებთ მის ფუნქციებს. წელიწადის ბოლოს ძალიან დაღლილები თიმბილდინგზე მივდივართ ხოლმე 3 დღე და ძალიან სასიამოვნოა ეს“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

„ძლიერი, განვითარებული პედაგოგი დღის ცენტრისთვის ძალიან მნიშვნელოვანი რომ არის, ცხადია. ორგანიზაცია ამაზე მუდმივად რომ უნდა მუშაობდეს. ეს ცალსახად ასე ხდება. რაც შეეხება პროფესიულ გადაწვას, გადის მორალური, ფიზიკური ბენეფიტების, ყურადღების ხარჯზე (ეს ყოველივე პროფესიულ გადაწვას იწვევს). სულ ვცდილობთ, რომ ამ ადამიანებს მხარდაჭერა აღმოვუჩინოთ. როდესაც მასწავლებელი ცდილობს, რომ ღია გაკვეთილი ჩაატაროს, ის უნდა იყოს დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენ მხარს დავუჭერთ და ყველანაირად იქნება აღჭურვილი. ექნება ყველა რესურსი და შეძლებს [გაკვეთილის] სრულფასოვნად ჩატარებას. პანდემიის პერიოდი იყო კარგად გამოყენებული, პედაგოგები იყვნენ მუდმივად ჩართული ონლაინ განმავითარებელ ტრენინგებში, დროის და ეკონომიკური რესურსის დაზოგვის შესაძლებლობის გამო“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

თუმცა არის დღის ცენტრები, რომლებშიც ტრენინგი თანამშრომლებს არც საწყის ეტაპზე, არც შემდეგ წლებში არ ჩატარებიათ:

„მე რაც მახსენდება, ეს იყო დიდი ხნის წინ, ეს იყო ძალადობაზე და ბავშვთა უფლებებზე. რამდენიმე წელია, ტრენინგი აღარ გაგვივლია“. – დღის ცენტრების თანამშრომლების ფოკუსჯგუფი

დღის ცენტრში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა

ბავშვები სხვადასხვა პერიოდულობით ირიცხებიან დღის ცენტრის მომსახურებაში. აღნიშნული გარემოების გამო დღის ცენტრში ახალი ბავშვების შემოდინება ნაკლებია, ვინაიდან მომსახურების მიმღები ბავშვები სარგებლობენ უპირატესი უფლებით, ახალი ბავშვები კი მომლოდინეთა სიაში დგებიან. ასევე, უფროსი ასაკის, დაახლოებით 14 წლის ზევით ასაკის ბავშვების ნაწილი სხვადასხვა მიზეზით უარს ამბობს დღის ცენტრებში სიარულზე, უმეტესად, იმის გამო, რომ დღის ცენტრში არაა მრავალფეროვანი აქტივობები. ბავშვის ამორიცხვას ასევე შეიძლება განაპირობებდეს გაცდენები:

„ჩვენთანაც ხანგრძლივად რჩებიან. თუ, ვთქვათ, დაწყებით კლასებში მოგვმართეს, მე-10-მე-11 კლასამდე რჩებიან. ახლა გვყავს ბავშვები, რომლებიც, დაწყებითში რომ შემოვიდნენ, ახლა მე-12 კლასში არიან, აბიტურიენტები არიან და ვამზადებთ საგნებში. ანუ გააჩნია, რა ასაკში ჩაირიცხება ბავშვი, იმის მიხედვით, საშუალოდ 7-8 წელი [ჩერდებიან მომსახურებაში]“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ძირითადად, ყველა ასაკობრივი კატეგორია გვყავს და, როცა ბავშვი მოდის, დღის ცენტრში სრულწლოვანებამდე რჩება“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„კარგია, შეჩვეული შენი ბავშვი რომ არის, მაგრამ იმ დანარჩენებმა რა ქნან? რაღაც უნდა ხდებოდეს იმ შუალედში, [მაგალითად,] გადახედვა... ფაქტიურად, სანამ არ წავა და ადგილი არ გათავისუფლდება, სხვა ვერ ირიცხება. მე იმაზე მეტად გაჭირვებული ადამიანი მინახავს, რომელსაც განცხადება აქვს დაწერილი და შეტანილი, ვიდრე აქ რომ ჩემთან უკვე ირიცხება“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩვენთან რაღაც ასაკი რომ უსრულდებათ, სადღაც 14 წელი, არ ვიცი, სირცხვილობენ, არ ვიცი, რაღაც მომენტი აქვთ, რომ აღარ უნდათ და მერე გადიან. ადრე სხვანაირად იყო და ახლა ასეა“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩვენს შემთხვევაშიც იყო რამდენიმე ფაქტი, როდესაც მისი ასაკის ბავშვი აღარავინ დადიოდა და ინტერესებიც შეეცვალა და დატოვა დღის ცენტრი. მეორე შემთხვევა იყო, კიდევ ჩვენამდე ქუჩაში იყო და აცდენდა სკოლას ჩვენს მერეც და ოჯახიც უბნიდან უბანში გადადიოდა და ამ ბავშვის ამორიცხვა მოხდა“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობა: მშობლების მოსაზრებები

მშობლების ინფორმაციით, მათ წარმატებული თანამშრომლობა აქვთ სოციალურ მუშაკებთან. სოციალური მუშაკები ახსენებენ მათ დღის ცენტრის ვაუჩერის მიღებასა და განახლებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აწვდიან ინფორმაციას სავალდებულოდ წარსადგენ დოკუმენტაციაზე, ეხმარებიან ოჯახსა და ბავშვებს სხვა საჭიროებების დაკმაყოფილებაში სხვადასხვა მომსახურებაში მათი გადამისამართებისა და ამ მომსახურებებში ჩართვის გზით.

„როგორც უკვე ვთქვით, სოციალური მუშაკები არიან ძალიან ყურადღებიანი, თავად გვახსენებენ ვაუჩერის განახლების ვადებს“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

„სოციალური მუშაკები არიან ძალიან გულისხმიერები, ყოველთვის ცდილობენ, დაგეხმარონ, როცა კი მიმიმართავს, უარი არაფერზე არ უთქვამთ. მაგალითად, ჩვენ ოჯახში გვყავს პატარა ბავშვი, რომელსაც აქვს ნეიროგანვითარების პრობლემა. ჰოდა, სოციალურმა მუშაკმა დაგვაკვალიანა და თვითონ ჩაგვსვა უფასო პროგრამაში, რითაც სარგებლობს ბავშვი. ჩვენ საერთოდ არ ვიცოდით, თუ არსებობდა ეს კლინიკა, ფასიანი იყო თუ არა“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

„თუ ოჯახში რამე პრობლემა გვაქვს, თვითონვე გვთავაზობენ დახმარებას“. – მშობლების ფოკუსჯგუფი

სოციალური მუშაკების მოსაზრებები დღის ცენტრებთან თანამშრომლობის თაობაზე

დღის ცენტრში ჩარიცხვისა და ვაუჩერის განახლების გარდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, სოციალური მუშაკი დღის ცენტრთან ურთიერთობაში არ ერთვება. თუმცა გამონაკლისის სახით არსებობს რეგიონები (მაგალითად, სამეგრელო-ზემო სვანეთი – ზუგდიდის რაიონში

ფუნქციონირებს „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის“ დღის ცენტრი), რომლებშიც დღის ცენტრის პროვაიდერი აწყობს შეხვედრას „მრგვალი მაგიდის“ ფორმატში ზრუნვის სააგენტოს, მუნიციპალიტეტის ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურისა და სხვა სათანადო უწყებათა მონაწილეობით დღის ცენტრის შემთხვევების განსახილველად.

> *„ჩვენს შემთხვევაში, ხშირად ტარდება შეხვედრები მრგვალ მაგიდასთან. ერთობლივ ქეისებზე ერთად ვმსჯელობთ ხოლმე, ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს დღის ცენტრთან. მონიტორინგის მიზნით არა, მაგრამ აზრის გაცვლა-გამოცვლა – კი. ეს არის პროვაიდერის მიერ ორგანიზებული“. – სოციალური მუშაკების ფოკუსჯგუფი*

დღის ცენტრების მონიტორინგი

დღის ცენტრების ინფორმაციით, მათთან შემოდიან სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფისა და ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენლები, რომლებიც აძლევენ მათ რეკომენდაციებს. ეს ვიზიტები დღის ცენტრებს უმეტესწილად ხელს უწყობს, რათა მათ გააუმჯობესონ საკუთარი მომსახურება, თუმცა დღის ცენტრების ნაწილისთვის ეს ვიზიტები ნაკლებად სასარგებლოა. მათი თანამშრომლების თქმით, მნიშვნელოვანია, მონიტორინგი მეტი კეთილგანწყობით ხორციელდებოდეს. ამ შემთხვევაში, ის უფრო მეტად ეფექტიანი იქნება. ასევე, დღის ცენტრების წარმომადგენელთა აზრით, საჭიროა, მონიტორინგთან ერთად უზრუნველყოფილი იყოს დღის ცენტრების სათანადო მხარდაჭერაც.

> *„ჩვენთან დადის სამინისტროს მონიტორინგი. არის მხარდამჭერი. გასცემს რეკომენდაციებს, რაც ჩვენთვის მისაღებია და მნიშვნელოვანია. მონიტორინგიდან მონიტორინგამდე ჩვენ ვიზრდებით“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„კი იყვნენ რამდენიმეჯერ და ვაჩვენე ჟურნალი და ელექტრონული აღრიცხვა და მკითხეს კარადაზე, თუ აქვთ ბავშვებს და თუ იკეტება“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„რა ვიცი, მონიტორინგი როცა მოდის, გვამოწმებს იმ სტანდარტებით, რა სტანდარტებიც მოგვეთხოვება. შესაბამისად, რა რეკომენდაციასაც მოგვცემს, იმ ერთ თვეში ან ორ თვეში უნდა იქნას შესრულებული. პასუხსაც ვაგზავნით. თუ ისეთია რეკომენდაცია, რომ მე შევძლებ მის შესრულებას, მაშინ მხარდამჭერია, ხოლო, თუ ვერ შევძელი, ასეთ რეკომენდაციას რა აზრი აქვს. ამგვარი (მეორე სახის) რეკომენდაცია არ მიგვიღია“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„ზოგადად, რაც არ უნდა მოწესრიგებული იყო, მონიტორინგი მაინც მონიტორინგია. ისე სახეები თუ უფრო კეთილგანწყობილი იქნება, თავისთავად მივესალმებით ნებისმიერ შენიშვნას, თუ რამეს არასწორად გავაკეთებთ“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„2014 წელს მე გავხდი ამ ცენტრის ხელმძღვანელი. იმავე წელს რამდენიმე წერილი გამოვაგზავნე სამინისტროში თხოვნით, რომ მე არ მაქვს ამის გამოცდილება და*

ვითხოვდი ჩემს დატრენინგებას, რომ რაღაც მესწავლა. რამდენჯერაც წერილი გამოვაგზავნე, იმდენჯერ პასუხი მივიღე, რომ არ არის ასეთი კურსები და ვერ დაგეხმარებით. ეს ყველაფერი არის ჩემი ნაცნობების, მეგობრების მოწვდილი ინფორმაციით აკინძული საქმე. მგონია, რომ ეს ყველაფერი სამინისტროდან უნდა მოდიოდეს; ჯერ გვასწავლიდნენ ყველაფერს, რომ ასე არ ვეძებოთ, და მერე უნდა მოდიოდეს ის მონიტორინგი". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩემი აზრით, დღის ცენტრის მონიტორინგი არ არის მხარდამჭერი. პირიქით. მე არ ვიყავი ადგილზე, იყვნენ ჩემი პედაგოგები. ესენი დაზაფრულები დამხვდნენ, ვაიმე, ის ნახა, ვაიმე, ეს ნახა, ისეთ დღეში... მერე მთელი დრო დამჭირდა მდგომარეობიდან ამათ გამოსაყვანად. ზოგადად, მონიტორინგი რა არის: მოგცემენ რაღაც შენიშვნას, ჩვენ ამას გავითვალისწინებთ. იმ მონიტორინგის შედეგად პედაგოგებს ეგონათ, რომ ეს იყო სადამსჯელო რაზმი, თავისი ყველაფრით". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

სამინისტროსთან თანამშრომლობა

დღის ცენტრების ინფორმაციით, სამინისტრო მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში რთავს დღის ცენტრებს მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, ისიც მაშინ, თუ იგეგმება მომსახურების ცვლილება.

„ჩემთან პირადად არ ყოფილა [სამინისტროს წარმომადგენელი]". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ხანდახან ვფიქრობ, საერთოდ, თუ იციან, რომ ვარსებობთ? ჩვენ (დღის ცენტრებმა) შემდეგ შევქმენით ჯგუფი და ამ ჯგუფში ვეხმიანებით ერთმანეთს. მაგალითად, მოვიდა დაფინანსება? კი იცით, როდის მოდის დაფინანსება. და ვინ ვართ საერთოდ, მგონი საერთოდ არ აინტერესებთ". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„სხვათა შორის, ადრე ხშირად მოდიოდა სამინისტროდან წერილები, სულ გვიგზავნიდნენ, რომ რაღაც ცვლილებები იყო გათვალისწინებული, და ახლა საერთოდ არაფერს არ ვიღებთ". – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

მუნიციპალიტეტსა და დონორებთან თანამშრომლობა

დღის ცენტრების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მომსახურების მიწოდებას ვერ შეძლებდნენ და დღის ცენტრი უკვე დახურული იქნებოდა, რომ არა დაფინანსების სხვა წყაროები – მუნიციპალიტეტი, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორები და ა.შ. შესაბამისად, მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც დამატებითი ფინანსების მიღების, ასევე, კონტაქტების ზრდისა და დამატებითი შესაძლებლობების მოძიების მხრივ. მუნიციპალიტეტი, შესაძლოა, აფინანსებდეს კონკრეტულ ხარჯებს, მაგალითად, კომუნალურ გადასახადებს, პურის საფასურს, კონკრეტული წრის ან აქტივობის (მაგალითად, ზაფხულში დასვენება) ხარჯებს, ანდა ვაუჩერულ დაფინანსებას

ამატებდეს თანადაფინანსების წილ თანხას, რასაც მომსახურება სხვადასხვა ხარჯის დასაფარავად იყენებს.

„ალბათ, ეს დაფინანსება რომ არ ყოფილიყო, დღის ცენტრი უკვე კარგა ხნის დახურული იქნებოდა“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ყველამ იცის, რომ, სადაც არ უნდა მივიდე, ყველგან ვსაუბრობ დღის ცენტრზე, ვცდილობ, გავავრცელო ინფორმაცია ყველა დონეზე, რას ვაკეთებთ, სად ვართ, რა კატეგორიის ბავშვებს ვემსახურებით, რის გაკეთებას ვგეგმავთ. ამ ინფორმაციის გავრცელებაში ძალიან გვეხმარება თვითმმართველობა. გვყავს კარგი დეპუტატი, რომელიც, თუ რამე შეხვედრაზე მიდის, მეც მპატიჟებენ და, ჩემი მხრივ, ვავრცელებ ინფორმაციას ჩვენს საქმიანობებზე“. – დღის ცენტრის მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მემორანდუმი გვაქვს მუნიციპალიტეტთან გაფორმებული. მას აქვს თავისი კრიტერიუმები: კომუნალურები, ჰიგიენური“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მუნიციპალიტეტისგან ჯერ გვქონდა კომუნალური, თუმცა ძალიან მცირე იყო ეს თანხა კომუნალურისთვის, შემდეგ შევხვდით და გადაწყდა, რომ აფინანსებენ ვაუჩერით, დანამატის სახით თითოეულ ბავშვზე 150 ლარს. ამაში პროცენტულად შედის რამდენიმე პედაგოგის ხელფასი, შედის კომუნალური და შედის საჭირო წრეების თანადაფინანსება. ანუ მოჭრილი 150 ლარი და კომუნალური ცალკე აღარ არის“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩვენ გვაქვს ხელოვნების სტუდია, სადაც ბავშვები ხელობებს სწავლობენ და ამაზე დაფუძნებით გვაქვს მინანქრის სოციალური საწარმო. სოციალური მეწარმეობის ფარგლებში, მინანქრის სახელოსნოს გვიფინანსებს მერიის სოციალური მეწარმეობის განვითარების პროექტი, ვაუჩერული დაფინანსება და „კარიტასის“ დონორული დაფინანსება“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მუნიციპალიტეტი აფინანსებს ზაფხულში ბავშვების დასასვენებლად გაყვანას, მედიკამენტებს და პურის საფასურს“. – დღის ცენტრების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

<u>არასპეციალიზებული მინდობით აღზრდა</u>

მომსახურების მიზანი და დანიშნულება

მინდობით აღზრდის მომსახურების ძირითადი დანიშნულებაა მზრუნველობამოკლებული ბავშვისთვის ოჯახურ გარემოში 24-საათიანი ზრუნვის მიწოდება. ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდა გათვალისწინებული და განსაზღვრულია „ბავშვის უფლებათა კოდექსით“. სწორედ ამას უწყობს ხელს მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა, რომლის მიზანია „მზრუნველობამოკლებული ბავშვების მინდობით აღმზრდელთან განთავსების გზით ოჯახურ გარემოში აღზრდის

უზრუნველყოფა, მინდობით აღზრდის ქვეპროგრამით მოსარგებლე პირების მხარდაჭერა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებისა და განათლების უფლების რეალიზებაში ხელშეწყობის მიზნით“ („სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის პროგრამა“). წინამდებარე კვლევის ფარგლებში, მიმოვიხილავთ 21 წლამდე ბავშვების/ახალგაზრდების არასპეციალიზებული მინდობით აღზრდის კომპონენტს. კვლევა არ მოიცავს სპეციალიზებულ მინდობით აღზრდას, ასევე, 18 წელს ზემოთ შშმ პირთა ოჯახური მზრუნველობის კომპონენტს, რომელიც მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის ნაწილს წარმოადგენს.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის პროგრამის“ მიხედვით, მინდობით აღზრდის მომსახურება (21 წლამდე ბავშვების/ახალგაზრდების მინდობით აღზრდის კომპონენტის შემთხვევაში) შემდეგ ღონისძიებებს მოიცავს:

„ა) ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების/ახალგაზრდების ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში განვითარების ხელშეწყობა;

ბ) ბავშვის/ახალგაზრდის ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მის ინდივიდუალურ განვითარებასა და საჭიროებებზე ორიენტირებული ზრუნვის უზრუნველყოფა;

გ) ბავშვის/ახალგაზრდის ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობა;

დ) ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან კონტაქტის გაძლიერებისა და ხელშეწყობის უზრუნველყოფა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს;

ე) ყოველდღიური, ყოფითი უნარების სწავლება (თვითმოვლა, საოჯახო აქტივობებში ჩართვა, ასაკისა და სქესის შესაბამისად განვითარების თავისებურებებზე (მათ შორის, სქესობრივ განვითარებაზე) და სხვ.) ინფორმაციის მიწოდება;

ვ) პროფესიული და სახელობო უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა ბავშვის/ახალგაზრდის ინტერესების, მიდრეკილებებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით;

ზ) აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების ხელშეწყობა და ბავშვის/ახალგაზრდის თავისუფალი დროის სწორი და მიზნობრივი ორგანიზება;

თ) კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფა;

ი) ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში, ბავშვების/ახალგაზრდების მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობა“.

მინდობით აღზრდა 24-საათიანი ზრუნვის ერთ-ერთ ფორმას და, ექსპერტების აზრით, საუკეთესო ალტერნატივას წარმოადგენს ბავშვისთვის, რომელიც ზრუნვის სისტემაში ხვდება, რადგან 24-საათიანი ზრუნვის ყველა სხვა ფორმას შორის მინდობით აღზრდის მომსახურებას

შეუძლია, ყველაზე უკეთ უზრუნველყოს ის ინდივიდუალური ზრუნვით. შესაბამისად, მინდობით აღზრდას უპირატესობა ენიჭება 24-საათიანი ზრუნვის მეორე ფორმასთან, მცირე საოჯახო ტიპის სახლთან, შედარებითაც, რომელსაც ასევე მიმოვიხილავთ წინამდებარე კვლევის ფარგლებში. განსაკუთრებით დიდი უპირატესობით სარგებლობს მინდობით აღზრდის მომსახურება, როცა საქმე ჩვილ და მცირე ასაკის ბავშვებს ეხება, რადგან ზრუნვის სხვა ფორმაში მოხვედრა მათთვის განსაკუთრებით ტრავმულია.

> *„ის, რომ ჩვილი ბავშვი... [ადრე] გადამყავდა ჩვილ ბავშვთა სახლში და ის კონკრეტული პერიოდი... პირველი 6 თვე, [რაც] მნიშვნელოვანია ჩვილისთვის, რომ სულიერი კავშირი ჰქონდეს თავის მზრუნველ პირთან, ეს თავიდანვე დარღვეული იყო და მისი ემოციური მდგომარეობა სადამდე მიდიოდა... სად – ჩვილი ბავშვის შემთხვევაში, რომ შევიყვან მინდობით აღმზრდელთან, რომელიც იზრუნებს მასზე, როგორც საკუთარ შვილზე, დააკმაყოფილებს მის ყველა საჭიროებას, როგორც ოჯახში, და სად – რომ შეგვყავდა ჩვილ ბავშვთა სახლში. შესაბამისად, როლი ამ სერვისების და სახელმწიფო რეფორმის არის ძალიან დიდი, ჩემი შეფასებით“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი*

> *„ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე მცირე საოჯახო სახლებმა თავისი როლი ამოწურეს. დიდი ნაკადი რაც იყო, იმ დიდ ნაკადს დახვდა ღირსეულად, მაგრამ შემდგომ ეტაპზე, მე მაინც მგონია, რომ ეს არის რეზიდენტული დაწესებულება... ის არ არის საუკეთესო გამოსავალი მზრუნველობამოკლებული ბავშვის განსათავსებლად და პრიორიტეტი ბავშვისთვის არის მინდობით აღზრდა“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი*

მინდობით აღმზრდელების აზრით, მინდობით აღზრდის ძირითადი დანიშნულებაა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის სათანადო ზრუნვის, მათი უფლებების დაცვისა და ოჯახური გარემოს უზრუნველყოფა, რათა ისინი უკეთ მოემზადონ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. ამავე დროს, მინდობით აღმზრდელების ნაწილის მსჯელობაში იკვეთება მოსაზრება, რომ ბავშვებს უნდა დაანახვონ და ასწავლონ, როგორ ფუნქციონირებს „ნორმალური“ ოჯახი, რაშიც იგრძნობა მათი განწყობა მინდობით აღსაზრდელების ბიოლოგიური ოჯახების მიმართ, რომელთაც ისინი „ნორმალურად“ არ მიიჩნევენ.

> *„ძალიან მნიშვნელოვანი აქ არის ზრუნვა ბავშვებზე, ბავშვების მომავლისთვის კეთდება ეს ყველაფერი, რომ ლაღი, თამამი, შემდგარი ახალგაზრდობა გაიზარდოს, არა დათრგუნული, როგორც ხდება ხოლმე. ბავშვებს სჭირდებათ ლაღი მომავალი, ყველა სერვისი სჭირდებათ“. – მინდობით აღმზრდელების ფოკუსჯგუფი*

> *„მინდობითის დანიშნულება ალბათ ის არის, რომ ბავშვებმა ოჯახური სითბო იგრძნონ, იცოდნენ, რა არის ოჯახი. 10 წლის გოგონაა ჩემთან და ყოველდღე იმაზე მაქვს საუბარი, რომ, აქედან რომ გახვალ, უნდა იყო ასეთი და ასეთი. შენ უნდა წაიღო ჩემგან... ცოდნა იმაზე, რა არის ნამდვილი ოჯახი. ყველა სიტუაცია უნდა იცოდეს, რაც ხდება ოჯახში, ეს მინდა, იცოდნენ ბავშვებმა, ვინც ჩემგან გავა. რომ გავლენ, აქედან ნამდვილი*

ოჯახები შექმნან თვითონ. აქედან გასული ბავშვები უნდა იყონ ლაღები, ის არ უნდა იგრძნონ, რომ სხვა ოჯახში გაიზარდნენ". – მინდობით აღმზრდელების ფოკუსჯგუფი

„მინდობით აღზრდა, ჩემი აზრით, მიბმული არის ბავშვთა უფლებებზე. ეს უფლებები ერღვევა ბიოლოგიურ ოჯახში ზოგ ბავშვს. სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ ეს ბავშვები შეიყვანოს მინდობით აღზრდაში, რომ ის უფლებები, რაც აქვს ბავშვს, იყოს დაცული". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„პირველი მიზანი არის ბავშვის გადარჩენა, მარტო ფიზიკური არა; გადარჩენა, რომ მან ადაპტაცია შეძლოს, ამ საზოგადოებაში დამკვიდრება შეძლოს, და ამას [მინდობით აღსაზრდელს] მე რომ ვუყურებ, თუნდაც „კინგსის" ოლიმპიადაზე გაემარჯვოს. ეს თითოეული ნაბიჯი არის გამარჯვება და მიზნისკენ კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯი. [მახსოვს] მისი გაოცებული თვალები, პირველად რომ დაინახა სადღესასწაულო რიტუალი, საახალწლო სუფრა, ოჯახური გარემო. ეს არის არაჩვეულებრივი ფორმა ბავშვების გადარჩენისთვის. ხედავენ იმ დადებითს, რაც მათ აკლდათ და უნდა იცოდნენ ნორმალურ ოჯახებში გაზრდილმა ბავშვებმა. მე მართლა მადლობელი ვარ იმის, ვინც ეს შექმნა ოდესღაც". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად მინდობით აღზრდის უპირატესობისა, ამ მომსახურებაში ბავშვის განთავსება მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული (მინდობით აღმზრდელების სიმცირე, კომპეტენციების ნაკლებობა, თავსებადობის სირთულეები და ა.შ.). შესაბამისად, საჭირო ხდება ბავშვების მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსება, რაც კიდევ უფრო ართულებს ბავშვების მდგომარეობას, რადგან მცირე საოჯახო ტიპის სახლი რეზიდენტული დაწესებულებაა და ძნელია თითოეული ბავშვის უზრუნველყოფა ინდივიდუალიზებული მომსახურებით, რაც მინდობით აღმზრდელ ოჯახში სავსებით შესაძლებელი იქნებოდა.

„ყველა ჩემი კოლეგა იტყვის, როდესაც ბავშვი სახელმწიფო ზრუნვაშია განსათავსებელი, პირველ რიგში, განვიხილავთ მინდობით აღზრდას, იმიტომ რომ ეს უფრო მეტ შედეგზე გასული იქნება, მაგრამ ვაწყდებით ხოლმე პრობლემებს. ზოგჯერ ვერ ხერხდება ბავშვის ვერცერთ მიმღებში განთავსება. ამ შემთხვევაში, განიხილება მცირეში განთავსება. ჩვენი რაიონის მაგალითზე, ვიტყვი, მცირე საოჯახო დღესდღეისობით არის გასავლელი პუნქტივით". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ყველამ კარგად ვიცით, რომ საუკეთესო მომსახურება მინდობით აღზრდაა, ჯერ ნათესაური, მერე არანათესაური და ასე მოვყვებით ხოლმე. სამწუხაროდ, არასდროს მიმღებში ადგილი არ გვაქვს ხოლმე. ყველამ კარგად ვიცით, რომ ოჯახური გარემო მინდობით აღზრდაა. ქუჩაში ბავშვს ვერ დატოვებ და ბოლოს გვიწევს ხოლმე გადაწყვეტილების მიღება და გადაგვყავს იქ, სადაც არის ადგილი". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„მინდობითი აღზრდა არის ყველაზე მიახლოებული გარემო ოჯახთან. ამას საერთაშორისო სტანდარტებიც გვეუბნება. აქ უკვე ვაწყდებით გამოწვევას, რამდენად არის საკმარისი რაოდენობის მიმღები ოჯახები, რამდენად სათანადოდ არიან მომზადებული, რომ მიიღონ ბავშვები ტრავმული გამოცდილებით და მართონ მათი ქცევა პოზიტიურად... მინდობით აღზრდის თვალსაზრისით, არაერთი გამოწვევა ვნახეთ ჩვენ, როდესაც მასშტაბური კვლევა ჩავატარეთ, რაოდენობის, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, არ იყო საკმარისი მინდობით აღმზრდელი ოჯახები, აქტიური მონიტორინგი არ ხორციელდებოდა“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი.

მძიმე ტრავმული, ძალადობრივი გამოცდილებისა და ასევე მძიმე ქცევითი თუ ემოციური სირთულეების მქონე ბავშვების ნაწილი შეიძლება ჯერ მინდობით აღზრდის მომსახურებაში მოათავსონ, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი გადაჰყავთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში, რადგან რესურსების (ადამიანური რესურსები და მომსახურებები) ნაკლებობის გამო მინდობით აღზრდის მომსახურებას მსგავს სირთულეებთან გამკლავება უჭირს. აღნიშნული პრაქტიკა ძალიან პრობლემურია მომსახურების განგრძობადობის (continuity) პრინციპის დარღვევის გამო. მომსახურების განგრძობადობა საუკეთესო მიდგომას წარმოადგენს და გულისხმობს ბავშვზე ზრუნვის მომსახურების ფორმისა თუ მიმწოდებლის ცვალებადობის მაქსიმალურად თავიდან აცილებას ბავშვზე ზრუნვის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

„ძირითადად, ალბათ, რესურსის ნაკლებობა არის. ვგულისხმობ ადამიანური რესურსების და მომსახურებებს..., რადგან დღეს ისე აღმოჩნდა, რომ შედარებით მძიმე კატეგორიის ბავშვები, რომელთაც აქვთ ძალადობის გამოცდილება, ჯერ გადაჰყავთ მინდობით აღზრდაში, იქ გარკვეული პერიოდი ჩერდებიან, თუმცა საბოლოო გაჩერება არის მცირე საოჯახო სახლი. შესაბამისად, ქცევის პრობლემების მქონე, ისევე, როგორც სხვადასხვა რთული გამოცდილების მქონე ბავშვების უმრავლესობა იკრიბება მცირეში და მცირეს არ აქვს რესურსი, ამ ბავშვებს შესთავაზოს სხვადასხვა მიზნობრივი მომსახურებები, თუნდაც სხვადასხვა სპეციალისტების ჩართულობა, მაგალითად, ქცევითი თერაპევტი, რაც ძირითადი გამოწვევაა მცირე საოჯახო სახლებისთვის“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

„ხშირად შეიძლება ერთმა ბავშვმა გამოიცვალოს მცირე და მინდობითი და ეს შეიძლება იყოს ერთი, მეორე, მესამე ოჯახი და ფორმების ცვლა“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

აღსანიშნავია, რომ, როგორც სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი აცხადებს, მინდობით აღზრდის სტანდარტები გადასახედია, რადგან ისინი დღევანდელ რეალობაზე არ არის მორგებული. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ მომსახურების განვითარების სამომავლო დოკუმენტირებული სტრატეგია/ხედვა სამინისტროს არ აქვს:

„ყველა სტანდარტი გადასახედია, ისე აღარ ერგება დღევანდელ რეალობას. განსაკუთრებით რთული საკითხია მინდობით აღზრდის სტანდარტი“. – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი

კითხვა: *„სამინისტროს თუ აქვს ისეთი დოკუმენტი, რომელშიც იქნებოდა კონკრეტული ხედვა ამ სამი მომსახურების განვითარების თაობაზე?“*

პასუხი: *„არ გვაქვს“. – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი*

ბავშვის მინდობით აღზრდის მომსახურებაში განთავსების მიზეზები და თავსებადობის განსაზღვრა

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის პროგრამის“ მიხედვით, მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის (21 წლამდე მინდობით აღზრდის კომპონენტი) ძირითადი სამიზნე ჯგუფებია „ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში მცხოვრები ან ჩასარიცხი 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რომელთა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება ვერ ხერხდება, ასევე, მინდობით აღსაზრდელი, რომელიც სარგებლობს ამ ქვეპროგრამის მომსახურებით, გახდა სრულწლოვანი და არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის მოსწავლე, პროფესიული, საგანმანათლებლო დაწესებულების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი ან დარეგისტრირებულია პროფესიულ/უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხ კანდიდატად, მაგრამ არაუმეტეს 21 წლის ასაკის მიღწევისა“.

სპეციალისტების თქმით, ბავშვები, ძირითადად, იმიტომ შემოჰყავთ მინდობით აღზრდის მომსახურებაში, რომ ბიოლოგიურ ოჯახებში მათი უსაფრთხოება რისკის ქვეშაა. ისინი ამბობენ, რომ, უმეტეს შემთხვევაში, იკვეთება ბავშვზე ძალადობა. სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, სხვა მიზეზით (განსაკუთრებით, სიღარიბის მიზეზით) ბავშვები ოჯახებიდან, ფაქტობრივად არ გამოჰყავთ. სიღარიბესთან ერთად, როგორც წესი, შეინიშნება მშობლობის უნარების, მათ შორის, ფინანსური რესურსების განკარგვის უნარების ნაკლებობა. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც სპეციალისტები და სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, მშობლობის უნარების გაუმჯობესებაზე მიმართული პროგრამები ბიოლოგიური ოჯახებისთვის ქვეყანაში ცოტაა, ან, ფაქტობრივად, არ არსებობს. შესაბამისად, ოჯახიდან ბავშვის გამოყვანის ძირითადი მიზეზი მშობლობის უნარების ნაკლებობით განპირობებული ძალადობა და უგულებელყოფაა, მაგრამ ამ უნარების გაუმჯობესებაზე სახელმწიფო, ფაქტობრივად, არ მუშაობს:

„ახლა რის გამოც გამოჰყავთ, ძირითადად, არის ძალადობა. მას შემდეგ, რაც სასამართლო ჩაერთო ამ პროცესებში, მიზეზი არის ერთადერთი ეს, სხვა შემთხვევაში არ გამოჰყავთ. თუმცა სტატისტიკას რომ აჩვენებენ გამოყვანის, მე ყველა ანგარიშში

ვწერ, რომ არ არის მხოლოდ სიღარიბე მიზეზი იმისა, რომ ბავშვი გამოიყვანო. იქ არის სხვა პრობლემა, ყველაზე მნიშვნელოვანია მშობლის უნარების არქონა, ამ უნარების არქონის გამო გამოჰყავთ ბავშვი და არა იმიტომ, რომ ღარიბია, იმიტომ რომ იმან ის 500 ლარი, რაც აიღო სოციალური დახმარება, ბავშვს კი არ მოახმარა, მოახმარა სხვა არამიზნობრივ საჭიროებებს. მშობელმა არ იცის, როგორ უნდა განკარგოს თანხა, არ იცის, რა საჭიროებები აქვს შვილს. ის, რომ განათლების უფლება მნიშვნელოვანია, ზრუნვა მნიშვნელოვანია და ა.შ. ამიტომ ის სტატისტიკა, სადაც სიღარიბეზეა აქცენტი, არ არის სწორი... სიღარიბე არის ერთ-ერთი თანმდევი და, მე თუ მკითხავ, სიღარიბეც გამოწვეულია იქიდან, რომ უნარები აქვთ ნაკლებად განვითარებული. მარტო სიღარიბის გამო მე არ მახსენდება, რომ ვინმე გამოგვეყვანა". – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი

მინდობით აღზრდის მომსახურებასა და, ზოგადად, სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში, შესაძლოა, შემოდიოდეს შემთხვევები, როცა მშობელს უჭირს შვილის ქცევის მართვა; ასევე, შემთხვევები, როდესაც თავად ბავშვს აქვს მძიმე ქცევითი სირთულეები, რომლებიც მშობლის მიმართ ძალადობითაც შეიძლება გამოიხატებოდეს.

„შეიძლება, მოძალადე მშობელი არ იყოს, მაგრამ, ბავშვის ქცევიდან გამომდინარე... არ იცის, როგორ მართოს. ყველა ისეთი კი არ არის, რომ სცემს და დაბმული ჰყავს შვილი. ფსიქიკური პრობლემებიდან გამომდინარე, უჭირთ ამ ბავშვების დამორჩილება და მერე ეს უკვე გამოყვანის მიზეზი ხდება ხოლმე, ძალადობაც ცოტა განზოგადებული ამბავია, აქვს თავისი მიზეზები და შეიძლება ყოველთვის მშობელი არ არის დამნაშავე. მე მქონდა შემთხვევა, არასრულწლოვანი ბავშვის მამას გამოუწერეს შემაკავებელი, ოღონდ მამა იყო ისეთი ნაცემი, კაცი ლოგინიდან ვერ დგებოდა. ერთადერთი იყო ის, არასრულწლოვანს ხომ არ გამოუწერდნენ შემაკავებელს. იდეაში ბავშვი იყო ძალადობის მსხვერპლი საბუთით და ამ დროს მამა იყო ისეთი ძალადობის მსხვერპლი, რომ რა ვიცი". – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი

ბავშვების ნაწილი მინდობით აღზრდის მომსახურებაში შემოჰყავთ ისე, რომ ეს კვალიფიცირდება გადაუდებელ შემთხვევად. ამ დროს თავსებადობის განსაზღვრა ვერ ხერხდება. თუმცა მაშინ, როცა მინდობით აღმზრდელთან ბავშვი გადაჰყავთ გეგმის შესაბამისად, სოციალურმა მუშაკმა წინასწარ უნდა შეაფასოს ბავშვისა და ოჯახის თავსებადობა. გარდა ამისა, ბავშვი და ოჯახი ერთმანეთს იცნობენ და გარკვეულ დროს ერთადაც ატარებენ ვიზიტებისა და შეხვედრების მოწყობის გზით, რომლებსაც ესწრება, აკვირდება და აფასებს სოციალური მუშაკი. გარდა ამისა, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბავშვის მინდობით აღზრდის მომსახურებაში განთავსებისთანავე უნდა დაიწყოს ზრუნვა ბიოლოგიურ ოჯახში მის დაბრუნებაზე (რეინტეგრაციაზე). მიუხედავად იმისა, რომ მინდობით აღსაზრდელისა და მინდობით აღმზრდელი ოჯახის თავსებადობის განსაზღვრაში

ბიოლოგიური ოჯახის ჩართულობაც მნიშვნელოვანია, შეიძლება ეს ვერ მოხერხდეს, რადგან ზოგჯერ ბიოლოგიურ ოჯახს არა აქვს სურვილი ან შესაძლებლობა, ჩაერთოს ამ პროცესში. თუმცა არის შემთხვევები, როცა ბიოლოგიური ოჯახი ჩართულია თავსებადობის განსაზღვრის პროცესშიც.

„ამ ორ მომსახურებაში [მინდობით აღზრდა და მცირე საოჯახო ტიპის სახლი] ბავშვების განთავსება ხდება მხოლოდ უკიდურეს მდგომარეობაში, როდესაც ოჯახში არ არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები დაცული – სიცოცხლის უფლება, ჯანმრთელობის დაცვა, განათლების უფლება, ნორმალური განვითარება და ა.შ. როდესაც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ვერ ხერხდება ოჯახში და სიცოცხლეს ექმნება საფრთხე, სახელმწიფო იღებს უკიდურეს ზომას და გადაჰყავს ის სახელმწიფო ზრუნვაში და მოიაზრება ბავშვის გადაყვანა... მინდობით აღზრდაში“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„თუ გვაქვს იმის კომფორტი, რომ გადაუდებელ მიმღებში არ შეგვყავს და ვსაუბრობთ რეგულარულ მინდობით აღზრდაზე, როდესაც ხდება, ჩვეულებრივად, მინდობით აღზრდაში ბავშვის განთავსება, მიმღები მშობელი და ბავშვი ხომ ხვდებიან ერთმანეთს, შესაბამისად, დაკვირვება მიმდინარეობს და ჩართულია სოციალური მუშაკი. შესაბამისად, როდესაც ბავშვის ასაკი და უნარები გვაძლევს... შესაძლებლობას, აუცილებლად ხდება ამის გათვალისწინება. ყოფილა შემთხვევა, რომ ბიოლოგიურ ოჯახს საერთოდ არ აქვს სურვილი, რომ ჩაერთოს კონკრეტულ თემაში. შესაძლებლობის შესაბამისად ხდება ამ სტანდარტის დაცვა, რისი შესაძლებლობაც გვეძლევა, იმის მიხედვით“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი.

„მომიყვანეს, 4 წლის იყო უფროსი და პატარა – 1 წლის. სანამ მოვიყვანდი, ჩართული ვიყავით მთელი ოჯახი. სოციალურ მუშაკთან ერთად მივდიოდი ბავშვების სანახავად. ჩემი პატარა შვილიც მაინტერესებდა, როგორ შეეგუებოდა, ერთი წელია სხვაობა. უფროსი 4 წლის იყო, ჩემი ბიჭი – 5-ის და, რა ვიცი, დავდიოდით ერთად, თამაშობდნენ ბავშვები და შეეგუენ ერთმანეთს. შემდეგ განთავსდნენ ჩემს ოჯახში ბავშვები“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მინდობით აღმზრდელი ხომ უნდა შეხვდეს. თუ არ გამოიკვეთა, რომ ეს ბავშვები კარგად გრძნობენ მინდობით აღმზრდელთან თავს, ასე ხომ არ ხდება, პირდაპირ გადაყვანა მინდობით აღზრდაში. თუ არის მშობელიც, რა თქმა უნდა, ესეც უმნიშვნელოვანესია“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ჩემს შემთხვევაში, გაცნობა მოხდა წინასწარ და აქ სიტუაციაც გვიწყობდა ხელს. დროის საშუალება გვქონდა. ჩემი და ბავშვის ბიოლოგიური მშობლების გაცნობა მოხდა. ასევე, გავიცანი ბავშვები. ერთი თვით ადრე დავიწყეთ შეხვედრები, ხან ქალაქის ტერიტორიაზე, ჩემს ოჯახში, სოციალური სააგენტოს ოფისში. ოჯახში იმიტომ იყო, რომ ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებს თვითონ ენახათ. გაცნობა მოხდა და დაახლოებით ერთთვიანი ურთიერთობის მერე გადაწყდა. სხვათა შორის,

გადაწყვეტილებაც ბიოლოგიური დედისგან 100%-იანი არ იყო, ამ ერთ თვეში გადაწყვიტა. ბავშვების გადმოყვანაც უმტკივნეულოდ მოხდა, რადგან ჩვენ ვიცნობდით ერთმანეთს. რა თქმა უნდა, სირთულეები იყო, მაგრამ შედარებით უმტკივნეულო". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღსაზრდელების თქმით, ბავშვების ნაწილი აქტიურად არის ჩართული თავსებადობის განსაზღვრის პროცესში (მინდობით აღმზრდელთან შეხვედრები და ა.შ.), ნაწილი კი – ნაკლებად, და მხოლოდ ინფორმაციას იღებს მიმდინარე პროცესებზე სოციალური მუშაკისა და მშობლისგან. მინდობით აღსაზრდელების თქმით, თავსებადობის განსაზღვრის პროცესში უფრო აქტიურად ერთვებიან ბავშვები, რომლებიც ზრუნვის სისტემაში უკვე არიან და ზრუნვის ფორმას იცვლიან.

„ჩვენთან ცხოვრობენ პატარები და, როგორც ვიცი, ჩვენი აღმზრდელი წინაწარ წავიდა და გაეცნო ბავშვებს, მერე ერთი კვირა მოყვანილი ჰყავდა აქ, რომ შეგუების პერიოდი ჰქონოდა და გავეცანით". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე, პირიქით, ვაქტიურობდი. ვის ოჯახშიც ვარ, პანსიონში იყო აღზრდილი და მინდოდა ამ ოჯახში მოხვედრა. ჩემმა სოციალურმა მუშაკმაც იცის, რამდენი ვიბრძოლე ამისთვის. როდესაც ოჯახიდან გამოჰყავთ ბავშვი, არა მგონია, ბავშვი აქტიურობდეს და უნდოდეს მინდობით აღზრდა. ვფიქრობ, რომ ბავშვისთვისაც და მშობლისთვისაც რთულია. ამიტომ მგონია, რომ ბავშვები არ იაქტიურებენ, ოჯახიდან რომ მიდიან". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ზოგიერთი ბავშვი არ არის ჩართული, არ ინტერესდებიან, რა ხდება და როგორ ხდება. არ არის ეს კარგი. ბავშვმა უნდა იცოდეს, როგორ ხდება". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„რაღაც ინფორმაციის დონეზე აწვდიან ბავშვს, სად მიდის, ვისთან მიდის, რა პირობებია, სოციალური მუშაკიც აწვდის ინფორმაციას და მშობლებიც აწვდიან". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მნიშვნელოვანი სირთულეებია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და/ან არაქართულენოვანი ბავშვებისთვის სათანადო მინდობით აღმზრდელი ოჯახების მოძიების კუთხით. ეს ბავშვები მათთვის უცხოენოვან და უცნობ კულტურულ გარემოში ხვდებიან, რაც ძალიან ართულებს მინდობით აღზრდის მომსახურებაში ბავშვის ადაპტაციისა და შემდგომი მუშაობის პროცესს. უფროსი ასაკის ბავშვები სხვა გამოსავლის არარსებობის გამო, შესაძლოა, ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდნენ (რომლიდან გამოყვანაც მათი საუკეთესო ინტერესის შესაბამისად იყო მიჩნეული); მცირე ასაკის ბავშვები კი უფრო ადვილად სწავლობენ მინდობით აღმზრდელი ოჯახის ენასა და კულტურას, თუმცა ამ პროცესში, ფაქტობრივად, ვერ ხერხდება ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის ენისა და კულტურული წარმომავლობის შენარჩუნება, რაც თანდათანობით უდიდეს ბარიერს შეუქმნის ბავშვის ურთიერთობას ბიოლოგიურ ოჯახთან.

„მე კლასელი მყავდა, ბებია ჰყავდა რუსი და რუსული გვარი ჰქონდა. მინდობით აღზრდაში იყო, ქართულად მოლაპარაკე ოჯახში, სამნი იყვნენ... ენის ბარიერი არ ჰქონდა, მაგრამ შეჩვევა გაუჭირდა, არ უჯერებდა. ცოტა ისეთი ოჯახი იყო და ის ქალიც არ აქცევდა ყურადღებას“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ახალციხეში სომეხი მოსახლეობაა ბევრი და მიმღები ოჯახების ნაკლებობაა. ერთი ბავშვი გადავიყვანეთ ახალციხიდან აჭარაში და, საერთოდ სხვა გარემო, სხვა კულტურა – ეს იყო ბარიერი. ამ ბავშვს ნამდვილად ესაჭიროებოდა სახელმწიფო ზრუნვა. ამ სხვაობის გამო იქ ვერ გაჩერდა ბავშვი და... დაბრუნდა თავის ბიოლოგიურ ოჯახში“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ენის გარდა, კულტურასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ასაკით დიდ ბავშვებთან უფრო მნიშვნელოვანია ამის გათვალისწინება. პატარების შემთხვევაში იმდენად არა, მაგრამ კულტურის შენარჩუნება საჭიროა. ერთი ბავშვი იყო ირანიდან და სათამაშო გვინდოდა კულტურული ნიშნით გვეშოვა, მაგრამ ვერ ვნახეთ. მულტფილმების პოვნაც კი გაგვიჭირდა, რომ მომხდარიყო შეჩვევა. მინდობით აღზრდაში იყო ეს ირანელი ბავშვი... [ამ ბავშვმა] საუბარი დაიწყო ქართულად, დედა [ბიოლოგიური] საუბრობდა ირანულად და ინგლისურად. ვერაფერი ვერ გავაკეთეთ, თუმცა ვხვდებოდით, რომ ეს იყო გამოწვევა. დედასთან კომუნიკაციაში ექმნება პრობლემა“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღმზრდელები ამბობენ, რომ, მინდობით აღზრდის მომსახურებაში ერთზე მეტი ბავშვის განთავსების შემთხვევაში, შესაძლოა, იყოს გარკვეული სირთულეები ბავშვებს შორის ურთიერთობაში, თუმცა ეს პრობლემა უფრო მეტად იჩენს ხოლმე თავს განთავსების საწყის ეტაპზე. მსგავსი სიძნელეები არის მაშინაც, როცა მომდევნო ბავშვი ბიოლოგიური და ან ძმა შეიძლება იყოს.

„ბიჭს, 11 წელია, მე ვზრდი. ფაქტობრივად, ჩემი შვილია, ბიოლოგიური დედა ჰყავს. ღმერთმა კარგად უმყოფოს. ძალიან უყვარს. მამა გარდაცვლილი ჰყავს. ახლა მისი დები მოიყვანეს და ვატყობ, რომ ბავშვი ეჭვიანობს. ბოლო-ბოლო, მიხვდება, რომ დები არიან და ერთად უნდა იცხოვრონ“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღსაზრდელები გამოყოფენ ძირითად სირთულეებს, რომლებიც უკავშირდება ბიოლოგიურ ოჯახებთან დაშორებისა და მინდობით აღმზრდელ ოჯახში განთავსების საწყის პერიოდს, კერძოდ, შეგუებას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბავშვი უფრო დიდი ასაკისაა და/ან მინდობით აღმზრდელს უკვე ჰყავს შვილი ან სხვა აღსაზრდელი.

„თავდაპირველად ხომ შეიძლება ბავშვს გაუჭირდეს ოჯახთან განშორება. ეგ შეიძლება ჩაითვალოს სირთულედ“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„დედასგან და მამასგან შორს ყოფნა [არის სირთულე]“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„შეიძლება, სირთულე იყოს, მინდობით აღმზრდელებს თუ ჰყავთ შვილი, დისშვილი. ოჯახში შეჩვევის პროცესი ცოტა რთულია თავიდან, სხვა გარემოდან სხვაგან გადმოდიხარ. მე ნინოწმინდაში ვიყავი და ერთი-ორი კვირა ძალიან გამიჭირდა. ოჯახი მაინც სულ სხვა სიტუაციაა, პანსიონატი კიდევ სხვაა, ამიტომ ცოტა სირთულეები იყო". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე რთულად შევეჩვიე თავიდან, მაგრამ მერე კარგად ვიყავი, დრო სჭირდება და ასაკსაც გააჩნია. პატარა ბავშვებს არ გაუჭირდებათ, ადვილად შეეგუებიან. დიდ ასაკში რთულია". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღმზრდელების რაოდენობა და დატვირთვა

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა მინდობით აღზრდის მომსახურებაში არის მინდობით აღმზრდელების მცირე რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით რეგიონებში. ასევე, მათი თქმით, მოქმედი მინდობით აღმზრდელები მაქსიმალურად არიან დატვირთულნი, რაც გავლენას ახდენს იქ განთავსებული ბავშვების მიმართ ინდივიდუალურ მიდგომაზე, თავსებადობის საფუძვლიანად შესწავლაზე ბავშვის მინდობით აღმზრდელთან განთავსებამდე. იკვეთება შემთხვევები, როცა მინდობით აღმზრდელ ოჯახში ბავშვების ჯამური რაოდენობა აღემატება 4-ს, მაშინ, როცა მინდობით აღმზრდელს ბიოლოგიური შვილებიც ჰყავს (ერთ შემთხვევაში, ამავე ოჯახში გამოიკვეთა ფიზიკური და ემოციური ძალადობა მინდობით აღსაზრდელებზე). როცა ოჯახში ახალი მინდობით აღსაზრდელი შეჰყავთ, თავსებადობა თავიდან უნდა შეფასდეს; თუმცა, სპეციალისტების აზრით, უმეტეს შემთხვევაში, ეს სირთულეს წარმოადგენს. სპეციალისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ შშმ ან სპეციალური საჭიროების მქონე და ტიპური განვითარების ბავშვები ერთდროულად ერთ ოჯახში არ უნდა განთავსდნენ, რადგან მათი საჭიროებები ძალიან განსხვავებულია და კიდევ უფრო მეტად ჭირს ყურადღების თანაბრად გადანაწილება ყველა ბავშვზე. სპეციალისტების ნაწილი კი მიიჩნევს, რომ შშმ ან სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვის მინდობით აღმზრდელ ოჯახში განთავსებისას მკაცრად უნდა გაკონტროლდეს ბავშვების რაოდენობა და ის მაქსიმალურად მცირე უნდა იყოს (ან ეს ბავშვები სათითაოდ უნდა განთავსდნენ მინდობით აღმზრდელ ოჯახებში), რათა თავიდან ავიცილოთ მინდობით აღმზრდელის პროფესიული გადაწვა და ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა. აღსანიშნავია, რომ დედმამიშვილები მინდობით აღმზრდელ ოჯახში ერთად თავსდებიან იმ შემთხვევაშიც, როცა მათი რაოდენობა მინდობით აღმზრდელ ოჯახში განსათავსებელი ბავშვების მაქსიმალურ რაოდენობას (4) აღემატება.

„სირთულე, პირველ რიგში, ის არის, რომ მინდობითი აღმზრდელები საკმარისი არ არის, მცირე რაოდენობით არიან და მომართვიანობა გაზრდილია... ჩვენთან... საერთოდ არ არის ადგილი... გადაუდებელი მინდობითი აღმზრდელი რეგისტრირდება რეგულარულად და, შესაბამისად, არ გვყავს". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„კიდევ, არღვევდნენ წესს. აღმოჩნდა, რომ არ შეიძლებოდა, ჰყოლოდათ 4 ბავშვზე მეტი, მაგრამ ამათთან იყო 6. ანუ მათ თავად ჰყავდათ 4 შვილი“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ახალი მიმღები ოჯახების მოძიებაზე არანაირი მუშაობა არ მიმდინარეობს. არადა, უფრო მეტი პოპულარიზება სჭირდება მინდობით აღზრდის მომსახურებას, იმიტომ რომ, აი, მე რომელი სახლიც მაბარია, 2 შშმ ბავშვი ჰყავს, ერთი ნინოწმინდელი შემომიყვანეს, ერთი ისეთი ტრავმული გამოცდილების მქონე ბავშვი... და ბოლოს, შარშან ისეთი ახალი ბავშვი შემოიყვანეს, რომ ივნისის შემდეგ მაგას დავდევ... ღამეები არ მძინავს. მსგავსი ბავშვების ერთად ყოფნა არ შეიძლება და ბავშვების ეს კატეგორია უნდა იყვნენ მინდობით აღზრდაში, სადაც მათ ექნებათ ინდივიდუალური ზრუნვის გარემო. ცალსახაა, რომ რთული ქცევის ბავშვები არ უნდა ხვდებოდნენ ერთმანეთს, იმიტომ რომ ერთმანეთისგან იღებენ შემდეგ ამ რთულ ქცევებს და მერე კიდევ უარესდება [მდგომარეობა]“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„თავისთავად, მინდობით აღზრდაში, სავარაუდოდ, მეტად უნდა იყოს ინდივიდუალური მიდგომა, თუმცა სისტემური პრობლემების არსებობის გამო აქაც შეიძლება იქნას დარღვეული [წესი], რადგან სისტემური პრობლემაა უკვე, რომ მინდობით აღზრდის ოჯახები, ძირითადად, არის შევსებული, ანუ იქ ბავშვების მაქსიმალური რაოდენობაა 3-4. შესაბამისად, მათი ინდივიდუალური მიდგომის რესურსი რამდენად საკმარისია, არ ვიცი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თავდაპირველად, შეიძლება სწორად მოხდა ბავშვის თავსებადობის განსაზღვრა კონკრეტულ მინდობით აღმზრდელთან, თუმცა შემდეგ ამ ოჯახში სხვა ბავშვებიც რომ შეიყვანეს, იმ თავსებადობამ დაკარგა აქტუალობა და ფორმალობად გადაიქცა. ისევე, როგორც, როდესაც ტოტალურად არ გყავს საკმარისი რაოდენობის მინდობით აღმზრდელები და ბავშვი შესაყვანია სადღაც, ავტომატურად გიწევს რაღაც დეტალებზე თვალის დახუჭვა“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

„მეტი იყო რაოდენობა და ოთხზე დავწიეთ, თუ რაოდენობა ნაკლები იქნება, უკეთესია, მაგრამ, იცით, როგორ არის? უნდა იყოს ბალანსი. თუ ორი შშმ პირია და ორი – ტიპური განვითარების, უკვე უჭირთ. უნდა იყოს ან ყველა შშმ, ან ყველა ტიპური განვითარების. ეს პრობლემა იყო. როდესაც ერთს მეტი ყურადღება სჭირდება, სხვები უყურადღებოდ რჩებიან“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი.

„თუ და-ძმანი არიან, ამ შემთხვევაში ერთად ხვდებიან, ოთხნი არიან თუ ხუთნი... მათი განცალკევება არ შეიძლება“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი.

„მე პრაქტიკაში მქონდა შემთხვევა: ოთხი ბავშვი იყო მინდობითში და ერთს ქცევითი სირთულეები ჰქონდა. მიმღები მშობელი სირთულეების წინაშე დადგა: ერთზე ჰქონდა მთელი ყურადღება გადატანილი, რომ ეს ემართა და მერე მე გამიზიარა, იმდენად დამასუსტა ამ მდგომარეობამ რომ სხვებს ყურადღებას ვეღარ ვაქცევ. სადაც ქცევითი

სირთულეები გვაქვს, იქ ბავშვების რაოდენობას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ დარეგისტრირებისა და ტრენინგის შემდეგ მინდობით აღმზრდელების ნაწილი უარს ამბობს ბავშვის მათთან განთავსებაზე. ასევე, თუ ერთი წლის განმავლობაში ბავშვი ოჯახში არ განთავსდა, მინდობით აღმზრდელი იხსნება რეგისტრაციიდან.

„როდესაც რეგისტრირდებიან, ყველა ამ პროცედურებს გაივლიან (საკმაოდ რთულია ამ ეტაპების გავლა). მერე, თუ ერთი წლის მანძილზე ბავშვი არ გამოჩნდა, ვხსნით ოჯახს მინდობითი აღზრდის გაზიდან. გვქონდა შემთხვევები, თავიდან გაიარეს სამჯერ და მერე აღარ უნდოდათ“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

ინდივიდუალური მიდგომა ზრუნვის პროცესში

სპეციალისტების ნაწილის აზრით, მინდობით აღმზრდელებს უჭირთ ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და მდგომარეობაზე მორგებული მხარდაჭერით მისი უზრუნველყოფა. როგორც ისინი აღნიშნავენ, ყველაზე პრობლემური ასპექტები მინდობით აღზრდის მომსახურებაში ეხება ემოციური განვითარების ხელშეწყობას, ძალადობისგან დაცვას, მომსახურებიდან გასვლასა და მომსახურების ცვლილებას.

„[ყველაზე პრობლემურია] ემოციური განვითარება და ძალადობისგან დაცვა, მომსახურებიდან გასვლა და მომსახურების ცვლილება“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

სპეციალისტების თქმით, რაც უფრო მცირეა მინდობით აღზრდის მომსახურებაში ბავშვების რაოდენობა, მით უფრო მეტად არის შესაძლებელი თითოეულ ბავშვზე ინდივიდუალური ზრუნვა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბავშვებს დამატებითი მომსახურებები და ტრანსპორტირებაც ესაჭიროებათ. მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს ასევე ინდივიდუალური მიდგომის ფარგლებში ბავშვის ძლიერი მხარეების აღმოჩენა და მათი განვითარების ხელშეწყობა, რაც სამომავლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვისთვის გრძელვადიანი მიზნების დასახვასა და მათ განხორციელებაში.

„თავისთავად, როდესაც ერთ და ორ ბავშვზე ხარ ორიენტირებული, უფრო მეტად არის ინდივიდუალური მიდგომა, მაგრამ მანდაც დამოუკიდებლობის ხარისხის მაჩვენებელი დაბალია მაინც. ამ ბავშვებს ისეთი ტრავმული გამოცდილებები აქვთ, ძალიან რთულია, იქ აღმოაჩინო ძლიერი მხარეები. მით უმეტეს, თუ მიმღები მშობელი არ არის მაღალი კვალიფიკაციის, ასე რომ ვთქვათ, მაინც ორიენტირებულები არიან საჭიროებებზე და არა უფრო სამომავლო რაღაცებზე... სამომავლო მიზნების დასახვა ძალიან უჭირთ“. – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი

„[ბავშვების რაოდენობა ოჯახში], რა თქმა უნდა, მე თუ მკითხავ, ძალიან მოქმედებს. ჩემი 15-წლიანი გამოცდილებით ვთვლი, რომ მოქმედებს. ჩვენ რომ მივდივართ

სახლში, სახლისთვის აღარ ვვარგივართ და ფიზიკურად შეუძლებელია, 4 ბავშვს მოუარო, თუ დამხმარე არ გყავს ოჯახში. მე ვთვლი, რომ ხარისხზე პირდაპირპროპორციულად აისახება. თუ ემატება სერვისი, მერე კიდევ დრო უნდა და მანქანით უნდა წაიყვანო. ზოგი ეტლით მოსარგებლეა. ერთ მშობელს ტაქსითაც ვერ დაჰყავდა. ეშინოდა, თან კოვიდინფექციის დროს და, მის [მეორე] შვილს როდესაც ეცალა, მაშინ დაჰყავდა მანქანით. თან ოთხი ბავშვი ჰყავდა და სხვებიც ზარალდებოდნენ". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღმზრდელების ნაწილის აზრით, ბავშვების რაოდენობა არ მოქმედებს ზრუნვის ხარისხზე. მათი თქმით, თუ ჰყავთ სხვადასხვა ასაკის ბავშვები, უფროსები უმცროსებზე ზრუნვაშიც იღებენ გარკვეულ მონაწილეობას. ასევე, ისინი აღნიშნავენ, რომ შედარებით რთულია მინდობით აღზრდის მომსახურებაში განთავსების საწყისი პერიოდი, თუმცა შემდეგ ბავშვები ერთმანეთს ეჩვევიან. მინდობით აღმზრდელების მეორე ნაწილის თქმით, რაც უფრო მეტია ბავშვების რაოდენობა (თუნდაც მათ შორის ბიოლოგიური და-ძმა იყოს), მით უფრო რთულია მათი აღზრდა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ ბავშვს ხშირად საკუთარი მნიშვნელოვანი საჭიროებები აქვს, რასაც მინდობით აღმზრდელის მხრიდან დიდი დრო, ასევე, ადამიანური და მატერიალური რესურსი ესაჭიროება.

„მე მყავს ორი გოგონა, დიდები, და ორი თანატოლი ბიჭი – 9 წლისები. როგორც დები – ძმებს, დიდები პატარებს ისე უვლიან. ექვსი ბავშვიც რომ მყავდეს, გავუძღვები. თუ არ გიყვარს ეს საქმე, თუ არ გიყვარს ბავშვი, ამას ვერ გააკეთებ. სახლში მოხუცი დედამთილ-მამათილი მყავდა, ეს ბავშვები რომ მოვიყვანე. ოთხი ბავშვი მომცეს თავიდანვე. ისინიც ისე მეხმარებოდნენ. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, ისე მეამყება. თავიდან ადაპტაციის პერიოდი ყოველთვის არის. ერთ თვეში იმდენად ერთი გუნდი ხდებიან, გემრიელად და კარგად ვგრძნობთ თავს. ჩემი უფროსი ბიჭი ამერიკაშია და იქიდანაც ამარაგებს ამ ბავშვებს. ჩემი შვილიშვილები რომ არ მყავს, ამ ბავშვებზე ვარ გადართული". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„სიყვარული რომ არ არსებობდეს, ვერ შევეჭიდებოდით ამ საქმეს. ურთულესი საქმეა. მე ჩაცმულს მეძინა. 11 თვის იყო და ურთულესი. ორი გოგო მყავს და ისინიც რთულები. მე შუაში ვდგავარ, ფაქტობრივად. და-ძმა არიან და სულ ჩხუბობენ, მე შუაში ვდგავარ, რომ რამე არ მოუწიონ ერთმანეთს. ჩემი შვილი იყო მოსული, ზედმეტად ერევი მაგათ საქმეშიო, მაგენი ჩხუბში ერთობიან და შენ ნერვებს იწყვეტო, მაგრამ ფიზიკურად... არ დააზიანონ [ერთმანეთი], მეშინია. ასაკსაც აქვს მნიშვნელობა. თან პატარები იშარდავენ და უნდა ადგე, რომ გადააჩვიო". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

სპეციალისტების თქმით, ინდივიდუალური მიდგომის პრაქტიკაში განხორციელებას ყველაზე უკეთ ახერხებენ ის მინდობით აღმზრდელები, რომელთაც უკვე აქვთ ცოდნა ბავშვის აღზრდის შესახებ. მინდობით აღმზრდელთა სისტემური მხარდაჭერის ნაკლებობის გამო თითოეულ მინდობით აღმზრდელთან ამ კუთხით შეიძლება განსხვავებული სიტუაცია იყოს. სპეციალისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ მინდობით აღმზრდელები, რომლებიც, ამავე დროს,

პოტენციური მშვილებლები არიან, მაქსიმალურად ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს ბავშვზე ინდივიდუალურ ზრუნვასთან დაკავშირებით.

> *„[საქმეს თავს ართმევენ] ის ინდივიდები (მინდობით აღმზრდელები), რომლებმაც კარგად იციან ბავშვის აღზრდა, ანუ [თითოეულ] პერსონამდე დასული კომპეტენციები...“ – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

> *„მინდობით აღმზრდელები, რომლებიც არიან პოტენციური მშვილებლები, ... ნამდვილად მაქსიმალურს აკეთებენ ამ ბავშვისთვის“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

ინდივიდუალური მომსახურების მიწოდების პროცესში მნიშვნელოვანია სხვადასხვა მხარდამჭერი მომსახურების გამოყენებაც. ეს კი პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით სოფლად და მცირე ზომის დასახლებებში.

> *„განსხვავდება [იმის მიხედვით], ქალაქად არის სერვისი მიწოდებული ბავშვისთვის თუ სოფლად... რესურსებთან არის კავშირში აღნიშნული და, სამწუხაროდ, იკვეთება გამოწვევები. სთავაზობენ, მაგრამ [ეს] დამოკიდებულია [იმაზე], ადგილზე რა არის, ე.ი. ხელმისაწვდომობაზე. გარდა ხელმისაწვდომობისა, ესეც ფინანსებთან არის დაკავშირებული“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი*

ინდივიდუალური მიდგომის მნიშვნელოვანი ნაწილია ინდივიდუალური განვითარების გეგმის სათანადოდ შედგენა და განხორციელება. ექსპერტების მოსაზრებით, ეს გეგმები დახვეწას საჭიროებს, რადგან სოციალურ მუშაკებს უჭირთ ბავშვის საჭიროებების სწორად პრიორიტეტიზება. ასევე, შესაძლოა, თავი იჩინოს კოორდინირების პრობლემებმა, როცა სოციალური მუშაკის მიერ შემუშავებულ გეგმაზე, გაწერილ მიზნებსა და ღონისძიებებზე არ არის ინფორმირებული მინდობით აღმზრდელი ან ბავშვი (მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად). ზოგადად, კოორდინაციის სირთულეები, სოციალური მუშაკების ცვლილება, სოციალური მუშაკების მასობრივი გადინება უარყოფითად აისახება მინდობით აღზრდის მომსახურებაში ბავშვის ინდივიდუალური მომსახურების დაგეგმვასა და განხორციელებაზე.

> *„სამწუხაროდ, ისევ სისტემურ პრობლემებზე უნდა გადავიდე. ზოგადად, სოციალური მუშაკების მიერ ვერ ხდება ბავშვის საჭიროებების სწორი პრიორიტეტიზება და ინდივიდუალური განვითარების გეგმების მიზნების სწორად განსაზღვრა“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი*

> *„ქაოსიც შემხვედრია. ინდივიდუალური განვითარების გეგმა, რა არის მიზნები, გეგმა რა არის, წარმოდგენა არ ჰქონიათ [მინდობით აღმზრდელებს]. არანაირი კოორდინაცია, კომუნიკაცია [მინდობით აღმზრდელთან]... [ასევე], რა საჭიროებები აქვს ბავშვს, მასთან ერთად უნდა იყოს დაგეგმილი“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი*

„მათი [სოციალური მუშაკის და მინდობით აღმზრდელის] ერთობლივი მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია. დამხმარე საშუალება რომ სჭირდება ბავშვს, მაგალითად, ეტლი ან სათვალე, ელოდებიან ერთმანეთს. კოორდინაციის და თანამშრომლობის პრობლემაა, ერთმანეთს ელოდებიან. ან, თუ სოციალური მუშაკი შეეცვალა, ეგრევე ირღვევა. რეორგანიზაციამ და პანდემიამ ხომ საერთოდ მოშალა. ეხლა კი დალაგდა ცოტა და ვნახოთ. უამრავი სოციალური მუშაკის გადინება იყო, ქეისები დარჩა ისე. უფროსი სოცმუშაკის იმედად იყვნენ მიმღებები და რაღაცა პრობლემები იყო ადმინისტრაციული. ჩვენც ვერ გამოვიჩინეთ მაქსიმალური სიმკაცრე. ბათუმში, მაგალითად, 10-12 სოცმუშაკი გავიდა, დარჩა 5-6 მთლიან აჭარაში“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

ექსპერტების აზრით, მინდობით აღზრდის პროცესში ინდივიდუალური მომსახურების მიწოდების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს მინდობით აღზრდის ფინანსური ანაზღაურება, რომელიც ხშირად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ბავშვს სრულფასოვანი მომსახურება მიეწოდოს ფორმალური და არაფორმალური განათლების (განსაკუთრებით, რეპეტიტორებთან მეცადინეობა), განვითარების, ჯანდაცვის (განსაკუთრებით, მედიკამენტების შეძენა და სტომატოლოგიური მომსახურება) და ფსიქიკური ჯანმრთელობისა თუ ემოციური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ასევე მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს ის, რომ სოციალური მუშაკები სათანადო ხარისხით ვერ მუშაობენ ინდივიდუალური განვითარების გეგმების შედგენასა და განხორციელებაზე, ასევე, მონიტორინგის ჩატარებისა და მინდობით აღმზრდელის მხარდაჭერის მიმართულებით. ეს თემები გაშლილია ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში.

ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმა: მინდობით აღმზრდელთა მოსაზრებები

მინდობით აღმზრდელების თქმით, მათი ვალდებულებები და გასატარებელი ღონისძიებები გაიწერება სოციალური მუშაკის მიერ შედგენილ ინდივიდუალური განვითარების გეგმაში, რომელშიც მოიაზრება სხვადასხვა სფერო, მაგალითად, მინდობით აღსაზრდელის ჯანმრთელობა, ემოციური მდგომარეობა, სხვადასხვა წრეზე სიარული და ა.შ. მინდობით აღმზრდელები ამბობენ, რომ მონაწილეობენ ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შედგენაში იმ ფორმით, რომ სოციალური მუშაკი მათთან განიხილავს გეგმის საკითხებს, შემდეგ სოციალური მუშაკი ადგენს გეგმის დოკუმენტს და გააცნობს მათ. სოციალური მუშაკი ასევე უწევს მათ მონიტორინგს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სრულდება გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები. გეგმის პუნქტებს მინდობით აღმზრდელი აცნობს ბავშვს, მისი ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით.

„ჩვენი პასუხისმგებლობებიც არის გაწერილი, ვალდებულებაც. მერე როგორ ხდება, იცით, სოცმუშაკი გვაცნობს დ,ა რომ მოვდივართ, ჩვენ ბავშვებსაც ვაცნობთ. საჭიროებებია გაწერილი, თუნდაც ფსიქოლოგთან ვიზიტი, რა სჭირდება ბავშვს, ექიმისგანაც გვეძლევა რეკომენდაციები. ჩვენ გაგვიწერება გეგმის სახით და ჩვენ უნდა შევასრულოთ“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„გაწერილი გვაქვს მთელი წლის გეგმა, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ, როგორ უნდა დავასვენოთ [ბავშვი]. გვაწვდის ამას შესაბამისი სამსახური“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„რა თქმა უნდა, ეს გეგმა დგება ჩემი და სოცმუშაკის საუბრის შემდეგ. საუბარი არის დეტალური. ამის შემდეგ, სოცმუშაკი ადგენს ინდივიდუალური განვითარების გეგმას, რომელიც გადმომეცემა მე და შემდეგ კონტროლდება, როგორ შევასრულე ეს გეგმა“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„კმაყოფილი ვარ ჩემი სოცმუშაკის და ვემორჩილებით თითოეულ პუნქტს. თუ ამას მივყვებით, მგონია, რომ ყველაფერი კარგად იქნება და გამოდის კიდევაც კარგად“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღსაზრდელის ჯანმრთელობის დაცვა და პირველადი საჭიროებები: სპეციალისტების მოსაზრებები

სპეციალისტების თქმით, მინდობით აღზრდის მომსახურებაში ინდივიდუალური მიდგომა ყველაზე უკეთ ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვისა და კვების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, თუმცა სამედიცინო ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი მინდობით აღმზრდელმა უნდა დაფაროს (მაგალითად, მედიკამენტების შეძენა, ჯანდაცვის პროფილაქტიკა, სტომატოლოგიური მომსახურება და ა.შ.). ასევე, სირთულეებთან არის დაკავშირებული დაბალანსებული კვების სრულად უზრუნველყოფა. შესაძლოა, კონკრეტულ შემთხვევებში, სირთულეს წარმოადგენდეს ჰიგიენური ნორმების დაცვა და სხვა საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებაც. გამოიკვეთა ერთი შემთხვევა, როცა ბავშვები ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ მინდობით აღმზრდელ ოჯახში და, ფიზიკურ და ემოციურ ძალადობასთან ერთად, არ იყო დაკმაყოფილებული ჯანსაღი და დაბალანსებული კვება, ტანისამოსი თუ სხვა საჭიროებები:

„მეტ-ნაკლებად, ძირითადად, სრულდება ისევ და ისევ ჯანმრთელობის და კვების საკითხი. ჯანმრთელობის საკითხი იმდენად თვალსაჩინო და პრიორიტეტულია, ბავშვს რაც აწუხებს, სახეზეა და მინდობით აღმზდელმა იცის, ვის მიმართოს, პირველ რიგში, სოცმუშაკს და მერე ერთობლივად უკავშირდებიან ჯანმრთელობის სხვადასხვა დაწესებულებებს. გარდა ამისა, გეგმიური კვლევები, აცრები, ძირითადად, ეს მუხლი სრულდება. კვებას რაც შეეხება, აქვე შედის, ამავე მუხლში, ჯანსაღი დაბალანსებული კვება. ვერ გეტყვით, რომ ამ ნაწილში კარგად არის საქმე. ამ მხრივ, რამდენად უწევს სოცმუშაკი [მონიტორინგს] დაბალანსებულ კვებას, რომ გითხრათ, შეიძლება, დიდად არც სრულდებოდეს. სტატისტიკა მე არ მაქვს, ჩემს მოსაზრებას ვამბობ. რაც მახსენდება და რაზეც ძირითადად გაგვიმახვილებია ყურადღება, როგორ არის, იცით? როგორც ტრადიციულად ოჯახს აქვს მიღებული რუტინულად კვების საკითხი, დაახლოებით კვების ისეთივე რაციონი აქვს ხოლმე მინდობით აღსაზრდელს. თუმცა ბავშვის სურვილების გათვალისწინება, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დიეტის, ეს ხორციელდება. ბავშვების მხრიდანაც, როდესაც ინტერვიუ გვაქვს ბენეფიციარებთან,

კვების თემაც შედის, რა თქმა უნდა. ვეკითხებით, რა უყვარს, რისი გაკეთება შეუძლია, ხშირად მენიუში რა აქვს და აქედან ვგებულობთ ხოლმე, რამდენად არის დაბალანსებული. აქ მეტ-ნაკლებად საშუალო მდგომარეობაა". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

„საჭმელზე იყო მართლა კატასტროფა. კვება იყო თვის ბოლოს თუ თვის დასაწყისში, ანუ, ხელფასს როდესაც იღებდნენ. მოგეხსენებათ, რომ მინდობით აღზრდაში უფრო მეტი ხელფასია და ბავშვებზე უფრო მეტი უნდა იხარჯებოდეს, რადგან გარკვეული წილი ბავშვისთვისაც არის განკუთვნილი, როგორც სოციალურმა მუშაკმა მითხრა, როდესაც მე ეს ყველაფერი მოვუყევი. ანუ ერთი და იგივე საჭმელი მიდიოდა თვიდან თვემდე. ანუ მაკარონი იყო ძირითად კვებაში, წვნიანი თითქმის არ იყო, რაც აქ ყოველდღიურად არის. ნაირ-ნაირი საკვები არ იყო და, რაც შენ გინდოდა, თითქმის არაფერი არ იყო. ჩაცმულობაც..". – მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი (მინდობით აღზრდის მომსახურებიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადმოყვანილი ბავშვი)

„მცირე საოჯახოში გადაყვანილი ერთი ბენეფიციარი მახსენდება, რომელმაც, სარეცხის საპნის გარდა, საპონი თუ არსებობდა, არ იცოდა, მცირე საოჯახოს აღმზრდელები იყვნენ შოკში... მინდობითიდან იყო გადაყვანილი". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

„პრობლემები გვაქვს მინდობით აღმზრდელებთანაც, მათ დამოკიდებულებასთან ბავშვებთან. დაფინანსებაც არ არის საკმარისი და ელემენტარულად იმაზე გვიწევს საუბარი, რომ ბავშვმა ბევრი შამპუნი დახარჯა". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„მინდობით აღმზრდელები ბავშვებისთვის აქტიურად მოიხმარენ საყოველთაო ჯანდაცვის პაკეტს. ბევრი რამ ამ პაკეტიდან არ იფარება, მედიკამენტები, პროფილაქტიკური თემა და სტომატოლოგია. ამ შემთხვევაში, ეს თანხები საკმარისი არ არის". – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

ზოგიერთ მინდობით აღმზრდელ ოჯახში იკვეთება სამედიცინო და ჰიგიენური საჭიროებების უგულებელყოფა:

„ბავშვები ისეთი მოუვლელები და მოუწესრიგებლები არიან. მაგალითად, იმ დღეს ვამბობდი, როგორ შეიძლება ბავშვს ასეთ მდგომარეობაში ჰქონდეს ფრჩხილები? ვერ ვხვდები. 8 წლის ბავშვს პირში კბილები არ ჰქონდეს, შეიძლება ეგეთი?" – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

ჯანმრთელობის დაცვა: მინდობით აღმზრდელთა მოსაზრებები

მინდობით აღმზრდელების თქმით, ჯანმრთელობის დაცვის გარკვეული მომსახურებები, განსაკუთრებით, გადაუდებელი და სტაციონარული მომსახურებები, ბავშვებს უფინანსდებათ, თუმცა სხვა მომსახურებებზე ისინი მეტ მხარდაჭერას საჭიროებენ, ვიდრე ამჟამად იღებენ. ასევე, ყურადსაღები სირთულეა ჯანდაცვის მომსახურებების მიღება

რეგიონებში, ვინაიდან გარკვეული მომსახურებების მიღება მხოლოდ თბილისსა და/ან დიდ ქალაქებში არის შესაძლებელი. შესაბამისად, მინდობით აღმზრდელების ნაწილს რეგიონებიდანაც თბილისში დაჰყავს ბავშვები სამედიცინო მომსახურების მისაღებად. პრობლემურია მედიკამენტების შეძენაც, რომელთა ღირებულებას მინდობით აღმზრდელები იხდიან. შშმ ან სსმ ბავშვები იღებენ ფსიქიატრის მომსახურებასა და მედიკამენტებს უფასოდ, თუმცა მათთვისაც გაძნელებულია სტომატოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფა.

„ოპერაცია, ვინაიდან სასწრაფო იყო, დაგვიფინანსდა 100%-ით. ანალიზი რომ დამჭირდა პატარასთვის, რაიონში არ კეთდება. ექიმის დანიშნულებით 137 ლარი გადავიხადე ანალიზებში. რეგიონში, სადაც არ კეთდება ანალიზები, ამ ბავშვებს დახმარება სჭირდებათ. თბილისში უნდა გვქონდეს დაშვება, ვიცოდეთ, რომელ საავადმყოფოსთან გვაქვს ურთიერთობა და შეგვეძლოს ანალიზების გაკეთება. თუნდაც 50%-ით დაგვიფინანსონ. გადაუდებლის დროს 100% ფინანსდება, რადგან სოციალურად დაუცველები არიან“. – მინდობით აღმზრდელების ფოკუსჯგუფი

„ჩემთან რომ გადმოიყვანეს ბავშვი, სიცხეებს აძლევდა, გადავამოწმეთ ექიმთან, გაკეთდა უფასო ანალიზები, დაგვინიშნეს სითხეები, მაგრამ ვერ მოვითმინე. იყო ასეთი შემთხვევა, რომ ეს სიცხეები გაგრძელდა დიდხანს და გადავამოწმე კერძო კლინიკაში. ბავშვს აღმოაჩნდა ჭია, თან ისეთი, რომელიც გადაადგილდება მთელ ორგანიზმში და შეიძლება ნებისმიერ ორგანოს მიადგეს. მე რომ დავლოდებოდი და არ გადამემოწმებინა, შეიძლება, ძალიან ცუდად დამთავრებულიყო. დაგვჭირდა რამდენიმეთვიანი სერიოზული მკურნალობა. ეს, რა თქმა უნდა, არ ფინანსდება. არის პოლიკლინიკაში ლაბორატორია, რომელიც იღებს ზოგად უფასო ანალიზებს, მაგრამ ეს, რაც ჩვენ დაგვჭირდა, კერძო კლინიკაში გაკეთდა, რადგან პოლიკლინიკაში არ ტარდებოდა ეს ანალიზი. რვა თვეში ხელმეორედ გადავამოწმეთ ანალიზი. არის რაღაცეები, რაც არ ფინანსდება და არ არის უფასო“. – მინდობით აღმზრდელების ფოკუსჯგუფი

„ფულს ვიხდით და ძვირადღირებულ წამლებშიც, აბა უვარგის წამალს ხომ არ მივცემ ბავშვს?“ – მინდობით აღმზრდელების ფოკუსჯგუფი

„არის დაფინანსებები, ჩემი გამოცდილებით. ჩემი უფროსი ბავშვი არის შშმ პირი და დავდივართ კლინიკაში ფსიქიატრთან. ბავშვს აქვს დანიშნული წამალი, რომელსაც კლინიკა გვაძლევს უფასოდ. სტომატოლოგიურ მომსახურებას რაც შეეხება, ვიცი, რომ საერთოდ არ ფინანსდება. თბილისში დავდივართ და ჩვეულებრივად ვიხდი ყველა გადასახადს. კი, ვცხოვრობთ დუშეთში, მაგრამ „მედიმედში“ მყავს თბილისში აღრიცხვაზე, კარგი პედიატრით და კარგი მომსახურებით. მე ძალიან კმაყოფილი ვარ. თვალებზე მყავდა მიყვანილი და ჩვეულებრივად გადავიხადე ყველაფერი. არც მომითხოვია, ვიცოდი, რომ არ ფინანსდებოდა. უფროს ბიჭს, რადგან შშმ პირია, დაუფინანსდა 100%-ით ოპერაციები. წვრილმანი არ ფინანსდება. არც მიკითხავს“. – მინდობით აღმზრდელების ფოკუსჯგუფი

„პატარა მეწვა კიდევ კლინიკაში. პირველად ვიზიტი გადავიხადე, დანარჩენი ყველაფერი უფასო იყო, ოღონდ, როდესაც დააწვინეს ბავშვი და დასჭირდა სტაციონარული მომსახურება“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღმზრდელები გამოყოფენ შემთხვევებს, როცა კონკრეტული დიაგნოზის ქონის მიუხედავად (მაგალითად, ეპილეფსია), ბავშვს საჭირო კვლევები და კონსულტაციები არ უფინანსდება. მშობლების თქმით, ბავშვებს ასევე ესაჭიროებათ დასვენება კონკრეტულ კურორტებზე, განსაკუთრებით, ჯანმრთელობის კონკრეტული პრობლემების არსებობისას, რა დროსაც მათ თავად უწევთ დასვენების ხარჯების გადახდა. ეს კი მინდობით აღმზრდელი ოჯახისთვის ძალიან დიდი თანხა გამოდის.

„ჩვენს შემთხვევაში, ეპილეფსია აქვს და ენცეფალოგრამა სჭირდება. ღვიძლის ფუნქციური თუ კონსულტაცია – ყველაფერი ფასიანი არის. უმნიშვნელო რაღაცეები ფინანსდება, რასაც ისედაც შევძლებ და რაც ძვირად ღირებულია, იმას ვიხდით. ზღვისპირეთი სჭირდება. თანადაფინანსებაც რომ იყოს, ოთხი ბავშვი წავიყვანო, მეხუთე მე, არ არის მარტივი, ასე ოჯახით წახვიდე“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მიუხედავად მინდობით აღმზრდელთა თავდაუზოგავი შრომისა, შესაძლოა, გაიპაროს სიტუაციები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ბავშვების უსაფრთხოებასა და სიცოცხლეს, მაგალითად, შეიძლება ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ადგილას იყოს მედიკამენტები. ამავე დროს, მინდობით აღმზრდელები იაზრებენ მსგავსი ფაქტებისა და სიტუაციების სერიოზულობას და ხშირად ღამეებს ათენებენ, რათა დარწმუნდნენ, რომ ბავშვები უსაფრთხოდ არიან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვი ახალგადმოყვანილია მინდობით აღმზრდელ ოჯახში და ჯერ არ არის კარგად ადაპტირებული. აღნიშნული შემთხვევები უარყოფითად მოქმედებს მინდობით აღმზრდელების ფსიქოემოციურ კეთილდღეობაზე და ხელს უწყობს მათ პროფესიულ გადაწვას. ასევე, როგორც ქვემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, მნიშვნელოვანია მინდობით აღმზრდელებთან უსაფრთხოების ზომებზე დამატებით მუშაობა (მაგალითად, მედიკამენტების უსაფრთხოდ შენახვის, შინ უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის აუცილებლობა და ა.შ.).

„2012 წლიდან ვარ [მინდობით აღმზრდელი]... მყავდა ბიჭი, რომელიც დამყავდა ფსიქიატრთან. ახლა 23 წლის არის და წასულია ჩემგან. ახალი წლის დღეები იყო, 15 წლის იყო მაშინ. გვაქვს დარჩენილი 10 აბი წამალი და უნდა წავსულიყავით ექიმთან და უნდოდა ძალიან მანტო. ვერ ვუშოვე ეს მანტო გურჯაანში. თელავში მეგობრებმა მომიძებნეს მანტო და გადამიდეს. შევუთანხმდი, როდესაც წავალთ ექიმთან, ბარემ გავიაროთ თელავში და ვიყიდოთ ეს მანტო. გადავუთვალე წამალი – 10 აბი იყო. „ამას დავლევთ და წავიდეთ ერთად“. იმდენად უნდოდა ეს მანტო, რომ ამ საღამოს ეს 10-ვე აბი ერთად დალია. დაღამდა, უნდა დავიძინოთ და ჩემი უფროსი ბიჭი მოდის, ცუდად არისო, საწოლიდან გადმოვარდაო, პირღებინება აქვსო. ჩავქანდი, სადღაა ეს ბავშვი, თვალები ასული მაღლა, პირი მოღრეცილი, 112 რომ გამოვიძახე, ეგრევე გადავიყვანეთ.

მე არ ვიცოდი, რომ წამლები ჰქონდა დალეული. ექიმმა, ან პლანი აქვს მოწეულიო, ან თავში აქვს ჩარტყმულიო, რეფლექსებიც აღარ ჰქონდა. მერე თბილისში გვინდოდა გადაყვანა. წამის მეათედში ამომიტივტივდა წამლის ამბავი. რომ შევამოწმე კოლოფი, მთელი ათივე ტაბლეტი დალეული ჰქონდა. ათი წლის სიცოცხლე დამაკლდა, მაშინ რაც გადავიტანე, აზრიც არ ჰქონდა, ოჯახისთვის გამეგებინებინა. მერე ექიმმა პოლიცია გამოიძახა, ბავშვი ხომ არ იყო ძლადობის მსხვერპლიო, მე ხომ არ ვიძალადე ბავშვზე. პოლიცია რომ მოვიდა და ასე ნანერვიულები დამინახა, კი, მჯერა თქვენიო. უბრალოდ აუცილებლად უნდა მოვსულიყავიო. მერე, გონზე რომ მოვიდა ბავშვი, პოლიციამ ჰკითხა და მოუყვა. ექიმმა, კიდევ კარგი, რომ აქამდე სვამდაო და ორგანიზმი შეჩვეული იყოო. გარდატეხის ასაკში ეს გადამატანინა. ხან ვიტყვი ხოლმე, მე ამ ბავშვებზე რა ამაგიც მაქვს, დღე და ღამე მაქვს გასწორებული. პუფი მედო და ტანსაცმლით მეძინა ამათთან, რომ რამე არ დასჭირვებოდათ. დღეს თავს აღარ მანებებს ეს ბავშვი, წარამარა მოდის, რჩება, ვაკვალიანებ და ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ეხლა რომ ვიხსენებთ ამ ამბავს, ნუღა მეუბნებიო. მიხვდა, მაშინ რომ დააშავა. ოღონდ ჯანმრთელები იყვნენ, მეტი არაფერი მინდა". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

ჯანმრთელობის დაცვა: მინდობით აღსაზრდელთა მოსაზრებები

მინდობით აღსაზრდელების თქმით, მათ სამედიცინო საჭიროებებს მინდობით აღმზრდელი ოჯახი ან სახელმწიფო პროგრამა ფარავს. დაზღვევით ოპერაციები და კონსულტაციები ფინანსდება, თუმცა სრულად არ ფინანსდება ანალიზები და მედიკამენტები. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით, საოპერაციო ჩარევისას, სოციალური მუშაკიც ერთვება:

„მე ჯანმრთელობის პრობლემები მქონდა, 5 ოპერაცია მაქვს გაკეთებული, მინდობით აღზრდაში ყველა ოპერაცია დამიფინანსეს. ექიმის კონსულტაციაც მიფინანსდება, ანალიზები არ მიფინანსდება. მედიკამენტსაც გააჩნია, ზოგჯერ არის დაფინანსებაში, ზოგჯერ – არა". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩემს ძმას დასჭირდა ხელზე ოპერაცია და მაშინ დაარბენინებდნენ ექიმებში. როცა გვჭირდება, ნამდვილად დავყავართ". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„[სოციალური მუშაკი] ყველა ოპერაციაზე ჩემ გვერდით იჯდა". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღსაზრდელთა განათლება: სპეციალისტების მოსაზრებები

განათლების თვალსაზრისით, მინდობით აღზრდის სტანდარტი (ფორმალური და არაფორმალური განათლება) მეტ-ნაკლებად კმაყოფილდება ბავშვებისთვის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის. სირთულეს წარმოადგენს დამატებითი წრეების (არაფორმალური განათლების), ასევე, რეპეტიტორების დაფინანსების

საკითხი, სხვა საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებასთან ერთად. თუ ბავშვის სურვილი და საჭიროებაა, ჩაერთოს დამატებით წრეებში, მათ საფასურს მინდობით აღმზრდელი იხდის.

> *„განათლებაც, ფორმალური და არაფორმალურიც, ესეც მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილებულია. სოცმუშაკია მჭიდროდ ჩართული და ეს მნიშვნელოვანია. თბილისის სკოლებს აქვს ინკლუზიური განათლების პროგრამა. რეგიონებში, სადაც არ ჰყავთ სპეციპედაგოგი, იქ ცოტა პრობლემურია და არ არის ინკლუზიური განათლების მხრივ ბავშვის ხელშეწყობა. მინდობით აღმზრდელის ინფორმირებულობაც დაბალია ამ მიმართულებით, მთავარი და მნიშვნელოვანი არის შეფასება ბავშვისთვის. მიშვებულობის ფონზე აკადემიური ჩამორჩენა არის ხოლმე. თუ არის გამოხატული, ამ შემთხვევაში, სოცმუშაკი ცდილობს, რომ მობილიზება მოახდინოს და ჩართოს, თუ სკოლას აქვს რესურსი, ასევე საბავშვო ბაღებშიც ხელშეწყობილია ბავშვის ჩართვა, ამაზეც ზრუნავს სოცმუშაკი. რეკომენდაციები გაგვიცია ამასთან დაკავშირებით“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი.*

> *„[ფასიანი წრის გადასახადს] მიმღები მშობელი იხდის, აბა რა, ვალდებულება აქვს, იცის ეს გადასარევად, რომ უნდა დააკმაყოფილოს ბავშვის მოთხოვნილება“. – ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველო.*

> *„[მინდობით აღმზრდელს] მიეცემა ფინანსური რესურსი, თუმცა ეს ფინანსური რესურსი რამდენად საკმარისია, ეს სხვა საქმეა. აქვე მახსენდება, რომ ფოკუსჯგუფებში მინდობით აღმზრდელები საუბრობდნენ იმ პრობლემაზე, მიუხედავად იმისა, რომ თავად უმაღლესი განათლება უფასოა სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში აღზრდილი ბავშვებისთვის, მოზარდი ასაკის მინდობით აღსაზრდელებს ესაჭიროებათ დამატებითი პედაგოგები, ასევე, რეპეტიტორები, რათა მიიღონ უმაღლესი განათლება. შესაბამისად, რომ გადავიანგარიშოთ, სამ-ოთხ საგანში მომზადება, ამას დამატებული მედიკამენტების ხარჯი, სტომატოლოგიური/ბრეკეტების საჭიროება, არსებული ფინანსური რესურსი ამ ყველაფრისთვის საკმარისი არ არის“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი*

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი საუბრობს ცალკეულ შემთხვევებზე, როდესაც ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმაში არ იყო დაფიქსირებული კონკრეტული მიზნები და ღონისძიებები განათლების მიმართულებით. შესაბამისად, განათლების შესახებ გეგმის მიზნებზე არ იყო ინფორმირებული მინდობით აღმზრდელი. გარდა ამისა, იგი მიუთითებს სირთულეებზე, რომლებსაც წარმოქმნის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, სპეციალური პედაგოგისა და სხვა რესურსების არარსებობა სკოლაში.

> *„ძირითადად, გამოიკვეთა, რომ ადრეული და სკოლამდელი განათლების კუთხით არ გამოვლენილა რაიმე პრობლემები. ერთადერთი, ინდივიდუალური განვითარების გეგმაში ცალკეული შემთხვევები გამოვლინდა, რომ არაფერი ეწერა განათლების მიმართულებითაც და მინდობით აღმზრდელმა არ იცოდა აღნიშნულის შესახებ. ასევე*

გვისახელებდნენ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობდნენ, მათ შორის, ჩვენ ვისაუბრეთ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებზე, სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე... გვეუბნებოდნენ, რომ თანამშრომლობდნენ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, თუმცა გამოვლინდა გარკვეული შემთხვევები, როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების კუთხით იყო პრობლემები, ასევე, მაშინ გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სპეცპედაგოგი არ ჰყავდათ და ამ მიმართულებით იკვეთებოდა გამოწვევები". – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

განათლება: მინდობით აღმზრდელთა მოსაზრებები

მინდობით აღმზრდელების თქმით, მათი დროის მნიშვნელოვანი წილი იხარჯება ბავშვების დახმარებაზე აკადემიური განათლების მიღებაში, სკოლის დავალებების შესრულებაში. ისინი საუბრობენ პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზედაც და, მათი თქმით, მხარს დაუჭერენ ბავშვებს იმაში, რის ინტერესსაც ისინი გამოხატავენ. გარდა ამისა, მათ ესაჭიროებათ მეტი ინფორმაცია პროფესიული ინკლუზიური განათლების თაობაზე.

„მე თვითონ პედაგოგი ვიყავი 18 წელი და ერთადერთი, რაც არ ვიცი, ინგლისურია, დანარჩენში ვეხმარები. სკოლის მასწავლებლებიც აღნიშნავენ: „იცით, რა კარგად საუბრობს რუსულად". ჩემს ბიჭს აჯობა. სკოლიდან რომ მოვდივართ, სახლში აღარაფერს ვაკეთებ, მთელი აქცენტი გადატანილი მაქვს დავალებებზე და სწავლაზე. რაც არ შემიძლია, არის ინგლისური და ამაშიც სხვანაირად ვეხმარებით". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჯერ მაგ ასაკამდე ჩვენ არ ვართ, მაგრამ საჭიროება თუ იქნება და ბავშვი მოინდომებს უმაღლესში, აუცილებლად დავეხმარები. არა მგონია, დაფინანსდეს სხვანაირად". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„კოლეჯში სამშენებლო საქმე უნდა ვასწავლო. უნდა გაიაროს გასაუბრება, რომელსაც ვერ შეძლებს. რა უნდა გავაკეთო, არ ვიცი. კოლეჯს უნდა მივმართო? სოციალურმა უნდა მიმართოს კოლეჯს? ნამდვილად არ ვიცი. ახლა სწავლობს საათის ცნობას და ელემენტარულ მათემატიკას". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღმზრდელების თქმით, ბავშვები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობის შემთხვევაში, სკოლაში სარგებლობენ სპეციალური პედაგოგის მომსახურებით და აქვთ ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა. ამ კუთხით, გამოიკვეთა წარმატებული მაგალითები, როცა აღნიშნული მიდგომა ძალიან დაეხმარა ბავშვს, საგრძნობლად გაეუმჯობესებინა ცოდნა და უნარები, ასევე, აკადემიური მოსწრება.

„მე მყავს შშმ პირი და სჭირდება ინკლუზური სწავლება. მასზე არის ადაპტირებული პროგრამა. შარშანაც გამოცდა ჩაბარა, ინგლისურში 10 მიიღო. კვირაში სამჯერ აჰყავთ ბავშვები, ამეცადინებენ სპეცპროგრამით. ისეთი განვითარებული გახდა ეს ბავშვი, მეორე ჯგუფის [შეზღუდული შესაძლებლობის მქონეა], რომ ვისმენ ხოლმე მის

მსჯელობას, არ ვიცი... პედაგოგებიც აღნიშნავენ, რომ ძალიან მონდომებული და აქტიურია. ძალიან მიხარია". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღმზრდელები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო მეტად უჭერდეს მხარს მინდობით აღსაზრდელებს იმაში, რომ არაფორმალური განათლების კერები მათ საცხოვრებელთან ახლოს იყოს. მინდობით აღმზრდელები აღნიშნავენ, რომ საცხოვრებლიდან მოშორებით შეიძლება იყოს უფასო წრეები, მაგრამ ტერიტორიული სიშორის გამო, უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, იქ ბავშვებს ვერ უშვებენ. მინდობით აღმზრდელებისთვის სირთულეს წარმოადგენს არაფორმალური განათლებისა თუ სპორტული გასვლითი ღონისძიებების დაფინანსებაც, რომლებიც ძალიან ძვირი ჯდება. ფორმალურ თუ არაფორმალურ განათლებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად მინდობით აღმზრდელები იყენებენ არა მარტო სახელმწიფოდან მიღებულ თანხას, არამედ თავიანთი ოჯახის წევრების ფინანსურ რესურსებსაც.

„მე ტრენინგზე რომ ვიყავი, მახსოვს, აქვს სახელმწიფოს უფასო წრეები. 14 წლის გოგო მყავს და 17-ის უნდა გახდეს ჩემი ბიჭი... მე ვმუშაობ პარალელურად და აქედან საბურთალოზე ვერ გავუშვებ მარტო. თუნდაც აბონიმენტები რომ დაარიგოს სახელმწიფომ, ნუ იქნება ფულადი თანხა. ჩვენ უბანში გვაქვს წრეები და აქვე ივლიდნენ. სახელმწიფო თუ გაითვალისწინებს, რომ ბავშვი იყოს რამით დაკავებული, ძალიან კარგი იქნება". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„თუნდაც თვეში რვა გაკვეთილი აბონიმენტი ცეკვის. გადასახადები 150 ლარიდან იწყება და ორი ბავშვის ბევრი გამოდის უკვე. ცოტა მეტად რომ დაგვეხმარონ, მოხარულები ვიქნებით. ისევ ამ ბავშვების გამო. თინეიჯერები არიან. მინდა, რომ მეტად დაკავდნენ სპორტით, იქნებ, იქ იპოვონ თავისი თავი. თუნდაც მოტივაცია იქნება სკოლის საგნებში". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მნიშვნელოვანია წრეები. მე ცეკვაზე დამყავს და ერთი გასვლა 250 ლარი ჯდება. ჭადრაკზეც დადის და სხვა ქალაქში, თუმცა, ძვირი ჯდება. ამ პროგრამაში მყოფ ბავშვებს, თვიურ გადასახადს აღარ ვგულისხმობ, გასვლები რომ დაუფინანსდეს, ძალიან კარგი იქნება". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„[გასვლები] იმხელა თანხა ჯდება, რომ მე ვერ გადავიხადე, დავიქირავე ბინა და მე თვითონ წავედი იქ. ერთის გამო ამხელა თანხას ვერ გადავიხდით, თუ შემოსავალი არ გვაქვს დამატებითი. რამდენჯერ ყოფილა, მეუღლის და შვილის თანხები დამიმობილიზებია, რომ ამათ არ დააკლდეთ რამე". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

განათლება: მინდობით აღსაზრდელთა მოსაზრებები

კვლევაში მონაწილე მინდობით აღსაზრდელების უმეტესობა ფიქრობს პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებაზე, მათ შორის, ის ბავშვებიც, რომელთაც სსსმ პირის სტატუსი აქვთ და სპეცმასწავლებლის მომსახურებას იღებენ. მათი ნაწილი ჩართულია

ასევე არაფორმალური განათლების აქტივობებში. მინდობით აღსაზრდელების თქმით, მათ ნაწილს ჰყავს რეპეტიტორებიც. თუ მათ დამატებითი რეპეტიტორი დასჭირდებათ, ისინი დარწმუნებული არიან, რომ ეს მომსახურება მათთვის უზრუნველყოფილი იქნება მინდობით აღმზრდელი ოჯახის მიერ. იყო ასეთი შემთხვევა: ბავშვი, რომელიც ამჟამად მცირე საოჯახო ტიპის სახლში იმყოფება, როგორც გაირკვა, მინდობით აღმზრდელ ოჯახში ყოფნის დროს, სხვა ბავშვებთან ერთად, ძალადობისა და უგულებელყოფის მსხვერპლი იყო და არც არავინ ზრუნავდა მათ განათლებაზე.

> *„წელს ვამთავრებ სკოლას და პროფესიულში ვაპირებ გაგრძელებას“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„უკვე შერჩეული მაქვს კოლეჯი და მეც გავაგრძელებ კოლეჯში. სპეცმასწავლებელთან ვმეცადინეობ სკოლაში“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„მე ძალიან აქტიური ვარ, ნებისმიერ აქტივობებში ვერთვები ხოლმე. ჯერ პროფესია არ შემირჩევია, მაგრამ უმაღლესში ვფიქრობ გაგრძელებას. მოკლევადიან ტრენინგებს ვესწრები, რომ ბევრი დიპლომი მქონდეს და მეტი შევძლო“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუს ჯგუფი*

> *„ყველაფერი ხელმისაწვდომია. მე მყავს ინგლისურის რეპეტიტორი, სკოლაშიც კარგად ვსწავლობ, ათიანებზე. აღმზრდელისგან ვიცი, თუ რაღაცა დამჭირდება, შემიძლია, ვთქვა“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„არანაირ განათლებას არ ვიღებდი მინდობით აღზრდაში. ძალადობის მხრივ მიდიოდა ეს ყველაფერი...“ – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი (მინდობით აღზრდის მომსახურებიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადასული ბავშვი).*

მინდობით აღსაზრდელთა თქმით, ყველა ბავშვი მინდობით აღზრდის მომსახურებაში ვერ იღებს საჭირო აკადემიურ თუ სხვა სახის მხარდაჭერას და მათი საჭიროებები შეიძლება უგულებელყოფილი იყოს:

> *„ჩემს სკოლაში ჩემი კლასელები იყვნენ, ვინც სპეცმასწავლებელთან დადიოდა. ვინც აღმზრდელი იყო, ისეთი პირობები ჰქონდა, ბავშვებსაც არ უვლიდა და რეპეტიტორთან სიარული ზედმეტი იყო... ახლა ბიოლოგიურ ოჯახში არიან“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

კვლევაში მონაწილე მინდობით აღსაზრდელები ჩართულნი არიან არაფორმალური განათლების სხვადასხვა წრესა და აქტივობაში (ხატვა, ცეკვა, ქსოვა, ჭიდაობა, ტაიკვანდო და ა.შ.). არაფორმალური განათლების აქტივობებში ჩასართავად ბავშვის მოტივაციაზე, შესაძლოა, მუშაობდეს სოციალური მუშაკიც:

> *„მე, პირადად, ცეკვაზე დავდიოდი ადრე. ჩემი და ხატვაზე დადიოდა“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

„მე თავიდან არაფერზე არ დავდიოდი და სოცმუშაკი სულ მაგას მეუბნებოდა, რომ რაღაცით დავკავებულიყავი. მერე გიტარაზე შევედი, ჩემი თავი ვერ დავინახე იქ და ახლა ცეკვაზე დავდივარ. მაგითიც უზრუნველყოფილი ვარ“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე ქსოვაზე... ხატვაზე დავდიოდი, ახლა ცეკვაზე დავდივარ. 6 წელი ხატვაზე დავდიოდი და დიპლომებიც ავიღეთ“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე დავდივარ ჭიდაობაზე და ტაიკვანდოზე“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

სკოლაში სირთულეები შეიძლება დაფიქსირდეს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბავშვი სკოლას იცვლის, როცა მინდობით აღმზრდელ ოჯახში ხვდება. ამ დროს არის ხოლმე ბულინგის შემთხვევები მინდობით აღსაზრდელების მიმართ. ბულინგის შემთხვევები, შესაძლოა, უკავშირდებოდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სტატუსსაც. ბულინგის შემთხვევებში, მინდობით აღსაზრდელების თქმით, ერთვება სოციალური მუშაკი. სოციალურმა მუშაკმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, რომ გამოიყვანოს ბავშვი სკოლიდან.

„ახლა არ არის ბულინგი ჩემს მიმართ და ადრე იყო, სანამ აქ გადმომიყვანდნენ. აქ კარგად ვგრძნობ თავს“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი (სსსმ მინდობით აღსაზრდელი)

„[ბულინგის შემთხვევაში] ჩაერთო [სოციალური მუშაკი] და გამოგვიყვანა“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩემს კლასში მასწავლებლის შვილი და დირექტორის შვილი არის და მათი მხრიდან იყო ბულინგის მომენტები. სოცმუშაკი ძალიან აქტიურად იყო ჩართული“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

ერთ-ერთმა მონაწილემ გაგვიზიარა, რომ იგი უკვე დასაქმებულია, რადგან მისმა მინდობით აღმზრდელმა ოჯახმა ხელი შეუწყო, ასწავლა პროფესია, უყიდა შესაბამისი აპარატურა და დაასაქმა საკუთარ სამსახურში:

„ვის ოჯახშიც ვარ, ექიმია და მასაჟებს აკეთებდა. ელექტროსტიმულაციის აპარატი დასავლეთში არავის არ ჰქონდა. მინდოდა, რომ შემესწავლა და მე მქონოდა. ოჯახმა შემიძინა ეს აპარატი და დამასაქმა ამით. [ჩემს მინდობით აღმზრდელს] როდესაც პაციენტი ჰყავს და სჭირდება სტიმულაცია, მივყავარ და მეც ვარ დასაქმებული. ჩემი აზრით, ყველაფერი შეიძლება, არ აქვს მნიშვნელობა, სოფელში იქნები თუ ქალაქში, მთავარია მონდომება. ხელფასსაც ვიღებ“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღსაზრდელების ემოციური განვითარების ხელშეწყობა და ძალადობისგან მათი დაცვა

სპეციალისტების მოსაზრებით, მინდობით აღმზრდელებს განსაკუთრებით უჭირთ ბავშვების ემოციური განვითარების მხარდაჭერა, მათი ქცევის არაძალადობრივად მართვა და, ზოგადად, ძალადობისგან მათი დაცვა, აღზრდის პროცესშიც კი. განსაკუთრებული სირთულეები წარმოიშობა ბავშვის გარდატეხის ასაკის დადგომასთან ერთად. ერთ-ერთი ყურადსაღები სირთულეა სოციალურ ქსელებთან ურთიერთობა, ინტერნეტზე დამოკიდებულება და ამ მხრივ ბავშვის უსაფრთხოების პოზიტიური აღზრდის მეთოდებით (და არა, მაგალითად, ტელეფონის ჩამორთმევით) დაცვა. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ პოზიტიური მაგალითებიც აღინიშნა. მინდობით აღმზრდელები გადიან ტრენინგს, სანამ მათთან ბავშვი განთავსდება, მაგრამ ეს ტრენინგი, როგორც წესი, არ არის საკმარისი პოზიტიური აღზრდის მეთოდების დასაუფლებლად და ბავშვის ემოციური მხარდაჭერის პრაქტიკულად უზრუნველყოფისთვის. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტრენინგის გავლის შემდეგ მინდობით აღმზრდელი მხოლოდ სოციალური მუშაკისგან იღებს მხარდაჭერას და აღარ გადის დამატებით ტრენინგებს, ასევე, ფაქტობრივად, არ აქვს განვითარების ან მხარდაჭერის სხვა ტიპის შესაძლებლობები. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მინდობით აღმზრდელებმა, შესაძლოა, გამოიყენონ დასჯის მეთოდებიც. გამოიკვეთა ერთი შემთხვევა, როცა მინდობით აღზრდის მომსახურებაში მყოფ ბავშვებზე ხორციელდებოდა ფიზიკური და ემოციური ძალადობა, ასევე, უგულებელყოფილი იყო კვებისა და სხვა ბაზისური საჭიროებები. მინდობით აღზრდის ამ მომსახურებაში ბავშვების მთლიანი რაოდენობა 6-ს აღწევდა (ბიოლოგიური შვილების ჩათვლით), რაც კიდევ უფრო ამძიმებდა მდგომარეობას. სხვა ოჯახში მინდობით აღზრდის მომსახურებაში მყოფ შშმ ბავშვზე ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ძალადობა – მას დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ და ამ ყველაფერს ვიდეოკამერით იღებდნენ. გამოიკვეთა კიდევ ერთი შემთხვევა, როცა მინდობით აღსაზრდელს (რომელიც ამჟამად უკვე მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელია) მინდობით აღმზრდელი ემუქრებოდა და მასზე ფსიქოლოგიურად ძალადობდა. ამ შემთხვევაში სოციალური მუშაკი ჩაერია და ხსენებული ფაქტები აღმოიფხვრა, თუმცა აღსანიშნავია, რომ, მინდობით აღსაზრდელის ინფორმაციით, სოციალურმა მუშაკმა თავიდან მას არ დაუჯერა, მინდობით აღმზრდელთან ტელეფონზე დარეკა ბავშვის ნაამბობის გადასამოწმებლად (ბავშვის თანდასწრებით) და, საბოლოოდ, მისი იმიტომ ირწმუნა, რომ ბავშვის და-ძმაც იმავეს ჰყვებოდა. აღსანიშნავია, რომ მინდობით აღმზრდელები პრაქტიკაში პოზიტიური აღზრდის მიდგომის დასანერგავად თუ ქცევითი სირთულეების სამართავად ხშირად საჭიროებენ დამატებითი სპეციალისტების (მაგალითად, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი და ა.შ.) ჩარევას, თუმცა ეს რესურსი შეზღუდულია, განსაკუთრებით რეგიონებში. ამ პრობლემის მოგვარება დიდწილად დამოკიდებულია სოციალური მუშაკის მიერ საკუთარი მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებაზე, თემში არსებული რესურსების პროაქტიურად მოძიებასა და მინდობით აღმზრდელის ამ მომსახურებებში გადამისამართებაზე.

> *„მინდობით აღმზრდელი ხშირად არ არის ხოლმე ინფორმირებული ბავშვის განვითარების სპეციფიური ეტაპების შესახებ, განსაკუთრებით, პუბერტატის ასაკში და რთული ქცევის გამოვლენის შემთხვევაში რა ადეკვატური ზომები უნდა მიიღოს და რა*

რეაგირება უნდა ჰქონდეს. ამის შესახებ ინფორმაცია უნდა ჰქონდეს სოცმუშაკს, მაგრამ მინდობით აღმზრდელს ერთჯერადად აქვს გავლილი ტრენინგი, მაგრამ წლები რომ გადის, ამას სჭირდება განმტკიცება. ერთჯერადი ტრენინგი ვერ უვითარებს უნარებს, დამოკიდებულებას და ხედვას... იყენებენ დასჯის მეთოდებსაც... რთული ქცევის მართვის მეთოდები არ იციან. ისევ რეგიონებზე გავამახვილებდი ყურადღებას, [იქ] უფრო გამოხატულია ეს პრობლემები. ძალადობის მსხვერპლი ბავშვები თუ არიან გადაყვანილი ოჯახში, სწორად სად უნდა მოახდიონ რეფერირება, [არ იციან]... ფსიქოლოგის და ფსიქიატრის პრობლემა არის და ისევ აქაც გამოხატულია ეს საკითხი და ისევ პრობლემა ჩნდება. მაგრამ თუ სოცმუშაკი არის უფრო აქტიური, მობილიზებული და კომპეტენტური, ამ შემთხვევაში, პროგრამის შესაბამისად, კომუნიკაცია აქვს ოჯახთან. სოცმუშაკი პოულობს რესურსებს". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

„11 წლის ვიყავი, როდესაც პირველად მინდობით აღზრდაში წამიყვანეს. დასამალი არაფერი არ მაქვს. ჩემთან ერთად იმყოფებოდა მათი შვილებიც, ჩემი პატარა და და ორი ბავშვი, რომელთაგანაც ერთს მშობელი არ ჰყავდა და იყო გაშვილების პროცესში. და ისე იყო, რომ ეს ბავშვი უნდა ეშვილა თვითონ აღმზრდელს. და ისე იყო, რომ ის ბავშვიც და ჩვენც ვიყავით ძალადობის მსხვერპლი, უბრალოდ, მე ცოტა დიდი რომ ვიყავი, ამიტომ ხელით ვერ მეხებოდნენ. ისე ფიზიკურ შეურაცხყოფას მაყენებდნენ და მძიმე ტვირთის ტარებითაც მღლიდნენ. იყო ასე წლინახევრის ბავშვი, რომელსაც ცალი ხელით იჭერდნენ, თვითონ ბავშვს, და ისე სცემდნენ, წკეპლით სცემდნენ, სიცივეში ჰყავდათ და ძალიან ცუდად ექცეოდნენ. სანამ მე წამოვიდოდი, 2 თვით ადრე მაგათმა ნათესავებმა მოიყვანეს მინდობით აღზრდაში ბავშვები, რომელთაგან ერთი იყო შშმ პირი და იყო ცოტა ჭარბწონიანი. ჩვენთან ერთ დღეს ამოვიდა ეს ბიჭი (ეს ყველაზე რთული მოსაყოლია), ხოდა, ამოვიდა და ჭამდა საჭმელს. ხოდა, ოჯახის უფროსი მამაკაცი ამას უღებდა სადისტურად ვიდეოს და ამაზე ღადაობდა. ამას თავი რომ დავანებოთ, შშმ ბავშვს მოაწევინა თუთუნი და სიგარეტი, რაც იყო ამაზრზენი საყურებელი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი (მინდობით აღზრდის მომსახურებიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადაყვანილი ბავშვი)

„მეც ვიყავი გადაუდებელ მინდობით აღზრდაში, ხოდა, ნუ ახლა ცემა არ ყოფილა, მაგრამ [იყო] ასეთი მიმართვა, რომ „რამდენს ჭამ, საქონელი ხარ?" ასე გვესაუბრებოდა. კიდევ მუქარა იყო, რომ „აი, სახლიდან გაგაგდებ". ბოლო თვეებში, როცა უკვე ვიცოდი, რომ ბავშვთა სახლში გადავდიოდი, იყო რაღაც შეურაცხყოფები. მერე მაგის გოგო რაღაც უაზროდ მეჩხუბა და ძაან ზემოდან მიყურებდა და დაიცვა თავისი გოგო. საღამოს ამოვიდა და დაიწყო ჩემი ლანძღვა და შეურაცხყოფაზე გადმოვიდა და სოციალურ მუშაკს რომ ვესაუბრე, დაელაპარაკა და მოგვარდა. ხოდა, მაგაზე გაბრაზებულზე, მერე თქვა, რომ მანქანაში ჩაგყრით და გადაგყრითო და კიდევ რაღაცეები მოხდა. ახლა აღარ მინდა გახსენება... სოციალური მუშაკი ცოტა

უყურადღებო ქალი იყო... რაც მოხდა [კონფლიქტი მინდობით აღმზრდელის შვილთან], მინდოდა, მისთვის მეთქვა, რათა ხელმეორედ ესეთი ფაქტი არ განმეორებულიყო. ხოდა, ვუთხარი სოციალურ მუშაკს, რეებიც მოხდა და როგორი სიტყვებითაც მომმართა. ხოდა, მე არ დამიჯერა და ამჯობინა, იმ ქალისგან მიეღო ინფორმაცია. ჩემს თვალწინ დაურეკა და ჰკითხა, მართლა ეგრეაო? და ანუ მანდ მივხვდი, რომ ჩემი არ სჯეროდა, რადგან, მე რომ ვთქვი, რომ ეს ბავშვი ასეთ რამეს აკეთებს, მე მოსაგონებლად ნამდვილად არაფერი არ მინდოდა. ის ქალიც არ აღიარებდა, რა თქმა უნდა. და ბოლოს იმით დავამტკიცე, რომ ჩემი და-ძმანიც იგივეს ამბობდნენ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი (მინდობით აღზრდის მომსახურებიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადაყვანილი ბავშვი)

„პუბერტატის ასაკში ბავშვები ძალიან ინტენსიურად იყენებენ სოცქსელებს და დიდი რისკია პროსტიტუციაში ჩაბმის. პრინციპში, ეს რომ გამოეპაროს მინდობით აღმზრდელს, მასეთი შემთხვევები ნაკლებად არის, ძალიან წუხან და მოგვარების გზები აწუხებთ. ამ შემთხვევაში, სოცმუშაკსაც რთავენ, მაგრამ რამდენად სწორია... შეგვხვედრია შემთხვევები ტელეფონის ჩამორთმევის, არ არის სწორი და ძალიან რთულია კონტროლიც". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

„ერთი მაგალითი გამახსენდა. ზუსტად რეგიონში იყო ასეთი შემთხვევა, ძალიან კარგი მინდობით აღმზრდელი ოჯახი, მაქსიმალურად იყვნენ ცოლ-ქმარი და მათი შვილიც [ჩართული], რომელმაც [ოჯახმა] ჩანაცვლებითი სტრატეგია გამოიყენა... დააკავეს ეს ბავშვი სხვა საქმიანობით. დაეხმარნენ პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრაში. სხვათა შორის, ბავშვსაც ვესაუბრე და არ გამოუთქვამს პროტესტი. 15 წლის გოგონაა, არ გამოხატავდა პროტესტს, არც უკმაყოფილებას. სწორი სტრატეგია მოიფიქრეს, კარგად იყვნენ ჩართულები ამ ბავშვის აღზრდაში... აკრძალვა არასწორი მიდგომაა, რა შესთავაზო დამატებით, ჩანაცვლებით, ამაზეა საუბარი". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

სპეციალისტები ასევე მიუთითებენ ძალადობის რისკებზე მინდობით აღმზრდელ ოჯახებში. მათი თქმით, ხშირად გვხვდება მდგომარეობა, როდესაც მინდობით აღმზრდელი ისეთ მეთოდებს მიმართავს, რომლებიც წარსულში გამოუყენებია, მაგალითად, საკუთარი შვილების აღზრდისას, ან რომელთა შესახებაც აქვს ინფორმაცია ან გამოცდილება, მისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე (მაგალითად, როგორც მასწავლებელს). აღნიშნული მეთოდები, როგორც წესი, არ შეესაბამება მინდობით აღზრდის მომსახურებაში განთავსებული ბავშვის საჭიროებებს, მისი ცხოვრებისეული და ხშირად ტრავმული გამოცდილების გათვალისწინებით. ასევე, დედობილი შეიძლება იყენებდეს შედარებით სწორ მეთოდებს, მამობილი კი მიმართავდეს ავტორიტარული აღზრდის სტილს. სპეციალისტები ხაზს უსვამენ იმას, რომ მინდობით აღსაზრდელი ბავშვები შეიძლება

იძულებული გახდნენ, მოერგონ ოჯახს და მინდობით აღმზრდელს და არა პირიქით – მინდობით აღმზრდელი ზრუნავდეს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. აქვე უნდა ითქვას, რომ სპეციალისტები მიუთითებენ სოციალური მუშაკის როლზედაც – მან უნდა აღმოაჩინოს მსგავსი სირთულეები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ შემთხვევაში სოციალური მუშაკი აქტიურად არის ჩართული მინდობით აღზრდის მონიტორინგისა და მხარდაჭერის პროცესში, ხანდახან სოციალური მუშაკის ჩართულობის ხარისხი გაცილებით დაბალია. შესაბამისად, მათ ზემოხსენებული რისკების იდენტიფიცირება და მათზე სათანადოდ რეაგირება უჭირთ.

„ძალადობის რისკები არის, რა თქმა უნდა. ერთი, განსაკუთრებით გამოკვეთილი რაც შეიძლება იყოს, პრობლემა არის [ეს]: „მე ჩემი შვილები ასე გავზარდე, მე ამ მეთოდს ვიყენებდი და ძალიან კარგი შვილები გავზარდე“. ის მეთოდები, რომლებიც თავისი შვილის აღზრდის დროს იქნა გამოყენებული დედის მხრიდან ან მამის მხრიდან, მინდობით აღსაზრდელებთან შეიძლება საერთოდ არ მუშაობს. გაცნობიერებულიც არ აქვთ და იდენტიფიცირებულიც არ აქვთ სოცმუშაკებს, რომ არის ძალადობა, მიდგომები და სტრატეგიები არის ძალადობრივი. ჩვენ ამაზე ბევრი რეკომენდაცია გვაქვს გაცემული. რეკომენდაცია კი არა, პირდაპირ გადავამისამართეთ კონტროლზე ასეთი მშობლები და ჩაერთვნენ გადასამზადებელში, ზოგს საერთოდ შეუწყვიტეს ხელშეკრულება. ასეთი ბევრი ფაქტები იყო, ან გამოიყვანეს ბავშვი, ან ხელშეკრულება შეუწყვიტეს და, ზუსტად არ მახსოვს, შსს-ზე გადაცემის ფაქტიც იყო ერთხელ. სატრენინგო კურსია, სანამ ბავშვს შეუყვანს სოცმუშაკი, სერტიფიცირებული მიმღები ოჯახი უნდა იყოს და გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რა საქმიანობას ეწევა... ზოგ შემთხვევაში, ყოფილი პედაგოგები არიან მიმღები ოჯახები და, როგორი აღზრდის მეთოდები აქვთ, იცით, საოცარი! ვერ ხვდებიან, რომ ეს ბავშვები არიან მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რომელთაც არც ოჯახი ჰყავთ, არც სკოლაში უვლიათ და საზოგადოებასთან ინტეგრირებული არ ყოფილან. რაღაც ჩარჩოებში აქცევენ, ჩარჩოში მოქცეული ბავშვი პროსტიტუციაში ისე ერთვება, ვერც ხვდება“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

„ასევე გვხვდება, რომ მიმღები მშობელი ქალი ლოიალურია და მამობილი – ავტორიტარული მიდგომებით, რადიკალურად განსხვავებული იმისგან, რა მოთხოვნებიც ჩვენ გვაქვს... ასეთი შემთხვევებიც ყოფილა, რომ სოცმუშაკი საერთოდ აზრზე არ არის. თანამშრომლობა სოცმუშაკებსა და მიმღებ ოჯახებს შორის ზოგ შემთხვევაში და უმეტესად ძალიან კარგია და კოორდინირებულია, მაგრამ არის მძიმე ქეისებიც. სამი-ოთხი ბავშვი ჰყავთ, იქიდან დედმამიშვილი შეიძლება არცერთი არ იყოს და ამ ოჯახს ისეთი ხედვა ჰქონდეს, სოფელში კარგი სახელი აქვთ, კარგი შვილები გაზარდეს, ყოფილი მასწავლებელია დედა, მაგრამ ისეთი სიტუაცია დამხვედრია, ბავშვები თვალებში უყურებენ, რა ესიამოვნება და რა გაუხარდება მამაკაცს ან ქალბატონს. როგორ არის, იცით, ბავშვები ერგებიან, მიმღები მშობლები კი არ ერგებიან. და ეს ყველაფერი, სანამ ჩვენ მივალთ, სოცმუშაკამდე უნდა მივიდეს და მან

უნდა შეამჩნიოს და იდენტიფიცირებაც მან უნდა მოახდინოს“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

გარდა ამისა, იკვეთება მაგალითები, როცა მინდობით აღმზრდელი უგულებელყოფს მინდობით აღსაზრდელების საჭიროებებს, რაც იწვევს ამ უკანასკნელთა ანტისოციალურ და რისკის შემცველ საქმიანობაში ჩართვას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ მუშაკებთან გასაუბრებისას იკვეთება უფრო სენსიტიური ტერმინოლოგიის გამოყენებისა და ბავშვებთან დაკავშირებული სირთულეების უფრო მეტი მგრძნობელობით გააზრების საჭიროება.

„მე მყავს ახლა მინდობით აღზრდაში ორი ბავშვი. მათგან ერთი ქურდობს, მეორე ბოზობს. მათ აქვთ მაწანწალობისა და მათხოვრობის გამოცდილება... [ამ მინდობით აღმზრდელს] არ უნდა ჰყავდეს 6 ბავშვი. თან ეს ქალი 64 წლის იყო, როდესაც პირველი ბავშვი შეუყვანეს და ახლა 74 წლისაა“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი გამოყოფს სირთულეებს, როცა, მაგალითად, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები სათანადოდ არ უჭერენ მხარს მინდობით აღმზრდელებს ძალადობის პრევენციასა და გამოვლენაში. მნიშვნელოვანია მინდობით აღმზრდელების დახმარება, რომ მათ შეეძლოთ ძალადობის ნიშნების ამოცნობა, განსაკუთრებით ბიოლოგიურ ოჯახში ბავშვის დროებითი გასვლის პერიოდებში.

„[2018-2019 წლებში] ყველაზე დიდი გამოწვევები [გამოვლინდა] სოცმუშაკების და ფსიქოლოგების მხრიდან ძალადობის პრევენციაზე და გამოვლენაზე მუშაობის მხრივ. მინდობით აღზრდაში, [როცა] მშობელი დარეგისტრირებულია მნახველ და გამყვან პირად, ამ კუთხით იყო გამოწვევები, რომ სათანადოდ ინფორმირებული ყოფილიყო [მინდობით აღმზრდელი], რა ნიშნები შეიძლება ჰქონდეს ბავშვს, თუ ძალადობა განიცადა“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

სპეციალისტები ასევე საუბრობენ ძალადობისა და ბულინგის რისკებზე ბავშვებს შორის მინდობით აღზრდის მომსახურებაში. მინდობით აღმზრდელების ცნობიერების დონე, ზოგიერთ შემთხვევაში, დაბალია ისეთ რისკებთან დაკავშირებით, როგორიცაა ინცესტი (მაშინაც, როცა ბავშვები სექსუალური ძალადობის გამოცდილებით შემოდიან მინდობით აღზრდის მომსახურებაში); არ ფლობენ ინფორმაციას ამ რისკების პრევენციის შესაძლო გზების შესახებ. მინდობით აღმზრდელებს ესაჭიროებათ მხარდაჭერა, რათა დაარეგულირონ მინდობით აღსაზრდელებს შორის წარმოშობილი სირთულეები, მაგალითად, კონკურენციის გაჩენა მინდობით აღმზრდელის ყურადღების მოსაპოვებლად. ზოგჯერ მინდობით აღმზრდელები თავად უწყობენ ხელს ბავშვებს შორის დაძაბულობისა და კონფლიქტის წარმოქმნას, როცა გამოკვეთილად გამოარჩევენ ერთ ბავშვს სხვებთან შედარებით. ასევე, შესაძლოა, დიდ პრობლემას წარმოადგენდეს ბავშვის შესახებ არსებული სენსიტიური ინფორმაციის (განსაკუთრებით, ტრავმული და ძალადობრივი გამოცდილების შესახებ) კონფიდენციალობის დაუცველობა მინდობით აღმზრდელების მხრიდან.

„მინდობით აღმზრდელები თუ არ გადამზადდნენ... საერთოდ ვერ ერკვევიან, [რა არის] ინცესტი. რატომ არ შეიძლება და-ძმის ერთ ოთახში განთავსება პუბერტატის ასაკში, როცა ბავშვს უკვე გამოცდილება ჰქონდა ბაბუისგან ან მამისგან“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

„ერთი შემთხვევა გამახსენდა. კონკურენცია ჰქონდათ მაღალი. მინდობით აღმზრდელი ლოიალური მეთოდებით გამოირჩეოდა. [ეს] კარგად ჰქონდათ ამ ბავშვებს ათვისებული და მანიპულირებდნენ. ეს ქალი იყო ძალიან ცუდ დღეში, სოცმუშაკსაც მიმართა, მაგრამ ვერაფერს ვერ აკეთებდა. ბოლოს იმდენად გამწვავავდა პრობლემა, განცალკევებაზე იყო ლაპარაკი. ორი გოგონა, რომელთა შორის 1 წელი იყო სხვაობა... დიდი მოთხოვნილება ჰქონდათ თვითდამკვიდრების, ვინ იქნებოდა მინდობით აღმზრდელისთვის უფრო საყვარელი, და ერთმანეთს ფარულად მტრობდნენ“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

„მინდობით აღმზრდელს მიჯაჭვულობა აქვს ერთ კონკრეტულთან, მაგალითად, იმასთან, რომელიც 2 კვირის შეუყვანეს და „მის გაზრდილს“ ეძახის ამ ბავშვს. ამ დროს შეჰყავთ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ბავშვი და შეიძლება რამე ინფექციური დაავადებები ჰქონდეს. რაღაცნაირად გამოკვეთილად ბულინგის ნიშნები იწყება. ამას ხშირად აფიშირებს მიმღები მშობელი, ეს ესეთი იყო, ესეთი მომიყვანეს. წარმოიდგინეთ, ჩვენთან ვერ შეიკავა თავი... ეს კონფიდენციალობის თემა არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომელიც ხშირ შემთხვევაში არის დარღვეული. ისეთი საკითხები გააჟღერეს ჩემთან, საერთოდ რომ არ უნდა ეთქვათ… ინფორმაციამ გაჟონა, საიდანაც გადაიყვანეს, ვინ მიატოვეს, ვის რატომ აქვს გასაშვილებლის სტატუსი და ამის შესახებ ინფორმირებული იყო მთელი თემი, სადაც ყველა ყველას იცნობს“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი საუბრობს ერთეულ შემთხვევებზე, როცა მინდობით აღსაზრდელი ბავშვი გადაჭარბებულად იყო ჩართული საოჯახო საქმიანობაში, რაც, ფაქტობრივად, ბავშვის შრომით ექსპლუატაციად ჩაითვალა.

„გამოიკვეთა ორი თუ სამი შემთხვევა... გადამეტებულად იყვნენ ჩართულები ბავშვები საოჯახო საქმიანობაში, ბავშვთა შრომის ნაწილში“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

ექსპერტების აზრით, მაშინ, როცა მცირე საოჯახო ტიპის სახლში ძალადობის რისკი მეტია (თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ ის რეზიდენტული დაწესებულებაა, სადაც 8-10 ბავშვი ცხოვრობს), მცირე საოჯახო ტიპის სახლში ძალადობის შემთხვევის აღმოჩენა უფრო ადვილი შეიძლება იყოს, ვიდრე მინდობით აღმზრდელ ოჯახში, რადგან მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბევრი სპეციალისტია, ასევე, ადმინისტრაციის წარმომადგენელი. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის თქმით, 2018-2019 წლებში ჩატარებული მოკვლევის დროს მინდობით აღმზრდელებში დაფიქსირდა ფიზიკური დასჯის შემთხვევები (თმის მოწიწკვნა, კუთხეში დაყენება). ასევე, განსაკუთრებით, კოვიდის პანდემიის შემდგომ პერიოდში,

გამწვავდა პრობლემები ქცევის პოზიტიურ მართვასა და ემოციური მხარდაჭერის მიწოდებასთან დაკავშირებით.

> *„მცირე საოჯახო სახლები იურიდიული დაწესებულებებია, სადაც შეიძლება ბავშვთა შორის ურთიერთძალადობის მეტი რისკი არსებობდეს, მაგრამ პლიუსი ის არის, რომ იქ ბევრი ადამიანია, აღმზრდელები, პერსონალი და ა.შ. და თუ ძალადობის ფაქტი იქნება, უფრო მარტივად შეიძლება, გამომჟღავნდეს, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი ერთზე რჩება ბავშვი და მინდობით აღმზრდელი. და თუ არის ცუდი ქეისი, გამოვლენა უფრო რთულია. ამ კუთხით რისკი მაღალია“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი*

> *„[2018-2019 წლების მოკვლევის დროს მინდობით აღმზრდელებს შორის,] სამწუხაროდ, გამოიკვეთა გარკვეული რაოდენობის რესპონდენტები, რომლებიც, ძირითადად, კუთხეში დაყენების, თმის მოწიწკვნის და ყურის აწევის მაგალითებს ასახელებდნენ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აღმზრდელის მხრიდან. კოვიდის მერე ყველგან ქცევის პოზიტიური მართვის კუთხით იკვეთება გამოწვევები და ემოციური მხარდაჭერის მიწოდების თვალსაზრისით“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი*

რაც შეეხება ძალადობის აღმოჩენას, ძირითადი როლი ამ კუთხით მინდობით აღზრდის მომსახურებაში აკისრიათ სოციალურ მუშაკსა და თავად მინდობით აღმზრდელს. ამ უკანასკნელს სოციალური მუშაკი აწვდის ინფორმაციას ძალადობის ნიშნებისა და მათი ამოცნობის გზების შესახებ. მინდობით აღმზრდელები ასევე გადიან ტრენინგს, სანამ მათთან ბავშვს გადაიყვანენ, თუმცა სპეციალისტები თანხმდებიან, რომ აღნიშნული არ არის საკმარისი. ამიტომ საჭიროა მინდობით აღმზრდელების ცოდნის გაღრმავება და უნარების გაძლიერება ამ მიმართულებით. თუ ბავშვი ფსიქოლოგის მომსახურებას იღებს, ესეც შეიძლება იყოს დამხმარე მექანიზმი ძალადობის ნიშნებისა და რისკების აღმოჩენის თვალსაზრისით. თუ მსგავსი რისკი გამოიკვეთა, საქმეში ერთვება სოციალური მუშაკი.

> *„მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვები ხომ ფსიქოლოგის მომსახურებას გადიან. თუნდაც ვიზიტებს რომ ვახორციელებთ, ცალკე ხომ ვესაუბრებით ბავშვებს. რაღაცეები რომ გამოიკვეთება, ჩვენ ეგრევე ვერთვებით მინდობით აღმზრდელთან მიმართებაში, და ვცდილობთ, რომ სიტუაცია დავარეგულიროთ“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

> *„მიმღებ მშობლებს ჩვენ ვაწვდით ინფორმაციას, ძალადობის შემთხვევაში ვის უნდა მიმართონ, როგორი შედეგები მოჰყვება ძალადობას..., მოძალადეების მიმართ როგორია კანონი. უნდა იცოდეს მიმღებმა მშობელმა, რა არის ძალადობის ნიშნები, რომ არ გაუჭირდეს ამოცნობა. მიმღებმა მშობელმაც უნდა იცოდეს, რისი უფლება აქვს, რისი ვალდებულება აქვს, რომ ძალადობა ყველასგან დაუშვებელია და თავადაც რა პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ამის გამო. ასევე, აქვთ ინფორმაცია, ვის უნდა დაუკავშირდნენ ძალადობის შემთხვევაში“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

„იმდენად იმატა ძალადობრივმა შემთხვევებმა, იმდენად მაღალია რისკი, მე ვფიქრობ, რომ შეხსენება სჭირდებათ. მხოლოდ ერთხელ მიწოდებული ინფორმაცია საკმარისი არ არის. ფუნდამენტური ძალადობა რა არის, ეს იციან, მაგრამ ეს პატარ-პატარა სირთულეები, თუნდაც სკოლაში წარმოქმნილი, პედოფილიასთან წარმოქმნილი რისკები, ამის შესახებაც ჩვენ ინფორმაციას ვცვლით". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

რაც შეეხება ძალადობის შესახებ ბავშვის ცნობიერების ამაღლებას, ამაზე პასუხისმგებელი არის მინდობით აღმზრდელი სოციალური მუშაკის მხარდაჭერით. ამ საკითხზე მუშაობენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებსაც აქვთ სათანადო რესურსი. სოციალურ მუშაკებს საკუთარი რესურსით ამ გამოწვევასთან გამკლავება უჭირთ. სოციალურ მუშაკებთან შემოდის ხოლმე შეტყობინებები, რომლებიც ბავშვებს შორის კონფლიქტურ სიტუაციებს ეხება, თუმცა ეს არ არის ძალადობა. სოციალური მუშაკების თქმით, მსგავსი სირთულეების თავიდან ასაცილებლად, ჯობს, ოჯახში არ იყოს ბიოლოგიური შვილი, ან, თუ არის, იყოს უფროსი ასაკის.

„[როდესაც ხდება კონფლიქტი], მინდობითის შემთხვევაში, მინდობითი მშობელი [ცდილობს, დაარეგულიროს ის], თუმცა, თუ ვერ ხდება სიტუაციის დასტაბილურება, ამ შემთხვევაში უშუალოდ სოცმუშაკი მონაწილეობს კონფლიქტის აღმოფხვრაში. რაც შეეხება დაწესებულებაში ან ოჯახის გარეთ ბავშვის დაცვას, ამ შემთხვევაში, ყველაზე ეფექტური არის ბავშვის ინფორმირებულობა. ბავშვს აქვს ტელეფონის ნომრები, იცის, როგორ უნდა მოიქცეს, თუ საგანგაშო სიტუაციაში აღმოჩნდა. თუ რაღაცა ფორსმაჟორი არის, უკავშირდება ან სოცმუშაკს, ან მიმღებ მშობელს/აღმზრდელს, ან 112-ს. ყველაზე კარგი არის, ბავშვმა იცოდეს, როგორ უნდა მოიქცეს, თუ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ვერ ეყოლება ყოველ წუთას გვერდში ვერც მშობელი და ვერც სოცმუშაკი. თუ სკოლაში ხდება, მაშინ სოცმუშაკს ეკისრება განსაკუთრებული მნიშვნელობა, კანონიერი წარმომადგენელი არის სოცმუშაკი. ასევე, მანდატურის სამსახურს ჰყავს თავისი სოცმუშაკი, ხდება მათთან თანამშრომლობა და კონფლიქტის მოგვარება". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ამ შემთხვევაში ძალიან დამხმარე არის ხოლმე არასამთავრობო ორგანიზაციები. ახალციხეში მუშაობს „ვორლდ ვიჟენი", აქვს ხოლმე შეხვედრები, აწვდიან ინფორმაციას. ძალიან რთულია, მიმღებმა მშობელმა ან ჩვენ ყველაფრის ვალდებულება ავიღოთ და ყველაფრის მონიტორინგი ვაწარმოოთ. არასამთავრობო ორგანიზაციები გვეხმარებიან ბავშვების ცნობიერების ამაღლებაში. ეს გამოწვევები შეიძლება ყველგან იყოს, მცირეში, მინდობითშიც. ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, ყველაფერზე გვატყობინებენ ხოლმე, ზოგჯერ – რაც არის საჭირო და რაც არ არის საჭირო. ფაქტობრივად, პრევენცია ხდება. ძალიან მნიშვნელოვანია, მივაწოდოთ ბავშვს ინფორმაცია მეორე ბავშვის საჭიროებებზე. თუ ავუხსნით, რა საჭიროება აქვს და რატომ იქცევა ასე, მიმღებლობა აქვთ ხოლმე. ბიოლოგიურ შვილსა და მინდობით

აღსაზრდელს შორისაც ყოფილა [კონფლიქტი] და, თუ ერთი ასაკის არიან, ამ შემთხვევაში გამოწვევები იზრდება ხოლმე. ჯობს, რომ ბიოლოგიური შვილი ან არ იყოს ოჯახში, ან დიდი იყოს". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

ექსპერტების აზრით, მინდობით აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის კონფლიქტებისა და დაძაბულობის პრევენციისთვის უმნიშვნელოვანესია ოჯახში ბავშვის განთავსების კარგად დაგეგმვა, ასევე, მინდობით აღმზრდელის სათანადოდ ინფორმირება ბავშვის სირთულეებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შესახებ. ამ კუთხით, ექსპერტების თქმით, ხშირად არის სირთულეები, რაც განაპირობებს არასათანადო მიდგომების გამოყენებას მინდობით აღმზრდელების მხრიდან.

„დაგეგმარებას კიდევ არსებითი მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში, მინდობით აღმზრდელს არ გააჩნია ინფორმაცია მინდობით აღსაზრდელის შესახებ. ეს წარმოშობს პრობლემებს და არასწორ მიდგომებს, რაც შემდეგ კიდევ უფრო ღრმავდება და გადაიზრდება კონფლიქტებში, დაძაბულობაში და ა.შ. შესაბამისად, ინფორმაციის არქონამ შეიძლება გამოიწვიოს არასწორი მიდგომები, იგივე ფსიქოემოციური თვალსაზრისით". – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

ემოციური განვითარების ხელშეწყობა და ძალადობისგან დაცვა: მინდობით აღმზრდელების მოსაზრებები

მინდობით აღმზრდელების ნაწილი მიიჩნევს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, მინდობით აღსაზრდელს ისე მოექცე, როგორც საკუთარ შვილს. აღნიშნული, შესაძლოა, დადებით ფაქტორად აღვიქვათ, თუმცა, როგორც ქვემოთ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, ეს გულისხმობს არა მარტო სითბოსა და სიყვარულის გამოხატვას, არამედ მოფერებასაც და გაწყრომასაც, როგორც საკუთარ შვილის მიმართ. როგორც ითქვა, ამ საკითხს სპეციალისტები სირთულედ მიიჩნევენ, რადგან ხშირ შემთხვევაში, მინდობით აღსაზრდელს, მისი ტრავმული გამოცდილებიდან გამომდინარე, აღზრდის პროცესში, შესაძლოა, განსხვავებული მიდგომა ესაჭიროებოდეს.

„თუ ამ ბავშვებს ისე მოექცევი, როგორც საკუთარ შვილებს, ყველაფერი იქნება ნორმალურად... ვუბრაზდები კიდეც, როგორც საკუთარ შვილებს, ვეფერები, როგორც საკუთარ შვილებს და ვუკეთებ ყველაფერს". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღმზრდელების თქმით, უმნიშვნელოვანესია, ბავშვებს სიყვარული და სითბო აგრძნობინონ, რათა ბავშვებმა დაიჯერონ, რომ მინდობით აღმზრდელს ისინი უყვარს და ჩათვალონ მინდობით აღმზრდელი ოჯახი საკუთარ ოჯახად.

„მე მყავს ოთხი ბავშვი, დედმამიშვილები არიან. ყველაზე დიდი 16 წლის არის. მეორე წელია, რაც ჩემთან არიან. ეს ბავშვები ისეთი მგძნობიარეები არიან, თუ არ დაგინახეს, რომ შენ ამათი ერთგული ხარ, გცდიან. ჩვენ კი ვერ ვაკონტროლებთ, ისინი გვაკონტროლებენ. როდესაც მთელი გულით იქნები, მორჩილები ხდებიან და თავის ოჯახად გთვლიან. დიდები არიან, ხედავენ კარგად, მადლობასაც მიხდიან.

მზრუნველობას რომ ხედავენ, მერე იჯერებენ, რომ მართლა შესაძლებელია, იყოს ოჯახის წევრი". – მინდობით აღმზრდელების ფოკუსჯგუფი

მინდობით აღმზრდელებისთვის საკმაოდ რთულია ბავშვების ემოციური საჭიროებების დაკმაყოფილება, როცა მათ ცხოვრებაში რთული პერიოდია ან პირადი ტრაგედია აქვთ (მაგალითად, ოჯახის წევრის გარდაცვალება). ეს ბავშვებზედაც მოქმედებს და მინდობით აღმზრდელებზედაც. ამ უკანასკნელთ განსაკუთრებით ესაჭიროებათ ასეთ პერიოდში მხარდაჭერა (მაგალითად, ფსიქოემოციური და სამედიცინო სახის), რათა სათანადოდ გაუწიონ ბავშვს მზრუნველობა.

„სირთულეები შემხვდა ჩემ გამო, მე ვიყავი დამნაშავე. ახლა არის ბავშვი 7 წლის. 4 წლის იყო, ჩემთან რომ მოვიდა, გაუბედურებული, ნაცემი. კაცებს რომ ხედავდა, ისტერიკა ემართებოდა. „კარატე" დაირქვა და ილეთებს აკეთებდა, არავის გვიკარებდა. ერთი წელი გასტანა ამ მდგომარეობამ. ამ ზაფხულს გარდამეცვალა მეუღლე. ეს იყო ჩემთვის შოკი. 6 თვე ვიცხოვრე სიკვდილთან ერთად. უფროსი ძალიან შეგნებულია და ყველაფერში მედგა გვერდში და მიგებდა. მართლა ღმერთმა გამომიგზავნა მათი თავი. რომ არა ეს ბავშვები, მე მკვდარი ვიქნებოდი. ამ დროს ეს პატარა გახდა აგრესიული... უცებ დაეწყო ამ ბავშვს საშინელი აგრესია, აპროტესტებდა ყველაფერს. ველაპარაკე სააგენტოს ფსიქოლოგს. არაო, ეს იმხელა ცვლილებაა მასშიო, ამასაც დაივიწყებსო. მერე მე თვითონ ვიმკურნალე, გამოვედი მდგომარეობიდან. სულ მეხუტება, ვეფერები. რაც უფრო მეტს ვეფერები, მით უფრო მორჩილი გახდა. ჩვენზე ძალიან ბევრია დამოკიდებული, ბავშვი როგორ მოიქცევა. ყველგან დამყავს, რომ დრო არ ჰქონდეს თავისუფალი. თავიდან არ უნდოდა არაფერზე სიარული, ახლა თქმა აღარ უნდა. ჩვენ რამდენადაც თბილები ვიქნებით ამ ბავშვების მიმართ... ამათ ხომ სითბო აკლიათ. ახლა ისეთია, თქმა არ მჭირდება. ეს ჩვენგან მოდის. მგონია, რომ ჩვენს თავს უნდა დავუკვირდეთ ხანდახან, ჯობს". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

სარეაბილიტაციო მომსახურებები

როცა მინდობით აღზრდის მომსახურებაში მყოფ ბავშვს ესაჭიროება სარეაბილიტაციო სერვისები, მათ შორის, შშმ/სსსმ ბავშვებისთვის საჭირო სერვისები, ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეწოდება, როცა ადგილზე ხელმისაწვდომია. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მინდობით აღზრდაში, თუნდაც მცირე საოჯახო ტიპის სახლთან შედარებით, ნაკლებად ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურებები, რადგან, მცირე საოჯახო ტიპის სახლებისგან განსხვავებით, აქ არ არიან დაქირავებული სპეციალისტები, რომლებიც უშუალოდ მომსახურებაში აწვდიან ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, მინდობით აღმზრდელმა ოჯახმა კი თემში უნდა მოიძიოს ის. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის თქმით, ყველა ტიპის ძალადობის (ფიზიკური, სექსუალური და სხვ.) გამოცდილების მქონე ბავშვებისთვის საჭიროა სპეციფიკური სარეაბილიტაციო მომსახურებების ადგილზე უზრუნველყოფა. ასევე, მნიშვნელოვანია, სსსმ და შშმ ბავშვებისთვის ადგილზე მომსახურების გაძლიერება. რეაბილიტაციის/აბილიტაციის, ასევე,

პრევენციულ მომსახურებებში ჩართვა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის დიდ ქალაქებსა და დასახლებებში ნაკლებ სირთულეს წარმოადგენს, თუმცა გაცილებით პრობლემურია სოფლებში.

„ხონში, მაგალითად, ადგილზე ფსიქოლოგის მომსახურება შეუძლებელია. მიმღებ მშობელს უწევს ქუთაისში ბავშვის წაყვანა. ყველა ბავშვს არ შეუძლია, დამოუკიდებლად წავიდეს, და, ბუნებრივია, ეს სირთულეებს იწვევს. ასაკით დიდები რომ არიან და ამბულატორიული მომსახურება სჭირდებათ, ეს დაწესებულება არის დიდი ფსიქიატრიული და ამ ასაკში ბავშვებში იწვევს არაჯანსაღ დამოკიდებულებას. შიშით უყურებენ ამ დაწესებულებას. თუნდაც მხოლოდ კონსულტაციაზე მისვლა დისკომფორტს უქმნით“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„როდესაც საუბარია თანამშრომელთა/სპეციალისტთა აყვანის პრობლემაზე, შენ დამატებითი ადამიანი გჭირდება, რომელიც ბავშვს ამ პროგრამაში მიიყვანს და წამოიყვანს. ჩვენ ვისაუბრეთ, რომ მინდობით აღზრდაში მაქსიმალურ რაოდენობამდეა შევსებული და ამ დროს მის შშმ აღსაზრდელს კვირაში სამი დღე სჭირდება გარკვეული მომსახურება. წარმოიშობა ადამიანის რესურსების პრობლემა. ანუ გამოდის, რომ ეს პროგრამები კი არსებობს, მაგრამ ბავშვმა შეიძლება ვერ იაროს იმის გამო, რომ მას არ ჰყავს ადამიანი, რომელიც მოემსახურება. ხშირ შემთხვევაში, იმ სერვისებში, რომლებიც ფუნქციონირებს,... არასაკმარისი ფინანსური რესურსების გამო აფინანსებენ თერაპიების მინიმალურ რაოდენობას. ამიტომ ამ ოჯახს დამატებითი თანხების გადახდა უწევს. შესაბამისად, არის ისეთი მომსახურებები, რომლებიც ლიმიტირებულია როგორც ხელმისაწვდომობის [ან არსებობს, ან – არა], ისე რაოდენობრივი და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

„სექსუალური ძალადობის შემთხვევაში... სარეაბილიტაციო სერვისები არის მართლმსაჯულების ნაწილი. კიდევ არის ფიზიკური ძალადობა, ამაზეც სხვა ინტერვენცია არის საჭირო, რომ დაძლიოს ტრავმა ბავშვმა. რესურსების ნაკლებობაზე და ფსიქოლოგის სერვისის დახვეწაზე გავდივართ. ჰიპერაქტიურობის დროს, სპეციალური საჭიროების თვალსაზრისით, როდესაც სსსმ მოსწავლე არის, მნიშვნელოვანია შესაბამისი მომსახურებები იმ კუთხით, რომ მოხდეს საინტერესო აქტივობებით დაკავება, ყურადღების გადატანა, როდესაც ობსესიური ან გართულებული ქცევა ვლინდება. ეს უნდა იყოს განმავითარებელი ამავდროულად. ამ კუთხით ვლინდება საჭიროებები. შშმ და სსსმ ბავშვებისთვის უნდა გაძლიერდეს მომსახურებები“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

„შშმ ბავშვები რომ არიან, სჭირდებათ რეაბილიტაციის პროგრამით მომსახურების მიღება, რასაც ნეიროგანვითარების ცენტრში იღებენ, სადაც 8 სეანსი ფინანსდება. ზოგს მეტი სჭირდება და აქ უკვე ვერ ხდება დაფინანსება. კარგი იქნებოდა, ამ კუთხით თუ ექნებოდათ მხარდაჭერა“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

სოციალური მუშაკების თქმით, ძალადობის შემთხვევებში, ისინი ბავშვს 111-ზე და ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის არსებული ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში („ბარნაჰუსი“) გადაამისამართებენ ხოლმე, თუმცა ბენეფიციარები ამ მომსახურებით არ არიან კმაყოფილი და ფიქრობენ, რომ ზოგჯერ შეიძლება შემთხვევის მართვაში მისი ჩართვით სირთულეებიც კი წარმოიქმნას (მოყვანილი იყო მაგალითი, როცა ბავშვს ბიოლოგიური ოჯახის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გაუღვივეს და შემდეგ ამ ბავშვსა და ოჯახთან მუშაობა სხვა ჩართულ ფსიქოლოგებსაც გაუჭირდათ – ეს მაგალითი მოცემულია წინამდებარე კვლევის ანგარიშის ერთ-ერთ ნაწილში, კერძოდ, მონაკვეთში მცირე საოჯახო ტიპის სახლის შესახებ). ზრუნვის სააგენტოში არსებული ფსიქოლოგის მომსახურება, ძირითადად, შეფასებასა და კონსულტირებაზე არის ორიენტირებული, შესაბამისად, არ მოიცავს თერაპიულ მომსახურებას. ამიტომ სოციალური მუშაკები ამჯობინებენ, ბავშვები რეაბილიტაციის მომსახურების უზრუნველსაყოფად არასამთავრობო ორგანიზაციებში („ჯისიარტი“, „საქართველოს ბავშვები“ და სხვ.) გადაამისამართონ. თუმცა მათ იქაც უწევთ მოლოდინის რეჟიმში ყოფნა. აღსანიშნავია, რომ სარეაბილიტაციო მომსახურებების უმეტესობა ფასიანია და ამ თანხის დაფარვა მინდობით აღმზრდელს უწევს.

> *„ბავშვთა ფსიქიატრის საჭიროებაზეც ძალიან ვწვალობთ, არა მარტო მიმღებ ოჯახებში… ერთი ფსიქოლოგი რეგიონის მასშტაბით – ჩათვალეთ, რომ არაფერი არ გაქვს. მერე გადიხარ შენი ნერვების წყვეტის ფასად. შედეგი რამაც უნდა მოიტანოს, პროფესიონალების დახმარებამ, სამწუხაროდ ჩვენ არ გვაქვს ეს ფუფუნება. თან ჩვენი ფსიქოლოგი დიაგნოსტირებას ახდენს,... რეაბილიტაციას არ ახდენს“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„ახლა დეკემბერში ჩემს ერთ-ერთ ბავშვს მიენიჭა ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი. ხოდა, ერთი კი ვთქვით, რანაირი ტრეფიკინგის სააგენტო ვართ, თუ ისევ 111-ში ჩავრთეთო. მე ვთქვი, შანსი არ არის, მანდ ბავშვს არ ჩავრთავ-მეთქი... ჯერ „ჯისიარტს“ ვთხოვეთ, თუმცა უკრაინელი ბავშვები გვყავს და ვერაო, და მერე [„საქართველოს ბავშვების“ მომსახურებაში] ჩავრთეთ ეხლა“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„მიმღები მშობლები მინახავს, თავისი რესურსით, იმ დაფინანსებით, რაც შეიძლება რომ ჰყოფნიდეს, თავისი ფულით და რესურსებით შეიძლება მოუძებნოს სპეციალისტი, იქნება სამედიცინო თუ ფსიქოლოგიური მომსახურება. თვითონ ეძებენ, თვითონ მიჰყავთ ბავშვები. ამაზე უამრავი მაგალითი გვაქვს“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი*
>
> *„ორგანიზაციებს ბევრი პროექტები აქვთ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებზე, „საქართველოს ბავშვები“, მაგალითად, შეფასება, კვლევა. ბევრია – „კომპასი“, დღის ცენტრები. ახლა „კომპასი“ სახელმწიფო გახდა. მრავალპროფილური ორგანიზაციებია და ამ მიმართულებით ბავშვებთან მუშაობენ“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი*

„არასამთავრობოები გვეხმარებიან უმეტესწილად. „ჯისიარტი“ გვეხმარება ძალიან, თუმცა ადგილის პოვნა ძალიან რთულია. მუშაობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლ და სუიციდის შემთხვევებზე“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„მარჯანიშვილზე ასევე არის კრიზისული ინტერვენციის ცენტრი, ეგეც გვეხმარება. თან შშმ ბავშვებთანაც მუშაობენ. ძალადობის მსხვერპლ ბავშვებსაც იღებენ. ჰყავთ ფსიქოლოგი, ფსიქიატრი. ჯგუფური და ინდივიდუალური თერაპიებიც აქვთ. შესაბამისად, გარდა ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისა, [იქ] ვამისამართებთ რთული ქცევის ბავშვებს“. - სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ერთი დღის ცენტრი გვაქვს სარეაბილიტაციო, სხვა ჩვენ არაფერი არ გვაქვს. მხარდამჭერი შეიძლება... თერაპიული მომსახურება არ გვაქვს, ფსიქოლოგის მომსახურება, რომელიც მნიშვნელოვანია, არ გვაქვს, ასევე, ქცევის მართვის კურსი“. – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი

სპეციალისტების თქმით, განსაკუთრებით რთულია ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების მართვა ბავშვებში, განსაკუთრებით, გარდატეხის ასაკში. ასევე რთულია სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვების ერთ ოჯახში აღზრდა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულს მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი აქვს ორივე კატეგორიის ბავშვებზე.

„ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებია, გარდატეხის ასაკის პრობლემები მოდის, რომლის მართვა ძალიან რთულდება და, როდესაც ფსიქიკური პრობლემები გვაქვს, იქ კიდევ სხვა სერვისი გვჭირდება, რომელიც დაეხმარება ამ ბავშვებს. ეს, მგონია, ძალიან დიდი გამოწვევაა...“ – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი

„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა რთული ქცევის მართვა. გარდატეხის ასაკში მყოფი ბავშვების რთული ქცევა და, პლუს, თუ დაემატა შშმ სტატუსი, ეს და მათი თანაცხოვრება ერთად [პრობლემურია]“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

სოციალური მუშაკების თქმით, მათ სამსახურში შემუშავდა ახალი ფორმები და სახელმძღვანელო დოკუმენტი სუიციდის რისკის მართვასთან დაკავშირებით, თუმცა ისინი პრობლემად გამოყოფენ გადასამისამართებელი მომსახურებების ნაკლებობას და მხოლოდ ფსიქიატრის მომსახურების ნაწილობრივ ხელმისაწვდომობას.

„ახლახანს ჩაგვიტარდა ტრენინგი, დაგვირიგდა ფორმები, რომლითაც უნდა ვიმუშაოთ და რომელიც ივსება იმ შემთხვევებში, თუ არის სუიციდის რისკი და გადმომისამართდა ჩვენთან. ჩვენი ვალდებულებაა, შევაფასოთ და გადავამისამართოთ. სად? ერთადერთი, რაც გვაქვს გაკეთებული, გადავამისამართეთ ფსიქიატრთან“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

სარეაბილიტაციო მომსახურებები: მინდობით აღმზრდელთა მოსაზრებები

მინდობით აღმზრდელების თქმით, ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი მინდობით აღზრდის მომსახურებაში შედის ტრავმირებული, ძალადობისა და უგულებელყოფის გამოცდილების, ასევე, განვითარების შეფერხების მქონე; შესაბამისად, მათ ესაჭიროებათ სარეაბილიტაციო მომსახურებები.

> *„რამდენი ბავშვიცაა, იმდენი განსხვავებული ისტორიაა. ჩვენი ისტორია ასეთია: ბავშვი იყო მიტოვებული დღის განმავლობაში, ოჯახი არ კითხულობდა, ითხოვდა მოწყალებას. პირველად აბანოში რომ შევიყვანე, ადგილი არ ჰქონდა დარჩენილი, იმდენი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. რომ ვეკითხებოდი, საიდან ჰქონდა, გატეხილი ფანჯრიდან გადავედიო, ღობეზე გადავედიო, საკვების მოპოვებისთვის რომ იბრძოდა ბავშვი. ეს ისტორიაც ასეთია, რომ მეზობლების დახმარებით მოხდა სოცსამსახურთან დაკავშირება. ბავშვი შეიძლება, დაღუპულიყო. შიშველი ბავშვი რომ ვნახე შხაპის ქვეშ და თითოეული შრამის ისტორია რომ დამიდგა თვალწინ... ამიტომ ვამბობ, რომ გადარჩენაა ეს ამ ბავშვებისთვის. არ იცოდა, რასთან რა უნდა ეჭამა“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„მითხრეს ერთი პატარა გოგოს ამბავი, რომელსაც ფსიქოტროპულ მედიკამენტებს ასმევდნენ. გამოიპარა ბავშვთა სოფლიდან („SOS ბავშვთა სოფელი“). სუიციდის მცდელობა ჰქონდა, მერე ვითხოვე, რომ მივსულიყავი ბავშვთან და გავსაუბრებოდი. თავიდან არანაირ კონტაქტზე არ გამოვიდა, ხეზე ავიდა და არ ჩამოდიოდა. ჩემი პატარა გოგოც წავიყვანე შეხვედრაზე და ავუხსენით, რომ არავის ჰქონდა უფლება, რომ მისთვის რამე დაეძალებინა. შევპირდი, რომ ჩემს შვილებთან ერთად ვაცხოვრებდი, თუ მასაც ენდომებოდა. რომ გამოვედი, მოვდიოდი, ჩამოვიდა ხიდან და მოითხოვა ჩემთან წამოსვლა. სანამ საბუთები გაკეთდებოდა, არ მოიცადა ბავშმა და მანამდე მოვიდა. იმის მერე, 5 წელია, ერთად ვცხოვრობთ“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

მინდობით აღმზრდელების თქმით, ბავშვებს მინდობით აღზრდაში შემოსვლისას ან შემდგომ ეტაპზე, შესაძლოა, სხვადასხვა რეაბილიტაცია-აბილიტაციის და ფსიქოსოციალური მომსახურება დასჭირდეთ. მათ მოჰყავთ მაგალითები, როცა ბავშვი მინდობით აღზრდის მომსახურებაში განთავსების დროს არ საუბრობდა და ჩაერთო ადრეული განვითარების პროგრამაში ან დასჭირდა რეაბილიტაცია-აბილიტაციის ან დღის ცენტრის (შშმ ბავშვებისთვის) მომსახურებებში ჩართვა. მათი თქმით, განსაკუთრებით დიდ სირთულეს წარმოადგენს შშმ ბავშვთა დღის ცენტრში ჩართვა, რადგან წლების განმავლობაში უწევთ ვაუჩერის ლოდინი. ასევე, მოჰყავთ მაგალითები, როცა ბავშვს ძალადობის გამოცდილება ჰქონდა და ესაჭიროებოდა მხარდაჭერა, რისი განხორციელებაც მინდობით აღმზრდელის რესურსით მოხერხდა (აკადემიური მხარდაჭერა, სტაბილური გარემოს შეთავაზება და ა.შ.). თუმცა, ასევე, იკვეთება, რომ მინდობით აღმზრდელებს ეშინიათ, აიღონ პასუხისმგებლობა ბავშვებზე, რომელთაც მნიშვნელოვანი სირთულეები აქვთ, განსაკუთრებით ანტისოციალური ქცევის მხრივ. აღნიშნული, სავარაუდოდ, განპირობებულია იმით, რომ მინდობით

აღმზრდელებს, სოციალურ მუშაკებთან ერთად, დიდწილად კი – დამოუკიდებლად, უწევთ დამდგარ სირთულეებთან გამკლავება და არ აქვთ საკმარისი მხარდაჭერა სხვადასხვა მომსახურების (მაგალითად, ფსიქოლოგის, სააბილიტაციო-სარეაბილიტაციო და ა.შ.) სახით.

„ჩემთან მოვიდა, 2 წლის იყო... ყრუ მამა ჰყავს, დედა შშმ პირია. ბავშვი, რომელიც ჟესტებით საუბრობდა... მაშინვე ჩაერთო ყველა, სოცმუშაკიც. ჩართეს ადრეული განვითარების პროგრამაში. ახლა არის 5 წლის და არაჩვეულებრივად მეტყველებს. მინდობით აღზრდაში რომ არ მოხვედრილიყო, აბსოლუტურად განადგურებული იქნებოდა, დაბეჩავებული იქნებოდა ეს ბავშვი“. – მინდობით აღმზრდელების ფოკუსჯგუფი

„ჩვენს შემთხვევაში, რაც დაგვჭირდა, იყო ლოგოპედის მომსახურება. უფრო სწორად, სურდოლოგის, იმიტომ რომ ბავშვი ვერ მეტყველებდა. ვერ აწყობდა სიტყვებს და ვერ გამოთქვამდა ბგერებს. კერძო იყო მომსახურება და ხარჯები გავიღე მე თვითონ. ვერ დაველოდებოდი ვერავის. აუცილებელი იყო და მივიღეთ ძალიან კარგი შედეგი. აკადემიურ მოსწრებას რაც შეეხება, ცოტა დეპრესიული იყო. სკოლაში ხედავდა, როგორ აკითხავდნენ კლასელებს მშობლები. დედის დღესთან დაკავშირებულ [ღონისძიებაზე] ყველა მღეროდა, ეს არ იყო ჩართული. შესაბამისად, გადავწყვიტეთ მომზადება მასწავლებელთან, რომ ეს აკადემიური მოსწრება წინ წამოგვეწია. ახლა ძალიან კარგი ბიჭია. უცხო ენა, რომელიც ძალიან უჭირდა, ამაშიც ვემზადებით. ეხლა უკვე სხვანაირია, სხვანაირი პოზიცია დაიკავა და ხვდება, რომ სხვაზე ნაკლები არაა... ეს ჩართულობა აუცილებელია. არც ვითვლი ამ ხარჯს [თავად ვიხდით ყველაფერს]. მე ღმერთის წინაშე უნდა ვიყო მართალი...“ – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე მყავს ორი ბავშვი, ძმები, სამი წლის წინ რომ მომიყვანეს, პატარა იყო ძალადობის მსხვერპლი. მოაყოლეს თან 14 წლის ძმა. ეს ბავშვი ჩემთან არ გაჩერდა და ორ კვირაში წავიდა უკან, შემდეგ ბევრი ლაპარაკით დავიბრუნე უკან. ორი თვე გაჩერდა მარტო. არ გამექცა, მითხრა, უნდა წავიდეო. ესეც იყო ძალადობის მსხვერპლი, როგორც არასრულწლოვანს, ნათესავი აქურდებდა, ჩასარიცხ აპარატებს ატეხინებდა... რომ დადგა ამ ბავშვის მინდობით აღზრდაში გადაყვანის საჭიროება, თვითონ ბავშვმა თქვა, რომ მე არსად არ წავალ თიანეთის გარდაო. არ ვიღებდი, მეშინოდა, ბავშვი, რომელიც ქურდობას იყო მიჩვეული, აქაც იგივე რომ ექნა, რამდენს ვინერვიულებდი. პირობა დადო – მე ახალ ცხოვრებას დავიწყებ თქვენთან, ოჯახშიო. თქვენ წარმოიდგინეთ, ბავშვი 360 გრადუსით შემობრუნდა ჩემს ოჯახში. წერა-კითხვა ხომ ვასწავლეთ და ახლა „ვეფხისტყაოსანს“ სწავლობს ზეპირად... ახლა მითხრა, მე იმიტომ წავედი აქედან, შენი სახლის გაქურდვას აპირებდნენ და მე ამას არ ვიზამდიო. აქ რომ დაბრუნდა, კარგა ხანს ძალიან შეშინებული იყო. ტელეფონი აქვს და ნომერს არ დებს, რომ იმან არ მოაგნოს. არ მინდა ნომერი, მესინჯერითაც მშვენივრად ვარო“. – მინდობით აღმზრდელთა ჯგუფი.

„ადრეულში მყავდა მეც სრულიად უფასოდ. ახლა რეაბილიტაციის ცენტრში არიან ჩართულები და დღის ცენტრის მომსახურება სჭირდებათ, მაგრამ ვერ ჩავრიცხე, წელიწადი და ხუთი თვე [ვერ ჩაირიცხნენ შშმ ბავშვთა დღის ცენტრში]". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„6 წლის ბავშვს დასჭირდა ადრეული განვითარების პროგრამაში ჩართვა. სოცმუშაკმა მომაწოდა ინფორმაცია და გავიგე, რომ დაფინანსებადი იყო, 10 დღეც არ დაგვჭირვებია ლოდინი, დაფინანსდა და ჩაერთო. ესეც სოცმუშაკის დამსახურება იყო. მივიღეთ ექვსთვიანი ვაუჩერი, დაგვიფინანსდა, ჩავრთეთ ადრეულ განვითარებაში, სადაც ფსიქოლოგიც, ლოგოპედიც მუშაობდა და რა საჭიროებაც ჰქონდა ბავშვს, ყველაფერს აკეთებდნენ". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

ფსიქოლოგის საჭიროების შემთხვევაში, ყველაზე ხშირად უფასო მომსახურება მხოლოდ ზრუნვის სააგენტოსა და მანდატურის სამსახურის (კონკრეტულ ლოკაციებზე) ფსიქოლოგთან არის ხელმისაწვდომი, თუმცა, გამონაკლისების გარდა, სააგენტოში აღნიშნული მომსახურება თერაპიას არ მოიცავს.

„მე ერთხელ დამჭირდა კონსულტაცია, იყო უფასო (სააგენტოში). მერე ბავშვმა უარი მითხრა და არ ვიცი". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„თვითდაზიანება რომ ჰქონდა, მაშინ რეგიონალური ფსიქოლოგი მესაუბრა (სააგენტოსი)". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩემთან რომ მოვიდა ბავშვი, სჭირდებოდა ფსიქოლოგის დახმარება და ქუთაისში აბსოლუტურად უფასო იყო... დიახ, სკოლის მანდატურის სამსახურიდან გაგვიშვეს". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

შესაძლოა, ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის მომსახურებასთან ერთად, ზოგიერთ შემთხვევაში, საჭირო გახდეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ბავშვის განთავსება. ამ დროს ტრანსპორტირების თანხას მინდობით აღმზრდელი ოჯახი იხდის, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მკურნალობა კი ბავშვებისთვის უფასოა.

„აჭარაში არის ფსიქიატრიული, მაგრამ ბავშვთა განყოფილება არ არის. სოცმუშაკის გადაწყვეტილებით, ხონში იყო შესაძლებელი გადაყვანა და იქ მოვათავსეთ. გადაყვანის ხარჯები მე გავწიე, თუმცა იქ ერთი თვე დარჩა და იყო უფასო. დღეში ერთხელ დარეკვის შესაძლებლობაც იყო და რეკავდნენ. მე ძალიან კმაყოფილი ვარ, იქ გატარებული ერთი თვის შედეგად, დიდი შედეგი მივიღეთ". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღსაზრდელების ფსიქოემოციური მხარდაჭერა: მინდობით აღსაზრდელების მოსაზრებები

მინდობით აღსაზრდელები ამბობენ, რომ მინდობით აღმზრდელები და სოციალური მუშაკები მათ, ძირითადად, უწევენ ფსიქოემოციურ მხარდაჭერას. სოციალური მუშაკი თვეში

ერთხელ ეკონტაქტება ბავშვებს. მინდობით აღსაზრდელები ამბობენ ასევე, რომ ფსიქოემოციურ მხარდაჭერას ისინი მეგობრებისგანაც იღებენ. თუ ამის საჭიროება არსებობს, სოციალური მუშაკის დახმარებით ისინი ფსიქოლოგის მომსახურებასაც იღებენ (მაგალითად, მანდატურის სამსახურში):

> *„თვე არ გავა, რომ ჩემმა სოცმუშაკმა არ დამირეკოს და არ მკითხოს, სკოლაში ხომ გაქვს ბავშვებთან კარგი ურთიერთობაო. მასეთ დროს სოცმუშაკის გვერდში დგომაც უნდა იყოს და მშობლის [მინდობით აღმზრდელის] გვერდში დგომაც. მე, პირადად, მქონდა შემთხვევა, რომ ორივე დამდგომია გვერდში. ძალიან კარგი სოცმუშაკი მყავს და ვაფასებ“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„მეგობარიც შეიძლება დაგვიდგეს გვერდში“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„მე მჭირდებოდა ფსიქოლოგი, ჩემს სოცმუშაკს მივმართე და ქუთაისში დავდიოდი. ვფიქრობ, რომ სხვა ბავშვებისთვისაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს. თუ არ ვცდები, მანდატურის ფსიქოლოგი იყო“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

სოციალიზაცია და მეგობრები: მინდობით აღსაზრდელების მოსაზრებები

მინდობით აღსაზრდელები აღნიშნავენ, რომ ნაწილს გაუჭირდა მეგობრების გაჩენა მინდობით აღზრდის მომსახურებაში მოხვედრისას, ნაწილს კი – ნაკლებად. ისინი აღნიშნავენ, რომ ახლა ჰყავთ მეგობრები, ძირითადად, კლასელების სახით.

> *„მე პირადად ვიყავი მასე, რომ თავიდან არ მყავდა მეგობრები, მერე თანდათან შევეჩვიე. ახლა ძალიან კარგად ვარ ჩემს კლასელებთან“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„მე რომ მოვედი, კარგად მიმიღეს, კარგი კლასი შემხვდა. მე არც მეგონა, ასე კარგად თუ მიმიღებდა ვინმე“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„მეც ძალიან მომწონს ჩემი კლასი, მეგობრულები არიან. თავიდანვე კარგად შემხვდნენ“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

ექსკურსიებზე და ქალაქგარეთ გასვლა: მინდობით აღსაზრდელების მოსაზრებები

მინდობით აღსაზრდელების ნაწილს ექსკურსიებზე და ქალაქგარეთ გასასვლელად ესაჭიროება სოციალური მუშაკისგან წინასწარი თანხმობა, რის გამოც ბავშვი, შესაძლოა, გაიპაროს კიდეც ექსკურსიაზე, თუ ამ თანხმობის მიღება ჭიანურდება, ან ვერ ესწრება (დროში იწელება); თუმცა ბავშვების ნაწილი ამბობს, რომ მსგავსი თანხმობა არ ესაჭიროება და მინდობით აღმზრდელთან ერთადაც და მის გარეშეც დადის ექსკურსიებზე.

> *„ერთადერთი, რასაც შევცვლიდი, ექსკურსიაზე ან სადმე რომ მივდივართ, ეს განცხადებების დაწერა რომ არ იყოს საჭირო. მე ამის გამო წაუსვლელი არ უნდა დავრჩე. ამაშიც უნდა იყოს დაცული ჩემი უფლებები. სადღაც რომ მივდივართ, სოცმუშაკს უნდა ვაცნობოთ. მესმის, რომ უსაფრთხოებისთვის კეთდება, მაგრამ მაინც*

უნდა შეიცვალოს. მე, მაგალითად, მშობელი [მინდობით აღმზრდელი] ვერ მოდიოდა ჯანმრთელობის მიზეზების გამო და გავიპარე. სხვა გზა არ მქონდა. მშობელმა [მინდობით აღმზრდელმა] იცოდა და მერე გავაგებინე სოცმუშაკს, რომ წავედი". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე არც ხელს ვაწერ, ჩვეულებრივად დავდივარ, ბებოც [მინდობით აღმზრდელი] თუ ვერ წამოვა, მაინც. თბილისში თეატრში მივდივართ ახლა. ანაკლიაშიც ვიყავი ბანაკში". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

უკუკავშირი

სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლის აზრით, მინდობით აღზრდის მომსახურებაში უფრო რთულია უკუკავშირის პროცედურის გამართვა. ბავშვისთვის კიდევ უფრო რთულია, ვინმესთვის სათქმელის გაზიარება (უკუკავშირის მიწოდება), რადგან უფრო მეტად ეშინია, არ დაკარგოს მინდობით აღმზრდელი ოჯახი, ან არ გამოიწვიოს უფრო მეტი სირთულე ოჯახში, თუ თავის მოსაზრებას ვინმეს გაანდობს. შესაძლოა, ნეიტრალურ გარემოში ბავშვები უფრო იხსნებოდნენ, უფრო გულახდილად ლაპარაკობდნენ. სპეციალისტების განცხადებით, ბავშვების უკუკავშირი, უფრო მეტად, ეხება სასურველი ნივთის შეძენას, ახალი ტელეფონის ყიდვას და მსგავს საკითხებს.

„არასოდეს არ მინახავს ჩანაწერი სოცმუშაკის მხრიდან [ბავშვების მიერ მოწოდებულ უკუკავშირზე]. ბავშვებსაც მწირი პასუხები აქვთ ხოლმე ამასთან დაკავშირებით". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

„მინდობით აღზრდაში უფრო პრობლემაა... ალბათ უფრო ვერბალური უნდა იყოს [უკუკავშირი]... იმის შიშით, რომ ოჯახი არ დაკარგონ, ან რამე სირთულე არ წამოვიდეს მიმღებ მშობელთან, თავს იკავებენ ამისგან. მერე, სოცმუშაკი რა ფორმით მივა კიდევ მშობელთან, როგორ ეტყვის..." – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი

„მიმღებ ოჯახში ამას [უკუკავშირის მიწოდებას] ვერ ახერხებენ. მიუხედავად იმისა, რომ ჰუმანური მინდობით აღმზრდელები არიან, ბავშვები თავს იკავებენ მაინც. ნეიტრალურ სივრცეში თუ შევხვდით, იქ უფრო თამამად შეუძლიათ, თქვან. ტელეფონებს აზიანებენ და ხშირად უნდათ ტელეფონის გამოცვლა. უფრო მატერიალურ საკითხებთან არის [დაკავშირებული], რომ ამას არ უკმაყოფილებენ, მაგრამ ამას აკეთებენ მიმღები მშობლებისგან შორს. პატარა გულდაწყვეტები აქვთ ბავშვებს და ჩვენც მათ ვემხრობით. არის ნიუანსები, რომ ბავშვები მართლები არიან და ჩვენ მათ პოზიციას ვიჭერთ, რა თქმა უნდა. მაგალითად, საჩუქრად მოსულ თანხაზე – მიმღებ მშობელს უნდოდა, უფრო პრაგმატულად დაეხარჯა და ბავშვს გული დასწყდა, რომ მისთვის სასურველი ნივთი არ შეუძინეს". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

გამოიკვეთა ერთი შემთხვევა, როცა ბავშვები მინდობით აღმზრდელ ოჯახში ფიზიკური და ემოციური ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ, მაგრამ ბავშვმა ვერავისთან ვერ განაცხადა აღნიშნულის თაობაზე. მან ვერ უთხრა ბიოლოგიურ დედას, რადგან მისი რეაქციის ეშინოდა. ვერ უთხრა სოციალურ მუშაკსაც, რადგან მას წელიწადში სულ 3-4-ჯერ ნახულობდა, ისიც მაშინ, როცა დედასთან შეხვედრა უწევდა. შესაბამისად, სოციალური მუშაკი არ ახორციელებდა ყოველთვიურ მონიტორინგს. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბავშვს საერთოდ არ ჰყავდა დანიშნული სოციალური მუშაკი. ძალადობის ფაქტების გაუცხადებლობა, სავარაუდოდ, მეტწილად უკავშირდებოდა იმას, რომ სოციალური მუშაკი მონიტორინგს არ ახორციელებდა, ან ბავშვს სოციალური მუშაკი საერთოდ არ ჰყავდა.

> *„როდესაც მე სახლში გავდიოდი, ამას ვერ ვამბობდი. დედაჩემს ვერ ვეუბნებოდი. არადა, დედაჩემი არის ისეთი პიროვნება, რამეს რომ ვუყვები, თავს ვერ იკავებს და რამე უნდა თქვას. მაგალითად, ეს რომ გაეგო, იტყოდა, ბავშვი ოჯახიდან გაიყვანეთ, იმიტომ რომ მისი უფლებები დაგეცვათ და, რეალურად, მის უფლებებს ლახავს ის ადამიანი, ვისაც ევალება მისი დაცვა? ამიტომაც ვერაფერს ვერ ვეუბნებოდი. როდესაც სახლში გავედი და დედაჩემს ყველაფერი მოვუყევი, მითხრა, რომ ეს ყველაფერი უნდა მოჰყვე პოლიციაშიო. რომ მოვყევი პოლიციაში, სოციალურმა მუშაკმა მითხრა, საჩივარი უნდა დაწეროო, თუმცა დედამ მთხოვა, რომ ხელი საბუთზე არ მომეწერა, რადგან 4 შვილის მამა იყო. დღეისათვის ამას ძალიან ვნანობ. მიუხედავად იმისა, რომ 4 შვილის მამა იყო, ძალიან ვნანობ, იმიტომ რომ ჩემი მეგობრებისგან გავიგე, რომ მაგ ქალის და კაცის უფროსმა შვილმა, რომელიც ძალიან ცუდად მექცეოდა მე, აიყვანა ბავშვები. როდესაც სოცმუშაკთან იყო საუბარი, ყოველთვის მეუბნებოდნენ, ფრთხილად ისაუბრე... უნდა მომეყოლა სოციალური მუშაკისთვის და ფსიქოლოგისთვის. ხოდა, ერთი წელი მყავდა ისეთი უყურადღებო სოციალური მუშაკი, სულ 4-ჯერ შევხდი და აქედან სამჯერ შევხვდი იმიტომ, რომ დედაჩემთან მომიწია შეხვედრა. დანარჩენი მხოლოდ ერთხელ იყო ოჯახში, როცა ვიცოდი, რომ ყოველ თვეში უნდა მოსულიყო. ხოდა, როცა სოციალურ მუშაკთან საუბარი მინდოდა, მთელი სამი წელი სოციალური მუშაკი არ მყავდა და უკვე გასვლას რომ ვაპირებდი, დამინიშნეს ძალიან კარგი სოციალური მუშაკი, რომელთანაც დღესაც შემიძლია დაკონტაქტება“. – მცირე საოჯახო ტიპის აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი (მინდობით აღზრდის მომსახურებიდან გადაყვანილი ბავშვი).*

მინდობით აღსაზრდელების მიერ საკუთარი უფლებების ცოდნა: მინდობით აღსაზრდელთა მოსაზრებები

მინდობით აღსაზრდელი ბავშვები ამბობენ, რომ საკუთარ უფლებებზე მათ ესაუბრებიან მინდობით აღმზრდელები, მასწავლებლები, ტრენერები არაფორმალური განათლების ტრენინგებზე, ასევე, სოციალური მუშაკები.

„[მინდობით აღმზრდელი] სულ მელაპარაკება ბავშვთა უფლებებზე. ჩემი უფლებები არ ირღვევა, რადგან ვიცი, რა უფლება მაქვს და რა – არა“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„სკოლაშიც ხდება, გვესაუბრებიან“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მასწავლებლები გველაპარაკებიან“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„არაფორმალური განათლების ტრენინგებზე ხშირად გველაპარაკებიან ამაზე. ერთია, გქონდეს უფლება და მეორეა, გავიგოთ სხვანაირად. როგორ გავიგოთ სწორად, ამაზე ვსაუბრობთ“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღსაზრდელებს შეუძლიათ, ჩამოთვალონ თავიანთი ძირითადი უფლებები და, მათი აზრით, მინდობით აღმზრდელ ოჯახებში ეს უფლებები დაცულია:

„სწავლის, ცხოვრების, სიცოცხლის... განათლების უფლება..“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ბავშვთა კონვენციაში წერია ძალადობისგან დაცვის სახელმწიფოს ვალდებულება, ოჯახის ვალდებულებაც“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„[მინდობით აღმზრდელ ოჯახში] ჩემი უფლებები სულ დაცულია“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

თუმცა იკვეთება შემთხვევები, როცა წარსულში ბავშვები სხვა მინდობით აღმზრდელ ოჯახში იყვნენ და იქ მათ უფლებებს ხელყოფდნენ:

„სხვაგან ვიყავი მიმღებ ოჯახში. სახლიდან არ მიშვებდნენ, ტელეფონით სარგებლობის უფლება არ მქონდა ღამე, სიმღერებს ვერ ვრთავდი დილით. ახლა აქ ვარ და აქ ძალიან კარგად ვარ ოჯახში ყველასთან, [მინდობით აღმზრდელის] შვილებთანაც“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღსაზრდელების თქმით, მათი უფლებების დარღვევისა და ძალადობის შემთხვევაში, შეუძლიათ, დაუკავშირდნენ სოციალურ მუშაკს ან პოლიციას:

„სოცმუშაკის ცხელი ხაზი არსებობს“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„პოლიციას შეგვიძლია, მივმართოთ“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღსაზრდელის ჩართულობა მინდობით აღმზრდელი ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ოჯახური წესების შემუშავებაში/შესრულებაში და მასთან (ბავშვთან) დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში

მინდობით აღსაზრდელების თქმით, ისინი ჩართულნი არიან მინდობით აღმზრდელი ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე, მათ ცხოვრებისეულ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს მოიცავს გადაწყვეტილებებს ოჯახში არსებული ქცევის წესების შესახებაც. მინდობით აღსაზრდელები საუბრობენ იმაზე, რომ მინდობით

აღმზრდელები მათ დარიგებას აძლევენ სხვადასხვა სიტუაციაში. გარდა ამისა, მინდობით აღსაზრდელები აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ თავისუფლება, იარონ მეგობრებთან სტუმრად, თუმცა უნდა მიჰყვნენ იმ წესებს, რომლებიც დადგენილია ოჯახში.

> *„ჩართული ვარ, ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებებს, ერთად ვთანხმდებით. დარიგების მომენტებიც არის და მე ვითვალისწინებ. ერთი მომენტი იყო, დავსხედით, ბანაკში უნდა წავსულიყავი, მაშინ ვისაუბრეთ“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„მე ჩართული ვარ ყოველდღიურობაში, სტუმრადაც დავდივართ ერთად. მე თავისუფლება მაქვს და, მგონია, რომ სხვა მინდობით ოჯახებში ასეთი თავისუფლება არ არის. ალბათ ეს ოჯახზეა დამოკიდებული. 14 წლის ვიყავი, აქ რომ მოვედი და შეზღუდული არ ვყოფილვარ“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„მე რომ ვთქვა, ჩემი მაგალითიდან გამომდინარე, ისინიც იღებენ და მეც ვიღებ ხოლმე [გადაწყვეტილებებს]. პირველად სკოლაში რომ მივედი, მეექვსე კლასიდან უნდა გადავსულიყავი სხვა სკოლაში. ერთად ვარჩევდით, რომელი სკოლა იქნებოდა უფრო კარგი... რომელიც ახლოს იყო, არ მოგვეწონა და ისევ ძველ სკოლაში დავრჩი, მაგრამ პირობები გაუმჯობესდა“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

მინდობით აღსაზრდელთა თქმით, ისინი ცდილობენ, დაიცვან ოჯახში არსებული წესები, განსაკუთრებით შინ დაბრუნების დროსთან დაკავშირებით. თუ ოჯახში არსებული წესი ბავშვმა ნებით ან უნებლიედ დაარღვია, ბავშვი უხსნის მინდობით აღმზრდელს წესის დარღვევის მიზეზს, რის შემდეგაც მინდობით აღმზრდელი რჩევა-დარიგებას აძლევს მას მსგავს სამომავლო სიტუაციებთან დაკავშირებით. ბავშვები ასევე ცდილობენ, წინასწარ შეატყობინონ მინდობით აღმზრდელს, თუ აგვიანდებათ.

> *„წესი არა, მაგრამ უნდა გააფრთხილო ოჯახი, სად ხარ, რომელ საათზე მიხვალ. დამავიწყდა ერთხელ, ეგონა, რომ ოთხზე მივიდოდი და ექვსზე მივედი და ინერვიულეს ძალიან. ამის მერე სულ ვაფრთხილებ ხოლმე, თვითონაც მენდობა და ყველგან მიშვებს“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„ნებით და განზრახულად არ დავარღვევ, მაგრამ თუ უნებლიედ მოხდა, ვუხსნი ხოლმე, როგორც იყო. მერე მარიგებს ხოლმე, როგორ უნდა გავაკეთო“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„თუ მაგვიანდება, წინასწარ ვაფრთხილებ, ვურეკავ, რომ არ შეეშინდეს“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

თუ მინდობით აღმზრდელთან უთანხმოება მოსდით, მინდობით აღსაზრდელები ამბობენ, რომ ისინი ამ უთანხმოებას საუბრით აგვარებენ და ცდილობენ, ერთმანეთთან კომპრომისზე წავიდნენ, ურთიერთშეთანხმებას მიაღწიონ.

„ყველა ერთ ხასიათზე ვერ იქნება და ყველა ერთნაირი არ არის. მე მელაპარაკებიან და ვცდილობთ, რომ ეს შეცდომა გამოვასწოროთ. ერთი სიტყვით, დალაპარაკებითაც შეიძლება მოგვარდეს“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„დალაპარაკება სწორი გზაა და ერთმანეთის მოსმენა. ზოგჯერ ისინი მიდიან კომპრომისზე, ზოგჯერ – ჩვენ და ზოგჯერ ისეთი საკითხებია, რომ აზრი ემთხვევა“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ურთიერთშეთანხმება მნიშვნელოვანია და მაგით გვარდება სირთულე“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელიც დადებითად აფასებს ბავშვების ოჯახურ ცხოვრებასა და ოჯახურ აქტივობებში მათ ჩართულობას.

„მინდობით აღზრდაში, ძირითადად, რა სოციალურ აქტივობებშიც ოჯახი მონაწილეობს, ბავშვი არ აკლდება. არ გვქონია შემთხვევა, რომ ბავშვი დაკლებოდა ამ სოციალურ აქტივობებს“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

სხვა მინდობით აღსაზრდელებთან თანაცხოვრება: მინდობით აღსაზრდელების მოსაზრებები

მინდობით აღსაზრდელები მიუთითებენ სხვადასხვაგვარ გამოცდილებაზე. თუ მათ მინდობით აღმზრდელ ოჯახში სხვა მინდობით აღსაზრდელი ან სხვა ბავშვი დახვდათ, ან შემდეგ მოვიდა, მათი ნაწილისთვის ეს პოზიტიური გამოცდილება იყო, თუმცა ნაწილისთვის – შედარებით რთული, გარკვეულ შემთხვევებში – კონფლიქტურიც.

„მე და ჩემი დები სანამ მივიდოდით ოჯახში, იქ იყო ორი და ძალიან კარგად შევეჩვიეთ“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე და ჩემი დის მერე მოიყვანეს კიდე ორი ბავშვი და კარგად ვექცეოდით ერთმანეთს. ახლა კიდევ გვყავს პატარები – ტყუპები – და დედმამიშვილებივით გვიყვარს“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„წინა მიმღებ ოჯახში რომ ვიყავი, იქ სხვებიც იყვნენ. მე და ჩემი ძმები ვიყავით, სულ კონფლიქტი გვქონდა“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩემს შემთხვევაში, მე და ჩემი და ვართ პირველები, რომ მოვედით ამ ოჯახში და შემდეგ მოვიდა დამატებით 5 ბავშვი. მე და ჩემი და ყველა ამ ბავშვს შევხვდით. შეგუების პროცესი თან მარტივი იყო, თან რთული. ბავშვსაც გააჩნია – თუ საღად აზროვნებს, მარტივია. გააჩნია, მანამდე რა სიტუაციაშია გაზრდილი“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

ერთ-ერთი მონაწილე საუბრობდა წინა მინდობით აღმზრდელ ოჯახებზე (სულ სამი მინდობით აღმზრდელი ოჯახი გამოიცვალა), რომლებშიც სხვა ბავშვებთან ურთიერთობაში პრობლემები შეექმნა; თუმცა ამ სირთულეებზე არავისთან უსაუბრია, მათ შორის, არც სოციალურ მუშაკთან, რადგან წინასწარი მოლოდინი ჰქონდა, რომ ის ეტყოდა, ცოტა ხანი დალოდებოდა და ბავშვებს შეჰგუებოდა.

„სამი მიმღები გამოვიცვალე, ერთი იყო გალავანში, მეორე – სოფელ გლდანში. არ მომწონდა, სულ კონფლიქტი მქონდა. აქ ძალიან კარგად ვართ მე და ჩემი ძმა, მეგობრებიც გვყავს. იქ როდესაც იყო სირთულეები, არავისთან არ მილაპარაკია ამაზე. სოცმუშაკისთვისაც არ მითქვამს. მეტყოდა, დარჩი ცოტა ხანი, დააკვირდი, იქნებ შეეგუო ბავშვებსო". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

სხვა მონაწილეები ფიქრობენ, რომ, თუ სხვა მინდობით აღსაზრდელებთან ან რაიმე საკითხებთან დაკავშირებით სირთულეები ექნებათ, სოციალურ მუშაკთან შეუძლიათ დაკავშირება:

„სოცმუშაკს შეგვიძლია, ვუთხრათ". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა: სპეციალისტების მოსაზრებები

ექსპერტების აზრით, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშესაწყობად, უმნიშვნელოვანესია, სწორად დაიგეგმოს, რამდენ ხანს რჩება ბავშვი მინდობით აღზრდის მომსახურებაში და როდის უნდა ამოირიცხოს იქიდან. ეს სპონტანურად არ უნდა ხდებოდეს. ექსპერტების თქმით, მინდობით აღზრდის მომსახურებაში მყოფი ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობაში ინიციატივას იჩენს მინდობით აღმზრდელი, მაშინ, როცა დაგეგმვის ნაწილში უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს სოციალურმა მუშაკმა. დამატებით სირთულეს წარმოადგენს ბავშვებზე მორგებული რესურსებისა და შესაძლებლობების (მაგალითად, პროფესიული განათლება) ხელმისაწვდომობა ყველა დასახლებაში.

„მახსენდება შემთხვევა, როდესაც ბავშვი 18 წლის მიღწევამდე ირიცხებოდა სკოლაში, 18 წლის გახდომის დროისთვის მას მიუტოვებია სწავლა. შესაბამისად, ეს გახდა მისი მინდობით აღზრდის მომსახურებიდან ამორიცხვის საფუძველი. ამგვარი ფაქტების მონიტორინგი, ზედამხედველობა და შესაბამისი ღონისძიებების განსაზღვრა სოციალური მუშაკის პრეროგატივაა. ამ პროცესში მინდობით აღმზრდელი უნდა იყოს დამხმარე. როცა საუბარია ბავშვის განვითარებაზე, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაზე, ინიციატორები არიან მინდობით აღმზრდელები. რა თქმა უნდა, აქაც ინდივიდუალური ქეისებია. თუ ისინი არიან აქტიურები და მოტივირებულები, შესაბამისად, ინიციატივა იქიდან მოდის, ნაცვლად იმისა, რომ მოდიოდეს იმ მხარისგან, რომელიც ინიციატორი უნდა იყოს. ეს ისევ და ისევ ხდება იმიტომ, რომ არ არის ეს დაგეგმილი". – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

„პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით, თუ ბავშვს აქვს რაღაც ინტერესი გამოხატული... მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს ინტერესები არსებობს და პროფესიულ განათლებაში გარკვეული შეღავათებიც არის განსაზღვრული, შეიძლება იმ ქალაქში საერთოდ არ არსებობდეს ეს პროფესიული კურსი, რომელიც ამ ბავშვის კონკრეტულ ინტერესს წარმოადგენს". – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

სოციალური მუშაკების მოსაზრებით, მინდობით აღმზრდელები იშვიათად ახერხებენ მინდობით აღსაზრდელების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის შემზადებას, რადგან

შემოიფარგლებიან, ძირითადად, მათი ყოველდღიური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვით.

> *„მე ვინც ვიცი, ერთეულები ახერხებენ, მინდობით აღზრდაში დასახული მიზნების შესაბამისი მომსახურება მიაწოდონ ბავშვებს. უმეტესად, მათ არ იციან ბავშვის განვითარების ეტაპები. ისინი, უბრალოდ, ზრუნავენ მათზე, როგორც მშობლები, და არა ის, რომ სამომავლოდ შეუძინონ დამოუკიდებლობის უნარები. შესაბამისად, არიან, როგორც ძიძები". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

სპეციალისტების თქმით, სრულწლოვნების მიღწევის შემდეგ მინდობით აღსაზრდელებს აღარ აქვთ სათანადო მხარდაჭერა სახელმწიფოდან (მაგალითად, საცხოვრისი, მხარდამჭერი პიროვნება და ა.შ.), თუ არ ჩავთვლით ახალგაზრდულ მომსახურებებს, რომლებიც გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ. შესაბამისად, სრულწლოვანი აღსაზრდელები ძალიან მოწყვლადნი ხდებიან, შეიძლება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაც კი ჩაიდინონ.

> *„18 წლის შესრულების მერე სახელმწიფო ველარ უზრუნველყოფს მათ სოციალიზაციას, დასაქმებას, განათლებას. რაც შეეხება იმას, თუ ბავშვი თვითონ არის მონდომებული, მხარდაჭერა აქვს. სხვა შემთხვევაში, თუნდაც პროფესიული სასწავლებელი დამთავრებული აქვს, მაგრამ ვერ ვეხმარებით. არც სახლი აქვს, არც კარი აქვს, არავინ ჰყავს თანამდგომი პირი, რომ დატოვოს თავშესაფარი და თავის თავს მიხედოს. ბუნებრივია, რომ დიდი რისკია, მივიღოთ კანონთან კონფლიქტში მყოფი ადამიანი, რადგან თავის რჩენა ყველას სჭირდება". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

სპეციალისტები საუბრობენ წარმატებულ შემთხვევებზე, როცა ბავშვები ეუფლებიან პროფესიას და ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების შემდეგ მასაც ეხმარებიან. მათი თქმით, მნიშვნელოვანია, სოციალური მუშაკი და მინდობით აღმზრდელი ერთობლივად მუშაობდნენ, რომ ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების არჩევაში დაეხმარონ მინდობით აღსაზრდელს.

> *„ბავშვები სწავლობენ, პროფესიებს იძენენ, ისეთი მოტივირებულები არიან, ოჯახებში ბრუნდებიან, ეხმარებიან ოჯახებს". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი.*

> *„ძალიან მნიშვნელოვანია, სოცმუშაკს და მინდობით აღმზრდელს ჰქონდეთ უნარი, ერთობლივად, ბაზარზე რა მოთხოვნაც არის, ის პროფესული განათლება მისცენ [ბავშვს/ახალგაზრდას]. შემხვედრია ბევრჯერ, რაც არის მოთხოვნადი, იმას არგებენ რეალურად". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი*

> *„უამრავი შემთხვევაა, წამყვანი მოსწავლეები რომ არიან სკოლებში. პირადად მისაუბრია სკოლის მასწავლებლებთან. გააჩნია სოცმუშაკის და ფოსტერის ტანდემს. არ უნდა იყოს ასე, რომ ცალკე სოცმუშაკი სხვა რაღაცას ეუბნება, მიმღები ოჯახი – სხვა რამეს. მოკლედ, ესეც არის და ისიც". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი*

დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა: მინდობით აღმზრდელების მოსაზრებები

მინდობით აღმზრდელების ნაწილი მინდობით აღსაზრდელის დამოუკიდებელ ცხოვრებას, მის მომავალს საკუთარ ოჯახში ხედავს და მას ოჯახის წევრად აღიქვამს. ასეთი დამოკიდებულება ბავშვის მიმართ ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურია, თუმცა, ასევე, დასაფიქრებელია, რამდენად ეხმიანება ეს მიდგომა მინდობით აღზრდის, როგორც 24-საათიანი მომსახურების, მიზნებს. მინდობით აღზრდა უნდა იყოს დროებითი, სანამ ბიოლოგიური ოჯახი არ გაძლიერდება და ბავშვი შეძლებს ოჯახში დაბრუნებას, ან ზრუნვის უფრო სტაბილურ ფორმაში გადასვლას. თუმცა კვლევის შედეგებიდან იკვეთება, რომ რეინტეგრაციაზე მუშაობა, ფაქტობრივად, ვერ ხორციელდება, თუ თავად ბიოლოგიური ოჯახი არ იჩენს ინიციატივას; შესაბამისად, ოჯახის გაძლიერება იშვიათად თუ მიიღწევა. აქედან გამომდინარე, ხშირად ბავშვებს არც აქვთ წასასვლელი, როდესაც მინდობით აღზრდა სრულდება (სრულწლოვნების მიღწევისას ან სწავლის დასრულებისას). გარდა ამისა, იკვეთება სერიოზული სირთულეები, რომლებიც ეხება ზრუნვის შემდგომი მომსახურებების ხელმისაწვდომობას (იგულისხმება მათი რაოდენობაც და განლაგებაც).

> *„სურვილი არ აქვს, შინ დაბრუნდეს. ვფიქრობ, მომავალში ვასწავლო ხელობა და თბილისში, ჩემი შვილების ოჯახში წავიდეს. დაბრუნდება მერე უკან, რომ ერთად აღვზარდოთ პატარა. იმუშავებს და აქ დაბინავდება“. – მინდობით აღმზრდელების ფოკუსჯგუფი*

მინდობით აღმზრდელები ამბობენ, რომ თავად ესაუბრებიან ბავშვებს, რათა დაეხმარონ სრულწლოვნების ასაკისთვის გეგმების დასახვაში. მათი ნაწილი მზადაა, ემოციურად და მატერიალურად მხარი დაუჭიროს ბავშვებს 18 წლის შესრულების შემდეგაც, თუმცა ყველა არ ფლობს ასეთი მხარდაჭერისთვის საჭირო რესურსებს. მათი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გააგრძელოს ამ ახალგაზრდებზე ზრუნვა და მათი მხარდაჭერა 18 წლის შესრულების შემდეგაც. ისინი დადებითად აფასებენ იმ შესაძლებლობას, რომ, სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, მინდობით აღზრდის მომსახურებაში გაჩერება ბავშვს 21 წლამდე შეუძლია.

> *„ბავშვი მეცამეტე წელშია, ერიცხება თანხა და ენახება 18 წლამდე. მე ველაპარაკები ბევრს, ცხოვრების მიზანს ვუსახავ. მე უფროსი ბიჭი მყავს, ძმებივით არიან, მოეხმარება ისიც. ჩამოყალიბებული აქვს იმედი და გეგმებს აწყობს. ძალიან მიხარია, რომ ეს თანხა უგროვდება. 100%-ით ჩვენ ვერ მოვახერხებთ უზრუნველყოფას, მაგრამ ყველანაირად დავეხმარებით. დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ მხარდაჭერას. სახელმწიფო ძალიან ზრუნავს ამ ბავშვებზე და მაინც, მერეც უნდა იყოს რაღაცა. ვისაც ენახება, ხომ კარგი, და ვისაც არ ენახება, იმან რა უნდა ქნას. რაღაცის იმედი ხომ უნდა ჰქონდეს. მგონი, ძალიან მტკივნეული თემაა“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„იმდენად დიდი ხანია, ამ პროგრამაში ვარ, მეტი გამოცდილება დამიგროვდა. ძალიან კარგი პროგრამაა. ბავშვები მივაჩვიეთ ოჯახურ გარემოს და, საიდანაც მოდიან, [იმაზე] მეტს ვაძლევთ მინდობით აღმზრდელები, მაგრამ თითქოს სახელმწიფოს თანადგომა*

გვაკლია. ახლა მე მყავს ოთხი დედმამიშვილი. კარგად ვართ, მაგრამ ამ ბავშვების მომავლისთვის სახელმწიფო თუ არ დამეხმარა, ეს ბავშვები დარჩებიან ისე. მე რომ მქონდეს საშუალება და ერთი კუთხე შევუძინო, რომელშიც იცხოვრებენ...“ – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მანამდე ვინც მყავდა, სანამ ბინა არ იქირავა და მუშაობა არ დაიწყო, ჩემი სახლიდან არ გამიშვია. სულ ხომ ვერ შევძლებ, მეც ასაკი მემატება. ისიც არ ვიცი, რამდენ ხანს შევძლებ, როგორც ქალი, აღმზრდელი, ამ ბავშვებს გვერდით დავუდგე. მომავალი მადარდებს და მაინტერესებს ამ ბავშვების“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„დაასაქმონ მაინც ეს ბავშვები. თუ სახლ-კარი არ აქვს, ხომ შეიძლება, ქირით დაეხმარონ, სანამ ეს ბავშვები ფეხზე დადგებიან. 18 წლის ისევ ბავშვია და არ არის გასაშვები. დარწმუნებული ვარ, აქ თითოეულთან [მინდობით აღმზრდელთან] მყოფი ბავშვები ძალიან კარგად არიან. საფიქრალი მერეა, აქედან რომ წავლენ“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„რაღაცეები არსებობს, მაგალითად, უმაღლესი განათლება უფინანსდებათ, ნებისმიერ უმაღლესში. თუ ამ ეტაპზე უმაღლეს სასწავლებელში აგრძელებს ბავშვი სწავლას, ეს პროგრამა გრძელდება 21 წლამდე. ძალიან კარგი პროგრამაა, მაგრამ არასაკმარისი... თუნდაც 18 წლის მერე რა ხდება, თუნდაც საცხოვრებლის კუთხით. თუ არ ვცდები, დასაქმების მხრივ არის სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვა, საცხოვრებლის თემა არის ძალიან მტკივნეული. მე ჩემს თავს ვამზადებ, რომ რაღაცნაირად შევძლო და, სადამდეც ენდომებათ ბავშვებს ჩემთან ყოფნა, ჩემი სახლი მათი სახლია, მაგრამ იქნებ ბავშვებს უნდათ საკუთარი [სახლი, ბინა] ცალკე“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა: მინდობით აღსაზრდელების მოსაზრებები

მინდობით აღსაზრდელების თქმით, მინდობით აღმზრდელ ოჯახში მათ გამოუმუშავეს უნარები, რომლებიც გამოადგებათ დამოუკიდებელ ცხოვრებაში, განსაკუთრებით, კერძების მომზადება და საკუთარი თავის მოვლა (პროფესიული და უმაღლესი განათლების შესახებ მინდობით აღსაზრდელების მოსაზრებები მიმოხილულია ქვეთავში განათლების შესახებ).

„მე საჭმლის კეთება მასწავლეს და, სტუმრები რომ მოდიან, მე და დეიდა [მინდობით აღმზრდელი] ვაკეთებთ ხოლმე... ჩემს შემთხვევაში, მოვინდომე და შევისწავლე“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე აქ მასწავლეს ოჯახში საჭმელების კეთება“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღსაზრდელები ამბობენ, რომ მათ აქვთ ჯიბის ფული, რომლითაც, მაგალითად, შეუძლიათ, სადმე კლასელებთან ერთად წავიდნენ.

„მე ვფიქრობ, რომ სახელმწიფო იმდენს უხდის ოჯახებს, რომ მინდობით აღზრდაში მყოფ ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს ჯიბის ფული“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მეც ყოველთვის მაქვს ჯიბის ფული. კლასელებთან ერთად რომ მივდივარ ხოლმე სადღაც, მათ არ ჩამოვრჩები ხოლმე“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღსაზრდელების თქმით, მათი ნაწილი აპირებს, მინდობით აღმზრდელ ოჯახში დარჩეს მას შემდეგაც, რაც სრულწლოვნების ასაკი შეუსრულდებათ, რადგან ეს მათი სურვილიცაა და მინდობით აღმზრდელი ოჯახისაც. ბავშვების ნაწილი გეგმავს მათ ანგარიშებზე სახელმწიფოს მიერ დარიცხული თანხის (მარჩენალდაკარგულის, შშმ პირის პენსია) გამოყენებას და საკუთარ და-ძმასთან ერთად ბინის ყიდვას. მათ ასევე მოჰყავთ მაგალითები, როდესაც ეჭვი აქვთ, რომ ბავშვი ბიოლოგიურმა ოჯახმა იმიტომ დაიბრუნა, რომ მას დაგროვილი ჰქონდა ანგარიშზე თანხა.

„მე კოლეჯს რომ დავასრულებ, მთავრდება ჩემი მინდობითი აღზრდაც, მაგრამ მე ამ ოჯახში ვრჩები. როგორც საკუთარი დედა, ისე მიმიღო. ძალიან კმაყოფილი ვარ. მარტო ის არ უნდა იყოს, რომ მე ბავშვზე ფულს ვიღებ, დამთავრდება და გავუშვებ. არ არის ეს სწორი და ბავშვებმაც მინდა, იცოდნენ, რომ მთავარი აქ ფული არ არის. მთავარია სიყვარული“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩემი ბიძაშვილები იყვნენ მიმღებ ოჯახში და წავიდნენ, აღარ გააგრძელეს ცხოვრება [მინდობით აღმზრდელთან]. 18-19 წლის იყვნენ, შეეძლოთ, თავისი თავისთვის მიეხედათ“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„2012 წლიდან ვარ აქ და დაახლოებით 7 ბავშვი ჰყავს ჩვენს აღმზრდელს გაშვებული. აქედან ერთი გოგონა ბიოლოგიურმა დედამ წაიყვანა. გონებრივი შეზღუდვა ჰქონდა და პენსია ერიცხებოდა. სამი წელი იყო ჩვენთან. ეს თანხა რომ შეუგროვდა, დედამ წაიყვანა, რომ ეს თანხა აეღო“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე ეს თანხა მიგროვდება და, სრულწლოვანი რომ გავხდებით მე და ჩემი და, ბინას ვიყიდით“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩემი ბიძაშვილი იყო ასე, ფული დააგროვა, სახლი იყიდა და ახლა ცოლიც ჰყავს“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღზრდის მომსახურებიდან რეინტეგრაციისა და ბიოლოგიურ ოჯახთან ბავშვის ურთიერთობის ხელშეწყობა

ექსპერტების აზრით, მინდობით აღზრდის მომსახურებაში მყოფი ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება სოციალური მუშაკის უშუალო პასუხისმგებლობაა. სოციალური მუშაკის პასუხისმგებლობას წარმოადგენს ასევე, დაადგინოს, რამდენად უსაფრთხოა ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობა ბავშვისთვის და რა ფორმით და რა სიხშირით უნდა განხორციელდეს ეს ურთიერთობა. ასევე სოციალური მუშაკის პასუხისმგებლობაა, ბავშვის უსაფრთხოების

გათვალისწინებით, პერიოდულად გადაისინჯოს გამყვანი და/ან მნახველი პირის მიმართ დაწესებული მოთხოვნების შესრულების ხარისხი. სამინისტროს მონიტორინგის სამსახური გამოყოფს შემთხვევებს, როდესაც ბიოლოგიურ ოჯახში ვიზიტის შემდეგ ბავშვი თავს ცუდად გრძნობდა, ამის შესახებ კი სოციალური მუშაკი არ იყო ინფორმირებული.

> *„ოჯახის წევრი, დედა იქნება თუ სხვა ვინმე, რომელსაც მინიჭებული აქვს მნახველის ან გამყვანის სტატუსი, პერიოდულად მოდის მინდობით აღმზრდელ ოჯახში. ძალიან კარგად უნდა იყოს შეფასებული, რამდენად შესაბამისია [ეს] და უქმნის თუ არა საფრთხეს ბავშვის ფსიქოლოგიურ და სხვა უსაფრთხოებას. დედა მახსენდება, რომელიც პერიოდულად მოდიოდა, ასევე, გაყვანის შემთხვევაც ყოფილა და ბავშვის დაბრუნების მერე მისი ემოციური მდგომარეობა მძიმე იყო. ამას აღნიშნავდა მინდობით აღმზრდელი. იკეტებოდა ბავშვი, აგრესია ჰქონდა, სისტემატიურად ტიროდა. ჩვენ ამ შემთხვევაში ვაწვდენდით ხმას სოცმუშაკს. აღმოჩენილა, რომ სოცმუშაკი არ არის შესაბამისად ინფორმირებული. მესმის, რომ, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ბიოლოგიურ ოჯახთან ბმა უნდა იყოს და თუ ეს კონტაქტები არ იქნება, ჩათვალე, რომ რეინტეგრაცია ვერ მოხდება. ეს მიდგომა არის და ამიტომ უშვებენ მნახველ და გამყვან პირებად. აუცილებელია შემდეგ ამ სტატუსის გადამოწმება და განსაზღვრა, ღირს თუ არა დარჩეს ეს ადამიანი ამ სტატუსით“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი*

ერთ-ერთ შემთხვევაში, დედა შშმ პირი იყო და, ვინაიდან მინდობით აღმზრდელ ოჯახში მიდიოდა და ფულს ითხოვდა, მოეხსნა მნახველი პირის სტატუსი. მნიშვნელოვანია, მსგავს შემთხვევებში, მაქსიმალურად მიეწოდოს დედას მხარდამჭერი მომსახურებები, რათა მან განივითაროს სოციალური უნარები, ისწავლოს სოციალურად მისაღები ქცევა და შეძლოს შვილთან ურთიერთობის შენარჩუნება, თუმცა ასეთი მომსახურებები, ფაქტობრივად, არ არსებობს.

> *„დედა ჰყავდა შშმ პირი, მნახველ პირად იყო დარეგისტრირებული. მოდიოდა და ითხოვდა ფულს. მინდობით აღმზრდელი იყო ძალიან შეწუხებული. ჩიოდა ამაზე და ვერ იშორებდა ამ ადამიანს. ბავშვი ძალიან ცუდად გრძნობდა თავს, ძალიან დათრგუნული იყო ყოველი ვიზიტის მერე. სოცმუშაკი ჩაერთო მერე და მოეხსნა [მნახველი პირის სტატუსი]“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი*

> *„მნიშვნელოვანია გაძლიერებაზე მოხდეს მუშაობა, რომ... ნახვაც და გაყვანაც მოხდეს ბავშვისთვის საუკეთესო ფორმით. ამისთვის [საჭიროა] გაძლიერება ოჯახის, რაც ძალიან პრობლემურია, იმიტომ რომ იქ კონკრეტული სერვისები გჭირდება. აი, მაგალითად, შშმ დედის გაძლიერება. მანდ ხომ ძალიან ბევრი სერვისი გჭირდება, რომ მიახმარო დედას და, რეალურად, რა არსებობს, რომ მიახმარო“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი*

ექსპერტების აზრით, ბიოლოგიურ ოჯახთან ბავშვის ურთიერთობის ხელშეწყობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მინდობით აღმზრდელი, თუმცა ის ამ პროცესში მარტო არ უნდა იყოს და სოციალური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტებისგან მუდმივი მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს, რათა ბავშვის უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესი დაცული იყოს. იმ შემთხვევებში, როცა ზრუნვის სააგენტო გადაწყვეტს, საკუთარ სამუშაო სივრცეში შეახვედროს ერთმანეთს ბავშვი და მშობელი, დასაფიქრებელია, არის თუ არა სათანადოდ მოწყობილი სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მატერიალური ბაზა ბავშვისა და მშობლის შეხვედრებისთვის. ასევე, როდესაც ბიოლოგიური მშობელი მნახველ და/ან გამყვან პირად არის რეგისტრირებული, სოციალურმა მუშაკმა სათანადო მონიტორინგი უნდა გაუწიოს ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხს.

> *„მინდობით აღმზრდელი არ უნდა იყოს მარტო ამ სიტუაციაში. სოცმუშაკის და სპეციალისტების მხრიდან სწორად უნდა იყოს შეფასებული, რა არის ბავშვისთვის საუკეთესო ინტერესი... ისეთი შემთხვევებიც გვქონია, რომ სააგენტოს მიუღია გადაწყვეტილება, რომ კონკრეტულ მოცემულ ეტაპზე მინდობით აღმზრდელს უნდა მიეყვანა სოცსააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში ბავშვი. ასეთ შემთხვევაში, საინტერესოა სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში ბავშვზე მორგებული სივრცეების არსებობა, რათა იქ შეეწყოს ხელი, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის და მისი ბიოლოგიური ოჯახის ურთიერთობას. არის შემთხვევები, როდესაც მნახველი და გამყვანი პირიც არის [დარეგისტრირებული]. ასეთ შემთხვევაში, გარდა ადგილზე ვიზიტისა, გაყვანის უფლებაც თუ აქვს, ამ კუთხითაც უნდა შეეწყოს ხელი და განხორციელდეს აქტიური მონიტორინგი“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი*

ექსპერტების აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს მინდობით აღმზრდელი ოჯახის დამოკიდებულებას ბიოლოგიური ოჯახების მიმართ. თუ მინდობით აღმზრდელის დამოკიდებულება აღსაზრდელის ბიოლოგიური ოჯახის მიმართ ნეგატიურია, ეს მძიმედ აისახება ბავშვის მდგომარეობაზე. მან არ იცის, ვისი მხარე დაიჭიროს, და გაორებულია.

> *„მნიშვნელოვანია, როგორი დამოკიდებულება აქვთ მიმღებ ოჯახებს ბიოლოგიურ მშობლებთან. შემთხვევები არის, რომ ან სახლში არ უშვებენ, ან ზიზღით ლაპარაკობენ. ამ დროს ბავშვებს, ვიცით, როგორი გამოცდილება აქვთ. დედა, რომელიც ბავშვს ამათხოვრებდა და წლობით ქუჩაში ჰყავდა, რეაბილიტაციის მერე 5-6 თვეში დედაზე ისეთ ლექსებს წერენ და ისეთ ნახატებს ხატავენ... აღარ არის იმის გახსენება საჭირო, წარსულში როგორი დედა ჰყავდა და ახლა მოვიდა სანახავად. გამყვანი და მნახველი პირების უფლებები უკვე განსაზღვრული აქვს სოცმუშაკს. მიმღები მშობელი ამ დროს იქცევა ასე. ბავშვიც გაორებულია, აღარ იცის, მიმღები მშობლის მხარე უნდა დაიჭიროს თუ დედის“. – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი*

> *„გვქონია შემთხვევა, რთულად მოგვიწია ბიოლოგიურ ოჯახთან განცალკევება და მინდობით აღმზრდელი თავიდანვე ცუდად განეწყო ბიოლოგიური ოჯახის მიმართ. ამ*

შემთხვევაშიც კი ჩვენ ვწერთ რეკომენდაციებს, რომ ეს სცდება მის ვალდებულებებს და არ უნდა ესაუბროს ბავშვს ბიოლოგიურ ოჯახზე ნეგატიურად. ვაკვირდებით ჩვენ და ამის საფუძველზე ვწერთ შეფასების ანგარიშს. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც გადაუდებლად გვიწევს ბავშვის გამოყვანა. რასაც პირველ რიგში ვაკეთებთ, ბავშვს ვუხსნით, რატომ, რისთვის და სად მიდის. თუ არის შესაძლებელი, მანამდეც ვაცნობთ მინდობით აღმზრდელს, რომ უცებ უცხო გარემოში არ მოხვდეს. მინდობით აღმზრდელსაც ვაწერინებ, რომ ის თანახმაა, მიიღოს ბავშვი. ამ განცხადებით ის ხელს აწერს იმ ვალდებულებებს, რომლებიც მას აქვს დაკისრებული მინდობით აღმზრდელად ყოფნის პერიოდში, მათ შორის, ოჯახთან ურთიერთობის მზაობის თაობაზე". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„გვყავდა მიმღები მშობელი და დარეგისტრირების მერე გააჟღერა, რომ ბიოლოგიურ მშობელს არ შეუშვებდა სახლში... გარეთ რომ წვიმს, ვერ დავაყენებთ გარეთ. მაგრამ ამ ნეგატიურ დამოკიდებულებებსაც ქმნიან მშობლები, შევარდებიან ხოლმე სახლებში, იქექებიან ქვაბებში, მაცივარში, კარადებში და ესეც ქმნის ამ დამოკიდებულებას. ამ სიტუაციის აღმოფხვრისთვისაც გვიწევს მუშაობა". – ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენელი

ექსპერტების თქმით, ბიოლოგიურ ოჯახსა და მინდობით აღმზრდელ ოჯახს შორის, შესაძლოა, იყოს კონფლიქტური ურთიერთობა, რის გამოც სოციალური მუშაკები ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან შეხვედრის ადგილად იყენებენ ზრუნვის სააგენტოს ოფისს. აღნიშნული კონფლიქტი შეიძლება განაპირობოს ბიოლოგიური ოჯახის წევრის, მაგალითად, დედის, შიშმა, რომელსაც ჰგონია, რომ შვილის მინდობით აღზრდის მომსახურებაში ყოფნით მას დაკარგავს (რადგან ამ შემთხვევაში ბავშვი იზრდება ოჯახში და არა დაწესებულებაში). ექსპერტების თქმით, აღნიშნულ საკითხს სათანადო ყურადღება არ ექცევა, რის გამოც სიტუაცია მწვავდება და ბავშვი ზიანდება. გამოსავლად ექსპერტებს მიაჩნიათ შეხვედრების ფორმატის, ხანგრძლივობისა და დროის წინასწარ განსაზღვრა სოციალური მუშაკის მიერ.

„კონფლიქტები არის ამ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ, ჩემი დაკვირვებით, სოციალური მუშაკები იყენებენ ასეთ მეთოდს, რომ სააგენტოს ოფისში ახვედრებენ ბავშვებს ბიოლოგიურ მშობლებს. ერთგვარი ფსიქოლოგიური მომენტიც არის, მესაკუთრის როლიდან გამომდინარე. როცა ბავშვი არის ინსტიტუციაში ან მცირე საოჯახო სახლში, ბიოლოგიური მშობელი ამას აფასებს, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, ხოლო, როგორც კი ზრუნვა გადადის ინდივიდუალურ დონეზე, ბიოლოგიურ მშობელს უჩნდება შიში და ჰგონია, რომ შვილს კარგავს, რაც მხარეებს შორის აჩენს რაღაც დაძაბულობას. ასეთ შემთხვევებში, სოციალურმა მუშაკმა უნდა დაარეგულიროს მათი ურთიერთობები, რომ კიდევ უფრო არ გამწვავდეს. ისე ხდება ხოლმე, რომ თავიდან მიუშვებენ ასეთ შემთხვევებს, მერე ეს გადადის ხელჩართულ ბრძოლაში, რომლის პროცესშიც ბავშვი იჭყლიტება და მერე ერთვება ამ ყველაფერში

სოციალური მუშაკი... თავისთავად, ყველა ურთიერთობა ვერ იქნება იდეალური, ამიტომ თავიდანვე ურთიერთობების აწყობაში უნდა ჩაერიოს სოციალური მუშაკი, განსაზღვროს შეხვედრების ფორმატი, რაც ხელს შეუწყობს ბავშვის მშობელთან ურთიერთობას". – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

ასევე მნიშვნელოვანია მინდობით აღმზრდელის მხრიდან ბავშვთან ურთიერთობაში, ემოციური მიჯაჭვულობის თვალსაზრისით, ოქროს შუალედის დაცვა. მინდობით აღზრდის მომსახურებიდან გასვლა დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ბიოლოგიურ ოჯახში ბრუნდება. შეიძლება ბავშვს ძალიან გაუჭირდეს ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, რადგან დიდი მიჯაჭვულობა აქვს მინდობით აღმზრდელი ოჯახის მიმართ, განსაკუთრებით მცირე ასაკში.

„[როცა] ბავშვი გადის მომსახურებიდან და გადადის რეინტეგრაციაში, ამ შემთხვევაში ძალიან სენსიტიური თემა არის მოწყვეტა მინდობით აღმზრდელისგან. მინდობით აღმზრდელსაც დამოკიდებულება უჩნდება ბავშვის მიმართ. ეს ცუდი არ არის, რა თქმა უნდა. მიჯაჭვულობის უცებ გაწყვეტა არ არის მიზანშეწონილი. თუ მინდობით აღმზრდელი ოჯახი ტერიტორიულად სხვაგან იმყოფება, ბიოლოგიური ოჯახისგან [დაშორებით], ამ შემთხვევაში, ცოტა რთულია ხოლმე, მაგრამ შეგვხვედრია შემთხვევები, რომ კარგა ხანს არ წყვეტენ კონტაქტს, კეთილგანწყობილი და ძალიან თბილი ურთიერთობა აქვთ ხოლმე. ეს რაღაცნაირად აძლიერებს ორივეს. ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც 18 წლისას, უკვე სრულწლოვანს, ძალიან რთულად აღუქვია [განშორება], ბიოლოგიური ოჯახიც აღარ აკმაყოფილებს და ძალიან უჭირს შეგუება". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

„[მინდობით აღმზრდელებს] ხშირად უჭირთ ხოლმე ზღვარის დაცვა. ბავშვი როდესაც შეგვყავს მინდობით აღზრდაში, იმ დღიდან იწყებს სოცმუშაკი მუშაობას, რომ ბიოლოგიურ ოჯახში მოხდეს ბავშვის რეინტეგრაცია და გავაძლიეროთ ბიოლოგიური დედა. არიან ბავშვები, ვისაც წლები არავინ არ აკითხავს და ეს ბავშვი მიმღებ მშობელს აღიქვამს, როგორც ბიოლოგიურ დედას. ყველაზე დიდი სირთულე და პრობლემა არის ხოლმე ეს. ყოფილა შემთხვევები, რომ სამი-ოთხი წლის მერე გამოჩენილა ბიოლოგიური მშობელი ან ნათესავი, რომელსაც ნდომებია ამ ბავშვთან ურთიერთობის აღდგენა ან დაბრუნება. ყველაზე დიდი სირთულე არის ეს საკითხი. ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ძალიან მძიმეა ამ შემთხვევაში. გააჩნია ასაკსაც, რაღაცეებს ვერ აღიქვამს, ძირითადად, ხდება ხოლმე ეს პატარა ასაკში. ყველაზე დიდი პრობლემა ეს არის. ბავშვი აღიქვამს დედად [მინდობით აღმზრდელს] და უჭირს". – ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი

ბიოლოგიურ ოჯახებთან ბავშვის ურთიერთობის ხელშეწყობა: მინდობით აღმზრდელების მოსაზრებები

მინდობით აღმზრდელების ნაწილი წარმატებით ახერხებს ბიოლოგიურ ოჯახთან ბავშვის ურთიერთობის ხელშეწყობას – ფიზიკურად, ტელეფონით და სხვა სახის ტექნოლოგიური

საშუალებების გამოყენებით. ამ შემთხვევებში, როგორც წესი, ვიზიტები ხორციელდება მინდობით აღმზრდელისა და ბიოლოგიურ ოჯახში. ამ პროცესში მინდობით აღმზრდელები ხელს უწყობენ ბავშვებში ბიოლოგიური ოჯახის მიმართ სიყვარულის, სიახლოვის გაღვივებას/შენარჩუნებას.

> *„ჩვენ ბიოლოგიურ ოჯახთან მჭიდრო ურთიერთობაში ვართ, სატელეფონო საუბრები გვაქვს. ასევე, ჩვენ მივდივართ ხოლმე ოჯახში დაგეგმილად. მამა მოდის ხშირად, ბავშვებიც კმაყოფილები არიან და ოჯახიც. ძმა ჰყავთ პატარა, მეოთხე შვილია, სახელი ბავშვებმა დაარქვეს და ძალიან უყვართ. ბოლოს, დედის დღეს ვიყავით დედასთან, თავისი ხელით გაუკეთეს ნახატები. სიყვარული აქვთ ოჯახის, იციან, რომ უნდა ისწავლონ, გაიზრდებიან და საკუთარ ოჯახში დაბრუნდებიან. იციან, რომ დედა და მამა საუკეთესოები არიან და, სხვათა შორის, ტესტი გააკეთეს სკოლაში და ისე თბილად და კარგად შეავსეს. ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახთან ურთიერთობა. სოცმუშაკი და ფსიქოლოგი მოდიან ხოლმე ზოგჯერ ჩვენთან ერთად ოჯახში, ჩვენს შეხვედრებს აკვირდებიან“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„ჩემთან დედა თითქმის ყოველდღე ელაპარაკება და ხშირადაც მოდის, ხან სასეირნოდ დავდივართ, ხან სახლში [ვხვდებით] და ხან – სოციალურში... მამასთან არ აქვთ კავშირი, მაგრამ ბავშვებს უყვართ და ზოგჯერ ურეკავენ“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„პატარები მე მიმყავს და ორ-სამ საათს ატარებენ იქ, დედმამიშვილთან და მშობლებთან, უფროსები დღესასწაულებზე მიდიან მშობლებთან. ყოველ საღამოს რეკავს დედა და აქვთ კომუნიკაცია“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

ბავშვების ნაწილს საერთოდ არ აქვს კომუნიკაცია ბიოლოგიურ ოჯახთან. მისი წევრები, შესაძლოა, დარეგისტრირებულნი არ იყვნენ არც მნახველ და არც გამყვან პირებად. ასეთ შემთხვევებში ბავშვები ხშირად ინარჩუნებენ ურთიერთობას და-ძმასთან ან სხვა ნათესავებთან.

> *„ჩვენს ამბავში არც სტუმარი მოდის, არც მნახველი, არც გამყვანი პირი გვყავს. ვუსმენ გოგოებს, დედასთან, ბებიასთან კონტაქტი [აქვთ] და ჩვენს შემთხვევაში ეს არ არის. ძალიან სამწუხაროა. მამა გარდაცვლილი ჰყავთ, დედა წავიდა თურქეთში და არ გამოდის კონტაქტზე. ძმა ჰყავთ, რომელიც ახლა გახდა სრულწლოვანი და ბოლო პერიოდში ძმას აქვს მათი ნახვის სურვილი. უბრალოდ, სოცმუშაკთან უნდა მისულიყო, დარეგისტრირებულიყო, ვერ მორიგდა მათთან. მე-6 კლასის დონეზე აქვს საბუთები შეჩერებული სკოლის. მე ვუთხარი სოცმუშაკს, რომ ძმა მოვიდა და იმან მითხრა, თუ გინდა, როგორც სტუმარი, მიიღეო, და მივიღე. თავიდან დედაც კონტაქტობდა, მერე წამშალა და საერთოდ გაწყვიტა კონტაქტი, უკვე მეოთხე წელია“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

ზოგიერთ შემთხვევაში, როცა რისკები მაღალია ბავშვისთვის, ბიოლოგიურ ოჯახთან მისი შეხვედრა, შესაძლოა, სოციალური მუშაკის ზედამხედველობით მოეწყოს, ან საერთოდ არ შედგეს. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მინდობით აღზრდის მომსახურებაში ყოფნისას, მცირე საოჯახო ტიპის სახლისგან განსხვავებით, მშობლებს ან ოჯახის სხვა წევრებს უჩნდებათ შიში, რომ მინდობით აღმზრდელი ოჯახი ბავშვს ბიოლოგიურ ოჯახს ჩაუნაცვლებს. მინდობით აღმზრდელთა ნაწილი წარმატებით ახერხებს იმ ემოციური ზღვრის დაწესებას, რომელიც ბავშვისთვის საუკეთესოა და მას ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობაში დამატებით სირთულეებს არ შეუქმნის.

„ძალიან კარგად არეგულირებს ამას სოცმუშაკი. კარგად რეგულირდება, სხვადასხვა ეტაპზე. სიტუაცია ითხოვს სხვადასხვანაირად, ინდივიდუალურია და სტანდარტით ამას ვერ ვიზამთ. დედას, ჩემს შემთხვევაში, არასოდეს ჰქონია შეზღუდვა. ჩვენთან მოდიოდა, მქონდა შემთხვევა, ბებო მოდიოდა ჩვენთან და დადგა მერე ის ეტაპი, რომ მას მოსვლა სოცმუშაკმა აუკრძალა. შემდეგ ვიმუშავეთ მე და სოცმუშაკმა, ერთობლივად, რომ ისევ აღმდგარიყო ბავშვებისა და ბებოს კავშირი, მხოლოდ იმ გარანტიებით, რომ ბავშვების ინტერესები ყოფილიყო დაცული. აღდგა, მაგრამ სოცმუშაკის კონტროლის ქვეშ. ძალიან კარგია ბავშვების ვიზიტი ბიოლოგიურ ნათესავთან, მაგრამ სოცმუშაკის კონტროლით. როდესაც პრობლემები დადგა, ბებო დავითანხმეთ ამაზე და შეხვედრები ხდებოდა სააგენტოს ტრეიტორიაზე. თავიდან ბებო წინააღმდეგი იყო, მერე კარგად იმუშავა სოცმუშაკმა. ახლა მივედით იმ ეტაპზე, რომ ჩვენ მივდივართ მათთან სახლში. სამწუხაროდ, ჩემს პატარებს ბიოლოგიური დედა გარდაცვლილი ჰყავთ. დედის ნათესავებთან – ბებოსთან და ბაბუსთან – გვაქვს ურთიერთობა. იქაც მიმყავს ბავშვები და ისინიც მოდიან ჩვენთან, ოღონდ სოცმუშაკთან შეთანხმებით“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„სკოლაში მშობელზე უნდა დაეწერათ და, არ არის ეს კარგი პროგრამაო. მე როდესაც დღეს ყველაფერი ვიციო, ის ადამიანი მინდა დედად მივიღო, რომელიც ღამეს მითენებს და ჩემი ტკივილი სტკივაო. მე ვუხსნი, რომ შენმა დედამ ის გააკეთა კარგი, რომ შენ ჩემთან შემოგიყვანა-მეთქი. თავიდან ბიოლოგიური დედები ეგოისტობენ და მერე, როცა დაინახა, რომ მე მხოლოდ ის მინდოდა, მისი შვილები კარგ გზაზე დამეყენებინა, შეიცვალა დედის დამოკიდებულება, თუმცა ვერ შევცვალეთ ბებიის დამოკიდებულება. აიკრძალა ბებიასთან ბავშვის გაყვანა. მამა სხვადასხვა ჰყავთ და არცერთს არ ჰყავს... ოჯახში დედის და ბიძის ურთიერთობა იყო ძალიან ცუდი და ამას ბავშვები უყურებდნენ. შინ გაყვანა აკრძალულია ბავშვების, თუმცა დედას შეუძლია, ნებისმიერ დროს მოვიდეს. არ შეუძლიათ საკუთარი შვილების მოსმენა და ამ ბავშვებს უნდათ ისეთი დედა, როგორსაც ხედავენ ირგვლივ. ხედავენ, სხვა მშობლები დაბადების დღეებს რომ უხდიან შვილებს, მეც ვუშვებ, არ მინდა, რომ რამეს გამოაკლდნენ და ამ ყველაფერს რომ ხედავენ, მერე რთულ კითხვებს სვამენ. სულ იმას ვიმეორებ, რომ დედამ შეძლო და თქვენ აქ ხართ და აწი იცით, რა არის კარგი და

თქვენზეა დამოკიდებული, როგორი ადამიანები გაიზრდებით და რას გაუკეთებთ თქვენს შვილებს-მეთქი". - მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე ვიცი, რომ ჩემი შვილი არაა, თუმცა ვუკეთებ საუკეთესოს და ვთვლი, რომ სტანდარტითაც ასეა. ერთმა მთხოვა, 10 წელი ბავშვთა სახლში იზრდებოდა და პირველი ოჯახი ვიყავი, ვინც გამოვიყვანე. პირველად ნახა, ოჯახი რა იყო, და მთხოვა, რომ, თუ შეიძლებოდა, დედას დამიძახებდა. მე ძალიან კორექტულად ავუხსენი, რომ ჰყავდა მას დედა, თურქეთში იყო და, როდესაც დაურეკავდა, მისთვის დაეძახა დედა. მე ვიქნებოდი დეიდა, იქ სხვა სირთულეები რომ არ განვითარებულიყო, თუ მიმიღებდა, როგორც დედას და [თავის თავს –] შვილად. თუმცა ყველანაირად ვცდილობ, რასაც ჩემს შვილს ვუკეთებ, იგივე გავუკეთო ბავშვებს". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

ზოგ შემთხვევაში წარმოიშობა კონფლიქტური სიტუაციები მინდობით აღმზრდელსა და ბიოლოგიურ ოჯახს შორის. ამის ფონზე ბავშვებს უჩნდებათ კითხვები საკუთარი ნათესავების შესახებ. სწორედ ამ დროს ესაჭიროებათ მინდობით აღმზრდელებს მგრძნობელობის გამახვილება და პროფესიული გაძლიერება.

„ძალიან პატარები იყვნენ, რომ მომიყვანეს, 6 თვის, წლინახევრის და სამი წლის. 9 წელია, ვართ ერთად. მესმის სხვა მინდობით აღმზრდელების, რომ აღნიშნეს გულისწყვეტა, რომ ბიოლოგიური დედები არ აკითხავენ, მაგრამ ნახეთ, როდესაც აკითხავენ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემა არ არის. ბავშვების საუკეთესო ინტერესებით თუ ვიმსჯელებთ, უმჯობესია, რომ აკითხავდნენ. არის სირთულეები, იყო კონფლიქტური სიტუაციები, რომლებიც ჩემს ოჯახშიც ხდებოდა, ბიოლოგიური ნათესავების კონფლიქტი ყოფილა ჩემს ოჯახში. შელაპარაკებების დროს ინფორმაციებს იღებენ ბავშვები. ისეთი ინფორმაციები მოხვდა მათ ყურს, რაც არ უნდა იცოდნენ. მერე ამას მოჰყვება ბევრი კითხვები. ჩემი გოგონა ულამაზესია, არის უკვე 12 წლის. ეს არის ურთულესი პერიოდი და აქვს უამრავი შეკითხვა. ძალიან პატარები იყვნენ, როდესაც ველაპარაკებოდი მინდობით აღზრდის სიკეთეებზე, მინდოდა, რომ არ დაკომპლექსებულიყვნენ ბავშვები ამ პროგრამის გამო... რაც არ მოსწონთ ბავშვებს [ბიოლოგიურ მშობლებში], ამაზე ვპასუხობ, რომ ყველა ადამიანი ირჩევს მის ცხოვრებას და ჩვენ ვერ განვსჯით. მათ აირჩიეს ეს. არის რაღაცეები, რაც არ მოსწონს ბავშვს და ეს ობიექტურია. ამაზე ვეუბნები, მოდი, დავინახოთ სხვა კუთხით და ჩვენ არ მოვიქცეთ ასე. ყველა უშვებს შეცდომებს და ჩვენ, უბრალოდ, უნდა გვიყვარდეს და მთავარია, ბავშვს არ ჰქონდეს ის, რომ ისინი არიან ცუდი მშობლების შვილები". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღმზრდელების ნაწილი ცდილობს, გარკვეულწილად, დაუჭიროს მხარი ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახსაც, მათ შორის, მით, რომ თვითონვე უზრუნველყონ ბავშვების ტრანსპორტირება ოჯახში, თუმცა თვლიან, რომ ბიოლოგიური ოჯახები მეტს უნდა აკეთებდნენ (არ აკეთებენ) შვილებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ მინდობით აღმზრდელები

ცდილობენ, ოჯახის წევრები მოიძიონ კიდეც და ბავშვებს აღუდგინონ ურთიერთობა მათთან, თუმცა, ბიოლოგიურ ოჯახში პირობების არარსებობის შემთხვევაში, არ უშვებენ ხოლმე ბავშვებს ოჯახებში. რეალურად, ეს გადაწყვეტილება უნდა მიიღოს არა მინდობით აღმზრდელმა, არამედ სოციალურმა მუშაკმა, ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.

> *„როდესაც მამას არ აქვს საშუალება, რომ ნახოს ჩემი ორი გოგონა, მე და ჩემს მეუღლეს მიგვყავს მანქანით. მიგვაქვს საჭმელი, ვუტოვებთ ბავშვებს ფულს, რომ ერთი-ორი დღე მაინც იყონ იქ. არ აქვთ ტუალეტი, ჩემმა მეუღლემ მასალები გადაუტანა, გააკეთეო, დიდები არიან ბავშვებიო, და არც ის გააკეთა. ახლა მეც აღარ ვუშვებ იქ, დიდები არიან და სად უნდა წავიდნენ, უხერხულია. თვითონაც არ აქვთ სურვილი, რომ გადავიდნენ მამასთან. დედა გარდაცვლილია, თუმცა მანამდეც არ კითხულობდა. ბებია ჰყავთ და ჩაწოლილი მოხუცია. იმდენი გავაკეთე, დედის დედას შევახვედრე ბავშვები და კონტაქტი აქვთ. ანგარიშზე უგროვდებათ ფული და ვფიქრობთ, რომ შევუძინოთ ბინა აუცილებლად, რომ თავისი ჭერი ჰქონდეთ“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობა განსაკუთრებით რთულდება, თუ ის ბავშვისგან შორს ცხოვრობს, ან ოჯახის რომელიმე წევრი პენიტენციურ დაწესებულებაშია. უკანასკნელ შემთხვევაში, ბავშვისთვის შეიძლება დამაზიანებელი იყოს მითითებულ დაწესებულებაში სტუმრობა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბავშვს წარსულში მიღებული აქვს ტრავმული ან ძალადობრივი გამოცდილება. ასეთ დროს მიზანშეწონილი არაა ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის ხელშეწყობა. შესაძლოა, გამოსავალი იყოს online-ჩართვა პენიტენციურ დაწესებულებაში ან, შესაძლებლობის ფარგლებში, შეხვედრებისთვის ალტერნატიული ადგილების გამოყოფა, რათა თავიდან ავიცილოთ ბავშვის ტრავმირება.

> *„ჩემი ბავშვების დედა წალკაშია, მხოლოდ ერთხელ ნახა ოთხი წლის განმავლობაში, სკაიპით კვირაში სამჯერ, ოთხჯერ აქვთ კომუნიკაცია“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„ბავშვების მამა არის ციხეში. მისჯილი აქვს 9 წელი. უნდა ბავშვების ნახვა. ჩანიშნული იყო შეხვედრა, უფროსმა ჭიდაობაზე ხელი მოიტეხა და ვერ წავედით. აღმოჩნდა, რომ სწორად არ იყო დანიშნული. ბავშვი რომ წაიყვანო პაემანზე, ციხის სოცმუშაკმა უნდა მისწეროს სოცსამსახურს და მე უნდა მომივიდეს ნებართვა, რომ ბავშვები წავიყვანო სანახავად, ისე არ შეუშვებენ ბავშვებს... ასე ციხე-ციხე ვატარო, მით უმეტეს, პატარა ძალადობის მსხვერპლია... იცით, ამასწინათ, მულტფილმების ყურებისას, ხელზე ხორცი ამოიგლიჯა. თვითდაზიანება მიიღო. ახლა მე ეს ციხეში რომ წავიყვანო, ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა ზეწოლა იქნება. დუშეთში ყოფილა, ონლაინ შეუძლიათ, ჩაერთონ მამას ციხეში. ვფიქრობ, ეს უკეთესი ვარიანტია“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

მინდობით აღმზრდელების ფოკუსჯგუფში იკვეთება ტენდენცია, რომ ბავშვებთან ურთიერთობისთვის, მათთან სენსიტიურ საკითხებზე საუბრისთვის მათ ესაჭიროებათ მეტი

სენსიტიზაცია, გაძლიერება, მომზადება და მუდმივი პროფესიული მხარდაჭერა, განსაკუთრებით ბავშვების ბიოლოგიურ გარემოსა და ოჯახთან მიმართებით. ასევე იკვეთება ტენდენცია, რომ მინდობით აღმზრდელების ნაწილს მინდობით აღსაზრდელების ოჯახების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს და ზოგჯერ ამ მოსაზრებებს მინდობით აღსაზრდელებს უზიარებს.

> *„მე მყავს 15 წლის გოგონა, სამი წლის იყო, როდესაც ბავშვი მოვიდა ჩემთან და გავზარდეთ ჩვენ. აბსოლუტურად მივეცი ის, რაც ჩემს საკუთარ შვილებს. 13 წლის იყო, როდესაც დამისვა შეკითხვა, რომ არ ყოფილიყო მინდობითი აღზრდა, მე და ჩემი და სად ვიქნებოდითო. მე გავეცი პასუხი, რომ არ ყოფილიყო ეს [მომსახურება], ბავშვები იქნებოდნენ ქუჩაში ჩავარდნილი, იქნებოდნენ მეძავები, ქურდები, მათხოვრები. აი, ასეთი დილემის წინაშე იდგებოდნენ. აბსოლუტურად გაითავისა ეს და მერე ისეთი სასიამოვნო სტატია გამოაქვეყნა, ძალიან მადლიერები დავრჩით ყველა. ეს ბავშვებიც გააზრებულად უდგებიან ყველაფერს. ისეთი საღად მოაზროვნე ბავშვები არიან, ამას ხვდებიან. ეს რომ არ იყოს, ამათი მომავალი რა იქნებოდა, ძალიან ცუდ დღეში ჩავარდებოდნენ. ვიცით, რა ოჯახებიდან არიან გამოსულები, ბიოლოგიურ ოჯახთან გვაქვს კავშირი, ბებია ჰყავთ და მამა“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„ბიოლოგიურ მშობელზე აღარ არის საუბარი. მან პატარაობაში თუ არ მიაქცია ყურადღება, 18 წლისას სულ თავისუფლად ეტყვის, რაღა დედა გინდა, მიხედე შენს თავსო. მე დარწმუნებული ვარ, თითოეული ჩვენგანი უფრო მეტს იფიქრებს იმ ბავშვებზე, ვინც ჩვენგან გავლენ, ვიდრე ბიოლოგიური ოჯახი“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„ჩვენ უნდა ვიყოთ კონტაქტში სოცმუშაკთან, რა გადაწყვეტილებებსაც ვიღებთ. უნდა იყოს ბავშვი ჩვენს გარემოში, მაგრამ უნდა იცოდეს, რომ დედა არ ვართ და ვამზადებთ იმისთვის, რომ დედასაც მიხედოს და საიდან მოდის, ვინ არიან. დედამ შეიძლება ვერ შეძლო და ამ ბავშვებმა არ უნდა გარიყონ დედა“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„ბავშვებმა კი იციან, ვინ არის დედა, მაგრამ დედის მხრიდან არ უნდა იყოს ის, რომ ესენი მისი შვილები არიან?“ – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

თუმცა აღსანიშნავია, რომ მინდობით აღმზრდელთა ნაწილი მშობლებს პოზიტიურ ჭრილში უხატავს ბავშვებს, ან ცდილობს მაინც, ეს გააკეთოს, იმ შემთხვევაშიც, თუ თავად სრულიად საპირისპირო აზრისაა.

> *„სოცმუშაკთან ერთად ვაკეთებ მე, მათი ნებართვის გარეშე არ მაქვს უფლება. ბავშვს ვეუბნები, რომ დედა სამუშაოდაა წასული და, რომ გაიზრდები, აუცილებლად გნახავს, იცი, როგორ უყვარხარ დედას... სხვანაირად არ შეიძლება. ბავშვს დედა რომ არ უყვარდეს, ქალის მიმართ ექნება აგრესია“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

„5 წელია, ბავშვები ჩემთან არიან და დედა 5-ჯერ არ არის ნამყოფი ჩემთან. ბავშვებს რაღაცნაირად უვითარდებათ [გაუცხოების] გრძნობა. მე ვუხსნი, რომ დედას პატივი უნდა ვცეთ ყველანაირად, მაგრამ ბავშვები ხედავენ ყველაფერს. მე ორი შვილი მყავს, შვილიშვილები მყავს და ჩემგანაც ხედავენ, მე რას ვაკეთებ მათთვის და მათაც უნდათ იგივე დედისგან. სულ მცირედი მაინც უნდა გააკეთოს, ოთხ შვილს სახელმწიფო რომ უნახავს. უფროსებს სწორი შეხედულებები ჩამოუყალიბდათ, სწორად ხედავენ ყველაფერს. კითხვები უჩნდებათ და მე უფლება არ მაქვს... ისეთნაირად უნდა გავცე პასუხი, როგორც საჭირო იქნება. მე მინდა, რომ მეტად ვხედავდე სახელმწიფოს დახმარებას. გოგონა, რომელიც 18 წლის შესრულდება, იმ ოჯახში ველარ ბრუნდება. ახლა აკრძალული აქვთ გაყვანა და მერე როგორ შევა ბავშვი“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

ბიოლოგიურ ოჯახთან ბავშვების ურთიერთობა: მინდობით აღსაზრდელების მოსაზრებები

მინდობით აღსაზრდელების თქმით, მათ ნაწილს აქვს ურთიერთობა ბიოლოგიური ოჯახის წევრებთან, ნაწილს – არა. ურთიერთობის არქონის შემთხვევაში, მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ბავშვს თავად არ აქვს სურვილი, ურთიერთობა ჰქონდეს ბიოლოგიურ მშობელთან, განსაკუთრებით მაშინ, თუ მან ბავშვი მცირე ასაკში დატოვა ზრუნვის სისტემაში, ან, თუ მშობელი საზღვარგარეთაა, ბავშვებს მათთან ნაკლები სიხშირით აქვთ კონტაქტი.

„მე ვფიქრობ, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელია ურთიერთობა, ჩემს შემთხვევაშიც ნახევარდებთან სულ მაქვს კონტაქტი“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ურთიერთობას გააჩნია. მე, მაგალითად, დედამ დამტოვა პანსიონატში და არანაირი ურთიერთობა არ მინდა მასთან. ზოგი პატიობს დედას. ეს, რა თქმა უნდა, მათი გადასაწყვეტია, ურთიერთობას ინარჩუნებენ ჩვეულებრივს. როდესაც ოჯახიდან გაჰყავთ და მინდობით აღზრდაში მიჰყავთ, ურთიერთობის ნაწილში არანაირი აკრძალვა არ არის. ზოგს აქვს კარგი ურთიერთობა. მე ვერ ვაპატიებ დედას წარსულს“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ორი წლის ვიყავი, დედამ რომ დამტოვა, მძინარე, მე და ჩემი და. მიგვატოვა და წავიდა. ვერც მე ვპატიობდი, არ მინდოდა მასთან კონტაქტი. რომ გარდაიცვალა, რა თქმა უნდა, ჩავედი, დედა იყო და პატივი უნდა მეცა. დღემდე მაინც ვერ ვპატიობ. შეიძლება პრობლემების გამო გააკეთა, მაგრამ მაინც. მამასთან და ბებიასთან კონტაქტი მაქვს“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე ხშირი კონტაქტი მაქვს დედასთანაც და მამასთანაც. დედა თურქეთშია და ისე ხშირად ველარ ვკონტაქტობთ, მაგრამ მამასთან – კი“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„კარგი ურთიერთობა მაქვს, მეც ვნახულობ და ისინიც მოდიან ჩემთან“. – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღსაზრდელები ამბობენ, რომ სხვადასხვა სივრცეში შეიძლება შეხვდნენ ბიოლოგიურ ოჯახს (ბიოლოგიურ ოჯახში სტუმრობა ერთი ან რამდენიმე დღით, გარე სივრცეში ბიოლოგიური ოჯახის ნახვა და ა.შ.).

> *„რამოდენიმე დღე ვრჩებით იქეთ [ბიოლოგიურ ოჯახში]". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„მე ადრე გარეთ შემეძლო მარტო ნახვა, მერე ნელ-ნელა ჩვენც შეგვეძლო, რომ მივსულიყავით ოჯახში და ღამეც დავრჩენილიყავით". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

მინდობით აღმზრდელების მოძიება, რეგისტრაცია და მომზადება/გადამზადება

სპეციალისტების განცხადებით, მინდობით აღმზრდელების მოსაძიებლად მუშაობა, ფაქტობრივად, არ ხორციელდება.

> *„ეგ სისტემა [მინდობით აღმზრდელების მოძიების] ახლა აღარ არსებობს". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

მინდობით აღმზრდელებად რეგისტრაციის გავლის შემდეგ მინდობით აღმზრდელები გადიან გადამზადების კურსს და შემდეგ სოციალური მუშაკი შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს, რამდენად შეესაბამება ეს კანდიდატი ამ საქმიანობას. ამის შემდეგ ბავშვი განთავსდება მინდობით აღმზრდელთან. თუმცა რთულია იმის განსაზღვრა, თუ, რეალურად, რამდენად მზადაა ოჯახი, გახდეს მინდობით აღმზრდელი. გარდა ამისა, მინდობით აღმზრდელებისთვის ბავშვის მათთან განთავსებამდე ჩატარებული ტრენინგი სრულიად არასაკმარისია იმისთვის, რომ ისინი მინდობით აღზრდის პროცესში წარმოქმნილ სირთულეებს გაუმკლავდნენ. მათ მუდმივი, უწყვეტი მხარდაჭერა ესაჭიროებათ სხვადასხვა სპეციალისტის მხრიდან.

> *„[მინდობით აღმზრდელის მიერ ტრენინგის გავლის შემდეგ] მთელი წნეხი მოდის სოცმუშაკზე. ჩვენ ვსაზღვრავთ, რამდენად შეეფერება მინდობით აღმზრდელად, თუ არ შეეფერება. ყოფილა შემთხვევევა, რომ იდეალურად შეფუთული დაგვხვედრია და სანიმუშოდ შეგვიფასებია ოჯახი, თუმცა, როდესაც ბავშვი შევიყვანეთ, აღმოჩნდა, რომ ის არ იყო რეალურად მზად ამ გამოწვევისთვის. ეს კიდევ რისკი არის – ბავშვი, რომელიც ოჯახიდან არის განცალკევებული, ისედაც სტრესს განიცდის და იმ ახალ გარემოს, სადაც შეგუება უნდა მოხდეს, კიდევ უფრო სტრესულად იღებს". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

მინდობით აღმზრდელების ტრენინგებს წინა წლებში არასამთავრობო ორგანიზაციები ატარებდნენ, ხოლო ბოლო ხანებში ეს საქმე ზრუნვის სააგენტომ გადაიბარა. მინდობით აღმზრდელები გადიან 21-საათიან ტრენინგს (საბაზისოს), რასაც ემატება 7 საათი სპეციალიზებულის შემთხვევაში. სპეციალისტების აზრით, მინდობით აღმზრდელების ჩართვა ტრენინგებში გარკვეული პრეტესტირების საფუძველზე, შერჩევით უნდა ხორციელდებოდეს. ისინი ასევე მიიჩნევენ, რომ მინდობით აღმზრდელებმა ფსიქოლოგიური

შეფასება/ტესტირებაც უნდა გაიარონ. სოციალურ მუშაკებს არასწორად მიაჩნიათ ისიც, რომ მინდობით აღმზრდელი ჯერ ტრენინგს გადის, შემდეგ კი სოციალური მუშაკი წყვეტს, რამდენად განთავსდება მასთან ბავშვი.

> *„აქამდე ატარებდნენ არასამთავრობოები და ამ წლიდან დაიწყო სააგენტომ ჩატარება. მინდობით აღზრდის მსურველი პირი გადის სავალდებულო ტრენინგს. ეს სავალდებულო ტრენინგი არის 21 საათი, სპეციალიზებულისთვის ემატება 7 საათი". – ზრუნვის სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობის დეპარტამენტის წარმომადგენელი*

> *„მინდობითი აღმზრდელების ტრენინგებში ჩართვა უნდა იყოს შერჩევითი, პრე-ტესტირება უნდა იყოს ამისთვის. პოტენციურ მინდობით აღმზრდელსაც უნდა ჰქონდეს იმის გააზრება, რა საქმეს ჰკიდებს ის ხელს". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

> *„მინდობით აღზრდაში როდესაც გადაგვყავს არასრულწლოვანი, ჩვენ წინასწარ ვარეგისტრირებთ მინდობით აღმზრდელებს, რომელთაც გავლილი აქვთ სერტიფიცირების კურსი, თუმცა მინდა, აღვნიშნო, რომ ამ სერტიფიცირების კურსის გავლა, როცა ყველასთვის გაიცემა ეს სერტიფიკატი, არა მგონია, სწორი იყოს. ფსიქოლოგიური ტესტირებაც უნდა იყოს ჩადებული... რაღაცნაირი ცუდი მომენტია, წინასწარ სერტიფიცირებას გადის ეს ადამიანი და მერე ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, ვარეგისტრირებთ თუ არა. პირველი ეტაპიდანვე სჯობს, სხვანაირად განისაზღვროს". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

მინდობით აღმზრდელების თქმით, მათ გაიარეს ტრენინგი. ტრენინგის ფარგლებში ისინი იღებენ ინფორმაციას სტანდარტების შესახებაც, ასევე, სოციალურ მუშაკთან კონტაქტის აუცილებლობასა და ბავშვის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების საჭიროებაზე. კვლევის ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ მინდობით აღმზრდელების დიდი ნაწილი სტანდარტებს არ იცნობს, თუმცა ფლობს ინფორმაციას მინდობით აღზრდის ზოგად დებულებებსა და მიმართულებებზე.

> *„გავლილი გვაქვს ტრენინგები, 2021-შიც გავიარეთ უახლესი. გვაწვდიან ახალ ინფორმაციას სოცმუშაკები". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„ჩაგვიტარდა ტრენინგი, სადაც [აგვიხსნეს], როგორ უნდა გავუშვათ ბავშვები ოჯახებიდან, როგორ უნდა შევამზადოთ ჩვენი თავი და ბავშვი, რომ ბავშვმა არ იგრძნოს, რომ გავაგდეთ და კარი მოვუკეტეთ". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„სტანდარტებზე მახსენდება, რაც გავიარეთ და რასაც ყოველდღიურად ვიყენებთ მინდობითი აღმზრდელები. თანამშრომლობა სოცსამსახურთან, სატელეფონო კონტაქტი სოცმუშაკთან, გეგმიური ვიზიტები სააგენტოდან... მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს სოცმუშაკს, უწყვეტად ვთანამშრომლობთ და ერთად ვაკეთებთ ყველაფერს". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

მინდობით აღმზრდელების მოტივაცია

მინდობით აღმზრდელად გახდომის ძირითადი მოტივაცია სიკეთის კეთება და ბავშვების სიყვარულია. მათ უმეტესობას უკვე გაზრდილი ჰყავს საკუთარი ბიოლოგიური შვილები, ან მინდობით აღსაზრდელებთან ერთად მცირეწლოვან შვილებსაც ზრდის.

> *„ჩამოვედი, 22 წელი ვიყავი საზღვარგარეთ. აქ არ დავიკარგე. აიყვანე ასეთი ბავშვები, გაზარდე და სიკეთე დათესე. მე ვფიქრობ, რომ ეს საუკეთესო პროგრამაა, რაც ოდესმე განხორციელებულა“. – მინდობით აღმზრდელების ფოკუსჯგუფი*

> *„ორი შვილი მყავს. უფროსი მაგისტრატურაზე [სწავლობს], უმცროსი – მეორე კურსზე და თვითონ [მინდობით აღსაზრდელს] მიზანი აქვს, რომ მათსავით ჩააბაროს და გააგრძელოს სწავლა. ოჯახში კაცი ეგ არის და, ჩვეულებრივად, როგორც ოჯახის წევრი, და თითქოს ჩემი გაზრდილი იყოს ნულიდან, ასეთი ურთიერთობა გვაქვს“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„ნამდვილად საპასუხისმგებლო მისია გვაკისრია, შრომას და სიყვარულს ვდებთ. ბავშვი თუ არ გიყვარს, ამ საქმესაც ვერ შეეჭიდები. ბავშვები უნდა ვამყოფოთ მშვიდ, წყნარ გარემოში; ტრადიციები რაც გვაქვს ოჯახებს, გადავცეთ ამ ბავშვებს, შევასწავლოთ, გამოვიყვანოთ სრულფასოვანი წევრები საზოგადოების“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

სოციალური მუშაკების თქმით, ოჯახების ნაწილს, უმთავრესად, ფინანსური მოტივაცია აქვს, როცა მინდობით აღმზრდელად რეგისტრირდება. ასევე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ მინდობით აღმზრდელების ნაწილი უარს ამბობს ბავშვის მათთან განთავსებაზე მას შემდეგ, რაც ტრენინგს გაივლის, რადგან თავს არიდებს სხვადასხვა სირთულის მქონე ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებლობის აღებას.

> *„რაც არ უნდა კარგი იყოს მინდობითი მშობელი, მაინც ფინანსებთან მივდივართ, მათი დაინტერესება არის მაინც ფინანსები. ჩვენთან, მაგალითად, [არიან] მდიდარი ოჯახები, ვისაც მართლა შეუძლია, რომ ქველმოქმედება გაიღონ, ითანამშრომლონ ჩვენთან, მაგრამ არ სურთ ამის გაკეთება. არის ოჯახები, მართლა ფინანსური დაინტერესება აქვთ. რთულია და ბევრი პრობლემის წინაშე ვდგებით. არის რაღაცეები გამოსასწორებელი“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

> *„მინდობით აღზრდაში, სხვა გამოწვევებთან ერთად, გამოწვევაა ისიც, რომ მინდობით აღმზრდელობის მსურველების ძალიან მცირე რაოდენობაა. ყოფილა შემთხვევა, რომ გაგვიგზავნია ტრენინგზე, მერე აღარ ბრუნდებიან. ამბობენ, რომ ამას ვერ შეძლებენ და ამ პასუხისმგებლობას ვერ აიღებენ“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

მინდობით აღმზრდელების ემოციური გადაწვა

კვლევაში მონაწილე მინდობით აღმზრდელების დიდი ნაწილი, 10 წელია (ან მეტი), მინდობით აღმზრდელია. მათ გაგვიზიარეს გამოცდილება, რომელიც მოიცავს მათთვის,

ემოციური თვალსაზრისით, მძიმე სამართავ შემთხვევებს. ასეთ პირობებში დიდია მათი პროფესიული გადაწვის რისკი. მინდობით აღმზრდელები გრძნობენ სოციალური მუშაკის გვერდში დგომას, მაგრამ სხვა სახის მხარდაჭერას ისინი ვერ იღებენ (მაგალითად, კონსულტირების, გაძლიერების სახით, ფსიქოემოციურ, სარეაბილიტაციო მომსახურებას და ა.შ.). როგორც მინდობით აღმზრდელები, ისინი არ გრძნობენ თავს დაფასებულად, რადგან მხარდამჭერი სერვისები თუ ანაზღაურება არასაკმარისია. განსაკუთრებით რთულია იმ მინდობით აღმზრდელების მდგომარეობა, რომელთაც სპეციალური საჭიროების, განსაკუთრებით ტრავმული გამოცდილების და/ან ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვები, ჰყავთ აღსაზრდელად. ამ დროს აღმზრდელებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ ფსიქოემოციური, სოციალური, სამედიცინო, სარეაბილიტაციო და სხვა მომსახურებები პროფესიული გადაწვის პრევენციისა და ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის. მინდობით აღმზრდელების გადაწვა ასევე ხშირია გარდატეხის ასაკში მყოფ ბავშვებზე ზრუნვის პროცესში.

> *„ასე ვარ, მთელი 12 წელია. იმდენი მაქვს ასეთი გადატანილი, რომ მოვყვე, დრო არ გვეყოფა. ასეთ კრიზისულ პერიოდებში სოცმუშაკი ძალიან გვერდში მიდგას, იმ წუთასვე ვატყობინებ“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„ნურავინ ნუ მეტყვის, რომ მარტო სიყვარულია. რა თქმა უნდა, ესეც არის, მაგრამ ჩვენი პროფესია არ არის ისე დაფასებული, რა ძალისხმევასაც ჩვენ ვდებთ ამაში“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„მე თავიდან ისე გამიჭირდა ემოციურად, სამი თვე ნევროპათოლოგთან ვმკურნალობდი. მუშაობა სხვა რამეა და თანაცხოვრება, თან შშმ პირებთან, სხვა რამეა. ჩვენ ვართ მუდმივად მუშაობის რეჟიმში. რომ დაუკვირდები, ეს თანხაც არაფერი არ არის, რასაც ვიღებთ. მე ძალიან მიყვარს ეს ბავშვი, მაგრამ შინაგანად, იცით, როგორი სტრესი მაქვს, მოლოდინი მაქვს, ვაითუ, სადმე გავიჭედე. დედაჩემი მეუბნება ხოლმე, სახეზე გეტყობა, როგორი გადაღლილი ხარო. ფიზიკურად კი არა, ემოციურად ვარ გადაღლილი. დამამშვიდებლებს ვხმარობ, რომ ნორმალურად გავუძღვე და სიმშვიდე შევინარჩუნო. ჩვენ თუ მხარდაჭერა გვექნება, თუნდაც დაზღვევით ან ექიმის ვიზიტით, ეს უდიდესი მხარდაჭერა იქნება. მე რომ მეამყება, მინდობით აღმზრდელი რომ ვარ, მინდა, რომ სახელმწიფოს მხრიდანაც ვიგრძნო თანადგომა. თან მინიმალურ თანხაზე ვმუშაობ და, მოდი, სხვა მხრივ მომეცი შეღავათი“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„მე თავიდან დავიწყე ორ ბავშვზე ზრუნვით. რვა თვის მერე გაჩნდა მესამე. 6 თვე წამოზარდა ბიოლოგიურმა დედამ და მერე გადმომიყვანეს. მაშინ ვიგრძენი, ერთ ბავშვს რამხელა ადამიანური რესურსი მიაქვს. ბავშვის რაოდენობა რომ იზრდება ერთით, რესურსი იზრდება ათით. მივსულვარ პროფესიული გადაწვის მდგომარეობამდე, რომ მითქვამს ჩემი თავისთვის, ალბათ, აქ უნდა გავჩერდე, მე მეტს ველარ შევძლებ, ეს არის ბოლო, რაც შევძელი. ეს პერიოდები გადამილახავს. რა თქმა*

უნდა, სამედიცინო კუთხითაც ვუყურებ, ეს მდგომარეობა როგორ უნდა ვმართო და ისევ სოცმუშაკი დამხმარებია. ყველა სოცმუშაკი კარგი ფსიქოლოგია და იციან, როგორ მიუდგნენ აღნიშნულ საკითხებს. ახალი ძალებით გამიგრძელებია ბრძოლა, თითქოს ახალი სიცოცხლე მომივიდა. 9 წლის განმავლობაში 5-ჯერ მაინც მქონია [ასეთი მომენტი]. ეს ურთულესია, ეს არის ადამიანური რესურსი კი არა, არაადამიანური რესურსი. მიკვირს ხოლმე ჩემი თავის, ამდენი რომ შევძელი. ზოგჯერ გამჩენია შეკითხვა, სახელმწიფო უწყებებს, ვინც ამ პროგრამაზე მუშაობს, აქვთ თუ არა დანახული ჩვენი შრომა". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„სათუთები არიან, სხვანაირი მიდგომა სჭირდებათ. ისე უნდა გავუკეთოთ ყველაფერი, რომ გული არ დასწყდეთ და არ გაბოროტდნენ. ამაზე სულ ვფიქრობ, ღამეები მითენებია, რომ შეცდომა არ დავუშვა. სახელმწიფო მარტო ამ საქმეში კი არა, ბევრ რამეში არ [აფასებს] ადამიანის შრომას. კარგი იქნება, დამოკიდებულება თუ შეიცვალა და უფრო ძლიერები ვიქნებით ჩვენც, სახელმწიფოც და ქვეყანაც. ყველა ქალბატონი [ვცდილობთ], რომ მაქსიმუმი გავუკეთოთ ამ ბავშვებს, მიუხედავად იმისა, რომ არ გვაქვს დიდად სახელმწიფოსგან გვერდში დგომა". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„გამოწვევებს რაც შეეხება, ქცევის თავისებურებები, როგორც იქ აღვნიშნე, პუბერტატის ასაკი... აქედან იწყება ხოლმე ძირითადი სირთულეები მიმღებ ოჯახშიც. იწყებენ გარეთ დამოუკიდებლად გასვლას, იჩენენ მეგობრებს და ამ ნაწილშიც არის გამოწვევები. მიმღები მშობელიც ძალიან ნერვიულობს ასეთ შემთხვევაში. ბევრი ოჯახი ითავისებს კარგად ამ როლს და მხარდამჭერია სოცმუშაკის, თუმცა გვყავს ისეთი ოჯახები..., რომლებშიც გართულებული ქცევის ფონზე შეიძლება გადაიწვას მიმღები ოჯახიც. ესეც არის გამოწვევა". – სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენელი

მინდობით აღმზრდელების თქმით, სახელმწიფოს მხრიდან თუნდაც მცირედი ყურადღება მათი ფსიქოემოციური მდგომარეობისა და გადაწვის პრევენციის მიმართ (მაგალითად, დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა, მცირე საჩუქარი თუ სპორტული ღონისძიებები მინდობით აღმზრდელებისთვის) ძალიან მნიშვნელოვან, დადებით როლს შეასრულებს მათი საქმიანობის სტანდარტების დაცვით წარმართვაში:

„მინდობითი აღმზრდელებისთვის წახალისება არის საჭირო, რომ პროფესიული გადაწვა არ ჰქონდეთ. რამე აქტივობა რომ დაუფინანსდეთ, თუნდაც სპორტ-დარბაზში..". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„თუნდაც, სარვამარტოდ წაგვახალისონ რამით". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„წელიწადში ერთხელ მაინც... თუმცა ჩვენ ამ მოტივაციის გარეშეც ვაკეთებთ ყველაფერს. დამატებითი მოტივაცია იქნება, რომ ვიღაცა გვიფასებს ამას“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ასეთი წახალისება ნუ იქნება სისტემატიური. დედობილისთვისაც კარგი იქნება, თვითშეფასებას ამიმაღლებდა და მეტად დაფასებულად ვიგრძნობდით თავს“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღზრდის ანაზღაურება

ექსპერტებისა და მინდობით აღმზრდელების თქმით, მინდობით აღზრდის ანაზღაურება არ არის საკმარისი ბავშვების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით მაშინ, როცა ბავშვს კომპლექსური ან სპეციალური საჭიროება აქვს. მინდობით აღმზრდელებს ძალიან უჭირთ, მაგალითად, გაუთვალისწინებელი საჭიროებების დაკმაყოფილების, გადაუდებელი სამედიცინო ჩვენებების წარმოშობის შემთხვევაში. მათი აზრით, ანაზღაურების ოდენობა მოქმედებს იმაზედაც, რომ დღეისათვის მინდობით აღზრდით დაინტერესებული პირების რაოდენობა შემცირებულია. სპეციალისტები საუბრობენ მინდობით აღმზრდელების ხელფასისა და ბავშვისთვის განკუთვნილი თანხის გამიჯვნის აუცილებლობაზე, ასევე, ისეთი შრომითი უფლებების დაცვის საჭიროებაზე, როგორიცაა პროფესიული სტაჟის დაგროვება, შვებულების უფლებით სარგებლობა და ა.შ. სამინისტროსა და ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლების მხრიდან პოზიტიურად ფასდება ის მოვლენა, რომ მინდობით აღმზრდელების ნაწილი საკუთარ ან ოჯახის თანხებსაც იყენებს მინდობით აღსაზრდელის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, როცა სახელმწიფოს მიერ ბავშვისთვის გაცემული თანხის ოდენობა არ არის საკმარისი; თუმცა მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ სახელმწიფო კონკრეტული მინდობით აღმზრდელი ოჯახის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, როცა საქმე ეხება ბავშვზე ადეკვატური ზრუნვის მიწოდებას. სახელმწიფომ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გამონახოს სათანადო ფინანსური რესურსი ბავშვზე ადეკვატური ზრუნვისთვის.

„რამდენად საკმარისია ის ფინანსური რესურსი, რაც არის გამოყოფილი, რაც არ ითვლება ხელფასად, და, ამავდროულად, უნდა მოხმარდეს ბავშვს... ეს არის გასამიჯნი, არის ეს საკმარისი რესურსი ბავშვისთვის საჭიროებების უზრუნველსაყოფად? პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს არის ერთგვარი პროფესია... მათ შორის, პროფესიული სტაჟი [სტაჟის დაგროვება], შვებულების უფლებით სარგებლობა, აქ უფრო შრომით უფლებებზე გავდივართ, მაგრამ, ამავდროულად, ეს კავშირშია ბავშვის უფლებების უზრუნველყოფასთან. მიმდინარეობს, ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნულზე მუშაობა შემდგომი გაუმჯობესებისთვის, საკანონმდებლო [დონეზე]“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

„ჩვენ გვყავს მიმღები მშობლები. არა ყველა, რა თქმა უნდა, მაგრამ გვყავს [ისეთები], რომლებსაც მოწოდებით უნდათ, რომ აკეთონ კარგი საქმე. ზოგადად, ეს თანხა, რაც მათ ეძლევათ, ეძლევათ ბავშვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, აქ, ასევე, შედის

მათი ხელფასი. შესაბამისად, როგორც საკუთარ შვილს რომ სჭირდება, შემიძლია, თუ არ შემიძლია, უნდა გავაკეთო, შესაბამისი ვალდებულება აქვს მიმღებ მშობელსაც. ხშირ შემთხვევაში, შეიძლება, მოიკლოს თვითონ და ბავშვს გაუკეთოს, მაგრამ გაუკეთებს". – ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამსახურის წარმომადგენელი

„ბევრი არ გვყავს. თავიდან უფრო ბევრი რეგისტრირდებოდა. შეიძლება ეს მარტო თანხის ნაწილში არ იყოს, უფრო პასუხისმგებლობის კუთხით. ამის სტატისტიკა და მიზეზი ჩემთვის ცნობილი არ არის, მაგრამ, გამოცდილებიდან გამომდინარე, უფრო ვიტყოდი, რომ პასუხისმგებლობის და სირთულეების გამოა. პანდემიის მერე ცუდ დროში გვიწევს ცხოვრება, ეს ეკონომიკური კრიზისიც ცალსახად მოქმედებს. ყველა ენთუზიაზმზე ვერ იმუშავებს. თუმცა ასეთებიც გვყავს". – ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი

„ამას ხელფასიც არ ჰქვია. ეს არის შემოწირულობა და უშუალოდ ეს თანხა გათვლილია ბავშვის კეთილდღეობისთვის. დიდად თანხაზე არ მიყვარს საუბარი, მით უმეტეს, როდესაც ამ საკითხს ეხება, მაგრამ ფასები ისეა გაზრდილი, განსაზღვროს ჯანდაცვის სამინისტრომ, რა არის საჭირო, რა არ არის". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე, მინდობით აღმზრდელს, არ უნდა დამჭირდეს თურქეთში გადასვლა და იქიდან ტომატის, მაკარონის გადმოტანა, მაგრამ არ არის საკმარისი [მინდობით აღზრდის ანაზღაურება]". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ზოგჯერ [ბავშვი უცებ] ცუდად გახდება ან რაღაც სხვა [მოულოდნელი რამ მოხდება] და დაუგეგმავად დიდი თანხა გადის. სათვალე ვუყიდე, ვცდილობთ, რომ ხარისხში გადავიხადოთ ფული. ტანსაცმელს ყოველთვე არ ვყიდულობთ. მე რაიონში ვცხოვრობ და საკვები მაქვს ჩემი ყველაფერი, მაგრამ ჯანმრთელობის ხაზით ვიძახი". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„როდესაც რაღაცა ასტკივდება ბავშვს, ვცდილობ, პირველ რიგში, კარგი ექიმი გავიგო. ახლა, ოპერაციის გარდა, ფაქტობრივად აღარაფერი ფინანსდება. ეს რომ ფინანსდებოდეს, გავართმევდით კიდევ თავს". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„9 წლის ბიჭი მყავს. შეხვდა კოვიდი, ერთი თვის მოყვანილი მყავს. მაღალი სიცხეებით იყო, 10 დღე ვიწექით. 280 ლარი გადავიხადეთ. იქიდან რომ გამოვიყვანეთ, კიდევ წამალი, კიდევ კონსულტაცია. იცით, რა ვერ გამიგია? შშმ-ს თუ აქვს ასეთი მაღალი ანაზღაურება, სხვა ბავშვებზე რატომ არ არის? ამათაც ხომ აქვთ მოთხოვნილებები? ახლა ბანკეტი აქვს და 2000 ლარამდე ჯდება. ცუდად არის გათვლილი ამათი დაფინანსება". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„სახელმწიფო თუ მეტად დაგვიდგება გვერდში, მეტი მინდობით აღმზრდელი დარეგისტრირდება და მეტი ბავშვი იქნება ოჯახში". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩვენი დარიცხული ხელფასის 70% ეკუთვნით ბავშვებს და 30% – ჩვენ. თითოეული ნაბიჯი იცის სოცსამსახურმა და გვარიგებს კიდევაც, სად უნდა წავიყვანოთ. კიდევაც იტყვიან ხოლმე, სად მოძებნის ხოლმე სოცსამსახური ასეთ კარგ მიმღებ მშობლებსო“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

გამოიკვეთა ერთი შემთხვევა, როცა მინდობით აღსაზრდელებზე ფიზიკურად და ემოციურად ძალადობდნენ, თანაც, მათთვის ბიოლოგიური მშობლის მიერ გამოგზავნილ თანხასაც მინდობით აღმზრდელი ოჯახი საკუთარ საჭიროებებზე ხარჯავდა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია არა მარტო მინდობით აღზრდის ანაზღაურების გაზრდის ადვოკატირება, არამედ სოციალური მუშაკის მხრიდან მინდობით აღზრდის ანაზღაურებისა და ბავშვის პირადი ფინანსების მიზნობრივად (ბავშვისთვის) ხარჯვის გაკონტროლება.

„მინდა, თანხაზე გავამახვილო ყურადღება, ანუ მინდობით აღზრდაში თანხის გამოგზავნა იყო შესაძლებელი და ჩემს მშობლებს ჰქონდათ იმის საშუალება, რომ თანხა გამოეგზავნათ და ყოველთვიურად ხან ბებია, ხან დედა მიგზავნიდა თანხას. და ეს არ იყო დაბალი თანხები (50 ან 20 ლარი), ეს იყო 200 დოლარი ან 100 ევრო. აქედან, რადგან პატარა ვიყავი, თანხაში მატყუებდნენ და თან, ძალადობის მსხვერპლი რომ ვიყავი, მშობლებს ვერაფერს ვერ ვეუბნებოდი. ანუ ჩემი თანხის 70% მიდიდოდა მათთან. ხშირად მეუბნებოდნენ, რომ ცოტა ტანსაცმელებზე ან საკვებზე თანხა მოამატეო. ანუ მათი საქონლისთვის [შინაური ცხოველისთვის] ჩემი თანხებიდან ყიდულობდნენ საჭმელს, ან თავისი ლუკმისთვის, ან საკუთარი მანქანისთვის ბენზინი რომ შეეძინა. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ჩემს თანხას თავისთვის ხარჯავდნენ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი (მინდობით აღზრდის მომსახურებიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადასული ბავშვი).

მინდობით აღმზრდელების თქმით, რაც უფრო მეტი ბავშვია განთავსებული მათ ოჯახში, მით უფრო რთულია გამოყოფილი ფინანსური რესურსით ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილება,:

„ერთზე მეტი არასოდეს მყოლია და ახლა 4 დედმამიშვილი მყავს. ეს ბავშვები ჩვენთან იზრდებიან სრულყოფილ ადამიანებად. ეს ბავშვები საზოგადოებაში ჩვეულებრივად უნდა დაბრუნდნენ. როგორც საკუთარ შვილზე, ისე ვზრუნავ. არ მინდა, რომ იგრძნონ, რომ რაღაცით ჩამორჩენილები არიან. ცხოვრობენ ბავშვებში, რომლებიც ცენტრებში იხდიან დაბადების დღეებს. ჩვენც გვინდა, რომ იგივე გავუკეთოთ. ამ ბავშვებს იმდენი შინაგანი ტკივილი აქვთ, გვინდა, რომ შევუმსუბუქოთ და გავუკეთოთ ყველაფერი, რომ მოწესრიგებულები იყვნენ და ჰქონდეთ ყველაფერი, როგორც სხვებს“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღმზრდელების თქმით, მათი ანაზღაურების გაზრდა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ბავშვის აუცილებელი საჭიროებები დაკმაყოფილებული იყოს, განსაკუთრებით, ჩვილობისა და გარდატეხის ასაკში.

„ჩემები დიდები არიან. დიდებს მეტი სათუთი მოპყრობა სჭირდებათ, მოთხოვნილებები და საჭიროებებიც აქვთ მეტი. ზოგჯერ მეტი იხარჯება, ვიდრე გათვლილია. 14 წლის გოგო იპრანჭება, უნდა სხვისნაირი ტანსაცმელი, თინეიჯერები არიან". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„თუნდაც ჩვილი ბავშვის კვება რა ღირს? მე რომ შემომთავაზონ ჩვილი, ზოგს ჰიპოალერგიული საკვები სჭირდება და 40 ლარიდან ზევით ღირს... მოდი, ერთი თვე იცხოვრონ, არ ყოფნით. მე უარს ვიტყოდი ასეთ მცირე ასაკის ბავშვებზე ამ პრობლემების გამო". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მინდობით აღზრდის ანაზღაურება გაზრდილია, ის მაინც არ არის საკმარისი ბავშვის საჭიროებების სრულად დასაკმაყოფილებლად:

„[მინდობით აღზრდის ანაზღაურების თვალსაზრისით,] ცვლილებები განიცადა რესურსმა, მაგრამ რამდენად საკმარისია? ჩვენი შეფასებით, მაინც არ არის საკმარისი". – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი.

მინდობით აღმზრდელების თანამშრომლობა სოციალურ მუშაკებთან: მინდობით აღმზრდელთა მოსაზრებები

მინდობით აღმზრდელები ამბობენ, რომ კრიზისულ სიტუაციაში სოციალურ მუშაკთან შეთანხმებით წყდება, რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის. ისინი მიჰყვებიან სოციალური მუშაკის მიერ დასახულ გეგმას და ამბობენ, რომ ეს ეხმარებათ ბავშვისთვის საუკეთესო ზრუნვის უზრუნველყოფაში.

„მე როდესაც მქონდა ეს პრობლემა, სოცმუშაკს დავუკავშირდი. ჰყავთ სპეციალისტები და ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. დადიოდა ბავშვი, მიმყავდა, უსმენდა, ყველაფერი დალაგდა, გასწორდა და ძალიან კმაყოფილი ვარ". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე ჩემი ხედვა მაქვს, მაგრამ მე ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას. პასუხისმგებელი პირი არის სოცმუშაკი. ძალიან ხშირ შემთხვევაში, ემთხვევა ჩვენი შეხედულებები. ყოფილა შემთხვევები, რომ რაღაცები შემაცვლევინა. შევცვალე და ასე აჯობა". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ეს ბავშვები არიან სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ და მე ვარ დაქირავებული, ვინც ოჯახურ გარემოს აძლევს. შესაბამისად, სახელმწიფო საქმის კურსში უნდა იყოს". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღზრდის მომსახურების მონიტორინგი

მინდობით აღმზრდელების თქმით, მინდობით აღმზრდელი ოჯახები მკაცრ მონიტორინგს გადიან და, მათი აზრით, უმთავრესი რამ, რაც მათი მუშაობის ეფექტიანობასა თუ მნიშვნელობას აჩვენებს, არის ბავშვების მდგომარეობა.

„ბავშვი სარკეაო, რომ ამბობენ, ეს ასეა. მონიტორინგი რომ შემოდის, შეხედავს ბავშვს. მე ასეთი პასუხი მაქვს, რომ ბავშვი სცემს ამაზე ყველაფერზე პასუხს“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„დიდი მონიტორინგია. რომც იყო უსინდისო და დააკლო ბავშვს რამე, არავინ გაპატიებს“. – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

სოციალური მუშაკები ფიქრობენ, რომ ისინი მინდობით აღმზრდელ ოჯახს ვერ აძლიერებენ და მხოლოდ მონიტორინგის განხორციელება შეუძლიათ ბავშვის მდგომარეობაზე ოჯახში, ასევე, ბავშვისა და ოჯახის გადამისამართება მიზნობრივ მომსახურებებში.

„აბსოლუტურად ვერაფრით ვერ ვაძლიერებთ. ეს არის მხოლოდ მონიტორინგი და, თუ რაიმე ისეთი შემთხვევა დაგვხვდება, [მაგალითად,] ბავშვი მოუწესრიგებელი, რა თქმა უნდა, ვაძლევთ რეკომენდაციებს და რჩევებს. თუ რაიმე მომსახურებაშია გადასამისამართებელი – განაცხადის შეტანა, სკოლაში ჩარიცხვა/ამორიცხვა, გადაყვანა/გამოყვანა – ამაში სრულად ჩვენ ვერთვებით“. –- სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

მონიტორინგის სიხშირესა და ხარისხზე, ასევე, სოციალური მუშაკების მიერ მინდობით აღმზრდელების მხარდაჭერაზე უარყოფითად მოქმედებს სოციალური მუშაკების მცირე რაოდენობა, სოციალური მუშაკების დიდი გადინება სისტემიდან და მათი დატვირთვის მაღალი ხარისხი. სოციალური მუშაკები გამოყოფენ იმ სირთულესაც, რომ რეგიონების/რაიონების მიხედვით არ არიან დაყოფილი. ამიტომ მათ გაცილებით მეტი დრო ეხარჯებათ ტრანსპორტით მგზავრობაზე მინდობით აღმზრდელ ოჯახებში მონიტორინგის განსახორციელებლად.

„როდესაც ვსაუბრობთ სოცმუშაკების დატვირთულობაზე, მათი სამუშაო არ არის სეგრეგირებული, საპროცესო წარმოებაც უწევთ, მიმდინარე ქეისებიც, მონიტორინგი. ანუ მრავალი მიმართულებით უწევთ მუშაობა და არა მხოლოდ ბავშვებზე. ერთ-ერთი რეკომენდაცია და შესაძლო გადაწყვეტა საკითხის [ისაა,] რომ მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვების მონიტორინგი განხორციელდეს არა ფორმალურად, არამედ სრულყოფილად და უფრო აქტიური იყოს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო. არის, ჩვენი აზრით, სეგრეგირება ფუნქციების“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

„ეს შემთხვევები მაინც რომ დაგვინაწილონ... ანუ რეგიონებად აღარ ვართ დაყოფილი, გასაგებია, მაგრამ, აი, ერთ ერთეულში მაინც რომ გვქონდეს ეს ქეისები... აი, გუშინ, მაგალითად, მე ტრანსპორტირებაში უფრო მეტი დრო დავხარჯე, ვიდრე უშუალოდ მუშაობისას. ეს კვირა, ორთაჭალაშიც ვიყავი, ვარკეთილშიც, გლდანშიც და საბურთალოზეც. ძალიან ბევრი რესურსი იხარჯება მაგაში“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„...ანუ კადრები არ გვყავს. ფაქტიურად, ისანი-სამგორში რაც ვმუშაობდით, ის რაოდენობა ვართ დარჩენილი. ახლა 24 კაცი რომ ვართ დარჩენილი და 10 სოციალური

მუშაკის შემთხვევები რომ არის გადასანაწილებელი, მინიმუმ, 200 საქმეა, აი, როგორ წარმოგიდგენიათ, მიხვიდე თითოეულ ოჯახში და ძირფესვიანად იმუშაო? ხომ უნდა მიაღწიო რაღაცას?" – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„თითო ოჯახში გჭირდება თითო დღე, რომ მიხვალ, იმიტომ რომ დააკვირდე, რას აკეთებს, ვინ შემოდის, ვისთან აქვს ურთიერთობა. მე კიდევ სულ ვნერვიულობ, ეს სექსუალური ძალადობები რომ დაიწყო, იქ ბაბუა რა თვალით იყურება. ხოდა, მყავს 20 ოჯახი, შესაბამისად, წავიდა 20 დღე. დანარჩენ დღეებში, ყოველ დღე მაქვს შემაკავებელი, სკოლიდან უამრავი მომართვა, რაც სკოლაში ვიზიტს გულისხმობს. ამ სირთულეს ვერ გაუძლებს ვერავინ და რამდენი ხანი? ისევე, როგორც, არ შეიძლება, რაიონულად რომ ვიაროთ? ყველა ამბობს, რომ ეს იყო შეცდომა". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ანუ ყველა ამბობს, რომ ძალიან კარგია ეს შენობა, ის, რომ ყველა ერთად ვსხედვართ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აქ ვსხედვართ, ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე, ისნის ხალხს ისევ იქ ურჩევნია, რადგან სახლიდან ვიზიტზე რომ გავლენ, წავა ერთი მიმართულებით, მაგალითად, მოვივლი გლდანს და მერე წავალ სახლში. მეორე დღეს მოვა და გააკეთებს იმ საქმეს, რაც აქვს გასაკეთებელი. ანუ ერთი გასვლით 3-4 ვიზიტს განახოციელებს, მაგალითად, გლდანი-ნაძალადევის ტერიტორიაზე. მეორე დღეს მოვა, წყნარად დაჯდება და დაწერს. ყველა უკმაყოფილოა ამის". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„იმ ტერიტორიული ერთეულიდან, საიდანაც ინფორმაციას ვიღებ, საერთოდ არ არის სოცმუშაკი და სხვა ტერიტორიული ერთეულებიდან უწევთ სოცმუშაკებს ვიზიტი. არის გადაუდებელი შემთხვევები და იურისტები ასრულებელ სოცმუშაკების როლს. რა თქმა უნდა, ხელი ვერ შეეწყობა, როგორც საჭიროა, ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობას. იმ ტერიტორიულ ერთეულებზე, უბრალოდ, სოცმუშაკებმა დატოვეს სამსახურები და წავიდნენ". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღმზრდელების თქმით, სოციალური მუშაკების შრომა არაა დაფასებული ქვეყანაში.

„არც სოცმუშაკების შრომა არ არის დაფასებული და შრომისუნარიანობაზე ცუდად აისახება. ყველა ადამიანს სიამოვნებს თუნდაც სიტყვიერი [წახალისება]". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„სოცმუშაკის შრომა საერთოდ დაუფასებელია". – მინდობით აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მინდობით აღზრდის მომსახურებით კმაყოფილების ხარისხი: მინდობით აღსაზრდელთა მოსაზრებები

კვლევაში მონაწილე მინდობით აღსაზრდელები გამოხატავენ კმაყოფილებას მომსახურებით და ამბობენ, რომ უკეთ გრძნობენ თავს, ვიდრე მინდობით აღმზრდელ ოჯახში მოხვედრამდე.

„ძალიან კარგია მინდობითი აღზრდა, მე კმაყოფილი ვარ. წლებია, მინდობით აღზრდაში ვარ და მომსახურებაც ძალიან კარგია. კარგი იქნება, ბავშვები, ვინც უსახლკაროდ არიან დარჩენილები, მინდობით აღზრდაში გაუშვან. მე კმაყოფილი ვარ სოცმუშაკებითაც და ოჯახითაც, სადაც ვარ". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ადრე როგორც ვიყავი, იმაზე ბევრად უფრო კარგად ვარ". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ბევრი ბავშვი შემხვედრია, ვინც მინდობით აღზრდაშია და ძალიან კმაყოფილები არიან, მინდობით აღმზრდელები შვილებისგან არ არჩევენ". – მინდობით აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

<u>მცირე საოჯახო ტიპის სახლი</u>

მცირე საოჯახო ტიპის სახლის მიზანი და დანიშნულება

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის" მიხედვით, მცირე საოჯახო ტიპის სახლი „ბავშვის უფლებათა კოდექსით" განსაზღვრული ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიებაა, რომლის მიზანია მზრუნველობამოკლებული ბავშვების ოჯახთან მიახლოებულ გარემოში განთავსების გზით ოჯახთან მიახლოებულ პირობებში აღზრდის უზრუნველყოფა, მხარდაჭერა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებისა და საშუალო განათლების მიღებაში ხელშეწყობის მიზნით".

მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურების სამიზნე ჯგუფებია: (ა) „ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებაში მცხოვრები ან ჩასარიცხავი 6-დან 18 წლამდე ასაკის მზრუნველობამოკლებული ბავშვები, მათ შორის, შშმ ბავშვები, რომელთა ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდაში განთავსება ვეღარ ხერხდება; და (ბ) ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები 18 წლის ასაკს გადაცილებული ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები".

„მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა" ორ კომპონენტს ითვალისწინებს:

- მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
- სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში რთული ქცევის მართვის მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი, რომელიც დაფუძნებულია ახალგაზრდების ძლიერი მხარეებისა და უნარების აღმოჩენასა და გაძლიერებაზე.

იქიდან გამომდინარე, რომ ზემოხსენებული ორი კომპონენტიდან მეორე შედარებით ახალშესულია პროგრამაში და ჯერ არ ამოქმედებულა (ვინაიდან შესაბამისი კომპეტენციის, რესურსისა და მომსახურების გაწევის სურვილის მქონე მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ მოიძებნა), წინამდებარე კვლევაში მოვიცავთ მხოლოდ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტს.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მიხედვით“, მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურების ძირითადი ღონისძიებები მოიცავს შემდეგს: 24-საათიანი მომსახურება, ოთხჯერადი კვება, სამოსისა და პირადი ჰიგიენის საშუალებების უზრუნველყოფა, ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შემუშავება და შესრულება, ყოფითი უნარების სწავლება, პროფესიული და სახელობო უნარების განვითარება, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება, კულტურულ და სპორტულ აქტივობებში ჩართვა, ფსიქოლოგიური და ჯანდაცვის მომსახურებების ორგანიზება, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის ხელშეწყობა, ბავშვების ჩართვა მოხალისეობრივ საქმიანობაში, შშმ ბავშვების შემთხვევაში – დამატებითი მომვლელის დაქირავება და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.

ექსპერტების აზრით, მცირე საოჯახო ტიპის სახლის მთავარი დანიშნულებაა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს მიაწოდოს ოჯახს მიმსგავსებული ზრუნვა. მათი თქმით, მომსახურების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე სახელმწიფო და დონორები გამოხატავდნენ დაინტერესებას ამ მომსახურების განვითარებით, რაც ხელს უწყობდა მომსახურების ხარისხიანად მიწოდებას. თუმცა დღევანდელი სიტუაციით, მომსახურების თავდაპირველი მიზანი შეცვლილია და იგი ხშირად ითავსებს სპეციალიზებული, სარეაბილიტაციო და სხვა მომსახურებების ფუნქციებს. შესაბამისად, არსებული სტანდარტები და მომსახურების მარეგულირებელი დოკუმენტები ხშირად არ შეესაბამება რეალობას. სტანდარტების გადახედვის საჭიროებას გამოყოფს ასევე სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს არ აქვს დოკუმენტირებულად ჩამოყალიბებული ხედვა მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურების სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით.

> *„2012 წელს, როდესაც დაიწყო ეს ყველაფერი, მთელი კონტექსტი იყო ის, რომ უნდა ყოფილიყო ოჯახთან მიახლოებული გარემო, ინსტიტუციისგან განსხვავებული გარემო ბავშვებისთვის. თავიდან იყო კიდევაც, იდეალურად მიდიოდა ყველაფერი, იმიტომ რომ პროცესს ძალიან ბევრი დაინტრესებული მხარე ჰყავდა, დონორის კუთხით, და ყველას ინტერესი იყო, ხარისხიანი სერვისი შექმნილიყო. დროთა განმავლობაში, ამ ყველაფერმა დაკარგა სახე, არ ვიცი, ამჟამად რა მქვია – მცირე საოჯახო მქვია, კრიზისული მქვია, სპეციალიზებული დაწესებულება მქვია, ბავშვთა სახლი მქვია, თუ რა მქვია. ანუ თავად ტერმინშიც გარღვევაა, არათუ შინაარსობრივშიც, იმიტომ რომ მოვყვებით იმ ძველ გამოცდილებას, როდესაც რაღაც სტანდარტები იყო, თუმცა დღეს სახე გვაქვს დაკარგული“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლის მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„ყველა სტანდარტი გადასახედია, აღარ ერგება დღევანდელ რეალობას“. – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი*

კითხვა: *„სამინისტროს თუ აქვს ისეთი დოკუმენტი, რომელშიც იქნებოდა კონკრეტული ხედვა ამ სამი მომსახურების განვითარების თაობაზე?“*

პასუხი: *„არ გვაქვს“. – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი*

სპეციალისტები საუბრობენ იმაზედაც, რომ სხვა მომსახურებების არარსებობის, არასათანადო რაოდენობისა თუ ხელმიუწვდომლობის (მაგალითად, სარეაბილიტაციო მომსახურებები, მინდობით აღზრდა), ასევე, სხვა მომსახურებებში კომპლექსური მხარდაჭერის არარსებობის გამო მათთან თავს იყრიან ბავშვები, რომლებიც გაცილებით უკეთეს და ინდივიდუალურ ზრუნვას მიიღებდნენ მცირე საოჯახო ტიპის სახლისგან განსხვავებულ მომსახურებაში. სირთულეს წარმოადგენს ისიც, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბავშვები იმაზე მეტხანს ყოვნდებიან, ვიდრე ეს აუცილებელია, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია მათი ბიოლოგიურ გარემოში რეინტეგრაცია ან ზრუნვის უპირატეს ფორმაში (მაგალითად, მინდობით აღზრდა) გადაყვანა. მომსახურების მიმწოდებლების აზრით, უმთავრესი სირთულე ისაა, რომ, სხვა სარეაბილიტაციო მომსახურებების არარსებობის ფონზე, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში შემოდიან ბავშვები, რომელთაც სწორედ სარეაბილიტაციო მომსახურება ესაჭიროებათ, მაშინ, როცა მცირე საოჯახო ტიპის სახლი არ წარმოადგენს სარეაბილიტაციო დაწესებულებას. ასევე, ბოლო პერიოდში, ისინი ამჩნევენ ტენდენციას, რომ ბავშვები მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადმოდიან მინდობით აღზრდის მომსახურებიდან, განსაკუთრებით გარდატეხის ასაკის მიღწევისას, როცა ქცევითი და ემოციური სირთულეები და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები მწვავდება. აღნიშნული საგანგაშო ტენდენციას წარმოადგენს, რადგან მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლთან შედარებით, ზრუნვის უპირატესი ფორმაა, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს ინდივიდუალურ მიდგომასა და ოჯახური გარემოს. ასევე, ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი გადმოდის სხვა მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან; შესაბამისად, ხშირია მომსახურების ფორმისა თუ მიმწოდებლის ცვლილება, რაც უარყოფითად აისახება ბავშვების ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, მათთვის სტაბილურობის გრძნობის გაღვივებაზე ზრუნვის პროცესში.

„რატომ ხვდებიან ასეთი სირთულეების მქონე ბავშვები, გასაგებია, რადგან მცირე [საოჯახო ტიპის სახლი] არის უკიდურესი ზომა, სადაც შეიძლება მათი გადაყვანა. ერთადერთი აცდენა, რაც გვაქვს სახელმწიფოსთან, არის ის, რომ ეს სერვისი არასდროს არ იყო გათვლილი რეაბილიტაციისთვის, ანუ ეს არ არის სერვისი, სადაც ბავშვები გაივლიან რეაბილიტაციას. და ამ დროს სახელმწიფოს ეს მოლოდინი აქვს გარკვეულწილად. ამ დროს ვერანაირად, ვერც ფუნქციურად, ვერც სამართლებრივად, ეს ვერ იქნება სარეაბილიტაციო მომსახურება. ამიტომ მგონია, ეს არის სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. ამ დროს ჩვენ, ჩვენის მხრივ, გვაქვს მოლოდინი, რომ მცირეში უნდა შემოვიდეს ბავშვი, რომელსაც უკვე გავლილი აქვს ეს რეაბილიტაცია და სირთულეებს სხვა თანამაცხოვრებლებს აღარ შეუქმნის. აი, მგონია, ამ ნაწილში ვერ

თანხმდება ჩვენი და სახელმწიფოს ხედვა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მცირე არის ოჯახთან მიახლოებული გარემო, და ბავშვმა უსაფრთხოდ უნდა იგრძნოს თავი, მაგრამ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით, მცირე საოჯახო სახლი არ უნდა იყოს ბავშვისთვის გრძელვადიანი მომსახურება... ეს უნდა იყოს ტრანზიტული მომსახურება, ესეთი მიზანი უნდა ჰქონდეს, რადგან არის ბავშვების მეტი რაოდენობა (ზოგან – 6, ზოგან – 8-10). შესაბამისად, ვერაფრით ვერ ვიტყვით, რომ ეს არის ოჯახთან მიახლოებული გარემო, სადაც 8 სხვადასხვა სირთულის, სხვადასხვა ტრავმის და ა.შ. ბავშვი შედის. სწორედ ამიტომაც აქვს მცირე საოჯახოს დაკარგული ფუნქცია, რომ აქ მოსული ბავშვი რჩება 18 წლამდე მომსახურებაში და არავინ არ ზრუნავს მათ რეინტეგრაციაზე, ბავშვები, რომლებიც უნდა იყვნენ მინდობით აღზრდაში, არიან აქ; ან, რეინტეგრაცია რომ უნდა კეთდებოდეს, ეს ბავშვები ყოვნდებიან აქ. ამიტომ მთლიანად კარგავს მცირე თავის დანიშნულებას“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩემი დაკვირვებით, ძირითადი პრობლემაა, რომ ეს ბავშვები ჯერ მინდობით აღზრდაში მიჰყავთ და მერე მოჰყავთ მცირეში. ჰოდა, ასე მგონია, საფუძვლიანად არ არიან შეფასებული არც ბავშვები და მიმღები ოჯახები სოციალური მუშაკების მიერ. გარკვეული პერიოდი, სანამ შეძლო იმ აღმზრდელმა, მიიყვანა ეს ბავშვი. ძირითადი დაინტერესება რეგიონებში არის, აიღონ თანხა. იმ პატარა ასაკში, სანამ მართავდა სტატუსის მქონე ბავშვებს, იყო მასთან. 7 ბავშვიდან 6 მყავს მინდობით აღმზრდელი ოჯახიდან გამოსული, რომლებსაც ელემენტარული უნარები არ ჰქონდათ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ქცევის პრობლემების მქონე, ისევე, როგორც სხვადასხვა რთული გამოცდილების მქონე ბავშვების უმრავლესობა იკრიბება მცირეში და მცირეს არ აქვს რესურსი, ამ ბავშვებს შესთავაზოს სხვადასხვა მიზნობრივი მომსახურებები; თუნდაც სხვადასხვა სპეციალისტების ჩართულობა, მაგალითად, ქცევითი თერაპევტი, რაც ძირითადი გამოწვევაა მცირე საოჯახო სახლებისთვის“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

„ყველა ბავშვი, რომელიც მოდის, ან გადმოდის ფოსტერიდან, ან მცირე საოჯახო სახლის სხვა მიმწოდებლისგან“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

სპეციალისტები ამბობენ, რომ დღესდღეობით ბავშვების უმეტესობა ძალადობისა და უგულებელყოფის მიზეზით შემოდის მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. ასევე იკვეთება შემთხვევები, როცა ოჯახი ვერ მართავს ბავშვის ქცევით სირთულეებს. ბავშვების მნიშვნელოვან ნაწილს მომსახურებაში მოხვედრის ეტაპზე აქვს ქცევითი და ემოციური სირთულეები, მათ შორის, ანტისოციალური და ძალადობრივი ქცევა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები.

„ყველა ბავშვს სისტემაში მოხვედრის ინდივიდუალური ისტორია აქვს. შეიძლება სისტემაში მოვიდეს ბავშვი ოჯახიდან... შეიძლება იყოს მართლა ძალადობის შემთხვევა და, სამწუხაროდ, ძალიან ხშირია ოჯახში, თემში [ძალადობის შემთხვევები]. შეიძლება იყოს მინდობით აღზრდიდან გადმოყვანილი ბავშვი, შეიძლება იყოს ინსტიტუციიდან [გადმოყვანილი] ბავშვი, თავიდანვე მიტოვებული ბავშვი, ჩვილობიდან ინსტიტუციაში რომ ვზრდით. ძალიან ბევრი შემთხვევაა ისეთი, ინსტიტუციაში გაზრდილი ბავშვი რომ მოგვყვება ბოლომდე". – ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი

„ბავშვების აქ მოხვედრის ძირითადი მიზეზი არის უგულებელყოფა, რომელიც არის ძალადობის ერთ-ერთი ფორმა". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„[მცირე საოჯახო ტიპის სახლში ჩარიცხული ბავშვების] საჭიროებები: ქცევის სირთულე, ძალადობის ტრავმული გამოცდილება, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩვენთან ქუჩაში მათხოვრობდნენ და-ძმანი და მაგიტომ მოიყვანეს, თან შშმ ბავშვები არიან". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მოდიან ისეთი ბავშვები, რომელთაც აქვთ სუიციდური მცდელობები". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსება: აღსაზრდელების მოსაზრებები

მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელები ამბობენ, რომ ისინი, გარდა მცირე ასაკის ბავშვებისა, ჩართულნი იყვნენ მათი მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გამოიკვეთა ასევე შემთხვევა, როცა ბავშვმა მომსახურება ბიოლოგიური მშობლის განცხადების საფუძველზე შეიცვალა, თუმცა აღნიშნულის შესახებ აზრი თავად ბავშვისთვის არავის უკითხავს. ნაწილს უნდოდა, და-ძმასთან ერთად ყოფილიყო, ასევე, ბიოლოგიური ოჯახის საცხოვრებელ ლოკაციასთან ახლომდებარე მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებულიყო (რაც განხორციელდა); ნაწილს ეშინოდა მინდობით აღზრდის მომსახურებაში განთავსების, იმიტომ რომ საკუთარ ოჯახში მძიმე ძალადობრივი და ტრავმული გამოცდილება ჰქონდა ნაწილს კი – იმის გამო, რომ ამგვარი გამოცდილება მინდობით აღზრდის მომსახურებაში შეიძინა. მათი თქმით, მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელების კეთილგანწყობა, გულწრფელი სითბო და სიყვარული დაეხმარათ, მცირე საოჯახო ტიპის სახლს მისჩვეოდნენ.

„მაშინ, სხვა რაიონში რომ ვიყავი, იქვე იყვნენ ჩემი დედმამიშვილები, ორი და და ერთი ძმა. ხოდა, იქ უნდა დარჩენილიყვნენ ჩემი ორი და, ჩვენ ორნი უნდა გადავსულიყავით სხვაგან. ხოდა, ეს მე არ მინდოდა, რადგან მინდოდა, ჩემი და-ძმანი გვერდზე მყოლოდა. ყველაფერს მირჩევნია ჩემი და-ძმანი და მშობლები და ეგ გაითვალისწინა სოციალურმა მუშაკმა და დღეს ყველანი ერთად ვართ აქ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„არასდროს მქონია შეხება ბავშვთა სახლთან, არც მინდობით აღზრდასთან, ვიზრდებოდი 14 წელი ოჯახში, და ყველაფერი ეს ისე სწრაფად მოხდა. სოციალურმა მუშაკმა მარტო ის მკითხა, სად მინდოდა გადასვლა (მინდობითში თუ ბავშვთა სახლში). დარწმუნებული არ ვიყავი, მაგრამ ის ვიცოდი, რომ ოჯახი არ მინდოდა, რადგან მანამდე გარკვეული პრობლემების არსებობის გამო სიტყვა „ოჯახის" გაგონება არ მინდოდა და ვთქვი, რომ მირჩევნია, მცირე საოჯახოში გადავიდე. ანუ რა პირობები იყო, წარმოდგენა არ მქონდა. თუმცა 100%-ით დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს იყო საუკეთესო გადაწყვეტილება და არსად ისე კარგად არ ვიქნებოდი, როგორც ვარ აქ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩემს შემთხვევაში, რთული იყო იმიტომ, რომ მინდობით აღზრდიდან (მინდობით აღმზრდელის მხრიდან ძალადობის გამო) სახლში რომ წავედი, მერე იქ ისევ პრობლემები შეიქმნა და ფსიქოლოგმა მითხრა, რომ იქნებ ისევ იქ (მინდობით აღზრდაში) წახვიდეო, რაც შენთვის უკეთესი იქნებაო. ხოდა, ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, იმიტომ რომ კატასტროფიდან ახალი დაღწეული მქონდა თავი და ვუთხარი, რომ ვერ წავალ-თქო. მერე ერთ-ერთმა სოციალურმა მუშაკმა მაჩვენა ფოტოები, რომ ესე და ესე იზრდებიან ბავშვები, ძალიან პოზიტიური ფოტოები მაჩვენა... აღმოჩნდა, რომ ბავშვთა სახლში [იმ რაიონში, რომელშიც მე მინდოდა] ადგილი არ იყო და წამიყვანეს [სხვა რაიონის] ბავშვთა სახლში. ხოდა, აქ შევხვდი ჩემს დედობილს, რომელიც ძალიან მიღიმოდა. თავიდან ძალიან არ მომეწონა, რადგან ჩავთვალე, რომ აფერისტობდა და იმიტომ მიცინოდა, მაგრამ მერე ისე შემიყვარდა, საკუთარ კუთხეზე ვთქვი უარი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„სხვა საოჯახოდან გადმომიყვანეს. პატარა ასაკის ვიყავი. ის იხურებოდა. არ უკითხიათ აზრი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„დედაჩემმა დაწერა განცხადება. უნდოდა, რომ მასთან უფრო ახლოს ვყოფილიყავი. ბოლნისიდან აქ გადმომიყვანეს... [ჩემთვის არ უკითხავთ], უბრალოდ, მითხრეს, რომ დედაჩემის დაწერილი განცხადების საფუძველზე გადმოვყავდი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელები ამბობენ, რომ სახლში განთავსებისას ბავშვებსა და აღმზრდელებსაც, შესაძლოა, გაუჭირდეთ შეგუება ახალ რეალობასთან.

„[როცა ახალი ბავშვი მოდის სახლში, მას] შეგუება უჭირს, დეიდასაც [აღმზრდელსაც] უჭირს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ნაწილი ამბობს, რომ თავად ჩართულნი არიან ინდივიდუალური განვითარებისა და მომსახურების ინდივიდუალური გეგმების შემუშავების პროცესებში. იმ მიმწოდებელ ორგანიზაციებში, რომლებშიც სოციალური მუშაკია დასაქმებული, ის არის მომსახურების ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაზე

პასუხისმგებელი. 6 თვეში ერთხელ გეგმები გადაისინჯება. ასევე, ბავშვებს ეკითხებიან აზრს გასართობ და განმავითარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ნაკლებად – ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მაგალითად, თუ ხერხემლის პრობლემა აქვს, ბავშვს ეუბნებიან, რომ უნდა იაროს ცურვაზე და შეჰყავთ ცურვაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვების ნაწილმა არ იცის, რა წერია მათ გეგმაში.

> *„რაც შეეხება ინდივიდუალური [მომსახურების] გეგმას, აღმზრდელები წერენ და მაგ პროცესში ჩართული ვართ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„თუ გასართობია, ჩემი გადაწყვეტილებაა, მინდა, თუ არა, მაგრამ, თუ ჯანმრთელობას ეხება, მეუბნებიან, რომ, აი, მაგალითად, ხერხემლისთვის საჭიროა ცურვა და შევყავარ წრეზე“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> **კითხვა:** *„რა წერია იმ გეგმაში, იცით?“*
>
> **პასუხი:** *„არა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსება: სპეციალისტების მოსაზრებები

ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენლების განცხადებით, მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა ისაა, რომ ბავშვები ხშირად ხვდებიან უცნობ გარემოში, უცნობ რეგიონში, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, რადგან სხვაგან ადგილი არ არის.

> *„წარმოიდგინეთ, არასრულწლოვანი არის ადაპტირებული რაღაც გარემოში, ან უბრალოდ, სურვილი აქვს 14, 15, 16 წლის მოზარდს, რომ კონკრეტულად იყოს ქუთაისში ან თბილისში, და ჩვენ, გამომდინარე იქიდან, რომ ადგილები არ არის ხოლმე, გვიწევს, წავიყვანოთ ბათუმში ან ზესტაფონში. მერე ხდება ის, რომ არის კონფლიქტი, არიან გაღიზიანებულები, თავს გრძნობენ იძულებით მოთავსებულ პირად და ვერ ხდება მათი სურვილის გათვალისწინება“. – ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენელი*

სოციალური მუშაკები და მომსახურების მიმწოდებლები ამბობენ, რომ მათ ლოკაციაზე მცირე საოჯახო ტიპის სახლში ისე შეიძლება ჩაირიცხოს ბავშვი, რომ სოციალური მუშაკები არ იყვნენ ინფორმირებულნი მისი მდგომარეობის შესახებ. შესაძლოა, არ იყოს შეფასებული ჩასარიცხი ბავშვის თავსებადობა მცირე საოჯახო ტიპის სახლში მყოფ სხვა ბავშვებთან მიმართებით; ასევე შეიძლება არ იყოს დადგენილი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და მათი შემცირების გზები. აღნიშნული გარემოება ზრდის ახალი ბავშვის დამხვდურ ბავშვებთან შეგუების სირთულეებს და ახალჩარიცხული ბავშვის სახლიდან გაქცევის რისკსაც. გარდა ამისა, იკვეთება, რომ განსაკუთრებული სირთულეები მცირე საოჯახო ტიპის სახლში

მცხოვრებლებთან შეჩვევისა და ადაპტაციის კუთხით, შესაძლოა, ჰქონდეთ ლგბტ თემის წარმომადგენელ ბავშვებს.

> *„არ ხდება სოციალურ მუშაკთან შეთანხმება კონკრეტული ბავშვის თაობაზე. შეიძლება, ერთი ბავშვი ჩაგერიცხოს და თავდაყირა დაგიყენოს სახლი. კი ბატონო, სერვისი მაქვს, ადგილი მაქვს, მაგრამ თავსებადობა მოხდება თუ არა ჩემს ბავშვებთან... იქნებ, მე აქ როგორი ბავშვი მყავს, სქესთა ბალანსიც უნდა იყოს დაცული. სამწუხაროდ, ორიენტაციაც უნდა გავითვალისწინოთ. მე მქონდა შემთხვევა, განსხვავებული ორიენტაციის ჩარიცხეს და ძალიან გაგვიჭირდა დალაგებულ სახლში. უნდა იყოს სოცმუშაკთან შეთანხმებული თითოეული ბავშვის ჩარიცხვის ამბავი. მისი პირადი ინფორმაცია უნდა ვიცოდეთ და ისიც, თუ რამდენად კარგად იგრძნობს იქ თავს ის ბავშვი? მერე ბავშვები გარბიან. ბოლო ქეისი, რომელიც მქონდა – შეხვედრაც ვერ მოვასწარი, ისე გაიქცა ბავშვი". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

> *„ერთხელ გვითხრეს, ბიჭი მოვაო, და გოგო მოვიდა. თავადაც არ იციან, ისე შემოგიგდებენ ბავშვს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

მცირე საოჯახო ტიპის სახლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათთან ბავშვების ჩარიცხვა ხშირად ისე ხორციელდება, რომ მათ, ფაქტობრივად, არაფერი იციან ბავშვების შესახებ (შეფასება და ინდივიდუალური განვითარების გეგმა, ფაქტობრივად, არ მოჰყვება ბავშვებს, ან თუ მოჰყვება, ამ დოკუმენტებში ინფორმაცია ან არასრულია ან თითქმის არ არსებობს). ასევე, ხშირად ბავშვთან ერთად მომსახურებაში არ იგზავნება დაბადების მოწმობა, ჯანმრთელობის ცნობა და დადგენილი რეგულაციებით განსაზღვრული სხვა დოკუმენტები. აქედან გამომდინარე, მიმწოდებლებს თავად უწევთ ამ ინფორმაციის მოძიება-შეფასება და მომსახურების ინდივიდუალური გეგმის გაწერა.

> *„სახელმწიფოს მხრიდან ეს ბავშვები არიან ზერელედ გადმოგდებული. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არანაირი ინფორმაცია არ გვქონდეს მათზე, ვცდილობთ, სიღრმისეულად ჩავყვეთ და რაღაც შედეგამდე მაინც მივიდეთ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„რა გეგმა, რა გეგმა! არც ვითხოვთ სააგენტოდან რაიმე გეგმას. შეფასებასაც აღარ ვითხოვთ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„მე ვთხოვ [ინდივიდუალური განვითარების გეგმას], იმიტომ რომ მონიტორინგი რომ მოვიდეს, იმათ ნახონ, თორემ შიგ არაფერი არ წერია". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

ინდივიდუალური მიდგომა მომსახურების მიწოდებისას

სპეციალისტები საუბრობენ იმაზე, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ზოგადად, რთულია ინდივიდუალური ზრუნვის მიწოდება თითოეული ბავშვისთვის, რადგან მცირე საოჯახო ტიპის სახლი მცირე ზომის, თუმცა მაინც რეზიდენტული დაწესებულებაა. აღნიშნულს, მათი აზრით, ემატება ფინანსური და ადამიანური რესურსებისა და მომსახურებების არქონა ან

არასაკმარისი ოდენობით ქონა, რაც კიდევ უფრო მეტად უშლის ხელს მცირე საოჯახო ტიპის სახლს, ბავშვს ინდივიდუალიზებული მომსახურება მიაწოდოს.

> *„რა თქმა უნდა, გამოწვევას წარმოადგენს ინდივიდუალური მიდგომა. როდესაც მცირე საოჯახო სახლის მიერ ვერ იმართება კონკრეტული ბავშვის ქცევა, ან ვერ კმაყოფილდება მისი საჭიროებები, მერე წარმოიშვება დიდი პრობლემები. იწყება კონფლიქტური სიტუაციები, გამწვავებები, ყურადღების ნაკლებობა და, შესაბამისად, შემდეგ ინდივიდუალურ მიდგომებზე ვეღარ იქნება ლაპარაკი. ეს ისე არ გავიგოთ, რომ ეს მცირე საოჯახოს გამოწვევაა. რეალურად, მცირე საოჯახო სახლის ფუნქცია-მოვალეობებში არ უნდა შედიოდეს სხვადასხვა ტიპის მომსახურების მიწოდება, როდესაც ვლაპარაკობთ კვალიფიციურ მომსახურებაზე. ვგულისხმობ სპეციალისტების მომსახურებას. აქ საუბარია იმაზე, რომ სერვისები არ არსებობს, სადაც ეს ბავშვები იქნებიან ჩართული. აქედან გამომდინარე, ვეღარ იქნება ინდივიდუალური მიდგომა დაცული. მცირე საოჯახო მაინც მგონია პატარა რეზიდენტული დაწესებულება და, როგორც მოგეხსენებათ, რეზიდენტულ დაწესებულებებში ინდივიდუალური მიდგომები ცოტა რთული განსახორციელებელია“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი*

მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ნაწილის აზრით, 6 და მეტი ბავშვი ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ძალიან ბევრია იმისთვის, რომ თითოეულმა ბავშვმა ინდივიდუალიზებული მომსახურება მიიღოს.

> *„ცოლ-ქმრისთვის [აღმზრდელებისთვის] 6 ბავშვი ძალიან ბევრია“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

მცირე საოჯახო ტიპის სახლების წარმომადგენლები განსაკუთრებულ გამოწვევად ასახელებენ იმას, რომ ყველა ბავშვს უნდა გამოუყონ დიდი დრო და ყურადღება, რათა არცერთმა არ იფიქროს, რომ აღმზრდელები სხვებზე უფრო მეტად ზრუნავენ.

> *„ახალი დაწყებული მქონდა ამ სისტემაში მუშაობა. შემომიყვანეს პატარა და-ძმა... იმდენად უსუსური ბავშვები იყვნენ, თან სულ პატარები. თან ვირუსი და ტემპერატურა ჰქონდათ. ეს ბავშვი ჩავიჯინე და ვეფერები და დიდი ასაკის ბავშვი მეუბნება, რატომ ეფერები მაგასო. ახლა მე ვუთხარი ის, რასაც ვფიქრობდი. ვაიმე, ცოდოა, დედა ენატრება-თქო. მეც მენატრება დედაო, მაგას ახალი ნანახი ჰყავსო. აი, ამის შემდეგ, არ არსებობს, მე შეცდომა დავუშვა და რომელიმეს ზედმეტად მოვეფერო სხვისი თანდასწრებით. ეს ჩემთვის მაგალითი იყო. ისე, ინდივიდუალურად საათობით სჭირდება საუბარი თითოეულ ბავშვს, თუკი რაღაცას დააშავებენ და დღეში სამჯერ, ოთხჯერ ერთი და იგივეს გამეორება გვიხდება, მაგრამ შედეგსაც ვხედავთ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

მცირე საოჯახო ტიპის სახლების წარმომადგენლები საუბრობენ იმაზე, რომ მათთვის რთულია ინდივიდუალური ზრუნვის მიწოდება ბავშვებისთვის მაშინ, როცა არსებობს ყველა

ძირითად უწყებასთან (ზრუნვის სააგენტო, პოლიცია და ა.შ.) კოორდინაციის სირთულე ბავშვების უფლებების დაცვისა და მათთვის სათანადო მომსახურებების მიწოდების თვალსაზრისით. მულტიუწყებრივი თანამშრომლობის სირთულეებზე ისაუბრა სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელმაც.

> *„კი ხვდებით, რომ უწყებებთან თანამშრომლობა ფაქტიურად არ ხდება“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„როდესაც გვესმის, რომ ბავშვი მუდმივად გარბის სახლიდან, შეიძლება, სახლშიც იყოს პრობლემა, მაგრამ, თუ ვიცით, რომ გარე ფაქტორებია, რომლებიც შეიძლება მოგვარდეს, ... უნდა ვითანამშრომლოთ თუნდაც სააგენტოსთან, პოლიციასთან, თუმცა გამოდის, რომ ყველა ხელფეხშეკრული ვართ... ანუ ამ თანამშრომლობას ვერ მივაღწიეთ ვერასდროს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> **კითხვა:** *„მულტიუწყებრივ თანამშრომლობაშიც შეიძლება პრობლემა იყოს?“*

> **პასუხი:** *„კი“. – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი*

კვება: აღსაზრდელების მოსაზრებები

მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელები ამბობენ, რომ მენიუს მათ უთანხმებენ, ასევე, ითვალისწინებენ ბავშვების რელიგიურ და სხვა საჭიროებებს კვებასთან მიმართებით (მაგალითად, მუსლიმი ბავშვის სახლში ყოფნის შემთხვევაში, მენიუდან ამოღებულია ღორის ხორცი).

> *„რაც შეეხება კვებას, ყოველდღიურად გვაქვს ნაირნაირი საკვები... კვება ყოველთვის ის არის, რასაც ბავშვები იტყვიან“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„კვება ძალიან კარგია. თითქმის ყველაფერია, რაც გვჭირდება და რასაც მოვითხოვთ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

ჯანმრთელობა: აღსაზრდელების მოსაზრებები

ბავშვები ამბობენ, რომ მათი ჯანმრთელობის საჭიროებები დაკმაყოფილებულია (გამოკვლევები, ანალიზები, ექიმთან ვიზიტები და ა.შ.). ბავშვების ნაწილს აღმზრდელი/ადმინისტრაციის წარმომადგენელი მიჰყვება ექიმთან, ნაწილს კი – აღმზრდელი/ადმინისტრაციის წარმომადგენელი და სოციალური მუშაკი. ბავშვებს, შესაძლოა, დასჭირდეთ წაყვანა რაიონულ ცენტრში ან სხვა რეგიონში სამედიცინო მომსახურების მისაღებად და აღნიშნული საჭიროებაც უკმაყოფილდებათ.

> *„თუ რამე სიმპტომი იყო [ჯანმრთელობის პრობლემების თვალსაზრისით], შუალედშიც ხდებოდა მონიტორინგი და აღმზრდელები გვყავდა წამლების მცოდნე...*

წელიწადში 6-ჯერ ვიწექი საავადმყოფოში, რთული ბავშვი ვიყავი. პანდემიის დროს ორი სართული გავტიხრეთ, ჩვენ ვიყავით ზემოთ, აღმზრდელები – ქვემოთ და გვაწვდიდნენ საჭმელს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების ფოკუსჯგუფი

„ჩემს შემთხვევაში ისე მოხდა, რომ მქონდა თავის ტკივილები და აქაურ ექიმებს ეგონათ, რომ მქონდა ეპილეფსია. ყველაფერი გადამიღეს, თბილისიდან ექიმს დაუკავშირდნენ აქაური თანამშრომლები (სახლის), და ყველანაირი გამოკვლევა და ანალიზი ჩამიტარდა და ახლა სამ თვეში ერთხელ, ექვს თვეში კი არა, სამ თვეში ერთხელ, ყველა ვიკეთებთ შარდის, სისხლის ანალიზებს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„როდესაც ექიმთან მივდივართ, ჩვენ ლიდერი მოგვყვება". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩვენს შემთხვევაში, სააგენტოს პერსონალიც და სახლის პერსონალიც ჩართულია და, ვინც გვინდა, რომ გამოგვყვეს, ის მიგვყვება". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

ჯანმრთელობა: სპეციალისტების მოსაზრებები

ექსპერტების განცხადებით, გარკვეული ხარჯები არ იფარება აღსაზრდელთა დაზღვევით (მაგალითად, სტომატოლოგიური მკურნალობა, მედიკამენტები) და მათი გადახდა უწევს მცირე საოჯახო ტიპის სახლს; ეს ფინანსური რესურსი კი აკლდება ბავშვების სხვა საჭიროებების დაკმაყოფილებას.

„ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხითაც, თუნდაც, სტომატოლოგიური სერვისები, აქ ხომ თავად უწევს მცირეს, რომ გაიღოს ხარჯი". – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

„სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვები სარგებლობენ საყოველთაო ჯანდაცვის მომსახურების საუკეთესო პაკეტით (ანუ მოცულობითია). თუმცა პრაქტიკაში აღმოჩნდა, რომ არცთუ ისეთი მოცულობითი და ფართოა ეს პაკეტი, რადგან გარკვეული ელემენტები საერთოდ არ არის გათვალისწინებული, მაგალითად, სტომატოლოგია, მედიკამენტები, და კიდევ, დეტალებში რომ წავიდეთ, სხვა ისეთი საკითხები გამოიკვეთება, რომლებიც ბავშვს სჭირდება და ამ მომსახურებას ვერ ღებულობს უფასოდ, პროგრამულად". – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

განათლება: აღსაზრდელების მოსაზრებები

მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელები ამბობენ, რომ იქ ჩარიცხვის შემდეგ მნიშვნელოვანი პროგრესი აქვთ აკადემიური განათლების კუთხით. ასევე, ბავშვები ამბობენ, რომ ჩართულნი არიან სპორტულ, არაფორმალური განათლების აქტივობებში (წრეებზე) და ეს დადებითად აისახება მათ თვითშეფასებასა და თავდაჯერებულობაზე. თუ ბავშვებს

ესაჭიროებათ გაკვეთილების მომზადებაში ან პროგრამის დაძლევაში დამატებითი დახმარება, ისინი იღებენ ამ მხარდაჭერას მცირე საოჯახო სახლის პერსონალისგან, ან დამატებით დადიან პედაგოგებთან (განსაკუთრებით უფროსი ასაკის ბავშვები). ბავშვების თქმით, ისინი ერთმანეთსაც ეხმარებიან სწავლაში. ერთ-ერთ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბავშვებს ჰყავთ სპონსორები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან შემოწირულებებს აკეთებენ მათ სახელზე, რის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ბავშვების სხვადასხვა საჭიროების, მათ შორის, განათლების საჭიროებების დაკმაყოფილება. ზოგიერთ მომსახურების მიმწოდებელს ჰყავს განათლების კოორდინატორიც, რომელიც ბავშვების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნავს.

> *„სკოლაში მანამდე არ დავდიოდი. აქ რომ მოვედი, მერე დავიწყე და ვცდილობ, ჩემი ცხოვრება კარგად წავიდეს. ახლა დავაფასე ჩემი თავი, ოჯახი და, თუკი რამე მაქვს კარგი. ახლა ვხვდები, რა დავკარგე და რისთვის ვიბრძვი, რომ ისევ იქ დავბრუნდე. მე ისე ვგრძნობ აქ თავს, როგორც ოჯახში. მანამდე ვიყავი გადაუდებელ მინდობით აღზრდაში." – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„ასევე, სპონსორები გვყავს, რაც სხვაგან არ არის. დამატებით წრეებზე გვაქვს სიარულის საშუალება მათი დაფინანსებით". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„ყველანაირად ცდილობენ, კარგი განათლება მოგვცენ. ისეთ პროექტებში მრთავენ, რაც პატარაობაში ჩემი ოცნება იყო. ხოდა, აი, როცა პირველად მათ მითხრეს, რომ შენ შეგიძლია წახვიდე რაღაც ტრენინგზე, იმიტომ რომ ეს შეგიძლია, ამან ჩემში ძალიან დიდი სტიმული გამოიწვია, ძალიან მესიამოვნა და მინდა, რომ რაღაცას მეც მივაღწიო ცხოვრებაში". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„იმისთვის, რომ ბავშვმა მოინდომოს, ძალიან ბევრი ღონისძიება ტარდება, ტრენინგები. ცდილობენ, რომ წაგვახალისონ. ვისაც არ აქვს სურვილი, რომ რამე გააგრძელოს, ვერავინ დააძალებს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„[განათლების კოორდინატორს] შევყავართ წრეებზე, განაგებს ცხრილს, ნიშნებს. ყურადღებას აქცევს, სკოლაში რამე თუ დაგვჭირდება". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„მე, მაგალითად, ძალიან ბევრ რამეზე დავყავართ: ბოქსზე, ესპანურზე, ენების შესწავლა მიყვარს და სხვადასხვა ენის მასწავლებელთან დავდივარ. მოკრივე ვარ და ახლა უკვე საქართველოს ჩემპიონატისთვის ვემზადები. განათლების მხრივაც სხვადასხვა პროექტში მრთავენ. გასულ წელს ბანაკებში ვიყავი და, ზოგადად, ცდილობენ, რომ ჩემში ჩადონ მაქსიმუმი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„რომ გაიზრდები და შესაძლებლობა გაქვს უნივერსიტეტში ჩაბარების, იმიტომ რომ ამათმა შეგიწყვეს ხელი, დაგიქირავეს მასწავლებლები და, ეს რომ არა, შეიძლება, ვერც*

ჩაგებარებინა, იმიტომ რომ მარტო სკოლაში სწავლა არ არის საკმარისი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩვენს სახლში რამდენიმე ბავშვს ჰქონდა პრობლემა სწავლაში და ლიდერი დაეხმარა. სახლში გვყავს ლიდერი, რომელიც 6 საათამდეა, და, ვისაც სჭირდება დახმარება, სულ ეხმარება მომზადებაში. და, თუ ლიდერი არაა, აღმზრდელებს მაღალი ცოდნა აქვთ და ისინიც გვეხმარებიან. ფაქტიურად, ლიდერის სახით არის დამატებითი პედაგოგი. ასევე, დამოუკიდებლად დავდივართ პედაგოგებთან". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

აღსაზრდელების ნაწილს აქვს სეზონური, მოკლევადიანი დასაქმების გამოცდილება. აღსაზრდელების ნაწილი მუშაობს, ზოგი სწავლობს პროფესიულ სასწავლებელში, ზოგი რეპეტიტორებთან ემზადება. ყოფილი აღსაზრდელები საუბრობენ იმაზე, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვების მცირე ნაწილი ირჩევს უნივერსიტეტში ჩაბარებას და კიდევ უფრო ცოტა ირიცხება უნივერსიტეტში.

„სკოლაში დავდივარ ჯერ, ვმუშაობდი ქობულეთში სამზარეულოში, ზაფხულში, არდადეგების პერიოდში". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„თვითონ გვასაქმებენ, გვეუბნებიან, ხომ არ გინდათ მუშაობაო". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„შეგიძლია, შენ თვითონაც იშოვო სამუშაო და ნებართვას აიღებ, უბრალოდ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„უნივერსიტეტში აქედან ჩაბარება, მგონი, მარტო მე შევძელი. და კიდევ ერთი ბავშვი იყო, თუმცა ვერ ჩააბარა, ასე მახსოვს. და ორგანიზაცია ძალიან დაგვეხმარა, დიდი ხარჯები გასწია. ჩემი ქეისი რომ არ გამართლებულიყო, ორგანიზაცია მოტივაციას დაკარგავდა, რადგან ამდენი ჩავარდნა ჰქონდა". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების ფოკუსჯგუფი

თუ ბავშვი არ არის საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართული, მასთან, შეიძლება, გამოიყენონ დასჯის მეთოდები, მაგალითად, არ მისცენ ჯიბის ფული, ან თანხის რაოდენობა შეუმცირონ.

„თუ არაფერს არ აკეთებს ბავშვი, არც სკოლაშია, არც კოლეჯში, მაგაზე შეზღუდვები არის ჯიბის თანხაზეც". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

ბავშვები ამბობენ, რომ ტრენინგებითა და სხვა ღონისძიებებით მუშაობენ მათთან სწავლის მოტივაციის ამაღლებაზედაც, თუმცა ყველა მათგანი არ ერთვება ამ ღონისძიებებში. ბავშვები ამბობენ, რომ გააჩნია აქტივობასაც და ბავშვის ასაკსაც, თუ რამდენად ჩაერთვება ის განათლებისა და განვითარების მიზნით შემოთავაზებულ მომსახურებებში მცირე საოჯახო

ტიპის სახლში. პატარების დაინტერესება უფრო ადვილია (მაგალითად, ანიმატორებით), უფროსებისა – გაცილებით ძნელი.

> *„პატარის დაინტერესება უფრო მარტივია, შეიძლება, დაიქირავონ ანიმატორები და ბავშვი დაინტერესებულია და ჩართულია. მოზარდების [ჩართვა] უფრო რთულია“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

ყოფილი აღსაზრდელები ამბობენ, რომ ზოგჯერ მათ უარყოფითი გამოცდილება ჰქონდათ სოციალურ მუშაკთან ურთიერთობისას, როცა არ დაკმაყოფილდა განათლების მიღების საჭიროება:

> *„სოციალურ მუშაკთან მქონდა ცუდი გამოცდილება. 6 წელი ვთხოვდი გერმანულის მასწავლებელს. მეუბნებოდა, რომ ვერ მიპოვეს მასწავლებელი და ბოლოს ისტორიის მასწავლებელმა მითხრა, ხაშურში 6 გერმანული ენის მასწავლებელი გვყავს, როგორ ვერ გიპოვესო“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი*

ყოფილი აღსაზრდელები ასევე იხსენებენ შემთხვევებს, როცა არაფორმალური განათლების კონკრეტულ წრეებზე არ უნდოდათ სიარული, ან შეეცვალათ ინტერესი, თუმცა მცირე საოჯახო ტიპის სახლის პერსონალი აღნიშნულს უარყოფითად შეხვდა და ეუბნებოდა ბავშვს, რომ უნდა გაეგრძელებინა წრეზე სიარული.

> *„ზოგი კალათბურთზე, ზოგი ფეხბურთზე [დადიოდა]. ყველანაირად ცდილობდნენ ხელშეწყობას. თუმცა ასევე გაქცევდნენ სტიგმებში. ამ წრეებიდან გამოსვლა იყო რთული. თვლიდნენ, რომ, თუ დაიწყე სიარული, ბოლომდე უნდა მიგეყვანა. ჭადრაკიდან რომ გამოვედი, რამხელა პროტესტი მოჰყვა, იცით... ავუხსენი, რომ ვისწავლე თამაში და აღარ მაინტერესებდა, ეს იყო ჩემი ჰობი. მივიღე ცოდნა და მორჩა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი*

ყოფილი აღსაზრდელები ასევე ამბობენ, რომ უმნიშვნელოვანესია მცირე საოჯახო ტიპის სახლებში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების დანერგვა, პირველ რიგში, განათლების დონის ასამაღლებლად და პიროვნული უნარების განსავითარებლად.

> *„ეს-ო-ესში დამხვდა 90-იანების კომპიუტერი და მეკითხებიან, რატომ არ მუშაობსო. წარმოიდგინე, ბავშვი ხაშურიდან მოდის თბილისში და არ იცის მეტროს ხაზი, არ იცის ავტობუსის განრიგი, არ იცის მაპის (სანავიგაციო აპლიკაცია) მოხმარება... მე ვფიქრობ, რომ, როცა ეს არ იცის ბავშვმა, ესე იგი, ის სახლი არ მუშაობს. უნდა იყოს არაფორმალური განათლება და თანამედროვე უნდა გახადონ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი*

განათლება: სპეციალისტების მოსაზრებები

მცირე საოჯახო ტიპის სახლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ბავშვების სწავლის მოტივაცია არის ძალიან დაბალი. მათი თქმით, ამას, ძირითადად, განაპირობებს განათლების სისტემის პრობლემები, გაკვეთილების გაცდენა, მასწავლებლის მხრიდან ცოდნის შეუმოწმებლობა და ა.შ. მათი აზრით, მოტივაციაზე ისიც უარყოფითად მოქმედებს, რომ ბავშვებმა იციან – კლასიდან კლასში მაინც გადაიყვანენ, სკოლაში საერთოდაც რომ არ იაროონ. სხვები ამბობენ, რომ თავიანთი ლოკაციიდან სკოლაში სიარული არ უჭირთ, მაგრამ პრობლემას ქმნის ის, რომ ბავშვების დღე-ღამის რეჟიმი არეულია მათი ქცევითი და ემოციური სირთულეების გამო. ამიტომ ისინი სათანადოდ ვერ ერთვებიან საგანმანათლებლო პროცესში. აღმზრდელები ასევე საუბრობენ თავიანთ პრობლემაზედაც: სხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე, მათ არ აქვთ სათანადო დრო, ბავშვების მიერ განათლების მიღების ხელშეწყობას მეტი დრო დაუთმონ.

> *„არიან ბავშვები, რომლებიც არ დგებიან, არ მიდიან სკოლაში, იმიტომ რომ იციან, რომ სკოლას მაინც გადაჰყავს ისინი კლასიდან კლასში; იციან, რომ იმ სკოლას მაინც დაამთავრებენ. სკოლასთან გვაქვს მუდმივი კომუნიკაცია. საბედნიეროდ, ყველა ასეთი არ არის. გვყავს ისეთები, რომლებთანაც რაღაცა გამოგვდის“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„როგორ უნდა მოსთხოვო ბავშვს, რაიმე მოამზადოს სათანადოდ, როცა მიდის და სკოლაში გაკვეთილი არ უტარდება. ჩემთვის ეს დიდ პრობლემას წარმოადგენს. მაქვს უნარი, რომ დავეხმარო ნებისმიერ საგანში და სრულყოფილად ვამეცადინო, მაგრამ არ უნდათ, იმიტომ რომ არ სთხოვენ სკოლაში“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„განათლებას რაც ეხება, ძალიან კარგად ტარდება გაკვეთილები, ჩემი ბავშვები სადაც დადიან. ის კი არა, რომ შევლენ დილას, შუადღემდე გარეთ ვერ გამოდიან. მაგრამ თვითონ ბავშვებს ვერ მოსთხოვ სწავლას... სანამ შემეძლო, ვიჯექი დიდ მაგიდასთან მისაღებში, შემოვუსხდებოდით და ყველა დავალებას, გაკვეთილს ვიბარებდით... მივაღწიე იმას, რომ ჩემთან ადრე ნამყოფი ბავშვები კარგად სწავლობენ, [ერთმა] კომპიუტერი მიიღო, ახლა ემზადება, სწავლობს კერძო სკოლაში ჩვენი ორგანიზაციის დახმარებით და ემზადება უმაღლესისთვის. მაგრამ სხვა ბავშვებთან ეს უკვე მოიშალა, იმიტომ რომ ღამე ამათ არ სძინავთ, დღე სძინავთ, ვერ ეტყვი, რომ სკოლაში წადი. თუმცა მყავს ისეთი ბავშვები, რომლებიც დილას დგებიან, მიდიან სკოლაში, სწავლობენ. ვერ ვიტყვი, რომ სკოლაში მოშლილია სასწავლო პროცესი. მაგრამ მე ვერ ვთხოვ შესაბამისად ამ ბავშვებს. მე თვითონ დრო არ მაქვს, ამ ბავშვების გაკვეთილები ჩავიბარო“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

მცირე საოჯახო ტიპის სახლების წარმომადგენლები საუბრობენ ბავშვებში სწავლის მოტივაციის პრობლემაზე, მისი გაღვივების მნიშვნელობაზე. მათი თქმით, განათლების მიღების პროცესში, პატარა დაბრკოლების შემთხვევაში, ბავშვები ხშირად უკან იხევენ. აღმზრდელები გამოსავლად სკოლასა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში მოთხოვნების

გამკაცრებას მიიჩნევენ, თუმცა ექსპერტები, მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი, ამბობენ, რომ მთავარი სამუშაო ამ მიმართულებით მოტივაციის ამაღლების მეთოდებით უნდა შესრულდეს.

> *„ჩემი დაკვირვებით, ბავშვებს რა აქვთ: მაგალითად, წავიდნენ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ოთხჯერ, მაგრამ, როგორც კი წაწყდებიან, რომ რაღაც მოსთხოვეს, აღარ უნდათ, მოდიან. მიგვყავს მერე სხვაგან, და სხვაგანაც იგივე სიტუაცია. აი, სადაც თავისას ვერ გაიტანენ, ოდნავ რაღაც მოთხოვნები იქნება მკაცრი, მერე მოდიან. ეს ბავშვები მიეჩვივნენ, რომ ვმფარველობთ, ყველგან ვიცავთ. სწავლაშიც ზედმეტად ვერ მოვთხოვთ. არ გვაქვს ამის უფლება. ჩემთან სამი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვია და დიდი მიღწევაა, წერა-კითხვა რომ ისწავლონ, ანგარიში და საათის ცნობა, ან დღეს რა დღე არის, კვირის რა დღე არის. ცოტა მოთხოვნები რომ გამკაცრდებოდეს...“ – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„უშუალოდ მოტივაციის ნაწილში, პროფესიული ორიენტაციის ნაწილში, ვგულისხმობ, ტრავმული გამოცდილების ფონზე [საჭიროა დამატებით მუშაობა]“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი*

ექსპერტების აზრით, მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბავშვთა განათლების უფლების დაცვა რთულდება რესურსების, პირველ რიგში, ფინანსური რესურსების სიმწირის გამო. არადა, ეს რესურსები საჭიროა რეპეტიტორების დასაქირავებლად, აკადემიური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის.

> *„თუ ბავშვს სკოლაში არ უვლია, თუ ბავშვს ქუჩაში ცხოვრების გამოცდილება აქვს და, შესაბამისად, არ აქვს განათლების სათანადო დონე, განათლების სამინისტროს რაღაც პროგრამები აქვს, სადაც ისინი ჩაერთვებიან, თუმცა მეორე საკითხია, რამდენად ჩაერთვებიან და რამდენად სრულყოფილია ეს მომსახურებები მათი განათლების ხარისხის ამაღლებისთვის. ისევ და ისევ მივდივართ იქამდე, რომ დამატებითი რესურსია საჭირო ამ ბავშვებისთვის განათლების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი უნარები რომ გამოუმუშავდეთ. ისევ მივდივართ რესურსზე, რომ უნდა უქირაონ დამატებითი პედაგოგი, რომ გარკვეულ აქტივობებში ჩართონ ეს ბავშვები... ისიც პრობლემა არის, რომ მათთვის არ არის მორგებული არაფორმალური განათლება, რადგან არაფორმალური განათლების მიღების შეღავათები, ძირითადად, ვრცელდება სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის ოჯახების ბავშვებზე, ამიტომ ისევ ფინანსურ რესურსთან მივდივართ და ვხვდებით, რომ ამ კუთხით ბავშვის ინტერესების რეალიზებისთვის საჭიროა ფინანსური რესურსები“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი*

> *„ყველა სერვისის მიმწოდებელი ასახელებს, რომ ყველა რესურსი სახელმწიფოს მხრიდან გამოყოფილი არ არის... ამ საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის ყველა მიმართულებით. ხომ შეიძლება გარკვეული წრეები იყოს უფასო. შეიძლება ის, რაც აინტერესებს ბავშვს, არ იყოს უფასო, ან არ იყოს იმ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომი.*

განსაკუთრებით რეგიონში ხელმისაწვდომობის კუთხით ვხედავთ გამოწვევებს. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ ხშირად საკუთარი რესურსების აკუმულირება ხდება სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ, რაც ადგილზეც გვინახავს, თუმცა ესეც ორგანიზაციის სიძლიერეზეა დამოკიდებული. ხშირად საქველმოქმედო ინტერვენციების კუთხითაც ხდება დაკმაყოფილება, თუმცა ესეც არ არის ის სისტემური მიდგომა, რაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფოს მხრიდან, რათა ბავშვებს ჰქონდეთ პოტენციალის გამოვლენის სრული შესაძლებლობა". – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის განცხადებით, სერიოზული პრობლემაა კონკრეტულ ლოკაციაზე არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობების არარსებობა. შესაძლოა, საჭირო იყოს სხვა ლოკაციაზე ტრანსპორტის უზრუნველყოფაც.

„ყოფილა შემთხვევები, რომ ის შეუთავაზებიათ, რაც ადგილზე იყო ხელმისაწვდომი და სულ არ იყო ბავშვის ინტერესის სფერო; ან ის წრეები შეუთავაზებიათ, რაც ხელმისაწვდომი იყო უფასოდ. ყოფილა შემთხვევები, რომ [ბავშვს] აშკარა მისწრაფება და ნიჭი ჰქონია ხატვის მიმართ. იქ არ იყო არც ხატვის წრე, არც ხატვის მასწავლებელი. ბავშვსაც დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ევლო ხატვაზე, მაგრამ ადგილზე ნაკლები შესაძლებლობა იყო. მუშაობდნენ ამაზე და, როგორც ვიცი, არ იყო ძალიან შორს ტერიტორიულად ქალაქიდან და უზრუნველყვეს ტრანსპორტით. ესეც შეიძლება ერთ-ერთი გადაწყვეტა იყოს – ტრანსპორტით უზრუნველყოფა". – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

სოციალური მუშაკების თქმით, თუ მცირე საოჯახო ტიპის სახლი მოშორებულ ტერიტორიაზეა, შესაძლოა, ბავშვებს რაიონულ ცენტრში ან დედაქალაქში ჩამოსვლა მოუწიოთ პროფესიული თუ არაფორმალური განათლების მისაღებად, თუმცა გზა ისეთი გრძელი და რთულია, რომ, ზოგ შემთხვევაში, ეს შეიძლება არ იყოს მათთვის უსაფრთხო.

„ჩვენთან მცირე საოჯახოა გარდაბნიდან აბსოლუტურად სხვა ტერიტორიაზე, შორს. იქვე სოფელში ბავშვები მეგობრობენ სხვა ბავშვებთან და ამის შეზღუდვა არ აქვთ. რა თქმა უნდა, აღმზრდელები აკონტროლებენ ამას. რაც შეეხება სხვაგან წასვლას და არაფორმალურ განათლებას, ვერ იღებენ. ჯერ ერთი, აქ რომ ჩამოვიდნენ, გარდაბანში [პროფესიული] სასწავლებელი აქ არ არის. უნდა იარონ ან რუსთავში, ან თბილისში. გეოგრაფიულად გადაადგილება არის ძალიან რთული. კახეთის გზიდან არის ასახვევები ჩვენს სოფელში. რეალურად ვართ რუსთავის შემდგომ, მაგრამ ჯერ თბილისში უნდა ჩამოხვიდე და მერე – რუსთავში. ჩვენ მცირე საოჯახოში გარდაბნის ბავშვები, ფაქტობრივად, არ გვყავს, თბილისიდან შემოყვანილი გვყავს და ამ ბოლო დროს ძალიან მოხშირდა მობილური ჯგუფის მიერ თბილისიდან გადმოყვანილი ბავშვები. ჩათვალეთ, რომ მეორე დღესვე გარბიან. თბილისთან კი არის ახლოს, მაგრამ [სამარშრუტო ტაქსს] აქვს თავისი დროები, როდესაც ბრუნდება უკან. ბოლო რეისი როდესაც არის 6 საათზე, ბავშვებს უწევთ სიარული ავტოსტოპით და ეს ძალიან დიდი

რისკის მომცველია... ყოველ ჯერზე ამ შიშის გამო გვიწევს პოლიციაში მიმართვა. იგივე პრობლემაა [პროფესიული განათლების მიღების კუთხით], რადგან საოჯახო ვერ იღებს საკუთარ თავზე, რომ ამ ბავშვებმა სადღაც იარონ. არაფორმალურ ნაწილში გვიჭირს. ერთი შეიძლება იყოს სიმღერის წრე და ქართული ცეკვის წრე, რაც აქტიურად ამ ბავშვებს არ უნდათ. სოფლებში სხვა წრეები არ არის და არც სკოლებს არ აქვთ". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის განცხადებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შემთხვევაში, მუშაობის ეფექტიანობა დამოკიდებულია პერსონალის კომპეტენციებზე, რომელთა დეფიციტიც არსებობს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, ასევე, იმაზე, თუ რა მომსახურებები არსებობს კონკრეტულ ლოკაციაზე.

„სპეციალურ საგანამანათლებლო საჭიროებას გააჩნია; სხვადასხვა ასპექტს მოიცავს. შეიძლება იყოს ჰიპერაქტიურობა, ეს გამოიკვეთოს მოსწავლის მხრიდან და შესაბამისად უნდა იყოს ინტერვენცია განხორციელებული და მუშაობა, როგორც სკოლაში, ასევე სააღმზრდელო დაწესებულებაში. ეს ტექნიკები ნაკლებად არის ხელმისაწვდომი აღმზრდელებისთვის, ნაკლებად ავლენენ ამ უნარ-ჩვევებს და ხშირად ავლენენ სხვადასხვა სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს ბავშვების მიმართ და, ამავდროულად, ორიენტირებულები არიან იმ ყოველდღიური ასპექტების უზრუნველყოფაზე, რაც არის იგივე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაკმაყოფილება, ასევე, საკვების მომზადება, და ა.შ. საგანმანათლებლო საკითხებზე ხდება ინტერვენცია, თუმცა შესაბამისი კვალიფიციური კადრის უზრუნველყოფა, შესაბამისი სერვისების უზრუნველყოფა გამოწვევა არის და კიდევ ერთხელ დამოკიდებულია გარე სერვისებზე, რაც ხელმისაწვდომია ახლომახლო". – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება: აღსაზრდელების მოსაზრებები

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვები ამბობენ, რომ მომსახურებაში ივითარებენ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარებს და სწავლობენ დამოუკიდებლობას. მათი თქმით, სახლში აქვთ თავისუფლება იმ დოზით, რაც მათ პიროვნულ განვითარებას ესაჭიროება. ისინი ლაპარაკობენ ყოფილ აღსაზრდელებზედაც, რომლებიც, მცირე საოჯახო ტიპის სახლის ხელშეწყობის წყალობით (განათლებით, ბინით უზრუნველყოფა და სხვ.), ძალიან წარმატებულნი არიან. ამავე დროს, აღსაზრდელები (ნაწილი) ამბობენ, რომ დამოუკიდებლად ცხოვრება, მათი აზრით, ნაკლებად გაუჭირდებათ, რადგან შეუძლიათ საკუთარი თავის მოვლა; მათთვის ეს უფრო ძნელი იქნება ფინანსური თვალსაზრისით. ნაწილი ფიქრობს, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან გასვლის შემდეგ ბავშვებს ემუქრებათ საფრთხე, აღმოჩნდნენ ქუჩაში. ზოგიერთი მათგანი აპირებს, ახალგაზრდულ სახლში გააგრძელოს ცხოვრება.

„პირველი აქ ვსწავლობთ სიყვარულს, მეგობრობას და ეს არის დიდი პლიუსი. კიდევ ის ფაქტი, რომ სწავლობ დამოუკიდებლობას, რაც ალბათ ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ, როდესაც ვინმეზე დამოკიდებული ხარ, ეგ არის ცუდი რამ, რამაც შეიძლება დაგაზიანოს. აქ ესე არ არის. არის თავისუფლება მაქსიმალურად ზომის ფარგლებში. გიხარია, იმიტომ რომ გასწავლეს, როგორ გიყვარდეს საკუთარი თავი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„რაც აქ ვარ, ერთი გოგო გავიდა სახლიდან. მან ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ მეორე კურსზეა, ძალიან მაგარი მსახიობია. ამაში მას დაეხმარა სახლის უფროსი, რა თქმა უნდა, დედობილებიც. ბინაზეც კი დაეხმარნენ. დღესაც ეს გოგო პერიოდულად გვსტუმრობს, ჩვენთან მეგობრულად არის და გასული ბავშვების უმეტესობას მე ვიცნობ, რადგანაც ყოველთვის მოდიან". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„[დამოუკიდებლად ცხოვრება] ჰიგიენის ნაწილში მე არ გამიჭირდება, ფინანსურად – კი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ბავშვი იზრდება აქ სიმშვიდეში და, სხვაგან რომ დაიწყებს ცხოვრებას, შეიძლება გაუჭირდეს. არ არის შეჩვეული ქუჩას და მასეთ ცხოვრებას". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე 19 წლის ვამთავრებ სკოლას და ვალდებულები არიან, აქ მაცხოვრონ, სანამ სკოლას არ დავამთავრებ. მერე გადავალ ახალგაზრდულ სახლში. მე ვაპირებ სწავლის გაგრძელებას". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

ზოგ ბავშვს აქვს მარტო გადაადგილების უფლება, ზოგს – არა. ბავშვები ამბობენ, რომ, თუ ერთი-ორჯერ გაუშვეს მარტო და ისინი არ დაბრუნდნენ დროულად ან სათანადო მდგომარეობაში, ამ შემთხვევაში, მათ აღარ უშვებენ დამოუკიდებლად. ქალაქგარეთ გასვლის უფლება ზოგს აქვს, ზოგს – არა (შესაძლოა, ეს დაკავშირებული იყოს უსაფრთხოების რისკებთან წარსული გამოცდილების, ასაკისა და უნარების შეფასების საფუძველზე). საყიდლებზე დადიან აღმზრდელები. სახლის დალაგების და საკვების მომზადების გარდა, ბავშვები ჩართულნი არიან ეზოს დალაგებაშიც, რასაც განსაკუთრებით ხალისიანად აკეთებენ:

„ქცევაზეა დამოკიდებული, შეიძლება, ვიღაცა გაუშვან გარეთ და სხვა – არა". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„თუ ერთხელ გაგიშვეს, ორჯერ და ისეთ მდგომარეობაში დაბრუნდი, რომ არ იყო მოსაწონი, ან რამე გააფუჭე, მაგ შემთხვევაში, ნდობაც იკარგება". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე ბათუმის ფარგლებსაც ვცდები, ზაფხულობით სვანეთსაც ვსტუმრობ ხოლმე". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„პროდუქტებზე მიდიან აღმზრდელები ან ლიდერი. ამიტომ საყიდლებზე წასვლა ჩვენი მოვალეობა არ არის“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ეზოს ერთად ვალაგებთ, ვხალისობთ, დინამიკებს ვრთავთ, ვმღერით და ისე ვაკეთებთ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები ბავშვები ამბობენ, რომ მათ აძლევენ ჯიბის ფულს, თუმცა ბავშვები ამ ინსტიტუციების უმეტესობაში არ იღებენ ინფორმაციას, ან არ უტარდებათ ტრენინგი, რომელიც დაეხმარება მათ, სათანადოდ გადაანაწილონ საკუთარი ჯიბის ფული. ბავშვების ნაწილს მალე ეხარჯება ეს თანხა. დაბადების დღეზე ბავშვები მეტ თანხას იღებენ ხოლმე. ჯიბის ფულის ოდენობა შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, თუ როგორ მოიქცა ბავშვი, ან როგორ სწავლობს ის სკოლაში.

„[ჯიბის ფულის მოცემისას] იმასაც აქცევენ ყურადღებას, რამდენად კარგად სწავლობ სკოლაში და წახალისებებიც არის“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„შეიძლება, ყოველთვე შეგეცვალოს ჯიბის თანხა, გააჩნია, იმ თვეში როგორ მოიქეცი“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„დაბადების დღის თვეშიც გიმატებენ ფულს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე მალე მეხარჯება [ჯიბის ფული]“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ძნელია, თვის დასაწყისში იღებ და ძნელია გადანაწილება“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

ბავშვები, როგორც წესი, დაბადების დღეებს აღნიშნავენ ტორტით, ლობიანებით და ა.შ. ისინი იღებენ ნებართვას, ვინ დაპატიჟონ (მეგობრები, მშობლები, ნათესავები და ა.შ.) და შემდეგ მათ იწვევენ. დაბადების დღეები აღუნიშნავთ მცირე საოჯახო ტიპის სახლშიც და მის გარეთაც.

„[დაბადების დღეს აღვნიშნავთ] ტორტით, ლობიანებს აცხობენ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„[ვეპატიჟებით] მეგობრებს, მშობლებს, ნათესავებს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ნებართვის გარეშე – არა და ისე, ვისაც გვინდა, იმას ვპატიჟებთ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მე არ მინდოდა სახლში [დაბადების დღის აღნიშვნა], დეიდამ [აღმზრდელმა] გარკვეული თანხა მომცა და მაგ ფულით წავედი მეგობართან ერთად მაკდონალდსში“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

ზრუნვიდან უკვე გასული ახალგაზრდები საუბრობენ იმაზე, რომ ადრე ნაკლები თავისუფლება ჰქონდათ, ვერ გადაადგილდებოდნენ დამოუკიდებლად და ეგონათ, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლი იყო მათი სახლი – არ ჰქონდათ გააზრებული, რომ ეს იყო სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულება. ისინი ამბობენ, რომ დღესაც, უკვე სრულწლოვნები, არ არიან ბოლომდე დამოუკიდებელნი, რადგან მთელი ცხოვრება, ფაქტობრივად, ზრუნვის სისტემაში გაატარეს და ისინი არც არასდროს შეუმზადებიათ დამოუკიდებლობისთვის. ისინი ლაპარაკობენ თემიდან მოშორებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებზე, რაც დღესაც პრობლემას წარმოადგენს იქ განთავსებული ბავშვების სოციალიზაციისთვის.

> *„მე, მაგალითად, დამოუკიდებლად ჯერაც არ ვცხოვრობ. მთელი ჩემი სრული ცხოვრება გავატარე სახელმწიფო ზრუნვაში და არცერთ ეტაპზე არ ვყოფილვარ დამოუკიდებელი და ახლა როგორ უნდა შემეძლოს...“ – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი*

> *„მე როდესაც ვიყავი, სხვა გამოწვევები მქონდა, ახლა ვინც არიან ბავშვები, საერთოდ სხვა გამოწვევები აქვთ. ჩემი გამოწვევა... თავიდან ვერც ვაანალიზებდი, რომ გამოწვევა იყო, ძალიან მიჯაჭვული ვიყავი გარემოს და დედას [მზრუნველს მცირე საოჯახო ტიპის სახლში], იქიდან გამომდინარე, რომ იქიდან არ გვიშვებდნენ. 16-ის რომ გავხდი, ქუჩებიც კი არ ვიცოდი, ჭიშკრის გარეთ ვერ გამოვდიოდი. გამოწვევა იყო ადგილმდებარეობაც, მოწყვეტილი იყო გარე სამყაროს, ახლაც საკმაოდ რთულია იქ ასვლა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი*

ყოფილი აღსაზრდელები ამბობენ, რომ, თუ არ მოხდება ბავშვის მცირე ასაკიდანვე სწორად ინფორმირება იმაზე, თუ რა გზები არსებობს დამოუკიდებელი ცხოვრების მოსაწყობად და თუ არ იქნება მთელი ძალისხმევა მიმართული დამოუკიდებლობის უნარების განსავითარებლად, მაშინ გამოდის, რომ ის თანხა (საკმაოდ სოლიდური), რომელიც ბავშვებზე სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში იხარჯება, ფაქტობრივად, წყალში იყრება. ახალგაზრდების თქმით, მნიშვნელოვანია, ბავშვთან ერთად გადაწყდეს, რომელი გზაა ყველაზე ადეკვატური დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის შესამზადებლად (დასაქმება, პროფესიული თუ უმაღლესი განათლება), და ამ გზას მიჰყვეს ბავშვი. მნიშვნელოვანია ასევე, ეს გზა ყველა ბავშვისთვის ინდივიდუალურად შეირჩეს და მაქსიმალურად მოერგოს მათ ინტერესებსა და შესაძლებლობებს და არა მცირე საოჯახო ტიპის სახლის თანამშრომლების მოსაზრებებს. მათი აზრით, აუცილებელია, პროფესიული განათლების მიღება თუ პროფესიის შესწავლა და მე-9 კლასის დასრულების შემდეგ სკოლიდან გამოსვლაც ბავშვის არჩევანი იყოს.

> *„ძალიან ინდივიდუალურია და ასე განზოგადებაც ძალიან რთულია. ყველა ბავშვს ინდივიდუალური სიტუაცია აქვს, ზოგს ოჯახი საერთოდ არ ჰყავს. მე... უნივერსიტეტში ვსწავლობ და შემიძლია, რომ მართლა კარგი სამსახური მქონდეს... იქიდან გამომდინარე, რომ მე ვარ სრულიად მარტო, საქართველოს პირობებში*

რთულია, რომ იპოვო ისეთი სამსახური, რომელიც ბინის საჭიროებას დაგიკმაყოფილებს. რამდენი უნდა მქონდეს ხელფასი, რომ ქირის გადახდაც შევძლო და ცალკე გადავიდე. მარტო მუშაობაზე და არსებობაზე ხომ არ არის". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი

„არ მინდა, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ რაღაც შემთხვევებში დროის კარგვადაც კი მიმაჩნია. სრულყოფილი სისტემა ვერ იქნება და სირთულეები იქნება. მესმის, ჩვეულებრივ ოჯახშიც შეიძლება, სირთულე ჰქონდეს ბავშვს. ძალიან უაზროა პირველადი საჭიროებების მიწოდება. შეიძლება ბავშვს, უბრალოდ, არ უნდა რაღაცეებში მონაწილეობა. ეს ბავშვთა სოფელი შეიძლება იყოს „კათარზისივით" – მოდი, თვეში ერთხელ ფულს ჩაგირიცხავ და რაღაც დროით გექნება საცხოვრებელი. და ეს ბავშვი არ ზრუნავს, ან ვერ ზრუნავს იმაზე, რომ ბავშვთა სოფელი რომ აღარ იქნება, რა გააკეთოს. ძალიან უაზრო ფულის, ენერგიის და რესურსის ხარჯვაა". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი

„როდესაც საქმე ბავშვის ზრუნვას ეხება, შენ შეგიძლია, რომ ბავშვის ინტერესები დაიცვა, და ეს ინტერესები მიმართო იქით და დაეხმარო, რაც სურს, იმაში. ამ შემთხვევაში, როდესაც ბავშვს სთავაზობ ორ ალტერნატიულ გამოსავალს, უნივერსიტეტი ან კოლეჯი, ან მარტო რჩები, ეს ბავშვზე მოქმედებს ცუდად. როდესაც ბავშვი უნივერსიტეტში აბარებს, ავტომატურად ირჩევს მის ცხოვრებას, რაც არ უნდა რთული იყოს, ყველაზე ცუდ შემთხვევაში, მუშაობას მაინც დაიწყებს... და მესამე კატეგორია, ვისაც არც კოლეჯი უნდა და არც უნივერსიტეტი, ბავშვთა სახლიდანვე უნდა მოხდეს ამ ბავშვების დასაქმებაზე ზრუნვა. როდესაც ბავშვს აქვს მუშაობისთვის მზაობა, ის უკვე აღარ შეუშინდება გარემოსთან ადაპტაციას". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი

„მე-9 კლასიდან გამოსვლა რთულია, ბავშვებს ჩაუკლეს ამის სურვილი. დანარჩენი მარტივად იყო. ეს-ო-ეს-ში, მაგალითად, ზედმეტის იმედი აქვთ ბავშვებს და, როდესაც ეს ასეა, ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი კარგად არ არის". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი

ყოფილი აღსაზრდელების აზრით, უმნიშვნელოვანესია, რომ ბავშვებს წვდომა ჰქონდეთ თანამედროვე ტექნოლოგიასა და ინფორმაციაზე, რაც მათ ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებაში.

„11 წელი როდესაც ვიცხოვრე ხაშურში და მერე – წყნეთში, საიდანაც მეხსიერების ყველაზე დიდი ნაწილი მახსოვს, ყველაზე დიდი პრობლემა ინფორმაციის ნაკლებობაა ბავშვებში. წარმოიდგინეთ, ეს-ო-ეს-ი მოწყვეტილია გარემოს, ხაშურიც არ არის ახლოს

თბილისთან. მე რომ ხაშურში დავრჩენილიყავი, დღესაც არ მექნებოდა ლეპტოპი და მეილი. შესაბამისად, არ მექნებოდა ინფორმაცია არაფერზე. და როდესაც ორგანიზაცია მე არ მეხმარება, რომ ეს სქილები (უნარები) წინ წამოვწიო, ეს ჩემს განვითარებას ხელს უშლის". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი

დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება: სპეციალისტების მოსაზრებები

სპეციალისტების მოსაზრებით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ბევრი გამოწვევა არსებობს აღსაზრდელების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების საქმეში, რაც გულისხმობს სირთულეებს განათლებით, დასაქმებით, საცხოვრებლით უზრუნველყოფის და საჭირო უნარების განვითარების თვალსაზრისით. მათი აზრით, უმეტეს შემთხვევაში, ბავშვი ერგება მცირე საოჯახო ტიპის სახლის მოცემულობას, არსებულ რესურსებსა თუ შესაძლებლობებს, როდესაც პირიქით უნდა ხდებოდეს – მცირე საოჯახო ტიპის სახლი უნდა სთავაზობდეს ბავშვს მის შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებულ მომსახურებებს, რათა მოამზადოს ის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

„სრულწლოვანი ასაკის შესრულების შემდეგ, როდესაც გადიან სახელმწიფო ზრუნვიდან, აწყდებიან ძალიან ბევრ გამოწვევებს. პირველი, ყველაზე მწვავეა საცხოვრებლის პრობლემა, განათლება, დასაქმების პრობლემა. არ აქვთ ამ ახალგაზრდებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. მოტივაციაც დაბალია, მცირე საოჯახოში ცხოვრების დროს სწავლაზე ორიენტირება არის ძალიან ნაკლები. მოტივი არის ის, რომ შეუძლიათ, ისარგებლონ საცხოვრებლის პროგრამით – 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდების პროგრამაში ჩაერთონ და უზრუნველყოფილი იყვნენ საცხოვრებლით. ზოგიერთს აქვს ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების პერსპექტივა, თუმცა თვითონ ახალგაზრდები ამბობენ უარს იქ დაბრუნებაზე". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„მარტო ის ხომ არ არის, ბავშვი გამოკვებო, ჩაცვა და თბილად იყოს. განვითარებაზე და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაზეა საუბარი. თუნდაც ის, რომ ბავშვის ინტერესები გამოვკვეთოთ და წავახალისოთ... არსებულ რესურსებს ერგება ბავშვი და არა პირიქით, რომ ბავშვს მოვარგოთ. თუნდაც, თუ იქნება ეს სპორტი, განათლება თუ ა.შ. რეგიონებში [ბავშვს ეუბნებიან], ამის საშუალება გვაქვს და აქედან აირჩიე. ბავშვს უწევს, მოერგოს არსებულ მოცემულობას. ეს არის გამოწვევა. გადის ზრუნვიდან და აღმოჩნდება, რომ კონტროლზე ორიენტირებული იყო იქ ყოფნა და არა თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ინტერესები და ა.შ." – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

სოციალური მუშაკების ნაწილი ამბობს, რომ აღსაზრდელთა დამოუკიდებლად გადაადგილება სირთულეს წარმოადგენს. ზოგ შემთხვევაში, არ ზრუნავენ, ბავშვს გამოუმუშავდეს ეს მისთვის უმნიშვნელოვანეს უნარი, დამოუკიდებლობისთვის საჭირო სხვა უნარებთან ერთად. სოციალური მუშაკები გამოყოფენ იმ პრობლემასაც, რომ მცირე საოჯახო

ტიპის სახლების აღმზრდელები ხშირად ვერ იღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას, ბავშვი მარტო გაუშვან სადმე , მაგალითად, დაბადების დღეზე, მეგობრებთან და ა.შ.

„მცირე საოჯახო სახლში ცხოვრების დროს ბავშვებს არ აქვთ დამოუკიდებლად გადაადგილების შესაძლებლობა; სახელმწიფო ზრუნვიდან გასვლის შემდეგ ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად სიარულს. როდესაც ბავშვები ჩაკეტილ წრეში არიან და არ აქვთ, სკოლის გარდა, სოციალიზაცია, როდესაც ირიცხებიან სასწავლებელში, უჭირთ ახალ ხალხთან ადაპტაცია, თავის დამკვიდრება. ყოფილა შემთხვევები, რომ თავი დაუნებებიათ სწავლისთვის ამის გამო. ვინც დასაქმებულია, ის დიდი ხანი ვერ ჩერდება ერთ ადგილას. ვერ ეგუებიან დამსაქმებლისგან შენიშვნებს, ხელი ეშლებათ სრულყოფილ ადაპტაციაში“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„მცირეში ძალიან არიდებენ აღმზრდელები თავს პასუხისმგებლობას სადღაც ბავშვის გაშვებაზე. ბავშვს თავისუფლად შეუძლია კლასელის დაბადების დღეზე წასვლა და სოცმუშაკის თანხმობა ამაში არ სჭირდება. თავისუფლად შეუძლია რაიონის ტერიტორიაზე გადაადგილება. გადაწყვეტილება უნდა მიიღოს აღმზრდელმა, ბავშვის ქცევიდან გამომდინარე. არიან 16-17 წლის გოგოები და ბიჭები, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ ამხანაგებთან ურთიერთობის შესაძლებლობა. ღამით დარჩენას რაც შეეხება, ამის უფლებას არ ვაძლევთ ხოლმე. ახლობლები ხომ არიან, რომლებიც გამყვან პირად არიან დარეგისტრირებული და, მათთან წავიდეს თუ არა, ჩვენ ვწყვეტთ. ისედაც საზოგადოებაში აქვთ სტიგმა, რომ ისინი არიან ბავშვთა სახლის ბავშვები და რატომ უნდა გავრიყოთ უარესად, რატომ არ უნდა გავუშვათ დაბადების დღეზე. პროფესიული არის რაიონში და მცირე საოჯახო – სოფელში და უნდა ჰქონდეს ბავშვს იმის უნარი, რომ მივიდეს სასწავლებლამდე; უნდა გაიაროს მაღაზიაში. ყველა წვრილმანს ჩვენთან ხომ არ გაივლიან? ბავშვები არ უნდა შევბოჭოთ“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ჩვენ სხვა პრაქტიკა გვაქვს, საოჯახოში ამ ბავშვებს მეგობრებიც მოსდით. ერთი ბავშვი 17 წლის არის და შინაგანაწესით კი უნდა იყოს 9-ზე [შინ, სახლში], მაგრამ იმას მეგობრები ჰყავს ბევრი და ვუშვებთ გამონაკლისს. ზედმეტად შებოჭვა არ არის სწორი. ბავშვზეც არის დამოკიდებული“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის“ გამოცდილებით, აღმზრდელებმა გამიზიარეს, რომ ბავშვები უნდა დაბრუნდნენ სახლებში 11 საათამდე. თუ 11 საათს გადასცილდება, მათ აქვთ პირდაპირი ვალდებულება, რომ დარეკონ პოლიციაში და შეატყობინონ. აღმზრდელებმაც აღნიშნეს, რომ კარგი იქნებოდა, უფრო გვიან დაბრუნების შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ ბავშვებს, რომ ჰქონდეთ [შესაძლებლობა], მეტი დრო გაატარონ მეგობრებთან, კლასელებთან“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელების თქმით, ისინი ცდილობენ, მაქსიმალურად დაანახვონ ბავშვებს, რომ დამოუკიდებელ ცხოვრებაში ბევრი სირთულე შეხვდებათ და ასწავლონ, როგორ გაუმკლავდნენ მათ.

„სულ ვაჩვევთ, სიძნელე, სირთულე რა იქნება, ეკონომიკური სიდუხჭირე, ურთიერთობა როგორი იქნება სამსახურში, მეზობლებთან, ოჯახის წევრებთან... მინდა, იცოდნენ, როგორ შეეჭიდონ რთულ ცხოვრებას. სულ ვეუბნები, აი, ნახეთ, აქ თქვენ როგორ ლანგარზე გაქვთ ყველაფერი მორთმეული. აი, ნახეთ, მე როგორ ვწვალობ, როგორ ვშრომობ, აქედან იქ გავბივარ, იქედან აქ მოვრბივარ. მინდა, იცოდნენ რომ ვარდისფერი არ არის ეს ცხოვრება, აქედან რომ გავლენ, თუმცა იციან". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

სპეციალისტების თქმით, უდიდეს პრობლემას წარმოდგენს ის, რომ ხშირად 18 წლის შემდეგ ახალგაზრდებს არც წასასვლელი აქვთ და არც მხარდამჭერი ჰყავთ. სპეციალისტების ნაწილი დადებითად აფასებს 18 წლის ასაკის ზემოთ ახალგაზრდებისთვის არსებულ ახალგაზრდულ პროგრამებს (ცენტრალური და მუნიციპალური), თუმცა ისინი მიიჩნევენ, რომ ეს პროგრამები დასახვეწია. ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს პროგრამები არაეფექტურად მუშაობს, რადგან არ ჰყავს/აქვს საკმარისი პერსონალი და დაფინანსება, ასევე, ვერ ემსახურება იმ ახალგაზრდებს, რომლებიც კონკრეტული მუნიციპალიტეტის მკვიდრნი არ არიან (მუნიციპალური ახალგაზრდული პროგრამის შემთხვევაში); ან ახალგაზრდები ვერ სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ქვეპროგრამებით, რისი სავარაუდო მიზეზიც ისაა, რომ განათლებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების კუთხით ზრუნვის სისტემაში მყოფ ბავშვებთან/ახალგაზრდებთან მნიშვნელოვანი სირთულეები იკვეთება და ისინი ხშირად ვერ/არ ხდებიან მითითებული პროგრამების სამიზნე ჯგუფის წევრები (საგანმანათლებლო დაწესებულებების (პროფესიული/უმაღლესი) სტუდენტები/აბიტურიენტები ან დასაქმების ხელშეწყობისა და პროფესიული გადამზადების პროგრამით დაინტერესებული ახალგაზრდები).

„ჩვენ გვყავს რამდენიმე აღსაზრდელი, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს და პროფესიული განათლება. ზოგიერთი უკვე დასაქმებულია, ასევე, რეგიონია და რაიონია და ზოგიერთი ქირის პროგრამაშია ჩართული. მაგრამ არის კატეგორია, რომელიც გახდა 18 წლის და მას არ ჰყავს არავინ ამ ქვეყანაზე და დარჩა ქუჩაში. ყველაზე რთული მომენტი ჩემი მუშაობის... არც ბავშვის სირთულე, არც ის, რომ ფსიქიატრი არ გვყავდა, არამედ ის, რომ ბავშვი 18 წლის ხდება და არავინ ჰყავს მხარდამჭერი და 18 წლის შემდეგ რჩება ქუჩაში, ყველაფრის გარეშე. მე მყავდა ბავშვი, რომელსაც არავინ არ ჰყავდა და აქედან რომ გავიდა, მოხვდა პენიტენციურ დაწესებულებაში, რადგან მეორად მაღაზიაში რაღაც ტანსაცმელი გადაიცვა... დღეს ის გამოვიდა [ციხიდან], მინდოდა, რომ გადაზრდილებში 24 წლამდე სადმე ჩარიცხულიყო, მაგრამ არ არის თბილისის მკვიდრი და, თავისთავად, ვერ ჩავრიცხეთ. რეგიონებში ესეც დიდი პრობლემაა". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ახლაც მყავს სამი აღსაზრდელი, რომელთაც არ ჰყავთ მხარდამჭერი ქსელი. მათ შეუსრულდათ 18 წელი და ვერ ვშვრები იმას, რომ ქუჩაში გავუშვა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩვენ ნამდვილად ვერ ვამზადებთ ბავშვებს იმისთვის, რომ 18 წლის რომ შესრულდებიან, დამოუკიდებლად გაგრძელონ ცხოვრება და მშვიდად იყო, რომ ქუჩაში არ დარჩებიან. ამიტომ ვთვლი, რომ მნიშვნელოვანია „18+ პროგრამის“ ამოქმედება (ცენტრალური და თბილისის მერიის პროგრამა). თავისთავად, პროგრამაში რაღაცეები დასახვეწია, თუმცა მაინც იმედია, რომ ასე არ მოისვრი ბავშვს ქუჩაში 18 წლის მიღწევის დროისთვის; ანუ, თუ ჩაერთო ამ პროგრამაში, ახალგაზრდას აქვს საშუალება, მომწიფდეს და ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავება ისწავლოს. მაგალითად, 17 წლის ასაკში რომ გირიცხავენ ბავშვს, რა უნდა მოასწრო, შესაბამისად, ეს საშუალებას გაძლევს, რაღაც პერიოდი გააგრძელო მასთან მუშაობა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მე ვთვლი, რომ ეს „18+ პროგრამა“ ვერაფერს ვერ აკეთებს. ერთ-ერთი ბავშვია ახლა ჩართული და აქედან ბათუმში მე ვუგვარებ საკითხებს. ჰყავს სოციალური მუშაკი, მაგრამ მაინც ვერაფერს ვერ აკეთებს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის შემზადების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სოციალიზაცია და სოციუმში ინტეგრირება, რაც, ერთეულ შემთხვევებში, შესაძლოა, პრობლემას წარმოადგენდეს, მაგალითად, არასწორი დამოკიდებულება სამეზობლოს მხრიდან:

„იყო რამოდენიმე სახლი და ჩემთვის პრობლემა იყო ის, რომ წლებია, ფუნქციონირებენ და ბავშვების ადაპტირება თემში კიდევ პრობლემა იყო... როდესაც, 10 წელია, პირობითად, სახლი ფუნქციონირებს, ბავშვების მიმღებლობის [კუთხით] სამეზობლოში მუშაობა სერვისპროვაიდერმა უნდა აწარმოოს“. – ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი

ფიზიკური და პირადი გარემო

მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელების უმეტესობა ამბობს, რომ ფიზიკური გარემო მათი სურვილის გათვალისწინებით არის მოწყობილი და მათ აქვთ პირადი სივრცე, რომელიც, შესაძლოა, ადრე არასდროს ჰქონიათ, რაც მათი ოცნება იყო. რამდენიმე აღსაზრდელი ამბობს, რომ ისურვებდა უფრო დიდ სახლს და ინდივიდუალურ ოთახს. ზოგიერთი ბავშვი აღნიშნავს, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლების ნაწილს (განსაკუთრებით იმ მიმწოდებლების შემთხვევაში, რომელთაც ერთ ტერიტორიაზე რამდენიმე სახლი აქვთ) გარედან მაინც ეტყობა, რომ ბავშვთა სახლია და უკეთესი იქნებოდა, სახლი საცხოვრებელ კორპუსში ან სამეზობლოში იყოს.

„პირადი სივრცეებიც ისე გვაქვს მოწყობილი, და ის ავეჯი გვაქვს და ის ინტერიერი, რაც ჩვენ გვინდოდა. ახლახანს გაკეთდა რემონტი და ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც ჩვენ გვინდოდა. ხედავთ კიდევაც, უკან მაქვს თინეიჯერულად გაკრული, რაც მინდა. ეს ალბათ ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, რომ ვიყო მარტო ოთახში და ჩემი გამოფენა მომეწყო". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„კარგი იქნება, უფრო დიდი რომ იყოს სახლი და ინდივიდუალური ოთახი გვქონდეს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„კი, ტერიტორიულად კი ვართ მყუდროდ, მაგრამ შორიდან მაინც ეტყობა, რომ ბავშვთა სახლია. უკეთესი იქნებოდა, კორპუსებში გვეცხოვრა სხვებივით. წითელი ერთნაირი სახლები უფრო ყურადღების მისაქცევია და არაა სასიამოვნო ჩემთვის". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენლის თქმით, მცირე საოჯახო ტიპის სახლების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მხარე საქართველოში არის ის, რომ ბავშვს ოჯახური გარემოს შეგრძნება უჩნდება. აღნიშნულში იგულისხმება არა მხოლოდ ფიზიკური გარემო, არამედ სახლის ყოველდღიურ ცხოვრებაში ბავშვის ჩართვაზე მაქსიმალურად ორიენტირებული ატმოსფეროც. თუმცა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ამ კუთხითაც არსებობს გარკვეული სირთულე, კერძოდ, ის, თუ რამდენად არის უზრუნველყოფილი ყველა მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბავშვების ემოციურ და ფიზიკურ კეთილდღეობაზე მიმართული გარემო.

„საოჯახო ტიპის სახლში [არის] ოჯახური გარემო, ბავშვების ჩართულობა ყველა პროცესში, რასაც სახლში ვაკეთებთ, მაგალითად, სადილის მომზადება, ოთახის დალაგება... პირველ რიგში, რაც მთავარია, არის გარემო, რამაც უნდა განაპირობოს შემდგომ ბავშვის განწყობა. დილით რომ გაიღვიძებ, სად – სახლში რომ იღვიძებ და, სად – ინსტიტუციაში". – სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი

„იკვეთება კიდევ ინფრასტრუქტურული გამოწვევები. ყოველივე დაკავშირებული არის იმ გამოწვევებთან, რაც არის შესაბამისი სახელმწიფო რესურსის აკუმულირება, რათა შევუწყოთ ბავშვებს ხელი, შესაბამისი გარემო შევთავაზოთ, სადაც ყოველმხრივ დაკმაყოფილებული იქნება ბავშვის საჭიროებები". – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

ემოციური მხარდაჭერა: აღსაზრდელების მოსაზრებები

მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს იმას, რომ მათთან ოჯახური გარემოა. ისინი აღმზრდელებს დეიდებს ან დედებს უწოდებენ. ბავშვები ამბობენ, რომ მათ იპოვეს ოჯახი მცირე საოჯახო ტიპის სახლის სახით და ისწავლეს სიყვარული, ასევე, იპოვეს საკუთარი თავი, რომელიც „მანამდე სიბნელეში და წყვდიადში იყო". ისინი ამბობენ: „გვასწავლეს, როგორ გვიყვარდეს საკუთარი თავი".

„აქ კიდევ დედებმა ისეთი სიყვარული მასწავლეს, უკვე აღვნიშნე, რომ სწავლის სტიმული ცალკე მომეცა და დედობრივი სიყვარული, არ ვიცოდი, თუ ვინმე სხვასაც შეეძლო, გაეცა. მაგრამ დღესდღეობით ჩემი ოთხი დედობილი მასწავლის, რა არის დედობრივი სიყვარული, სიღრმისეულად და ცხოვრებისეულად. ამ სახლმა მე... საკუთარი თავი მაპოვნინა, რაც მანამდე მქონდა დაკარგული ოჯახის მხრიდან და 15 წლის ასაკში ისევ დავიბრუნე ოჯახური სიყვარული და საკუთარი თავიც, თავი, რომელიც მანამდე სიბნელეში და წყვდიადში იყო." – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„რაც აქ მოვედი, ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე ბავშვებისგანაც და დედობილებისგანაც, მენეჯერისგან და უფროსებისგანაც. ყველა დამეხმარა გამოსწორებაში. სხვა ადამიანი ვიყავი და ახლა სხვა ვარ, ცხოვრების სტიმული მომეცა. დედობილები დედასავით გვექცევიან. მინდობით აღზრდა მართლა განსხვავდება აქაურობისგან. ისეთი პირობებია, რომ მართლა ოჯახში გრძნობ თავს. ნუ, მთლად ისეთ სითბოს, როგორსაც დედისგან და მამისგან მიიღებდი, ისეთს ვერ იღებენ, თუმცა ეს დედობილები და მამობილები არაფერს გვაკლებენ. პირადად მე ბავშვებთანაც კარგი დამოკიდებულება შემექმნა. ვისწავლე, როგორ უნდა მოვიქცე და როგორ უნდა მოვექცე ადამიანებს, რომელთაც დახმარება სჭირდებათ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩემი აზრით, ძალიან კარგად ახერხებს... მყავს გამორჩეული დედობილი. შეიძლება, ცუდადაც გამომივიდეს, მაგრამ ის დედასთან არის ახლოს და, შეიძლება ითქვას, რომ ზოგჯერ დედაზე მეტადაც მიყვარს. ძალიან მიხარია, რომ გავიცანი, იმიტომ რომ ძალიან ბევრი რამ მასწავლა ცხოვრებაში და მის გამო ნამდვილად ყველაფერზე წამსვლელი ვარ. ნებისმიერ საკითხში ვენდობი, რადგან ვიცი, რომ, რაც არ უნდა ვუთხრა, გვერდში დამიდგება". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ხოდა, მინდობით აღზრდაშიც ხომ ვიყავი და, მგონია, რომ რასაც მინდობით აღმზრდელი გიკეთებს, იმას იმიტომ აკეთებს, რომ მას ფულს უხდიან. თავისთავად, ამ სახლშიც ხელფასის გამო მუშაობენ დედობილები, მაგრამ ამას მე ვერ ვგრძნობ. უმეტესწილად, ისინი მუშაობენ აქ იმიტომ, რომ მე ან ბავშვები უყვართ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

თუმცა ბავშვების ნაწილი ამბობს, რომ, მართალია, მცირე საოჯახო ტიპის სახლი ყველა მიზანს აღწევს და იქ ძალიან კარგი პირობებია, ეს მაინც არ არის ოჯახი და ბოლომდე თავს ისე ვერ გრძნობენ, როგორც ოჯახში. ყოფილი აღსაზრდელები აღნიშნავენ ასევე, რომ იცნობენ სხვა აღსაზრდელებს, რომელთაც მინდობით აღზრდის მომსახურებაში სურთ გადასვლა, რადგან იქ უფრო მეტად ოჯახური გარემოა; თუმცა იცნობენ აღსაზრდელებსაც, რომლებიც მინდობით აღზრდის მომსახურებიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში გადმოვიდნენ, რადგან მინდობით აღმზრდელ ოჯახთან სირთულეები შეექმნათ.

„ჩემი აზრით, ეს-ო-ეს-ი ყველა მიზანს აღწევს, არის ის პირობები, რომ ოჯახური გარემო შეგიქმნას, მაგრამ მაინც ვერ გრძნობ ბოლომდე ოჯახში თავს. დედასთან ყოფნას ვერ შეცვლის. მაგის გარდა, ყველა პირობაა შექმნილი აქ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„გვყავს ერთი მცირეწლოვანი გოგონა, მინდობით აღზრდაში ითხოვდა გასვლას, არა იმიტომ, რომ სახლის სისტემა არ მოსწონს, ოჯახი სურს. ჩვენი ლიდერი იმდენად ჩართულია... ბევრი ოჯახი გაიცნო და სულ ეუბნებიან, შენ გადაწყვიტეო. სახლიდან სახლში გადასვლის მიზეზი იყო ის, რომ ჩვენ გვქონდა ყველაზე მკაცრი წესები... ზოგისთვის არაკომფორტულია და ეს იყო მოტივაცია, რის გამოც გადასვლა უნდოდათ. კონფლიქტი არ ყოფილა მიზეზი არასდროს, უფრო – წესები. მინდობითიდან მოსულა ჩვენთან ბავშვი. მიზეზი იყო ის, რომ ურთიერთობა აღარ სურდა მინდობით აღმზრდელთან ბავშვს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ანუ მე ჯერ ვიყავი მინდობით აღზრდაში, შემდეგ დავბრუნდი ოჯახში, შემდეგ ოჯახს შეექმნა კიდევ რაღაც პრობლემა, ისევ შემომთავაზეს მინდობით აღზრდა და მე უარი ვუთხარი, რადგან იქ ისეთი რაღაცეები ხდებოდა, არ მინდოდა და მერე გადმომიყვანეს აქ. და რომ მკითხოთ, რომელი გირჩევნიაო, ვიტყვი: მცირე საოჯახო". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

ბავშვები ერთმანეთისგანაც გრძნობენ მხარდაჭერას და გულითად დამოკიდებულებას. ასევე, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ სხვა აღსაზრდელებს ესმით მათი ცხოვრებისეული გამოცდილება, რადგან თავადაც მსგავსი სირთულეები გამოუვლიათ. თუ ბავშვის პრობლემა სახლისა და აღმზრდელის დონეზე ვერ გვარდება, ერთვება ლიდერი, სოციალური მუშაკი ან დამატებით სპეციალისტი, მაგალითად, ფსიქოლოგი/ფსიქიატრი.

„ჩემის აზრით, კარგია, ბევრნი რომ ვართ, რადგან წარსულს რომ ვუზიარებთ ერთმანეთს, მაგითაც მაგარია. როდესაც აქ მოვედი და როდესაც ჩემი წარსული მოვყევი, ძალიან ცუდად ვიყავი, რადგან მეგონა, რომ ყველაზე მძიმე წარსულის მქონე ბავშვი ვარ-მეთქი, ძალიან დიდ ტვირთს ვზიდავ-მეთქი. ბავშვები დამეხმარნენ, დამშვიდდიო, იმიტომ რომ თავისი პრობლემები რომ მომიყვნენ, მივხვდი, რომ ერთადერთი არ ვიყავი, ვისაც ასეთი პრობლემები ჰქონდა. მე ვერ ავდგებოდი და ამას სხვას ვერ მოვუყვებოდი. ძალიან ბევრი საუკეთესო მეგობარიც მყავდა, მაგრამ მაინც ვერ მოვუყვებოდი. დღეისათვის ამ ბავშვებმა და დედობილებმა მე გამხსნეს და ჩემს მეგობრებს თამამად მოვუყევი, რომ მე ვიზრდები ბავშვთა სახლში, ძალიან მაგარ აღმზრდელებთან და ძალიან მაგარ ბავშვებთან ერთად. ანუ ჩაკეტილი ბავშვი რომ ვიყავი, დღეისათვის კომუნიკაცია მაქვს ბავშვებთან, ხალხთან და ყველასთან". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„[ფსიქოლოგი] გვამხნევებს, მივდივარ ხოლმე და ველაპარაკები ინდივიდუალურად". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„მირჩევნია, მეგობრებს გავუზიარო, ვიდრე ფსიქოლოგს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩემს შემთხვევაში, თუ ახლა რაიმე შფოთვა ან რაიმე ისეთი მაქვს, ჩვენთან მეგობრული გარემოა და შემიძლია, აღმზრდელებს ვუთხრა, მაგრამ, ჩვენს საოჯახო სახლს ჰყავს პერსონალური ფსიქოლოგი, რომელთანაც ნებისმიერ დროს შესაძლებელია საუბარი“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„[თუ ბავშვს რამე აწუხებს ან აშფოთებს], საწყის ეტაპზე მორიგე აღმზრდელთან [განიხილავს], რომელიც გადასცემს პირად აღმზრდელს. თუ ეს ტკივილი იმდენად დიდია, რომ საჭიროა ლიდერზე გადაცემა, მასაც გადასცემს. თუ ლიდერმა დაინახა, რომ სხვისი ჩარევაა უკვე საჭირო, გადასცემს სოცსააგენტოს ან ორგანიზაციის ფსიქოლოგს და, რა თქმა უნდა, ეს ხდება ბავშვთან შეთანხმებით. თუ ფსიქოლოგი ვერ გაუმკლავდა, ერთვება ფსიქიატრი“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების ფოკუსჯგუფი

ზოგი აღსაზრდელი ამბობს, რომ არავინ ჰყავს, ვინც შეძლებს მის დახმარებას ემოციური მხარდაჭერის თვალსაზრისით.

კითხვა: *„როდესაც რაღაც პრობლემა გექმნებათ ბავშვებს, ვისი მხარდაჭერის იმედი გაქვთ?“*

პასუხი: *„არავის“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

ემოციური მხარდაჭერა: სპეციალისტების მოსაზრებები

სპეციალისტები ამბობენ, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ცხოვრებასთან შეგუება და შემდგომი ყოფა, ისევე, როგორც ემოციური სტაბილურობა, დიდწილად, განპირობებულია იმით, თუ რა ასაკში შემოვიდა ბავშვი მცირე საოჯახო ტიპის სახლში – თუ ბავშვი მცირე ასაკში შედის მცირე საოჯახო ტიპის სახლში, უფრო იოლად ეჩვევა იქ ცხოვრებას, ვიდრე უფროსი ასაკის ბავშვი. გარდა ამისა, სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლის პირობებში გაძნელდება შედეგის მიღწევა ნივთიერებაზე ან სხვა დამოკიდებულების მქონე, ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებთან, რადგან მათ სჭირდებათ „სპეციალიზებული დაწესებულებები, სადაც უმკურნალებენ“. ამ ბავშვებს „რთულებად“ მოიხსენიებენ მცირე საოჯახო ტიპის სახლების თანამშრომლები. მცირე საოჯახო ტიპის სახლების პერსონალის ნაწილი თვლის, რომ დიდ ასაკში შემოსული ბავშვების შემთხვევაში, რომელთაც ქცევითი და ემოციური სირთულეები აქვთ, მცირე პროგრესიც დასაფასებელია, მაგალითად, ის, რომ ბავშვი კონტაქტს ამყარებს აღმზრდელთან.

„მიღწევები არის იმიტომ, რომ ეს ბავშვები ჩვენთან მცირე ასაკში შემოვიდნენ, ურთულესები იყვნენ, მაგრამ მცირე ასაკის იყვნენ და ჩვენი დიდი ძალისხმევით ეს ყველაფერი გამოკეთდა. ზოგან ბოლომდე, ზოგან ნახევრად. ყოველ შემთხვევაში, საკუთარი ადგილი ამ საზოგადოებაში მოძებნეს. ჰოდა, ახლა ეს რთულები რომ შემოდიან, უკვე 15-16-17 წლის, დამოკიდებულები რაღაცეებზე, მე არ მგონია, ვინმემ

შეცვალოს ისინი. მცირე საოჯახოები მათ ვერ შეცვლიან, ამათ სჭირდებათ სპეციალიზებული დაწესებულებები, სადაც მათ უმკურნალებენ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„უკვე მიღწევაა, რომ მე ისეთი რთული ბავშვი მყავს, რომელმაც ურთიერთობა არ იცის ადამიანებთან, უკვე 17 წლის არის და, ეტყობა, რომ მასზე არასდროს არავის უზრუნია და არასდროს არავის სითბო არ მიუცია მისთვის. ახლა ვიღაც რომ ზრუნავს მასზე და გაიღებს ყურადღებას, ისე შემოვიდა ჩვენთან ურთიერთობაში, ვგრძნობ, რომ უკვე გაკეთებულია საქმე, მცირედით, მაგრამ მაინც. ისეთ სასწაულ შედეგებს ვერ დავდებთ ჩვენ 15-17 წლის ბავშვებთან, უკვე ჩამოყალიბებული რომ შემოდიან, მაგრამ არ არსებობს, რაღაც შედეგი არ გამოიღოს ჩვენთან პატარა ხნით ყოფნამ. გამოხედვაში მიგრძნია. ახლად მოსულ ბავშვს, რომელიც აკვირდება ჩემს და, პატარაობიდანვე ვინც ჩვენთანაა, მასთან ურთიერთობას, თვითონაც ცდილობს, ჩაერთოს საოჯახო საუბრებში, რაც უკვე მიღწევაა. ასე მგონია“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

აღმზრდელები ამბობენ, რომ ბავშვები, რომლებიც გადიან მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან, ხშირად აკითხავენ მათ, უკვე საკუთარი ოჯახებითაც, და მცირე საოჯახო ტიპის სახლს საკუთარ ოჯახად თვლიან. მაგალითად, „ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელში“ ადრე „სოს დედა“ ერქვა აღმზრდელს და დღესაც შეიძლება ამ ადამიანს დედა დაუძახონ.

„26 ბავშვი იყო დაახლოებით ჩვენს მომსახურებაში და მათგან 20 მაინც მეხმიანება, 10 – ყოველდღიურად. თუ რაიმე არის მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი – ქორწინება, შვილის გაჩენა, მშობელზე ადრე ჩვენ გვაგებინებენ. ეს მიმაჩნია, რომ არის ჩვენი დამსახურება ნაწილობრივ, ზოგიერთის შემთხვევაში, მიუხედავად დროის მცირე პერიოდით ყოფნისა. იმდენად მჭიდრო დამოკიდებულება აქვთ, რომ ჩემთან სახლშიც მოდიან საკუთარი ქმრებით და სახლშიც მსტუმრობენ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„კი, როგორ არა, ჩვენთანაც არის მიღწევები, დაახლოებით ბავშვების 30%-მა უმაღლესი განათლება მიიღეს, ოჯახები შექმნეს, ერთმანეთს არ კარგავენ, ერთმანეთს ეხმარებიან. მე მიხარია, რომ ეს-ო-ეს-ის სახლი მათთვის მშობლიური იყო და დარჩა. დღესაც რომ შემოდიან, თავის ოთახს რომ ნახავენ, ენატრებათ და თვლიან, რომ ეს იყო მათი ოჯახი, რომელიც ყოველთვის მათთან არის. დღემდე ჩვენ ვართ მათთვის დედა. როგორც ადრე, ახლაც გვეძახიან „დედას“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

აღმზრდელების ნაწილი ამბობს, რომ ემპათიას ბავშვების მიმართ ყოველთვის გამოაქვს შედეგი. მათი ნაწილი იაზრებს იმ ტრავმულ გამოცდილებას, რომელიც ხშირად საფუძვლად უდევს ბავშვების მძიმე ქცევით სირთულეებს.

„[ყველა] ბავშვს, თუნდაც მას, რომელიც მავნე ნივთიერებებზეა დამოკიდებული, ქცევებთან მიმართებით, რაღაც მძიმე წინაპირობა აქვს. მქონია შემთხვევები, მუხლებზე დაჩოქილი ვყოფილვარ ბავშვთან და მისი ემოცია განმიცდია მე“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

სარეაბილიტაციო მომსახურებები

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამაში, კერძოდ, მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამაში, შეტანილია სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში რთული ქცევის მართვის მომსახურებით უზრუნველყოფის კომპონენტი, რომელიც დაფუძნებულია ახალგაზრდების ძლიერი მხარეებისა და უნარების აღმოჩენასა და გაძლიერებაზე. ამ კომპონენტს მეტი შესაძლებლობა აქვს, მხარდაჭერა გაუწიოს ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვებს. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, ასეთი სახის მცირე საოჯახო ტიპის სახლი ქვეყანაში ჯერ არ ფუნქციონირებს, რადგან არ არსებობს მსგავსი გამოცდილების, კომპეტენციისა და სურვილის მქონე ორგანიზაცია.

მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურების მიმწოდებლები საუბრობენ იმაზე, რომ მათ ჰყავთ ფსიქიკური ჯანმრთელობის, ქცევითი და ემოციური სირთულეების, ძალადობრივი ქცევისა და სხვა სირთულეების მქონე ბავშვები, რომელთაც ვერ რთავენ ვერანაირ სარეაბილიტაციო მომსახურებაში იმის გამო, რომ ასეთი მომსახურება ფიზიკურად არ არსებობს. ამის გამო ზიანდებიან სახლში მცხოვრები სხვა ბავშვები, რომლებიც ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი ქცევითი სირთულეების მქონე აღსაზრდელების მხრიდან. მიმწოდებლების თქმით, ფაქტობრივად, ესაა ბავშვების „გადაგდება“ ერთი ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებული სახლიდან მეორე ორგანიზაციის მიერ ადმინისტრირებულ სახლში, შემდეგ მეორედან – მესამეში და ა.შ.; ამგვარი როტაციით კონკრეტული მიმწოდებელი „დროებით ამოისუნთქავს“, მაგრამ კონკრეტული ბავშვის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება. მცირე საოჯახო ტიპის სახლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს მომსახურება არასდროს ყოფილა გათვლილი და ჩაფიქრებული, როგორც სარეაბილიტაციო მომსახურება. მათ ჰყავთ ბავშვები, რომელთა ქცევას ვერ მართავს მცირე საოჯახო ტიპის სახლის მიერ დაქირავებული ფსიქიატრი ან ფსიქოთერაპევტი; შესაბამისად, სრულიად წარმოუდგენელია, როგორ უნდა მართოს ეს სირთულე მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელმა. ასევე, მნიშვნელოვანი საჭიროებაა ინდივიდუალური ფსიქოთერაპია, რის საშუალებაც ყველა მცირე საოჯახო ტიპის სახლში არ არის (უფრო ხელმისაწვდომია ჯგუფური შეხვედრები ფსიქოლოგთან). აღსანიშნავია, რომ ძნელია ბავშვების ნაწილის დათანხმება სპეციალისტთან (მაგალითად, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი) მუშაობაზე. თუმცა, მინდობით აღმზრდელთან შედარებით, მეტი მხარდაჭერა აქვს მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელს, რადგან მას ჰყავს სპეციალისტების გუნდი და მარტო არ რჩება არსებული სირთულეების წინაშე. გარდა აღნიშნულისა, შიდა მონიტორინგი და მხარდაჭერის სისტემები ორგანიზაციის მხრიდან ხელს უწყობს პრობლემებთან უფრო ეფექტიანად გამკლავებას. გარდა ამისა, თუ არსებობს ისეთი

მომსახურებები, როგორიცაა, მაგალითად, დღის ცენტრი შშმ ბავშვებისთვის, მცირე საოჯახო ტიპის სახლისთვის ეს მნიშვნელოვანი დახმარებაა, თუმცა ისინი მეტ მხარდაჭერას საჭიროებენ მრავალფეროვანი მიზნობრივი მომსახურებებით/სპეციალისტებით (მაგალითად, სარეაბილიტაციო პროგრამები/მომსახურებები, კვალიფიციური ფსიქოთერაპევტები, სხვა მხარდამჭერი სპეციალისტები). მცირე საოჯახო ტიპის სახლების თანამშრომლები მიუთითებენ იმაზედაც, რომ ამ სირთულეებთან გამკლავება პერსონალის გადაღლას, გადაწვასა და სხვა ბავშვებისთვის სათანადო ყურადღების მოკლებასაც გულისხმობს.

„კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა: თუ მე ვზრუნავ ბავშვების განათლებაზე, ჯანმრთელობაზე და ამასობაში მყავს ფსიქიატრიული ბავშვი სერვისში, მოძალადე ბავშვი მყავს სერვისში, და ამ ბავშვებს ვერ ვრთავ მიზნობრივ მომსახურებებში მათი არარსებობის გამო, მე რა გავაკეთო? სხვა ბავშვი რომ ზიანდება, სად ვარ მე საერთოდ? რისი მაქნისი ვარ, როდესაც ჩემს თვალწინ ხდება ბავშვების დაზიანება? ძალადობა ბავშვებზე, ბავშვების დანგრევა, იმიტომ რომ ბავშვს უნდა სწავლა და განვითარება და მეორე ამის საშუალებას არ აძლევს. და რა ხდება ასეთ დროს? სამშობიარო ტკივილის მსგავსად, დროებით რომ ჩერდება ტკივილი, დროებით ამ ბავშვს შენთან შეაკავებ, შემდეგ სხვა სერვისპროვაიდერს გადაუგდებ, მე ამოვისუნთქავ და სხვა სერვის პროვაიდერი იქნება დაძაბული; მერე ის გადაუგდებს და თვითონ ამოისუნთქავს და დადის ეს ბავშვი ასე გაუთავებლად. შედეგზე ვერ გავდივარ, ბავშვებს ვერ ვშველით. ანუ ერთგვარად ეს არის ცეცხლის ჩაქრობის მიდგომა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჯერ ერთი, რომ არ გყავს ასეთი რთული ქცევის [სხვა ბავშვები], ისინი უკვე თავისკენ მიჰყავს [რთული ქცევის მქონე ბავშვს]. მერე [ბავშვი], რომელიც მიჩვეულია ნარკოტიკს, მიჩვეულია სასმელს, [რომ შემოდის], მერე იწყება გაქცევები, სულ პოლიცია... უმრავლესობაში კი მოვახერხეთ, მავნე ჩვევები მოგვესპო, მაგრამ მყავდა, მაგალითად, ბავშვი, რომელიც შემომივიდა ოქტომბერში და მყავს შშმ ბავშვი, რომელსაც აქვს ფსიქოლოგიური პრობლემები. იმ დონეზე გააგიჟეს ერთმანეთი, რომ ერთ თვეში ორჯერ მყავდა ეს ბავშვი გადაყვანილი სტაციონარში. ესაა, რომ შემოდის, მერე პროვოცირებას სხვა ბავშვებს უკეთებს ასეთი რთული ქცევის ბავშვი... რთული ქცევის როცაა ბავშვი, ღამეებს ვათენებთ და ისეთი მომსახურება გვაქვს, რომ მე 5 დღე და ღამე ვარ აქ და ღამეს რომ გავათენებ, სხვა ბავშვს როგორ უნდა მივცე ის ყველაფერი, რაც მას სჭირდება. ერთი და ორი ასეთი რომ შემოდის, აბსოლუტურად თავდაყირა გიყენებს შენს გაკეთებულს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„არც ჩვენი სახლია გამონაკლისი. ამ ბოლო დროს სულ რთული ბავშვები, სამი შშმ ბავშვი გვყავს, მაგრამ, საბედნიეროდ, მოგვეხმარა ჩვენი ორგანიზაცია და ზრუნვის სააგენტო და დღის ცენტრში დაგვყავს ეს სამი ბავშვი და ძალიან დიდი განმუხტვაა მცირე საოჯახოსთვის“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„როდესაც ბავშვი გამოჰყავთ თუნდაც ოჯახიდან, თუნდაც სხვა სერვისიდან, იმიტომ რომ იქ არის ძალადობის მსხვერპლი, როდესაც შემოდის ჩვენს მცირეში, შეიძლება, უარესი ძალადობა განიცადოს, იმიტომ რომ ისეთი ბავშვების გარემოცვა ხვდება და ისეთი სიტუაცია ხვდება, შეიძლება, უარეს მდგომარეობაში ჩავარდეს. და არავინ არ განიხილავს, რა რისკები მოჰყვება ამა თუ იმ ბავშვის ჩარიცხვას ამა თუ იმ სახლში. აი, ასე, კოხტად მოჰკიდებენ ხელს და გააგდებენ, ვთქვათ, გურიაში, შემდეგ – რუსთავში. აი, ზუსტად 5 წუთის წინ ფოსტერიდან ჩაგვირიცხეს ბავშვი და, მიზეზი რა იყო? არაფერი – სექსუალური გამოცდილება აქვს და მართლმადიდებელი ოჯახია და არ უნდა სექსუალური გამოცდილების მქონე ბავშვი“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ფოსტერისგან განსხვავებით, მცირეს ძლიერი მხარეა პროფესიონალთა ძლიერი გუნდის არსებობა, ასევე ის, რომ აღმზრდელი მუდმივად იღებს პროფესიონალებისგან დახმარებას, ანუ აღმზრდელი არასდროს არ რჩება მარტო ბავშვთან, იქნება ეს პროფესიული განვითარება, ან რაიმე რთულ შემთხვევაში მოქმედება. ფოსტერიდან ზუსტად მაგიტომ გამოდიან ბავშვები, რომ იმ კრიტიკულ მომენტებში მინდობით აღმზრდელების გვერდით არავინ არ არის და მას მარტო უწევს ამ სირთულეებთან გამკლავება. ეს ჩვენთან არ არის. ყველა ორგანიზაცია ვიცი, ვიღაცას შეიძლება სრულად არ ჰყავდეს გუნდი, თუმცა ძირითადი გუნდი, რომელიც აღმზრდელს ეხმარება, ყველა ორგანიზაციაში არის. ძლიერი მხარეა, ასევე, მონიტორინგის სისტემა, როდესაც თავად ორგანიზაცია უწევს მონიტორინგს აღმზრდელების მუშაობას, ბავშვების შემთხვევების მიმდინარეობას. ამით გავდივართ გარკვეულ შედეგებზე“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მზად ვართ რთული [ბავშვებისთვის]. უბრალოდ, უნდა დაგვეხმაროს სახელმწიფო იმაში, რომ რეგიონებში სოციალური მუშაკები იყვნენ უფრო გააქტიურებული, გვყავდეს ფსიქოთერაპევტი. მარტო ფსიქოლოგი, რომელსაც აღებული აქვს დიპლომი, – არა. ოზურგეთის ფსიქოლოგი მეუბნება, რომ მოვდივარ შენთან, და მერე მივდივარ, ისე კარგად ვარ, დამუხტულად მივდივარ და რაღაცნაირად. ჩემგან კი არ უნდა იღებდეს, მისგან უნდა ვიღებდე რაღაცეებს მე“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„კი, ადგილზე ორგანიზაციებს აქვს ან არ აქვს სერვისი ფსიქოლოგის, მაგრამ, ძირითადად, ჯგუფური არის ეს ინტერვენცია. ხშირად იკვეთება საჭირობა, რომ ფსიქოლოგის ინტერვენცია ძლიერი იყოს, ასევე, რომ გაიცეს რეკომენდაციები აღმზრდელების მიმართ“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

„ფსიქოლოგთან თანამშრომლობენ და ძალიან კარგია ეს, დადებითად აისახება მათ ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე. გვყავს ბავშვები, რომლებსაც საერთოდ გაგონება არ უნდათ არცერთი სპეციალისტის, და მანდ ძალიან ჩიხში ვართ ხოლმე. რა მიმართულებით წავიდეთ, აღარ ვიცით. ძალიან რთულია, როდესაც შენ კომუნიკაციას

ვერ ამყარებ, რომ მოზარდთან რაღაცა დაგეგმო“. – ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენელი

მცირე საოჯახო ტიპის სახლებისთვის განსაკუთრებით რთულია ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვების შემთხვევების მართვა, რადგან ნაკლებად კეთდება აქცენტი პრევენციაზე და, ძირითადად, „ცეცხლის გაჩენის“ შემდეგ იწყება მის ჩაქრობაზე ზრუნვა. ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა ქვეყანაში სათანადო კვალიფიკაციისა და მიდგომის მქონე ფსიქიატრების და სხვა დამხმარე სპეციალისტების დეფიციტი. ამასთან, ფსიქიატრები ბავშვების მდგომარეობას, როგორც წესი, მხოლოდ ფსიქოტროპული მედიკამენტებით მართავენ, როცა ბავშვს სხვა სახის (სარეაბილიტაციო, თერაპიული და სხვ.) მხარდაჭერაც ესაჭიროება. შესაბამისად, ხშირია ბავშვების ხშირი ჰოსპიტალიზაცია ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, რაც სასიკეთოდ ვერ ცვლის მათ მდგომარეობას.

„ჩვენთან, გურიაში, ძირითადად, რისი პრობლემაც გვაქვს და რის გამოწვევის წინაშეც ვართ, არის ის, რომ ფსიქოლოგიური თერაპია არ ტარდება საერთოდ. გვყავს 4 სტატუსის მატარებელი ბავშვი, მედიკამენტებზე დამოკიდებული. არ გვყავს ბავშვთა ფსიქიატრი და მართლა შიშველი ხელებით, არაკვალიფიციური ვარ მე და, ჩემი გამოცდილებიდან და მენეჯერთან შეთანხმებით, ვიღაც სპეციალისტთან რეკვით და აქედან გაგებული ინფორმაციით ვცდილობთ, სახლში გვქონდეს მშვიდი გარემო, რომ რაღაც არ გართულდეს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩხოროწყუში მეც მაქვს მცირე საოჯახო ტიპის სახლი. ძალიან დიდი სირთულეების წინაშე აღმოვჩნდით. ადგილზე ფსიქიატრი არ გვყავს დღემდე და გვიწევს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში გადაყვანა. როდესაც ცოტა დავასტაბილურებთ სიტუაციას, ახალი ბავშვი შემოდის რთული ქცევით და თავდაყირა დგება ყველაფერი“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„რა თქმა უნდა, ფსიქიკური ჯანმრთელობის [პრობლემები აშკარაა], რადგან კანფეტებივით ყლაპავენ უკვე ბავშვები ტრუქსალს და კარბამაზეპინს. ქვეყანაში არ არსებობენ ბავშვთა ფსიქიატრები. ამიტომაც ბავშვები გამომწყვდეულები არიან თემქაზე [ბავშვთა ფსიქიატრიულ განყოფილებაში]; ვერანაირად არსებულ მდგომარეობას ვერ ცვლის იქ მოხვედრა და პრობლემაც ვერ გვარდება“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩვენი მთავარი სირთულე რაც არის, რეალურად: სანამ პრობლემა გვაქვს სახეზე, მანამდე უნდა იწყებოდეს ამაზე მუშაობა. ყველაზე წარმატებული არის ხოლმე პრევენციაზე მუშაობა, ვიცით ყველამ თეორიულად. ჩვენი გამოწვევებიდან გამომდინარე, [ეს] შეუძლებელია და უკვე პატარ-პატარა ცეცხლები რომ გაჩნდება, მის ლოკალიზებაზე გვიწევს ხოლმე მუშაობა. სადაც ძლიერია სერვისპროვაიდერი, არ არის მხოლოდ სახელმწიფო ვაუჩერულ დაფინანსებაზე და მას კიდევ სხვა დაფინანსების წყაროები აქვს... მაინც მე ვფიქრობ, როდესაც პრობლემა ვლინდება,

მაშინ იწყება ხოლმე მუშაობა“. – ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენელი

„მრავლობითი ტრავმული გამოცდილების მქონე ბავშვებისთვის [საჭიროა] ფსიქოთერაპიული მხარდაჭერა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლებისთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს სუიციდის რისკი და მისი მართვა. იყენებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას, თუმცა, თუ ბავშვი გადის სახლიდან რამდენიმე დღით, ამ პერიოდის განმავლობაში მედიკამენტს ვერ იღებს. ამ შემთხვევაში, მცირე საოჯახო ტიპის სახლები რთავენ პოლიციას, თუმცა ესეც უშედეგოა.

„არის ბავშვი, რომელსაც აქვს სუიციდის მცდელობები. ორჯერ ფსიქიატრიულში იყო. იყო გაპარული, დაბრუნდა გუშინწინ საღამოთი და დღეს ისევ წავიდა. ეს არის წამალდამოკიდებული და არის ფსიქიატრიულში აღრიცხვაზე. იღებს მედიკამენტებსაც, თუმცა, როცა წასულია, რა თქმა უნდა, მედიკამანეტებსაც არ იღებს... გააჩერა პოლიციამ გზაში და, ერთი ამბავი დაგვაწიაო, თქვენო, რატომ მაჩერებთო. არ გაქვთ ჩემი გაჩერების უფლებაო. 17 წლის არის ბავშვი. ვერაფერი ვერ ქნა პოლიციამ. ახლაც რომ წავიდა, გამოვიძახეთ პოლიცია. მან დააფიქსირა, ანუ არანაირი ბერკეტი არ აქვს არც სოციალურს. გვყავს კიდევ ერთი რთული ქცევის ბავშვი; წავა, შემდეგ დილის 5 საათზე მოიყვანა პატრულმა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის განცხადებით, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვების მიმართ მცირე საოჯახო ტიპის სახლების პერსონალის მხრიდან ვლინდება სტერეოტიპული დამოკიდებულება, წინასწარი განწყობა, სათანადო კომპეტენციების არარსებობა. გარდა ამისა, ეს ბავშვები ხშირად გადაჰყავთ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, რადგან ალტერნატივა არ ჩანს.

„სწორი მართვა უნდა მოხდეს, სტერეოტიპულ დამოკიდებულებებზეც როდესაც ვსაუბრობთ, სამწუხაროდ, ამ მიმართულებითაც ვლინდება [სირთულეები]... ასევე, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გადაყვანა არ არის გამოსავალი. კი, როდესაც გამწვავება არის და შესაბამისი საფუძველი არსებობს, ეს შეიძლება იყოს გამოსავალი... მნიშვნელოვანი არის, სპეციალისტებმა სხვადასხვა მიმართულებით იმუშაონ და გასცენ რეკომენდაციები, მათ შორის, ესკალაციის პრევენციის, ფსიქიკური გამწვავების თვალსაზრისით ან შემთხვევის შემდგომი სწორი მართვის თვალსაზრისით, რათა ბავშვებს არ შეექმნათ საფრთხე და იქ დასაქმებულმა პირებმა უზრუნველყონ ბავშვების და საკუთარი უსაფრთხოება. თუმცა ჩვენ გვინახავს, რომ ყოფილა მსგავსი ფაქტები, რომ სწორი მართვა ვერ უზრუნველუყვიათ, მათ შორის, ტექნიკების (მეთოდების) არარსებობის და დამატებითი რესურსების არარსებობის თვალსაზრისით. გამოსავალი არ შეიძლება იყოს ლოდინი, როდის მოხდება ფსიქიკური გამწვავება და...

ბავშვის დაწესებულებაში გადაყვანა“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

სპეციალისტები ხაზს უსვამენ იმას, რომ ნივთიერებებზე, გაჯეტებზე და ა.შ. დამოკიდებულებები მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, თუმცა სარეაბილიტაციო სერვისების ხელმისაწვდომობა ამ შემთხვევაშიც ძალიან პრობლემურია. მცირე საოჯახო ტიპის სახლების თანამშრომლები აღნიშნავენ იმასაც, რომ რთული სიტუაცია იქმნება, თუ სოციალურ მუშაკს შემოჰყავს შედარებით უფროსი ასაკის ბავშვი და მას ნებას რთავს, მოწიოს თამბაქო მცირე საოჯახო ტიპის სახლში, რადგან ამ ქცევას სხვა ბავშვებიც ხედავენ.

„ჩვენ გვყავს, მაგალითად, ნიკოტინზე დამოკიდებული. თუ სიგარეტი არ ექნა სახლში, ცდილობს, თვითონ იშოვოს. ფული არ აქვს. აღმზრდელებს აყენებს უხერხულ მდგომარეობაში. ანგრევს, ამტვრევს ყველაფერს და ამით გამოხატავს პროტესტს – მიყიდეთ, მომიტანეთ სიგარეტიო. ჩვენ არ გვაქვს ეს ვალდებულება, რომ სიგარეტი მივუტანოთ და ვართ ძალიან ცუდ დღეში“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელების ფოკუსჯგუფი

„სიგარეტი აღარ არის პრობლემა, პრობლემაა მარიხუანა და ალკოჰოლი“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„კი, ძალიან მნიშვნელოვანი არის [დამოკიდებულებების პრობლემა], თუმცა უფრო მავნე სუბსტანციებზე დამოკიდებულებას [გამოყოფენ] უფრო ხშირად, თორემ ინტერნეტსაც ასახელებენ... გამოსავალი ზოგიერთ მცირეში ნახეს, რომ შეუზღუდონ ინტერნეტზე წვდომა, ან ბავშვებმა ღამე დატოვონ გარკვეულ ადგილას ტელეფონები, რაც ხშირად კონფლიქტის საფუძველია... ასევე, მუშაობის თვალსაზრისით, დამოკიდებულების პრევენცია და შესაბამისი მუშაობა უნდა მოხდეს, ალტერნატიული ღონისძიებებით ჩანაცვლება. რას ვთავაზობთ ბავშვებს ალტერნატივად? სხვადასხვა განმავითარებელი აქტივობები, ერთობლივი აქტივობები...“ – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

„რაც შეეხება საჭიროებებს, [აუცილებელია] მხარდამჭერი მომსახურებები წამალდამოკიდებული ბავშვების შემთხვევაში“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„სოციალურმაც, ერთი ბავშვი რომ შემომიყვანა, მეუბნება, ეს სიგარეტს ეწევა და არ დაუშალო სიგარეტის მოწევაო. მყავდა ბავშვები, არცერთი მათგანი არ ეწეოდა და იმას რომ უყურებდა და მერე პატარას გაასინჯა და დააწყებინა მოწევა... სოციალური მუშაკიც არ უნდა გეუბნებოდეს მაგას. პირიქით, შენს გვერდით უნდა იყოს, მავნე ჩვევებს იქნებ გადააჩვიო“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ, ანტისოციალური ქცევისა და კრიმინალთან დაკავშირებული სირთულეების არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოს მიმართავენ დახმარებისთვის, მაგრამ ვერ იღებენ საჭირო მხარდაჭერას, რადგან არ არსებობს სხვა მომსახურება (განსაკუთრებით, დახურული ან ნახევრად დახურული), რომელიც ამ ბავშვების საჭიროებებზე იქნებოდა მორგებული. შესაძლოა, ძალიან სარისკო ქცევის მქონე ბავშვი მოხვდეს მცირე საოჯახო ტიპის სახლში, სადაც ძალიან დიდ სირთულეს წარმოადგენს რისკების მართვა ამ ბავშვისა და სხვა ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

> *„სრულიად არასერიოზული დამოკიდებულებაა სახელმწიფოს მხრიდან, რადგან ნებისმიერ თემაზე, რაზედაც არ უნდა მივმართოთ, რაც არის ჩვენი კომპეტენციის მიღმა, პირდაპირ კრიმინალთან როდესაც არის საქმე და შავ სამყაროსთან, იქ გვჭირდება მათი დახმარება“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„ჩვენ ვქირაობთ სპეციალისტებს, მაგრამ ბავშვი მომსახურებების მიღებაზე აცხადებს უარს, არ უნდა; შესაბამისად, უძლურები ვართ და ვერაფერს ვერ ვაკეთებთ. არ არსებობს ნახევრად დახურული ან დახურული დაწესებულება. ჯვარი სწერია, ხვალ 13 წლის ბავშვმა ვიღაც რომ მოკლას, ჩვენს სერვისში შემოვა, იმიტომ რომ სხვა არაფერი არ არსებობს. მასე მყავდა სერვისში 12 წლის ჯგუფურ გაუპატიურებაში ჩართული ბავშვი, იმიტომ რომ სხვა არაფერი არ იყო მისთვის“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

მცირე საოჯახო ტიპის სახლების წარმომადგენლები საუბრობენ იმ პრობლემაზე, რომ სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ბავშვები მცირე ასაკის, სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვებს რთავენ სხვადასხვა ანტისოციალურ და კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში, მაგალითად, ქურდობასა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებებში. უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის ეს უფროსი ასაკის ბავშვები შეიძლება ავტორიტეტებიც იყვნენ და ეშინოდეთ კიდეც მათი. აღმზრდელები ამბობენ, რომ მოზარდები მათაც აყენებენ შეურაცხყოფას. აღმზრდელები გამოსავალს მიდგომების გამკაცრებაში ხედავენ. იკვეთება აღმზრდელების მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულებაც, ბრაზი და აგრესია ზემოაღნიშნული სირთულეების მქონე ბავშვების მიმართ.

> *„16 წლის ბავშვებმა იციან, რომ, რამეს თუ დააშავებენ, მათ უკვე მოსთხოვენ პასუხს, შესაბამისად, იყენებენ პატარა ასაკის ბავშვებს. რომ მოვიკითხავ, სად არის ეს ბავშვი, მპასუხობს, წასულია, არ ინერვიულო, მოვა ამ დროს და მოიტანს ამას (მოიპარავს), მოიტანს ამას (სიგარეტს, დასალევს, მოსაწევს). და მერე ეძებენ ბოთლებს. ანუ ასე ახდენენ გავლენას სხვა ბავშვებზე. შიშიც აქვთ და ავტორიტეტები არიან ამ [პატარა] ბავშვებისთვის. მაგალითად, მძინარე ბავშვს ააყენებენ 10 საათზე და გაიყვანენ. თვითონ არიან სახლებში და ელოდებიან. მოვა მერე ის, მოიტანს ამას, დახვდებიან ჭიშკართან, ეს შემოვა და დაწვება. ასევე, ბიოლოგიურ ოჯახში რომ არის ბავშვი გასული, რომ ბრუნდება, ხვდებიან ჭიშკართან, ურჩევენ საქმეებს... შემოვა და დაწვება.*

რომ ეტყვი რამეს, „შენ შეგეკითხო?“ – ასე მპასუხობს. მე ვარ მთავარი მზრუნველი პირი, დაუკვირდი სიტყვას, მზრუნველი, ამიტომ მე უნდა შემეკითხო, აბა ვის უნდა შეეკითხო?.. რაღაცა ბერკეტი, რაღაცა შიში, რაის რიდი, ჯერ ერთი, ვინ აშინებს ვინმეს, იქით გიწვევს, რომ წამოგცდეს რაღაც ისეთი, რომ წამოგიკიდონ და დარეკონ 112-ში. შენ თუ გინდა, მილიონჯერ განახორციელე ზარი. ერთმა ისეთი ფიზიკური შეურაცხყოფა მომყენა, 112 კი არა, როგორ შევიკავე თავი, სიტყვა არ ვთქვი. გამოვიყვანე ჩემი თავი. ის 112-ის ღირსი არ იყო. მე 17 ზარი რომ დავაფიქსირო 112-ში, უკაცრავად და, სულ არაფერს არ ნიშნავს და, ერთხელ თუ დარეკა ბავშვმა, აი, მაშინ სჯერათ ბავშვის... ბავშვები დასცინიან პოლიციას. როგორ იკავებენ ამხელა 2-მეტრიანი კაცები თავს... მოდის პოლიცია, რაღაცას ავსებენ და პირდაპირ მეუბნება, მომიწერე ხელიო. არაფერს არ წამოადგენს მათთვის პოლიცია, არაფერს. თუ გვინდა, რომ ამ ბავშვებში დარჩეს რაღაც მარცვალი, რა ვიცი, მგონი, რაღაც უნდა გამკაცრდეს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მეტწილად ის, რომ სახელმწიფოს არ აქვს ადეკვატური და სათანადო ოდენობის მომსახურება ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვების სარეაბილიტაციოდ, განაპირობებს მათ სტიგმატიზაციას. ისინი მიიჩნევიან ბავშვებად, რომლებიც სხვა ბავშვებს „აფუჭებენ“. ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე ბავშვს, შესაძლოა, შეექმნას ასევე სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა. აღნიშნული გარემოება იწვევს მცირე საოჯახო ტიპის სახლის განრიგისა და ფუნქციონირების ცვლილებას, რადგან კონკრეტულ ნივთიერებაზე დამოკიდებულებისა და ასოციალური ქცევის მქონე ბავშვები ღამით გადიან ხოლმე, არ ბრუნდებიან, მათ ელოდება მთელი სახლი, მათ შორის, სხვა ბავშვებიც, მაშინ, როცა ბავშვები დილით ადრე უნდა ადგნენ და წავიდნენ სკოლაში. ბავშვი, რომელიც ღამით სახლში არ არის, დილას სკოლაშიც ვერ მიდის. იგრძნობა, რომ აღმზრდელები შექმნილ სიტუაციაში, ძირითადად, ადანაშაულებენ თავად ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვებს, რადგან, მათი თქმით, ისინი უარს ამბობენ დახმარებასა და მკურნალობაზე, მაშინ, როცა ამ ბავშვებს შეიძლება ესაჭიროებოდეთ განსხვავებული, ინტენსიური სარეაბილიტაციო მომსახურება, ასევე, მოტივაციის გაზრდაზე ორიენტირებული სპეციფიკური პროგრამების მიწოდება.

„აქ იყო შემფასებელი, შეაფასეს კომპეტენტურმა პირებმა ეს ბავშვები და დადეს პირდაპირ, რომ ეს არის სამკურნალო. რასაც ჩვენ კულუარებში ჩვენთვის ვსაუბრობდით, ეს-ო-ეს-ის დედები, იმათ დადეს, რომ ნამდვილად... მაგრამ არ აქვს სახელმწიფოს არანაირი საშუალება... სად, როგორ, არ არსებობს ამის მომსახურება. ჰოდა, მაინც გვაწევს მხრებზე და სულ ვფიქრობ, კარგი, 18 წლამდე ვერაფერს ვერ იზამ, უნდა იყოს შენთან, იქ იმ ბავშვს „გააფუჭებს,“ იქ – იმას, იმას, მაგრამ ვერაფერს ვერ იზამ. რადგან, რასაც სისტემა გაძლევს, იმ პირობებში შენ მაქსიმუმი გააკეთე, რომ არ დაზარალდნენ ეს ბავშვები. ძალიან საშიშია ახლა, ეს რომ გათიშული მოდის მთვრალი, რა ვიცი, ათასი რაღაცეები ემართებათ ამ ბავშვებს, საშინელებები. ერთი ლამის კინაღამ მოკვდა, რა ვიცი, რაღაცა რომ მოწია. ჩვენ სულ ვართ ჩართული, პოლიცია, სასწრაფო, პოლიცია, სასწრაფო. დღე არ გავა, რომ ჩვენს შემოგარენში პოლიცია არ შემოვიდეს. ეს

არის ნომერ პირველი პრობლემა". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„არათუ მათი ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში, ზედმეტია ამაზე ლაპარაკი, სხვასაც უშლიან ხელს. რაც კი წესები გვქონდა შემუშავებული შინაგანაწესში, მთლიანად დაირღვა სახლებში. მთელი ღამე რომ ვათენებთ, მთელი ღამე ბავშვს რომ ველოდებით და, რა ვიცი, პოლიცია რომ უნდა მოვიდეს და, გამონაკლის შემთხვევაში, სასწრაფო უნდა მოვიდეს, სახლი ფხიზლობს, ხომ? ის ბავშვებიც ფხიზლობენ, რომლებიც ხვალ სკოლაში უნდა წავიდნენ და რაღაც უნდა გააკეთონ. საერთოდ დარღვეულია ჩვენთან რეჟიმი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩემი პლიუსი არის ის, რომ დღემდე ვახერხებთ, ბავშვებთან შევინარჩუნოთ თბილი გარემო. არიან ძალიან აგრესიული ბავშვები, რომლებიც ამ აგრესიას გამოხატავენ ბავშვების მიმართაც და ვცდილობ, ჩემი ყველა ძალისხმევა, ენერგია მივმართო იმისკენ კი არა, რომ ბავშვებმა იმეცადინონ, სკოლაში წავიდნენ, ხელი შევუწყო ამათ განათლებას, არა, რომ სახლში არ დაიძაბოს სიტუაცია, ვიღაცამ ვიღაცას ფიზიკური [ზიანი] არ მიაყენოს. აი, ეს არის. სულ დაძაბულობა. დღე და ღამე. და ამ დაძაბულობას განაპირობებენ იგივე ბავშვები, რომლებიც არიან ამ მავნე ჩვევების მქონე. ანუ ეს არიან ბავშვები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, მკურნალობა სჭირდებათ და უარს ამბობენ ამ მკურნალობაზე, მედიკამენტების მიღებაზე უარს ამბობენ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

სახელმწიფოს მხრიდან არ არის უზრუნველყოფილი სარეაბილიტაციო სერვისები ან თუნდაც ფსიქოლოგის თერაპიული სერვისი (ზრუნვის სააგენტოდან). ზოგიერთ მიმწოდებელს უჭირს ადგილზე ფსიქოლოგისა და სხვა კადრების (ფსიქიატრი, ნარკოლოგი და სხვ.) მოძიება, რადგან ეს კადრები ფიზიკურად არ არიან კონკრეტულ ლოკაციაზე. სხვადასხვა მხარდამჭერი სპეციალისტის, განსაკუთრებით, ფსიქოლოგის, ფუნქციის „შეთავსება", ამ შემთხვევაში, უწევთ აღმზრდელებს. ასევე იკვეთება შემთხვევები, როცა ბავშვების ჩართვა ვერ ხერხდება ისეთ სერვისებშიც, როგორიცაა, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის („ბარნაჰუსი") მომსახურება, მაშინაც, როცა ბავშვს სექსუალური ძალადობის გამოცდილება აქვს და ეს, შესაძლოა, სხვა ბავშვებისთვისაც საფრთხეს წარმოადგენდეს. უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტები გამოყოფენ შემთხვევას, როცა „ბარნაჰუსის" მომსახურებაში ჩართვის შედეგად, ბავშვი მტრულად განეწყო ბიოლოგიური ოჯახის მიმართ. თუმცა ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი აცხადებს, რომ „ბარნაჰუსის" მომსახურება თავის ფუნქციას ასრულებს და სექსუალური ძალადობის გამოცდილების მქონე ბავშვების რეაბილიტაციას უზრუნველყოფს.

„ბავშვებს სჭირდებათ თერაპიული მომსახურება და სოციალურ სამსახურს არ ჰყავს ფსიქოლოგი-თერაპევტი; ანუ, მხოლოდ ფსიქოლოგის კომპეტენციაც რომ იყოს, ვერ მოდის და ვერ ერთვება ბავშვებთან მუშაობაში. ამასთან, ადგილობრივად მოცემული

პროფესიონალი არ არის, ამიტომ ორგანიზაციასაც არ ჰყავს ამ კომპეტენციის მქონე ადამიანი და ამ ფუნქციას ითავსებენ აღმზრდელები. თუმცა აღმზრდელი, ბუნებრივია, ვერ გახდება ფსიქოლოგი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„შესაძლებლობა რომც ჰქონდეს ორგანიზაციას, არის რეგიონები, სადაც კადრს ვერ იპოვნი, რათა მოიზიდო და ჩართო მომსახურებაში. ვერ იპოვნი ბავშვთა ფსიქიატრს, ნარკოლოგს, რომელიც იმუშავებს ბავშვებთან ქცევის მართვაზე. ანუ თბილისში შედარებით მეტი შანსია პროფესიონალების მოზიდვის, თუმცა რეგიონებში ძალიან პრობლემურია". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„კიდევ ერთი პრობლემა – ვიღაცამ ახსენა სექსუალური გამოცდილების მქონე ბავშვები. ჰოდა, ისეთი მოლოდინი მქონდა, სულ მესმოდა ეს „ბარნაჰუსი", რომელიც დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა და მყავს ბავშვი, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, რომელიც რეალურად მცირეში არ უნდა იყოს, იმიტომ, რომ სხვა ბავშვისთვის ხდება იგი მოძალადე. ამ ბავშვის გაყვანა „ბარნაჰუსის" სერვისში ვერ მოხერხდა... არ ვიცი, რატომ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ბარნაჰუსმა" შემოგვითვალა, ერთ-ერთ შემთხვევაზე, ხანდახან, კვირაში ერთხელ ონლაინ ჩავერთვები ბავშვებსო". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მე მქონდა შემთხვევა, როდესაც ბავშვი შემოვიდა სექსუალური გამოცდილებით. თვითონ არ იყო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, თუმცა ოჯახში იყო არასრულწლოვანზე სექსუალური ძალადობა. და ამ ბავშვებმა რომ დაიწყეს „ბარნაჰუსში" სიარული, იმდენად უკმაყოფილოები იყვნენ, ისეთი რაღაც გაგვიკეთა ფსიქოლოგმა, რომ შემდეგ ეს-ო-ეს-ის ფსიქოლოგმაც ველარ იმუშავა. და დღესაც რომ ვეხვეწები, ვერაფრით ვერ ჩავრთე ვერცერთი ბავშვი ვერცერთ ფსიქოლოგთან. მშობელი შემაძულაო, ისე დამანახა მშობელიო. მტრულად განაწყობენ ოჯახის მიმართ. ბავშვების ნდობასაც ვერ იმსახურებენ". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ახლა უკვე თბილისში ცენტრიც გაიხსნა და ზუსტადაც რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის არის კონკრეტულად მორგებული ეს სერვისი. ისეთ გარემოში მიმდინარეობს მომსახურება, როგორიც სჭირდება პროტოკოლით და ყველანაირი სტანდარტის დაცულობით, რომ ბავშვის ინტერესი მაქსიმალურად დაცული იყოს". – ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი

მცირე საოჯახო ტიპის სახლები იყენებენ არსებულ სერვისებს სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებში, რომლებიც ცოტაა, მაგრამ მაინც არსებობს, მაგალითად, „ჯისიარტი", „კომპასი", „კრიზისული ინტერვენციის სამსახური" (ჰყავთ ფსიქოთერაპევტი), „გაგოშიძის ცენტრი", „ფსიქეა" (ფსიქიატრიული მომსახურება), „ანიკა" (შშმ ბავშვებისთვის),

მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, რეფერირების სამსახურის ფსიქოლოგი/სოციალური მუშაკი, „სხივები“, დღის ცენტრები, აბილიტაცია-რეაბილიტაციის მომსახურებები და ა.შ. ასევე ახალი ამოქმედებულია მობილური გუნდის მომსახურება მობილობის შეზღუდვის მქონე ბავშვებისთვის, მაგრამ ბიუროკრატიული სირთულეების გამო მიმწოდებლები ჯერ კიდევ ვერ იყენებენ ამ მომსახურებას:

„ფსიქიატრიულ კლინიკებს აქვთ ესეთი სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც, საჭიროების შემთხვევაში, ევალდებულებათ მულტიგუნდის მიდგომით ფსიქიკური დიაგნოზის მქონე პაციენტთან განახორციელონ ადგილზე მუშაობა. მაგალითად, როდესაც არის მწვავე სიტუაციები. სააგენტო სულ ამბობს, რომ აგერ ამოქმედდა ბინაზე მომსახურება და რატომ არ იყენებთ, მაგრამ იმდენი ბიუროკრატიაა მაგასთან კავშირში, რომ ვერ ვიყენებთ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მე მაგასთან [მობილურ მომსახურებასთან] დაკავშირებით ოფიციალურად მივწერე და ოფიციალური პასუხი მივიღე, რომ ეგ ჩანაწერი ვრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ბავშვის ან ზრდასრულის გადაადგილება შეუძლებელია. ასე რომ, მაგ რესურსს ჩვენ ვერ გამოვიყენებთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი მობილობის შეზღუდვით გყავს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩვენს შემთხვევაში, გვყავს „ჯისიარტი“, რომელსაც გორში აქვს მომსახურება და მაქვს ამის ფუფუნება“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„კრიზისული ინტერვენციის სამსახური, სადაც არის მულტიგუნდი (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სოციალური მუშაკი), „ანიკა“, შშმ ბავშვთა დღის ცენტრი, გაგოშიძის ფსიქონევროლოგიური, სადაც ხდება ბავშვების დიაგნოსტირება და „ფსიქეა“ (გიორგი ჭეიშვილი), ანუ, სადაც ბავშვები იღებენ ფსიქიატრიულ მომსახურებას“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩვენ გვყავს აღმზრდელი, დამატებით, სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. გარდა ამისა, სხვა პროექტის ფარგლებში ვსარგებლობთ ორგანიზაცია „ახალი სხივების“ ფსიქოთერაპიით“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„კომპასის“ გუნდს თავისთავად ვიყენებ ჩემს სახლებში“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

სოციალური მუშაკების აზრით, როცა მცირე საოჯახო ტიპის სახლში განსაკუთრებით მძიმე ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვია, შესაძლოა, გამოსავალი იყოს ბავშვების რაოდენობის შემცირება.

„პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ 8 აღსაზრდელიდან რთული ქცევის იყო 6. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური გეგმა ყველას საჭიროებისამებრ ჰქონდა შედგენილი, ვერ ხდებოდა ვერცერთ ბავშვზე ამ გეგმის განხორციელება. ახლა არის 4 ბავშვი, სიტუაცია

სტაბილურია... მოზარდებს შორის ძალადობას ჰქონდა განმეორებითი ხასიათი, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციაც ჩართული იყო, რთული ქცევის მქონე ბევრი ბავშვის ცხოვრება ერთ სივრცეში იწვევდა ძალადობის ფაქტებს, რომლის დარეგულირებაც იყო, ფაქტობრივად, შეუძლებელი. როდესაც შემცირდა ბავშვების რაოდენობა, ბუნებრივია, ამანაც იკლო. სახლში, სადაც თუნდაც ერთი რთული ქცევის ბავშვი ცხოვრობს, სასურველია, რომ სხვა ბავშვის ინტერესები იქ არ იყოს დარღვეული, ჰქონდეთ განვითარების შესაძლებლობა, ბავშვების რაოდენობა იყოს მცირე". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

სოციალური მუშაკები საუბრობენ პრობლემაზე, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლები, შესაძლოა, არასაკმარისად აკონტროლებდნენ ბავშვების მიერ მედიკამენტების მიღებას, როცა ეს საჭიროა, ან არასათანადოდ არეგულირებდნენ შინაგანაწესით ბავშვის შესვლა-გამოსვლას (განსაკუთრებით, ღამით გასვლას მომსახურებიდან).

„არ კონტროლდება მედიკამენტების მიღება, ექიმთან კონსულტაცია, იმიტომ რომ არც ბავშვს აქვს მოტივაცია და სურვილი და არც სერვისის მიმწოდებლის მხრიდან ხდება სათანადო კონტროლი და ყურადღება. ბოდიში ამ სიტყვისთვის, შეყრილები არიან ეს ბავშვები ამ სახლებში და ვინ მიდის, როდის მიდის, ან სად მიდის, არავინ იცის". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„მართლა შეყრილები არიან. იცით, რა პოზიცია აქვს მომსახურების მიმწოდებელს? „ბავშვს არ უნდა, ბავშვს არ უნდა". მაშინ რაღაცნაირად უნდა შეიცვალოს ეს თუნდაც შიდა დებულებაში, თუნდაც შინაგანაწესში, რომ ვალდებულება ჰქონდეს იმ ბავშვს, რომ იქ რომ ხარ, რაღაცას უნდა დაემორჩილო, რაღაც ისეთი სწავლება შეიძლება, ახლა მე არ ვიცი, არ მაქვს ამის გამოცდილება... 16-17 წლის ხდებიან და, აი, რა ვქნა? „არ მოდის". რას ჰქვია, ეს „არ მოდის"? ან ბავშვი წავიდა და აღარ ბრუნდება. თან 14-15 წლისები რომ ხდებიან ბავშვები, რა სამომავლო გეგმებზეა საუბარი, გადიან ქუჩაში და, ფაქტიურად, ეწევიან ქუჩის ცხოვრებას". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

სოციალური მუშაკების აზრით, დიდი განსხვავებაა მიმწოდებელ ორგანიზაციებს შორის იმასთან მიმართებით, თუ როგორ უმკლავდებიან ისინი ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ქცევით სირთულეებს. თუ აღმზრდელებისა და ლიდერების როტაცია ხშირი არაა, თუ პერსონალს საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება, ასევე მომზადება-გადამზადების განგრძობითი შესაძლებლობები აქვს, მიმწოდებელი უზრუნველყოფს მხარდამჭერ სერვისებს (მაგალითად, ფსიქოთერაპია, ფსიქიატრის მომსახურება, მედიკამენტების მორგება, ინდივიდუალური მხარდაჭერა/ასისტირება და ა.შ.), მომსახურებას ჰყავს მულტიდისციპლინური გუნდი, მდგომარეობა უმჯობესდება და შემთხვევაც უკეთ იმართება. მიუხედავად მცდელობისა, მსგავს სერვისებზე, განსაკუთრებით პერსონალური ასისტენტის სერვისზე, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირს, სახელმწიფოს მიერ დამატებითი რესურსის გამოყოფას სოციალურმა მუშაკებმა ვერ მიაღწიეს.

„ისევე „სოს ბავშვთა სოფელზე“ ვიტყვი, ძალიან კარგად მუშაობს თუნდაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვებთან ისევ და ისევ დამატებითი რესურსებით, ისევე, როგორც თმენის ვალდებულებით. რა ვიცი, ერთი წლის განმავლობაში ამ ბავშვს ვერ მოერგო მედიკამენტები, მაგრამ რამდენიმე ფსიქიატრიულში გადაყვანა-გადმოყვანით, შესაბამისი მედიკამენტების მორგებით, ეს ბავშვი დასტაბილურებულია და ბავშვს ხანგრძლივი რემისია აქვს. ეს ყველაფერი მომსახურების მიმწოდებლის ძალიან დიდი რესურსით, თუნდაც მატერიალური რესურსით – პერსონალური ასისტენტის დაქირავება, ინდივიდუალური მეთვალყურე დღე-ღამის განმავლობაში...“ – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ძირითადად, არის ბიუროკრატიული მომენტები სახელმწიფოს მხრიდან, როცა ესაჭიროება დამატებითი მატერიალური რესურსი, სახელმწიფოსგან უნდა ხდებოდეს ამ ბენეფიტების გამოყოფა. აი, თუნდაც [ერთ-ერთ ბავშვზე], მცირე საოჯახო უკანასკნელ რესურსებს იძიებდა, რომ იმ ბავშვისთვის დახმარება აღმოეჩინა. ფაქტიურად, სხვა ბავშვების თანხა შეიძლება გადანაწილდა ამ ბავშვის საჭიროებაზე, რადგან მოგეხსენებათ, პერსონალური ასისტენტის მომსახურება რა ჯდება. და ვერ მოვახერხეთ სახელმწიფოს მხრიდან რაიმე დაფინანსების მოპოვება... ანუ მიმართვის საფუძველზე უნდა ხდებოდეს თანხების გამოყოფა და უფრო მოქნილი იყოს სისტემა დამატებითი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„კი, ნამდვილად არის დამოკიდებული ორგანიზაციაზე, იმიტომ რომ, რომელ სახლშიც მე ვმუშაობ, იქ არის აღმზრდელის პრობლემაც, ლიდერის პრობლემაც. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვი მყავდა მაგ მცირეში, ძალიან სირთულეებით შემოვიდა და სხვა ბავშვები ამიჯანყდნენ, სათითაოდ მწერდნენ განცხადებებს, გვიგზავნიდნენ სააგენტოში, რომ ჩვენი უფლებები ილახება ამის ფონზე და აუცილებლად მოგვაშორეთ ეს ბავშვიო. ჩვენ რა დავაშავეთ დანარჩენებმა? იქ იყო პრობლემა აღმზრდელების მხრიდანაც, ლიდერის მხრიდანაც და, ზოგადად, პროვაიდერის მხრიდანაც, მაგრამ ვცდილობთ, დავაბალანსოთ ეგ ყველაფერი“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„[წელიწად-ნახევრის განმავლობაში] უკვე სამჯერ შეიცვალა ლიდერი. ანუ ახლები მოდიან. აღმზრდელები მიდიან-მოდიან. ძალიან ხშირად იცვლებიან... გამოცდილებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ასევე, მნიშვნელოვანია ბავშვების მიჯაჭვულობა აღმზრდელების მიმართ. სულ მუდმივად ცვლილება რომ ხდება, არის ძალიან რთული“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ეს-ო-ეს-ში მარტო ადმინისტრაცია არა, თავად აღმზრდელებიც დიდი გამოცდილების მქონენი ჰყავთ. 2 წყვილია ახლაც, რომლებიც, 10 წლის წინ რომ დაარსდა, იმ პერიოდიდან მოდიან და მოდიან. მერე მულტიგუნდი ჰყავთ და ადგილზე აფასებენ და

აფასებენ სოციალური მუშაკიც და ლიდერიც. დაფინანსება აქვთ ძალიან კარგი და სულ იმას ითხოვენ, რომ სახელმწიფო შეეხიდოს". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვები

განსაკუთრებულ სირთულეებს გამოყოფენ მომსახურების მიმწოდებლები ქუჩასთან დაკავშირებულ ბავშვებთან მიმართებით, რომლებიც უფრო ხშირად გარდატეხის ასაკში შეჰყავთ მომსახურებაში. მომსახურებას უჭირს მათი რეაბილიტაცია, რადგან ამ ბავშვებს ქუჩაში ცხოვრების და/ან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. ასევე შეიძლება ბავშვი ღამით არ ჩერდებოდეს მომსახურებაში წლების განმავლობაში ქუჩაში ყოფნის გამო და მცირე საოჯახო ტიპის სახლში, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის მსგავსად, ეპიზოდურად მოდიოდეს. მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების აზრით, ეს ბავშვები არამიზნობრივად ირიცხებიან მცირე საოჯახო ტიპის სახლებში; ისინი, სავარაუდოდ, ჯერ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებში ან სარეაბილიტაციო მომსახურებებში უნდა ირიცხებოდნენ, რათა ტრანზიტულად გაიარონ შესაბამისი რეაბილიტაციის კურსი და მოემზადონ უფრო სტაბილური ზრუნვის მომსახურებისთვის და გადმოვიდნენ მცირე საოჯახო ტიპის სახლში.

„აუცილებლად უნდა აღვნიშნო, პრობლემებზე როცა ვსაუბრობდით, რომ ყველა მომსახურებას ჰყავს თავისი სამიზნე ჯგუფი, მათ შორის, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებს, დედათა და ბავშვთა თავშესაფარს. ასე მგონია, მცირეში ეს მკაფიოობა დაკარგულია, და რატომ? შეიძლება, ბავშვი გადიოდეს ქუჩაში, მთელი ღამე იყოს ქუჩაში, მოდიოდეს მცირეში, იღებდეს შხაპს, ჭამდეს და მიდიოდეს. სააგენტოს არ გადაჰყავს, იმიტომ რომ ჩაეთვლება ხარვეზად, რომ მუშაობა ვერ მოხდა, რადგან მცირედან ბავშვი გადავიდა მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში. გადაჰყავს სხვა მცირე საოჯახო სახლში, სადაც ხდება სხვა ბავშვებზე ზეგავლენა, ქუჩაში გაყვანა ამ ბავშვების". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ანუ მოლოდინი სააგენტოსი იცით, როგორია? ბავშვს, რომელიც 14 წელი ქუჩაში ცხოვრობდა და მუშაობდა, შენთან შემოყვანის შემდეგ ერთ თვეში... ჯადოსნური ჯოხით ყველა იმ მავნე ჩვევას აულაგებ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები

მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელების ნაწილი ამბობს, რომ მათ ჰყოლიათ თანატოლები სახლში, რომელთაც შეზღუდული შესაძლებლობა ჰქონდათ. მცირე საოჯახო ტიპის სახლმა მოახერხა მათთვის დამოუკიდებლობის უნარების გამომუშავება, რის შედეგადაც, რამდენიმე შემთხვევაში, ეს ახალგაზრდები დასაქმდნენ კიდეც.

„ჩვენს სახლში იყვნენ შშმ ბავშვები და ჩვენმა სახლმა იმდენი ქნა, რომ დღეს არიან დასაქმებულები, და დღეს ის ბავშვი ძალიან ბედნიერია. ამიტომ მგონია, ეს ყველაზე

დიდი სიკეთეა და მიღწევაა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

ამავე დროს, მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელების ნაწილი მიუთითებს შემთხვევებზე, როცა შეზღუდული შესაძლებლობის თუ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ქცევითი სირთულეები ხელს უშლის სხვებს:

„ჩემს სახლში არის ერთი ბავშვი, ყველას პრობლემას გვიქმნის, ქცევა აქვს უცნაური, უსუფთაოა, თავის ჭკუაზე დადის, სხვებს ხელი გვეშლება ამით, და ამ პრობლემაზე ხშირად ველაპარაკები ხოლმე ადმინისტრაციას“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

ყოფილი აღსაზრდელები ამბობენ, რომ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისთვის არ იყო საკმარისი რესურსი სკოლაში, მაგალითად, არასათანადო რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი სპეციალური პედაგოგები.

„სკოლას ჰყავდა სპეცპედაგოგი და ეს პედაგოგი იყო ყველაფრის პედაგოგი. შეიძლება მთელ სკოლაში ერთი იყოს და ბავშვი – ბევრი“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი

ყოფილი აღსაზრდელების ნაწილიც მიიჩნევს, რომ შშმ ბავშვების მათთან თანაცხოვრება, როცა მათ აქვთ ქცევითი და ემოციური სირთულეები, არასწორია, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ამ ბავშვებს აღმზრდელებისგან დიდი დრო და ყურადღება ესაჭიროებათ, რის გამოც დანარჩენ ბავშვებს სათანადო დროსა და ყურადღებას ვეღარ უთმობენ. იკვეთება ყოფილი და ამჟამინდელი აღსაზრდელების მხრიდან ნეგატიური და სტერეოტიპული დამოკიდებულებები შშმ აღსაზრდელების მიმართ.

„ერთი ბავშვი იყო, რომელიც აშკარად ვერ იყო დალაგებული. ერთ ოთახში გვეძინა, საკმაოდ რთული იყო, იმიტომ კი არა, რომ ხელშეწყობა არ ჰქონდა, ყველაზე დიდი ხელშეწყობა ამ ბავშვს ჰქონდა. მაგრამ მთლიანი ენერგია მიჰქონდა, სხვა ბავშვები იმდენ ყურადღებას ვეღარ ვიღებდით დედისგან, ის ითხოვდა ყურადღებას. პლუს სირთულეები იყო, იპარებოდა, ძალიან ვწვალდებოდით. ბევრი რესურსი იხარჯებოდა... გარემოსგან არ იყო გამოწვეული, რატომაც არ გრძნობდა თავს კარგად... წამლებსაც სვამდა, სითბოსაც იღებდა, სიყვარულსაც. ეს ინდივიდუალური შემთხვევა იყო ამ ბავშვზე. ჰორმონალური პრობლემები ჰქონდა, პატარა ასაკიდანვე უნდოდა სქესობრივი ცხოვრების დაწყება. ჩემი აზრით, არასწორი იყო მისი თანაცხოვრება ჩვენთან“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი

„არიან შშმ და სსსმ ბავშვები და ეგენი და მე ერთნი ხომ არ ვართ, სულ ერთი ასაკი რომ გვქონდეს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„შშმ-სთან დაკავშირებით მეტ რაღაცას უთმობენ, რაც დასათმობი არ არის. შშმ პირი გვყავს და დილაუთენია დაიწყებდა ხოლმე ჩაქუჩის კაკუნს. თუ დაელაპარაკები წყნარად, გააგებინებ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების თანამშრომლები ამბობენ, რომ ქცევითი სირთულეების მქონე და/ან შშმ ბავშვებისთვის ზოგიერთ ორგანიზაციაში აჰყავთ აღმზრდელის ასისტენტი ინდივიდუალური ზრუნვის უზრუნველსაყოფად, თუმცა მომსახურების მიმწოდებლების ნაწილს არ აქვს შესაბამისი რესურსი. ამ შემთხვევაში, ძალიან რთულია ბავშვზე მორგებული მომსახურების მიწოდება, როცა რამდენიმე ბავშვს ესაჭიროება პერსონალური ასისტენტი, მომსახურებაში სხვა ბავშვებიც არიან, თანამშრომლების რაოდენობა კი ძალიან მცირეა.

„შემოსულა მძიმე დიაგნოზის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი ან რთული ქცევის ბავშვი. ასეთ შემთხვევებში, ჩვენ აგვყავს აღმზრდელის ასისტენტი – დამხმარე პერსონალი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ინდივიდუალური ზრუნვა". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„[მცირე საოჯახო ტიპის სახლში] შემოვიდნენ შშმ ბავშვები..., მაგრამ არ გვაქვს ორგანიზაციას ამ ბავშვებისთვის საჭირო ყველა რესურსი, რომ მათი საჭიროებებიც დავაკმაყოფილოთ და ამ დროს ვაკლდებით დანარჩენ ბავშვებს. ახლა მე მყავს 2 შშმ ბავშვი, ორივეს უწერია, რომ სჭირდება 24-საათიანი მეთვალყურე და სულ ორი ადამიანი ვართ. გინდა, არ გინდა, გადართული ხარ ამ ბავშვების საჭიროებებზე და რაღაცნაირად გვერდზე გრჩება დანარჩენი ბავშვები... თითქოს მათი ამ წლების განმავლობაში დაგროვილი კეთილი დამოკიდებულებით ვსარგებლობთ, რაც ძალიან არასწორად მიმაჩნია და ძალიან გაართულა, ზოგადად, სიტუაციები ამან. მერე, იყო ჩვენთან ორგანიზაციაში შემოყვანილი აბსოლუტურად უსინათლო ბავშვი, რომელსაც სჭირდებოდა პერსონალური ასისტენტი. ესეთი შემთხვევები მოგვიხშირდა ამ ბოლო დროს, რაც ძალიან ართულებს სიტუაციას". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ბავშვების ნაწილზე, რომლებიც შედარებით უფროს ასაკში ირიცხებიან მცირე საოჯახო ტიპის სახლში, საჭიროა შშმ სტატუსის დადგენა, რათა ბავშვს ხელი მიუწვდებოდეს შესაბამის მომსახურებებზე, თუმცა ბავშვი თავად არ მიჰყვება მათ სტატუსის დასადგენად. ამიტომ მეტი სამუშაო არის ჩასატარებელი ბავშვთან ამ კუთხით მოტივაციის გაღვივებაზე.

„ჩვენთან შემოსვლის შემდეგ 8 ბავშვს მივანიჭეთ შშმ ბავშვის სტატუსი, თუმცა გვქონია შემთხვევა, რომ ბავშვს ჰქონია ჩამორჩენა, ან ქცევის სირთულე, [მაგრამ] არავის არასდროს არ მიუყვანია იგი ექიმთან; ამასობაში გამხდარა 17 წლის და აღარ მოგყვება სტატუსის დადგენაზე. შესაბამისად, როდესაც ის ხდება 18 წლის და გადის მომსახურებიდან, მისთვის არ არსებობს რაიმე სახის მხარდაჭერა, რადგან არ აქვს სტატუსი... სწორედაც რომ სტატუსია განმსაზღვრელი, რა მომსახურებებზე და მხარდამჭერ სისტემებზე ექნება მას ხელმისაწვდომობა. ასეთ შემთხვევაში, გეგმაც

კარგავს აქტუალობას, რადგან შესაბამის მიზნებს ვერ საზღვრავ და ვერ ეხმარება [გეგმა]". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები

მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელები და თანამშრომლები საუბრობენ განსხვავებული რელიგიური თუ ეთნიკური მიკუთვნებულობის, ასევე, არაქართულენოვან ბავშვებზე მცირე საოჯახო ტიპის სახლებში. მცირე საოჯახო ტიპის სახლი, მათი თქმით, მაქსიმალურად ცდილობს, პატივი სცეს ბავშვების რელიგიურ და ეთნიკურ წარმომავლობას (მაგალითად, შეცვალოს კვების მენიუ და ა.შ.), მაგრამ მნიშვნელოვან სირთულედ რჩება ენობრივი ბარიერი. იმ შემთხვევაში, როცა ბავშვები სწავლობენ ქართულს, ისინი ხშირად ივიწყებენ მშობლიურ ენას, რაც გარდაუვლად შეუქმნით ბარიერს მათ ბიოლოგიურ გარემოსთან ურთიერთობის და მის ნაწილად საკუთარი თავის აღქმის პროცესში.

„[არაქართულენოვანი ბავშვი] სულ ოთახში იყო, საჭმელად ჩამოდიოდა ხოლმე". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ტრანსლეიითით (თარგმნის აპლიკაცია) ვთარგმნით ხოლმე [არაქართულენოვან ბავშვთან ურთიერთობის პროცესში]". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ახლა გვყავს სახლში ძმები, არიან აზერბაიჯანელები, თავიდან ენაც არ ესმოდათ, ასევე, არიან მუსლიმები. თავიდან დეიდამ [აღმზრდელმა] არ იცოდა თავისთავად, რა უნდა გაეკეთებინა... ჰქონდათ არასწორი შეხედულებები საქართველოზე და ქართველებზე, დეიდამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს არასწორი წარმოდგენა გამოესწორებინა. კიდევ ხომ იცით, რომ ისინი არ ჭამენ ღორის ხორცს, და გადავწყვიტეთ, რომ სახლში აღარ მოვიდეს ღორის ხორცი; იმიტომ რომ ჩვენ რომ შევჭამოთ, ისინი ხომ არ გვიყურებენ? ამაში ვუწყობთ ხელს და არ ვახვევთ თავზე ჩვენს რელიგიას და ერთმანეთის რელიგიას პატივს ვცემთ. დეიდასგან ვისწავლე, რომ მარტო ჩემი რელიგია კი არ უნდა დავაყენო წინ, არამედ მის რელიგიასაც უნდა ვსცე პატივი და არ განვსაჯო, ამიტომ ისე მეგობრულად ვართ ერთმანეთთან, ამაში არც წარმომავლობა მიშლის ხელს და არც რელიგია". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერები ლაპარაკობენ იმაზე, რომ ენობრივი ბარიერი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს არაქართულენოვან და სხვა ქვეყნების წარმომადგენელ ბავშვებთან ურთიერთობაში. მენეჯერების თქმით, ბავშვებთან კომუნიკაცია, მსგავს შემთხვევებში, ფაქტობრივად, ვერ ხორციელდება. ისინი გამოყოფენ იმ პრობლემასაც, რომ, როცა ბავშვს არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა, ის ვერ აჰყავთ აღრიცხვაზე პოლიკლინიკაში; ამიტომ ყველა სამედიცინო მომსახურებაზე თანხას გაიღებს მიმწოდებელი. აღნიშნულ საკითხში მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებს არ აქვთ სათანადო მხარდაჭერა ზრუნვის სააგენტოს/სამინისტროს მხრიდან. ასევე, მოქალაქეობის არქონის გამო,

შესაძლოა, ბავშვმა ვერ გააგრძელოს სწავლა პროფესიულ სასწავლებელში, რაც დააბრკოლებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მისი მომზადების პროცესს.

> *„შემოგვიყვანეს ბავშვი, ირანელი, რომელმაც არაფერი იცოდა. ინგლისურად ლაპარაკობდა ძლივს. წარმოიდგინეთ ახლა, რა რთული იქნებოდა ჩემთვის ამ ბავშვთან ურთიერთობა. მესამე წელია უკვე, მამას დააცილეს, ისეთი ტრაგიკული იყო ეს მომენტი, მამას დააცილეს და გაოგნებული მოიყვანეს... ამ ბავშვს ვერაფრით ვერ ვაგებინებდით. მივდიოდი ტელეფონით, ვთარგმნიდი, ისე ვაგებინებდი რამეს. ახლა ისე შეგვეჩვია, წასვლა არ უნდა საერთოდ... დღეს ქართულად ლაპარაკობს მშვენივრად". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„ასეთ შემთხვევაში იქმნება კიდევ ის პრობლემა, რომ, რადგან ბავშვი არ არის მოქალაქე, მიუხედავად იმისა, რომ პირადი ნომერი მიანიჭეს, გაზამ არ მიიღო. ამიტომ მისი აღრიცხვაზე აყვანა პოლიკლინიკაში ვერ მოხერხდა. ამ შემთხვევებში, [მცირე საოჯახო ტიპის სახლის] მომსახურება ყველა საჭიროებაზე თავად გაიღებს თანხებს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„მინდა, დავამატო, წლების განმავლობაში რაში გაგვიჭირდა ყველაზე მეტად და რა ვერ მოვაგვარეთ: ვერ მოვაგვარეთ საბუთის პრობლემა, ანუ ბავშვი ვერ ვაქციეთ საქართველოს მოქალაქედ, რომელიც სახელმწიფო სერვისის მიმღებია. და ბავშვმა, რომელსაც ჩავაბარებინეთ პროფესიულში, ვერ გააგრძელა სწავლა და დარჩა ქუჩაში. რატომ? იმიტომ, რომ მოქალაქე არ იყო და სწავლა ვერ დაუფინანსდა". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

დაფიქსირდა შემთხვევა, როცა მუსლიმ ბავშვს სურს, გახდეს ქრისტიანი. მნიშვნელოვანია იმაზე დაფიქრება, თუ რამდენად დამოუკიდებლად ირჩევს ბავშვი რელიგიას, განსაკუთრებით მაშინ, თუ ის ირჩევს საკუთარი ოჯახისგან განსხვავებულ რელიგიას, რამდენადაა გათვალისწინებული მისი ოჯახის/მშობლის რელიგიური თუ მასთან დაკავშირებული სხვა შეხედულებები, ან ის, თუ რა ზეგავლენას იქონიებს ბავშვის მიერ რელიგიის შეცვლა შემდგომში ბიოლოგიურ ოჯახთან მის ურთიერთობაზე.

> *„მე ვარ ამ შემთხვევაში გამორჩეული, რადგან ჩვენს სახლში ყველა არის ქრისტიანი, და მე ვარ მუსლიმი. პატარაობიდანვე მინდოდა, ვყოფილიყავი ქრისტიანი, არ ვიცოდი, ქრისტიანობა რა იყო, მაგრამ ღმერთი მიყვარდა, თუმცა ამის წინააღმდეგნი იყვნენ ჩემი ოჯახის წევრები. ხოდა, აქ როცა მოვედი და ვნახე, რომ ლოცულობდნენ დედობილებიც და ბავშვებიც და პატივს სცემდნენ ქრისტიანობას, და ძაან კარგად დამანახა ქრისტიანობა და დღეს მე მინდა, რომ ქრისტიანულად მოვინათლო". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

ინფორმაციის კონფიდენციალობა

მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელების ნაწილი ამბობს, რომ მათი პირადი ინფორმაცია დაცულია, მათ შორის, პირადი ფაილები ინახება ჩაკეტილ კარადაში, თუმცა ეს

კარადა, შესაძლოა, საერთო ოთახშიც იდგეს. ბავშვები ამბობენ, რომ სახლის თანამშრომლები მათ სხვა ბავშვების შესახებ ინფორმაციას არ უმჟღავნებენ. თუმცა ბავშვების ნაწილი მიიჩნევს, რომ მათი პირადი ინფორმაცია სათანადოდ არ არის დაცული, რადგან ბევრი ადამიანი შედის და ნახულობს ამ ინფორმაციას. ყოფილი აღსაზრდელები ამბობენ, რომ მათი პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობა მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ძირითადად, დაცული იყო, მათ შორის, მედიასთან და შემომწირველებთან ურთიერთობის პროცესშიც. თუმცა, ერთი მათგანის თქმით, მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელი ყველასთან საუბარში ამბობდა, რომ ბავშვი ზრუნვის სისტემაში გაიზარდა და ამაყობდა იმით, რომ თავადაც წვლილი მიუძღოდა მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

> *„ჩვენს სახლში ძალიან დაცულია პირადი ინფორმაციები. ბიბლიოთეკაში, სადაც ახლა მე ვარ, ამ კარადებში გამოყოფილია ერთი, სადაც ინახება საბუთები, რომელიც გადაკეტილია და მისი გასაღები აქვთ მხოლოდ დედობილებს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„ჩვენთან კონკრეტულად დედობილის ოთახშია ყველაფერი, სადაც არ შედიან ბავშვები და ისე აწყვია ყველაფერი, რომ ჩვენთვის არ იყოს ხელმისაწვდომი. შესაბამისად, იზოლირებულია ბავშვებისგან“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„ჩემს შემთხვევაში, არასოდეს ყოფილა ასეთი ფაქტი, რომ უცხოსთან მომხდარიყო გაზიარება. პირიქით, აღმზრდელები მოგვიწოდებდნენ, რომ უცხოებთან არ გვესაუბრა. ოჯახის მდგომარეობაზე არასოდეს არ უნდა ილაპარაკო გარეთ, რადგან [ეს] ოჯახის შიდა სამზარეულოა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი*
>
> *„ჩემი აზრით, ბოლომდე დაცული არ არის, კარადაში ინახება და რამდენი დეიდა შემოვა, გააღებს და გადაშლის, ჩემი აზრით, მაინც არ არის დაცული ისე, როგორც უნდა იყოს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*
>
> *„არ იყო დაცული [პირადი ინფორმაცია]. არც მიფიქრია, რომ მასე უნდა ყოფილიყო. დედაჩემი [მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელი] ყველგან ლაპარაკობდა, ყველა ტაქსიში, რომ, აი, გავზარდე და ეს ვქენი, ის ვქენი. პატარა რომ ვიყავი, ხმას ვერ ვიღებდი და მერე ვჭედავდი. მაგრამ ცუდი ფორმა არ იყო, ამაყობდა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი*

სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლების ნაწილში, შესაძლოა, კონფიდენციალობა დაცული იყოს ქაღალდზე, თუმცა არ იყოს დაცული პირად, არაფორმალურ საუბრებში.

„კონფიდენციალურობის დაცვის ნაწილში მეტ-ნაკლებად გვაქვს პრობლემები... კონფიდენციალობის დაცვა... კი, შეიძლება დოკუმენტურად შენახულია, მაგრამ საუბრების დონეზე ვერ გაიცნობიერეს ჯერ, რომ ეს ინფორმაცია არ უნდა გააჟღერონ“. – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის *პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი*

ბავშვის უფლებების შესახებ ინფორმაციის ფლობა მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელების მიერ

ბავშვები ამბობენ, რომ საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ იგებენ სკოლიდან, არაფორმალური განათლების კლუბებიდან და მცირე საოჯახო ტიპის სახლში დარიგებული ბროშურებიდან, სახლში გამართული ჯგუფური შეხვედრებიდან, მათ შორის, ორგანიზაციის სოციალური მუშაკებისგან, ფილმების ჩვენებებიდან და ა.შ. ბავშვები ამბობენ, რომ აქვთ ინფორმაცია საკუთარ უფლებებზე; აღნიშნავენ იმასაც, რომ მცირე საოჯახო სახლში მათი უფლებები დაცულია.

„ჩვენი ორგანიზაციის წევრები და გარე ორგანიზაციებიც გვიტარებენ ტრენინგებს, ფსიქოლოგი, სოცმუშაკი გვყავს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩვენ დიდები ვართ და, ზოგადად, ყველამ ვიცით ჩვენი უფლებები, თუმცა, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მოვალეობები. ამის შესახებ ვიცით ჩვენი მოძიებული ინფორმაციით, ასევე სკოლის, არაფორმალური განათლების კლუბებიდან. ასევე, ჩვენთან სახლში ყოველ კვირას ვირჩევთ რამე თემას, რომელიც გვაინტერესებს, ძირითადად, უფლებები, მოვალეოებები და ა.შ. ასევე, გვაქვს ესეთი წესი, რომ ფილმს ვუყურებთ და შემდეგ ვსაუბრობთ მსგავს საკითხებზე. რაც შეეხება დატრენინგებას და ინფორმირებულობას, დავდივართ სხვადასხვა შეხვედრებზე და ინფორმირებულები ვართ ამ უფლებებზე. ასევე, მე თვითონ ჩემი კლუბი მაქვს, სადაც ვიცავ იმ ბავშვებს, რომლებსაც ეს უფლებები დაერღვათ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„იყო პერიოდი, რომ არ ვიყავი განათლებული ამ კუთხით, და როდესაც დეიდას [აღმზრდელს] ვკითხე, რა არის ჩემი უფლებები, ან რისი უფლებები მაქვს, ან რა არის ჩემი მოვალეობები, დამსვა და ჰქონდა რაღაც წიგნაკი, სადაც ეწერა თითოეული უფლება. მან გამაცნო ყველა ეს უფლება, ყველა უფლება ამიხსნა, რისი უფლება მქონდა, და ასევე ამიხსნა, რომ იქ მთავრდებოდა ჩემი უფლება, სადაც სხვა ბავშვის უფლება იწყებოდა. შესაბამისად, გამარკვია ყველა იმ სიტუაციაში, რაც შეიძლება გამომადგეს მომავალში“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩემს უფლებებს არავინ არ არღვევს და ვიცნობ კიდევაც ჩემს უფლებებს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ტრენინგებიდან ვიღებთ ბევრ ცოდნას, თუმცა უმეტესი ცოდნა უნდა ავიღოთ დედობილებისგან, რადგან არიან პატარა ასაკის ბავშვები და ისინი ტრენინგებზე ვერ ივლიან. სახლის მენეჯერი ყოველკვირეულად მოდის ხოლმე სახლში და ვსხდებით ყველა ერთად და ვლაპარაკობთ, რა გვაწუხებს, ან რაღაც პრობლემებზე. სანამ აქ მოვიდოდი, ვიცოდი, რომ მე მქონდა უფლებები. და აღმზრდელებსაც ვეუბნებოდი, რომ მე მაქვს უფლებებიო, და შენ არ გაქვს უფლება, ტონს აუწიო, იმიტომ, რომ ეს არის ჩემი უფლება... შენ გაქვს უფლება, მაგრამ ამავდროულად,, შენ გაქვს მოვალეობა. მე აქ გავაცნობიერე, რომ მე მაქვს უფლებები, მაგრამ, ამავდროულად, სხვასაც ჰქონდა უფლებები, რომლებსაც მე ვარღვევდი“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

ყოფილი აღსაზრდელები ამბობენ, რომ სახლები, რომლებიც ადრე არ იყო სახელმწიფო სისტემის ნაწილი (და მხოლოდ კერძო დონორების მიერ ფინანსდებოდა), ჩართეს სახელმწიფო სისტემაში, რის შემდეგაც აღმზრდელებს გაუჭირდათ ცვლილებებზე მორგება და ჰქონდათ პროტესტის გრძნობა ბავშვის უფლებებზე აქცენტის გაკეთებასთან დაკავშირებით.

„რაღაც დრო არ იყო [საუბარი ბავშვის უფლებებზე], უფრო სახელმწიფო [დაფინანსებაზე] რომ გადავედით, მერე მოვიდნენ სოცმუშაკები და ჩაგვიტარდა ტრენინგები. მახსოვს, დედებისგან [აღმზრდელებისგან] ძალიან დიდი პროტესტი მოჰყვა ამას. დედაჩემიც [მცირე საოჯახო ტიპის აღმზრდელი] ამბობდა, მაგათ ვინ ეკითხებაო. ამდენი ხანი ისე რომ იყვნენ, მერე გაუჭირდათ. სახლში სიტუაცია ძალიან დაიძაბა, ბავშვთა უფლებები რომ წამოვიდა... ამის მერე მივიღეთ ყველამ ინფორმაცია“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი

ძალადობისგან დაცვა: აღსაზრდელების მოსაზრებები

მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელმა ბავშვებმა იციან ძალადობის ძირითადი ფორმების შესახებ, ასევე ის, თუ ვის უნდა მიმართონ ძალადობის შემთხვევაში (მათი თქმით, ამ ინფორმაციის შემცველი ფურცელი გაკრულია მცირე საოჯახო ტიპის სახლშიც). ისინი ამბობენ, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ძალადობის ფაქტების შესახებ არ იციან. თუ გაიგებენ სხვებზე ძალადობის შემთხვევაზე (მაგალითად, თემში, online-ჯგუფებში და ა.შ.), ისინი მხარდაჭერას უწევენ ძალადობაგანცდილ ადამიანს და უზიარებენ მას ინფორმაციას ძალადობისგან თავის დაღწევის გზებზე. ერთმა ბავშვმა თქვა, რომ ადრე მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბავშვების, ასევე, უფროსის მხრიდან მოხდა ძალადობა ბავშვზე და ეს ადამიანი სამსახურიდან გაუშვეს.

„მე მსმენია, რომ სახლში მომხდარა ცუდი რაღაცეები და ჩვენ უნდა დაგვერეკა ცხელ ხაზზე. ახლაც ბოლოს ასეთი ფაქტი მოხდა, რომ გოგო (სრულწლოვანი) იყო ძალადობის მსხვერპლი ოჯახში და ეს იყო დაწერილი გოგოების ჯგუფში. და როდესაც ამ გოგოს მივმართე, რომ დავხმარებოდი, და ვუთხარი, რომ მას იცავს მთავრობა,

სოციალური, მისი უფლებები, წინააღმდეგობა გაგვიწია, რომ არა, მე არ მინდაო, და მე მივეცი მას ნომერი, თუ სად უნდა დაერეკა". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„თქვენ რომ იკითხეთ, ძალადობის რა ფორმები არსებობსო, – ფიზიკური, სექსუალური, სიტყვიერი და ფსიქოლოგიური. ვიცი, ასეთ შემთხვევებში სად უნდა დავრეკო ცხელ ხაზზე, მაგრამ ინფორმირებულობა რომ იყოს სათანადო, ჩვენთან, სახლში, შემოსასვლელში, არის საინფორმაციო დაფა, სადაც წერია ნებისმიერი ცხელი ხაზის ნომერი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩვენთანაც არის გამოკრული ფურცელი, სადაც წერია ყველანაირი ცხელი ხაზის ნომრები, ბავშვების ქცევის წესებიც არის გამოკრული და ჩვენ ვიცით ეს წესები. ძალადობის ფაქტი არ ყოფილა არასდროს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„კი, [ძალადობა] ყოფილა, ბავშვებს შორის, უფროსებისგანაც იყო. გაუშვეს მერე სამსახურიდან, წარსულის ამბავია". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

აღსაზრდელების ნაწილი ამბობს, რომ კონფლიქტები ბავშვებს შორის მცირე საოჯახო ტიპის სახლში ხდება, თუმცა ამ სიტუაციას მართავს სახლის აღმზრდელი. ზოგ შემთხვევაში, ბავშვები ბოლოს ერთმანეთს უბოდიშებენ და ეხუტებიან. ბავშვების ნაწილი ამბობს, რომ კონფლიქტები მათთან არ ხდება, რადგან ცდილობენ, ერთმანეთს ურთიერთპატივისცემით მოეპყრონ, რის მაგალითსაც აღმზრდელებისგან იღებენ. სხვაგან ასე არ არის და დაძაბულობა და ჩხუბი უფრო ხშირია, თუნდაც იმის გამო, თუ ვის უფრო ცუდი წარსული ჰქონდა, ან იმიტომ, რომ ერთ-ერთი უპატივცემულოდ მოექცა აღმზრდელს.

„ის ოჯახური გარემო, რაც ჩამოყალიბდა, ყველაზე დიდი დადებითი ეს არის. ისიც კარგია, ყოველ ნაბიჯზე ჩართულები რომ არიან [აღმზრდელები], მიუხედავად იმისა, რომ შემაწუხებელი იყო ეს... როდესაც სახლი გაქვს და საჭმელი გაქვს, გაქვს იმის საშუალება, რომ სხვა რაღაცეებზე იფიქრო; გაძლევს იმის საშუალებას, რომ რაღაცეები განავითარო... ბავშვებს შორის ურთიერთობა რაც ყალიბდება, ეს გამოწვეულია აღმზრდელებისგან. არ მახსენდება პრეცედენტი, რომ ვიღაცის ჩხუბი და ძალადობა ვინმეს მიმართ დაუსჯელი დარჩენილიყო ან მოუგვარებელი. ჩემთვის ხაშურის სისტემა იყო იდეალური, თუმცა იყო ნაკლიც და, ის ნაკლი თუ გამოსწორდება, მართლა იდეალური იქნება. ეს ნამდვილი ოჯახია, რომელიც ზრუნავს განვითარებაზე". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების ფოკუსჯგუფი

„თავისთავად, ბავშვი ბევრია, აზრიც ბევრი და კონფლიქტებიც ყოველთვის იქნება, რადგან ოჯახშიც ხდება ხოლმე კონფლიქტები. ასეთ შემთხვევებში, [შუაში] დგება დედობილი. თუ უკვე მას არ შეუძლია მოგვარება, მენეჯერი მოდის, გვიხსნიან, რატომ მოვიქეცით არასწორად და რატომ არ უნდა გავაკეთოთ ეს მომავალში. ამით გვარდება

პრობლემა. ნუ, ბავშვებიც ერთმანეთს მოვუბოდიშებთ და ვეხუტებით ერთმანეთს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„[ბავშვები ერთმანეთს,] უბრალოდ, ვერ უგებენ. შეიძლება ჩხუბი იმაზეც მოხდეს, ვის უფრო ცუდი წარსული ჰქონდა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„კიდევ ჩხუბი მომხდარა იმის გამო, რომ მე დეიდას [მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელი] პატივს რომ ვცემ, ზოგი ისეთი ბავშვი გამოხტება, რომ უპატივცემლოდ ექცევა და მერე ამის გამო ვჩხუბობთ. მარტო სახლში არა, ეზოშიც“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„10 საათზე ყველა უნდა ვყოფილიყავით სახლში, ეს წესი არ ირღვეოდა. თუ ირღვეოდა, ირეკებოდა პოლიციაში. სხვა შემთხვევაში, პოლიცია არ დაგვჭირდებოდა. ბავშვებს შორის როდესაც ხდებოდა ჩხუბი... ერთი ბავშვი ძალადობდა ყველაზე და ბავშვებმა დავრეკეთ სახალხო დამცველში და ეს ბავშვი გადაიყვანეს სხვაგან“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების ფოკუსჯგუფი

ძალადობისგან დაცვა: სპეციალისტების მოსაზრებები

სერვისის მიმწოდებლების ნაწილი ამბობს, რომ დაზუსტებით ვერ იტყვის, რამდენად არის მათ მომსახურებაში ბავშვი დაცული ძალადობისგან და ბულინგისგან, განსაკუთრებით სხვა აღსაზრდელების მხრიდან, სწორედ იმიტომ, რომ შეიძლება მომსახურებაში შემოვიდეს ძალადობრივი ქცევის, ტრავმული გამოცდილების თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების მქონე ბავშვი, რომელსაც არ გაუვლია შესაბამისი რეაბილიტაცია. პროვაიდერების ნაწილის თქმით, მომსახურების შიგნით უფრო შეუძლიათ ბავშვების ძალადობისგან დაცვა, ვიდრე მის ფარგლებს გარეთ. განსაკუთრებული სირთულეები იკვეთება მაშინ, როცა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე რამდენიმე მცირე საოჯახო ტიპის სახლი მდებარეობს. ამ შემთხვევაში, ბავშვები ბულინგისა და ძალადობის მსხვერპლნი შეიძლება გახდნენ არა მარტო უშუალოდ მათ სახლში მცხოვრები ბავშვებისგან, არამედ სხვა სახლებში მცხოვრები ბავშვებისგანაც, რის გამოც ისინი, შესაძლოა, ერიდებოდნენ საერთო ეზოსა თუ სივრცეში გასვლას. ამ დროს იმატებს უფროსი ბავშვების მიერ უმცროსების ანტისოციალურ ქმედებებში ჩართვის საფრთხეც.

„მე დღეს ვერ ვიტყვი, რომ სახლში უზრუნველყოფილია ბავშვების უსაფრთხოება, ანუ, მე ვერ ვამტკიცებ, რომ ერთი ბავშვი მეორე ბავშვის მიმართ არ გამოავლენს რაიმე არასასურველ ან ძალადობრივ ქცევას. ამას ისევ და ისევ განაპირობებს ის ფაქტი, რომ ბავშვი, რომელიც შემოდის ასეთი გამოცდილებით, არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი მომსახურებებით. არ ვიცი, ვერ ვამტკიცებ, რომ ბავშვები დაცულები იქნებიან იმ ბავშვის მხრიდან რაიმე საფრთხისგან. ვამტკიცებ, რომ აღმზრდელის მხრიდან არ იქნება ძალადობაგანცდილი, თუმცა სხვა ბავშვისგან – ვერა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„არის შემთხვევები, [როცა ძალადობა] შენს ტერიტორიაზე შეიძლება არ მოხდეს, გასული იყოს ბავშვი და იქ მოხდეს ბავშვზე ძალადობა. მომსახურების ფარგლებში, ძირითადად აღმზრდელები მართავენ [შემთხვევას]". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„რაც შეეხება ბულინგს, მცირეში არის, განსაკუთრებით, შშმ ბავშვების მიმართ". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„...თუ ტიპური განვითარების ბავშვს ხელი ეშლება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვის მხრიდან, ამ შემთხვევაში უძლურები ვართ. კარგი, ერთ შემთხვევაში გამოიძახე პატრული, გამოიძახე სოციალური მუშაკი და გადაიყვანე ეს ბავშვი (ფსიქიატრიულში), დროებით მოაცილე სერვისს და ის ერთი-ორი თვე სიმშვიდეა მომსახურებაში... ახლა ამას თუ მართვა ჰქვია. რა თქმა უნდა, არ ჰქვია... ამას არ ჰქვია მართვა, ამას ჰქვია შეჩერება, დროებით, რომ არ შევიშალოთ ყველა ერთად". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ყოველ წუთში სადარაჯოზე ვდგავართ ერთ-ერთი ბენეფიციარის გამო, რომელიც ძალადობს სხვა ბავშვებზე, თითქმის მთელი სახლის ბავშვებზე. თავისი გავლენის ქვეშ ჰყავს ეს ბავშვები. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სვამს, ეწევა, და ერთ-ერთ ბენეფიციართან აქვს სექსუალური ურთიერთობა, 14 წლის ბიჭთან. თვითონ არის 16 წლის. ეს ბავშვები თვითონაც აღნიშნავენ საუბარში, რომ აქვთ ურთიერთობა, და აფიქსირებენ, რომ უყვართ ერთმანეთი. ღამეები არ გვძინავს, რა თქმა უნდა, კარებებთან ვდგავართ. გარეთ რას აკეთებენ, ეგ არ ვიცით, ხშირად ღამე გადიან. ან ღამის 2 საათზე, ან დილის 4 საათზე ბრუნდებიან. ამაზე განგაშის ზარი შემოვკარით, მაგრამ რეაგირება როდის იქნება, აი, ველოდებით". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ძირითადად, ბავშვი გამოჰყავთ ოჯახებიდან, როდესაც არიან ძალადობის და ბულინგის მსხვერპლი და ხშირად იგივეს განიცდიან ჩვენს სახლშიც. ვფიქრობ ხოლმე, თუკი მაინც ბულინგის/ძალადობის მსხვერპლი უნდა იყოს, და აქაც არ არიან დაცულები, მაშინ რა სჯობს, იყვნენ ამ სახლში, თუ იყვნენ ბიოლოგიურ ოჯახებში? ხშირად ირღვევა მათი უფლებები, ვინც არიან უფრო გაწონასწორებულები, უფრო მშვიდები. ირღვევა მათი უფლებები, რადგან ხშირად არიან ძალადობის მსხვერპლები. აღმზრდელებიც არიან მოძალადე ბავშვების მსხვერპლები. ჩვენს სახლში იყო რამდენჯერმე აღმზრდელზე ხელის შეხების შემთხვევა". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„სახლში [მცირე საოჯახო ტიპის სახლი] ბულინგის მაგვარი სიტუაცია არ გვაქვს... რაც შეეხება გარეთ გამოსვლას, ჩვენ რომ ვახსენეთ, რთული ბიჭები არიან დიდები და დამოკიდებულები რაღაცეებზე, მავნე ჩვევები რომ აქვთ, მაგათ უყვართ დაბულინგება ამ სხვა ბავშვების. მაგრამ, აი, ჩემი ბიჭი ცდილობს... იცის, რომ ისინი არიან სოფელში,

და საერთოდ არ გამოდის გარეთ. ხან კითხულობს, ხან ინტერნეტშია. ანუ არიდებს თავს ასეთ ბავშვებს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

სოციალური მუშაკები მიუთითებენ იმაზე, რომ ბავშვებს შორის ძალადობის შემთხვევები იკლებს, თუ მცირე საოჯახო ტიპის სახლში ხელმისაწვდომი იქნება ფსიქოლოგის და სხვა მხარდამჭერი მომსახურებები.

„შემიძლია, ვთქვა, რომ ყოველკვირეულად ფიქსირდებოდა ძალადობის ფაქტი. პოლიციის მისვლა ძაბავდა კიდევ უარესად. მერე პროვაიდერმა დაამატა ფსიქოლოგი ადგილზე და ამან დადებითად იმუშავა". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში (მათ მცირე ნაწილში) ეპიზოდურად ტარდება მუშაობა სქესობრივი/სექსუალური ჯანმრთელობის დაცვის, ასევე, სექსუალური ძალადობის, არასასურველი ორსულობისა და სქესობრივი დაავადებების გადადების პრევენციის მიმართულებით. კიდევ უფრო დიდი პრობლემა ჩანს იმ მხრივ, თუ რამდენად კომფორტულია აღმზრდელებისა და სოციალური მუშაკებისთვის მუშაობის პროცესში ამ თემებზე საუბარი. ასევე, სპეციალისტების ნაწილი თვლის, რომ მსგავს საკითხებში, ჯობს, გარედან მოწვეული ორგანიზაცია ან ექსპერტი ჩაერთოს და მან იმუშაოს ბავშვებთან აღნიშნულ თემებზე.

„ძალიან მტკივნეულია ჩემთვის, როდესაც სექსუალურ განათლებაზე არავინ ესაუბრება, არის ტაბუდადებული და გვიდგება ორსულობის შემთხვევები". – ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენელი

„იმდენად ტაბუდადებულია, მე მქონია შემთხვევა თბილისში, წელიწად-ნახევრის წინ, ერთ-ერთ საუკეთესო მცირე საოჯახოში, სადაც,, რეალურად არ უნდა ყოფილიყო ეს პრობლემა, იმიტომ რომ მცირეს აქვს თავისი მომსახურება, [ჰყავს] სოცმუშაკი, [ტარდება] ბევრი ტრენინგი და ძლიერი არის ამ კუთხით; აღმზრდელს მიუღებლობა ჰქონდა სრულიად სექსუალურ საკითხებზე საუბრის. ამის უგულებელყოფას მივყავართ რთულ შედეგებამდე. გარდატეხის ასაკს თავისი გამოწვევები აქვს და ბიჭს და გოგოს ერთმანეთის მიმართ ინტერესი გაუჩნდებათ, გაეპრანჭებიან, [შეიძლება] აღმოაჩინონ შეიძლება ინტერნეტში რამე და უყურონ. ამაზე მკაცრი და არასწორი ემოციები იწვევს ხოლმე უფრო დიდ პრობლემებს. და ვფიქრობ, ეს ყველაზე ტაბუდადებული თემაა. სოცმუშაკებთანაც ვცდილობ ხოლმე, როდესაც განვიხილავ სახელმწიფო ზრუნვის შემთხვევას, რომ რაღაცნაირად ჩვენც ღიად ვისაუბროთ ამ თემაზე... მერე უთქვამთ, მე რომ ამ საკითხზე ვესაუბრო, არ იფიქროს, რომ მე მასში ეჭვი შემაქვს. პირიქით, ვიცით, რომ ყველას ყველაფერზე მიუწვდება ხელი და შეიძლება ძალიან არასწორ ინფორმაციას გაეცნონ, ამიტომ კომპეტენტური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაცია იქნება ძალიან მნიშვნელოვანი". – ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენელი

„ეს-ო-ეს-ს ჰქონდა, შიგნით სოციალური მუშაკები აკეთებდნენ ამაზე ტრენინგს, ერთად გვაქვს გავლილი და საბაზო ინფორმაციის მიწოდების საშუალება გვაქვს. ეს ბავშვები პროვაიდერებთან იმდენად არიან ნდობაში შემოსული, ასეთი ტიპის ტრენინგები, ვფიქრობ, რომ უკეთესია, გარე სერვისით მივიღოთ. გარე პირი დავიქირაოთ და ის ესაუბროს, იმიტომ რომ თითქოს შენ ყურს არ გიგდებენ, ან გაუჭირდებათ ამაზე საუბარი და ვერ შეძლებენ ამაზე კონცენტრირებას. გარე პირის ჩატარებულმა ტრენინგმა უფრო შეიძლება გაამართლოს. რომ ეტყვი, რომ სექსოლოგია პროფესიით, მეტი მიმღებლობა და ნდობა შეიძლება გაუჩნდეთ“. – ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა ა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენელი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერები ამბობენ, რომ უტარებენ ბავშვებს ტრენინგებს და ჯგუფურ შეხვედრებს კონფლიქტების მართვასთან დაკავშირებით.

„ყველანაირად ვცდილობთ, ავუმაღლოთ ბავშვებს ცნობიერება, ძალიან ხშირად ვუტარებთ მათ ტრენინგებს. ბოლო პერიოდში ჰქონდათ ტრენინგი თემაზე: „როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები, ანუ როგორ ვიცხოვროთ ოჯახში შეხმატკბილებულად“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ყველა აღმზრდელს არ აქვს გავლილი ტრენინგი ძალადობის ნიშნების ამოცნობაზე, პრევენციასა და რეაგირებაზე და ამ კუთხით მათ გაძლიერება ესაჭიროებათ. ექსპერტები მიუთითებენ იმაზედაც, რომ, შესაძლოა, არა აღმზრდელები, არამედ სხვა სპეციალისტები (ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, სკოლის პერსონალი) იყვნენ ძალადობის აღმომჩენნი. ასევე, მათი განცხადებით, დაფიქსირებულა ძალადობის შემთხვევები პერსონალის მხრიდანაც და ბავშვებს შორისაც. ამ შემთხვევებთან დაკავშირებით მცირე საოჯახო ტიპის სახლის პერსონალის ნაწილი გაათავისუფლეს.

„აღმზრდელებმა ხშირად არ იციან, ან არ აქვთ უნარ-ჩვევები, რომ მართონ სიტუაცია ბავშვზე მორგებულად და ესკალაცია არ მოახდინონ. გვქონია შემთხვევები, რომ თვითონ გამოუვლენიათ ძალადობრივი ქმედებები, მათ შორის, ვერბალური თვალსაზრისით, ბავშვების მიმართ. ბავშვებს შორის და ბავშვების მიმართ ძალადობის და უსაფრთხოების ზომების თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია მონიტორინგის გაძლიერება სახელმწიფო სააგენტოს მხრიდან და ამ სუპერვიზიის ეფექტიანი განხორციელება... ამავდროულად, შესაბამისი მხარდამჭერი სპეციალისტების ჩართულობა, რეკომენდაციების გაცემა, ბავშვებთან მუშაობა ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად... პრაქტიკაში სხეულებრივი დასჯის გამოყენება გამოწვევაა, ხშირად სკოლებში ხდება ეს, ოჯახებში თუ მცირეებში“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

„რომ გითხრათ, აბსოლუტურ უმრავლესობას ძალადობაზე ტრენინგი აქვს გავლილიო, მოგატყუებთ. ბევრ შემთხვევაში, არ მინახავს, რომ აბსოლუტურად ყველა აღმზრდელს

ჰქონდეს გადამზადება გავლილი. იდენტიფიცირების ნაწილში ხშირია, რომ თვითონ ბავშვი საუბრობს ამის შესახებ. სკოლაში თუ არის შემთხვევა, სოცმუშაკმა ან ქეისმენეჯერმა შეიძლება უფრო დაიდენტიფიციროს, ვიდრე აღმზრდელმა. შეიძლება ფსიქოლოგთან გაიხსნას ბავშვი და იმას უთხრას... ჩართული სპეციალისტებისგან უფრო გვქონია [ძალადობის] იდენტიფიცირება, ვიდრე აღმზრდელისგან". – სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი

„ძალადობის იდენტიფიცირების პრობლემაა, იმიტომ რომ არ არის გადამზადებული პერსონალი ამ მიმართულებით. „წამოარტყა, წაიქცა, მერე რა, ერთმანეთს წაეკინკლავნენ"... – შეიძლება ეს არ ჩათვალონ ძალადობად, ამაზე რეაგირება საერთოდაც არ მოახდინონ, მაგრამ ეს მატრავმირებელი იყოს ბავშვისთვის. შეიძლება ვერავის ვერ უთხრას, იმან ისეთი შეურაცხყოფა მიაყენოს... ოჯახური კონფლიქტები გაუხსენეს, რაც ძალიან მტკივნეულია. ამაზე ორგანიზაციას ნამუშევარი ჰქონდა. წამოაძახებენ, ისევ ახალი ტრავმა გაჩნდება. ეს საუბარში შეიძლება თქვას ბავშვმა, თუმცაღა შეიძლება ეს არც აღმზრდელს ჰქონდეს გაწერილი, არც შემჩნეული ჰქონდეს და რეაგირება ვერ მოახდინოს. შეიძლება არც ჩაღრმავებული ინტერვიუ, არც გასაუბრება დაზარალებულთან არ მომხდარიყო. იცით, რისი თქმა მინდა, ამას არაფრად არ თვლიან. სტაფიც გადამწვარია, პროფესიული გადაწვა აქვთ. ბევრი სპეციალისტი ჩვენი რეკომენდაციის მერე გაათავისუფლეს ორგანიზაციებმა, იმიტომ რომ მათ ისეთი აღზრდის მიდგომები ჰქონდათ, რაც ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს და თანამედროვე მიდგომას". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენლის განცხადებით, ზოგიერთ სახლში (მათი რაოდენობა ცოტაა) არ ხვდებათ ხოლმე გამოკრული ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას სახალხო დამცველის აპარატის ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი და სხვა აუცილებელი (მოთხოვნადი) საკონტაქტო ინფორმაცია.

„შეიძლება, რომელიმე სახლში არ ყოფილიყო თვალსაჩინო ადგილას გამოკრული სახალხო დამცველის ტელეფონის ნომერი". – ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ასევე მიუთითებს ძალადობის რისკების პრევენციაზე, მათ დროულ აღმოჩენასა და მართვაზე, როდესაც საქმე ეხება ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებში გასვლას. აღნიშნული არის როგორც ზრუნვის სააგენტოს, ისე მცირე საოჯახო ტიპის სახლების პასუხისმგებლობა და ამ კუთხით სისტემა გასაძლიერებელია.

„ოჯახებში როდესაც მიდიან ბავშვები, გადამზადება და აქცენტის გაკეთება არის საჭირო; მიუხედავად იმისა, რომ ტრენინგმოდულები ფარავს ამ საკითხებს, იქ არის ნიშნებზე... „ალარმი" – წითელი სინათლე – ჩაგერთოს მაშინვე აღმზრდელს, რომ რაიმე შესაძლო ძალადობა [ხომ არ ხდება], მაშინ, როდესაც მიდის ბავშვი. ამავდროულად,

ნდობის მოპოვების საკითხია, რომ ბავშვები, პირველ რიგში, ენდობოდნენ აღმზრდელებს და უფროსებს, ვისი პირდაპირი ვალდებულებაცაა მათზე ზრუნვა. მე არ მაქვს საუბარი, მათ შორის, შესაძლო აღმზრდელებზე, ვინც არღვევს მათ უფლებებს. მათ უნდა ჰყავდეთ ადგილზე ის მხარდამჭერი პირები, ვისაც მიმართავენ საჭიროების შემთხვევაში და მანამდე უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ რა არის მათი უფლების დარღვევა. ამ კუთხითაც არის გამოწვევები და დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ინფორმირებულია ბავშვი ამ კუთხით". – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

მცირე საოჯახო ტიპის სახლის ყოველდღიურ ცხოვრებაში ბავშვების ჩართულობა და უკუკავშირი მათი მხრიდან

ბავშვები ამბობენ, რომ, ძირითადად, იმ საშინაო საქმეზე არიან პასუხისმგებელნი, რომელიც უყვართ და მოსწონთ, სხვა საშინაო საქმეებს კი დანარჩენი აღსაზრდელები ინაწილებენ. ბავშვები ამბობენ, რომ მათ ბრძანების ტონით არ ავალებენ ამ საქმეებს. რაც ევალებათ, არის ჰიგიენის დაცვა, ურთიერთპატივისცემა და სიმართლის თქმა (რომ არ მოიტყუონ). ერთ-ერთ სახლში გამოიკვეთა, რომ მხოლოდ გოგონები არიან ჩართულნი საკვების მომზადებაში შაბათ-კვირას (არ ვიცით, რამდენად არიან ჩართულნი ამაში ბიჭები). სხვა მცირე საოჯახო ტიპის სახლში ბიჭები აღნიშნავენ, რომ საკუთარი ოთახის დალაგება ეკისრებათ და ამაში აღმზრდელი ეხმარებათ. ბავშვებს ევალებათ მხოლოდ საკუთარი სივრცის (საძინებელი) და არა საერთო სივრცის (მაგალითად, საპირფარეშოს) მოწესრიგება, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, ამის გაკეთებაც შეუძლიათ. ყოველდღიურად იგეგმება აქტივობები (მაგალითად, სპორტული ღონისძიებები, ხელსაქმის კეთება და ა.შ.), რომლებიც ჩატარდება სახლში თუ მის გარეთ, და ბავშვები მათში საკუთარი სურვილისამებრ ერთვებიან. ბავშვები ასევე ზრუნავენ ხოლმე უმცროსი ასაკის ბავშვებზე, მაგალითად, აჭმევენ მათ.

„ყველაფერი კეთდება ბავშვის სურვილით. მე პირადად არ მიყვარს დალაგება, სამაგიეროდ, მიყვარს კულინარია, ამაზე ვაპირებ კიდევაც ჩაბარებას და დედობილები, რა თქმა უნდა, ხელს მიწყობენ და ნებისმიერ საკვებს მაკეთებინებენ... სახლს ალაგებს ის ბავშვი, რომელსაც დალაგება უყვარს. ჩვენთან მართლა არის ასეთი ბავშვი, რომელსაც დალაგება უყვარს, სამაგიეროდ, კულინარია არ უყვარს. მაგრამ ამას არცერთი დედობილი ისე არ გვეუბნება, რომ შენ ხარ ვალდებული, ეს გააკეთო. მაგრამ ერთ რაღაცას გვავალებენ, რომ დავიცვათ ჰიგიენა, ურთიერთპატივისცემა უნდა გვქონდეს და არანაირი ტყუილი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„რაც შეეხება კულინარიას და დალაგებას, ჩვენთან ათი ბავშვია და ვანაწილებთ სახლის კუთხეებს და [საქმეს] იმის მიხედვით ვანაწილებთ. რაც შეეხება საკვების მომზადებას, როდესაც შაბათ-კვირას სკოლა არ არის და გოგოებს გვცალია, სამზარეულოშიც ვართ დაკავებულები და ვეხმარებით აღმზრდელებს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩვენთან მარტო ჩვენი სივრცის მოწესრიგებას გვთხოვენ. სხვას, საპირფარეშოების დალაგებას ან საერთო სივრცის დალაგებას – ამას არ გვთხოვენ, თუმცა ჩვენ სურვილისამებრ ვალაგებთ ხოლმე, თუ მოგვინდება“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ზოგი არ ალაგებს, ეზარებათ. მიუხედავად იმისა, რომ მორიგეობაა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუს ჯგუფი

კითხვა: *„სახლში უფროსი ბავშვები ზრუნავენ პატარებზე?“*

პასუხი: *„კი... დეიდა როცა არ არის ხოლმე, ჩვენ ვაჭმევთ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

კითხვა: *„რითი ხართ დაკავებული?“*

ბიჭები იცინიან და უპასუხებენ: *„წესით, ყოველკვირა ჩვენი ოთახი უნდა დავალაგოთ, დედობილი გვეხმარება“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელების ნაწილის თქმით, როცა ახალი ბავშვი შემოდის სახლში, სახლის წესებს მასთან ერთად თავიდან ადგენენ. რაც უჭირთ ხოლმე, ესაა ინტერნეტის გათიშვის დროის დადგენა ღამით. ზოგი ბავშვი ამბობს, რომ არ იღებდა მონაწილეობას წესების შედგენის პროცესში, თუმცა დახვდა წესი, რომ ღამის 10 ან 11 საათზე უნდა ჩააბაროს ტელეფონი აღმზრდელს და ინტერნეტიც უნდა გამოირთოს სახლში. აღნიშნული წესი ბავშვებს არ მოსწონთ. თუ ვინმე დაარღვევს წესებს, ერთ-ერთი შედეგი შეიძლება იყოს დადგენილ დროზე უფრო ადრე ტელეფონის ჩამორთმევა. ერთ-ერთი ბავშვი ხაზს უსვამს ერთი აღმზრდელის მიდგომას, რომელიც არ იყენებს დასჯის აღნიშნულ ან სხვა ფორმას. ამის ნაცვლად, ესაუბრება და უხსნის ბავშვებს, გაიაზრონ, რატომ არის მათთვის მნიშვნელოვანი და სამომავლოდ როგორ გამოადგებათ ამა თუ იმ წესის დაცვა. ყოფილი აღსაზრდელები იხსენებენ შემთხვევებს, როცა ტელეფონი ჩამოართვეს, და მძიმე სიტუაციას, როცა ზღვაზე (დასასვენებლად) არ წაიყვანეს:

„თუ სახლის წესი ირღვეოდა, ტელეფონი ჩამოერთმეოდა. თუ ბავშვი ხელაღებული იყო, ის არ წავიდოდა ზღვაზე. სამი სახლი ხომ იყო, ზღვის პერიოდში ერთი სახლი რჩებოდა ღია და იქ რჩებოდნენ ასეთი ბავშვები. ისჯებოდნენ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი

„ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა იმ წესის დაცვა, რომ საღამოს აღმზრდელებს უნდა ჩააბარო ტელეფონი. ხოდა, მე ძალიან დიდხანს მიჭირდა, მაგრამ აღმზრდელის ნდობა დავიმსახურეთ, ახლა გვიტოვებს და ვიცით, რომ 12 საათს არ უნდა გადავაცილოთ. ეს – სკოლის დღეებში და – პირველი, ორისკენ, როდესაც სკოლა არ გვაქვს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩვენც წესების შემუშავებაში არ ვიღებდით მონაწილეობას, მაგრამ გვაქვს ისეთი წესი, რომ ტელეფონი უნდა გამოგვართვან, მაგალითად, 10 საათზე და ინტერნეტი არ არის აქ. ეს გვაწუხებს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

ყოფილი აღსაზრდელები ამბობენ, რომ, მათი გამოცდილებით, წესები თავიდან დგებოდა მათი ჩართულობით, მაგრამ, თუ ვინმეს წესის შეცვლა ენდომებოდა, ამას, როგორც წესი, ვერ ახერხებდა, რადგან რიგიდული იყო წესების მიმართ დამოკიდებულება. მათი თქმით, ახალ ბავშვს შეიძლება ახალი წესებიც ესაჭიროებოდეს, ან, სულ მცირე, წესების გადახედვა, მაგრამ ასე ყოველთვის არ ხდებოდა. სირთულეები დაფიქსირდა ასევე საკუთარი აზრის გამოხატვასთან, აზრებისა და დამოკიდებულებების შეცვლასთან დაკავშირებით (მაგალითად, ბავშვს უნდოდა ეკლესიური ცხოვრება, თუმცა შემდეგ გაუნელდა ეს სურვილი, რის გამოც სირთულეები შეექმნა მცირე საოჯახო ტიპის სახლის პერსონალთან). ყოფილი აღსაზრდელები ასახელებენ ისეთ შემთხვევებსაც, როცა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვეს პროტესტი, რაც მცირე საოჯახო ტიპის სახლმა გაითვალისწინა. ისინი ასევე ამბობენ, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლის ცხოვრებაში ბავშვის მონაწილეობის ხარისხი, შესაძლოა, განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვს ემოციური კავშირი აღმზრდელს ბავშვთან.

„ჩვენს სახლში იყო ძალიან ბევრი წესი, რადგან თვლიდნენ, რომ ეს იყო ოჯახის კრედო, იმიტომ რომ ოჯახში არის წესები. ჩვენთან იყო ურთიერთშეთანხმებული წესები ბავშვებსა და აღმზრდელებს შორის. აქ ჯაჭვი ირღვევა, როდესაც ახალი თაობა მოდის, ამ წესებს ვერ ცვლის, აღმზრდელები აპელირებენ იმით, რომ ეს წესი ადრე უკვე მიიღეს და ადრე სხვა ბავშვები იყვნენ სახლში. ეს წესები რამდენად ერგება ახალ ბავშვს, ამის გადახედვა აღარ ხდება. ეს იწვევს დაძაბულობას. სახლი ჩვენთან ერთად გაიხსნა და ამ წესების მიღებაში ვიღებდი მონაწილეობას, მაგრამ ერთი წლის მერე მოვითხოვე შეცვლა ამ წესების და დავმარცხდი მხოლოდ იმის გამო, რომ სხვა ბავშვები აზრზე არ იყვნენ, რაზე ვლაპარაკობდი. საოჯახო სახლში ძალიან რთულია, დაიცვა დისტანცია საკუთარი აზრის გამოხატვაზე. ერთ დროს ვიყავი ძალიან მორწმუნე, ყველა აღმზრდელთან მქონდა ინფორმაციის გაცვლის კარგი კურსი, თუმცა იმის მერე ცხოვრებაში მოხდა რაღაც, რამაც მაიძულა, რომ აღარ ვყოფილიყავი სტიქაროსანი. და მქონდა მათი საწინააღმდეგო აზრი. თუმცა დღეს არსებობენ ისეთი ბავშვები, ვისთანაც ცდილობენ, იგივე გააკეთონ. ცდილობენ, იგივე სტიგმები მოახვიონ ბავშვებს. ამას შეფარვითი ხასიათი აქვს. შეიძლება, განზრახ არ გააკეთონ, მაგრამ ვერ აცნობიერებენ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი

„ვგიჟდები დედაჩემზე [აღმზრდელი] და დედაჩემიც [აღმზრდელი] გიჟდება ჩემზე. უბრალოდ, მომენტი მაქვს ასეთი, რომ დედაჩემს [აღმზრდელი] მართლა დედასავით აღვიქვამ, შესაბამისად, იმის უფლებას აძლევდა თავს, რომ სხვანაირად მოეხედა. იყვნენ ვიღაცეები, ვინც ნაკლებად მონაწილეობდა". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების

ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი

„ჩვენ გვქონდა კაბინეტი. ლიდერმა ჩვენგან დაუკითხავად ჩაკეტა ეს კაბინეტი. დაურეკეს, უთხრეს, რომ ბავშვებისთვის მოგვაქვს ტელეფონები და გვინდა, რომ გადასცეთო. ამაზე განუცხადებია უარი, რაზეც ყველა ბავშვმა ერთობლივი პროტესტი გამოვხატეთ, და ეს ლიდერი სამსახურიდან წავიდა. ჩვენ გვქონდა 2 კვირაში ერთხელ კრებები, სადაც ვიკრიბებოდით ყველა. აქ წყდებოდა საერთო საკითხები არჩევნების პრინციპით. მაგალითად, როგორი ექსკურსია გვქონოდა, როგორი დალაგების სისტემა, ძილის დროები, ყველაფერზე ჩვენ გვეკითხებოდნენ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერები ამბობენ, რომ ბავშვები (გარდა რთული შემთხვევებისა, როგორც გამონაკლისებისა) ჩართული არიან გეგმების შემუშავებაში, ასევე, მენიუს შედგენაში, დასვენების ადგილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, არაფორმალური განათლების წრეების შერჩევაში, ბიუჯეტის შედგენაში (აქვთ კომიტეტები) და ა.შ.

„ჩვენს შემთხვევებში, სახლებში გვაქვს კომიტეტები, თვითონ ბავშვები ირჩევენ და ჩართულნი არიან, მაგალითად, ბიუჯეტირებაში, თითო-ოროლა გამონაკლისის [გარდა], რადგან რთული შემთხვევაა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მათ [ბავშვებს] ვეკითხებით, სად სურთ, დაისვენონ, რა წრეებში უნდათ ჩართვა, რა არაფორმალური განათლების წრე სურს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელები ამბობენ, რომ ზოგ ორგანიზაციაში ბავშვებსა და აღმზრდელებს აქვთ ყოველთვიური შეხვედრები და განხილვა დაგროვებულ გამოწვევებთან დაკავშირებით. განხილვის შედეგად, შესაძლოა, დადგენილ წესებშიც შეიტანონ ცვლილებები. ასევე, ორგანიზაციებში აქვთ უკუკავშირის ყუთი და უკუკავშირის ჟურნალი, რომლებშიც შემოსული გამოხმაურება აღინუსხება. თუმცა სპეციალისტები ამბობენ, რომ ამ ყუთსა და ჟურნალს უფრო ფორმალური სახე აქვს და რეალური უკუკავშირი ამ გზებით, როგორც წესი, არ შემოდის. ყველაზე მეტად ჭრის არაფორმალური საუბრები და შეხვედრები ბავშვებთან, განსაკუთრებით ბავშვების შეხვედრები სოციალურ მუშაკებთან და სოციალური მუშაკის სამუშაო ადგილას (არა მცირე საოჯახო ტიპის სახლში). გარდა ამისა, რეალური უკუკავშირის მისაღებად მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელს ახლო ემოციური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ბავშვთან და უნდა იღებდეს მას ისეთს, როგორიც არის.

„ჩვენთან ორ კვირაში ან არაუმეტეს თვეში ერთხელ ტარდება ბავშვების და აღმზრდელების საერთო კრება. თუ ბავშვებს დაგროვილი აქვთ ამ პერიოდში რაღაც საკითხები, რაც არ მოსწონთ (ძილთან დაკავშირებით ან გრაფიკთან ან რა საკითხიც აწუხებთ), ვმსჯელობთ ყველაფერზე. ყოფილა შემთხვევები, რომ რაღაც პუნქტები შეგვიცვლია ამის შემდეგ. ეს რეგულირდება ჩვენსა და ბავშვებს შორის". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ადგილზე გვაქვს შესაბამისი ყუთები ანონიმური საჩივრებისთვის, შესაბამისი ჩანაწერები კეთდება გაპროტესტების და უკუკავშირის ჟურნალში, რომელსაც აწარმოებს აბსოლუტურად ყველა პროვაიდერი. ეს ყუთი შეიძლება, გაიხსნას თვეში ერთხელ, კვირაში ერთხელ. გააჩნია. შეხვედრები აქვთ, სესიები აქვთ, სადაც განიხილავენ ამ საკითხებს. ის, რომ აზრი ვერ გამოხატოს ბავშვმა, ეს გამორიცხულია". – ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი

„უკუკავშირის და გაპროტესტების მექანიზმი, რა მექანიზმიც ახლა არსებობს... 2016 წლიდან დავდივართ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, უკუკავშირის და გაპროტესტების მექანიზმი არ მუშაობს, უკუკავშირის ყუთი არ მუშაობს, ძირითადად, და არავინ აღნიშნულს არ აქცევს ყურადღებას. ერთადერთი შემთხვევა, რაც მახსენდება, არის მადლობის წერილი, ან – რა სურთ. თუმცა მაინც პირადი კომუნიკაციის საფუძველზე ხდება აღნიშნული თემების გავლა. ამაზეა ზუსტად სამუშაო, ამ მექანიზმებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს". – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

„მცირე საოჯახოს უკუკავშირისთვის აქვს კუთხე მოწყობილი, სადაც ბავშვებს შეუძლიათ, აზრი დააფიქსირონ. ეს ფორმალური სახეა უფრო, უფრო ეფექტურია, როდესაც ბავშვთან ამ საკითხზე პირისპირ საუბრობ. ჩვენთან მოსვლის საშუალება სულ აქვთ და შეიძლება იმ გარემოში ვერ ლაპარაკობდეს ბავშვი და სულ ვეუბნებით, თუ აქვთ სურვილი, შეუძლიათ, მოვიდნენ. ამის პრობლემა მწვავედ არ დგას, რომ ბავშვები შეზღუდულები იყვნენ რამეში". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„უკუკავშირის და გაპროტესტების პროცედურა, რაც წერია, არის ტრაფარეტული და თვითონ იშვიათად შეგვხვედრია ისეთი პროვაიდერი, რომელსაც გააზრებული აქვს ამ მუხლის პუნქტი და მუხლში გაწერილი პროცედურები... უკუკავშირი და გაპროტესტება – ვერ ხვდებიან ამის მნიშვნელობას, ბავშვმა უკუკავშირი როგორ უნდა გამოხატოს, როგორი რეაგირება უნდა ჰქონდეს... ეს მექანიზმი არ აქვს". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

„არის შემთხვევები, სადაც ბენეფიციარებს გულწრფელი მიდგომა აქვთ აღმზრდელებთან და ეს აღმზრდელის ძლიერი მხარეა, როდესაც მას შეუძლია, მიიღოს ბავშვი ისეთი, როგორიც არის, ჰქონდეს ინფორმაცია, რა შეიძლება იდგეს ბავშვის რთული ქცევის უკან, კარგად იცნობდეს ბავშვს, მაქსიმალურად შეუქმნას პირობები და ისეთ ურთიერთობაში იყოს ბავშვთან, როდესაც ყველაფერს ეუბნებიან ბავშვს,

უზიარებენ, რასაც გრძნობენ, რასაც განიცდიან და რა შემთხვევებიც მათ თავს ხდება". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი.

ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობა: აღსაზრდელთა მოსაზრებები

მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელები ამბობენ, რომ მომსახურება ეხმარება მათ ბიოლოგიურ ოჯახებთან ურთიერთობაში, რომელთაც ხვდებიან სახლშიც და სახლის გარეთაც, ეზოში (განსაკუთრებით კოვიდპანდემიის დროს), ან თავად ბიოლოგიურ ოჯახში. ნაწილი ამბობს, რომ აღმზრდელთან უფრო ახლო ურთიერთობა აქვს, ვიდრე ბიოლოგიურ მშობელთან და სწორედ აღმზრდელი დაეხმარა მშობელთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში. ბავშვების ნაწილი ახლო მანძილზეა ბიოლოგიურ ოჯახთან, თუმცა დიდი ნაწილის ბიოლოგიური ოჯახი საკმაოდ შორს (სხვა რეგიონში ან საზღვარგარეთ) ცხოვრობს, რაც ხელს უშლის მათ ინტენსიურ ურთიერთობას. ზოგ მშობელს არ აქვს ბავშვების გაყვანის უფლება. თუ ბიოლოგიურ მშობლებს აქვთ შვილების გაყვანის უფლება, ისინი, ძირითადად, რამდენიმე დღეში ბრუნდებიან მცირე საოჯახო ტიპის სახლში. ბავშვები ასევე ამბობენ, რომ ზოგჯერ ბიოლოგიურმა ოჯახმა შეიძლება მავნე ზეგავლენა მოახდინოს მათზე.

„ჩემს შემთხვევაში, ისევ აღმზრდელები დამეხმარნენ, რომ ჩემს მშობლებთან უფრო მყარი ურთიერთობები მქონოდა. მშობლებს ვხვდები აქ, სახლში, გარეთაც და ამაშიც მაქსიმალურად ხელს მიწყობენ. დედაჩემი მცირედან ორ კვარტალში ცხოვრობს, თუმცა მამა ცხოვრობს ქუთაისში, თუმცა ახერხებს ჩამოსვლას". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩემს შემთხვევაში, არცთუ ისე ახლოს ცხოვრობენ მშობლები აქედან, თუმცა თავიდან, რომ გადმოვედი, მაინცდამაინც არ მქონდა კარგი ურთიერთობა მათთან, ის რაღაცეები რომ მოხდა, და თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ ჩემს დედობილს უკეთესი ურთიერთობა აქვს დედაჩემთან და მან დაგვაახლოვა და ყველაფერს აკეთებს, რომ მე მქონდეს ახლო ურთიერთობა დედასთან. და აქედან რომ გავალ, დეიდა, თავისთავად, გვერდში მედგება. მაგრამ დედაა, მთავარია, რომ მას ვერავინ ვერ ჩამინაცვლებს. ამიტომ ცდილობს, დედას გაესაუბროს ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც მე მაქვს და შეიძლება ვერ ვუთხრა დედაჩემს და ხელს მიწყობს, კარგი ურთიერთობა მქონდეს დედასთან. დედას ჯერ არ აქვს ჩემი ნახვის უფლება". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„დედაჩემი და ბებიაჩემი აქ მოდიან ჩემს სანახავად, მაგრამ სახლში არ გავყავარ, რადგან ბებიაჩემი თურქეთის მოქალაქეა, მალე უნდა წასულიყო და დედაჩემიც უნდა წაეყვანა და ახლა უკვე ორივე წასულები არიან. ისე, ბებია როცა ჩამოდის, აქ მოდის ხოლმე". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ზოგ მშობელს არ აქვს გაყვანის უფლება, იმაზეა დამოკიდებული, როგორი პირობები აქვს სახლში. თუ გაჰყავთ, ერთი დღით და მერე უკან მოჰყავთ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ოჯახს გააჩნია, როგორია და შეიძლება, ცუდი ზეგავლენა მოახდინოს ბავშვზე“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

„შეიძლება, [მშობლებმა] ისეთი ფოტო გადაიღონ და დადონ ფეისბუქზე, რომ ნახვის უფლებას აღარ მისცემენ...“ – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი

რეინტეგრაციის ხელშეწყობა მცირე საოჯახო ტიპის სახლის მხრიდან

მცირე საოჯახო ტიპის სახლის მომსახურების მიმწოდებლები ამბობენ, რომ რეინტეგრაციაზე მუშაობა, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს, რამაც დააკარგვინა მცირე საოჯახო ტიპის სახლს საკუთარი ფუნქცია. ეს მომსახურება, თავისი არსით, მოკლევადიანი უნდა იყოს, სანამ ბავშვის ოჯახი კრიზისულ მდგომარეობაშია. თუმცა სინამდვილეში ხშირად ბავშვები სრულწლოვნებამდე რჩებიან მცირე საოჯახო ტიპის სახლში. მიუხედავად იმისა, რომ რეინტეგრაციის ხელშეწყობა, ოჯახების გაძლიერება და მომზადება რეინტეგრაციისთვის ზრუნვის სააგენტოს პრეროგატივაა, მცირე საოჯახო ტიპის სახლების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ისინი, ზოგ შემთხვევაში, თავად მუშაობენ ოჯახებთან რეინტეგრაციის ხელშესაწყობად და, ფაქტობრივად, მზა საქმეს აბარებენ ზრუნვის სააგენტოს, თუმცა ამ შემთხვევებშიც ყოველთვის ვერ ხერხდება ბავშვის რეინტეგრაცია. მცირე საოჯახო ტიპის სახლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ბავშვების რეინტეგრაციას სოციალური მუშაკების ნაწილი ხელს უწყობს, ნაწილი კი, პირიქით, ხელს უშლის და აფერხებს.

„საკმაოდ აქტიურად ვართ ტრანზიციის პროცესში ჩართული და ვეხმარებით ბავშვს, თუ ეს ის შემთხვევები არ არის, როდესაც ბავშვი გარბის სახლში (ბიოლოგიურ ოჯახში). ამიტომ იძულებითი რეინტეგრაცია უნდა გააკეთონ. სხვა შემთხვევაში შეთანხმებულია ჩვენთან. უბრალოდ, რეინტეგრაციები არ კეთდება და ეგ არის პრობლემა და ეს ხდება იმიტომ, რომ, როდესაც თქვენ იკითხეთ, რის გამო გამოდიან ოჯახებიდან ბავშვებიო... აღმოჩნდა, რომ ეს არის ძალადობა, იმდენად არავინ არ მუშაობს ამ ოჯახებთან, არ ხდება იმ არსებული პრობლემების, ისევე, როგორც ძალადობრივი ქცევის ჩანაცვლების სტრატეგიების სწავლება. ამიტომაც არ ხდება რეინტეგრაციების განხორციელება. მახსენდება, იყო წლები, წლიდან წლამდე 15 რეინტეგრაცია გაგვიკეთებია, დიახ, ჩვენ გაგვიკეთებია, იმიტომ რომ აქტიურად გვიმუშავია მშობლებთან. ბოლო წლებში რეინტეგრაციები არ ხდება“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„რომ აღვნიშნე ლანგარზე მირთმეული პოტენციური რეინტეგრაციის შემთხვევა, ფაქტიურად, ხელშეშლა გამოვიდა. სოციალური მუშაკი ეუბნებოდა დედას, რა გინდა, რისთვის იტკიეგ აუტკივარ თავსო? ბავშვს აქვს ფსიქიკური პრობლემები და რა ძალა გადგია, წარამარა ფსიქიატრიულში მოგიწევს მისი ტარებაო. მეორე შვილს მოგიკლავსო, და, რა ვიცი... ის ინტერესი ჰქონდა, რომ მერე მის რაიონში იქნებოდა და მონიტორინგი უნდა ეწარმოებინა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩვენ მაგათ [სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკებს] ვუწოდებთ ასე: „საბჭოზე გამტანები“. ნახეთ, როგორ ხდება: დაურეკავენ აღმზრდელს, მოაყოლებენ მთელს ქეისს, დაწერენ და გაიტანენ საბჭოზე... ის რეინტეგრაციები რომ მახსოვს, „გადავარჩინოთ ბავშვები“ რომ აკეთებდა, დაივიწყეთ, ეგეთი მომზადებული შემთხვევები არ არის“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩემს პრაქტიკაში მქონია ქეის-კონფერენციები, ჩემს პირად აღსაზრდელს ჰქონდა ამის პრაქტიკა. ბავშვს უნდოდა რეინტეგრაცია, შეაფერხეს, არ გაუშვეს. მერე ეს ბავშვი გაიქცა მაინც, ისევ, რასაც ჰქვია, ჩემი ხელით წავიყვანე კოლეჯში, დავყვებოდი, რომ ევლო კოლეჯში, მაგრამ მაინც მოხვდა ქუჩაში. ამ ბავშვს უნდოდა წასვლა და არ გაუშვეს, შემდეგ პროტესტის ნიშნად მაინც გაიქცა და დღეს ციხეშია. ყოფილა სხვა ბავშვებზეც ქეის-კონფერენციები, მაგრამ დიდი შედეგი არ ყოფილა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

ზოგი მცირე საოჯახო ტიპის სახლის პერსონალი ეხმარება ბიოლოგიურ ოჯახს ჰიგიენის დაცვის უნარების განვითარებაში, ფსიქოლოგიურად გაძლიერებაში, აწვდის საკვებს და ა.შ.

„ჩვენც ყველა ბავშვის მშობელთან გვაქვს მეგობრული დამოკიდებულება და ვცდილობ, ყველა მშობელი მივიღო ისეთი, როგორიც არის. მქონდა შემთხვევები, როდესაც ჩემი პირადი ტანსაცმელი გამომიცვლია და ჰიგიენის კუთხითაც ვეხმარები, რომ გაძლიერდეს. ამავდროულად, ჩემი ორგანიზაცია რასაც აკეთებს ამ ბავშვების მშობლებთან, კვებით დახმარება მისი ჯიბიდან, ისე ფსიქოლოგიურად გაძლიერება და უნარების გაძლიერებაში დახმარება... ოჯახში დადის, საკვებიც მიაქვს, საჭიროების შემთხვევაში რაღაც ნივთებიც მიაქვს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მიმწოდებელი ორგანიზაციების ნაწილი გამოყოფს პრობლემას, რომ კონკრეტული ბავშვი რამდენჯერმე დაბრუნებულა ზრუნვის სისტემაში რეინტეგრაციიდან. მინდობით აღზრდაში გაყვანილი ბავშვიც შეიძლება დაბრუნდეს მცირე საოჯახო ტიპის სახლში:

„ჩემთან, მაგალითად, ნორიოში, 4-ჯერ შემობრუნდა ბავშვი რეინტეგრაციიდან დაახლოებით 1,5 წლის ან უფრო ნაკლები შუალედით“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„იყო ერთი ბავშვი, რომელიც გაიყვანა მინდობითში, 15 წლის ასაკში, არ გაამართლა, ისევ უკან დაბრუნდა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

სოციალურ მუშაკთან ურთიერთობა: აღსაზრდელების მოსაზრებები

აღსაზრდელების ნაწილი ამბობს, რომ ინტენსიური ურთიერთობა აქვს სოციალურ მუშაკთან და, საჭიროების შემთხვევაში, იგი ყოველთვის მხარს უჭერს მათ. ბავშვები მიუთითებენ, რომ ისინი სოციალურ მუშაკთან გახსნილნი არიან. მათი თქმით, ინდივიდუალურ გეგმას აღმზრდელები წერენ და ამ გეგმის შედგენის პროცესში ბავშვებიც არიან ჩართული. ზოგი

მათგანი ამბობს, რომ არ არის ჩართული გეგმის შემუშავებაში. ბავშვების ნაწილი თვეში ერთხელ ნახულობს სოციალურ მუშაკს, ნაწილი კი – რამდენიმე თვეში ერთხელ.

> *„ჩვენ გვყავს ძალიან მაგარი სოციალური მუშაკები. მე ყველაზე ყურადღებიანი სოციალური მუშაკი მყავს. რამდენიმე სოციალური მუშაკი გამომიცვლია მდებარეობის გამო და არა იმის გამო, რომ პრობლემა შემქმნია მათთან... თუ რამე დამჭირდება, იმ წუთში ფეხზეა". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„ჩემს სოციალურ მუშაკთან გახსნილი ვარ და, როცა რამე ხდება, ყოველთვის ჩვენს გვერდით არის... რაც შეეხება ინდივიდუალურ გეგმას, აღმზრდელები წერენ და მაგ პროცესში ჩართული ვართ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> *„[სოციალური მუშაკი] გეგმებზე გვესაუბრება, რას ვაპირებთ... ჯერ – ყველას ერთად და მერე ინდივიდუალურად... გვეკითხება, რამე ისეთი ხომ არ გვჭირდება (მაგალითად, სტუდენტური ბარათი ან რამე მსგავსი)". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

> **კითხვა:** *„თუ გახსენდებათ, რომ ბავშვს რაღაც პრობლემა ჰქონდა და სოცმუშაკს გაანდო და ის დაეხმარა?"*

> **პასუხი:** *„მე მქონდა პოლიციაში... დედაჩემის მარტო სახელი და გვარი ვიცოდი და ტელეფონის ნომრის გაგებაში დამეხმარა. მეც გამიკვირდა, რომ დამეხმარა". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელთა ფოკუსჯგუფი*

ყოფილი აღსაზრდელები ამბობენ, რომ ზოგ შემთხვევაში, ძალიან იშვიათად ჰქონდათ ურთიერთობა სახელმწიფო სოციალურ მუშაკთან, ზოგჯერ კი არც იცოდნენ, ვინ იყო მათი სოციალური მუშაკი. ასევე, მათი აზრით, ძალიან არასწორი იყო, რომ სოციალურ მუშაკს აღმზრდელზე მეტი ხელფასი ჰქონდა.

> *„ჩვენსა და სოცმუშაკს შორის იყო უფსკრული. ლიდერი აკეთებდა ინდივიდუალური განვითარების გეგმას. სოცმუშაკის კონსულტაცია მინიმუმ 9 თვეში ერთხელ კეთდებოდა, ევალებოდა საავადმყოფოში გაყოლა, საბუთებზე ხელის მოწერა, ჩემი ინტერესების კუთხით მუშაობა – ამას ყველაფერს აკეთებდა ლიდერი ჩემთან. როდესაც ვხედავდი, რომ აღმზრდელს უფრო დაბალი ანაზღაურება ჰქონდა, ვიდრე სოცმუშაკს, ამაზე მეცინებოდა. სახლის ერთდღიანი მუშაობა სოცმუშაკის ერთთვიან მუშაობას რომ შეადაროთ, გაგეცინებათ, რადგან ეს ადამიანები იმხელა ტვირთს იღებენ საკუთარ თავზე, ვიდრე სოცმუშაკები. ასე ამბობდნენ, ტრანსპორტირება გვიჯდება ძვირიო, არადა, ერთი ქუჩა გვყოფდა და სასაცილო იყო ეს მიზეზი. ზოგჯერ ისიც კი არ ვიცოდი, ვინ იყო ჩემი სოცმუშაკი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების ყოფილი აღსაზრდელების/ახალგაზრდულ პროგრამაში ჩართული ახალგაზრდების ფოკუსჯგუფი*

სოციალურ მუშაკთან ურთიერთობა: სპეციალისტების მოსაზრებები

მცირე საოჯახო ტიპის სახლების თანამშრომლები გამოკვეთენ სხვადასხვა გამოცდილებას სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობის კუთხით. ნაწილისთვის ეს წარმატებული თანამშრომლობაა, ნაწილისთვის – საკმაოდ პრობლემური, რადგან ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის კოორდინირებული მუშაობა არ ხორციელდება.

> *„ჩვენთან ძალიან კარგადაა მაგ მხრივ, ჩვენი სოციალური მუშაკები მართლა მაგრად არიან მაგაში ჩართულები, ხშირი კონტაქტი აქვთ ბავშვებთან. თუ კვირის მანძილზე ვერ ახერხებს, ცდილობს, შაბათი და კვირა გამოიყენოს ამ ბავშვებთან ურთიერთობისთვის. მუშაობენ რეინტეგრაციისთვის ნამდვილად". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„ჩვენთან მსგავსი არაფერი არ ხდება. უკარგესი ბავშვი, რომელიც გახდა სტუდენტი, არ ჰყავს დედა, არ ჰყავს მამა, არავინ არ ჰყავს, ისე წავიდა, ისე ცხოვრობს ბათუმში, ისე გაუკეთა მენეჯერმა, რომ ბინის პრობლემები მოუგვარა, თუნდაც ის დაფინანსება... არც წინასწარ იყო შემზადებული ბავშვი, რომ ამ სირთულეებს შესჭიდებოდა. მსგავსი არაფერი არ ხდება. იყო კიდევ თბილისელი ბავშვი, რომელიც გახდა 18 წლის და სანამ უნდა გასულიყო ჩვენი მომსახურებიდან, უკვე უმთავრდებოდა ვადა. სადღაც ერთი კვირით ადრე მოვიდა მისი სოციალური მუშაკი და უთხრა, რომ ამის შემდეგ მას არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ ოჯახში დაბრუნებულიყო, არ ღებულობდა ოჯახი. ამან უთხრა, რომ შენ იძულებული ხარ, დაბრუნდე ოჯახშიო, და ამ გოგონამ უთხრა: „მე შენთან კომუნიკაცია არ მსურს". „არ გინდა და, კარგად ბრძანდებოდე", ადგა და წავიდა ის სოციალური მუშაკი. საერთოდ არ გვაქვს მხარდაჭერა. ჩვენი მენეჯერი თვითონ იბრძვის, რომ ეს ბავშვები გადარჩნენ". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი*

მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ნაწილი მიუთითებს ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან ურთიერთობის პროცესში წარმოქმნილ მწვავე პრობლემებზე, მათთან კოორდინირებული მუშაობის სირთულეებზე. მათი თქმით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და სააგენტოს შორის ფუნქციების გადანაწილების შესახებ დოკუმენტი მხოლოდ ქაღალდზე რჩება, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ ზოგ მუნიციპალიტეტში საერთოდ აღარ არის სოციალური მუშაკი პროფესიონალი კადრების გადინების გამო. ისინი განსაკუთრებით გამოთქვამენ შეშფოთებას ამ საკითხზე. იმ შემთხვევებშიც, როცა სოციალური მუშაკი არის და მოდის მომსახურებაში დადგენილი სიხშირით, მომსახურების მიმწოდებლები ვერ გრძნობენ მისგან სათანადო მხარდაჭერას. აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ ლოკაციებზე მიმწოდებელი ორგანიზაციები შეიძლება დადებითად აფასებდნენ სააგენტოსთან თანამშრომლობას, ზოგ ლოკაციაზე – უარყოფითად. იკვეთება სოციალურ მუშაკთან წარმატებული თანამშრომლობის მაგალითები, როცა (გეგმური განთავსების შემთხვევებში) სოციალურ მუშაკს მცირე საოჯახო ტიპის სახლში განთავსებამდე მოჰყავს ბავშვი, ერთმანეთს აცნობს ბავშვს და მცირე საოჯახო ტიპის სახლში უკვე მცხოვრებ ბავშვებსა და პერსონალს. თუმცა არის სხვა შემთხვევები, როცა სოციალური მუშაკი და მცირე საოჯახო ტიპის სახლის თანამშრომლები სხვადასხვა რამეს

ეუბნებიან ბავშვს, თუ მას უნდა სადმე გასვლა (ერთი აძლევს ნებართვას, მეორე – არა). ასევე, ზოგჯერ სოციალურ მუშაკს ისე შემოჰყავს ან გაჰყავს ბავშვი, რომ თავად ეს უკანასკნელი და მცირე საოჯახო ტიპის სახლი არ არიან შემზადებული ამისთვის.

„ჩვენი სოციალური მუშაკი, თუ გადაუდებელი არ არის, აუცილებლად გვაცნობს [ბავშვს], ქეისსაც გვაცნობს და თუ ამ რეგიონში მცხოვრებია ბავშვი, მოჰყავს და გვაცნობს კიდევაც, ვაჩვენებთ გარემოს, ვაცნობთ. შეფასებაშიც იდენტური ინფორმაციაა, რასაც გვიყვება, ოღონდ, როცა მოიყვანა და წავიდა, მერე გვაქვს პრობლემები უკვე“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„კოორდინირებული მუშაობა სააგენტოსა და პროვაიდერებს შორის არ არის. არ არის ერთმანეთში ხშირი კომუნიკაცია“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მხოლოდ ფურცელზე დაწერილი რომ არის და არავინ ასრულებს [გამმიჯვნელი დოკუმენტით განსაზღვრულ ფუნქციებს], შესრულება უნდა დაიწყონ მხარეებმა (სააგენტომ და მომსახურების მიმწოდებელმა)... ხაშურში, სადაც ორი სახლი მაქვს, იქ ფიზიკურად არ არის სოციალური მუშაკი. ვინც კი ჰყავდათ, ყველა გაექცათ. ამის ფონზე ვიღაც რომ გამოხტება და იტყვის, რომ ეს კარგი პროვაიდერია, ან ცუდი პროვაიდერია, ანუ ასეთ შეფასებას რომ აკეთებს სააგენტო, ხელის გაშვერა ძალიან მარტივია, თუმცა ამ დროს იმას არ ამბობს, თავად რას აკეთებს. სრულიად სხვადასხვა რელსებზე ვართ. ამიტომ ვამბობ, რომ მივექანებით კატასტროფისკენ. აუცილებელია, რაღაც უბედურება მოხდეს, რომ ადამიანებმა გაიღვიძონ და დაიწყონ ფიქრი?“ – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მცხეთაში 5 ქულით (მაქსიმალური შეფასება ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილების პროცესში) შევაფასებდი [სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს], თბილისში - 0-ით“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ჩემთან ძალიან კარგი გოგო იყო სოციალური მუშაკი, მაგრამ გააქციეს და ახლა არ ვიცი, რა მეშველება“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ანუ ხშირად დარბის [სააგენტოს სოციალური მუშაკი], მაგრამ რას აკეთებს, არავინ არ იცის. შესაბამისად, მოსვლის მიზანი რა არის, არ ვიცი. მაგალითად, მარტში რომ მოხვედი, გეგმაში რა წერია, ამ ბავშვთან მიმართებაში რა გააკეთე?“ – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მახსენდება ერთი შემთხვევა, როდესაც ქეის-კონფერენციაზე ერთ-ერთი სოციალური მუშაკი ამბობდა, რომ მე ეს ვქენი, ეს ვქენი. ორი წელია, არ მოსულხარ, ბავშვები არ გიცნობენ. მართლა, ორი წლის განმავლობაში, ეს გოგო მხოლოდ ერთხელ იყო მოსული, ისიც იმიტომ მოვიდა, რომ სხვა ბავშვი მოიყვანა. შემოიარა, „ბავშვებო, როგორ ხართ, წავედი, ნახვამდის“. ეს არ არის მოსვლა. მუშაობის თვალსაზრისით არაფერს არ აკეთებენ. რეკავენ აღმზრდელებთან, „აბა, რა მოხდა?“ შესაბამისად,

არსებობენ „ჯიგარი“ სოციალური მუშაკები და არსებობენ, უბრალოდ, სახელად სოციალური მუშაკები, რომლებიც გონზე არ არიან. მონიტორინგის ერთ-ერთი ვიზიტისას ბავშვს ჰკითხეს, შენი სოციალური მუშაკი ვინ არისო და ბავშვმა აიჩეჩა მხრები. ეს ყველაფერზე მეტყველებს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„რეგიონულ დონეზეც კოორდინაციის პრობლემაა სააგენტოსთან... აი, ბოლოს გვქონდა ესეთი შემთხვევა, მცირეში მყავს ორი ძმა, ერთი ფსიქიკური დიაგნოზით, მეორე – ჯანმრთელი. მოდის სოციალური მუშაკი და ეუბნება აღმზრდელს: „ჩაალაგე, ჯანმრთელი ძმა მიმყავს მიმღებში“. ანუ იმ დღეს ვიგებ, რომ თურმე გაუტანიათ შემთხვევა საბჭოზე, უმსჯელიათ, ანუ დედმამიშვილები დააშორეს, დღემდე ცალ-ცალკე ცხოვრობენ ძმები. და ამას ვიგებთ იმ დღისით. და არგუმენტი, იცით, რა იყო? ამ ბავშვს (ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონეს) რომელი ფოსტერი გაუმკლავდებაო... ეს რა დამოკიდებულებაა, გინდა პროვაიდერის, რაც მთავარია, ბავშვის მიმართ?“ – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„კიდევ რა ხდება: მაგალითად, ღამე გირეკავს მობილური ჯგუფი და გეუბნება, „შემომყავს ბავშვი“, და დილით მე ვაგებინებ სააგენტოს, რომ ბავშვი შემომიყვანეს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„კიდევ ერთი პრობლემა: არის ასეთი შემთხვევები, მაგალითად, ბავშვი სთხოვს აღმზრდელს სადღაც გაშვებას, აღმზრდელი უხსნის და არ უშვებს. ის იღებს ტელეფონს, ურეკავს სოციალურ მუშაკს... სოციალური მუშაკი უშვებს და ისიც მიდის“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელების ფოკუსჯგუფი

პოლიციასთან და სხვა უწყებებთან თანამშრომლობა

მომსახურების მიმწოდებლები აღნიშნავენ, რომ უმწვავესი პრობლემაა პოლიციასთან თანამშრომლობა. მათგან არ ხდება რეაგირება და არ თანამშრომლობენ დანაშაულის ნიშნების, ძალადობის, პროსტიტუციაში ჩართვის და სხვა მსგავს შემთხვევებში, რასაც სავალალო შედეგი მოაქვს ბავშვებისთვის. პოლიციის წარმომადგენელმა, იმის ნაცვლად, რომ ჰქონდეს სათანადო რეაგირება გაკეთებულ შეტყობინებაზე, შეიძლება უსაყვედუროს პროვაიდერს შეტყობინებების სიმრავლის გამო. ასევე ძნელია კანონისა და სამართალდამცავთა მიმართ პატივისცემის გაღვივება ბავშვებში.

„ბავშვებს აქვთ დაუსჯელობის განცდა. ერთ-ერთმა ბავშვმა ახლად გარემონტებულ სახლში დაგვიმტვრია ავეჯი, კარები, არ დაგვიტოვა არაფერი. გამოვიძახებდით საპატრულოს, ისინი ფაქტიურად ვერაფერს ვერ ეუბნებოდნენ, ორი დღის შემდეგ ისევ ამას აკეთებდა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„არის, ასევე, წრეები [დაჯგუფებები], სადაც ახალგაზრდები ერთიანდებიან ხოლმე უბნების, ქუჩების მიხედვით. პოლიციასაც მივმართავთ ხოლმე, მაგრამ ხელშესახები შედეგი ძალიან ნაკლებია. მართლმსაჯულების კოდექსი რაც ამოქმედდა, ერთის მხრივ,

ძალიან კარგია, ბავშვის უფლებებზეა ორიენტირებული; მეორეს მხრივ, ძალიან ბევრი ქურდობები წამოიღო ამ დაუსჯელობის სინდრომმა. ამას მოჰყვა ის, რომ სამტრედიის დაწესებულება აღარ გვაქვს და ვერ გადაგვყავს ვერსად ასეთი ბავშვები". – ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენელი

„შემთხვევები, რომლებიც ყველაზე მეტად გვიჭირს და რომელზეც ვერაფერს ვერ ვაკეთებთ, იმიტომ რომ ვსაუბრობ შემთხვევებზე, სადაც არა მხოლოდ ძალადობაა, არამედ დანაშაულის სხვა ნიშნები, პროსტიტუციაში ჩართვა და ა.შ., რაც მთელი ცხოვრება მიჰყვება ბავშვს, ამ საკითხების პრიორიტეტიზებას პოლიცია ვერ ახდენს და ვერასდროს ვერ ხერხდება მათი მხრიდან დროული რეაგირება, და არა მარტო რეაგირება, შემდგომი თანამშრომლობაც". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ბავშვი გვყავს ჩარიცხული, რომელიც ძალიან დიდ ქურდობებზე გადის, რასაც ჰქვია, მაღაზიებზე, ველოსიპედებზე, სკუტერებზე. აი, არაფერი ბერკეტი არ გვაქვს იმის, რომ ბავშვებს რაიმე დავუშალოთ. მოპარული ნივთი, ისიც უნდა შემოვატანინო. ღამე რომ მოიტანს მოპარულ ნივთს, ისიც უნდა შემოვატანინო. ვეკითხები პოლიციელს, მე ამ მოპარულ ნივთს რა ვუყო? „იყოს თქვენთან და, თუ გამოუჩნდა პატრონი, იმ შემთხვევაში დავაბრუნებ, თუ არადა, რა ვიცი". მოპარული ნივთების საწყობი გვაქვს და ეს სხვა ბავშვებზე ძალიან ცუდად აისახება. ბავშვი, რომელიც პლანს ეწევა, დავუშვათ, რატომ არ უნდა იყოს რაღაცა ისეთი გაფრთხილება, ისეთი სასჯელი, რომ მეორედ ეს არ გააკეთოს. სთავაზობს სხვა ბავშვებსაც. თუმცა ჩვენ ვაკონტროლებთ ამ ყველაფერს, მაგრამ როდემდე გავწვდებით, ამას ვერ გეტყვით". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ერთი ჩემი თანამშრომელი მეუბნება, ჩვენ [სერვისპროვაიდერები] ვართ ძიძაო, დედა არის სოციალური მუშაკიო და მამა არის პოლიციაო. ეს ბავშვიო, ერთსაც ჰკიდია და მეორესაცო, და მე, ძიძამ, რატომ ვიხალო თავშიო? ძალიან ცუდი რამ ვთქვი, მაგრამ რეალურად ასეა. თუ ვინმეს ეს ბავშვი აინტერესებს, აინტერესებს პროვაიდერს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ერთ-ერთ რეგიონში ერთ-ერთ სახლზე იყო შეხვედრა და შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმაზე კი არ გააკეთა აქცენტი, რას ვერ აკეთებს; საყვედური გვითხრა, წელიწადში რომ არის 365 დღეო, 260 შეტყობინება რატომ გაქვთ 112-ში გაკეთებულიო". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ხშირ შემთხვევაში, პოლიციის დაცვა ჩვენ გვიწევს. ბავშვებს აქვთ განცდა, რომ არაფერი არ არსებობს, რაც შემაკავებელი ფაქტორი იქნება მათთვის (მაგალითად, ადრე რომ იყო სამტრედიის სკოლა); შესაბამისად, პოლიციას ჩვენ თვალწინ აფურთხებენ და

მერე პოლიციელებს ჩვენ ვიცავთ. ამ ყველაფერს ხედავენ დანარჩენი ბავშვებიც და, ნუ, მერე ირევა მთლიანად სურათი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების წარმომადგენელთა მოსაზრებების გათვალისწინება პროგრამის დახვეწის პროცესში

მომსახურების მიმწოდებლები ამბობენ, რომ არ არიან ჩართული პროგრამის დახვეწაში; სამინისტრო მათ არც აზრს ეკითხება და არც უკუკავშირს სთხოვს.

კითხვა: *„რამდენად ითვალისწინებს სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის სამმართველო სახელმწიფო სოციალური პროგრამის კომპონენტების გადახედვისას მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების უკუკავშირებს? უზრუნველყოფილია თუ არა ფართო ჩართულობის პლატფორმები?"*

პასუხი: *„საერთოდ რაზე საუბრობთ ახლა?" - მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

მცირე საოჯახო ტიპის სახლების მონიტორინგი

მცირე საოჯახო ტიპის სახლებს განსხვავებული გამოცდილება აქვთ სხვადასხვა სამსახურის მონიტორინგთან დაკავშირებით. მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ნაწილი ამბობს, რომ ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს კომპეტენცია მწირია და მისი წარმომადგენლები არ იღებენ მათგან ქმედით რეკომენდაციებს. ზოგჯერ რეკომენდაციები შეიძლება, ობიექტურად რომ ითქვას, შესრულებადი არ იყოს (მაგალითად, სკეიტის ბილიკების მოწყობა ერთი ბავშვისთვის). მცირე საოჯახო ტიპის სახლების თანამშრომლები ასევე ამბობენ, რომ ყოფილა შემთხვევები, როცა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს ტრავმირებული ბავშვის ნაამბობი მეორე მხარის (მცირე საოჯახო ტიპის სახლის წარმომადგენლების) მოსმენის გარეშე შეუტანიათ ანგარიშებში. მსგავს შემთხვევაში მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურების მიმწოდებლები ითხოვენ ხოლმე ზრუნვის სააგენტოს აუდიტს, რომელიც საკუთარ დასკვნას დადებს. აღნიშნულმა სიტუაციამ, შესაძლოა, მძიმე ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემები შეუქმნას პერსონალის წევრებს, ასევე, საგრძნობლად შეამციროს მათი მოტივაცია. მონიტორინგის პროცესში მსგავსმა დამოკიდებულებამ შეიძლება გაუჩინოს ბავშვებს შეგრძნება, რომ, აღმზრდელებისგან შენიშვნის ან მითითების მიცემის შემთხვევაში (მაგალითად, დაძინების დროსთან ან წესების შესრულებასთან დაკავშირებით), შეუძლიათ, დაემუქრონ ორგანიზაციის თანამშრომლებს, რომ მათ „დახურავენ" მონიტორინგის გამოძახებით. ასევე, მცირე საოჯახო ტიპის სახლების ნაწილის თანამშრომლები მიუთითებენ იმაზედაც, რომ მონიტორინგის სამსახურის (სამინისტრო, სააგენტო, სახალხო დამცველი) წარმომადგენლები ვიზიტისას არ ესაუბრებიან ბავშვებს, არამედ შემოიფარგლებიან, ძირითადად, დოკუმენტაციის შემოწმებით. ისინი უსვამენ ბავშვებს ზოგად კითხვას, რამდენად აქვთ მათ მონიტორინგის ჯგუფთან

გასაუბრების სურვილი, თუმცა ბავშვები ამის სურვილს ხშირად არ გამოთქვამენ და არც მონიტორინგის სამსახური აკეთებს რამეს დამატებით ამ მიმართულებით.

„ძველ დროს ნამდვილად იყო მონიტორინგის სამსახური (სამინისტროსი) ორიენტირებული ხარისხის გაუმჯობესებაზე, თუმცა ბოლო დროს ისეთი ტენდენციაა, რომ აქაც ძალიან ჩავიძირეთ. იყო მუხტი, რომელიც ჩაქრა. ჩვენის მხრიდანაც ნამდვილად ვასრულებდით გაცემულ რეკომენდაციებს, რომლებიც იყო ქმედითი და არა ფორმალური. მაგრამ ახლა ეს მიმართულებაც არის ქვესკნელში. კიდევ ბოლო ტენდენცია არის ის, რომ სააგენტომ შექმნა მონიტორინგის სამსახური, რომლის წარმომადგენლების კომპეტენცია არის 0-ს ქვემოთ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მე მახსენდება შემთხვევა, როდესაც ჩვენმა ბავშვმა მონიტორინგის სამსახურს უთხრა, მინდა სკეიტის ბილიკების მოწყობაო, და რეკომენდაციებში ასახეს, რომ მოუწყვეთ ეს ბილიკებიო“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„რაც ჩემთან ბოლოს სახალხო დამცველმა [გააკეთა], ეს იყო სრული მარაზმი... ბავშვი... არის ცხოვრებაზე გაბრაზებული და რაღაცეები შეიძლება უთხრას და ეს ყველაფერი გადაუმოწმებლად ასახოს ანგარიშში, ისევე, როგორც შეურაცხყოფა მიაყენოს მთელს გუნდს – ეს დაუშვებელია. ამის შემდეგ მე მოვითხოვე აუდიტი და სააგენტომ გამოაგზავნა აუდიტი, რომელმაც დადო თავისი დასკვნა. ჩემს თანამშრომელს ინფარქტის წინარე მდგომარეობა შეექმნა და დღესაც მკურნალობს. შეუძლებელია ასეთი არაპროფესიონალებით იყოს დაკომპლექტებული მონიტორინგის გუნდი“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„თუ ბავშვი ამბობს, რომ მშიერია, გამოაღე მაცივარი და ნახე, რა აქვს მცირეს მარაგში და მოხმარების ეტაპზე. როგორ შეიძლება, გადაუმოწმებელი ინფორმაცია გააჟღერო ანგარიშში? ისევე, როგორც გამოდის, რომ მხოლოდ დღეს კი არა, გუშინაც მშივრები იყვნენ. მაშინ სად არის მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ის ხომ პასუხისმგებელია, ყოველთვიური ვიზიტები განახორციელოს, სანამ სახალხო დამცველი მოვიდოდა. მანამ მან რატომ არ აღმოაჩინა, რომ თურმე ბავშვები მშივრები იყვნენ. იყო ორი გოგო, რომელიც ვერ იტანდა სახელმწიფოს, ვერ იტანდა სახელმწიფო პროგრამას, და ამიტომ ასე ხელაღებით შეაფასა ეს სიტუაცია. მე მიყვარს, ზოგადად, მონიტორინგი, იმიტომ რომ მათი რეკომენდაციები ხშირად გაგვითვალისწინებია და შეგვიცვლია. თან მგონია, რომ... ჩვევაში რაც გადადის, შეიძლება დაგვიხარვეზდეს... ამ ბავშვმა 15 დღეში აღიარა, რომ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა და როგორ მოინანიოს, არ იცის... ამ პრეცედენტმა რა ტენდენცია დატოვა, იცით? თუ ბავშვებს რაღაც არ უნდათ, მაგალითად, ცოტა მეტი ისწავლონ, თუ მოსთხოვ წესრიგს, თუ მოსთხოვ, დროულად დაიძინოს, იმიტომ რომ მეორე დღეს სკოლაში უნდა წავიდეს, იმ წუთში გეუბნებიან: აა, დაგხურავთ, მაქვს ამის მეთოდი“. გემუქრებიან, რომ დარეკავენ

სახალხო დამცველში და ა.შ“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„ანუ გამოდის, [რომ] ამგვარი ერთი შემთხვევის გამო შეიძლება 20-წლიანი გამოცდილების მქონე ორგანიზაციის რეპუტაცია შეილახოს ერთ წუთში. და არავის არ აინტერესებს, შენ რა გიკეთებია და რა დგას ამ ყველაფრის უკან“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„კიდევ შემთხვევას გავიხსენებ: რეგულირების სააგენტო რომ დადიოდა და სასამართლოში მიჩივლეს, ნამცხვარი არ ჰქონდა გაზქურაშიო, და მოვიგეთ ეგ სასამართლო“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლის პერსონალის შენარჩუნება და მომზადება-გადამზადება

მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერები ამბობენ, რომ უჭირთ პერსონალის შენარჩუნება და ახალი თანამშრომლების მოზიდვა. ისინი ამბობენ, რომ, სამუშაოსთან შეუსაბამო ხელფასსა და მძიმე სამუშაო პირობებთან ერთად, ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ აღმზრდელები საკმაოდ დაუცველნი არიან, განსაკუთრებით, ძალადობის თაობაზე ბრალდებების წინაშე.

„ჩვენ გვქონდა შემთხვევა, სახალხო დამცველი მოვიდა და ნახევარი წელი ძიებაში იყო საქმე, რადგან დააბრალა თანამშრომელს ძალადობა, თანამშრომელს, რომელსაც დანარჩენი ბავშვები და თანამშრომლები მისტირიან. მეორეჯერ გამოვაცხადეთ ვაკანტურ ადგილზე კონკურსი და არავინ არ მოვიდა. შესაბამისად, თანამშრომლები არიან დაუცველები. ამიტომ, სასურველია, მომსახურების წარმომადგენლები ერთობლივად შეხვდნენ სახალხო დამცველის წარმომადგენლებს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

სოციალური მუშაკების თქმით, აღმზრდელების შერჩევისას უფრო მეტად უნდა იყოს გათვალისწინებული შესაბამისი რისკები, რათა სამომავლოდ სირთულეები თავიდან იქნეს აცილებული.

„მცირე საოჯახო სახლებში რომ რეგისტრირდებიან დედობილ-მამობილები, უფრო სიღრმისეულად არის რეგისტრაციამდე მათი შემოწმება საჭირო. გვაქვს სირთულეები შემდგომში“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

მენეჯერების თქმით, დიდია აღმზრდელების გადაწვის რისკი. ასევე, უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ, ვინაიდან ბავშვები კომპლექსური სირთულეებით შემოდიან, მცირე საოჯახო ტიპის სახლს არ აქვს ყველა შემთხვევის ეფექტიანად მართვის კომპეტენცია. კომპეტენცია არის უმნიშვნელოვანესი პრობლემა აღმზრდელების შემთხვევაშიც, რომელთაც ორგანიზაციები ვერ სთავაზობენ შესაბამის ანაზღაურებას, რაც თავიდანვე შედარებით დაბალი კომპეტენციის კადრის მოზიდვას ან კომპეტენტური კადრის სწრაფად გადინებას იწვევს.

„მცირეებში სტაფს ველარ ვინარჩუნებ. სახლში მე პირადად მყავს სულ სამი აღმზრდელი. მე ვინც მინდა და მაწყობს, რომ ავიყვანო, გასულია ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამუშაოდ, და აქ, ამ ხელფასზე, არავინ მოდის, ხოლო გაუგებარ ხალხს ქუჩიდან სერვისში ვერ შემოვიყვან. ამიტომ მყავს სამი აღმზრდელი, რომლებიც წელში წყდებიან. როდემდე გავქაჩავ ასე, არ ვიცი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„მე გამიმართლა იმ თვალსაზრისით, რომ, უკვე 10 წელია, 4 ადამიანი მყავს მუდმივად, თუმცა კი ეს ხდება თითოეული ჩვენგანის ემოციისა და ძალისხმევის ხარჯზე. ხანდახან ვამბობთ, [რომ] სიცოცხლის ხალისი დავკარგეთ, ამიტომ შეუძლებელია ასე გაგრძელება. როდემდე შეიძლება მიჰყვებოდე ინერციით დინებას?" – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„აღვნიშნავ აღმზრდელების პროფესიულ გადაწვას, რაც აისახება ბავშვებზე ზრუნვის ხარისხზე. არ შეიძლება, ყველა სირთულის ბავშვი მცირეში შემოჰყავდეთ და ყველა კომპეტენცია ჰქონდეს ერთ ორგანიზაციას. თუ რანჟირება არ მოხდა, ალბათ მერე ყველა დავტოვებთ ამ საქმეს ნელ-ნელა. და კიდევ, ეს არის სფერო, სადაც შენ ვერასდროს ვერ აგყავს ისეთი აღმზრდელი, რომელზეც ოცნებობ, რადგან იმ სამსახურში და იმ ანაზღაურებაში, რასაც ისინი იღებენ, ვერასდროს მოვიყვანთ ადამიანებს, რომლებსაც ექნებათ ყველაფრის კომპეტენცია და ხანგრძლივად დარჩებიან მომსახურებაში. ასეთი კარგი რომ მყავდა, ერთ წელიწადში წავიდა". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„თითოეული ჩვენგანის უკან ჩვენი ოჯახებია. მუშაობა გვიწევს დღე და ღამის განმავლობაში მიზერულ ხელფასზე... 392 ლარი – ეს არის ხელფასი, რომელიც, თითქმის 7 წელია, მაქვს. ამ წლების განმავლობაში ხელფასი გაიზარდა მინიმალური რაოდენობით. ამ თანხით ჩვენ ზღვა სამუშაოს ვასრულებთ. ჩვენ რომ რაღაცას ვიტყვით, იმის საწინააღმდეგოს ამბობენ სოციალური მუშაკები. როცა მოვთხოვე ფსიქოთერაპევტის ჩართვა, რეაქცია არ ჰქონდათ. როცა საქმე ეხება იმას, რომ მე სოციალური მუშაკის ფუნქცია უნდა შევითავსო, მაშინვე გააფორმებენ მინდობილობას. წლების განმავლობაში დავდიოდი ფსიქიატრიულში. ყოველთვე მომქონდა ბავშვისთვის წამალი იმ მინდობილობის ხარჯზე, რომელიც გამიკეთეს ორ წუთში, იმიტომ რომ მოეხსნათ თავისი საქმე. თავისთავად, ხელფასის გამო მე ბავშვებს არ დავაღალატებ და, რაც სჭირდებათ, ყველაფერს გავუკეთებთ, ეს ჩემი ადამიანობა და ქრისტიანობაა, მაგრამ ხშირად გვიყენებენ ამ კუთხით, რადგან იციან, რომ ჩვენ არ გავაფუჭებთ საქმეს. ღამეები არ გვძინავს, რომ, მაგალითად, მეორე დღეს რა გავუკეთოთ, რა დავუგეგმოთ, უკეთესად რომ იყონ... ან ჯანმრთელობის დაზღვევა იყოს [აღმზრდელებისთვის], ან რამე". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ღამის საათებზე მინდა ვთქვა. ღამის საათებში, როდესაც 10 ბავშვია, ან 8, ან 5, არ აქვს მნიშვნელობა, ხარ ერთი ადამიანი. ჩვენც ხომ ადამიანები ვართ, გავხდი ცუდად, რას ვაკეთებ ამ დროს? ნუ, რას ვაკეთებ, ვიძახებ ლიდერს და ის მოდის. კიდევ დავამატებ, აი, ხომ არის დღის სამსახურები – დილის 10-დან 6-მდე, ჩვენ [– არა]". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელები საჭიროებენ მრავალ ტრენინგს, მათ შორის, მოზარდთა ტიპური განვითარების და შშმ ბავშვთა სექსუალური ქცევის მართვის საკითხებში, რაც არასდროს ჩატარებულა და რისი საჭიროებაც დიდია. ვინაიდან მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ძირითადად, ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვები არიან, ამ სახლების მენეჯერები საუბრობენ ტრენინგებისა და განვითარების შესაძლებლობების საჭიროებაზე, ზოგადად, ქცევის მართვის მიმართულებით.

„ტრენინგების საჭიროებაა მოზარდი ბავშვების (შშმ/ტიპური) ბავშვების სექსუალური ქცევის მართვის კუთხით". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„იქნებ, ვინმემ ჩაგვიტაროს ტრენინგები შშმ მოზარდ ბავშვთა სექსუალური ქცევის მართვის საკითხებში. ამაში, როგორც აღმზრდელს, მჭირდება გაძლიერება. არასდროს არ ჩატარებულა მსგავსი ტრენინგი. ჩვენით ვეძიებით რაღაც ინფორმაციას". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

პერსონალი ამბობს, რომ დასვენების დღეების ქონა საკმარისი რაოდენობით თვის განმავლობაში (რაც აღმზრდელის ასისტენტებისა და დამხმარე პერსონალის არსებობის მეშვეობით ხდება შესაძლებელი), გასვლითი ტრენინგები და განტვირთვის შესაძლებლობები ძალიან მნიშვნელოვანია და ეს ამ ეტაპზე მხოლოდ ზოგიერთ ორგანიზაციაში არის უზრუნველყოფილი. ამ კუთხით, განსაკუთრებით მძიმე იყო პანდემიის პერიოდი.

„წახალისების კუთხით ძალიან დაფასებულები ვართ სოს-ის აღმზრდელები. ხშირად გმირებს გვეძახიან, რაც ყველანაირ ჯილდოს მირჩევნია, თუმცა პანდემიის პირობებში ეროვნულმა ბიურომ გადაგვიხადა მადლობები და საზეიმო ვითარებაში გადმოგვცეს [ჯილდო] და ფინანსურადაც წაგვახალისეს. ყოველწლიურად ჩვენ თავად ვაფასებთ ჩვენს მიერ მიღწეულ შედეგებს და შემდეგ ვგეგმავთ, მომდევნო წელს რას უნდა მივაღწიოთ, ზოგადად, ბავშვებთან და, თუ ამას მივაღწევთ ხოლმე... (ნუ, მხოლოდ ჩვენი შეფასებით არა). თავისთავად, ეს აისახება ხელფასების მატებაზე, რაც მოტივაციას გვიქმნის, რომ ჩვენც სხვანაირად ვიყოთ განწყობილი. ამის გარდა, გვაქვს ხოლმე 5-დღიანი გასვლითი ტრენინგები, ყველა აღმზრდელი ერთად [მივდივართ]. მთელი საქართველო მოვიარეთ თითქმის. მოვწყდებით ასე ყველაფერს. შვებულებაც გვაქვს და შაბათი-კვირაც გვაქვს. და სხვები რომ საუბრობდნენ, მართლა არ მინდა ისე გამომივიდეს, მაგრამ ჩვენთან ყველა პრობლემის გადაჭრა იმდენად გუნდურად ხდება, რომ მაქსიმალურად ცდილობენ, არ გადავიწვათ. ნებისმიერ დროს შეგვიძლია, ორი დღე გავეთავისუფლოთ, წავიდეთ შვებულებაში, რომ ფსიქოლოგიურად

განვიტვირთოთ. შესაბამისად, თუ ვატყობთ, რომ უკვე გადაწვისკენ ვართ, ჩვენითვე გვირჩევნია, განვერიდოთ სიტუაციას, და ამაში ძალიან გვიწყობენ ხელს". – მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„ჩვენმა ორგანიზაციამ იზრუნა და ჩვენი ასისტენტების რაოდენობა გვაძლევდა იმის საშუალებას, რომ ჩვენი დასვენების დღეები [დღეების რაოდენობა] გაზრდილიყო, და გაგვეზარდა კიდეც..". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელები ჰყვებიან იმაზედაც, რომ ისინი უამრავ ფუნქციას ითავსებენ (აღმზრდელი, დამლაგებელი, მზარეული, ფსიქოლოგი და ა.შ.) და ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობისთვის დრო არ რჩებათ. ასევე, ისინი წუხან, რომ სხვა ჩართული უწყებებისთვის მათი ნამუშევარი ხშირად უხილავი და დაუფასებელი რჩება.

„ჩვენ გვაწუხებს ის, რომ აღმზრდელები, გარდა აღმზრდელობითი ფუნქციისა, სხვადასხვა ფუნქციებსაც ვითავსებთ. მაგალითად, დამლაგებლებიც ჩვენ ვართ, მზარეულებიც ჩვენ ვართ, ექთანი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი და, მიუხედავად ამ შეთავსებებისა, არანაირი სტატუსი ჩვენ არ გვაქვს. ამის გამო დრო არ გრჩება იმისთვის, რომ ბავშვთან ნორმალურად იმუშაო. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ინდივიდუალური განვითარების გეგმაში, სადაც ყველა პუნქტი არის ჩვენი შესასრულებელი და პასუხისმგებლობა არის ჩვენზე, იქნება ეს ბავშვის განვითარება, ჯანმრთელობა, კვება, ოჯახთან ურთიერთობა... საქმე მიდის თითქმის რეინტეგრაციამდე და რეინტეგრაცია უკვე სოციალურ მუშაკს ეხება, ეს წარმატება ეთვლება სოციალურ მუშაკს და ჩემი ნამუშევარი საერთოდ აღარ ჩანს არსად. ზოგადად, ჩვენი ნამუშევარი არ ჩანს არსად. კიდევ, გარდა იმ ყველა საქმისა, ღამე კიდევ ათასი დოკუმენტი გვაქვს საწარმოებელი (ძალადობის, დაკვირვების ფურცლები), რომელსაც საერთოდ არავინ არ კითხულობს. შემოიფარგლებიან იმით, რომ დაგვირეკავენ და მიაქვთ ინფორმაცია, ან, უბრალოდ, შემოივლიან და ისევ ჩვენი გასაუბრებით მიაქვთ ინფორმაცია. მერე არ ვიცი, წერენ ანგარიშებს თუ რა. და ესეც მათ ეთვლებათ წარმატებაში, სადაც არ ჩანს ჩემი ნამუშევარი არსად". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

„წეღან რომელიღაცამ ახსენა, რომ აღმზრდელებს არ გვრჩება დრო ბავშვებთან სამუშაოდო, მართალია, ნამდვილად ასეა, რადგან ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ბავშვს ნდომებია შენთან საუბარი, ინდივიდუალურად, მაგრამ არ გრჩება შენ იმისი დრო. მთელი დღე აკეთებ საჭმელს, მთელი დღე ალაგებ, მთელი დღე ტრიალებ სამზარეულოში, ფაქტიურად, დილიდან ღამის 12 საათამდე ვარ სამზარეულოში. დღის მანძილზე სამი ადამიანია მომსახურებაში – ორი აღმზრდელი და ერთი ლიდერი. ისინიც არიან ჩართულები, ზოგს მეცადინეობა უნდა, ზოგი სკოლაშია წასაყვანი, პატარები გვყავს. ფაქტიურად, ეს პრობლემაა ძალიან დიდი". – მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღმზრდელთა ფოკუსჯგუფი

მცირე საოჯახო ტიპის სახლების დახურვა

პროვაიდერების ნაწილი ამბობს, რომ სახლებს ხურავენ („ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“, „ბილიკი“), რადგან მათთვის ძალიან რთულია სახლების მართვა, ასევე, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯების გაღება. პროვაიდერების ნაწილი აღნიშნულ გარემოებას უკავშირებს მცირე საოჯახო ტიპის სახლებში არსებულ სირთულეებს (განსაკუთრებით სარეაბილიტაციო მომსახურებების არქონას და ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვების ჩარიცხვას, რომელთაც მომსახურება ვერ ეხმარება სათანადო რესურსების არარსებობის გამო).

> *„ასე მგონია, სააგენტომ გარკვეული ფუნქციები გადაულოცა მცირეების ლიდერებს და აღმზრდელებს. ამ დელეგირებამ გამოიწვია ის, რომ მე ვიძირები და ყველა ვაღიარებთ, რომ ჭაობში მიდის, მიმიყოლებს მეც, როგორც პროვაიდერს, იმიტომ რომ ერთი სუსტი რგოლი თავისკენ მიაქანებს სხვასაც. ამიტომაც, ჩვენ თავიდან გვქონდა 6 სახლი, დღეს ჩამოვედით სამ სახლზე. სამ სახლში მყავს 2 სახლის კონტინგენტი, ანუ 17 ბავშვი მყავს 30 ადგილზე. ფიქსირებული ხარჯი გამდის, შესაბამისად, რად მინდა სამი სახლი? ამიტომ ჩვენც გადავედით ეს-ო-ეს-ის რელსებზე (რომელიც ეტაპობრივად ხურავს სახლებს), და ვაპირებთ ორ-სამ თვეში ერთი სახლიც მივხუროთ. ჩამოვალთ ორზე, მერე ჩამოვალთ ერთზე. ეს არის ჩვენი გეგმა“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„აი, ჩვენ რომ ვხურავთ სახლებს, ის კი არ ადარდებთ, სახლები იხურება და საჭიროება რჩება თუ არა მცირე საოჯახოსი, ან ამასთან ერთად გაზარდონ ფოსტერის რაოდენობა – არა. სააგენტო ნერვიულობს იმაზე, რომ ვაკანტურ ადგილებზე ფულს გასცემს, ამიტომ სახლებში ცოტა-ცოტა ბავშვი არ დარჩეს და ბიუჯეტიდან თანხა არ გადიოდეს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

> *„მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ერთი სახლი გვაქვს, ვფიქრობთ მის დახურვას, იმიტომ რომ სრულიად არასერიოზული დამოკიდებულებაა სახელმწიფოს მხრიდან, რადგან ნებისმიერ თემაზე, რაზედაც არ უნდა მივმართოთ, რაც არის ჩვენი კომპეტენციის მიღმა, პირდაპირ კრიმინალთან როდესაც არის საქმე და შავ სამყაროსთან, იქ გვჭირდება მათი დახმარება [და ამ დახმარებას ვერ ვიღებთ]“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი*

მომსახურების დაფინანსება

მცირე საოჯახო ტიპის სახლების დაფინანსება, პროვაიდერების თქმით, არაადეკვატურია ბავშვების საჭიროებებთან მიმართებით. პროვაიდერები ამბობენ, რომ, თუ ორგანიზაციას ჰყავს სხვა დამფინანსებელი, მაშინ ის უზრუნველყოფს საჭირო მომსახურებების (განათლება, ჯანდაცვა, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, ფსიქოლოგი და ა.შ.) მიწოდებას ბავშვისთვის, თუმცა ეს წარმოუდგენელია იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მხოლოდ ვაუჩერს იღებენ სახელმწიფოდან.

> *„უნდა დავამატო, რომ ბავშვების სწავლისადმი სწრაფვა და სამომავლო პერსპექტივების შექმნა ზუსტად იმ ფინანსებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, თუ*

„სოს“ ან „კარიტასი“, რომელთაც საკუთარი თანხები აქვთ, ბავშვს ამზადებენ და შანსს აძლევენ, რომ უმაღლესი განათლება მიიღოს, ყველა ორგანიზაციას ამის შესაძლებლობა ხომ არ აქვს. სახელმწიფოს რომ ესაუბრები ვაუჩერის გაზრდაზე და რაღაც კაპიკებს ამატებს, რომელიც, ინფლაციიდან გამომდინარე, პირველად საჭიროებებსაც ვერ აკმაყოფილებს; არავინ არ ფიქრობს, რომ ეს ბავშვები, თავისი ოჯახებით, ისევ სოციალურად დაუცველ კატეგორიაში იქნებიან და ბევრად მეტს დახარჯავს [სახელმწიფო], ვიდრე, ვაუჩერი რომ გაზარდოს და შანსი მისცეს ამ ბავშვებს უკეთესი მომავლის“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„გარდა იმისა, რომ შეიძლება, ორგანიზაციაში გვყავდეს დამხმარე, ორგანიზაციას აქვს საშუალება, რომ, გარედან თუ რაიმე დახმარება სჭირდება ბავშვს, დაიქირაოს და მოახმაროს. შეიძლება ეს იყოს საგანმანათლებლო აქტივობები, ექიმ-ფსიქიატრის მოწვევა და სხვ. თუმცა სრულიად წარმოუდგენელია მხოლოდ ვაუჩერულ დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მდგომარეობა, რადგან როგორ უნდა შეძლონ ამ ყველაფრის უზრუნველყოფა...“ – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

„სტანდარტების შესრულება გადის თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობაზე, პირად ფინანსურ ხარჯებზე. ვცდილობთ, მივიდეთ იქამდე, რომ ბავშვებს შორის ურთიერთობის პრობლემები არ იყოს, თუმცა რთულია. რემონტი, მატერიალური გაზის განახლება უზრუნველყო ჯანდაცვის სამინისტრომ, თუმცა სხვა დანარჩენი გადის პირად ადამიანურ რესურსზე, პირად ფინანსურ საშუალებაზე. ასე ვასრულებთ სტანდარტებს“. – მცირე საოჯახო ტიპის სახლების მენეჯერების ფოკუსჯგუფი

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან რეინტეგრაცია

ექსპერტების თქმით, სახელმწიფოს ვალდებულებაა, მაქსიმალურად მოკლე ვადით განთავსდეს ბავშვი სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერება, რათა შესაძლებელი გახდეს რეინტეგრაცია. რეინტეგრაციის განხორციელების ან დაგეგმვის შემთხვევაში, სახელმწიფოს, როგორც წესი, შეუძლია, ძირითადად, მატერიალური დახმარების გაწევა ოჯახებისთვის (მაგალითად, სახურავის შეკეთება მუნიციპალიტეტის მიერ), თუმცა რესურსი ამ კუთხითაც შეზღუდულია. არსებობს ასევე კვებით მხარდაჭერის და დღის ცენტრის პროგრამები, თუმცა ეს უკანასკნელი შეზღუდულია გეოგრაფიული დაფარვის თვალსაზრისით. თუ ბავშვი ზრუნვის სისტემაში მოხვდა ძალადობის ან უგულებელყოფის გამო, ამ შემთხვევაში საჭიროა, ოჯახთან მუშაობა წარიმართოს მშობლობის უნარების გაუმჯობესებისა და ძალადობრივი ქცევის შეცვლის მიმართულებით, რაც არ ხორციელდება, რადგან მსგავსი მომსახურებები, ფაქტობრივად, არ არსებობს, ან უკიდურესად ცოტაა. საჭიროა ფსიქოლოგის მომსახურება, მაგრამ ეს ყველგან თანაბრად ხელმისაწვდომი არაა. ყველაზე უფრო ხელმისაწვდომია სოციალური მუშაკის მომსახურება, თუმცა ეს სპეციალისტი არ არის შეიარაღებული სათანადო პროგრამებით თუ

ინტერვენციის მეთოდებით (მაგალითად, მშობლობის პროგრამები, ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამები და ა.შ.). თუ რეინტეგრაცია ხორციელდება, ინიციატივა, როგორც წესი, ეკუთვნის თავად ოჯახს და არა ზრუნვის სააგენტოს.

„სასურველია, რაც შეიძლება, მოკლევადიანი იყოს სახელმწიფო ზრუნვა. პარალელურად, სახელმწიფო მუშაობს იმაზე, რომ ბავშვი რეინტეგრირდეს ბიოლოგიურ ოჯახში. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვის სახელმწიფო ზრუნვაში განთავსება ხდება მოკლე ვადით. ამ პერიოდში თუ ვერ მოხერხდა ოჯახში პრობლემების აღმოფხვრა, სახელმწიფო ზრუნავს იმაზე, რომ ბავშვი მოამზადოს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„პირველი, ეს არის რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნა, მეორე, სახლთან მიმართებით (მაგალითად, სახურავის შეკეთება) მუნიციპალიტეტს თუ მიმართავენ, ან კრიზისულ პროგრამაში ჩართავენ, შესაბამისად, ეს უფრო მატერიალური სახის დახმარებებია. შესაბამისად, ძალადობრივ ქმედებებთან მიმართებით ცნობიერების ამაღლება, პოზიტიური აღზრდის მეთოდების სწავლება, ან, უფრო რთულ შემთხვევებში – ფსიქოთერაპიები – არ მიმდინარეობს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ, რაც კი ოჯახების გაძლიერების მიმართულებით არსებობდა, ყველაფერი იყო დონორული დაფინანსებით. სახელმწიფო პროგრამები ამ მიმართულებით არ ყოფილა. აღსანიშნავია ისიც, რომ, როდესაც ბავშვი ოჯახიდან გამოდის და იწერება მისი ინდგეგმა, ამავე გეგმაში უნდა იყოს გაწერილი იმ სამუშაოთა ნუსხა, რომლებიც უნდა ჩატარდეს ბიოლოგიურ ოჯახთან მიმართებით. თუმცა ვიცით, რომ ასეთი რამ არც განიხილება და არც არავინ წერს. შესაბამისად, თუ ბიოლოგიური ოჯახი თავად აქტიურობს რაღაც პერიოდის განმავლობაში, მას მატერიალურ მდგომარეობაში რაღაცა წილით ეშველებიან. შესაბამისად, თუ ოჯახში ძალადობის ან სხვა რისკი არ არსებობს, შეიძლება ბავშვის დაბრუნება“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

„ყველამ ვიცით, რომ გეგმების გადასინჯვის ეტაპი [ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერების მიმართულებით] ფორმალური ხასიათისაა, თუმცა ამაზე პასუხია, რომ არ არის შესაბამისი სერვისები, რადგან გარდა ფულადი დახმარებისა, გვაქვს კრიზისულ პროგრამაში ჩართვა, დღის ცენტრი, რომელიც არ არის ყველა მუნიციპალიტეტში. შეგიძლია, ფსიქოლოგთან გაუშვა, მაგრამ მასთანაც ლიმიტირებულია სამუშაო განრიგი შესაბამისად, რჩება რა – რომ სოციალურმა მუშაკმა ოჯახში უნდა იაროს და მხარდაჭერა აღმოუჩინოს. ასევე შეიძლება მუნიციპალური პროგრამებით ისარგებლოს, ფინანსურ ნაწილში ისარგებლოს ერთჯერადი ფულადი დახმარებით – სახლის გარემონტება, კვება და ა.შ. აქედან გამომდინარე, თუ ოჯახიდან რაღაც სპეციალური საჭიროება წამოვა, რეალურად, ეს საჭიროება დაუკმაყოფილებელი რჩება და ისევ იგივე წრეზე მიდიან. ფაქტიურად, რა აქტივობებიც შესთავაზა პირველ ეტაპზე, იმაზე მეტს ვერაფერს ვერ შესთავაზებს“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

„ამ ეტაპზე მშობლობის უნარების სერვისი არ გვაქვს, წესით და რიგით, სოცმუშაკი არის ის პირი, რომელმაც რაღაცა დოზით ინფორმაცია უნდა მიაწოდოს და დაეხმაროს ოჯახს, რომ გააცნობიეროს, რა არის პრობლემა, როგორ უნდა მართო ეს ყველაფერი... სოცმუშაკი უნდა ეხმარებოდეს, აძლიერებდეს. მე ვიცი მათი პასუხი – ქვეყანაში არანაირი სერვისი არ მაქვსო და ცარიელი ხელებით რა გავაკეთოო, მაგრამ, მთლიანობაში, რომ დავფიქრდეთ, ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია სოციალური მუშაობა. სერვისიც ძალიან მნიშვნელოვანია, რა რესურსიც გვაქვს, იმასაც, მგონია, რომ სრულყოფილად ვერ იყენებენ“. – სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენელი

„ბავშვებს რომ დავეხმაროთ, საჭიროა, რომ ჯერ მშობლებს დავეხმაროთ. კრიზისულ ცენტრში ფსიქოლოგები არიან, რომლებიც თერაპიულ მომსახურებას აწვდიან. ინდივიდუალურად ხდება ეს. თბილისში არის ამის გამოცდილება“. – ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენელი

„მე მყავს ახლა გადამისამართებული „სოს ბავშვთა სოფლის“ ოჯახის გაძლიერების პროექტში ოჯახი“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ჩვენ ვცდილობთ, მოვიძიოთ ქველმოქმედი ადამიანებისგან [დაფინანსება], გაგვეძლიერებინა ოჯახი. ჩემს შემთხვევაშიც, როდესაც მოხდა რეინტეგრაცია, დავეხმარეთ საოჯახო ნივთების შეძენაში, ერთჯერადად სახლის გარემონტებაშიც. ჩვენ ვცდილობთ, დავეხმაროთ ოჯახს და გავაძლიეროთ“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიურ ოჯახში, რომელსაც ბავშვი ზრუნვის სისტემაში ჰყავს, შესაძლოა, დარჩეს ერთი ან რამდენიმე ბავშვი, რომლებიც არ გამოჰყავთ ოჯახიდან. ამ კუთხით, დასაფიქრებელია ბავშვის დაცულობის ხარისხი და ამ გადაწყვეტილების საფუძველიც.

„მე მახსენდება შემთხვევები, როდესაც ძალადობის საფუძვლით ოჯახიდან გამოჰყავდათ დედმამიშვილები, თუმცა ოჯახში რჩებოდა კიდევ ერთი დედმამიშვილი... როდესაც ვეკითხებოდი, რატომ ისიც არ გამოიყვანეთ-მეთქი, პასუხი იყო, რომ მას აქვს დაცვის უნარები, რაც სრულიად გაუგებარი იყო“. – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

ექსპერტები ხაზს უსვამენ ასევე თანხის (ფინანსური მხარდაჭერის) გარეშე რეინტეგრაციის განხორციელებისას არსებულ სირთულეებს. ასეთ დროს შემთხვევა მალევე იხურება ხოლმე, რაც ზრდის ოჯახში იმის რისკს, რომ ბავშვის უსაფრთხოება და დაცულობა უზრუნველყოფილი არ იქნება.

„პრობლემურია შემთხვევები, როდესაც სააგენტო უთანხო რეინტეგრაციებს ახორციელებს... ასეთი რეინტეგრაციები დროის მცირე მონაკვეთში ხორციელდება და

სოციალური მუშაკი ატარებს ოჯახში ბავშვის მდგომარეობის მონიტორინგს, თუმცა მალევე იხურება ასეთი შემთხვევები. ერთგვარად, ცდილობენ, მოიშორონ ასეთი ქეისები". – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლის განცხადებით, მინდობით აღზრდის მომსახურებიდან ბავშვის რეინტეგრაცია უფრო ადვილია, ვიდრე მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია იმით, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლში შედიან ბავშვები უფრო მძიმე ტრავმული გამოცდილებით, შესაბამისად, ისინი უფრო მეტი კომპლექსური სირთულის წინაშე მდგარი ოჯახებიდან არიან.

„მინდობით აღზრდიდან რეინტეგრაცია უფრო მარტივია". – სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენელი

სამინისტროსა და ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლების განცხადებით, როცა სოციალური მუშაკები ერთმანეთთან კოორდინირებულად მუშაობენ, რეინტეგრაციაზე ზრუნვა მაშინაც ხორციელდება, როცა ბავშვი და მისი ბიოლოგიური ოჯახი სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში არიან. სოციალური მუშაკები კი აცხადებენ, რომ ბიოლოგიურ ოჯახთან მუშაობა, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს, მაშინაც, როცა ბიოლოგიური ოჯახი და ბავშვი ერთ ლოკაციაზე არიან, და მაშინაც, როცა ისინი განსხვავებულ ლოკაციებზე არიან, მათი განცხადებით, სოციალური მუშაკი მხოლოდ იმას ახერხებს, რომ მიდის ოჯახში ვიზიტით და ეკითხება მის წევრებს, რამდენად შეიცვალა მდგომარეობა (ოჯახში). ძირითადად, უპასუხებენ, რომ მდგომარეობა იგივეა; შესაბამისად, ოჯახი ბავშვს ვერ იბრუნებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბიოლოგიური ოჯახიდან შორ მანძილზე ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვის მომსახურებაში განთავსება განპირობებულია, როგორც წესი, კონკრეტულ ლოკაციაზე თავისუფალი ადგილების არარსებობით. ზოგან სოციალური მუშაკები გარკვეულ სამუშაოს ატარებენ ოჯახებთან, რაც, ძირითადად, ორიენტირებულია მათთვის ინფორმაციის მიწოდებაზე მომსახურებების შესახებ, თუმცა მუშაობა ქცევის ცვლილებაზე, პოზიტიური მშობლობის უნარების გაძლიერებაზე ან, ზოგადად, თერაპიული მუშაობა მშობლებთან არ ტარდება (ერთადერთი გამონაკლისია, თუ მშობელი პრობაციისა და სასჯელაღსრულების სისტემაში მოხვდა). სოციალური მუშაკები ამბობენ, რომ ამისთვის არც დრო აქვთ, არც ჩარევის მეთოდები/პროგრამები და არც ადამიანური რესურსი.

„არა, რას მუშაობენ [რეგიონები], მოდის [ფარატინა] ფურცელი, სადაც წერია, რომ ამ ეტაპზე ოჯახს არ აქვს საშუალება, დაიბრუნოს ბავშვი. ანუ, პირობითად, კასპის სოციალური მუშაკი მიდის ოჯახში, ეკითხება, რა შეიცვალა მათ ოჯახურ მდგომარეობაში, დასაქმების, შემოსავლების და სხვა რამ მახასიათებლების მიმართულებით. ის პასუხობს, რომ არაფერი, და ეს არის სულ მუდმივად, ციკლურად". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„გინდა, თბილისში იყოს, აი მაგალითად, ისეთი შემთხვევაა, რომ რეგიონში რომ გადავიყვანე ბავშვი, იმის მშობელია თბილისში... მაგ ოჯახთან ვმუშაობ, გადავამისამართე დასაქმების სააგენტოში – არ მივიდა, ორი შვილი ჰყავს ზრუნვაში,

ერთი – გურიაში, მეორე – სამეგრელოში. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ხერხდება დედას და შვილებს შორის ხშირი კონტაქტი. ის კი არა, ერთი წელი გახდა, რაც მნახველად დავარეგისტრირე და ერთხელაც არ ჩასულა, ფინანსები არ მაქვსო. კიდევ შევთავაზე, განცხადება დაეწერა, რომ ერთად გადმომეყვანა თბილისში. მაგაზეც არ მოდის, არ წერს განცხადებას, რომ ბავშვები თბილისში გადმოვიყვანოთ მინდობით აღზრდაში... ჩვენ არ გვაქვს [მისი გაძლიერების და ქცევის ცვლილებაზე მუშაობის] რესურსი და შესაძლებლობა, დროის, ფუნქციების რაოდენობის და საკმარისი ადამიანური რესურსის არარსებობის გამო. ხელშიც არაფერი არ მიჭირავს, რაც შემიძლია, შევთავაზო". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„მთავარია, მშობლებმაც გაიარონ თერაპია, რომ მათ შეძლონ იმ უნარების გამომუშავება, რაც დაეხმარებათ, შვილთან აღადგინონ ჯანსაღი ურთიერთობა. ეს სერვისი საერთოდ არ არის". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„[პოზიტიური მშობლობის] ტრენინგები ოჯახებისთვის კი არა, ჩვენთვისაც აღარ ტარდება. სამყაროში აღარ არსებობს ასეთი ცნება". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„სერვისები მშობლებთან დაკავშირებით, მგონია, რომ ყველას სატკივარია. მართლა ძალიან ცოტაა. ესეც, თუ მოხვდა პრობაციის სისტემაში. ყველა არ ხვდება მანდაც". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბიოლოგიურ ოჯახებს ნაკლებად აქვთ მოტივაცია, ჩაერთონ მშობლობის უნარების გაძლიერების თუნდაც მწირ და, ძირითადად, არასამთავრობო სექტორში არსებულ პროგრამებში (მაგალითად, ფსიქოლოგის მომსახურება, პოზიტიური მშობლობის პროგრამები და ა.შ.). ასევე დიდ სირთულეს წარმოადგენს, რეინტეგრაციის შემთხვევაში, ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა, თანხა, რომელიც ძალიან ცოტაა და განაპირობებს/ამწვავებს პრობლემურ კონტრასტს მინდობით აღზრდის მომსახურებიდან ოჯახში დაბრუნებული ბავშვისთვის.

„მშობლის უნარების გაუმჯობესების მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ ასეთი ტიპის სერვისები. არიან მშობლები, ვინც არ გამოხატავს ამის სურვილს... მშობლებს ხშირად უჭირთ იმის გათვითცნობიერება და გააზრება, რეალურად რა არის მათი პრობლემა და, რომ ეს არ არის ნორმა. მშობელი თუ მოვიდა და ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად შესაბამისი სერვისები მიიღო, რისკების დაზღვევა ბოლომდე თუ არ იქნა, სისტემაში დარეგისტრირებული ბავშვის რეინტეგრაცია ასე მარტივი არ არის". – ზრუნვის სააგენტოს მონიტორინგისა და შეფასების სამმართველოს წარმომადგენელი

„მინდობით აღზრდაში ეს ბავშვები იმდენად კარგ პირობებში არიან, მერე რეინტეგრაციაში რომ ბრუნდებიან, ის 100 ლარი ადეკვატური არ არის". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

სოციალური მუშაკების ნაწილის განცხადებით, ოჯახის გაძლიერების კომპლექსური მომსახურებები არც მუნიციპალიტეტს აქვს, თუ არ ჩავთვლით რამდენიმეს (მაგალითად,

ბინის ქირის პროგრამა, საშენი მასალებით უზრუნველყოფის პროგრამა, ერთჯერადი ფულადი დახმარება და ა.შ.). თუმცა არსებული პროგრამების გამოყენებაც, შესაძლოა, სიძნელეებთან იყოს დაკავშირებული, რადგან მოიცავს მხოლოდ ერთ ვიწრო კომპონენტს და არა სრულ მომსახურებას (მაგალითად, აწვდის მასალებს, მაგრამ არა მუშახელს, რომელსაც შეუძლია სარემონტო სამუშაოს ჩატარება). ასევე პრობლემურია არსებული მომსახურებების გამოყენებაც (მაგალითად, ისეთი სასიცოცხლო საკითხებიც, როგორიცაა წყლისა და ბაზისური უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა), რადგან ისინი დროში იწელება. გარდა ამისა, სოციალური მუშაკები ასახელებენ მაგალითს, როცა სიღარიბისა და პირობების არქონის მიზეზით მუნიციპალიტეტის ბავშვთა დაცვის სამსახური აფიქსირებს პოზიციას სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან, რომ ბავშვები უნდა გაიყვანონ ოჯახიდან. იკვეთება, რომ მუნიციპალიტეტს სათანადოდ არ აქვს გააზრებული საკუთარი როლი ბავშვის უფლებათა კოდექსის ფარგლებში ოჯახის გაძლიერების მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ გამოვლინდა დადებითი მაგალითებიც, როცა მუნიციპალიტეტი წარმატებით დაეხმარა ბიოლოგიურ ოჯახს, დაებრუნებინა ბავშვი – იმ შემთხვევაში, როცა თავად ოჯახი იყო მოტივირებული.

> *„მე, სიმართლე გითხრათ, მუნიციპალიტეტის მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვარ. ნებისმიერ ქეისს ინდივიდუალურად სწავლობენ. ბევრი შემთხვევაა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმობესების. მთავარი არის, რომ მშობელს ჰქონდეს სურვილი შვილის დაბრუნების. როდესაც ეს სურვილი არის, ის თანამშრომლობს სოცმუშაკთან, ნებისმიერ საკითხს ითვალისწინებს. [ზოგო] თვლის, რომ „ბავშვი იყოს იქ, სადაც არის, კარგად არის“. ხშირად მოგვისმენია ყველა ჩვენგანს, რომ „მე 18 წლამდე მაქვს ხელშეკრულება დადებული და იყოს იქ“. ამ შემთხვევაში, ძალიან ძნელია გახვიდე შედეგზე. ჩვენი მუნიციპალიტეტი ძალიან აქტიურად არის ჩართული რეინტეგრაციაშიც. როდესაც სამსახური შეიქნა, ერთობლივად დავჯექით და გავიარეთ საკითხები. არცერთ ჩვენს გადამისამართებულ ქეისს არ უგულებელყოფენ“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

> *„მერიას მივმართე, რომ გამიძლიეროს ოჯახი, რომ დავგეგმო რეინტეგრაცია, და მეუბნება, რომ მე ეს სერვისები არაფერი არ მაქვს. აბა, შენ რა დახმარება შეგიძლია, რომ გაუწიო ამ ოჯახს. ამ ოჯახს სახლი სჭირდება, რემონტი სჭირდება. დააყენეთ ეს საკითხი. ადრე, როცა თავშესაფრიდან დედა გადიოდა, გამგეობას ვუკავშირდებოდით, ვათანხმებით, მხარეები – რომელი რით ვეხმარებოდით. ახლა ვინ არის ამათი დამხმარე? ერთადერთი, ბინის ქირის პროგრამა“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

> *„ერთ-ერთ შემთხვევაზე მერიამ მითხრა: „მივუტან მასალებს, დავულაგებ. სხვას ვერაფერს ვერ გავუკეთებ. მე რეკომენდაციას მუშას ვერ გავუწევ“. აი, ზოგადად, ვალდებულებების აღება არ უნდა არავის. აბა, ახლა მე ვირბინო ელიავაზე, მუშა მე ვნახო? რომ გაქვს ფუნქცია, შექმენი ეს სამსახური, ბრიგადა გყავდეს, ჯგუფი გყავდეს, რომ ასეთ შემთხვევებზე გავიდნენ და გააკეთონ“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

„[მუნიციპალიტეტს ერთ ოჯახზე] ორი რაღაც მივწერე, წყალია შესაყვანი, რომ ჰიგიენა დაიცვან-თქო. ვერც რეცხავს და ვერც ბანს [დედა ბავშვებს], მთელი სოფელი ამათ სიბინძურეზე ლაპარაკობს, თან ქმარმა მიატოვა სამი ბავშვით. მოკლედ, ამ ჩვენმა მუნიციპალიტეტმა ატარა, ატარა (ყურად არ იღო თხოვნა). ახლა ახალი იურისტი მიიღეს. ჯერ სიტყვიერად მითხრა, წყალი რომ შევუყვანოთ, ორმოს ამოთხრა დასჭირდება, რომ კანალიზაციის წყალი სადღაც წავიდესო. კარი რომ ჩავაშენოთ, აგურები და ბლოკი უნდაო. მაგას ჩვენ როგორ გავაკეთებთო. ახლა იურისტი რომ მიიღეს, მიდგა-მოდგა და დაამძიმა ამ ქალის მდგომარეობა - უგულებელყოფილია ბავშვებიო. ამასობაში სხვა კაცისგან კიდე ერთი, მეოთხე შვილი გააჩინა. ესო, უწესო ცხოვრებით ცხოვრობსო. ზარზეიმით წერილს მიგზავნიან, გაიყვანეთ ბავშვები, ძალადობაა. ოღონდ ერთი თეთრი არ დახარჯონ და მიგზავნიან წერილს. მეც კი დავახვედრებ კოდექსიდან პუნქტებს, რაც კი მათ ეხებათ“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ჭა რომ გათხარონ, ამაშიც ვერ ეხმარება ადგილობრივი ხელისუფლება. ასევე, ძალიან უჭირთ შემოსავლის მიზანმიმართულად განკარგვა. ალკოჰოლდამოკიდებულებაც ძალიან ხელს უშლის. ჩვენი მისვლა, საუბრები, დავეხმაროთ რაღაცნაირად მშობლობის უნარების გაძლიერებაში – მე მაინც ვფიქრობ, რომ სხვა სერვისებია საჭირო, სპეციალისტები სხვა კუთხით უნდა ჩაერთონ. ჩვენ კი გვაქვს საუბრები მშობლებთან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისწავლეს და აკეთებენ სწორად. სახელმწიფოს მხრიდან, ჩვენც უნდა ვიყოთ შეიარაღებული რაღაცით, რომ დავეხმაროთ ოჯახებს“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული შშმ მშობლების გაძლიერება, როგორც პრევენციის, ისე, რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიმართულებით.

„შშმ მშობლებზე, აუცილებელია, აღვნიშნოთ, რომ მათი გაძლიერება არის საჭირო, რათა ბავშვები იზრდებოდნენ ბიოლოგიურ ოჯახში და მათ ჰქონდეთ სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი მხარდაჭერა... არ მოხდეს ბავშვების განცალკევება მათგან. პრაქტიკაში გამოწვევა დავინახეთ ამ მიმართულებით“. – სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი

<u>დამატებით გამოკვეთილი საკითხები</u>

სასამართლოსთან თანამშრომლობა ოჯახისგან ბავშვის დაცილების შემთხვევებში

ექსპერტების აზრით, არსებობს საჭიროება, გაუმჯობესდეს სასამართლოს, ზრუნვის სააგენტოსა და ყველა სხვა ჩართულ მხარეს შორის მკაფიო და მჭიდრო თანამშრომლობა. ასევე, ყველა მხარეს ჩამოუყალიბდეს ერთიანი ხედვა, თუ რას გულისხმობს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი, როცა ზრუნვის სააგენტო მიმართავს სასამართლოს და ეს უკანასკნელი იღებს გადაწყვეტილებას ოჯახისგან ბავშვის განცალკევების შემთხვევებში.

„სწორედ ახლა მუშაობენ ახალგაზრდა იურისტები და სოციალურ მუშაკთა ასოციაცია სასამართლო ჩართულობის კუთხით, ანუ ყველა ჩართულ მხარეს (სოციალურ მუშაკს, ადვოკატს, პროკურორს, მოსამართლეს) ჰქონდეს ერთიანი აღქმა – როგორ ხდება ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა, რა აქტივობები უნდა განხორციელდეს, იმიტომ რომ სოციალური მუშაკები ამბობდნენ, პრაქტიკაზე დაკვირვებით, რომ მოსამართლეებმა არ იციან, რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ამასთანავე, გარდა გადაწყვეტილებებისა, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს იმ ღონისძიებებზე, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვის/მისი ბიოლოგიური ოჯახის მომავალთან. რას აპირებენ, როგორ აპირებენ, უნდა იყოს თუ არა ბიოლოგიური [მშობელი] მნახველი და გამყვანი პირი. სოციალურ სამსახურს უნდა დაავალოს გარკვეული საქმიანობების განხორციელება ოჯახის მიმართ, იმიტომ რომ მარტო ცალსახა გადაწყვეტილების მიღება ბავშვის ოჯახიდან გამოყვანაზე არ არის სასამართლოს პრეროგატივა". – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

სოციალური მუშაკები მიიჩნევენ, რომ სასამართლოსთან მათი თანამშრომლობა საკმაოდ წარმატებულია, როცა საქმე ოჯახისგან ბავშვის განცალკევებას ეხება. ისინი ამბობენ, რომ სასამართლომ, შესაძლოა, დასვას დამაზუსტებელი კითხვები და მოითხოვოს დამატებითი დეტალები მათ მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა მიიღოს გადაწყვეტილება ოჯახისგან ბავშვის განცალკევების თაობაზე. სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ, როგორც წესი, სასამართლო მათ რეკომენდაციას ითვალისწინებს ალტერნატიულ ზრუნვის მომსახურებაში ბავშვის განთავსებასთან თუ იქიდან ბავშვის გამოყვანასთან დაკავშირებით, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა სასამართლო იღებს განსხვავებულ გადაწყვეტილებას.

„როცა წარადგენ შემთხვევას [სასამართლოში], აქვთ დამაზუსტებელი კითხვები, ჩაგეძიებიან". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„[სასამართლოსთან] ნამდვილად კარგი თანამშრომლობაა". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„არა, [არ აქვთ ჩვენგან განსხვავებული პოზიცია] არც ბავშვის შეყვანაზე, არც გამოყვანაზე". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„მეც ვერ ვიტყვი განცალკევების ნაწილზე. ვფიქრობ და გვქონდა ერთეული შემთხვევები, როდესაც არ კმაყოფილდება [სოციალური მუშაკის რეკომენდაცია სასამართლოს მიერ]. – ზრუნვის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობისა და პროექტების დიზაინის სამმართველოს წარმომადგენელი

„ჩემს შემთხვევაში ემთხვევა [ჩემი რეკომენდაცია და სასამართლოს გადაწყვეტილება]. თუმცა იყო შემთხვევა პრევენციის ნაწილში და სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბავშვის მშობლისგან განცალკევების მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი დარღვევები იყო მშობლების მხრიდან. თუმცა, რადგან ბავშვმა აღნიშნა, რომ არ

უნდა მშობლებისგან განცალკევება, სასამართლომ ბავშვის სურვილი გაითვალისწინა. ჩვენი სამსახური მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს ამ ოჯახში". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

სოციალური მუშაკები აღნიშნავენ, რომ სასამართლო ზოგჯერ ითხოვს მცირეწლოვანი ან შშმ ბავშვის სასამართლო პროცესზე დასწრებას, რაც მათ ჭეშმარიტ ინტერესებს არ შეესაბამება. სოციალური მუშაკები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პრობლემა გადაწყდება სპეციალიზებული მოსამართლეების არსებობით, რომლებიც მსგავს სპეციფიკურ სიტუაციებში უფრო სენსიტიურ გადაწყვეტილებებს მიიღებენ.

„ერთადერთი პრობლემა გვაქვს არასრულწლოვნებთან დაკავშირებით, რომ მოუთხოვიათ სასამართლო პროცესზე ბავშვის დასწრება. ახლა 5 წლის ბავშვი რატომ უნდა მიიყვანო. ისეთი შშმ ბავშვები დაიბარეს, ნათესაურ მინდობით აღზრდაში მყავს... ჩემს მიმართაც კი ისეთი პროტესტი აქვს ამ ბავშვს, 16 წლისაა". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ამიტომაც უნდა იყვნენ სპეციალიზებული მოსამართლეები, რომლებიც გაითვალისწინებენ ამ სპეციფიკურ საჭიროებებს". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის თქმით, შეიმჩნევა შემდეგი ტენდენცია: სოციალური მუშაკები ქეისებთან დაკავშირებით იშვიათად მიმართავენ სასამართლოს, რადგან მათ მიერ წარდგენილ შემთხვევებში ის ნაკლებად უკმაყოფილებს ოჯახისგან ბავშვის განცალკევების თაობაზე გაცემულ რეკომენდაციებს, ან უკან უბრუნებს საფუძვლიანად შეუფასებელ საქმეებს. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე სოციალური მუშაკები აღნიშნულს არ ადასტურებენ. ისინი ამბობენ, რომ სასამართლო მათ, ძირითადად, უკმაყოფილებს წარდგენილ რეკომენდაციებს.

„სისტემაში შედინება ბავშვების აღარ ხდება. ასე, გვერდიდან რომ შეხედო, ეს პოზიტიური მომენტია, მაგრამ ისმის კითხვა, სისტემაში ბავშვების შედინება არ ხდება იმის გამო, რომ გარემო შეიცვალა და ძალადობა აღარ ხდება ოჯახში, ან ბავშვის მიტოვება არ ხდება, ანუ საერთო სოციალური სურათი გაუმჯობესებულია. თუ სასამართლოს ჩართულობით იმდენად გართულდა ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა, რომ ეს არის მიზეზი ბავშვების შედინების შემცირების? ახლა კვლევის გარეშე ამას ვერ იტყვი. მე მაქვს ეჭვი, რომ უფრო ბიუროკრატიული მექანიზმები ამუშავდა, იმიტომ რომ მგონია, რომ თავისით ეს სიტუაცია არ შეიცვლებოდა. ისეთი აქტიური კამპანიები ან პროგრამები არ შეგვითავაზებია ოჯახებისთვის, რომ სიტუაცია რადიკალურად გაუმჯობესებულიყო. შესაბამისად, ამ ფონის გათვალისწინებით, სისტემაში შედინება მცირდება და მე მგონია, იმიტომ, რომ მეტი ბარიერი გაჩნდა, რაც, ერთის მხრივ, კარგია, თუმცა, მეორეს მხრივ, თუ ბარიერებმა ბავშვი ძალადობაში დატოვა ბიოლოგიურ ოჯახში, თავისთავად, ცუდია..." – გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი

სოციალური მუშაკი, როგორც კანონიერი წარმომადგენელი და შემთხვევის მმართველი

სოციალური მუშაკების ერთი ნაწილის აზრით, მათ მიერ კანონიერი წარმომადგენლისა და შემთხვევის მმართველის როლების ერთდროულად შესრულება არ წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტს; სოციალური მუშაკების ნაწილი კი საპირისპირო აზრისაა.

> *„ერთგვარი ინტერესთა კონფლიქტი არის, რადგან, თუ მინდა რამის შეფუთვა და გალამაზება, ამას იზამს კონკრეტული არაკეთილსინდისიერი სოციალური მუშაკი“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

> *„ჯერჯერობით არ მქონია [ამ ორი როლის თავსებადობის პრობლემა]. მცირე საოჯახოს შემთხვევაში, რაღაც ვალდებულებები მინდობილობით გადადის აღმზრდელებზე, თუნდაც სამედიცინო დაწესებულებაში [აღრიცხვაზე] აყვანაზე. თუმცა საჯარო რეესტრიდან დაბადების მოწმობის გამოთხოვნა, სკოლაში ჩარიცხვა და ა.შ. – ისევ ჩვენ ვახორციელებთ. მეტი წილი პასუხისმგებლობა ჩვენზეა“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

> *„[ამ ორი როლით] წინააღმდეგობაში არ მოვსულვართ ჯერჯერობით“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

სოციალურ მუშაკთა სუპერვიზია და მხარდაჭერა

სოციალური მუშაკების მიერ ალტერნატიული ზრუნვის მომსახურების სათანადოდ მხარდაჭერისა და მონიტორინგის სრულყოფილად ჩატარებისთვის მნიშვნელოვანია, სოციალურ მუშაკებს თავად ჰქონდეთ სათანადო ზედამხედველობა/სუპერვიზია და მხარდაჭერა. ისინი კმაყოფილნი არიან მათ უწყებაში ახლად შექმნილი პროფესიული ზედამხედველობის და პროექტების დიზაინის სამმართველოს მხარდაჭერით.

> *„მე ძალიან კმაყოფილი ვარ, რაც სუპერვაიზორები გვყავს. რა თქმა უნდა, სოცმუშაკებიც გვეხმარებოდნენ, მაგრამ ბოლოს მქონდა ძალადობის რთული შემთხვევა, სადაც რამდენიმეეტაპიანი სირთულეები მქონდა და ძალიან დამეხმარა სუპერვაიზორი. მისი ინიციატივით, ქალბატონი მაია ცირამუას ჩართვა მოხერხდა, კარგი რჩევები მოგვცეს და ნელ-ნელა მივყვებოდით გეგმას. მადლიერი და კმაყოფილი ვარ“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

> *„სუპერვიზია გვიტარდება ყოველ სამ თვეში ერთხელ და გაწერილი არის ამ ინტერვალით. თუმცა, არაგეგმიურზე განვიხილავთ მწვავე ქეისებს. ამის გარდა, როდესაც გვაქვს ინდივიდუალური საჭიროებები, შეიძლება რაღაც ქეისი გაგვიმწვავდეს; ვუკავშირდებით, გვაქვს მხარდაჭერა მათი მხრიდან და არაგეგმიური შეხვედრებიც“. – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი*

> *„ჩვენთვის ეს ძალიან კარგი დამხმარე სერვისია – სუპერვაიზორების ჩართულობა. ჩვენც გვჭირდება ასეთ შემთხვევებში დახმარება. ყველა რთული შემთხვევის დროს ინდივიდუალურად გავდივართ კონსულტაციას. გარდა ამისა, გეგმიური შეხვედრებიც გვაქვს. მე მქონია შემთხვევა, რომ მედიატორის როლიც შეუსრულებია სუპერვაიზორს, ორგანიზებული შეხვედრების მოწყობა... როდესაც სხვადასხვა რეგიონშია ბავშვი და*

ბიოლოგიური ოჯახი. ამ კუთხით ძალიან გვეხმარებიან, რომ მოხდეს ამ საკითხების შესწავლა. მე ძალიან მომწონს, კმაყოფილი ვარ და ყოველთვის პრობლემებს კარგად ვაგვარებთ ამ საშუალებით". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

სოციალური მუშაკების ნაწილი ფიქრობს, რომ სამმართველო არ ითვალისწინებს მათ აზრს, როდესაც საქმე ეხება სოციალური მუშაკებისთვის ფუნქციებისა და მოვალეობების შეცვლას, დამატებას ან ახალი სახელმძღვანელო დოკუმენტების შემუშავებას. ისინი მიიჩნევენ, რომ მათ არც პროფესიული გაერთიანებები უსმენენ.

„ერთადერთი პრობლემა, რაც მაქვს სააგენტოსთან, სულ ამას ვამბობ – როდესაც რაღაც საქმის განხილვა ხდება, თუნდაც საქმის/ფუნქციის დამატება, ეს განიხილეთ ჩვენთან. ველზე ვინც მუშაობს, ჰკითხეთ. უბრალოდ, დაინტერესდი და ჰკითხე, იქნება და ძალიან ბედნიერი ვარ, ამ ახალ ფუნქციას რომ მაკისრებ. ჩვენთან არ ხდება არასდროს. როდესაც სტრუქტურები ხვდებიან ერთმანეთს, არასდროს არ ხდება ველზე მომუშავე სოციალური მუშაკების დასწრება". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„არ მახსენდება ასეთი შემთხვევა [რომ პროფესიულ გაერთიანებას მოესმინა ჩვენი აზრი]". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ანუ ველზე რა რეალობაა, ხშირად სრულიად აცდენილია იმ გაიდლაინებს, რომლებიც მოგვეწოდება". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

ზრუნვის სააგენტოს წარმომადგენლები მონაწილეობენ შემთხვევების განხილვაში (ქეისკონფერენციებში) სხვა უწყებებთან ერთად, თუმცა ძირითადი პასუხისმგებლობა რისკის წინაშე მყოფ ბავშვზე სოციალურ მუშაკებს აკისრიათ.

„[კონფერენციები გამართულა. ვესწრებოდით] არა მარტო ჩვენ და მანდატური, ჩვენ, მანდატური და რეფერირება ერთად". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„ასეთი შემთხვევა იყო, რომ მანდატურის სამსახურის თანამშრომელი ამბობს, რა ვქნა, ასე მითხრეს, ზრუნვაში გადაამისამართეო. მოკლედ, ყველა შემთხვევა უკან გვიბრუნდება". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

„2021 წელს გვქონდა სირთულეების „ბუკეტი". ძალიან ბევრი რთული ქცევის მქონე ბავშვი ცხოვრობდა ერთ სახლში და სხვადასხვა უწყებები იყვნენ ჩართული, შსს-ც და ხშირად იმართებოდა ორგანიზებული შეხვედრები. რა თქმა უნდა, ჩვენც ამ ყველა შეხვედრას ვესწრებოდით, ჩვენც გვეძლეოდა ჩვენი მოსაზრებების წარმოთქმის საშუალება. ეს შეხვედრები ნამდვილად გვეხმარებოდა იმ რთულ სიტუაციებში, რომ ასე კოორდინირებულად [გვემუშავა], ყველა უწყებას თავისი პასუხისმგებლობები გაეაზრებინა". – სოციალურ მუშაკთა ფოკუსჯგუფი

რეკომენდაციები

<u>მიტოვების რისკის წინაშე მყოფი 6-18 წლის ასაკის ბავშვების დღის ცენტრი</u>

პოლიტიკის დონე:

- მნიშვნელოვანია, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო), განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში – ზრუნვის სააგენტო), მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებითა და ბავშვთა კეთილდღეობის სფეროს ექსპერტებით. სამუშაო ჯგუფი იმუშავებს დღის ცენტრების მომსახურების/პროგრამის სამომავლო განვითარების კონცეფციაზე. მნიშვნელოვანია, კონცეფციაში აისახოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხედვა დღის ცენტრის მომსახურების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტეგრირების შესაძლებლობების შესახებ, ამ პერსპექტივის დადებითი და უარყოფითი ასპექტების მითითებით. ამასთანავე, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მომსახურების ინტეგრირებამ არ უნდა გამორიცხოს საჭირო შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ჩართვა, რადგან, როგორც მომსახურება, ისე მუნიციპალური სამსახური ორიენტირებულია ოჯახებში არსებული რისკების პრევენციაზე. სხვა შემთხვევაში, დღის წესრიგში უნდა დადგეს დღის ცენტრების მომსახურების, როგორც ოჯახის გაძლიერების სერვისის, ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამებში დელეგირების საკითხი (როგორც არის განსაზღვრული ბავშვის უფლებათა კოდექსში). ეს ხელს შეუწყობს ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას და პირველად და მეორად დონეებზე არსებული რისკების შემცირებას.
- შესაძლებელია, ამავე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შემუშავდეს და ცალკე დოკუმენტად დამტკიცდეს დღის ცენტრების მომსახურების სტანდარტი, რომელიც მკაფიოდ გამიჯნავს სხვადასხვა ტიპის დღის ცენტრების მომსახურებისა და საქმიანობების კომპონენტებს, ამასთან, როგორც პრევენციული მომსახურება, შექმნის ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიებების ჩარჩოს.
- მნიშვნელოვანია, „დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“, როგორც ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების/პროგრამის, ღონისძიებებმა, 6-დან 18 წლამდე შშმ სტატუსის არმქონე ბავშვების და შშმ ბავშვების შემთხვევაში, მოიცვას მშობლების/ოჯახების გაძლიერების კომპონენტი, მათი საგანმანათლებლო აქტივობები შემდეგი მიმართულებებით: პოზიტიური მშობლობა, მშობლობის უნარები და კონსულტირება ბავშვთან კომუნიკაციის თაობაზე. შესაბამისად, ნებისმიერი კატეგორიის ბავშვის ჩარიცხვის შემთხვევაში, უფლებამოსილი

სტრუქტურული ერთეულის/ზრუნვის სააგენტოს სოციალურმა მუშაკმა ბავშვი და ოჯახი უნდა შეაფასოს ბიოფსიქოსოციალური მიდგომით და მართოს შემთხვევა.

- ვინაიდან, დღის ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე სამიზნე ჯგუფი არ წარმოადგენს მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების კონტინგენტს, შესაძლებელია ქვეპროგრამის სახელწოდების მოდიფიცირება და მორგება არსებულ მიზნობრივ ჯგუფზე.
- ყოველწლიურად, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ბიუჯეტის პროექტის შემუშავებამდე, სამინისტროს სოციალური დაცვის, დევნილთა და შრომის პოლიტიკის დეპარტამენტმა მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებიდან ცირკულარული წერილით გამოითხოვოს ინფორმაცია თვიურად გაწეული ხარჯების შესახებ (ვაუჩერული და დონორული წყაროების მითითებით), რათა გაანალიზდეს ეს ხარჯები ინფლაციასა და გაზრდილ ტარიფებთან (კომუნალური და სხვა ხარჯები) მიმართებით.
- მნიშვნელოვანია, საფუძვლიანად გადაიხედოს მომსახურების დაფინანსების ოდენობა, რადგან ფინანსურ რესურსებს უშუალოდ უკავშირდება დღის ცენტრის მომსახურების მიწოდების ხარისხი, მიწოდებული აქტივობების მრავალფეროვნება, მომსახურების თანამშრომელთა კვალიფიკაცია (სხვადასხვა საგნის პედაგოგები, ფსიქოლოგი, პროფესიული ორიენტაციის სპეციალისტი, ბავშვების საჭიროებების სათანადოდ გამოვლენისთვის საჭირო სპეციალისტები) და კომპეტენციები, რაც დამატებითი მოტივატორია მიზნობრივი ჯგუფისთვის, სრულფასოვნად მიიღოს მიწოდებული მომსახურება.
- მნიშვნელოვანია, სხვადასხვა სუბიექტის მიერ მათი მანდატის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგი მაქსიმალურად ემსახურებოდეს სისტემის გაძლიერებასა და მხარდაჭერას. გარდა ამისა, სასურველია, სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფმა ყოველი წლის ბოლოს თითოეული ქვეპროგრამის ფარგლებში, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მიმწოდებლების შეფასებების საფუძველზე, მოამზადოს ქვეპროგრამის მონიტორინგის ანალიზი, რომელიც ასახავს არსებულ ტენდენციებს – პოლიტიკის, მომსახურების, მიმწოდებლების მიღწევებსა და საჭიროებებს, რა მიმართულებებითაც უნდა დაიგეგმოს მიზნობრივი აქტივობები (მათ შორის, ცვლილებები/დამატებები პროგრამულ ღონისძიებებში, მომსახურების სტანდარტებში, რეგისტრაციის წესში, ასევე, ახალი დოკუმენტების შექმნა და სხვ.).
- მიზანშეწონილია, გარდა მონიტორინგის სისტემისა, დადგენილი პერიოდულობით, სამინისტროს დაკვეთით, დაქირავებულ იქნეს გარე შემფასებელი ორგანიზაცია „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ქვეპროგრამების განხორციელების ეფექტურობის შეფასების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული პროგრამის სისტემურ შეფასებას, ასევე, კომპონენტებში არსებული სისტემური გამოწვევების იდენტიფიცირებას.
- მნიშვნელოვანია, დოკუმენტის „ტექნიკური რეგლამენტი – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები“ ჩანაწერი (მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი შეესაბამებოდეს

არსებულ პრაქტიკას (როდესაც სოციალური მუშაკი არ ადგენს ინდივიდუალური განვითარების გეგმას). ასევე, ამავე სტანდარტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის ჩანაწერი („დაეხმაროს ბენეფიციარს ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღებაში“), შეესაბამებოდეს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის პროგრამის“ „დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ (დანართი №2.4) მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს (აქ არაფერია ნახსენები ფორმალური/აკადემიური განათლების ხელშეწყობაზე).

- აუცილებელია, სამინისტრომ, მიმწოდებელი ორგანიზაციების ჩართულობით, გადახედოს დაწესებულ მოთხოვნებს დღის ცენტრებში დასწრების აღრიცხვის მიმართ, რათა მინიმალური დაფინანსების პირობებში განსაზღვროს ბავშვის გაცდენის გასამართლებელი მიზეზები, რომელთა შემთხვევაში, გაცდენილი დღეები ანაზღაურდება (მაგალითად, ბავშვის ავადობა ან საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობა).
- სასურველია, მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებს ყოველწლიურად ჰქონდეთ ფართო შესაძლებლობა, ჩაერთონ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების/საჭიროებების განხილვასა და ადვოკატირებაში.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დონე:

- მნიშვნელოვანია, ზრუნვის სააგენტოს, როგორც „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ განმახორციელებელი ორგანოს, მხრიდან მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები მკაფიოდ იყვნენ ინფორმირებულნი დღის ცენტრის მომსახურებაში ვაკანტური ადგილების შეუვსებლობის მიზეზების შესახებ, რაც გამორიცხავს დაინტერესებული მხარეების მიერ (მშობელი, მიმწოდებელი ორგანიზაცია) არასწორი/უსაფუძვლო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.
- თუ დღის ცენტრის მომსახურება, უნდა წარმოადგენდეს ოჯახის გაძლიერების უფრო ფართო პროგრამის შემავსებელ კომპონენტს, მნიშვნელოვანია, „დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“, 6-დან 18 წლამდე შშმ სტატუსის არმქონე ბავშვების შემთხვევაში, უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის/ზრუნვის სააგენტოს სოციალურმა მუშაკმა აწარმოოს ბავშვისა და ოჯახის სრული შეფასება, რის საფუძველზეც განსაზღვრავს როგორც ზოგადად მომსახურების, ისე მიზნობრივი დღის ცენტრის (შშმ ბავშვთა/მიტოვების რისკის წინაშე მყოფ ბავშვთა) საჭიროებას ან შესაძლებელია შეფასების არსებული სკრინინგის ინსტრუმენტი უკეთ ასახავდეს პოტენციური ბენეფიციარის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს, რაც სწორად განსაზღვრავს ბავშვისთვის მიზნობრივი დღის ცენტრის (შშმ ბავშვთა/ტიპური განვითარების ბავშვთა) ტიპს.
- სოციალური მუშაკების დინამიური როტაციის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, ახალბედა სოციალური მუშაკების გადამზადება ბავშვის/ოჯახების შეფასების

ინსტრუმენტების (სკრინინგ-შეფასების ფორმა) გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ჯგუფების საჭიროებების სწორ იდენტიფიცირებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის დონე:

- მნიშვნელოვანია, დღის ცენტრებში გაერთიანებული ბავშვები/მათი ოჯახები, როგორც მიტოვების რისკის პრევენციის და ოჯახის მხარდამჭერი მომსახურების სამიზნე ჯგუფი, გახდნენ მუნიციპალიტეტის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სტრუქტურული ერთეულების სამიზნე ჯგუფიც. მათი საჭიროებების შეფასებისა და იდენტიფიცირების შემდეგ მუნიციპალურ სოციალურ პროგრამებში გათვალისწინებული იქნება ახალი, პრევენციული სახის მიზნობრივი პროგრამა/პროგრამები. მოცემული რეკომენდაცია მეტ აქტუალობას იძენს იმის გათვალისწინებით, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკები აღარ ახორციელებენ ამ სამიზნე ჯგუფის ოჯახების შეფასებას (შემოიფარგლებიან სკრინინგშეფასებით) და აღარ ადგენენ ინტერვენციის გეგმას ოჯახის მხარდაჭერის/გაძლიერების მიზნით.

- მნიშვნელოვანია, ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტებმა მეტი პროაქტიურობით იმუშაონ სოციალურად მოწყვლადი კატეგორიის ბავშვიანი ოჯახებისთვის პრევენციული სახის პროგრამების განვითარებაზე.
- მნიშვნელოვანია, იმ მუნიციპალიტეტის მერიებმა, სადაც ბავშვის უფლებათა კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ფუნქციონირებს ოჯახის გაძლიერების პრევენციული პროგრამები (მაგ.: პოზიტიური მშობლობის სწავლების და სხვა), მიტოვების რისკის წინაშე მყოფი ბავშვების დღის ცენტრების მშობლები ჩართონ მოცემულ პროგრამებში.
- ადგილებზე (მუნიციპალურ დონეზე) მოქმედმა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, შეიმუშაონ მულტისექტორული თანამშრომლობის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების დროულ გამოვლენას და მხარდამჭერ სისტემებში მათ გადამისამართებას.

მომსახურებების დონე:

- აუცილებელია, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანამშრომლებს (პედაგოგი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ფსიქოლოგი) ჩაუტარდეთ გადამზადების ტრენინგები, რომელთა ფარგლებში ისინი მიიღებენ ინფორმაციას პროგრამის/მომსახურების საქმიანობების მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებზე (ბავშვის უფლებათა კონვენცია, ბავშვთა უფლებების კოდექსი, ტექნიკური რეგლამენტი – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები, ასევე, შიდა ადმინისტრირებული დოკუმენტები (მაგ.: შინაგანაწესი) და სხვ.).
- აუცილებელია, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანამშრომლებს (პედაგოგი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი)

ჩაუტარდეთ გადამზადების ტრენინგები ბავშვთა ძალადობისგან დაცვის საკითხებზე, ასევე, ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და გადამისამართების (ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები) მარეგულირებელ აქტებზე.

- მნიშვნელოვანია, შემთხვევის მართვაზე პასუხისმგებელმა სოციალურმა მუშაკმა/ბიოლოგიურმა მშობელმა, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლების ჩართულობით, უზრუნველყოს იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, რომელთა მოსწავლეებიც შედიან დღის ცენტრის მომსახურების მიზნობრივ ჯგუფში. თანამშრომლობის ასპექტები შეიძლება მოიცავდეს საჭირო ინფორმაციის გაცვლას, ასევე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაზიარებას. სხვა შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მიზნობრივი ინფორმაციის გამოთხოვა მოხდეს ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მიერ.
- სასურველია, მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა შექმნან მშობელთა ჩართულობის ჩარჩო-დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც მშობლებისთვის, ისე მშობლებისა და ბავშვებისთვის ერთობლივად ჩასატარებელი აქტივობები. ამ ჩარჩოში, გარდა საგანმანათლებლო აქტივობებისა (ერთობლივი ღონისძიებები მომსახურების ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ), შესაძლებელია, გაიწეროს კვარტალში ან 6 თვეში ერთხელ მშობლებთან ჯგუფური შეხვედრების ჩატარება, რომელთა ფარგლებშიც მათ ექნებათ საშუალება, გაეცნონ დღის ცენტრის მომსახურების სტანდარტებს/სხვა მარეგულირებელ აქტებს, გამოხატონ საკუთარი შეხედულებები მიწოდებული მომსახურების ხარისხზე, დღის ცენტრის მომსახურებაში გათვალისწინებულ შესაძლო ცვლილებებზე (ასეთების არსებობის შემთხვევაში), ასევე, კონფიდენციალურად მიიღონ ინფორმაცია თავიანთი შვილების ძლიერ მხარეებზე ან საჭიროებებზე.
- სასურველია, მშობლებთან თანამშრომლობის ფორმატში, სავალდებულოდ განისაზღვროს მათი და მათი შვილების მონაწილეობა მომსახურების ინდივიდუალური გეგმების გაწერისა და გადასინჯვის პროცესში.
- წელიწადში ერთხელ მომსახურების ინიცირებით მოეწყოს ერთგვარი „მრგვალი მაგიდა“, რომელსაც, გარდა მიმწოდებელი ორგანიზაციების თანამშრომლებისა, დაესწრებიან ზრუნვის სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის წარმომადგენლები. ასეთი შეხვედრა ხელს შეუწყობს მიზნობრივი ჯგუფის/მათი ოჯახების საჭიროებების ერთობლივ განხილვას და შესაძლებელს გახდის შეთანხმებული სამოქმედო გეგმების დასახვას ამ საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.
- მნიშვნელოვანია, დღის ცენტრების მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები შეიკრიბონ დადგენილი პერიოდულობით, რათა განიხილონ მომსახურების განხორციელების მიმართულებით არსებული გამოწვევები, გამოკვეთონ ერთობლივი

ადვოკატირების საკითხები და დაგეგმონ მიზნობრივი ღონისძიებები ამ მიმართულებით.

- მნიშვნელოვანია მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები პერიოდულად უზრუნველყოფდნენ თანამშრომელთა მომზადება/გადამზადებას მრავალფეროვანი სამიზნე ჯგუფისადმი (ეთნიკური, რელიგიური, სოციალური და სხვა) მიმღებლობის ჩამოყალიბების მიზნით. ასევე, პროფესიული კომპეტენციების ამაღლებას სხვადასხვა სირთულის (ფსიქოემოციური, ქცევითი და სხვა) მქონე ბავშვებთან მუშაობის მიზნით.
- დღის ცენტრის მომსახურების არაფორმალური აქტივობები, უნდა წაახალისებდეს და ასწავლიდეს ბავშვებს სასიცოცხლო, თუ დამოუკიდებელი ცხოვრების უნარებს, ასევე, სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩართვას.
- სავალდებულოა, მომსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მაქსიმალურად აკმაყოფილებდეს ტექნიკური რეგლამენტი - ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების მე-15 მუხლის („უსაფრთხოება და სანიტარიული მდგომარეობა“) მოთხოვნებს.

<u>მინდობით აღზრდა და მცირე საოჯახო ტიპის სახლი</u>

პოლიტიკის დონე:

- მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ, სფეროში ჩართულ მხარეებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კოორდინაციით, შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს მინდობით აღზრდის მომსახურების განვითარების სტრატეგიის დოკუმენტს. ამ დოკუმენტმა უნდა ასახოს მინდობით აღმზრდელი მშობლების (მათ შორის, გადაუდებელი, სპეციალიზებული, ჩამნაცვლებელი, ასევე, სხვადასხვა კულტურული, ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი მახასიათებლის მქონე მინდობით აღმზრდელი მშობლების) მოძიების, მოზიდვის, გადამზადებისა და შემდგომი მხარდაჭერის მთელი სისტემა/ციკლი.
- აუცილებელია PR-ტექნოლოგიების გამოყენებით მედიაკამპანიების განხორციელება და ფართო საზოგადოების ინფორმირება მინდობით აღზრდის, როგორც ზრუნვის უპირატესი ფორმის, შესახებ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს როგორც მინდობით აღზრდის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ცვლილებას, ისე ამ სისტემით დაინტერესებული პირების მოზიდვას.
- მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ, სფეროში ჩართულ და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარესთან კოორდინაციით, შექმნას სამუშაო ჯგუფი მცირე საოჯახო ტიპის სახლების შემდგომი ფუნქციონირების (ტრანსფორმაციის) სტრატეგიის დოკუმენტის შესამუშავებლად, რომელიც ასახავს სააღმზრდელო დაწესებულებების მოდელების, მათი საქმიანობების ჩარჩოს, სამიზნე ჯგუფებისა და სისტემაში მყოფი ბავშვების მხარდამჭერი სისტემების სამომავლო ხედვებს.
- უმნიშვნელოვანესია, მინდობით აღზრდის მომსახურების განვითარების, ასევე, მცირე საოჯახო ტიპის სახლების სტრატეგიის დოკუმენტებმა განსაზღვროს ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვების მხარდამჭერი

მომსახურებების (სარეაბილიტაციო, ფსიქოთერაპიული, ფსიქიატრიული, ნარკოლოგიური და სხვა ტიპის მომსახურებები) ეტაპობრივი განვითარებისთვის აუცილებელი ღონისძიებები. დოკუმენტში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს მოცემული მომსახურებებისთვის პროფესიული კადრების მოზიდვის და მომსახურებების გეოგრაფიული დაფარვის უზრუნველყოფისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები. ამ პროცესში მნიშვნელოვანია უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენელთა ჩართულობა.

- სასურველია მინდობით აღზრდის მომსახურების პროგრამის გარკვეული კომპონენტების (მინდობით აღზრდის პოპულარიზების კამპანიების ორგანიზება, მინდობით აღმზრდელების მოზიდვა/მოძიება, მათი გადამზადება, პროფესიული მხარდაჭერა) შეუფერხებლად ფუნქციონირების მიზნით განხორციელდეს მომსახურების შესყიდვა გარე მიმწოდებელი ორგანიზაციისგან.
- აუცილებელია გარე მიმწოდებელი ორგანიზაციის შერჩევა მოხდეს კონკურსის წესით.
- მნიშვნელოვანია, ბავშვის მინდობით აღმზრდელ ოჯახში თავსებადობისა და მინდობით აღზრდის შემთხვევის მართვის პროცესში უზრუნველყოფილი იყოს გარე მიმწოდებელი ორგანიზაციისა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირების/სოციალური მუშაკების შეთანხმებული, მჭიდრო თანამშრომლობა.
- მნიშვნელოვანია, სამინისტროს ინიციატივით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც, მინდობით აღზრდის მომსახურების სტრატეგიის დოკუმენტით განსაზღვრული ხედვის შესაბამისად, გადახედავს და დაამუშავებს მინდობით აღზრდის მომსახურების სტანდარტებს, რათა მასში, გარდა ძირითადი სტანდარტებისა, აისახოს სპეციფიკური სტანდარტები (შენაკადი სტანდარტები) მინდობით აღზრდის სხვადასხვა ფორმისთვის (ნათესაური, გადაუდებელი, რეგულარული, სპეციალიზებული მომსახურება), რაც კიდევ უფრო გამიჯნავს მინდობით აღზრდის მომსახურების განსხვავებული ფორმებისთვის განსაზღვრულ საქმიანობებსა და ვალდებულებებს.
- მნიშვნელოვანია, სამინისტროს ინიციატივით და დაინტერესებულ პირთა ფართო ჩართულობით, ასევე, მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურების სტრატეგიის დოკუმენტით განსაზღვრულ ხედვაზე დაყრდნობით, გადაიხედოს „ტექნიკური რეგლამენტი – ბავშვზე ზრუნვის სტანდარტები“. ამ შემთხვევაშიც, სასურველია, სტანდარტებმა ერთმანეთისგან გამიჯნოს მომსახურების ძირითადი და სპეციფიკური საქმიანობები (მათ შორის, შშმ ბავშვების მომსახურების ფარგლებში).
- მნიშვნელოვანია, ამავე სამუშაო ჯგუფმა გადახედოს და დაამუშაოს ნორმატიული აქტები: „მინდობით აღზრდის წესი“ და „რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების განსაზღვრის შესახებ“, რათა დეტალურად გაიწეროს ბიოლოგიურ ოჯახებთან მუშაობისა და მათი გაძლიერებისკენ მიმართული ჩარჩო-რეგულაციები. აქვე უნდა განისაზღვროს სექტორებს შორის (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის უფლებათა დაცვისა და

მხარდაჭერის განყოფილება) თანამშრომლობის ის მექანიზმები, რომლებიც მიმართული იქნება სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებისკენ.

- მნიშვნელოვანია, შემუშავდეს მინდობით აღმზრდელების, მათ შორის, სპეციალიზებული მინდობით აღმზრდელებისა და სხვადასხვა კულტურული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი მახასიათებლის მქონე მინდობით აღმზრდელების მოძიების სტრატეგია, რომელიც დადგენილი პერიოდულობით უნდა განხორციელდეს ქვეყნის მასშტაბით კვალიფიციური მინდობით აღმზრდელების რიცხვის გაზრდის მიზნით.
- აუცილებელია, გადაიხედოს და ხელმეორედ დამუშავდეს მინდობით აღმზრდელ პირთა მოსამზადებელი კურიკულუმები (საბაზისო და სპეციალიზებული), რაც დაეფუძნება იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგებიან მინდობით აღმზრდელები მინდობით აღზრდის მომსახურებაში შემოსული ბავშვების პირადი გამოცდილების ფონზე (ძალადობა, ფიზიკური და მორალური ტრავმები, ემოციის/ქცევის უმართაობა და სხვ.).
- მნიშვნელოვანია, მინდობით აღმზრდელ პირთა მაღალი კომპეტენციის უზრუნველყოფის მიზნით პოტენციური მინდობით აღმზრდელების სავალდებულო მოსამზადებელი კურსი წარმოადგენდეს ფილტრს მინდობით აღმზრდელთა რეგისტრაციის დროს. ასევე აუცილებელია, მინდობით აღმზრდელებს, პროფესიული მხარდაჭერის ფარგლებში, მიეწოდოთ უწყვეტი განათლება, კონსულტაციები; ჩაუტარდეთ პროფესიული ზედამხედველობის სესიები და პროფესიული გადაწვის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებები.
- სამინისტრომ, სფეროს ექსპერტებთან კონსულტაციების საფუძველზე, განიხილოს მინდობით აღზრდის მომსახურებაში ბავშვის მოვლის ხარჯისა და მინდობით აღმზრდელის ანაზღაურების გამიჯვნის საკითხი.
- ქვეყანაში მინდობით აღზრდის მომსახურების პოპულარიზაციისთვის, ასევე, პოტენციურ მინდობით აღმზრდელთა მოზიდვის სტიმულირებისთვის იმ მინდობით აღმზრდელებს, რომელთა შრომითი სტაჟი 10 წელი და მეტია, საპენსიო ასაკის მიღწევის დროისთვის პენსიაზე განესაზღვროთ დანამატი.
- სასურველია, ზრუნვის სააგენტოს სოციალური მუშაკებისთვის (შემთხვევის მმართველებისთვის) შეიქმნას ბიოლოგიურ ოჯახებთან მუშაობის მეთოდური გაიდლაინი, რომელიც განსაზღვრავს ბიოლოგიურ ოჯახებთან მუშაობის პრაქტიკასა და პროცედურებს, ასევე, ჩარევის კონკრეტულ მეთოდებს, განსაკუთრებით მშობლობის უნარების გაძლიერებისა და ძალადობრივი ქცევის შეცვლის, ბავშვსა და მშობელს შორის ემოციური კავშირის აღდგენის მიზნით. გაიდლაინი ასევე უნდა მოიცავდეს სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან ბავშვების დროულად გაყვანის პროცესში ჩართული მხარეების მიერ განსახორციელებელ პასუხისმგებლობებს. აღნიშნული მექანიზმების ამოქმედება ხელს შეუწყობს ბავშვების სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ხანგრძლივად დაყოვნების პრაქტიკის თავიდან აცილებას.

- მნიშვნელოვანია, შემუშავდეს მულტისექტორული თანამშრომლობის (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია) ასპექტები და მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვების ბიოლოგიურ ოჯახებს არსებული რისკებისა და კრიზისების შემცირებას.
- სასურველია, სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ბავშვების შედინებისას ბიოლოგიური მშობლების თანამონაწილეობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს) უზრუნველყოფის მიზნით ხელშეკრულება გაფორმდეს სახელმწიფოსა და ბიოლოგიურ მშობელს შორის. ხელშეკრულების მიზანი უნდა იყოს მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრა მშობლისა და ბავშვის სათანადო ურთიერთობის, ასევე, აღზრდის ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად; აღნიშნულ პროცესში მშობლის მიერ თავის არიდების შემთხვევებში კი – მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების გატარება.
- მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან ბავშვის გასვლამდე (არანაკლებ ერთი წლისა), მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურმა მუშაკმა/მუშაკებმა (ბავშვისა და მშობლის/ოჯახის საცხოვრებლის ტერიტორიული ერთეულის გათვალისწინებით) გააძლიეროს/გააძლიერონ მუშაობა ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნების პროცესის მხარდასაჭერად, რათა ოჯახში დაბრუნების შემდეგ ბავშვმა/ახალგაზრდამ ცხოვრება გააგრძელოს სტაბილურ და უსაფრთხო გარემოში. სოციალური მუშაკის მიერ ამ მიმართულებით დასახული მიზნები/ღონისძიებები/საქმიანობები უნდა აისახოს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმაში.
- შეიქმნას შესაძლებლობები (პლატფორმები, გაერთიანებები, მაგალითად, მინდობით აღმზრდელთა გაერთიანება) სახელმწიფო ზრუნვის მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის, რის მეშვეობითაც ისინი პერიოდულად შეძლებენ საკუთარი მოსაზრებების გაზიარებას პოლიტიკის შემქმნელებისთვის მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.
- უმნიშვნელოვანესია, შემუშავდეს სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყანაში ბავშვთა მხარდამჭერი მომსახურებების, მაგალითად, სპეციალიზებული მცირე საოჯახო ტიპის სახლების (ქცევითი, ემოციური, ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების მქონე ბავშვებისთვის), სარეაბილიტაციო, ფსიქოთერაპიული, ფსიქიატრიული, ნარკოლოგიური და სხვა მომსახურებების ეტაპობრივად განვითარებისთვის სამოქმედო ღონისძიებებს. დოკუმენტი ასევე უნდა მოიცავდეს მოცემული მომსახურებებისთვის პროფესიული კადრების მოზიდვისა და გეოგრაფიული დაფარვის უზრუნველყოფისთვის გასატარებელ აქტივობებს.
- ყოველწლიურად, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ მომდევნო წლის საბიუჯეტო პროექტის შემუშავებამდე, სამინისტრომ „მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“

განმახორციელებელი ორგანიზაციებისგან გამოითხოვოს ინფორმაცია ყოველთვიურად გაწეული ხარჯების შესახებ (ვაუჩერული და დონორული წყაროების მითითებით), რათა გაანალიზდეს ეს ხარჯები ინფლაციასა და გაზრდილ ტარიფებთან (კომუნალური და სხვა ხარჯები) მიმართებით.

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დონე:

- აუცილებელია, ზრუნვის სააგენტომ, მის რგოლში დასაქმებული სოციალური მუშაკებისთვის გააძლიეროს პროფესიული მხარდაჭერის სისტემები, რაც ხელს შეუწყობს ახალი კადრის მოზიდვას და ძველი კადრის გადინების პრევენციას.
- მნიშვნელოვანია, მინდობით აღმზრდელებისა და ბიოლოგიური მშობლების ურთიერთობის წახალისებისა და პოზიტიურ ფორმატში წარმართვისთვის შემთხვევის მმართველმა პირველ ეტაპზე ინდივიდუალური, შემდგომ ეტაპებზე კი ერთობლივი კონსულტაციები შესთავაზოს ბიოლოგიურ მშობლებსა და მინდობით აღმზრდელებს; მოცემულ პროცესში მონაწილე მხარეებს მიეწოდოთ ინფორმაცია დადებითი ასპექტების შესახებ, რომელიც წაადგება ბავშვის აღზრდისა და განვითარების პროცესს; მოცემული აქტივობები გაიწეროს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმაში.
- აუცილებელია, ბავშვების სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ხანგრძლივად დაყოვნების თავიდან აცილების მიზნით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურმა მუშაკმა ყოველ 6 თვეში ერთხელ სპეციალური მეთოდოლოგიით შეაფასოს ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების მდგომარეობა და ოჯახის გაძლიერების დეტალურ გეგმასთან ერთად წარუდგინოს განსახილველად მეურვეობისა და მზრუნველობის რეგიონულ საბჭოებს, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
- აუცილებელია, უზრუნველყოფილ იქნეს ზრუნვის სააგენტოს უფლებამოსილი პირების (სოციალური მუშაკი) მიერ შემთხვევის მართვის პროცესში ბავშვის მდგომარეობის დინამიკური მონიტორინგი, რათა, საჭიროების გამოვლენის შემთხვევაში, განხორციელდეს დროული მიზნობრივი ჩარევა და ბავშვის მხარდაჭერა.
- სასურველია, ზრუნვის სააგენტოში სოციალურ მუშაკთა არასრული შემადგენლობის (განსაკუთრებით დედაქალაქში) რესურსების ეფექტური გამოყენებისათვის სოციალურ მუშაკებს აქტიური შემთხვევები გადაუნაწილდეთ კონკრეტული ლოკაციების მიხედვით, რაც მისცემს მათ დროის რაციონალურად გამოყენების საშუალებას; სააგენტომ ასევე შეიმუშაოს და ეტაპობრივად განახორციელოს სოციალურ მუშაკთა შენარჩუნებისა და მოზიდვის, ასევე, პროფესიული გადაწვის პრევენციის ქმედითი პოლიტიკა.
- მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ზრუნვის მომსახურებებში, განსაკუთრებით მცირე საოჯახო ტიპის სახლში, ბავშვის განთავსებამდე (გადაუდებელ შემთხვევაში, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში), მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილმა პირმა/სოციალურმა მუშაკმა მოახდინოს სააღმზრდელო დაწესებულების სრულად ინფორმირება ბავშვის ბიოფსიქოსოციალური შეფასების

შედეგების შესახებ; ასევე, ბავშვის ჩარიცხვამდე შეაფასოს და განსაზღვროს კონკრეტულ მომსახურებაში ბავშვის თავსებადობის რისკები და მათ შემცირებაზე/აღმოფხვრაზე პროაქტიური მუშაობის ღონისძიებები მიმწოდებელთან ერთად.

- უმნიშვნელოვანესია, მცირე საოჯახო ტიპის სახლში უსაფრთხო და დაცული გარემოს უზრუნველსაყოფად, ბავშვის ძალადობრივი ქცევის გამოვლენის შემთხვევაში, როგორც თავად ამ ბავშვის, ისე მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები ყველა ბავშვის ჩართვა ინტენსიურ სარეაბილიტაციო პროგრამაში და რისკების არსებობის პერიოდში იქ მცხოვრები აღსაზრდელებისათვის ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა მულტიდისციპლინური და მულტიუწყებრივი ჩარევის გზით.

მომსახურებების დონე:

- აუცილებელია, მცირე საოჯახო ტიპის სახლის პერსონალის სათანადოდ მომზადება და მუდმივი პროფესიული მხარდაჭერა გადაწვის პრევენციის, მიმღებლობის (განსაკუთრებით ქცევითი და ემოციური სირთულეების მქონე ბავშვების მიმართ) ჩამოყალიბებისა და კომპეტენციების ამაღლების მიმართულებით, განსაკუთრებით ქცევითი და ემოციური სირთულეების, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან, ანტისოციალური ქცევის, სექსუალური ქცევის სირთულეების მქონე ბავშვებთან მუშაობის მიმართულებით; ასევე საჭიროა მინდობით აღსაზრდელებთან მუდმივად მუშაობა მათ მიერ მრავალფეროვნების აღქმის, სხვადასხვა კატეგორიის მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ჯგუფის მიმართ მიმღებლობის ჩამოყალიბების, დისკრიმინაციისა და ბულინგის პრევენციის მიზნით.
- მნიშვნელოვანია სახელმწიფო ზრუნვის მომსახურებაში განთავსებულ აღსაზრდელებთან მუდმივად მუშაობა მათ მიერ მრავალფეროვნების აღქმის, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის მიმართ მიმღებლობის ჩამოყალიბებისა და დისკრიმინაციისა და ბულინგის პრევენციის მიზნით.
- მნიშვნელოვანია ზრუნვის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით რელიგიური, ეთნიკური და სხვა უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვებისთვის ყველა შესაძლო პირობის შექმნა მცირე საოჯახო ტიპის სახლსა და მინდობით აღზრდის მომსახურებაში მათი ინტეგრირებისთვის (მაგალითად, ენის კურსების გავლა, მომსახურების მიმწოდებლის ცნობიერების ამაღლება და ა.შ.); ასევე, საკუთარი კულტურული წარმომავლობის შენარჩუნებისთვის (მაგალითად, მშობლიური ენის ფლობის, კულტურული და რელიგიური დღესასწაულებისა და ჩვეულებების შენარჩუნების შესაძლებლობები და ა.შ.).
- აუცილებელია, ბავშვების მოტივაციის ამაღლებაზე მიმართული პროგრამებისა და ჩარევის მეთოდების დანერგვა, განსაკუთრებით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, განათლებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების, ასევე, ფსიქოემოციური,

ფსიქოსაგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო მხარდამჭერი მომსახურებების უფრო ეფექტიანად გამოყენების ხელშეწყობისთვის.

- სასურველია აღსაზრდელთათვის დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების სწავლების სტიმულირების მიზნით, მათი ასაკის, განვითარების დონისა და არსებული რისკფაქტორების გათვალისწინებით, ფინანსური რესურსების მართვის, დამოუკიდებლად გადაადგილების, სოციუმში ინტერაქციის, სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების მიმართულებით სპეციალური მხარდაჭერის პროგრამების შეთავაზება.
- აუცილებელია რეპროდუქციულ, სექსუალურ და სქესობრივ ჯანმრთელობაზე, სექსუალურ ძალადობასა და სქესობრივად გადამდებ დაავადებებზე მოზარდებთან ცნობიერების ამაღლების მიზნით პერიოდულად მუშაობა როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად.

ადგილობრივი თვითმმართველობის დონე:

- მულტისექტორული თანამშრომლობის ფარგლებში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალურმა მუშაკებმა მოახდინონ მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სტრუქტურული ერთეულების ინფორმირება სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვების ბიოლოგიური მშობლების/ოჯახების საჭიროებების თაობაზე, რათა აღნიშნულმა სტრუქტურულმა ერთეულებმა უზრუნველყონ ზემოხსენებული ოჯახების ჩართვა მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრირებულ მიზნობრივ პროგრამებში.
- მნიშვნელოვანია, ზრუნვის სააგენტომ და მუნიციპალიტეტების ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებებმა, მულტისექტორული თანამშრომლობის ფარგლებში, გაცვალონ ინფორმაცია ზრუნვის სისტემაში მყოფი ბავშვების ბიოლოგიური მშობლების/ოჯახების მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ, რათა ადგილობრივ დონეზე განვითარდეს ბავშვთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული მიზნობრივი პრევენციული პროგრამები (მაგალითად, მშობლობის უნარების სწავლება, ეკონომიკური მხარდაჭერა (დასაქმება, საცხოვრისის რეაბილიტაცია) და სხვ.), რომლებიც მიმართული იქნება ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და ბავშვთა მიტოვების პრევენციისკენ.

სამართალდამცავ და დანაშაულის პრევენციის სისტემებთან თანამშრომლობის დონე:

- აუცილებელია, შესაბამისი კომპეტენციის მქონე უწყებებისა და სფეროს ექსპერტების მონაწილეობით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც, ანტისოციალური და კანონსაწინააღმდეგო ქცევის გამოვლენის შემთხვევაში, დაადგენს სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში (მცირე საოჯახო ტიპის სახლი, მინდობით აღზრდის მომსახურება) მყოფ ბავშვებთან მომუშავე უწყებათა უფლება-მოვალეობებს, ასევე, შეიმუშავებს ჩარევის (ინტერვენციის) მეთოდებსა და ღონისძიებებს, რომლებიც

ორიენტირებული იქნება ბავშვების ქცევითი სირთულეების პრევენციასა და ქცევის ცვლილებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ (2017). „მინდობით აღზრდის მომსახურებიდან გასული ახალგაზრდების სოციალიზაცია და საჭიროებები“

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ (2017). „სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების საჭიროებები“

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ (2019). „რეინტეგრაციაში ჩართული ბავშვებისა და ოჯახების საჭიროებები“

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ (2018). „სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მცხოვრები ბავშვების ბიოლოგიური ოჯახების საჭიროებები (გურიის რეგიონის მაგალითი)“

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (2018). ბავშვზე ზრუნვის სისტემის მონიტორინგი – ალტერნატიული ზრუნვის ეფექტიანობა. სპეციალური ანგარიში

Center for the Study of Social Policy (2015). Strengthening families: A protective factors framework.

Connecticut Department of Children and Families (2020). DCF Strengthening Families Practice Model.

Family and Children's Agency (FCA). Specialized Foster Care. https://familyandchildrensagency.org/foster-care/specalized-care.aspx

Gardner, R. (2003). Supporting Families. Child Protection in the Comminity. John Wiley & Sons, Chichester, UK

Office of Juvenile Justice and Delinquency Prevention. Model Programs Guide. https://ojjdp.ojp.gov/model-programs-guide/literature-reviews/group_homes.pdf%20%E2%80%93

UN Guidelines for the Alternative Care of Children (2009). https://digitallibrary.un.org/record/673583?ln=en

U.S. Department of Health and Human Services' Children's Bureau (2018). 2018 Prevention Resource Guide: Keeping Children Safe and Families Strong in Supportive Communities

Save the Children (2012). Strengthening families: Save the Children programs in support of child care and parenting policies.